ანტონ ხინთიბიძე

ალზრდის იდეები ქართულ ხალხურ შემოქმედებაში

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1976

„აღზრდის იდეები ქართულ ხალხურ შემოქმედებაში“ პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის ანტონ ხინთიბიძის ამავე სახელწოდების შრომის მესამე ნაწილია. პირველი 1958 წელს გამოვიდა, მეორე — 1963 წელს.

ნაშრომის მიზანია მკითხველს გააცნოს მრავალსაუკუნოვანი ხალხური პედაგოგიური სიბრძნე. წიგნში ფოლკლორული და სათანადო ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ლიტერატურული და ისტორიული მასალების შესწავლის საფუძველზე განხილულია ხალხური პედაგოგიური იდეები.

ვფიქრობთ, ეს ნაშრომი დაეხმარება მოსწავლე ახალგაზრდობას, პედაგოგებს, მშობლებს და ამ საკითხით დაინტერესებულ სხვა პირებს.

X $\frac{70202-106}{М-602(08)-76}$ 279—76

© გამომცემლობა „განათლება“, 1976

წინასიტყვაობა

უძველეს დროში ჩაეყარა საფუძველი შეხედულებებს სამყაროზე, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაზე, მშვენიერებაზე, სამეურნეო ცხოვრებაზე; გაჩნდა მხატვრული სიტყვა და სხვ. ეს იმდროინდელი ფილოსოფიაც იყო, პედაგოგიკაც, ხელოვნებაც, პოეზიაც, ეკონომიკაც, ასტრონომიაც და ა. შ. ეს შეხედულებანი აისახა ზეპირსიტყვიერებაში, რაც, შეიძლება ითქვას, ამოუწურავ საუნჯეს და სიბრძნით სავსე უსაზღვრო საგანძურს წარმოადგენს. ამ საგანძურში თვალსაჩინო ადგილი უკავია ადამიანის ფორმირების საკითხებს. ვინ იცის, მასში რამდენი მიუკვლეველი და ჩვენი დროისათვის საჭირო უნიკალური მასალაა, რომლის მიგნება და შესწავლა ახალ ფურცლებს გადაშლიდა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ისტორიაში, დაგვარწმუნებდა მის სიმდიდრეში, აწმყოშიც ჩაგვახედებდა და მომავლის პერსპექტივასაც გადაგვიშლიდა. მით უფრო, რომ გენიალური ხალხური აზრები საოცარი სისადავითა და შთამბეჭდავადაა გამოსახული, რაც ხელს გვიწყობს ჩავწვდეთ ადამიანის სულიერ სამყაროს, მის არსებით შინაარსს. ეს ხალხური აზრები თითქოს ისტორიას განეკუთვნებიან, ისტორიას, რომელიც ჩვენი სულიერი სამყაროს ორგანული ნაწილი და გამამდიდრებელია. ისიც საყურადღებოა, რომ ხალხი ყოველთვის ადამიანის ფორმირებას შრომით ატმოსფეროში მოითხოვდა, რაც საბჭოთა აღზრდის სისტემის მთავარი კომპონენტია. ამ აზრებისა და, საერთოდ, ფოლკლორის გაცნობისას მხოლოდ ხალხურ ნაწარმოებებს კი არ ვეცნობით, არამედ ხალხის მისწრაფებებს, მის განწყობილებებს, სულისკვეთებას, მის სულსაც და გულსაც. ჩვენ უნდა შევისწავლოთ ეს ხალხური სულისკვეთება, განწყობილება, კულტურული მონაცემები. ხალხური კულტურისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა ხასიათისა იყო. კლასობრივ საზოგადოებაში სწავლულთა ნაწილმა „ოლიმპიური სიმაღლეებიდან“ დაუწყო ცქერა წერა-კითხვის უცოდინარი ხალხის ჩანაფიქრებსა და სულიერ შესაძლებლობას. ასეთი სიმაღლეებიდან კი უზარმაზარი მთებიც ბორცვებად მოჩანან, ცადაწვდილი მცენარეები—ბუსუსებად და გოლია-

თ ი ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი — კ ა ც უ ნ ე ბ ა დ. ამან კი მილიონიანი მასების ნაფიქრ-ნააზრევის ძიების ყოველგვარი სურვილი ჩააბშო. ხალხურ შეხედულებათა შეუსწავლელობის სხვა მიზეზებიც შეიძლება მოინახოს, მათ შორის — მათში ჩაუწვდომლობა, მათი ვერ გაგება. ამასთან ცხადია, დროთა ვითარებაში შემცირდა ამ დაბრკოლებათა ხვედრითი წონა; დაიწყო ხალხის შეხედულებებთან ერთგვარი აკლიმატიზაციის, შეგუების პერიოდი. ისე, რომ სწავლულთა ერთმა ნაწილმა ცნო ხალხური ნააზრევის მნიშვნელობა, მაგრამ, სამწუხაროდ, მის შინაგან სამყაროს, მის არსს ვერ ჩაწვდა, მხოლოდ სიტყვიერი გამოხატულებისა და პედაგოგიური მნიშვნელობის ზერელე აღნიშვნით დაკმაყოფილდა და ხალხური პედაგოგიური სიბრძნის არსი კვლავ უყურადღებოდ დარჩა.

ხალხური აღზრდის შესახებ მდიდარი ცნობებია მრავალი ბურჟუაზიული მეცნიერების შრომებში, მათ შორის — შ. ლეტურნოს გამოკვლევაში — „აღზრდის ევოლუცია ადამიანთა სხვადასხვა რასაში". მაგრამ ეს ცნობები მხოლოდ პრაქტიკულ ხალხურ აღზრდას ასახავენ. ზოგიერთი ბურჟუაზიული მეცნიერის აზრით, მშრომელი მასა იდეათა შექმნის ნიჭსა და უნარს მოკლებულია (გ. ლებონი — „ხალხებისა და მასების ფსიქოლოგია"). შეუძლებელია დავიწყოთ ი. ა. კომენსკი, კ. დ. უშინსკი, ი. გოგებაშვილი და სხვა პედაგოგები, რომლებიც გარკვეული ყურადღებით ეკიდებოდნენ ფოლკლორს, როგორც აღზრდის საშუალებას. საყურადღებოა, რომ შედარებით ზოგიერთმა პროგრესულმა ბურჟუაზიულმა მოღვაწემაც კი მიაქცია ერთგვარი ყურადღება ხალხურ აღზრდას. მაგალითად, ა. ჩემბერლენმა ნაშრომში „ბავშვი და ბავშვობა ხალხის ჩანაფიქრით"; ე. ტოდმა — „პირველყოფილი ოჯახი, როგორც აღმზრდელობითი საშუალება". უფრო საყურადღებოა დემოკრატიულ რესპუბლიკებში ჩატარებული მუშაობა. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — რ. ალტის — „აღზრდის ისტორია", ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში დ. დენევისა — „ბულგარელი ხალხის პროგრესული ტრადიციები ზნეობრივ აღზრდაში" (სოფია, 1962 წ.); ეს და ზემოხსენებულ ავტორთა ნაშრომები მიგვითითებს ფოლკლორულ ნაწარმოებთა აღმზრდელობით მნიშვნელობაზე. ამასთან საყურადღებოა მ. კელენჯერიძის „ხალხური პოეზია და მისი საპედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა" (1896 წ).

კ. უშინსკისა და ლ. ტოლსტოის აზრით, ხალხს თავისი პედაგოგიკა აქვს. სწორედ ეს აზრია გატარებული გ. ვინოგრადოვის ბროშურაში — „ხალხური პედაგოგიკა". ეს იყო პირველი წიგნი რუსეთში, რომელიც ფართო წარმოდგენას იძლეოდა, ერთი მხრივ,

ხალხური პედაგოგიკის იმ შინაარსზე, რაც ვინოგრადოვს მიაჩნია აღზრდის ჩვევებისა და ხერხების ერთობლიობად (გვ. 5). შრომაში აღწერილია, როგორ უამბობდნენ მოხუცები ბავშვებს ხალხურ ლექსებსა და ზღაპრებს. იმის მიუხედავად, რომ ამ ბროშურაში ვერ ვხვდებით ვერც ერთ ხალხურ იდეას აღზრდის შესახებ და იგი საერთოდაც არ არის გამოკვლევა, მან მაინც დიდი როლი შეასრულა ხალხური აღზრდისადმი ყურადღების გამახვილებაში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გ. ვინოგრადოვი ხალხური პედაგოგიკის ფილოსოფიურ საფუძველზეც მსჯელობს, რასაც ქვემოთ ვნახავთ. ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებანი ავტორის ნაკლოვანებანი კი არ არის, არამედ იმის შედეგი, რომ ხალხური პედაგოგიკა სავსებით შეუსწავლელი იყო.

საყურადღებოა, რომ უკანასკნელ წლებში ხალხურ აღზრდას ყურადღება მიაქციეს საბჭოთა პედაგოგებმა: ა. გაშიმოვმა, გ. ვოლკოვმა, ი. ხანბიკოვმა, ვ. არუთინიანმა. ი. შოროვმა და სხვებმა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ხალხური პადაგოგიური აზროვნება ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ შესწავლილი, რაც იქიდანაც ჩანს, რომ „პედაგოგიკის ისტორიებში“ მხოლოდ რამდენიმე გვერდზეა აღნიშნული — აღზრდა უკლასო საზოგადოებაშიც არსებობდაო, და თანაც იმდროინდელი აღზრდის რაღაც ელემენტებზეა მითითებული.

საგულისხმოა, რომ აღზრდის ეს ელემენტები ყველა ქვეყნის პედაგოგიკის ისტორიაში თითქმის ერთნაირი შინაარსითაა წარმოდგენილი. თითქოს მსოფლიოს ყველა ხალხის ყოფა-ცხოვრება და არსებობის პირობები ერთნაირი იყო. ამ მცირე მიმოხილვის შემდეგ ხალხურ აღზრდაზე მსჯელობა წყდება და პედაგოგ-თეორეტიკოსთა შეხედულებებია გადმოცემული. ისე გამოდის, თითქოს, ხალხის სულიერი შესაძლებლობა ჩაკვდა, არქივს ჩაბარდა. ავიწყდებათ, რომ ხალხი მარად უკვდავია, რომ ის ყოველთვის ქმნიდა თავის აზრებს, კერძოდ, აღზრდის შესახებ, კლასობრივ საზოგადოებაშიც (თვით კაპიტალიზმის პირობებშიც), და ჰქმნის ახლაც.

ცხადია, ხალხური შეხედულებები დროთა ვითარებაში იცვლებოდა, მაგრამ რჩებოდა აღზრდის საერთო კანონზომიერება, რომელიც კვალდაკვალ მისდევდა ხალხის ისტორიულ ცხოვრებას. მკვლევარმა უნდა გამოავლინოს და შეისწავლოს ეს შეხედულებები, მაგრამ იმგვარად, რომ მხედველობიდან ხალხური აღზრდის ეს კანონზომიერება, მისი არსი და მიმართულება არ გამორჩეს. ეს ხალხური შეხედულებანი ერთგვარი „თეორიული“ ხასიათის მასალებს შეიცავს, და თუ სწავლულთა მემკვიდრეობას ვსწავლობთ, განა ათასჯერ მეტი არ არის მილიონთა სულიერი კულტურა, მათი ჩანაფიქრები, სიბრძნითა და საინოებით სავსე და სულში ჩამწვდომი ხელოვნება, ფიზიკური ძლიერება და გმირული შემართება?

პედაგოგიურ მეცნიერებას ხარვეზი აქვს ხალხური აღზრდის შესწავლის საქმეში. ეს ხარვეზი უნდა ამოივსოს, თორემ სრულყოფილი პედაგოგიური აზროვნების ისტორია ვერ დაიწერება. ცნობილია, რომ მოწინავე პედაგოგ-მოაზროვნეებს ამუხრუჭებდა და აბრკოლებდა კლასობრივი ცენზურა, და ხალხური კულტურული საგანძური ამიტომაც დარჩა უყურადღებოდ, და ჩრდილში მოექცა. ამ მხრივ პედაგოგიური მეცნიერება ჩამორჩა, მაგრამ იგი ძალას იკრებდა, ემზადებოდა, რომ შემდეგში ფრთები გაეშალა და განვითარებულიყო.

ქართული ხალხური შემოქმედების ცხოველმყოფელობაზე მსჯელობისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი წინაპრები უძველესი დროიდანვე ქმნიდნენ უკვდავ სახეებს: ციდან ცეცხლის მომტაცებელი ამირანის, მშვენიერი ეთერის, დაუოკებელი თაფარავნელი ჭაბუკის შესახებ, რაც ხალხისავე მაღალ შემოქმედებით შესაძლებლობაზე და აღზრდის იდეებისა და პრაქტიკის დიდ ზემოქმედებით ძალაზე მიგვითითებს. არსებობს აღზრდა-განვითარება, რომელიც იმდენად ზოგადია, რომ კონკრეტულ ამოცანებს წყდება და იგივეა, რაც განვითარება განვითარებისთვის, განვითარება თავისთვის; ცნობილია ისეთი აღზრდა-განვითარებაც, რომელიც ცხოვრების წინააღმდეგობათა დაძლევის, შ რ ო მ ი ს ა და ბ რ ძ ო ლ ი ს პ რ ო ც ე ს შ ი ი ჭ ე დ ე ბ ა, მით საზრდოობს, მით იკვებება და ადამიანის აწმყოსა და მომავალს ემსახურება. ხალხური აღზრდისათვის პირველი უცხოა, მეორე — კანონზომიერი და განმსაზღვრელი. ხალხის იდეები სწორედ ასეთ წინააღმდეგობათა დაძლევაზე დაკვირვების უშუალო შედეგია. ხალხი გვიჩვენებს, თუ რა ცოდნა მიიღეს მისმა გმირებმა ასეთი შრომისა და ბრძოლის შედეგად და როგორ გამოიყენეს ის ცხოვრებაში.

ხალხის მრავალმხრივი აზროვნება ფოლკლორში ფიქსირებული სიბრძნეა, რომლის აღმზრდელობითი ზემოქმედება ადამიანზე ისე ძლიერია, რომ მას ათეული საუკუნეებიც კი ვერ ანელებენ. ბერძნული ხელოვნება და ეპოსი „ახლაც კიდევ ესთეტიკურ სიამოვნებას გვაგრძნობინებენ", — წერდა კ. მარქსი[1].

ფ. ენგელსი ასე ახასიათებდა „ხალხური წიგნების" ზემოქმედებას მშრომელ ადამიანზე. ისინი მოწოდებულნი არიან: „прояснить его нравственное чувство, заставить его осознать свою силу, своё право, свою свободу, пробудить его мужество, его любовь к отечеству"[2].

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი, 1953, გვ. 297.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Из ранних произведений, Москва, 1956, 344.

ცნობილია, რომ ლენინი ხალხის ფსიქოლოგიის შესწავლაში დიდ როლს ანიჭებდა ხალხურ ნაწარმოებებს — ზღაპრებს[1]. ის დიდად აფასებდა, აგრეთვე, ხალხის მიერ შექმნილ ლექსებს[2] და სხვა ფოლკლორულ ნაწარმოებებს. ამიტომ ურჩევდა ბონჩ-ბრუევიჩს: შეეგროვებინა გამოცანები, ლეგენდები და სხვა სახის ნაწარმოებები[3].

აქედან კარგად ჩანს რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს სწამდათ ხალხის შემოქმედებითი ძალებისა და აზროვნებისა. ეს მკაფიოდ დასტურდება ლენინის შემდეგი სიტყვებით: „ათეული მილიონობით შემოქმედის გონება ქმნის რაღაც განუზომლად უფრო მაღალს, ვიდრე ყველაზე დიადი და გენიალური წინასწარხედვა"[4]. ამ გამონათქვამებითაც ნათელია ხალხთა მასების გენიალური აზროვნება და მისი დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობა.

წინაღმდეგობათა დაძლევის პროცესში ადამიანი თავიდანვე შეიცნობდა მოვლენებს, იფართოებდა გონებრივ ჰორიზონტს. აი რას წერდა ცნობილი მეცნიერი ედ. ტეილორი: ველურებს და ბარბაროსებს ფართო ემპირიული ცოდნა აქვთ. პრიმიტიულმა ადამიანმა იცის ნივთთა მრავალი თვისება. მაგალ., მან იცის, რომ „წყალში ძძიმე საგანი იძირება და არა მსუბუქი; იცის — რომელი ქვა ვარგა ცულისათვის და რომელი ხე მისი ტარისათვის". მან იცის მკურნალობაც, უხეშად რომ ვთქვათ, — „ცეცხლის მოპოვებაში ის ფიზიკოსია, საჭმლის ზომზადებაში — ქიმიკოსი, ჭრილობის შეხვევაში — ქირურგი; თავისი ბდინარეებისა და მთების ცოდნაში — გეოგრაფი, თითებზე თვლაში — მათემატიკოსი. ტეილორი აქვე დასძენდა — ამის საფუძველზე შენდება მეცნიერებაო"[5].

იმ მიზნით რომ მოზარდს, თუ ზრდადამთავრებულ ადამიანს, მის წინაშე დასმულ კონკრეტულ ამოცანებზე გაეცა პასუხი (მაგ., როგორ დაეცვა თავი მხეცისაგან, როგორ გაესროლა ქვა, ან სხვა საგანი და ა. შ). თავის გამოცდილებას ხალხი გადასცემდა მომავალ თაობას. ამ პერიოდში, ჩვენი აზრით შეუგნებელი სწავლა-აღზრდა იყო შესაძლებელი, მაგრამ თანდათანობით, შეგნებულ სწავლა-აღზრდაზე გადადიოდა ხალხი.

თუმცა, როგორც ლეტურნოს და სხვა მეცნიერთა მიერ ფიქსირებული მასალებიდან ჩანს, განვითარების ამ სტადიაზე უკვე არსე-

---

[1] В. Д. Бонч-Бруевич, В. И. Ленин об устном народном творчестве, журн. «Советская этнография», 1954, № 4, გვ. 118.

[2-3] იქვე, გვ. 123—131.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 26, 1952, გვ. 555.

[5] Э. Тейлор, Первобытная культура, пер. с английского, под ред. с предисловием и примечаниями проф. В. К. Никольского. М., 1939, გვ. 184.

ბობდა წესი, რომლის მიხედვით, ვაჟებს მამაკაცები ზრდიდნენ, გოგონებს — ქალები[1], ასე რომ, შეგნებული აღზრდის ჩანასახი განვითარების ამ დაბალ საფეხურზეც არსებობდა. ამიტომ მცდარია აზრი, თითქოს, ხალხური პედაგოგიკა ემპირიულ ცოდნათა ჯამი იყოს. ასეთი ის მხოლოდ განვითარების პირველ საფეხურებზე შეიძლებოდა ყოფილიყო. შემდეგ კი, ცხოვრების მოთხოვნილებათა შესაბამისად, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პროცესში, აღზრდის საკითხები თანდათანობით ფართოვდებოდა, ღრმავდებოდა, მწიფდებოდა და იმას მიაღწია, რომ აღზრდამ ტომის, სამშობლოს, ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი ადამიანის მომზადება დაისახა მიზნად. ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ შეგნებულობა აღზრდაში თანდათან ძლიერდებოდა. შემდეგ კი, ოსტატებთან ბავშვის მიბარების პრაქტიკაც შეიქმნა და „ხალხური სკოლებიც", და ასე, მიიღო ერთგვარად ჩამოყალიბებული სახე ხალხური აღზრდის „თეორიამ" და პრაქტიკამ. ცხადია, შეუძლებელია იმის თქმა, რომ აღზრდა ყველა დროში შეგნებული იყო.

ცნობები აღზრდაზე, გარდა ფოლკლორისა, ეთნოგრაფიამაც შემოგვინახა. პირველი ხალხის ფიქრებს, იდეებს, იდეალებსა და სიბრძნეს ასახავს, მეორე — ხალხის ყოფაცხოვრების ფაქტიურ მასალებს. ფოლკლორში ორი მხარე შეიძლება განვასხვაოთ: ფოლკლორს აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ფოლკლორშივეა აგრეთვე მოცემული პედაგოგიური იდეები. ამ საკითხს პირველს საქართველოში ცნობილი მოღვაწე, მ. კელენჯერიძე შეეხო წიგნში — „ხალხური პოეზია და მისი საპედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა" (გვ. 117—156). მაგრამ ფოლკლორის აღმზრდელობითი მნიშვნელობის გაგება მხოლოდ აღზრდის იდეებითაა შესაძლებელი. ამიტომ პირველ რიგში ამ იდეებს უნდა მიექცეს ყურადღება, რადგან ისაა ხალხური აღზრდის სული და გული. ეს იდეები ხალხური აღზრდის „თეორიაა", აღზრდის წესები კი ცხოვრებაში მისი განხორციელების შესახებ შექმნილ მოსაზრებებს და აღზრდის ერთგვარი პრაქტიკის ამოსავალს წარმოადგენენ. იდეებზე ყურადღების გამახვილება საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ არა მხოლოდ ხალხური აღზრდის, არამედ ხალხური შემოქმედების ბუნებასაც. ამით შეიქმნება გარკვეული პირობები,

---

[1] Ш. Летурно, Эволюция воспитания различных человеческих расс, 1900, გვ. 35.

ერთი მხრივ, ფოლკლორულ ნაწარმოებთა თავისებურების, ხოლო, მეორე მხრივ, ათასობით წლების მანძილზე შემუშავებული ხალხის ფსიქოლოგიის, მრავალმხრივი აზროვნების, მხატვრული გემოვნების, ეთნოგრაფიული და სხვა სახის ნიშან-თვისებათა შესწავლისათვის.

პედაგოგიური თვალსაზრისით ფოლკლორის შესწავლა ხალხური აღზრდის მიზნისა და ამოცანების მიგნებაშიც დაგვეხმარება და ნათელ წარმოდგენასაც მოგვცემს ხალხური აღზრის იდეების განვითარებაზე. ცნებაში „აღზრდის იდეები", ხალხური პედაგოგიური აზროვნების ყველა მხარეს ვგულისხმობთ.

ხალხური აღზრდის იდეების შესწავლას გვაროვნული საზოგადოების ამსახველი ფოლკლორული ნაწარმოებებით ვიწყებთ. მაგრამ ამ პერიოდში მხოლოდ აღმზრდელობითი ხასიათის წარმოდგენები შეიძლებოდა არსებულიყო და არა აღზრდის იდეები.

ხალხური აღზრდა კლასობრივი საზოგადოებისა და სკოლის წარმოშობამდე ადამიანის ფორმირების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. კლასების ჩამოყალიბების შემდეგ კი, იმის გამო, რომ ხალხი სასკოლო განათლებას იყო მოკლებული, ბავშვები სწორედ ხალხური პედაგოგიკის საშუალებით იზრდებოდნენ. საქართველოში არსებული ტრადიციის თანახმად, მაღალი კლასების შვილებსაც გლეხთა ოჯახებში ზრდიდნენ და, როგორც აკ. წერეთელი აღნიშნავდა, გლეხთა წრეში აღზრდას უკეთესი შედეგიც ჰქონდა. მოვიგონოთ მისი სიტყვები „ჩემი თავგადასავლიდან", — „თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი"-ო. საყურადღებოა ისიც, რომ, ხალხის აზრით, აღზრდა-სწავლება არა მხოლოდ ბავშვებს ესაჭიროებათ, არამედ იმ ზრდადამთავრებულ ადამიანებსაც, რომელთაც თავის დროზე საჭირო სწავლა-აღზრდა ვერ მიიღეს. ამასთან ხალხური აღზრდა თავისი ბუნებით დემოკრატიული იყო და ადამიანებსაც ამ სულისკვეთებით ამზადებდა, რის შედეგადაც აღიზარდა მრავალი გამოჩენილი გმირი. მაგალითად, ჩვენში — არსენა ოძელაშვილი, რუსეთში — სტ. რაზინი, ემ. პუგაჩოვი და სხვ. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხალხური პედაგოგიკა ახლოსაა საბჭოთა აღზრდასთან. ამიტომ ხალხურ შეხედულებათა შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს ახლაც ვისარგებლოთ ხალხური პედაგოგიური სიბრძნით.

ხალხური აღზრდის იდეების შესწავლა, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს:

1. გავიცნოთ ქართველი მშრომელი ხალხის დაუწერელი კულტურა უძველესი პერიოდებიდან ჩვენს დრომდე;

2. მივაკვლიოთ ქართული პედაგოგიური აზროვნების ეროვნულ ფესვებს;

3. დახმარება გავუწიოთ საბჭოთა ბავშვის ფორმირებას.

უნდა ითქვას, რომ ხალხურ ნაწარმოებს ბავშვი დიდი ინტერესით ეწაფება. არის შემთხვევები, როცა ბავშვები მანამდეც კი კითხულობენ სახელმძღვანელოში დაბეჭდილ ზოგიერთ ხალხურ ნაწარმოებს, სანამ მასწავლებელი აუხსნის მას და დასასწავლად მისცემს. ბავშვს, სხვა მასალასთან შედარებით, უფრო მეტად ხალხური ნაწარმოები იტაცებს. და როცა სკოლისა და მშობლების რჩევა-დარიგებებსა და ზემოქმედებას ხალხის აზრებიც დაემატება, აღზრდას უფრო სასურველი შედეგი ექნება.

პირველი თავი

ხალხური პედაგოგიკის საფუძვლების საკითხისათვის

ხალხური პედაგოგიკა ხალხური აზროვნების პროდუქტია. მას, როგორც ყოველ პედაგოგიკას, თავისი საფუძვლები აქვს. როგორიცაა ხალხის მსოფლმხედველობა, გარემოს შემეცნების ხარისხი, ადამიანის ბუნების გაგება და სხვა, ისეთივეა ხალხური პედაგოგიკაც.

ადამიანის არსებობის პირველ პირობად ხალხი მატერიალურ მდგომარეობას ცნობს, ხოლო ქცევების მიზეზად ცხოვრების მოთხოვნილებებს. ამით უნდა აიხსნას, რომ ფოლკლორში ვხვდებით ისეთ ნაწარმოებებს, თუ ცალკეულ გამოთქმებს, რომლებშიც სამეურნეო-ტექნიკურ საშუალებათა გაუმჯობესება გადაუდებელ ამოცანად არის მიჩნეული; შედარებულია ძველი და ახალი სამეურნეო ტექნიკური საშუალებანი და უპირატესობა ახალს აქვს მინიჭებული.

ხალხურ „ამირანში“ ვკითხულობთ, რომ ამირანი, არ დაკმაყოფილდა დაუმუშავებელი რკინით და მჭედელთან მიიტანა ის, მაგარი მ̣შვილდ-ისრის გასაკეთებლად. ამირანს ხმალიც რკინის აქვს, რომელიც თვითონ გამოაწრთო ცეცხლში. საგულისხმოა, რომ რკინის იარაღის შეძენისაკენ მისწრაფება სხვა ხალხთა ფოლკლორშიც გვხვდება.

ასეთი ინტერესი ყოველთვის წარმოშობდა სათანადო ცოდნა-უნარის დაუფლებისათვის გამუდმებულ ზრუნვას. ამის მიხედვით, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა და სათანადო შეხედულებანი, რომლებიც უძველესი დროიდანვე ამოძრავებდა ხალხს, ხალხური პედაგოგიკის პირველ საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ.

შრომის პროცესში ადამიანს მრავალი დაბრკოლება ხვდებოდა. ხალხურ ნაწარმოებებში მოცემულია ადამიანთა შორის და ადამიანსა და ღმერთებს შორის წინააღმდეგობა, ღვთაებათა წინააღმდეგ ბრძოლა.

ადამიანთა შორის წინააღმდეგობის ნათელი სურათია მოცემული თქმულებაში „ამირანი“. ნაწარმოების გმირი ქალი, ყამარი, მშობლებს საყვედურობს იმის გამო, რომ ისინი ჯეროვნად ვერ ზრდიდნენ მას. მოვიგონოთ სტროფი:

„არცა გამზარდა დედამ,
არცა მეტყოდა ნანასა;
მიმაგდის სახლის ყურეში,
თაგვების ანაბარასა“...

ამავე ნაწარმოებში პერსონაჟთა ურთიერთ გაკრიტიკებასაც ვხვდებით. მაგალითად, ამირანი აკრიტიკებს უსუპსა და ბადრს, რადგან ისინი არ დაეხმარნენ მას დევთან ბრძოლაში. მაგრამ თვით ეს პერსონაჟებიც აკრიტიკებენ ამირანს, რადგან მან არ დახოცა დევის თავიდან ამომძვრალი ჭიები, რის შედეგად ისინი ვეშაპებად გადაიქცნენ და კრიტიკულ ვითარებაში ჩააყენეს ბადრი, უსუპი და თვით ამირანიც. მაგრამ ამ ნაწარმოებში მხოლოდ ადამიანთა ურთიერთკრიტიკას კი არ ვხვდებით, არამედ, ღმერთის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლასაც. ღვთაებათა წინააღმდეგ ბრძოლას ადგილი აქვს ზღაპარშიც „მზის ქალი“. ღარიბ მშრომელ კაცს, მზის სიძეს ცაღრუბლის გამგებელმა ელიამ სეტყვით ყანა გაუნადგურა; ულუკმაპუროდ დარჩენილი მზის სიძე იძულებული გახდა ერთ მდიდარ კაცთან პირობა დაედო. ამ პირობის მიხედვით, მას ერთ დღეში მზის ჩასვლამდე „ასი დღის ყანა“ უნდა მოემკა. შეუსვენებლად იმუშავა და პირობასაც ასრულებდა, მაგრამ შეატყო, რომ მზის ჩასვლამდე ერთი ძნა შეუკრავი რჩებოდა და ღვთაება მზეს შეევედრა — ცოტა დამიცადე, ნუ ჩახვალო. მაგრამ მზემ მის ვედრებას ყურადღება არ მიაქცია და ჩავიდა. ამრიგად, მზის სიძემ გასამრჯელო ვეღარ აიღო და ულუკმაპუროდ დარჩა. ამის შემდეგ მზესთან ასვლა მოუხდა და იქ მიუზღო სამაგირო ღვთაებამ მზეს და ელიას. ელიას კომბლით სცემა, ხოლო მზეს ბაღი გაუნადგურა. ამ ნაწარმოებიდან ჩანს, რომ ხალხის აზრით, ადამიანს უდიდესი ძალა აქვს — ღმერთსაც კი ებრძვის, და ეს ბრძოლა აუცილებელია, რადგან ღმერთები ადამიანის ცხოვრებას აბრკოლებენ. ასეთ ბრძოლებს ხალხმა სისტემატური ხასიათიც მისცა. ცნობილია ჯადოსნური ზღაპრები, რომლებშიც „კეთილ“ და „ბოროტ“ ძალთა შორის დაუნდობელი ბრძოლა წარმოებს. ხალხი აღწერს „ბოროტ“ ძალთა წინააღმდეგ თავისი გმირების ბრძოლებს და ამით სანიმუშო მაგალითს აძლევს ადამიანებს. ჰზის სიძე, განსაკუთრებით ამირანი და სხვა ხალხთა ფოლკლორის ასეთივე გმირები: პრომეთე, გილგამეში, სოსრიკო და სხვ. არა თუ ცნობენ, არამედ პრინციპულად ებრძვიან კიდეც მას. ესენი მითოლოგიურ თქმულებათა წამყვანი პერსონაჟებია, მითოლოგიას იმ დროს დიდი როლი ენიჭებოდა. მოვიგონოთ კ. მარქსის ცნობილი აზრი მითოლო-

გიაზე: „ბერძნული მითოლოგია შეადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც“[1].

ამრიგად, ქართულ ფოლკლორში გატარებული კრიტიკული აზროვნებისა და ბრძოლის საჭიროების იდეები ხალხური პედაგოგიკის მეორე საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს.

ხალხურ პედაგოგიკას ფილოსოფიური საფუძველი აქვს[2]. გ. ვოლკოვს და ი. ხანბიკოვს ასეთ საფუძვლად სტიქიური მატერიალიზმი მიაჩნიათ. ეს აზრი, ძირითადად, სწორია, მაგრამ ამასთან აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ „თვითეულ ნაციონალურ კულტურაში მოიპოვება, განუვითარებლად მაინც, დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ელემენტები, ვინაიდან თვითეულ ერში არის მშრომელი და ექსპლოატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას“[3].

ამის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ხალხური ფილოსოფია სტიქიურ მატერიალიზმს გარდა, „დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის“ ელემენტებსაც შეიცავს, და ცხადია ხალხური პედაგოგიკაც ამ ელემენტების შემცველი უნდა იყოს.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ხალხური აზროვნება გულუბრყვილო დიალექტიკურ აზროვნებას შეიცავს.

ხალხური სტიქიური მატერიალისტური თვალსაზრისი, რომელიც გულუბრყვილო დიალექტიკურ შეხედულებებს შეიცავს და მშრომელი მასების დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას ემყარება, ხალხური პედაგოგიკის მესამე საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ.

უძველეს ხალხურ შეხედულებებში ჩვენ ვხედავთ შეხედულებებს სამყაროს მთლიანობის შესახებ. ჯერ საჭიროა აღინიშნოს, რომ მითოლოგიურ თქმულებაში „ამირანი“, აკად. შ. ნუცუბიძემ დაინახა ხალხური გააზრებანი სამყაროს საწყისსა და ელემენტებზე. „ამირანში“, — წერს შ. ნუცუბიძე, — წყალი „წარმოდგენილია როგორც“ ქვეყნის საწყისი. „ამირანის“ მიხედვით „მსოფლიოს წესი და წონასწორობა დამყარებულია ეგრეთ წოდებული ჯამების დაწყობაზე, რაც წარმოადგენს მსოფლიო ან ზეციურ მნათობთა დასაყრდენს. ეს

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 296.

[2] Г. Виноградов. Народная педагогика, გვ. 9—10.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20. 1951, გვ. 10.

ჯამები იმთავითვე ს ვ ე ლ ი ა, რითაც მტკიცდება მათი კავშირი წყალთან, მაგრამ თანდათან შრებიან და მათ გაშრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული". „ჯამების განლაგების წესი აგრეთვე გარკვეულია და ამაზეა დამყარებული მსოფლიო სტატიკა, ე. ი. სიმშვიდე. თუ ეს განლაგების წესი დაირღვა, მაშინ მსოფლიო ჯამების ქარიშხალი დგება. ტრიალებენ რა სივრცეში", „მთელს მსოფლიოში თან მიაქვთ ამბავი ყოველგვარი მოვლენების შესახებ"[1].

ამირანი ცისმპყრობელი ღვთაების ქალიშვილის — ყამარის მოსატაცებლად მივიდა. ყამარმა თანხმობა განუცხადა მას, მაგრამ თან ასეთი დავალება მისცა: მე ამ ჯამებს გავაშრობ და შენ ფრთხილად დაალაგეო. ამირანმა ეს დავალება ვერ შეასრულა, რადგან დადებდა თუ არა თავის ადგილზე ერთ ჯამს, ის ისევ გადაბრუნდებოდა. ამირანი გაცხარდა, ფეხი დაჭრა მას და გატეხა. ამის შემდეგ ჯამები დატრიალდნენ და „სივრცეში და მთელ მსოფლიოში გაიბნენ", რითაც ყამარის მოტაცების ამბავი გამქღავნდა. „ასე აისახა მითოლოგიურ პოემა „ამირანიანში" მსოფლიო ელემენტთა მოძრაობა". „ჯამები მსოფლიო კოსმიური ელემენტებია, მასზე არის დამყარებული პლანეტები, ხოლო პლანეტები განსაზღვრავენ მსოფლიოს ბედს"[2]. ასეთია მსოფლიოს ელემენტთა ერთგვარი კავშირი, რაც მიგვითითებს ხალხის აზრზე მსოფლიოში რაღაცნაირი მთლიანობის არსებობაზე. ამასთანაა დაკავშირებული შ. ნუცუბიძის აზრი იმის შესახებ, რომ „ამირანში" ხალხს შეგნებული აქვს „ერთისა" და „მრავალის" არსებობა. ნუცუბიძე წერს: „ამირანი" როგორღაც მაინც აერთიანებდა როგორც „ერთს", ისე „მრავალს", რომ აქ „ერთი" და „მრავალი" უკვე უახლოვდებიან ისეთი სახით გამოვლენას, როცა ერთისა და იმავე მოვლენის ორი მხარე ვლინდება"[3].

ქართული ფოლკლორის სხვა ნიმუშებმა იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ, ხალხის წარმოდგენით, სამყაროში მთლიანობა უფრო სრული სახითაც არის წარმოდგენილი. გარკვეულია, რომ ლექსში „მზე და მთვარე", ცის სხეულები და ადამიანი ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან („მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი, მოციმციმე ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი"). სხვა ნაწარმოებებში კი სამყაროს მთლიანობა უფრო სრულადაც გვხვდება. აი რამდენიმე მათგანი: ერთი ზღაპრის მიხედვით, ფრინველები, ცხოველები, წყალი და ადამიანი მტკიცე კავშირში არიან ერთმანეთთან და საერთო ინტერესებით ცხოვრობენ: ქარმა ბეჭი ჩაუგდო თვალში მეც-

---

1 შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ფილოსოფიის ისტორია, 1, 1956, გვ. 49.
2-3 იქვე, გვ. 49—50, 59.

ხვარეს. მეცხვარეს სამი სიძე ჰყავდა: „ფრინველთ ხელმწიფე, ზღვათ-ხელმწიფე და ნადირთხელმწიფე“. ყოველი მათგანი ერთსულოვნად ჩაება სიმამრის გადარჩენის საქმეში და იხსნეს („რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები“, 1958, გვ 331—332). როგორც ვხედავთ, ხალხის აზრით, აქ შეთანხმებით მოქმედებენ დედამიწისა და ცისა-თვის დამახასიათებელი საგნებისა და მოვლენების: (ღრუბლის, ფრინ-ველთა, ნადირთა) მეთაურები (ხელმწიფეები, რაც ყველა საგანს მოი-ცავს. ისიც საყურადღებოა, რომ აქ ღრუბელი, ნადირი და ფრინველი ადამიანს ემსახურება. საგნებისა და მოვლენების ასეთი ერთიანობა და მათი ადამიანისათვის თავდადება მრავალ სხვა ნაწარმოებშიც ჩანს. ზღაპარში „ვაშლა“ არწივი და ეშმაკი ღრუბლის სიძეებია. ერთხელ ზღაპრის მთავარი პერსონაჟი ვაშლა ნაკუწ-ნაკუწებად აქცია მტერმა. ამის გამო ღრუბლის, არწივისა და ეშმაკის ჰიქის წყალი სისხლად იქცა. ამით ღრუბელმა ვაშლას უბედურება გაიგო, ეს თავის სიძეებს შეატყობინა, და ვაშლა გადაარჩინეს („ხალხური სიტყვიერება“, V, 1956, გვ. 33—38).

სამყაროს საგნებისა და მოვლენების ერთიანობა სხვა სახითაც გვხვდება ფოლკლორში. ერთი ზღაპრის მიხედვით, ციური სხეულე-ბი და ფრინველები თავიანთ საუკეთესო თვისებებს დაანათლავენ ახალდაბადებულ ბავშვს. მაგალითად, მზე — თავის ბრწყინვალებას, მთვარე — სიბადრეს, ყორანი — თავისი თვალწარბის სიშავეს.

ხალხის აზრს სამყაროს საგნებისა და მოვლენების ერთიანობის შესახებ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის პედაგოგიურ შეხედულებათა შემუშავებისათვის.

თუ „ამირანში“ სამყაროს მთლიანობის ელემენტები ჩანს, ფოლ-კლორის სხვა ნიმუშებში, როგორც ვნახეთ, თვით მთლიანობაა წარ-მოდგენილი. ამას კი ორმხრივი მნიშვნელობა აქვს: ერთი მხრივ, ეს იმა-ზე მიგვითითებს, რომ ხალხის აზროვნება წინ წასულა, ახალ საფეხუ-რამდე ამაღლებულა. მეორე მხრივ, საფიქრებელია, რომ ეს ნაწარ-მოებები „ამირანის“ შემდეგ არის შექმნილი, რასაც გარკვეული მნიშ-ვნელობა აქვს ქართული კულტურის, აზროვნებისა და, კერძოდ, ფოლ-კლორის ისტორიისათვის.

ბუნება მთლიანია, მაგრამ ეს აბსოლუტურ მთლიანობას არ ნიშ-ნავს: ამ მთლიანობის ნაწილებს შორის დიალექტიკური წინააღმდე-გობა და ბრძოლაა. როგორც ვიცით, ხალხის წარმოდგენით, სამყა-როში არსებულ ორ მთავარ, „კეთილ“ და „ბოროტ“ ძალებს შორის ხომ მუდმივი ბრძოლა იყო. ხალხის აზრით, ასევე ყოველ ცალკეულ საგანსა და მოვლენაში ერთიმეორის საწინააღმდეგო თვისებებია.

ამრიგად, ბუნებასა და საზოგადოებაში, ერთმანეთის საწი-

ნააღმდეგო ნიშან-თვისებებია, რომელთა შორის ბრძოლა წარმოეპს, რაც საგანთა და მოვლენათა განვითარების სტიმულია.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ხალხური აღზრდისათვის „თეორიისა“ და პრაქტიკის ერთმანეთთან შერწყმაც არის დამახასიათებელი. გარკვევით შეიძლება ითქვას რევოლუციამდელი პედაგოგიკის მოწინავე კლასიკოსებთანაც კი, რომლებიც თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირებას ცდილობდნენ, ასეთი მტკიცე კავშირი არ ჩანს, რაც ხალხური პედაგოგიკის სასარგებლოდ მეტყველებს.

აზრი, რომ სამყარო მთლიანია, ხოლო მის ნაწილებსა და ცალკეულ საგანსა და მოვლენაში არსებული შინაგანი წინააღმდეგობა და ბრძოლა განვითარების სტიმულია; რომ ადამიანის განვითარებაში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს „თეორიისა“ და პრაქტიკის უშუალო კავშირი ასრულებს, ხალხური პედაგოგიკის მეოთხე საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ.

ხალხური აღზრდის მიზანი და ამოცანები

ამჟამად გარკვეულია, რომ ხალხური აღზრდის მიზანი ხალხისათვის თავდადებული, მისი ინტერესებისათვის მებრძოლი და მშრომელი ადამიანის მომზადებაა. ეს მიზანდასახულობა თავიდან ბოლომდე გასდევს ხალხურ აღზრდას. მაგრამ ამასთან ვიცით, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ცალკეულ პერიოდებზე ყოველთვის კონკრეტული მიზან-ამოცანები იდგა, რაზედაც აღზრდას უნდა ეპასუხნა, სწორედ მას უნდა გამოეწვრთნა ცხოვრებისათვის მზადმყოფი, ვარგისიანი პიროვნება. ასეთი მზადყოფნა აუცილებელია, რადგან სწორედ ვარგისიან ადამიანს შეუძლია ცხოვრებას ემსახუროს:

„კარგს ყმას შეჰყვარდი, ქალაო,—
ნუ— სახლსა ცხვარბევრისასა, —
ბევრი ცხვარი და ქონება
მუხლს მოაქვს კარგის ყმისასა“ (ფშაური ლექსები დ. ხიზანიშვილის
მიერ შეკრებილი, 1897, გვ. 150).

ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ადამიანის სათანადო მომზადებით შეიძლება. მომზადება კი ცხოვრების წინააღმდეგობათა დაძლევის პროცესში უნდა წარმოებდეს — „რკინა იწრთობა ცეცხლითა, კაცი კი, გაჭირვებითა“-ო. რადგან ცხოვრების წინააღმდეგობანი მრავალმხრივია, ამიტომ ადამიანის მრავალმხრივი განვითარებაა საჭირო.

საერთოდ ხალხი მოითხოვს მთლიანი, ჰარმონიული ადამიანის

აღზრდას. ერთ ნაწარმოებში ნათქვამია — „სული და ხორცი ამხანაგები არიანო“. ეს ჰარმონიულობა ადამიანის აღზრდის საფუძველია და მკაცრად უპირისპირდება საეკლესიო აღზრდის პრინციპებს, რომლის მიხედვით ადამიანის სხეული სულის საპყრობილედ იყო აღიარებული.

გამოთქმა „სული და ხორცი ამხანაგები არიანო“, — სწორედ სულიერ და ფიზიკურ ძალთა ჰარმონიულ განვითარებას გულისხმობს. საყურადღებოა, რომ პირველად სული იხსენიება, რაშიც ადამიანის, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური მხარეებია გათვალისწინებული. იმის მიუხედავად, რომ განვითარების პირველ საფეხურებზე, ტექნიკური ჩამორჩენილობის გამო, ფიზიკური ძალა წინააღმდეგობებთან ბრძოლის მთავარი საშუალება იყო, ხალხს მხედველობიდან არ რჩებოდა ადამიანის გონიერების უდიდესი როლი, თვით ფიზიკური ძალის გამოყენებაშიც კი. ამიტომ ხალხურ აღზრდაშიც გონებრივი აღზრდა-განვითარება საპატიო ადგილად ითვლება და ასედაც უნდა იქნეს ის მიჩნეული აღზრდის სხვა მხარეებთან ერთად. ამიტომ მიაჩნია ხალხს სული და ხორცი ამხანაგებად. ამის მიხედვით, ხალხის საერთო მიზნად და ადგილად ჰარმონიული ადამიანის მომზადება უნდა ჩაითვალოს.

მეორე თავი

გონებრივი აღზრდის ზოგიერთი საკითხი

ხალხის შეხედულებებს გონებრივ აღზრდაზე აქ ორ ნაწილად ვყოფთ: 1. გონებრივი შრომა და მისი მნიშვნელობა და 2. ცოდნის არსი და გადაცემის საშუალებები (დიდაქტიკა).

1. გონებრივ ძალთა აღზრდა-განვითარებისათვის საჭირო იყო გარემოს თანდათანობითი შემეცნება. განვითარების პირველ საფეხურებზე ადამიანი ბუნების მოვლენებს თვლიდა თავისთავზე უფრო გონიერად და მასწავლებლადაც კი, შემდეგ ეს თვალსაზრისი შეიცვალა. ამ თვალსაზრისის მომდევნო საფეხურად შეიძლება მივიჩნიოთ თითქმის ყველა ხალხის რწმენა, ცხოველის ადამიანად და ადამიანის ბუნების მოვლენად ან ცხოველად გადაქცევის შესახებ. მაგ., ერთი ზღაპრის მიხედვით ძაღლი მონადირედ გადაიქცა, ირემი ბებრად („რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები“, ელ. ვირსალაძის რედ., 1958, გვ. 65, 185). განვითარების ამ საფეხურზე, ხალხის აზრით, ადამიანი არა მხოლოდ თვითონ ექცევა ბუნების მოვლენის ტყვეობაში და ღებულობს ბუნების მოვლენის სახეს, არამედ ცდილობს — თვითონაც დაიმსგავსოს ბუნების მოვლე-

ნა, ე. ი. მასაც მიაღებინოს ადამიანის სახე. სხვა საგნად ქცევის რწმენა მსოფლიო მოვლენა იყო და მას არა ერთი მეცნიერი შეხებია[1].

ჩვენს ხალხში ეს რწმენა ისე მტკიცე ყოფილა, რომ შესწავლის ობიექტადაც კი უცვნიათ. როგორც ირკვევა, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ამავე საფეხურზე დამრიგებელ-მასწავლებლად, ცხოველებთან ერთად, ადამიანებიც გვხვდებიან: ერთი ზღაპრის მიხედვით, „ცხენია ბიჭის დამრიგებელ-მასწავლებელი". მან შეამჩნია, რომ თავის მხედარს — ბიჭს მტერი ეწეოდა და ასწავლა: კაჟი გადააგდე და სალი კლდე აღიმართებაო. ბიჭი ასეც მოიქცა, რის შედეგად მდევნელი შეფერხდა. მაგრამ ცოტი ხნის შემდეგ კვლავ კრიზისული მომენტი დადგა — მტერი კვლავ დაწევას ლამობდა და მეორე დარიგება მისცა ცხენმა ბიჭს — კვერი გადააგდე, რკინის კლდე აღიმართება და მტერს ისევ ხელი შეეშლებაო და ა. შ. მაგრამ ამავე ზღაპარში მზეთუნახავი ქალიც არის დამრიგებელ-მასწავლებლად გამოყვანილი. სწორედ მისი დარიგებისამებრ შეჯდა რაშზე ის ბიჭი და თავი გადაირჩინა.

უფრო გვიან ხალხის თვალსაზრისით, ადამიანი ბუნების მოვლენებზე უფრო მაღლაც დგება. არსებობს თქმულებები, რომელთა მიხედვით ის საკულტო ობიექტებზეც — ელიასა და მზეზე ძლიერად არის მიჩნეული. ზოგიერთი ნაწარმოების თანახმად, ადამიანი გონიერებით, ხალხის იმდროინდელი გაგებით, — ბრძენ ქაჯსაც კი სძლევს[2].

ამრიგად, ადამიანის აზროვნებამ რამდენიმე საფეხური განვლო, კერძოდ, სწავლა-დარიგების თვალსაზრისით. ვნახეთ, რომ ეს პროცესი ადამიანის მიერ თავისთავისა და ბუნების ძალების შემეცნების შედეგი იყო: როცა ბუნებას ცნობდა თავის ბატონად, ის დამრიგებელ-მასწავლებლადაც მიაჩნდა, როცა თავისთავი ჩათვალა ბუნების თანასწორად (წარმოიდგინა, რომ ადამიანი შეიძლება ბუნების მოვლენად გადაიქცეს), მაშინ ცხოველებთან ერთად, თავისთავიც გამოიყვანა დამრიგებელ-მასწავლებლად. შემდეგ საფეხურზე კი — როცა თავისი გონიერების უპირატესობაში დარწმუნდა, ცხოველებთან შედარებით, სავსებით უკუაგდო აზრი ცხოველთა დამრიგებლობა-მასწავლებლობის შესახებ და თავისთავში დაინახა ეს აღმზრდე-

---

[1] Л. Леви-Брюль. Первобытное мышление. Перевод с французского под ред. проф. В. К. Никольского, А. В. Киссина, 1930, გვ. 6—67, Е. М. Мелетинский, Герой волшебной сказки, 1958, გვ. 190—193.

[2] საქართველოს სსრ ხალხური შემოქმედების სახლის არქივი, საინვენტარო, 133, № 3002. შემდეგ გვერდებზე ასე მიუთითებთ: ხ. შ.ს.ა., ფონდი და ნომერი.

[3] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ლიტ. ინსტ. ფოლკლორის არქივი № 31, 360, შემდეგ გვერდებზე მითითებული იქნება ასე: ფ. ა. და ნომერი.

ლობითი ძალა. ასეთ ვითარებაში ყალიბდებოდა ხალხური პედაგოგიური შეხედულებები.

* * *

სამყაროს მთლიანობის გაგების საჭიროებამ მთელი ბუნების შესწავლა გახადა აუცილებელი. აქედან მკაფიოდ ჩანს ცოდნის დიდი წყურვილი და მისი მაღალი შეფასება. მაგალითად, ზღაპარში „ამბავი ქალისა და ვაჟისა“ (ჟურ. „ჯეჯილი“, 1890, № 5 გვ. 22—23) ნაჩვენებია, თუ როგორ სჯის მეფის ცამეტი წლის ასული იმ ახალგაზრდებს უცოდინარობის გამო, — რომლებიც მის კითხვებს ვერ პასუხობენ. მაგრამ აი, გამოჩნდა ახალგაზრდა, რომელსაც ფილოსოფიური სკოლა ჰქონდა დამთავრებული. მან ცხოვრების დიდი ცოდნა გამოამჟღავნა, რითაც მეფის ასულის ქმრობა დაიმსახურა. ცოდნის ასეთივე დაფასება რეალური ცხოვრების ამსახველი არქეოლოგიური ძეგლებითაც მტკიცდება. საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგი სწორედ ამას ამტკიცებს. ეს საერთო მოვლენა იყო. როგორც ვიცით, უძველესი დროის ქვის გამოქვაბულებში ნახულია სამუშაო იარაღები და სხვადასხვა სახის ჭურჭლეულობა. ცხადია, რომ იარაღებისა და სხვა სახის ნივთების არსებობა მათი გამოყენების სწავლებასაც გულისხმობს. შემდეგ პერიოდებში კი მეცხოველეობის, მიწათმოქმედებისა და მეურნეობის ზოგიერთი სხვა დარგის დაწინაურებამ, კიდევ უფრო წინ წასწია ადამიანის პედაგოგიური საქმიანობა. ამის დამამტკიცებელია ხალხის მხატვრული ნააზრევიც, რომელშიც თუმცა უსისტემოს, მოუწესრიგებელს, მაგრამ მაინც დიდ ცოდნას ვხედავთ, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების დასაწყისიდანვე ემსახურებოდა ბავშვთა ცნობიერების გამდიდრებას, გონებრივ განვითარებას. საგულისხმოა, რომ ცოდნის მნიშვნელობის დაფასება სხვა ხალხთა ფოლკლორშიც ჩანს, აზერბაიჯანულ ფოლკლორში გავრცელებულია გამოთქმა — „Лошадь ценится по резвостью, человек — по знанием“ („Азербайджанские пословицы и поговорки, 1950, გვ. 84); იაპონურ ფოლკლორში ასეთი გამოთქმაა — „Человек без знаний что бревно или камень“ („Японские пословицы и поговорки“, 1959, გვ. 32) და ა. შ.

მაგრამ პირველ რიგში, თვით ცხოვრების ცოდნაა საჭირო, რადგან ადამიანს სწორედ ცხოვრება ცდის, სწორედ ის გვიჩვენებს მის მზადყოფნას — „კარგ ბედაურს გზა გამოაჩენსო“. ამიტომ ხალხის აზრით, ცოდნის დაუფლების პროცესი ცხოვრებასთან მტკიცე კავშირში უნდა იყოს. აი „ზღაპარი არაბზანგინისა“: მასწავლებელი ხელმწიფის ვაჟს საგანგებოდ აგებულ ბნელ სახლში ასწავლის. ცხოვ-

რებისავან ასე მოწყვეტილად აღზრდის შედეგად ამ ვაჟს ცხოვრების არაფერი გაეგებოდა და როცა შემთხვევით მზის სხივები დაინახა, გაოცდა და ბრძოლა დაუწყო. მაგრამ, როცა ბუნება გააცნეს და ხალხში გამოვიდა, ცხოვრების ფერხულში ჩაება, შეიცვალა: ფიზიკურადაც და სულიერადაც ძლიერ ადამიანად იქცა („რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები", 1958, გვ. 342—349). ამრიგად, ამ ზღაპარში ხაზგასმულია, რომ ადამიანის სწორად ფორმირება მხოლოდ ცხოვრებაში ხდება. ამავე აზრს ვხედავთ მრავალ სხვა სახის ხალხურ ზღაპარშიც. ხალხის აზრით, სწორედ ცხოვრებისეული სიბრძნით შეიარაღებული ადამიანები ანგრევენ ძველ ცხოვრებას, საფუძველს აცლიან ძველ მავნე რწმენას და წესებს. ამის ნათელსაყოფად ხალხი საშინელ კრიზისულ მდგომარეობაში ჩააყენებს გმირს, გადაალაბვინებს წინააღმდეგობებს და ამით გვანიშნებს, რომ გამარჯვება მას რჩება, ვინც ცხოვრებისეული ცოდნა-გამოცდილებითაა შეიარაღებული; ვინც მოხერხებულად გამოიყენებს ამ უკანასკნელს, აქტიურობას გამოიჩენს წინააღმდეგობათა დაძლევის პროცესში, იქნება ფხიზელი. აი ერთერთ ზღაპარში, რომელიც საქართველოს სსრ ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება და რომელშიც ნათქვამია — მზეს კაცი მოეკლა — „როგორ თუ შენ" მომასწარი ადგომაო. მაგრამ მთლიანად მაინც ვერ მოკლაო, — ამბობს ხალხი: მხოლოდ დღით ჩამოიცილა მან ეს მოწინააღმდეგეო. ასე რომ, აქ, ღმერთთან ბრძოლაშიც სანახევროდ გამარჯვებული გამოდის აქტიური, სიცოცხლისუნარიანი ადამიანი. აქტიურობა ზნეობრივი ქცევის კატეგორიას განეკუთვნება. მაგრამ ამა თუ იმ ქცევის აუცილებლობა სწორედ გონებამ უნდა დაამტკიცოს და ამ ქცევის საჭიროებასა, თუ მიუღებლობაზეც მანვე უნდა მიუთითოს. ამ ზღაპარს პედაგოგიური შინაარსი აქვს. ადამიანის ქცევას აქაც შეგნება განსაზღვრავს. ასეთივე მდგომარეობაა ზემოთ მოხსენებულ ზღაპარში „მზის ქალი", სადაც მზის სიძის აშკარა ბრძოლას ვხედავთ ღვთაების წინააღმდეგ. ისიც საგულისხმოა, რომ მზე პასუხსაც არ სცემს ამ მებრძოლს. საფიქრებელია— „მზის ქალი" ცნობიერების განვითარების იმ საფეხურზე შეიქმნა, როცა მზეს, როგორც ღვთაებას, ძალა ეკარგებოდა.

აქტიურობა, ხალხის სწორი გააზრებით, პრინციპულ მოქმედებას, გონებრივი მოძრაობის განვითარებას გულისხმობს. ეს აუცილებელია, რადგან ადამიანი, ხშირად, გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება. მას უპირისპირდებიან ბუნების ძალები და თვით ადამიანიც. ცხოვრება დაუცხრომელი ბრძოლის, წინააღმდეგობის, დამარცხებისა და გამარჯვების ვრცელ პროცედურას წარმოადგენს. ამიტომ ადამიანი ხიფათსაც უნდა ელოდეს ამა თუ იმ საქმიანობის შესრულების დროს.

ხალხი მართებულად ფიქრობს — მარცხი სწორედ მოქმედების პროცესშია მოსალოდნელი, რადგან ვინც რაიმეს აკეთებს, სწორედ მას ხვდება წინააღმდეგობაო: „წყალმა თქვაო: ვინც ცურვა არ იცის, იმას რავა ვქნა, თვარა მცურავი ხომ ჩემ ხელშიაო“ (ფ. ა. № 16738). იგულისხმება — ვინც ცურვა არ იცის, არც წყალს მიენდობა და, ცხადია, მას არც საფრთხე მოელის. მაგრამ საერთოდ, ცხოვრების სილამაზე ბრძოლაშია, თუმცა ამ სილამაზეს ხიფათიც მოსდევსო, ფიქრობს ხალხი.

ყველა შემთხვევაში გადამწყვეტი ცოდნა და გონიერებაა. მაგრამ ხალხი ისტორიულად ათვისებულ ცოდნასაც, წინაპართა მემკვიდრეობასაც ყურადღებით ეკიდება. ავიღოთ „ზღაპარი ხელმწიფისა, რომელსაც სიკვდილი სანატრელი გაუხდა“ („რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები“, 1958, გვ. 172—178). ხელმწიფემ შვილები საკვირველი საგნის საპოვნელად და მოსატანად გაგზავნა. მათ გზაში ნახეს კაცის გამხმარი თავი, რომელმაც ხელმწიფის უმცროსი შვილი დაარიგა: ....მაგ ცხენითა საკვირველს ვერ მოიტანო. მამაშენს ერთი თექვსმეტი წლის დაბმული რაში ყავს და იმით წადი საკვირველის საძებნელადო.

გამხმარი თავის სახით უნდა წარმოვიდგინოთ გარდასულ თაობათა ცოდნა-გამოცდილება, რომელიც „წიგნის“ როლს ასრულებს ამ ზღაპარში, წიგნისა, რომელშიც ამქვეყნიური გამოცდილებაა, სიბრძნეა. ეს გამხმარი თავი ისტორიული სულიერი კულტურის ალეგორია იყო. ის თვითონვე შეიცავდა წინაპართა ცოდნა-გამოცდილებას და დამრიგებელ-მასწავლებლის როლსაც ასრულებდა. უკეთესი მობავლის შესაქმნელად საჭიროა განათლება და ცოდნაო, — ასეთია, ხალხის აზრი და ეს გასაგებიცაა: ის ბრძოლის იარაღსაც ხედავდა სწავლა-განათლებაში.

ამრიგად, საზოგადოების ისტორიული კულტურა, დაგროვილი ცოდნა-გამოცდილება და აზროვნება მომავალი თაობის გამარჯვების საწინდარია, ახლის ძიების გრძელ გზაზე. ეს ზღაპარი ნათლად მიუთითებს — ახალი თაობა ანგარიშს უნდა უწევდეს და იყენებდეს წინაპართა ცოდნა-გამოცდილებას.

ხალხი ცოდნა-განათლებაში თავისუფლების ერთ-ერთ ხელის შემწყობ პირობასაც ხედავს. აღწერს რა, რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდგომდროინდელ მდგომარეობას, თავის მისწრაფებებსაც გამოხატავს ცოდნის დასაუფლებლად:

„წინათ ვიყავ გენაცვალე,
უსწავლელი გაგრიაო,
ამის გამო ჩემი თავი
ბევრსაც დაუჩაგრიაო“.

ამავე ლექსის სხვა ნაწილში ახალგაზრდობისადმი ასეთი მოწოდებაც არის: უმაღლესს რომ დაამთავრებ, შემდეგ სოფლის მოსახლეობის კულტურული ამაღლების საქმეს მოემსახურეო („ჩაატარე ამ სოფელში თეატრი და კონცერტი"-ო ფ. ა. კოლექცია, XXII, გვ. 149—150).

ირკვევა, რომ ჩვენი დროის ფოლკლორში განათლების, თითქმის, ყველა საფეხურია გათვალისწინებული (დაწყებითი სკოლიდან უმაღლესი სკოლის ჩათვლით), რაც ხალხური პედაგოგიური აზროვნების მაღალ საფეხურზე მეტყველებს.

ხალხური აღზრდის იდეებთან შეუთავსებელია სქოლასტიკური სწავლება, — ფოლკლორის მიხედვით, სწავლა-აღზრდა საზოგადოებრივი ცხოვრების, საწარმოო ძალების განვითარებას ითვალისწინებს.

ხალხური იდეების მიხედვით, გონებრივი აღზრდა გაუთიშავია ზნეობრივი, შრომითი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდისაგან.

ხალხური გონებრივი აღზრდა უმთავრესად რეალიზმის პრინციპს ემყარება და თავისი შინაარსით უტილიტარულია.

კითხვა ისმის — რა საშუალებებით, რა გზით და რა მოსაზრებებზე დამყარებით ახერხებდა ხალხი თავისი მოწინავე გმირების ფორმირებას. პასუხს ამ კითხვაზე ხალხური დიდაქტიკა გაგვცემს, მაგრამ ვიდრე უშუალოდ მასზე შევჩერდებოდეთ, ხალხურ შრომით და პროფესიულ აღზრდას უნდა გავეცნოთ, რომლებიც, ძირითადად, გონებრივი აღზრდის სფეროს განეკუთვნება, რამდენადაც პროფესიული ცოდნის დაუფლებას გულისხმობს და, ცხადია, ამდენად დიდაქტიკის კანონებთანაც აქვს საქმე.

მესამე თავი

შრომითი და პროფესიული აღზრდის საკითხები

ამ საკითხთან დაკავშირებით, ქართულ ხალხურ მხატვრულ აზროვნებაში ორი უმთავრესი მომენტი შეიძლება გავარჩიოთ: ა. შრომა და მისი მნიშვნელობა აღზრდისათვის და ბ. პროფესია და პროფესიული აღზრდა.

შრომას აქ ვეხებით, როგორც ადამიანის არსებობის საფუძველს, როგორც ბუნებასთან მისი კავშირის საშუალებას: „შრომა არის, უწინარეს ყოვლისა, პროცესი ადამიანსა და ბუნებას შორის, პროცესი, რომელშიც ადამიანი თავისი საკუთარი მოქმედებით მოსაშუალეობს,

აწესრიგებს და კონტროლს უწევს ნივთიერებათა ცვლას თავისსა და ბუნებას შორის. ბუნების ნივთიერებას თვით ადამიანი უპირისპირდება როგორც ბუნების ძალა. მას მოძრაობაში მოჰყავს თავისი სხეულის ბუნებრივი ძალები: მკლავები და ფეხები, თავი და ხელი, რათა ბუნების ნივთიერება თავისი საკუთარი არსებობისათვის გამოსადეგ ფორმით მიითვისოს"[1].

ბუნების ნივთიერების ეს მითვისება და მით სარგებლობა, მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლებით, ადამიანის არსებობის საფუძველია. ამიტომ ის ადამიანის ყოველმხრივი განვითარების საფუძველიც არის. ხალხი მას მტკიცედ აკავშირებს ზნეობრივ, გონებრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდასთან.

ჩვენთვის საგანგებო ყურადღების ღირსია ის, რომ შრომა ორგანულადაა დაკავშირებული პროფესიასთან. ეს უკვე შრომის დანაწილებაა, რომელიც, კ. მარქსის აზრით, „წარმოშობს მრავალ სპეციალობას, სპეციალისტებს"[2].

ხალხს თავისი შეხედულებები შეუმუშავებია სხვადასხვა პროფესიულ საქმიანობაზე, ხელობაზე. ფრ. ენგელსის აზრით, ხელობა გვაროვნულ საზოგადოებაში წარმოიშვა, სადაც პირველად მამაკაცისა და დედაკაცის საქმიანობა გამოეყო ერთმანეთს, შემდეგ კი მეცხოველეობა. ენგელსი ამ პროცესს შრომის პირველ დიდ საზოგადოებრივ დანაწილებას უწოდებს. მაგრამ სხვადასხვა ხელობის განვითარება და შრომის დანაწილება ამაზე არ შეჩერებულა. წარმოიშვა მესაქონლეობაც, აღებ-მიცემობაც. გაჩნდნენ ქვის იარაღების ოსტატები, შემდეგ საფეხურზე კი განვითარდა ხელოსნობა; შეიქმნა საფეიქრო დაზგა, დაიწყო ლითონის გამოდნობა. ეს ბარბაროსობის შუა საფეხურია. ხოლო ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე რკინის მახვილი, გუთანი და ცული ჩნდება. ვითარდება ხელოსნობის სხვადასხვა დარგებიც. ამის შემდეგ ხელოსნობა მიწათმოქმედებას გამოეყო და ა. შ.[3].

* * *

საჭიროა გაირკვეს ყველა ის პირობა, რაც მეურნის მომზადებას უწყობდა ხელს. ამიტომ ვიდრე სასწავლო პროცესსა და მის საშუალებებზე ვიმსჯელებთ, ნათელი უნდა გახდეს: ა. მეურნეობის ამა თუ იმ დარგის შინაარსი და მნიშვნელობა; ბ. გარემო, რომელშიც

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, I, 1954. გვ. 227—228.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფილოსოფიის სილატაკე, თბილისი, 1938, გვ. 131.

[3] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, „რჩეული ნაწერები". ტ. II. 1964, გვ. 376—378; 380—381.

ის ვითარდებოდა; გ. მისი წარმოშობის პერიოდი და დ. შესწავლის პირობები.

პირველი მომენტი მეურნეობის ამა თუ იმ დარგის თავისებურებაზე შეგვიქმნის წარმოდგენას, მეორე — მეურნეობის წარმოების ეკონომიურ, რელიგიურ და სხვ. პირობებზე, მესამე იმის შესახებ, თუ რომელ პერიოდში შეიძლებოდა დაწყებულიყო სამეურნეო საქმის სწავლება, ხოლო მეოთხე — იმ ვითარებაზე, რომელშიც სწავლება წარმოებდა.

არქეოლოგიურ აღმოჩენათა საშუალებით ნათელი ხდება, რომ ჩვენს წინაპრებსაც შეუქმნიათ და განუვითარებიათ სხვადასხვა ხელობა, რის საფუძველზე II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის დასაწყისში „მოსახლეობაში უკვე წარმოქმნილია პროფესიონალური ხელოსნობის ფენა"[1].

ზღაპარში, ლეგენდაში, ლექსში, ანდაზაში, თუ ხალხური შემოქმედების სხვა სახეებში, შრომას უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს დათმობილი. ეს გასაგებია, რადგან ხალხს ის არსებობის წყაროდ მიაჩნია. საგულისხმოა გამოთქმა — „მოაკლდეს მძინარესაო, ემატის მღვიძარესაო" („ქართული ანდაზები", შედგენილი თ. სვინტიძის მიერ, გვ. 125). ეს გამოთქმა ზოგადი და სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია — შრომის, როგორც მატერიალურ, ისე სულიერ სარგებლიანობას გულისხმობს (ასეთივე ზოგადი შინაარსისაა გამოთქმაც; „როგორც იშრომებ, ისე იცხოვრებო" — „სწავლა სიბერემდისო"), მაგრამ სხვა ნაწარმოებებში შრომის მნიშვნელობაზე თითოეული მათგანისათვის ცალ-ცალკეა ლაპარაკი. საგულისხმოა ზღაპარი — „მოხუცი დურგალი და მისი რძლები", რომელშიც მითითებულია: მეფის შვილებმაც უნდა იშრომონ ფიზიკურად, მათაც უნდა შეეძლოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს შესრულებაო. თავისი ოჯახიდან დურგალმა სწორედ იმის გამო დაითხოვა რძალი, — ხელმწიფის ქალიშვილი, რომ მან ლაპარაკიც კი არ იკადრა ყანის შესახებ, ე. ი. ყურადღების ღირსადაც არ ცნო ის. ცხადია, მას არ შეეძლო შრომაც, რადგან არ ჰქონდა სათანადო ჩვევები („რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები", 1958, გვ. 261—262). ხალხი, ფიზიკურ შრომასთან ერთად, გონებრივ შრომასაც დიდ ყურადღებას აქცევს. ეს დადასტურებულია იმ ნაწარმოებებით, რომლებიც ფიზიკური შრომის პროცესში გვიჩვენებენ გონიერებას და აზროვნებას: „ბარში გაიავ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 24.

და სახნავი, ახლა ლექსობის ხანია“-ო, ნათქვამია ერთ ლექსში (ა. შანიძე, „ქართული ხალხური პოეზია“, 1931, გვ. 240). აქ გონებრივი შრომაც იგულისხმება (ლექსების შეთხზვა და თქმა). ხალხურ შემოქმედებაში შრომას სხვა მხრივაც ენიჭება მნიშვნელობა არა მხოლოდ პიროვნების, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

ეს ყველა ხალხის თვალსაზრისია. მაგალითად, საგულისხმოა ლიტეური ზღაპარი, რომლის მიხედვით, უსაქმურობა ადამიანის გაუტანლობას იწვევს. სულ ძველად უშრომლად ცხოვრობდნენ მხეცები და ფრინველები. უსაქმურობისა და მოწყენილობის გამო ხშირად ჩხუბობდნენ და ამიტომ გადაწყვიტეს ეშრომათო. ზღაპარში შრომის დადებით შედეგებზეა ყურადღება გამახვილებული. („საბჭოთა ხალხის ზღაპრები“, 1970, მინსკი, გვ. 75—76).

ამრიგად, ხალხური შეხედულებით, შრომა ადამიანთა, როგორც ეკონომიური, ისე სულიერი არსებობის საფუძველია.

* * *

ხალხმა იცის, რომ შრომა ადამიანის საქმიანობაში ვლინდება. ძველ პერიოდებში, როცა ოჯახი წარმოადგენდა აღზრდის უმთავრეს კერას, მოზარდის ამა თუ იმ საქმიანობით დაინტერესებაში გადამწყვეტ როლს მასში შექმნილი შრომითი ატმოსფერო ასრულებდა. სხვადასხვა საქმიანობის, თუ ხელობის ჩასახვა უძველეს პერიოდში კარგადაა ასახული ჩვენს ჯადოსნურ ზღაპრებსა და მითოლოგიურ ნაწარმოებებში, რაც არქეოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება. საყურადღებოა, კერძოდ, სამთავროს ყორღანულ სამარხში აღმოჩენილი ადრეული. შუა ტა გვიან ბრინჯაოს ხანის მრავალი ხელობისა თუ საქმიანობის ნაშთები (ტ. ჩუბინიშვილი, სამთავროს ყორღანული სამარხი, № 243 — „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, I, 1955, გვ. 5—24). საერთოდ ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულის დასაწყისიდან ქართველებმა შექმნეს და განავითარეს სხვადასხვა ხელობა, რის შედეგად შეიქმნა „პროფესიონალური ხელოსნების ფენა“ და ხელოსნობა ჭიწაკოქმედებას გამოეყო. („საქართველოს ისტორია“, 1958, გვ. 19,23—24).

ქართველები ყოველთვის დიდად აფასებდნენ ხელობას და დიდ ინტერესს იჩენდნენ ახალგაზრდობის ასეთი ცოდნით შეიარაღებისადმი. ხალხის აზრით, ყოველი ხელობაა საჭირო. ეს კარგად ჩანს ზღაპარში „სიზმარა“ („აკაკის თვიური კრებული“, 1893, № 6, განყ. 3. გვ. 29—37), რომლის მიხედვით სიზმარამ მზეთუნახავის მოტაცებაში დასახმარებლად სხვადასხვა ხელობის მცოდნე ადამიანები დაიძმობილა. თვითოეულმა მათგანმა მას თავისი ხელობით გაუწია მეგობ-

რული დახმარება. საყურადღებოა, რომ ასეთივე ზღაპარი აქვთ აგრეთვე, უკრაინელებს, სათაურით „მფრინავი ხომალდი“ („Сказки народов СССР“, 1938, გვ. 43—51). აქ ახალგაზრდას მეფის სიძედ გახდომაში ეხმარებიან: მოყურადე, მსწრაფმავალი კაცი და რამდენიმე სხვა ხელობის წარმომადგენელი. ეს იმიტომ, რომ მეფემ გამოაცხადა, ჩემს ქალიშვილს იმას მივათხოვებ, ვინც ისეთ ხომალდს ააგებს, რომელსაც ფრენა შეეძლებაო და ა. შ. მოყურადე იმაში დაეხმარა ამ ახალგაზრდას, რომ ის ისმენდა ყველაფერ იმას, რაც გამარჯვებისათვის იყო საჭირო, სწრაფმავალი იმაში, რომ „უკვდავების წყალი“ მოუტანა; მსროლელმა კი ისარი გაისროლა, რომელმაც მსწრაფმავალი გააღვიძა, რათა მას „უკვდავების წყალი“ მოეტანა და ა. შ. ხალხის მიზანი ერთია — თვალსაჩინო გახადოს, რომ სხვადასხვა ხელობის ცოდნა აუცილებელია. ამასთან, მისი აზრით, ხშირად ერთი და იმავე მიზნის მისაღწევად სხვადასხვა ხელობის მცოდნეთა შეკავშირება და კოლექტიური მოქმედებაა საჭირო.

ზოგიერთი ხალხური შეხედულება მიწათმოქმედებაზე

მასალებიდან ჩანს, რომ ჩვენი ხალხი უდიდეს როლს აკუთვნებდა მიწათმოქმედებას არსებობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ხალხის აზრით, მიწათმოქმედი უძლიერესი პიროვნებაა. კერძოდ, ყურადღებას იპყრობს ნაწარმოები — „გუთნის დედის ძალა“, რომლის მიხედვით, გუთნისდედა საბრძოლველად გაიწვია ცეფხვმა, მაგრამ დამარცხდა. პირველმა, მოხერხებით, ხეზე მიაკრა ეს მხეცი და „ჩობახის“ ცემით ნეკნები ჩაუმტვრია, ხოლო შემდეგ უთხრა: „აი, ხომ ნახე ჩემი ძალა, ახლა წაბრძანდი და საცა შენი თქვა, ჩემიც ზედ დაუმატეო“. აქვე ნათქვამია — გუთნისდედა „ყველაზე ღონიერია მთელ მსოფლიოში-ო[1]. მაგრამ მიწათმოქმედება ხომ დიდად არის დამოკიდებული სამეურნეო იარაღებზეც. ამით უნდა აიხსნას, რომ ხალხი სამეურნეო იარაღებს და მათ გამოყენებასაც დიდ ყურადღებას აქცევდა. ეს ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალა შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: 1 ნიჭუშები, რომლებიც შექმნილია სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე და 2. რომლებიც შექმნილია მოსავლის აღებაზე. სასოფლო-სამეურნეო ირაღებიდან გუთანს გადამწყვეტი როლი აქვს მიკუთვნებული.

---

[1] ქართული ხალხური ნოველები ჩაწერა, გამართა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ალ. ღ ლ ო ნ ტ მ ა, თბილისი, 1956, გვ. 130—132.

„ეს ჩვენი მარჯვე გუთანი
ველს მაღლა უბამს ძირსაო“.

და — მის მოხნულ მიწაში რომ პურს დავთესავთ, „ყანას მოგვიყვანს ხშირსაო“. გუთანს უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ერთი ლექსის მიხედვით, ვინც მას უნარიანად გამოიყენებს, „პური ექნება ძველისძველია“ (თ. ბეგიაშვილი, ქართული ფოლკლორი, 1941, გვ. 32).

მაგრამ ხალხმა ისიც იცის, რომ მხოლოდ გუთანი არ კმარა მიწის დასამუშავებლად. ამიტომ იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მიწათმოქმედებაში ღირღიტას, აპეურს, დედანს, ჯამბარას და საერთოდ გუთნეულის მთელ მოწყობილობას („შრომის სიმღერები“, თ. ოქროშიძის წინასიტყვ., 1961, გვ. 21—23, 28).

ქართულ ფოლკლორში ცნობილია სტროფი, რომლის მიხედვით, ჯამბარა წუხს, რომ წვიმა მასზე ცუდად მოქმედებს („წვიმა მოვა დაეგრძელდებიო...“). ხალხი დიდად აფასებს კევრსაც. კევრი უძველესი იარაღია. ცნობილია, რომ ის ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ჰქონიათ ქართველებს[1]. ხალხი დიდ ყურადღებას აქცევს, აგრეთვე, თოხს, ბარს, ვხვდებით ცნობებს ურემზე და მის მნიშვნელობაზეც (ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 246; 253).

შეუძლებელია ამ შეხედულებებს გარკვეული როლი არ შეესრულებინა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. უფროსები ბავშვებს მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ რიტუალებსაც აცნობდნენ. ამრიგად, ცრუმორწმუნეობასაც უნერგავდნენ, მაგრამ მთავარ ყურადღებას მაინც შრომის სიყვარულსა და შრომითი ჩვევების გამომუშავებას აქცევდნენ, რადგან არსებითად ასეთ სწავლებაზე იყო დამოკიდებული ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ახალგაზრდობის ჯეროვანი სწავლება და საერთოდ მიწათმოქმედებისათვის ადამიანის მომზადება. როგორც სხვა საქმიანობის, ისე მიწათმოქმედების სწავლებაც ძირითადად რეალურ მონაცემებს ემყარებოდა.

* * *

მეწისქვილეობის წარმოშობა მემინდვრეობასა და სათანადო მეურნეობის განვითარებასთან იყო დაკავშირებული. აქ საჭიროა ვავიხსენოთ სიტყვა „დოლაბი“. ვ. კოტეტიშვილი ლექსზე — „თაფარაკნელი ჭაბუკი“ მსჯელობისას, მასში მოხსენებულ დოლაბს მითოლოგიასთან, ქვათა თაყვანისცემასთან აკავშირებდა — „ეს დოლაბი —ქვა—ღრუბელთან, ჭექა-ქუხილთან უნდა იყოს დაკავშირებული“-ო („ხალხური პოეზია“, 1961, გვ. 335—336). უძველეს პერიოდს აკუთვნებს დოლაბს, აგრეთვე, ეთნოგრაფი ს. ბედუკაძე, და ამით

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 14.

წისქვილის უძველეს წარმოშობასაც ადასტურებს („წყლით მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში“, 1960, გვ. 84.). საერთოდ კი საქართველოს ისტორია წისქვილის წარმოშობას ნეოლითის ხანასთან აკავშირებს, როცა უკვე არსებულა „ქვის ხელსაფქვავები“ („საქართველოს ისტორია“, I, 1958, გვ. 11). დოლაბის შესახებ ბევრი რამ შეიძლება ითქვას. მაგრამ ეს ჩვენი საკითხის სპეციფიკის საზღვრებს სცილდება და აქ მხოლოდ „დოლაბის“, როგორც წისქვილის ატრიბუტის უძველეს პერიოდებში არსებობაზე აღვნიშნეთ. იმის თქმა ძნელია — იყო თუ არა მეწისქვილეობა იმ უძველეს პერიოდებში, როგორც მიწათმოქმედებიდან გამოყოფილი ხელობა. მთავარი მაინც ის არის, რომ ქართველებს წისქვილის რამდენიმე სახე ჰქონიათ: ხელწისქვილი, წყლის წისქვილი (რომლებიც ჩვენს წელთ აღრიცხვამდელ პერიოდს განეკუთვნება. უფრო ადრინდელი კი პირველი უნდა იყოს) და ქარის წისქვილი. „ეთერიანში“ ნათქვამია — „ქარის წისქვილებ უბრუნავს, მესაფქვავეთა ჰყავს ეთერი“-ო (ალ. ხახანაშვილი — „ქართული სიტყვიერების ისტორია“, 1904, გვ. 33). წყლის წისქვილი გამოცანაშიც იხსენიება — „დათვი სჭამდა, რახრახებდა, მასპინძელი ყურს უგდებდა“ და ა. შ. („ხალხური სიტყვიერების მასალები“, II, გვ. 26). წისქვილზე ხალხმა სხვა ნაწარმოებებიც შექმნა, რომლებიც ერთგვარ სასწავლო მასალას წარმოადგენდა.

* * *

საქართველოში ბავშვის აღზრდა-განვითარება საზოგადოებრივი ცხოვრების დასაწყისიდანვე ისეთ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, რომ ადამიანისათვის მებაღეობისა და მებოსტნეობის ცოდნა აუცილებელი იყო. მეურნეობის ამ დარგებს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მებაღეობა-მებოსტნეობა პირველყოფილ გვაროვნულ საზოგადოებაში ჩაისახა, რაც იმითაც დასტურდება, რომ მასთან მრავალი წარმართული რიტუალია დაკავშირებული. მესხეთ-ჯავახეთში, პროფ. ს. მაკალათიას მოწმობით, წითელ პარასკევს დიდ ცეცხლს დაანთებდნენ, მასზე გოგო-ბიჭები ხტებოდნენ და გაიძახოდნენ: „ალული კუდიანებსაო, ჭიაჭუა გავყაროთო, ვარდი კონა გადმოვყაროთო, ალული ეშმაკებსაო“. დილით კი „უძრახი დედაკაცი“ ადგებოდა და ჭიაკოკონისაგან დარჩენილი ნაცრის მცირე ნაწილს „საქონელს გადაუყრიდა“, რათა ის ბუზებსა და მკბენარებს არ შეეწუხებინა, შემდეგ ადამიანს მიაფრქვევდა ნაცარს, რათა მასაც მკბენარი არ გასჩენოდა, „დანარჩენს კი ბოსტანს და ხეხილებს დაუყრიდა, ჭიამ არ გააფუჭოსო“ (ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938, გვ. 109). აქ კარგად ჩანს ბაღზე და, კერძოდ, ხეხილზე ზრუნვა. საყურადღებო ის არის, რომ ჭიაკოკონას

ბავშვები ანთებდნენ. იმის მიუხედავად, რომ ჭიაკოკონობა ცრუმორწმუნეობა იყო, მას მაინც ჰქონდა აღმზრდელობითი მნიშვნელობა: ბავშვებში ინერგებოდა აზრი, რომ ადამიანი ბაღს უნდა უვლიდეს და უფრთხილდებოდეს. ქართულ ხალხურ პოეზიაში მებაღეობაზე მრავალი საწარმოებია შექმნილი.

ხალხურ ზღაპრებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბაღს. ზღაპარში „იადონი და ბულბული“, ნათქვამია: ხელმწიფის დავალებით მისი შვილები იადონისა და ბულბულის საპოვნელად და მოსაყვანად წავიდნენ. გზაში მათ უთხრეს, რომ ეს ფრინველები მარმარილოს კოშკში მჯდომ ერთ მზეთუნახავს ჰყავს. გზაზე ნახავთ წალკოტსო, რომელშიც „რიგი მწიფს, რიგი ყვავის, რიგიც მკვახეა, ვინ მოსთვლის მის ქებას, ის ბაღი ცალთვალა მდევისაა. რომ გაიარო, არამც და არამც ხელი არ ახლო“-ო (ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედ., 1938 წ. გვ. 205).

ზღაპარში ხალხი მშვენივრად მგალობელ ფრინველებს — იადონსა და ბულბულს აკავშირებს ბაღთან. ბაღს მისი პატრონი დევი ისე უფრთხილდებოდა, რომ ხელს არავის ახლებინებდა. ამას კი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც იგი აჩვევდა ბავშვს ბაღის გაფრთხილებას, მის მოვლა-პატრონობას.

საყურადღებოა ზღაპარი „ანანა“ (ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ., გვ. 53—55). ანანას პრასის გვარი აქვს და კამის სარტყელი არტყია. მაგრამ ის თვით ბაღთანაც ორგანულადაა დაკავშირებული: ხელმწიფის შვილმა ბაღში იპოვნა წერილი, რომელიც წარმტაც ქალად იქცა. ზემოთ განხილულ ზღაპარში თუ მხოლოდ იადონი და ბულბული დაუკავშირა ხალხმა ბაღს, აქ მეტიც გაკეთა: მშვენიერი არსება აღიარა ბაღის ორგანულ ნაწილად. ბაღზე ხალხი ქმნიდა გამოცანებსაც. რომლებშიც წარმოდგენილია მაყვლის, ასკილის, მარწყვის, შვინდის, ნამყენისა და სხვ. თვისებები („ხალხური სიტყვიერების ძეხალები“, II, გვ. 127—128). საყურადღებოა ის, რომ საგნების დახასიათების დროს, ხალხი, უმთავრესად, გარეგნულ ნიშნებს გამოყოფს, რაც პირველი შეხედვისთანავე იქცევს ბავშვის ყურადღებას. მაგალითად, გამოცანებში ბროწეულზე, მის სიწითლეზეა ლაპარაკი: „წითელ ჭურში წითელი კენჭები აწყვია“ („ხალხური სიბრძნე“, V, გვ. 465). გამოცანებში მაყვალზე კი, უპირველესად, მის სიშავეზეა ყურადღება გამახვილებული — „შავი არის შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა, საჭმელია თაფლივითა“ (იქვე, გვ. 462). ამის შემდეგ ის გამოცანაცაა საინტერესო, რომელიც მაყვლის ნაყოფის გაჩენისა და დამწიფების ერთგვარ ისტორიას აცნობს ბავშვს—„თეთ-

რად გავჩნდი, წითლად გავიზარდე, შავად დავბერდი“ („ხალხური სიბრძნე“, გვ. 462). საინტერესოა ის გამოცანებიც, სადაც სხვადასხვა ფერის ერთიანობას ვხედავთ. ასეთია, კერძოდ, გამოცანა ვარდის შესახებ — „ერთი ხე მიდგა ეკლისა, წითელი და თეთრი ფერისა“ (იქვე, გვ. 461). ისიც აღსანიშნავია, რომ ხალხი აქ ვარდის სხვა დამახასიათებელ ნიშანსაც აქცევს ყურადღებას, — ეკლიანობას. თითქოს ჩანს საგნის ორი, ერთიმეორის საპირისპირო — დადებითი და უარყოფითი ნიშან-თვისება (მიმზიდველი ფერები და ეკალი). ყველაფერ ამას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ბავშვის გონებრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის.

საერთოდ კი, ხალხური ნაწარმოებები მებაღეობაზე, ერთი მხრივ, ხალხის დიდ ყურადღებას ამტკიცებს მეურნეობის ამ დარგისადმი, ხოლო მეორე მხრივ — მათ დიდ როლს ბავშვთა აღზრდაში.

* * *

როგორც ვიცით, მევენახეობას ქართველები უძველესი პერიოდიდან მისდევდნენ. ზემოთ აღვნიშნეთ — მებაღეობასთან ხალხმა იადონი და ბულბული დააკავშირაო. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ვენახთან დაკავშირებითაც. ნოველაში — „ვაზი და ბულბული“ (ხალხური სიბრძნე, III, 1964, გვ. 245), ნათქვამია: „წინათ ვაზს და ბულბულს დიდი მეგობრობა ჰქონდათ. შემოჯდებოდა ბულბული ვაზზე და საამურად გალობდა.

ვენახზე მრავალი ნაწარმოებია შექმნილი, რომლებიც ბავშვს აყვარებს ვენახის მოვლა-პატრონობას, აცნობს ღვინის დადებით და უარყოფით თვისებებს, ცხადია, ეს ხელს უწყობს ბავშვის აღზრდას.

* * *

ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება მდიდარია მებოსტნეობაზე არსებული გამოცანებით. მოვიყვანთ ერთ მათგანს:

„ჩვენებიანთ ბაღშია, ჯამი
ჯამზე ამხია,
ვინც იმას არ გამოიცნობს,
თავზე ლაფი ასხია“

მეოჯახეობის ზოგიერთი საკითხი

ოჯახი არა მხოლოდ საზოგადოების სამეურნეო უჯრედი იყო, არამედ აღზრდის კერაც. ოჯახს თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართველები. ზოგიერთი რაიონის მცხოვრებთა რწმენით, ყოველ ოჯახს საკუთარი ღმერთიც კი ჰყოლია. ასეთი რწმენა ჰქონდათ მაგალ., ხევსურეთში (ს. მაკალათია, „ხევსურეთი“, 1935, გვ. 243).

საქართველოს ზოგიერთ რაიონში ჩვენს დრომდეც შემორჩა გვაროვნული „დიდი ოჯახის“ ზოგიერთი ნაშთი. ოჯახს აღზრდის თავისებური ტრადიციაც ჰქონდა. ჩვენთვის საინტერესოა, რომ „დიდ ოჯახში“ ცოლის მზითვებს გარდა, ყველაფერი საერთო იყო (ს. მაკალათია, „ფშავი“, 1934, გვ. 87). ამასთან, პატრიარქალური წყობილების დროს „დიდი ოჯახის“ მეთაური ასაკის მიხედვით უფროსი მამაკაცი იყო, რომელიც ოჯახის მრავალრიცხოვანი წევრებისათვის ავტორიტეტს წარმოადგენდა და მისდამი მოკრძალება და პატივისცემა კანონად ითვლებოდა. ბავშვს თავიდანვე სწორედ ოჯახის ტრადიციებსა და დღის წესრიგში დასმულ მოთხოვნილებათა მიხედვით ზრდიდნენ. ასე იწრთობოდა და ყალიბდებოდა მომავალი მეოჯახე ქალი-დიასახლისი. ხალხი ყოველთვის ზრუნავდა, რათა გოგონა ოჯახური ცხოვრებისათვის მომზადებულიყო. გარეგნულ სილამაზეს ხალხი აპატივს სცემდა, მაგრამ ლამაზი ადამიანი თუ მეოჯახეობის ასეთ მოთხოვნებს ვერ უპასუხებდა, მას ის გმობდა. ოჯახის ასეთი ტრადიცია მეოჯახის აღზრდის იმდროინდელი საფუძველი იყო.

* * *

ხალხმა შექმნა ნაწარმოები **მეაბრეშუმეობაზე**, რომლებშიც დახასიათებულია აბრეშუმის ჭიის საქმიანობა და მისი სარგებლიანობა ადამიანისათვის. მაგალითები:

1. „თექვსმეტი ფეხი ერთ თავს ატარებ.
   მისი ნაშრომი ყველას ახარებს“ (ფ. ა. № 34896).

ამ გამოცანაში ჩანს, რომ აბრეშუმის ჭია ადამიანთა დამხმარეა. ხალხი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა აბრეშუმის ჭია მავნებლებისაგან დაეცვა, მაგრამ ამის რეალური საშუალება არ ჰქონდა. ამიტომ, სწამდა რა მას სიტყვის მაგიური ზემოქმედება, შექმნა ლოცვები, რომლებშიც აბრეშუმის ჭიისადმი დიდი „ზრუნვა“ ჩანს.

ასეთია, მაგალითად, „ლოცვა ყაჭისა“ (რომელიც ჭიანჭველას საწინააღმდეგოდ ყოფილა მიმართული):

„შავი მოდის შავითაო,
შავი თავის ჯარითაო,
შავსა პირი აუხვიოთ,
აბრეშუმის ძაფითაო“. (ფ. ა. №17687).

ცოდნიათ მეორე ლოცვაც, რომელსაც ცახის დადგმის დროს წარმოთქვამდნენ ქალები, რათა აბრეშუმის ჭიას კარგი, მსხვილი პარკები გაეკეთებინა. ეს ლოცვები ერთგვარ აღმზრდელობით როლს

ასრულებდნენ, რადგანაც აბრეშუმის ჭიისადმი ფრთხილი და მზრუნველობითი დამოკიდებულების გრძნობას ზრდიდნენ მოზარდში.

ამრიგად, ხალხი ასწავლიდა ბავშვს რომ, აბრეშუმის ჭია შრომაში კვდება, რათა ადამიანები გაახაროს: მის ნამოქმედარს ადამიანები ძაფებად აქცევენ. აბრეშუმის წარმოება უაღრესად სასარგებლო და თანაც ლამაზი საქმიანობაა და ამიტომ მას უნდა ვუვლიდეთ და ვუფრთხილდებოდეთო.

ეს ხალხური შეხედულებანია, რომელთა გათვალისწინებას ერთგვარი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მეაბრეშუმეობისადმი ინტერესის აღძვრისათვის.

* * *

ქართულ ფოლკლორში ფუტკარი მრავალმხრივ არის წარმოდგენილი: ის დახასიათებულია როგორც „ბინის ამგები-მშენებელი", როგორც დაუცხრომელი მშრომელი და გამრჯე, როგორც ადამიანის დამხმარე, მაამებელი და სხვ. ხალხს შთამაგონებლად აქვს ფუტკრის ეს თვისებები გადმოცემული. მოვიგონოთ:

„სახლი ავაგე ხისაო,
არ არის ნაფუტისაო,
შედიან და გამოდიან
ბძანება არის ღვთისაო,
.იმათი ნამუშავარი
მარგია ცოცხალ-მკვდრისაო" („აკაკის თვიური კრებული", 10, 1898, განყ. III, გვ. 27).

ფუტკარი მშენებელიაო, — ამბობდა ხალხი, მაგრამ ამბობდა იმგვარად, რომ დიდ ინტერესს იწვევდა ყოველთვის მოზარდში იმის გასაგებად, თუ ვინ ააგო ეს სახლი, ვინ შედის მასში, ვინ გამოდის, რა მუშაობა წარმოებს ამ სახლში და როგორ შეიძლება, რომ ეს ნამუშევარი ერთ და იმავე დროს ცოცხალ ადამიანსაც ჰრგებდეს და მკვდარსაც.

აი ერთი გამოცანაც ამავე საკითხზე:

„ერთი სახლი მრავალსული,
მე მინახავს ერთგინ მყოფი,
ბევრგან სახლობს ქვეყანაზედ,
მას მრავლად ჰყავს განაყოფი,
შენც ეცადე მის სარგოსა,
რომ უშოენო მას სამყოფი,
ვემსახუროთ, მან გვიბოძოს,
გაამრავლოს მან ნაყოფი" („დროება", 1883, № 8).

* * *

თავიანთი ცხოვრების მთელ მანძილზე ქართველები, როგორც ყველა ხალხი, დაბრკოლებათა გადალახვის საშუალებებს ეძიებდნენ. ხალხს ერთ-ერთი ასეთი დაბრკოლების— სხვადასხვა სახის დაავადების საწინააღმდეგოდ შეუქმნია სამკურნალო საშუალებანი და თავიანთი აზრებიც გამოუთქვამს მათ შესახებ. მართალია, უძველესი ხალხური მედიცინა ბევრ რელიგიურ ცრუმორწმუნეობას შეიცავდა, მაგრამ მასში იყო და არის მკურნალობის მრავალი რეალური საშუალებაც, რომლებიც დღესაც გარკვეულ ინტერესს იწვევს.

XI საუკუნიდან შემონახულია საქართველოში მედიცინის რამდენიმე წერილობითი ძეგლი: ქანანელის „უსწორო კარაბადინი", „წიგნი სააქიმო"; ზ. ფანასკენტელი-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი", „კარაბადინი", „იადაგარ დაუდი". ეს წიგნები ძვირფას ხალხურ მასალებსაც შეიცავენ, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ სავსებით გამოყენებული არ არის პრაქტიკაში[1]. ქართული ხალხური მედიცინის მეცნიერულად შესწავლის ფუძემდებელი ლ. კოტეტიშვილი წერს: „ჩვენ არა გვგონია იყოს სადმე კიდევ ისეთი ქვეყანა, სადაც ხალხური მედიცინა ისეთი მდიდარი და მრავალმხრივი იყოს, როგორც ეს ჩვენშია, დღესაც კი ძნელად შეხვდებით ისეთ მოქალაქეს სოფლად თუ ქალაქად, რომ რაიმეს მკურნალობა არ იცოდეს, ან და არ აინტერესებდეს ხალხური მკურნალობა. იშვიათია ისეთი სოფელი, სადაც კარაბადინების სახით ან ზეპირსიტყვიერად შემონახული არ იყოს ხალხში ფერად-ფერადი სამკურნალო საშუალებანი და საექიმო ოსტატობა, რაც უძველეს საუკუნეებიდან მომდინარეობს", და ქვემოთ აღნიშნავს წარმართული მედიცინის ნაშთებზე, რომლებიც ვლინდებოდა შელოცვებით, მკითხაობით, ქადაგად დაცემით და სხვ[2].

ამჟამად მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებს ქართული ხალხური მედიცინის ისტორიის შესასწავლად. დაიწერა მრავალი ნაშრომი, რომლებშიც გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ხალხური მედიცინის საკითხებს. აღსანიშნავია მიხ. შენგელიას, მ. საკაშვილის, ა. გელაშვილისა და სხვ. შრომები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს,

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1919 წ. ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ, ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე მ, სპეციალურ ბროშურაში „ქართული მკურნალობის ისტორია უძველესი დროიდან დღევანდლამდე", შეეხო შელოცვებს. რა ნაკლოვანებებიც არ უნდა ჰქონდეს ამ ნაშრომს, ავტორის დამსახურება მაინც დიდია: მან პირველმა დასვა ხალხური მედიცინის მნიშვნელობის საკითხი და ზოგიერთი მოსაზრებაც გამოთქვა მის შესახებ.

[2] ქ ა ნ ა ნ ე ლ ი, უსწორო კარაბადინი, 1940, ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ეკ. ლ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ მ ა, გვ. III.

რომ თითქმის ორი ათეული წელია არსებობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ისტორიის კათედრის და ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილება, რომელნიც მეტად მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან ხალხური მედიცინის შესწავლისათვის.

ხალხურ სამედიცინო პრაქტიკაში მრავალი ღირსშესანიშნავი მასალები გვხვდება ადამიანის ანატომიის ცოდნის, ქირურგიისა და სხვა დარგებში (ბ. რაჭველიშვილი, „რაციონალური ელემენტები ქართულ ხალხურ მედიცინაში", წიგნში „ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა", 1964, გვ. 246—257).

ქართულ ფოლკლორში მრავალი ცნობაა ადამიანის მკურნალობის შესახებ. საყურადღებოა, მაგალითად, „ზღაპარი უმადურ მღვდელზე" (ფ. ა. № 293), და „ხუთი მჭადი" (ი. ოცხელი, ქართული ქრესტომათია, 1918, გვ. 172). პირველი ზღაპრის მიხედვით, მღვდელმა გაკვეთა ავადმყოფი მეფისწული, რომელიც სამ დღეში გამოჯანმრთელდა. გვაქვს ცნობაც ცხედრის შენახვის შესახებაც. ლექსში „სოლომონ ბუტულაშვილი" ნათქვამია: სოლომონი რომ მოკლესო:

„მოიტანეს ალმას დანა,
მით მუცელი გაუჭრესა,
შუშანბრებში გაახვიეს,
ეგები არ ასუნდესა"-ო (ე. კოტეტიშვილი, „ხალხური პოეზია", გვ. 122.).

ასეთი ქირურგიული მოსაზრებანი და საშუალებანი, ცხადია, ადამიანის ანატომიის ერთგვარ ცოდნას ემყარებოდა. ამ მხრივ საყურადღებოა „სახსრების ლექსი", რომელშიც ადამიანის ორგანიზმის ნაწილებია ჩამოთვლილი და დახასიათებული თავიანთი ფუნქციებით (პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1964, გვ. 192—193).

მრავალ მასალას გვაწვდის შელოცვები, მხოლოდ მათი რელიგიური საბურველისაგან გაწმენდაა საჭირო. განსაკუთრებით საყურადღებოა ხალხის დაკვირვებები. საინტერესოა, მაგალითად, რომ ბინაში, რომელშიც „ბატონებიანი" ავადმყოფი იწვა, აკრძალული იყო ცხელი ქვაბის შეტანა, რეცხვა და სხვა. წითელი ქსოვილი ავადმყოფის ერთ-ერთ სამკურნალო-საშუალებად იყო მიჩნეული.

ფოლკლორულ ნაწარმოებებში გვხვდება ცნობები ისეთ ბალახეულზე, რომლებიც წამლად მიაჩნდა ხალხს. ხშირია გამოთქმა „ბალახმა თქვაო": „კაცსაო ღმერთმა ნუ აცოდინოსო, რაც მე წამალი ვარო,

თორემა მაშინ ვინ გამიშობდაო (ფ. ა. № 14307). „ამირანში“ მკაფიოდაა ნაჩვენები ბალახის სამკურნალო თვისება. მოვიგონოთ ეპიზოდი, რომლის მიხედვით, ომში მკვდარი ამირანის შემყურე ყამარმა დაინახა თაგვი, რომელმაც თავისი შვილი ერთი რომელიღაც ბალახით გააცოცხლა. ყამარმა მიბაძა მას, — მოწყვიტა ის ბალახი და ამირანი გააცოცხლა. აქ გვაქვს მიბაძვა, რომელიც აღზრდაში გარკვეულ როლს ასრულებდა ყოველთვის და ნაჩვენებია ის ჭეშმარიტებაც, რომ ბალახებში სამკურნალო ნივთიერებაა. ბალახი, როგორც სამკურნალო საშუალება, „ამირანის“ სხვა ეპიზოდებშიც გვხვდება: მიჯაჭვულ ამირანს სვავი სისხლს სწოვს და ყამარი სვავისაგან .დაკორტნილ სხეულზე უკვდავების ბალახს აფენს და ხელად ურჩენს“ („ამირანის“ ვარიანტი — „კალმახელა“ — ნ. რეხვიაშვილი, „ქართული ხალხური მეტალურგია“, 1964 წ. გვ. 239). ლეგენდაშიც თამარ მეფეზე ნათქვამია: თამარს „ავი ჭირი“ სჭირდა, მამამ ის ბალახოვან ფერდობზე გადააგდებინა. თამარი ჩაგორდა, ბალახებს შეეხო და მორჩა, ეს ბალახი მგონი თუთუნი იყოო („ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“, I, ქს. სიხარულიძის რედ. 1961, გვ. 88). საინტერესოა ხალხის დაკვირვებანი, თუნდაც „იავნანასთან“ დაკავშირებით. ამ საგალობელის შესრულების დროს წმინდა რეალურ სამკურნალო საშუალებას მიმართავდნენ — ია მიჰქონდათ ავადმყოფთან. ია კი ძველ მედიცინაში მძიმე ავადმყოფის სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა (გულის, სიყვითლისა და სხვ. ნ. წუწუნავა, „მცენარე, როგორც სამკურნალო საშუალება ძველ საქართველოში“, 1953, გვ. 22).

სამკურნალო თვისებებია, მაგალითად, ნიორში, ნიახურში, მაკიდოში: „ნიორმა თქვა: „კაცს რომ პირს არა ვსწვავდე, ასის რიგის წამალი ვარო“ (ფ. ა. № 14399); „ნიახურმა თქვა: ვაი კბილს, ნეტა მუცელსაო“ („ქართ. ანდაზები“, 1964, გვ. 95); „მაკიდომ თქვა: „ნეტა კბილს, ვაი მუცელსაო“ (H, № 1945 მ.). მასალიდან ჩანს, რომ ერთი და იგივე წამალი შეიძლება ადამიანის ორგანიზმის ერთი ნაწილისათვის სასარგებლო იყოს, მეორე ნაწილისათვის კი საზიანო, რაც კარგად შეუნიშნავს ხალხს.

ცნობილნი არიან სოფლის მკურნალები, რომელთაგან ზოგიერთი კარგად მკურნალობდა ავადმყოფებს. მკურნალობის სწავლება ოდითგანვე იყო შემოღებული და ზემოხსენებული მკურნალები თავის დროს ასეთი ზეპირი სწავლების ობიექტები უნდა ყოფილიყვნენ. ამას ამტკიცებს „ამირანის“ ის ადგილიც, რომლის მიხედვით, ყამარმა თაგვს მიბაძა ბალახის სამკურნალოდ გამოყენებაში. მიბაძვაში აქ სწავლების ერთ-ერთი ხერხი ჩანს, რაც ხალხს მითოლოგიურ სამოსელში აქვს გახვეული, რადგან ეს არის პერიოდი, როცა ადამიანის აზროვნება, ჯერ კი-

დევ. მთლიანად არ იყო გათავისუფლებული ბუნებაზე ღვთაებრივი წარმოდგენებისაგან, ე. ი. ადამიანი, ჯერ კიდევ, მთლიანად არ იყო ბუნებიდან გამოყოფილი. ცხადია, ცოდნის გადაცემა შემდგომ პერიოდებში, თანდათანობით, რეალურ ნიადაგზე დადგა და მკურნალობის სწავლებასაც უფრო მტკიცე საფუძველი შეექმნა.

* * *

თავის შემოქმედებაში ხალხი გარკვეული ყურადღებით ეპიდებოდა ფეხსაცმლის ხელობას. იგი ქმნიდა ნაწარმოებებს, რომლებშიც ახასიათებდა ხარაზებს და ამით ხელობას აყვარებდა ახალგაზრდობას.

არსებობს გვიანდელი, მაგრამ მაინც ძველი ისტორიული ხასიათის ცნობა, რომლის მიხედვით ბიზანტიის მეფეს, იუსტინიანეს ქართველი წათე დაუნიშნავს ლაზების მეფედ. გაძახებულ წათეს საქართველოდან ჩატანილი წაღები სცმია, რაც მეექვსე საუკუნეში წაღას არსებობაზე მიუთითებს.

საფიქრებელია, რომ ქართველებს უძველესი პერიოდიდანვე ჰქონდათ ფოლკლორული ნაწარმოებები მეფეხსაცმელეობაზე, რითაც მოზარდ თაობას გარკვეულ წარმოდგენას აძლევდნენ ამ დარგზე.

* * *

მშენებლობაზე ხალხის მიერ გამოთქმული აზრები ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ ისინი ამ პროფესიისადმი სიყვარულსა და მისწრაფებას აღძრავდნენ ახალგაზრდობაში. მასალებიდან ჩანს, რომ ახალგაზრდობის ასეთი დაინტერესების ერთ-ერთ წყაროს ხალხი როგორც სამშენებლო პრაქტიკაში, ისე თავისივე შემოქმედებაში ხედავდა: მშენებლობის შესწავლის პროცესში და მასთან ფოლკლორული მასალებითაც, მოზარდ თაობას უმუშავდებოდა აზრი შენობისათვის საჭირო მასალებსა და იარაღებზე. ეს კი მას გარემოსთან აახლოებდა და ბუნების სიმდიდრესა და სხვადასხვა პროფესიაზე უქმნიდა წარმოდგენებს, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მისი გათვითცნობიერებისათვის.

ფოლკლორული მასალა საშუალებას გვაძლევს ხალხის მოთხოვნილებანი ბინის მიმართ შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ. ბინამ არსებობა უნდა შეუნარჩუნოს ადამიანს და მისი ესთეტიკური მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს. ერთ ლექსში ნათქვამია — ის სახლია კარგი, ლამაზი და მისაღები, რომელიც კრამიტითაა დახურული, კედლები თეთრად აქვს შელესილი და ლამფააკრულიაო. ასეთი სახლი იმიტომაა კარგი, რომ ადამიანსო:

„მადასაც მისცემს, იცოდეთ, ჭამისასა და სმისასა,
ჰაერიც სუფთა იქნება კარგია ოჯახისადა“-ო (ვ. ხორნაულის მასალებიდან)

შენობა თავდაცვის საიმედო საშუალებაა:

„სახლ-კარი მომართული გაქვს, კოშკი გიდგია ხისაო,
ახვალ და შიგ დაიძინებ. არ გეშინია მტრისაო“ (პ. უმიკაშვილი, 1, 1964, გვ. 76).

ესთეტიკური გემოვნებით აშენებული სახლი ხალისიანობასა და სულიერ კმაყოფილებას ანიჭებს ადამიანსო:

„მამამ სახლი ამიშენა
ჟეკლუცი ბანის-ბანითა,
გრძელი და ცამდის მაღალი,
სიგრძე და მისი განითა,
შეველ, გამოველ სიცილით,
სიმღერით ბანის-ბანითა“-ო (პ. უმიკაშვილი, II, გვ. 304).

ფოლკლორში საცხოვრებელი სახლის ორი სახე გვხვდება: ჩვეულებრივი ბინა და დარბაზი (თუმცა ამ უკანასკნელს ხალხი ხშირად არ იხსენიებს). დახასიათებულია თითოეული მათგანი. დარბაზის შესახებ, ერეკლე მეორესთან დაკავშირებით, ერთ ლექსში ნათქვამია: „დარბაზს ვისხედით ჭევსურნი, დიდ გვედგა საუბარიო“[1].

აქ დარბაზის ის გაგებაა, რომლის მიხედვით იგი სასახლის სათათბირო ოთახი იყო და რომელშიც, მეფის თანდასწრებით, სხდომები იმართებოდა. ეს დარბაზი დიდებულთა სამყოფელი იყო. საგულისხმოა ხალხის აზრი ღარიბთა საცხოვრებელ ნაგებობაზე — ქოხზეც. საილუსტრაციოდ ავიღოთ შემდეგი სტროფი:

„საწყალი კაცის ცხოვრებას
რად უნდა ბევრი ხრიალი,
ერთაი ქოხი მიწური,
და ერთი კოკა წყლიანი“ (გამოაქვეყნა ა. გომიაშვილმა).

არსებობს დარბაზის მეორე გაგებაც. ეთნოგრაფიულად დარბაზი არის „ძველებური მიწური საცხოვრებელი სახლი, რომლის დამახასიათებელია დედაბოძი და გვირგვინი“ („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედ, III, გვ. 627).

ამ ცნობების მიხედვით, როგორც ვხედავთ, დარბაზი არა დიდებულთა სამყოფელი, არამედ ჩვეულებრივი ბინა, დაბალი ფენის ადამიანის საცხოვრებელია. ისე, რომ ლექსიკოგრაფიას, ხალხურ გადმოცემასა და ფოლკლორს დარბაზის ორი გაგება შემოუნახავს.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ხალხი შენობის ხარისხს და იმასაც — რა მასალიდანაა სახლი აგებული. ხევსურეთში მისულმა მასწავლებელმაო, — ვკითხულობთ ერთ ლექსში: საცხოვრებლად მგე-

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 360.

ლაის დუღაბით აგებული სახლი დაიქირავაო, რომელიც „ყოფილა საკადრისაი: ლამ-კირით გალესულია, შიგაით პოლი, ლამფაი სრუ ხერხით დახერხილია, გარეთზე ბალკომიანსა მირგვლით ფანჯარა ულია“ (ა. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 88).

ამრიგად, ეს სახლი კირით ყოფილა აგებული. ხალხი კირზე, როგორც საშენ მასალაზე, ხშირად მიუთითებს:

„ადგანან კალატოზები,
გვერდებს ულესენ კირითა“ (იქვე გვ. 93).

სამშენებლო მასალად ცნობილია მიწაც (ე. წ. მიწური ქოხის სახით), აგური, ქვა (ს. ბედუკაძე, „საცხოვრებელი ნაგებობანი ქართული ხალხური პოეზიის ნაბეჭდი მასალების მიხედვით“, 1950, გვ. 10, 11, 13, 14). ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა მიწით, აგურით, ქვითა და კირით ანაგებ შენობებს ეხება. ქართულ ხალხურ პოეზიაში ხის ნაგებობაზეც არის ლაპარაკი. ხის მასალით მშენებლობა ძველთა-ძველია, ველურობის ხანას უკავშირდება: „ცეცხლი და ქვის ცული უკვე მეტწილად იმის შესაძლებლობას იძლევა, — წერს ფრ. ენგელსი, — რომ ადამიანმა გააკეთოს მთლიანი ხისაგან ნავი, ხოლო ალაგ-ალაგ მორები და ფიცრები სახლის ასაშენებლად. ყველა ამ მიღწევას ჩვენ ვხვდებით, მაგალითად, ამერიკის ჩრდილოდასავლეთელ ინდიელებში, რომელნიც, მართალია, მშვილდისარს იცნობენ, მაგრამ არ იცნობენ ჯერ კიდევ მეთუნეობას[1]“.

ხის მასალად გამოყენების ტრადიციასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ქართული საალმშენებლო ხელოვნების საფუძველს ხით ხუროობა წარმოადგენდა და ქვის ხუროობის ტრადიცია იქითგან მომდინარეობს“, და „ბევრი რამ, რაც ხის ნაგებობაში მოგვეპოვება, სწორედ ძველი ხანის ნაშთს წარმოადგენს“[2].

ხის საამშენებლო მასალად გამოყენებაზეა ლაპარაკი შემდეგ სტროფებში:

„ელისაო-მელისაო, სახლი დაედგი ძელისაო“ (გამოაქვეყნა ალ. ღლონტმა),
„სასახლე იორამისა ნათალი წმინდა ხისაო“ (ს. ბედუკაძე, იქვე, გვ. 11).

ყველაფერი ეს საქართველოში ხუროობისა და დურგლობის განვითარებაზე მიგვითითებს. ქართულ ხალხურ ლექსებსა და სხვა სა-

---

[1] ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953, გვ. 29.

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“, 1, 1946, გვ. 93.

ხის ნაწარმოებებში იხსენიება კიდეც ხურო, მეკიდობნე, ხუროთმოძღვარი და სხვ. მეკიდობნეები იხსენიებიან, კერძოდ, ხალხურ „ვეფხისტყაოსანში“. ისინი კიდობანს აგებენ. კიდობნის აგების ასახვა გულისხმობს, რომ იმ დროს, როცა ეს ნაწარმოებები იქმნებოდა, ხის მასალით მშენებლობა ყოფილა გავრცელებული. ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ვარიანტში ასეთი ადგილია:

„დასხდიან მეკიდობნენი
იმბარ-ამბარ და უმბარნი“;
„ხუროთ კიდობან ააგეს,
ქებითა არაკებითა“ (მ. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, 1937, გვ. 117, 105).

სხვაგან კი აღნიშნულია — მეფემ ტარიელს უთხრაო:

„დავიბარებ ხუროთმოძღვარს,
კიდობანს შეეაკვრევინებ,
შიგ ჩავსვამ ლერწამ-დარეჯანს,
წყალს მივცემ, წაეაღებინებ“ (იქვე, გვ. 170).

მრავალი ცნობაა ფოლკლორში სამშენებლო იარაღებზეც. აქ რამდენიმე მათგანს ვასახელებთ. შურის ციხეზე შექმნილ ლექსში მოხსენებულია კვერი (შურის ციხის აგებას მოუნდა „ორმოც ქვის სამტვრევ კვერია“-ო. ძველ საქართველოში იყვნენ „ქვის-გამომკვერელნი“, ანუ ისინი, ვინც ქვის ზედაპირს ასწორებდნენ. ფოლკლორი ცნობებს გვაწვდის ხის ნაგებობის, კერძოდ, — კიდობნის აგებისათვის საჭირო იარაღებზეც ერთ-ერთ ნაწარმოებში იხსენიება: „შალაშინი, ხერხი, ეჩო, ხუსტარა“ და სხვ. ამ იარაღებით გაკეთებულ კიდობანში ზღაპრის გმირმა — ხუთკუნჭულამ დევი შეიპყრო.

კიდობანზე ლაპარაკია რელიგიურ ლეგენდაშიც „ნოე“:

„წმინდა ნოემ რა იცოდა, დაჯდა, თალა კიდობანი,
შიგნით, გარეთ გამოთალა, საგანგებოდ ააყვავა,
შიგ ჩასხა დედალ-მამალი, კარი მაგრად გაუყარა“ და სხვ.
(თ. ბეგიაშვილი, „ქართული ფოლკლორი“, გვ. 203).

ხუროობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული დურგლობა. ფოლკლორში მის შესახებაც ვხვდებით ცნობებს. ამის საილუსტრაციოდ ერთ გამოცანას მოვიტანთ:

„ოთხთა ძმათა ტანად ტოლთა
თავზე ხურავთ ერთი ქუდი“ (ქს. სიხარულიძე, „საბავშვო ფოლკლორი“, გვ. 220).

ხალხურ ზღაპარშიც დიდი ყურადღება ექცევა ხუროობას. მაგალითად, ზღაპრის „ბერი უსტა“ მთავარი გმირები — მამა და შვი-

ლი ხუროები არიან. მამა, ამავე დროს, შვილის მასწავლებელია ამ დარგში. ისინი სამუშაოს საშოვნელად მოსაზღვრე სახელმწიფოშიც („მეორე სახელმწიფოში") მიდიან.

მოხუცი ხურო („უსტა") ხალხმა წარმოგვიდგინა ადამიანად, რომელიც გასამრჯელოსათვის კი არ მუშაობს, არამედ თავისი პროფესიული პრესტიჟისათვის. მან შვილს უთხრა: „მინდა გავაკეთო სახლი მეორე სახელმწიფოში. თუ მომცემენ რამეს, მომცემენ, თუ არა და სასახელოთ დავტოვებო". მეტიც: მაშინაც კი, როცა კარგი, მბრუნავი სახლის აგებისათვის ხელმწიფემ მას ჯილდოს მაგიერ სიკვდილი გადაუწყვიტა, მოხუცმა ხურომ ბოლოს მაინც ააბრუნა სახლი, სიტყვებით — „მაგ სახლს სასირცხოდ არ დავტოვებო".

ამ ზღაპარში ხალხის თვალსაზრისია წარმოდგენილი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საცხოვრებელი სახლი. ხალხის ეს პერსპექტიული იდეალი მის მაღალ კულტურულ მოთხოვნილებებზე გვიქმნის წარმოდგენას, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მომავალ მშენებელთა მომზადებისათვის. აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა შვილთან საუბარში გამოთქმულ მოხუცის ზემოთ მოყვანილ აზრსაც — სახლის გაკეთებაში მომცემენ თუ არა რამეს, მაინც გავაკეთებ — „სასახელოთ დავტოვებო".

* * *

როდის უნდა დაწყებულიყო საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობა, რასაც საამშენებლო საქმის სწავლება ემყარებოდა?

არქეოლოგიური აღმოჩენები, რომლებიც სამარხების გათხრებითაა მოპოვებული ამტკიცებს, რომ საქართველოს ახლანდელ ტერიტორიაზე უძველეს პერიოდებშიც საკმაოდ განვითარებული ყოფილა მშენებლობა. მრავალი არქეოლოგიური გათხრა მიგვითითებს ნეოლითისა და სხვა უძველესი ხანის მშენებლობის არსებობის შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე.

ხალხურ ნაწარმოებებში წარმოდგენილი მასალები მშენებლობის შესახებ, მომავალ მშენებელთა მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო უნდა ყოფილიყო. ამასთან, თუ მოვიგონებთ საქართველოში ოსტატებთან ბავშვის მიბარების ტრადიციასაც, კერძოდ, მშენებლობის დარგში, ჩვენს წინ უფრო ნათელი სურათი გადაიშლება.

* * *

ქართულ ფოლკლორში რელიეფურად არის წარმოდგენილი ხალხის თვალსაზრისი ლითონების დამუშავებასა და მნიშვნელობაზე.

არქეოლოგიური აღმოჩენებითაც დადგენილია, რომ ქართველებს ლითონების დამუშავება ხუთი ათასი წლის წინათ დაუწყიათ. („საქართველოს ისტორია“ 1958 წ. გვ. 12).

მრავალ მითოლოგიურ ზღაპარში (როგორც გარკვეულია) არა მხოლოდ ლითონების წრთობა, არამედ შეხედულებებიც გვაქვს მათი დამუშავების შესწავლისა და გამოყენების შესახებ, რითაც ნათელი ხდება ამ შეხედულებათა უძველესი წარმოშობა. მაგრამ ეს შეხედულებანი ფოლკლორის სხვა ჟანრებში კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს. თუ მითოლოგიურ ზღაპრებში ისინი, ხშირად, ეპიზოდებსა და გმირთა ურთიერთსწავლების ფორმებით გვხვდება, ლექსებში, ანდაზა-გამოცანებსა და სხვ. ზოგჯერ დებულებების სახესაც კი ღებულობენ. გვაქვს ნაწარმოები, რომელშიც ლითონისაგან იარაღის დასამზადებლად ცეცხლის გამოყენება აუცილებლადაც კი არის მიჩნეული. ავიღოთ გამოცანა შამფურის შესახებ, რომელიც ასე იწყება — „ვერ გამაკეთეს უცეცხლოდ“-ო („ჯეჯილი“, 1898, № 12, გვ. 54). ეს გამოთქმა ეხმაურება მითოლოგიური ზღაპრების ადგილებს, რომელთა მიხედვით ცეცხლში გამოუწრთობი ლითონის იარაღის გარეშე შეუძლებელია მტრის დამარცხება. მართლაც, რკინის გამოწრთობის ერთ-ერთ საშუალებად ხალხს ცეცხლი მიაჩნდა, რადგან სწორედ ცეცხლით შეიძლება მისი საჭიროებისამებრ მოდრეკა. ეს აზრია აფორიზმში — „რკინა რკინობას ცეცხლში ვერ იზამს-ო“.

ირკვევა, რომ ქართველებს წარმართობის პერიოდშივე ჰქონდათ შემუშავებული აზრი ლითონის ამ სახით წრთობაზე.

რკინის ცხელი წრთობა უფრო ფართოდ „ამირანის“ იმ ვარიანტშია წარმოდგენილი, რომელსაც „კალმახელა“ ჰქვია. (გამოაქვეყნა ნ. რეხვიაშვილმა, — „ქართული ხალხური მეტალურგია“, 1964, გვ. 234—235). ამირანი თვითონ ამზადებს რკინის ჭედვისათვის ხელსაწყო მასალებს და ჭედავს რკინას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ივანე ცისკარი“, „კალმახელა“ და ზემოხსენებული ლექსი ამირანზე, ადრინდელ პერიოდებს ეკუთვნის, იმ პერიოდებს, როცა სპეციალისტი-მჭედლები ჯერ კიდევ არ იყვნენ, რის გამოც თვითონ ამირანი აწრთობს ცეცხლში რკინას.

მჭედლობას საპატიო ხელობად თვლიდნენ ქართველები. მეტიც: სამჭედლოები სამლოცველო ადგილებადაც კი ჰქონდათ მათ მიჩნეული. აფხაზების წარმოდგენით, პირველი მჭედელი საშა იყო. ის 365 ხელობის მფარველად ითვლებოდა და აფხაზები მას მსხვერპლს სწირავდნენ (ს. გიორგაძე, აფხაზეთი და აფხაზნი, „ივერია“, 1888, № 184). ფშაველები თაყვანს სცემდნენ პირქუშს, რომელიც მათი

წარმოდგენით ოქრომჭედელი იყო (ს. მაკალათია, ფშავი, 1935, გვ. 191).

რკინას და მჭედელს რომ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართულ ფოლკლორში, ეს კარგად ჩანს, გარდა „ამირანისა“, კერძოდ, ზღაპარშიც „ივანე ცისკარი“. ივანე ცისკარს ორი ძმა ჰყავს — ივანე საღამოსი და ივანე შუადამისა. მათი მამაც მჭედელია და თვითონაც ჭედლები არიან. სამივე ცაში ცხოვრობს და მთელი ქვეყნის მფლობელნი არიან. ამ ზღაპარში გვხვდება რკინა, სპილენძი, ვერცხლი. საეჭვო არ არის, რომ მისი შექმნის პერიოდში ქართველები უკვე იცნობდნენ ამ ლითონებს, რასაც აუცილებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდობის აღზრდისათვის. მეტიც — ეს ლითონები მხოლოდ ლითონებად კი არაა წარმოდგენილი, არამედ სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს დევების სახით, რომლებიც მიწას სულის შებერვით აქცევენ ლითონებად. ივანე ცისკარს, იმის მიუხედავად, რომ ის მჭედელი იყო, გრდემლი არ ჰქონდა და მის მაგიერ რკინის კაცის თავი გამოიყენა. ისიც საინტერესოა, რომ უფრო მეტი ყურადღება ამ ზღაპრებში არა სპილენძს, არამედ რკინას ეთმობა. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სპილენძის მაგიერ უკვე რკინას იყენებენ. ამის შედეგია რკინის კაცის ფანტასტიკური სახე, რომელიც კოგანტური შესაძლებლობისაა და რკინის დამუშავების ტექნიკასაც არის დაუფლებული. აქ ერთგვარი პედაგოგიური მომენტიც ჩანს: რკინის კაცი თავის ცოდნას გადასცემს ივანე ცისკარს, ასწავლის „შენ მჭედელი ხარ, გააკეთე ერთი ჯაჭვი, შევტყორცნოთ ზევით, მოვდოთ კლდეს და ავიდეთო“ („ქართული ხალხური ზღაპრები“, 1938, გვ. 100). და შემდეგ — „ჩემი თავი იყოს გრდემლად და ამაზე გამოკვეთე ის ჯაჭვიო“. შემდეგი მომენტიც საყურადღებოა: თავის მხრივ, თვით ივანე ცისკარმაც დაარიგა კლდეზე აგზავნის დროს რკინის კაცი — „არ ჩამოიხედო, თორემ ჩამოვარდებიო“ (აქ ურთიერთსწავლების ელემენტებიც გვაქვს).

მეტად საყურადღებოა ქართულ ზღაპრებში გავრცელებული გამოთქმა „ოქროს ბავშვი“, რაც ბავშვის დიდი დაფასებისა და სიყვარულის აღმნიშვნელი უნდა იყოს.

ხალხურ პოეზიაში ოქროსა და ვერცხლის დამუშავების აუცილებლობაზეც გვხვდება აზრი. ქვემომოყვანილ ლექსში ლაპარაკია ოქროს დამუშავებასა და მის მოხმარებაზე.

„ქვესკნელში დაბადებულნი
ორი ძმანი თეთრ-ყვითელი,
ჯოჯოხეთში მონათლულან,
ამოსულან გაწმენდილან,

ვაჭრებათ გადაქცეულან,
არიან ქვეყნის მყიდველნი,
ყველანი იმათ ხმარობენ
ყმაწვილი, თუნდა ხნიერნი (C ოქრო და ვერცხლი, ხელნ. ინსტ., H. № 123).

საყურადღებოა ლექსი ოქრომჭედელზე:

„ღმერთმა თქვა
სვეტმა ცხოველმა,
მცხეთას აშენდა ქალაქი,
აშენდა დუქან-ბაზარი
-ფულის მამჭრელი სარაფი.
იქ იჯდა ოქროს მჭედელი
პირსა ჰპარსავდა დალაქი“ (ფ. ა. № 11173).

ნაოსნობა. ქართული ფოლკლორი და ეთნოგრაფია მრავალ ცნობას გვაწვდის ნაოსნობაზე. ნაოსნობის რამდენიმე სახეს ვხვდებით ქართულ ფოლკლორში: ტივს, ნავს, გემს, კიდობანს. ხალხს თითოეულ მათგანზე თავისი შეხედულებები ჰქონია: „თავი არა აქვს, უურა არა აქვს, მობრუნდება — კუდი არა აქვს, რასაც აჰკიდებენ, წაიღებს, სათქმელი ენა არა აქვს“ (უმიკაშვილი, II, გვ. 280), ნათქვამია ნავზე. სხვა გამოცანებში ნავი დევთან არის შედარებული. ამასთან ხალხურ შემოქმედებაში ფართოდ აისახა, თუ რა მასალისაგან მზადდებოდა ეს სანაოსნო საშუალებები:

„სატიოზე ტივი შეეკარ,
ტივი არის ნაძვი ხისა,
ორთაყვირები მოვასხი,
მოსასმელი არი წყლისა“ (ე. კოტეტიშვილი, „ხალხური პოეზია“ გვ. 193).

საყურადღებოა, რომ ზღაპარში „სოვდაგარი“ გვხვდება ცნობა ცურვის სწავლების შესახებ („რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები“, 1958, გვ. 337—340). ამ ზღაპარში შუა საუკუნეების ბოლოხანების ნიშან-თვისებებს ვპოულობთ. ჩანს, რომ მაშინ ცურვას გარკვეული ყურადღება ექცეოდა. ამ ნაწარმოებში ჩანს, რომ ახალგაზრდები ცურვაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სოვდაგრის შვილმა დედას ოცი თუმანი გამოართვა, წავიდა და გზაზე ნახა, რომ ორი ბიჭი ერთმანეთს ცურვაში ეჯიბრებოდა და ყოველთვის ერთი მათგანი ჯობნიდა მეორეს. სოვდაგრის შვილი მიხვდა, რომ ეს უკანასკნელი კარგად იყო ცურვას დაუფლებული და სთხოვა — „რომ

ბასწავლო ცურვა, სხვამ ვერავინ მაჯობოს, რას გამომართმევო?“ მოცურავემ ათი თუმანი მოსთხოვა, მაგრამ ბიჭმა ოცი მისცა, ცურვა კარგად შეისწავლა და ერთხელ ამით თავიც იხსნა დალუპვისაგან, მგზავრებიც გადაარჩინა და სიმდიდრეც.

ნაოსნობის ასე განვითარება, სანდალას აზრით, ქართველების საბერძნეთთან ხშირი ურთიერთობით უნდა აიხსნას (სანდალა, „საქართველოს ბუშა და ხელოსან ხალხის ცხოვრების ისტორიის მასალები“, გვ. 144—147). საბერძნეთთან კავშირი სხვა ცნობებითაც დასტურდება, მაგრამ ქართველების სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა კარგად ჩანს შემდეგ სტროფებში:

„ხომალდში ჩავჯექ ზღვას გაველ,
ფრანგის ქვეყნები ვნახეო,
სულ დავიარე ქვეყანა,
ვერ ვნახე შენი სახეო“[1].

ან —

„ფრანგის ქვეყნები დავაგდე,
მივძარ-მოვძარი ზღვებია,
ვერსად ვერ შევხვდი სიტურფეს,
ეგრეთსა, შენ რომ გხლებია“ (ვ. კოტეტიშვილი, გვ. 42).

აქ ისიც საინტერესოა, რომ მხოლოდ საფრანგეთში კი არა, სხვა ქვეყნებში მოგზაურობაზეც არის ლაპარაკი. ეს შემთხვევა შეიძლება რეალურ ფაქტზე მიგვითითებდეს. ნაოსნობის შორეულ პერიოდებში გავრცელების დადასტურებისათვის საგულისხმოა ისიც, რომ თვით ხალხურ პოეზიაში და ჩვეულებრივ სასაუბრო მეტყველებაშიც, ხშირად გვხვდება გამოთქმები, რომლებშიც ცხოვრებასთან ბრძოლის შედარებაა წარმოდგენილი მდინარეზე, ან ზღვაში ნავით საბედისწერო მოგზაურობასთან. ამის ერთ-ერთი საბუთია ლექსი ზღვაზე ცურვის შესახებ (იქვე, გვ. 157). ირკვევა, რომ ნაოსნობის შესახებ ზემოხსენებულ შეხედულებათა შექმნისათვის პირობები, ჯერ კიდევ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე უნდა ყოფილიყო მომზადებული. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნაოსნობის სწავლების საწყისებიც ამ პერიოდებს უკავშირდება.

* * *

როგორც სხვა ხალხებს, ისე ქართველებსაც გააჩნდათ თავიანთი დაკვირვებები და შეხედულებანი ციურ სხეულებზე, რასაც პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა, განსაკუთრებით, სამეურნეო ცხოვრებისათვის.

---

[1] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1937, გვ. 309.

ხალხს ყოველთვის აწუხებდა მოსავლის ბედი, რომელიც დიდად იყო დამოკიდებული ამინდზე. ეს და სხვა ცხოვრებისეული საკითხებიც აიძულებდა ხალხს შეექმნა შეხედულებანი, რომლებიც, მართალია, ძირითადად ცრუმორწმუნეობას ემყარებოდა, მაგრამ ამავე შეხედულებებში იყო დაკვირვებებიც, რომელთაგან ზოგიერთ მომენტს იყენებდა ის ცხოვრებაში. ერთ-ერთ ზღაპარში ნათქვამია, რომ ერთ მეფეს ჰყავდა თავისი „ასტრონომი", რომელიც სამი თვით ადრე წინასწარმეტყველებდა საშინელი წვიმის მოსვლას (ფ. ა. № 210). ასეთი დაკვირვებანი ერთგვარი გამაფრთხილებელი საშუალებებიც იყო. სწორედ ციურ მნათობებზე დაკვირვებებმა განაპირობა ასტრონომიულ შეხედულებათა წარმოშობა. აკად. ივ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ ქართველები კვირის თვითეულ დღეს ამა თუ იმ ციურ სხეულს აკუთვნებდნენო. კვირა მზის დღე იყო, ორშაბათი — მთვარის, სამშაბათი — არიასი (მარსის, რომელსაც ომის ღმერთად თვლიდნენ), ოთხშაბათი — ერმისას (მერკურის), ხუთშაბათი — ვენერისა, პარასკევი — იუპიტერის, ხოლო შაბათი — კრონოსისაო („ქართველი ერის ისტორია", I, 1950, გვ. 124—135).

ხალხი ცდილობდა გაეგო, შეეცნო ციურ სხეულთა თვისებები და ეს ცოდნა მჭიდროდ დაეკავშირებინა თავის ცხოვრებასთან, პრაქტიკული მიზანდასახულობით გამოეყენებინა ის. ამასვე ემსახურებოდა ამინდზე დაკვირვებანიც.

* * *

ფოლკლორში დიდი ადგილი უჭირავს მოგზაურობის ფანტასტიკურ საშუალებებს.

ხალხმა თავისი შეხედულებანი გამოთქვა ფრენის შესახებ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ფრენა ხალხური შემოქმედების საყვარელ თემას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ იმ უძველეს პერიოდებში, როცა ხალხი მითოლოგიურ ზღაპრებს ქმნიდა, გამოხატა მან თავისი მოსაზრებანი და შეხედულებანი ფრენაზე. ამასთან ცნობდა რა მას ადამიანის გამარჯვების მძლავრ პირობად, ზომავალ თაობასაც უქმნიდა წარმოდგენებს მის შესახებ. ეს იყო მფრინავი ხალიჩა, მფრინავი ნოხი, მფრინავი რაში და სხვ. ეს ფანტასტიკური საგნები ხალხს წინააღმდეგობათა დაძლევის საშუალებებად ჰქონდა წარმოდგენილი. მაგრამ მის იდეალადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ტექნიკის განვითარებასთან ერთად ქართულ ფოლკლორში შეიქმნა ნიმუშები თვითმფრინავზე, მატარებელზე, ავტომობილზე და სხვ.

„აფრინდება ქშენით მაღლა
დიდი აურზაურითა,
არე-მარეს გააყრუებს,
თავის ფრთების ხმაურითა“[1].

„არც ფრთები აქვს, არც ფეხები, იკლაკნება გველივითა, სვამს და არ სჭამს, გზა-გზა დადის და მიზუის მგელივითა“

„ერთი რაიმე ქმნილება
სათქმელადაა სრულია,
საცა რომ წყლითა დათვრება,
ყელში ამოდის სულია,
საქონელი ულირსი ჰყავს,
არ მოშივდება პურია,
ის გარბის და წაღა რჩება
ქვეყანას წყდება გულია (მატარებელი —გაზ. „დროება“ 1883, № 72).

* * *

სხვადასხვა ხელობისა თუ საქმიანობის შესწავლა ხელს უწყობს ბუნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გათვითცნობიერებას, რაც მრავალნაირად აისახა ხალხურ შემოქმედებაში. თუნდაც „ამირანის“ ის ადგილი მოვიგონოთ, რომლის მიხედვით, ყამარმა თაგვისაგან ისწავლა ბალახის გამოყენება ადამიანის გასაცოცხლებლად. ამით ის კიდევ უფრო დაუახლოვდა ბუნებას, შეიცნო მისი საჭირო თვისება. ზღაპარში „ყველაზე ძლიერი“, მისმა მონადირემ, ბიჭურზელმა ბუნებაზე დაკვირვებით გაიგო, რომ ადამიანი ბუნების ყოველ მოვლენაზე ძლიერია. ფოლკლორში მრავალი მასალაა იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ იმდიდრებს ადამიანი ამა თუ იმ ხელობისა, თუ საქმიანობის შესრულების პროცესში თავის ‘ცნობიერებას, როგორ წვდება ბუნების საიდუმლოებას; მეორე მხრივ, ისიც კარგადაა ასახული, რომ ხელობა, საქმიანობა ‘ადამიანს საშუალებას აძლევს გაიცნოს სხვა ადამიანები, პრაქტიკაში გამოსცადოს ისინი.

საბჭოთა პერიოდის ფოლკლორში მკაფიოდ აისახა ბუნების შესწავლის გარკვეული შედეგები. გასაგებიც არის: ხალხური შემოქმედება ყოველთვის კვალდაკვალ მიჰყვებოდა ცხოვრების მაჯისცემას, რის შედეგად მასში ისახებოდა ახალი შეხედულებები. აი, ჩვენს დროში შექმნილი გამოცანები: „უსულო და უგულო, კაცივით ლაპარაკობს“ (ფ. ა. № 32612). „აქედან გავკარ ისარი, ქალაქ გავარდა ფიცარი“

---

[1] ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, შედგენილი ქ ს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ი ს მიერ, 1956, გვ. 101.

(ფ. ა. ბაქარაშვილის რვეული — „გამოცანები“). სხვა ადგილას ნათქვამია:

„ვინ იფიქრებდა ფშავშია თუ მოვა ტელეფონია,
ან კლდეზე ვიწრო ბილიკი, თუ იქნებოდა ფონია,
ავტომობილი ძველ დროში ფშავში ვის გაუგონია?
ახლა კი გუგუნით დადის, ავტობუსს გასდის ბოლია,
ვხედავთ, აღარცა ტყდებიან წყალს ხიდი გასახდომია“ (ვ. ხორნაულის მასალებიდან).

საერთოდ საბჭოთა ფოლკლორის ნიმუშებში გარემოს შესწავლას მაღალი შეფასება ეძლევა. ერთ ლექსში ნათქვამია: „ხალხი ისე განვითარდა მაღლა იწევს მთვარეზე“-ო (ფ. ა. 23 ბ — 69, გვ. 153).

ასეთი მიღწევების ასახვით ხალხი სხვადასხვა ხელობისა, თუ საქმიანობის შესწავლის აღმზრდელობით მნიშვნელობაზე მიუთითებს.

მეურნეობის განვითარება, მისი დარგებად დაყოფა, უსათუოდ იყო სხვადასხვა მეცნიერების, სპეციალისტებისა და ამის შესაბამისად სხვადასხვა სასწავლო საგნის წარმოშობის საფუძველი.

*

მეოთხე თავი

დიდაჭტიკა

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ხალხური აღზრდის იდეები, ძირითადად, შრომის პროცესშია წარმოშობილი. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ შრომის პროცესი გულისხმობს მიზანშეწონილ სწავლებას? ე. ი. შეიძლება თუ არა შრომა გარკვეული ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლებას ისახავდეს მიზნად?

ცნობილია, რომ შრომის პროცესს საკუთარი მიზანი აქვს, მაგრამ ყოველი შრომის პროცესი, ამავე დროს, ადამიანის განვითარების პროცესსაც წარმოადგენს, რაც ასე კლასიკურად გამოხატა ფრ. ენგელსმა დებულებაში — „შრომამ შექმნა ადამიანი“. შრომის ისეთი პროცესი, რომელშიც ბავშვი მონაწილეობდა, შრომის სწავლებას მიზანშეწონილ პროცესად ხდიდა. აქ მთავარი შრომითი პროდუქციის შედეგი იყო, მაგრამ მას ორგანულად ერწყმოდა სწავლების პროცესი. მაგალითად, სიმინდის გათოხნას რომ ხასურველი შედეგი მოეტანა, მამა (ან რომელიმე უფროსი) ბავშვს ასწავლიდა, რომ ის სიმინდის ძირებს კარგად დაჰკვირვებოდა: ყანა სარეველა ბალახისაგან გაეწმინდა და ა. შ. სახლის აშენების დროს კი, მარჯვედ ეხმა-

რა სამუშაო იარაღები, რათა კარგი ხარისხის პროდუქცია მიეღო. და ასე, ბავშვი ყოველთვის დარიგებისა და სწავლების გავლენის ქვეშ იყო. ამის მიხედვით შეიძლება ითქვას: შრომის პროცესში იშვებოდა ახალი, მასზე დაქვემდებარებული მიზანი ამა თუ იმ საქმიანობის სწავლებისა. ეს კი საფუძველს გვაძლევს, ასეთ შრომაში მიზანშეწონილი სწავლებაც დავინახოთ[1].

მაგრამ დიდაქტიკა არა მხოლოდ სწავლებას გულისხმობს, არამედ სწავლასაც. სწავლება და სწავლა ხომ განუყოფელია ერთმანეთისაგან. ვხვდებით თუ არა ფოლკლორში სწავლას, სწავლებასთან ერთად? ვხვდებით და ძალიან ხშირად. უფროსი, მცოდნე ადამიანის სწავლებანი და მითითებანი ბავშვისათვის, უფრო ხშირად, მხოლოდ მიმართულების მიმცემია, რის საფუძველზე ამ უკანასკნელს საშუალება ეძლევა თვითონვე შეისწავლოს ობიექტი და მასთან უფროსის შრომის მაგალითიც გამოიყენოს. აქვე ეყრება საფუძველი უნარ-ჩვევების გამომუშავებასაც. ქართულ ხალხურ ეპოსში, შენიშნულია სწავლებისა და მისი ერთგვარი შინაარსის არსებობა აქვე ვხვდებით „სკოლას", „დამრიგებელ-მასწავლებელს" და სწავლების ზოგიერთ მეთოდს (თხრობას, კითხვა-პასუხს, შემოწმება-გამოცდას. უფრო ვრცლად იხილეთ აღზრდის იდეები ქართ. ხალხურ შემოქმედებაში, (1958 წ. გვ. 56—58).

გვაძლევს თუ არა ქართული ფოლკლორის სხვა სახეებიც იმის საფუძველს, რომ მათში სწავლების შინაარსი დავინახოთ? — გვაძლევს. სწავლებამ ბავშვს ცხოვრება უნდა გააცნოს და მისი შინაარსიც აქ იჩენს თავს. კ. უშინსკის აზრით — ანდაზა ცხოვრების გაგების ყველაზე უკეთესი საშუალებაა, რადგან ანდაზაში „აისახა ხალხის ცხოვრების ყველა მხარე: საშინაო, საოჯახო, საველე, სატყეო, საზოგადოებრივი; მისი მოთხოვნილებანი — ჩვეულებები, მისი შეხედულება ბუნებაზე, ადამიანზე, ცხოვრების ყველა მოვლენის მნიშვნელობაზე" (კ. უშინსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, 2, 1954, გვ., 83). კ. უშინსკი რუსული ენის შესწავლაშიც ხომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსულ ანდაზებს: „ძლივს თუ მოიპოვება უკეთესი საშუალება იმისათვის, რომ ბავშვი ხალხური ენის ცხოველ წყაროს ვაზიაროთ და ამ ენის ტაქტი მას შეუცნობლად შთავაგონოთ"-ო (იქვე). უშინსკის აზრით, ანდაზები და

---

[1] ცნობილია ცნება „დიდაქტიკური ზღაპრები", მაგრამ მასში ზნეობრივ რჩევა-დარიგებებს გულისხმობენ. მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე დიდაქტიკურ შინაარსს ხედავს ზოგიერთ სტროფსა და გამონათქვამში, მაგრამ დიდაქტიკა მას, ძირითადად, ჩვეულებრივი ზნეობრივი რჩევა-დარიგებების სახით ჰქონდა წარმოდგენილი („სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა", გვ. 141—156).]

სიტყვის მასალები ბავშვში არსებულ მშობლიური სიტყვის თესლს აცოცხლებენ. დიდად აფასებდა უშინსკი, აგრეთვე, პაროდიულ ზღაპრებსა და სიმღერებს (იქვე, გვ. 19). ზღაპრები საუკეთესო სასწავლო მასალაა — „ხალხურ ზღაპარს მე გადაჭრით და განუზომლად უფრო მაღლა ვაყენებ, ვიდრე ყველა მოთხრობას, რომლებიც ჩვენი განათლებული ლიტერატორების მიერ საგანგებოდ ბავშვებისათვის არის დაწერილი“ (იქვე, გვ. 86).

„ხალხური დიდაქტიკის“ სწავლების შინაარსი ფოლკლორულ ნაწარმოებებშია წარმოდგენილი და მისი ნიმუშები საბჭოთა „განათლების შინაარსის“ ერთ-ერთ ნაწილს შეადგენს. მაშასადამე, ფოლკლორის ყოველ სახეშია მოცემული სწავლების ერთგვარი შინაარსი.

ცხადია, ზემოთქმულთან ერთად, არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ „სწავლების შინაარსზე“ ხალხს მეცნიერული წარმოდგენა არ ჰქონდა. ამასთან თავის ნაწარმოებებს იგი, ძირითადად, გეგმიანობისა და სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის გარეშე აწვდიდა მოზარდ თაობას.

ფოლკლორულ ნაწარმოებებში ჰარმონიულადაა შერწყმული ხალხის ფართო მასების დაუცხრომელი მისწრაფებანი შრომის, თანასწორობის, თავისუფლების, კაცთმოყვარეობის, სამშობლოსადმი სიყვარულისა და მასთან ყველა იმ სიკეთისადმი, რომელნიც ადამიანის საუკეთესო ნიშან-თვისებებს წარმოადგენენ.

ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ფოლკლორში მოიპოვება სასწავლო მასალა, სწავლების ერთგვარი შინაარსი. ფოლკლორშივე შეიმჩნევა ამოსავალი დებულებანიც და მოსაზრებანიც სწავლების არსსა და მეთოდებზე. ამ სტრიქონების ავტორის მიერ მხოლოდ ეპიკურ ნაწარმოებებში იყო შენიშნული სწავლების ზოგიერთი საშუალება. შემდგომმა მუშაობამ კი გაცილებით უკეთესი ასპარეზი გადაშალა. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ხალხური დიდაქტიკის საზღვრები ქართულ ფოლკლორში მეტად ფართოა.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, შემდეგი საკითხები უნდა გაირკვეს:

1. რა მიაჩნია ხალხს სწავლების შინაარსად;
2. სწავლების რა პრინციპებს ცნობს ის საჭიროდ;
3. როგორ უნდა ვასწავლოთ;
4. სად უნდა წარმოებდეს სწავლა-აღზრდა და ვის მიერ.

ცოდნის დაუფლების საფუძვლები

ხალხი ყოველთვის მიისწრაფოდა ბუნების შესწავლისაკენ. უძველეს ქართულ ხალხურ აზროვნებაში „ბუნების სიბრძნის“ ათვი-

სების ორი საფეხური შეიძლება განვასხვაოთ: 1. როცა ადამიანი ფიქრობდა, რომ „ბუნების სიბრძნის“ დაუფლება ბუნებაში ფიზიკური შერწყმით შეიძლება და 2. ამ მიზნის განხორციელება გველის, ან ზოგიერთი ცხოველის ენასთან ადამიანის ენის შეხებითაა შესაძლებელი. არც ერთ ამ საფეხურზე ადამიანი ბუნებისაგან გამოყოფილი არ არის. ამდენად „ბუნების შემეცნების“ ეს საფეხურები მისი ნამდვილი შემეცნების ერთგვარ მოსამზადებელ საფეხურებად შეიძლება მივიჩნიოთ, რამდენადაც აქ, ძირითადად, საქმე ბუნების სინამდვილის შემეცნების იდეალთან გვაქვს. აქედანაც ჩანს: ადამიანს თუმცა ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ერთგვარად წარმოდგენილი ჰქონდა გარემოს შემეცნების მნიშვნელობა.

პირველის საილუსტრაციოდ ავიღოთ ზღაპრები „ანანა“ და „კიტრის ქალი“ („ხალხური ზღაპრები ქართლში და ფშავში შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, 1909, გვ. 53—55, 23—26). მეორე ზღაპარი პირველის თავისებურ ვარიანტს წარმოადგენს. ანანა ბუნების განსახიერებაა. მისი გვარი პრასა არის, წელზე კი კამის სარტყელი არტყია. ის მეფის შვილმა ბაღში ნახა, წერილის სახით, მაგრამ ვერ წაიკითხა, ე. ი. ვერ ამოიცნო მისი ბუნება. თუმცა ბოლოს კი ამოიცნო, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ის თვითონ შეერწყა ბუნებას, რის შედეგად დაქორწინდა კიდეც ანანაზე. ძირითადად მეორე ზღაპარიც ასეთია. ასე, რომ ამ ზღაპრის მიხედვით, ადამიანს მხოლოდ მაშინ შეუძლია შეიცნოს ბუნების საიდუმლოება, როცა თვითონვე შეერწყმის ბუნებას. კარგად ვხედავთ, რომ აქ არც ენა მოჩანს და არც ცოდნის გადაცემა. განვითარების მეორე საფეხურზე ბუნების შემეცნებაში ენა ასრულებს როლს არა როგორც მეტყველების ორგანო, არამედ როგორც ადამიანის ორგანიზმის ფიზიკური ნაწილი. ჩვენთვის ეს იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ერთგვარ გარდამავალ საფეხურად შეიძლება მივიჩნიოთ იმ რწმენაზე, რომლის მიხედვით, ადამიანი ბუნებასთან ურთიერთობას, თითქოს, ენის, როგორც მეტყველების ორგანოს, საშუალებით ამყარებს. საილუსტრაციოდ ავიღოთ ზღაპარი „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ (ფ. ა. კოტეტიშვილის კოლექცია, II, საქმე 4, № 6). ამ ზღაპრის მიხედვით, მონადირემ პატარა გველი გადაარჩინა, მაგრამ ამ გველის დედისაგან საჩუქარი არ აიღო, მხოლოდ ეს უთხრა — შენი ენა შემოდევი ჩემი ენის ქვეშო. ჩანს, მონადირე რაღაც საიდუმლოებას ხედავდა გველის ენაში. ამ უკანასკნელმა მისი თხოვნა შეასრულა, რის შედეგად მონადირემ ბუნების ენა გაიგო. გველის ენა აქ შუამავლის როლშია (დაახლოებით ასეთი შინაარსია „ხოგაის მინდიაშიც“). მაგრამ ამ ზღაპარში მეორე მომენტიც შეიმჩნევა, — ენა ადამიანის

ბუნებასთან კავშირის საშუალებაცაა (მონადირე ხომ ლაპარაკობს გველთან, ისინი თავიანთ აზრებს გადასცემენ ერთმანეთს). პირველი მომენტი იმაზე მიგვითითებს, რომ ადამიანი ვერ ხედავს თავისთავსა და ბუნებას შორის განსხვავებას. მეორე კი იმაზე, რომ გველი ბრძენიცაა, მისი ენა ბუნებასთანაა დაკავშირებული და საკმარისია ის ადამიანის ენას შეეხოს, რომ ამ უკანასკნელმა ბუნების ენა გაიგოს. საერთოდაც გრძნეულება სიბრძნეს უკავშირდება. წარმართული რწმენის საფუძველზე, უძველესი ადამიანი ფიქრობდა, რომ ცხოველებს უკეთ შეუძლიათ ბუნების მოვლენების გაგება, ვიდრე ადამიანსო.

გველის ენასთან ცოდნის კავშირი მრავალი ხალხის ფოლკლორში ჩანს. ავიღოთ ძველი ეგვიპტური „თქმულება სანტი-ხემუასეზე" („Сказки и повести древнего Египта", 1956, 108, 110). ამ თქმულების მიხედვით, ბუნების გაგება ჯადოსნური წიგნების საშუალებით ხდება[1].

მაშასადამე, ადამიანმა იცის ენა, რომლის საშუალებით ბუნების მოვლენათა საიდუმლოებას გებულობს. მაგრამ არა მხოლოდ გველი, არამედ მდინარეებიც, მცენარეებიც, წყლებიც აცნობენ ადამიანს თავიანთი თავის, ე. ი. ბუნების მოვლენათა საიდუმლოებას, როგორც ეს მოთხრობილია „ხოგაის მინდიაში". ბუნების ენის გაგების წარმართული რწმენა „კარაბადინშიც" გვხვდება. იქ იხსენიება რომელიღაც ექიმი ჯალინოზი, რომელიც ძალიან ჰგავს მინდიას. ის ლაპარაკობს მცენარეებთან (დაბეჭდილია — ე. თაყაიშვილი, „ოპისანიე", გვ. 126).

ენა, როგორც მეტყველებისა და ბუნების შეცნობის იარაღი, გვხვდება ცხოველთა ეპოსშიც, რომლებშიც ცხოველები ერთმანეთს

---

[1] რკინის სკივრში ბრინჯაოს სკივრი იყო, ბრინჯაოს სკივრში დაფნის ხის სკივრი, ხის სკივრშიც სკივრი, ხოლო ამ უკანასკნელში — ვერცხლის კოლოფი. ვერცხლის კოლოფში, ოქროს კოლოფი. ამ კოლოფში კი წიგნები. თქმულების გმირებმა ეძიეს და იპოვეს ასე კონსპირატიულად შენახული წიგნები. ამ წიგნების საიდუმლოდ შენახვა იმაზე მიგვითითებს, რომ ხალხი დიდად აფასებდა მათ, რადგან სჯეროდა რომ წიგნის საშუალებით ბუნების მოვლენათა გაგება შეიძლებოდა. ისიც საინტერესოა, რომ ეს სკივრი მდინარე ნილოსში იყო. შეიძლება ითქვას—ეს წარმოდგენა წყლის კულტს უკავშირდება. ამავე თქმულების მიხედვით, წიგნებით სავსე ეს სკივრები გველთანაც არის დაკავშირებული: შელოცვის შედეგად გველი გაიყინა, რის შემდეგ ზღაპრის პერსონაჟმა ნოფერკა-პაპახმა ის მოკლა, ეს წიგნები იპოვა და წარმოთქვა მასში დაბეჭდილი შელოცვაც. ამის შედეგად დატრიალდა დედამიწა, ცა, წყლები, მთები და ა. შ. მან გაიგო ცაში ფრინველების ენა, წყალში — თევზების, მთებში — მხეცებისა. მეორე ლოცვის შემდეგ, მან თევზები დაინახა უძირო ზღვაში იმის შედეგად, რომ ჯადოსნურმა ძალამ ზღვის შუაგული წყლით გაავსო.

და ადამიანსაც გადასცემენ მოვლენათა თვისებებზე. ხალხის აზრით, ასეთია, მაგ. მელია, რომელიც არა მხოლოდ უბრალოდ ეშმაკია, როგორც ჩვეულებრივად ფიქრობენ, არამედ ბუნების საგანთა და მოვლენათა შესანიშნავი მცოდნეც, და შეიძლება ითქვას ბრძენიც, რითაც ყოველთვის იმარჯვებს, ხალხის იმდროინდელი წარმოდგენით. ისე, რომ ცხოველთა ზღაპარშიც ნათლად ჩანს ენა, როგორც ცოდნის გადაცემის საშუალება. აქვე ჩანს დამრიგებელ-მასწავლებელიც და ცოდნის გადაცემის ობიექტიც. მაგრამ საერთოდ ადამიანი, ჯერ კიდევ ბუნების ტყვეობაში რჩებოდა. შემდეგ პერიოდებში კი ის შეიცნობს თავისთავს და ბუნების შემეცნების საკითხსაც რეალისტური თვალსაზრისით უცქერის. აქ „ცხოველ-მასწავლებელს“ ცვლის ადამიანი-მასწავლებელი. აზროვნების განვითარების ამ საფეხურზე, ხალხის აზრით, ცხოვრებისათვის მომზადება რეალური ცოდნით შეიძლება. ხალხური აღზრდის იდეები მიმართულია სინამდვილიდან, ცხოვრებიდან მოწყვეტის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ. ხალხის ეს თვალსაზრისი იმთავითვე გამორიცხავს ობიექტური სინამდვილის გაგების სქოლასტიკურ გზას. მ. გორკი სრულიად სამართლიანად ცნობდა ხალხურ შემოქმედებას ძველი დროის ადამიანების შრომითი პროცესებისა და სოციალური ცხოვრების შედეგად[1]. ხალხი პირველ ადგილზე სინამდვილეს აყენებს და შემეცნებისა და სწავლების საკითხებსაც რეალისტური თვალსაზრისით წყვეტს.

ხალხის მატერიალისტური თვალსაზრისი არა მხოლოდ შემეცნების, არამედ დიდაქტიკის სფეროშიც ვლინდება. საყურადღებოა, რომ ქართულ ფოლკლორში აღმოჩნდა მოსაზრებანი მხედველობის, სმენის, გემოვნების, შეხებისა და ყნოსვის გრძნობათა ორგანოებზე, როგორც ობიექტური სინამდვილის შემეცნებისა და ცოდნის შეთვისების საფუძველზე (ან. ხინთიბიძე, „აღზრდ. იდ. ქართ. ხალხ. შემოქმედებაში“, 1963, გვ. 128—132).

ხალხის შეხედულებებს ობიექტური სინამდვილის შემეცნებაში გრძნობათა ორგანოების მნიშვნელობაზე, უდიდესი როლი უნდა შეესრულებინა ახალგაზრდობის გონებრივ აღზრდაში. ეს შეხედულებანი ხალხური პედაგოგიკის, ე. წ. ფსიქოლოგიურ საფუძვლებს წარმოადგენენ. აღმოჩნდა ისიც, რომ გძნობათა ორგანოები არ კმარა ობიექტური სინამდვილის შემეცნებისათვის. ხალხი ახასიათებს თითოეულ ამ გრძნობას, აღნიშნავს ყოველი მათგანის ნაკლოვანებას და ადასტურებს მათ აუცილებელ საჭიროებას. მაგრამ ამით არ კმაყოფილდება და ამბობს — „მარტო თვალს და ყურს არ უნდა ენდო,

---

[1] М. Горький. Об искусстве, «Наши достижения», 1935, № 5 стр. 3, 4.

დანახულს დაკვირვება უნდა, გაგონილს შემოწმება, სათქმელს მოფიქრება", ან — „თვალი შორს ხედავს, მაგრამ ჭკუა უფრო შორსო" (იქვე, გვ. 132—133). გრძნობათა ორგანოები მხოლოდ გარემოსინამდვილის კარებს ხსნის ადამიანისათვის და შიგ ახედებს მას, მაგრამ შეხედვა საგნის შესწავლას როდი უზრუნველყოფს.

ხალხური დიდაქტიკა საგნებსა და მოვლენებზე დაკვირვებებს ემყარება, ხოლო შემდეგ — ამ დაკვირვებათა განზოგადებას. სწავლება ნაადრევ საბავშვო ასაკში თამაშით იწყება, ხოლო შემდეგ შრომის პროცესში უფრო მოწესრიგებულ სახეს ღებულობს, ფართოვდება და ღრმავდება.

* * *

გარემოს შემეცნება და ცოდნის დაუფლება მთლიანობაში აქვს ხალხს წარმოდგენილი. ცნობილია ხალხური გამოთქმა — „შეგნებულთან ჭირი სჯობია შეუგნებელთან ლხინსაო". აქ ორი მომენტი შეიძლება გავარჩიოთ: სინამდვილის შეუცნობლობა ადამიანის მიერ და ამის გამო უნდობლობა მისადმი. სხვა ადგილას უფრო მკაფიოდ ჩანს ეს აზრი — „უმეცარ კაცს გულით ნუ მიენდობიო" (ფ. ა. № 12506). რა შუაშია აქ უმეცრება? — ხალხი ფიქრობს, რომ სწავლა, ცოდნა და გამოცდილება ადამიანის ზნეობის წყაროა: „სწავლიდან ცოდნა იბადება და ცოდნიდან კეთილი" („სწავლა სიბერემდისო", შედგ. გ. კაჭახიძის მიერ, გვ. 11). ამ აზრს დასაბუთებაც აქვს — „სიმართლესა ვით იპოვი, თუ დაიხშე სიბრძნის კარი". მაშასადამე, ხალხის აზრით, სიკეთე და სამართლიანობა სწავლისა და ცოდნის შედეგია. მაგრამ სწავლა სხვა მხრივაც უწყობს ხელს ადამიანს, ის მოხერხებულს და უნარიანს ხდის მას: „სწავლა სალესავია, კაცს ფხას აძლევსო" („სწავლა სიბერემდისო", იქვე.). ამ აზრის განვითარება ჩანს აფორიზმში: „გზა ვინც იცის, ფეხს არ წაიკრავსო" (იქვე, გვ. 10).

ქვემოთ მკითხველისათვის ნათელი გახდება ისიც, რომ ხალხის აზრით, ცოდნა, ჭკუა და გონიერება ფიზიკური განვითარებისათვისაც ხელისშემწყობია.

აქვე თუ მოვიგონებთ, რომ სწავლასა და ცოდნაში ხალხი არა მხოლოდ ზოგად, არამედ პროფესიულ სწავლა-ცოდნასაც გულისხმობს, უნდა დავასკვნათ: მისი აზრით, სწორედ ასეთი სწავლა ხდის ადამიანს ზნეობრივ მოქალაქედ, ცხოვრების მცოდნედ და მოხერხებულ ადამიანად.

მაგრამ ყოველგვარი სწავლაა ასეთი? განა არ შეიძლება სწავლა

და მისი შედეგი — ცოდნა, რომლებიც ადამიანმა მიიღო და შეითვისა, ცხოვრებაში გამოუსადეგარი იყოს?

ფოლკლორი ამ კითხვაზე დადებითად უპასუხებს, ე. ი. ატარებს აზრს, რომ ასეთი რამ შესაძლებელია. საგულისხმოა, ამ მხრივ, ზღაპარი „უხეირო". უხეირომ ზოგადად იცოდა, რომ ნემსი, მახათი, წალდი და ამ ზღაპარში მოხსენებული სხვა იარაღები საჭიროა, მაგრამ ეს ზოგადი ცოდნა ცხოვრებაში მან ვერ გამოიყენა. მაგალითად, წალდი გულზე დაიკიდა, ნემსი ფიჩხიან გოდორში ჩააგდო იმის მაგიერ, რომ გულზე დაებნია და ა. შ. მიუხედავად ამისა, მისთვის რომ ეკითხათ — იცის თუ არა მან, რომ ეს იარაღები ადამიანმა უნდა გამოიყენოს, დადებითად უპასუხებდა. რა გამოდის? — ის, რომ ცოდნა ძირითადად, ორგვარია: ზოგადი და კონკრეტული. მასთან — თითოეული მათგანი სხვადასხვა ხასიათისაა. მაგალითად, ზოგადი ცოდნაა, რომ წალდი ლითონისაგან კეთდება, რომ იგი მაგარი იარაღია და სათანადო ადგილზე უნდა იქნას გამოყენებული და სხვ. მაგრამ, აქვე, მისი გამოყენების კონკრეტულ შინაარსსაც უნდა მიექცეს ყურადღება. ესეც მრავალგვარია იმის მიხედვით, თუ რა ობიექტთან აქვს ადამიანს საქმე: წალდი ყლორტის მოჭრის დროს სხვანაირად უნდა მოვიქნიოთ, თავდაცვის დროს სხვანაირად და ა. შ. გამოდის, რომ ცოდნა მრავალგვარია და მათი შეთვისებაა საჭირო, მაგრამ გარკვეული სიფრთხილით, — „ცდომილებას ათასი გზა აქვს, ჭეშმარიტებას კი — ერთიო" (ლ. მეტრეველი, ანდაზები, 1941, გვ. 92). ეს ნიშნავს, რომ საძიებელი ჭეშმარიტება ერთია, მაგრამ მას ხშირად ვერ აგნებს ადამიანი და არასწორი გზით მიდის. როგორც შენიშნულია, ხალხის აზრით ცოდნის შეძენას საზღვარი არა აქვს — „სწავლა ბოლო მოუკიდებული კიბეა"-ო (ფ. ა., № 26170), აღნიშნავს ხალხი და ამით მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანი მუდამ უნდა სწავლობდეს, თავის ცნობიერებას სისტემატურად უნდა იმდიდრებდეს. აღნიშნული სიძნელეების გამო, ადამიანები სხვადასხვა მეთოდებს მიმართავენ ობიექტური სამყაროს შემეცნებისათვის, მაგრამ შეიძლება ზოგიერთი მათგანი მცდარი იყოს (მოსალოდნელია, პირველ შემთხვევაში, ყველაც მცდარი იყოს, ისე, რომ ამ მეთოდებიდან არც ერთი არ იყოს მართებული, რის გამოც ისინი ჭეშმარიტების აღმოჩენასა და დადგენაში ვერ დაგვეხმარებიან). ამიტომ ძველი და ახალი თაობის ადამიანები შეთანხმებით უნდა მუშაობდნენ:

„სოციალიზმის კედლებს რომ
ქვები დაუწყოთ თლილები,
გამოვიყენოთ პაპებიც,
ბრძოლებში გამოცდილები" (ლ. ტაბატაძის მასალებიდან).

იდეა იმის შესახებ, რომ ადამიანი ყოველთვის ახლისაკენ უნდა მიისწრაფვოდეს, ყოველთვის ახალს ეძიებდეს, ქართული ხალხური შემოქმედების ყოველ სახეში თავისებურადაა წარმოდგენილი. ერთ ადგილას ნათქვამია „ნასწავლი თუ არ სწავლობს, უწვიმო ღრუბელსა ჰგავსო“, ან — „რა დღესაც ახალ რამეს არ გეიგონებ, ის დღე დღედ ნუ მიგაჩნიაო“ (ფ. ა. № 6035). ძიების, ობიექტური სინამდვილის დაუსრულებლად შესწავლის პროცესს, ბოლო არ აქვს. ამდენად, ობიექტური სინამდვილის შემეცნება მუდმივია, დაუბოლოველელი, ცოდნის შეძენა უსაზღვროა. ამიტომ ჭეშმარიტების ძიებისათვის ახალგაზრდობა ყოველთვის ახალ პრობლემებს უნდა აყენებდეს, რადგან სწორედ მას სჭირდება ცოდნით შეირაღებაო.

სწავლების პრინციპები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფოლკლორში მოჩანს გარკვეული დებულებანი, რომლებიც ერთგვარ მითითებებს წარმოადგენენ იმის შესახებ, თუ რის საფუძველზე უნდა წარმოებდეს ცოდნის დაუფლება. ამ დებულებებს ჩვენ, პირობითად, სწავლების პრინციპებს ვუწოდებთ. ზეპირსიტყვიერებაში ამ სახის დებულებათა ორი ჯგუფი შეიძლება გავარჩიოთ: პირველი ზოგადი ხასიათისაა, რომელიც სხვადასხვა შესაძლებლობას ითვალისწინებს, მაგ.; „ძროხა ნახე და დო ისე ითხოვეო“ (Q, 965, გვ. 163), ან — „კლდესაც გაარღვევს წყლის წვეთი, თუ ერთ ადგილზე სცემს მაგრად“ (იქვე).

არარსებული არც ნივთი შეიძლება მოვითხოვოთ და არც ცოდნა.

მეორე ჯგუფის მასალები უშუალოდ ცოდნის შეთვისებას და აღმზრდელ-მასწავლებლის აღსაზრდელებთან დამოკიდებულებას ეხება. საილუსტრაციოდ — „გონიერსა ერთი უთხარ, უგუნურსა ათასიო“ Q, 965, გვ. 59).

ფოლკლორში ცოდნის გადაცემის რამდენიმე პრინციპი ჩანს, რომელთაც ჩვენ გარკვეული წესით ვალაგებთ.

შეგნებულობის პრინციპი. ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის არსებობისათვის. ხალხმა კარგად იცის ცოდნის ფასი: „ვზა ვინც იცის, ფეხს არ წაიკრავსო“ ამბობს ხალხი. ცოდნის გადაცემას სწავლებაში ხელს ის უწყობდა, რომ შესასწავლ მასალას თვით პრაქტიკული სინამდვილე წარმოადგენდა — საგნები, მოვლენები პირდაპირ, უშუალოდ ეძლეოდა მოზარდს, რადგან როგორც ვიცით, სწავლება შრომის პროცესში ხდებოდა. ამის შედეგად დაკვირვებაც უფრო კონკრეტული და საგნობრივია, ამასთან ისეთი, რომ, ხშირად, შედეგიც იქვე ხდება მოსწავლისათვის ნათელი, გარკვეული: „მოსწავლემ“ თუ სწორად გაიგო მასალა

და სათანადოდაც იმეცადინა, დადებით შედეგს მიიღებს, თუ ვერა — უარყოფითს. ასეთი რეალური მასალის საფუძველზე აზროვნებაც აქტიურია. დასწავლას ხელს ისიც უწყობდა, რომ ხშირად ცოდნის საჭიროებისა და რაიმეს შესწავლის შეგნება თვით ბავშვის ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული: თუ კარგად ვიმუშავებ, ბევრ მოსავალს მივიღებ, რითაც ახალ ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს ვიყიდი, ამხანაგებთან სასეირნოდ წავალო, — ასე მსჯელობდა ბავშვი. ეს აზრი მასში კმაყოფილებას იწვევდა და სწავლის ინტერესს უღვივებდა. ეს კი მონდომებას და აქტივობას იწვევდა და იწვევს, და შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური დასაყრდენი იყო უფროსი ადამიანის (მამის, თუ სხვ.), ამ შემთხვევაში — „მასწავლებლისათვის". არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ცოდნის შეთვისება შრომის პროცესში, გაზეპირების გარეშე ხდებოდა. ისე, რომ შესწავლილი მასალის სისწორე შრომის პროცესშივე დასტურდებოდა. ამრიგად, გამოთქმას — „გზა ვინც იცის, ფეხს არ წაიკრავსო", ხალხურ სწავლა-აღზრდაში ცოდნის დანერგვის პრაქტიკული საფუძვლები ჰქონდა. მაგრამ ხალხი ამით არ დაკმაყოფილებულა და მოითხოვა: როგორც ყოველი საქმიანობის, ისე სწავლების დროსაც, შემდეგი პრინციპით ეხელმძღვანელათ — „გაუსინჯავის საქმის გაკეთება" არ შეიძლება, რადგან ის ადამიანის სისუსტის მაჩვენებელია, „უგუნურობის წესიაო" (ნ. ნაკაშიძე, ანდაზები, ტგ., 35). ამრიგად, ორ უმთავრეს მოთხოვნას უყენებდა ხალხი აღსაზრდელს: 1. ცოდნას დაუფლებოდა, რათა ცხოვრებაში არ დამარცხებულიყო და 2. გონივრულად გამოეყენებინა ცოდნა.

შეგნებულობა აუცილებელია ცოდნის შეთვისებისათვის: ამა თუ იმ ცოდნის მნიშვნელობა თუ ვერ გაიგო, „მოსწავლე" უინტერესოდ მოეკიდება სწავლას, რაც უშედეგო იქნება — „ძალად გატანებული მწევარი კურდღელს ვერ დაიჭერსო".

ზემოთ განხილული მასალიდან ჩანს, რომ შეგნებულობის გამომუშავებისა და, კერძოდ, ინტერესით სწავლისათვის, ხალხის აზრით, იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მოსწავლე ეხება და განიცდის თუ არა შესასწავლ ობიექტს. ეს კი თვალსაჩინოებას გულისხმობს.

თვალსაჩინოების პრინციპს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდისთვის. ქართული ფოლკლორი მდიდარია თვალსაჩინოების ამსახველი ნიმუშებით. თვალსაჩინოება ადამიანთა მახინჯი ქცევების გამოჰეღავნების საშუალებაა. მაგრამ მთელ რიგ ნაწარმოებებში ის სხვადასხვა ხასიათის ცოდნის დაუფლებისათვის არის გამოყენებული. აუცილებელია ითქვას, რომ ხალხი თავისებურად ასაბუთებს თვალსაჩინოების როლს ჭეშმარიტების გაგებასა და შეცნობაში, თვალსაჩი-

ნოება დიდ როლს ასრულებს საგნის შესწავლაში. თვალსაჩინოებისათვის კი გარკვეულ როლს ასრულებს გრძნობათა ორგანოები. აფორიზმში: „ხილთა ტკბილთა და მწარეთა შეეტყობის გემოს ნახვით“. აქ გემოვნების გრძნობაა საგნის ნიშან-თვისების გაგების საშუალებად“ აღიარებული.

საგანთა და მოვლენათა შეცნობაში ხალხი დიდ როლს ანიჭებს მხედველობას. ამ მნიშვნელობას რომ ხაზი გაუსვას, ის ცოცხალ სიტყვასთან ადარებს დანახულს და ფიქრობს: თუ არ ნახა საგანი ადამიანმა, ვერასოდეს ვერ გაიგებს საგნის არსებით შინაარსსო: „ბეჟანმა თქვა: გაგონილი ნახულთან არ იქნებაო“ („ძვ. საქ.“ 2, განყ. 5. გვ. 89) ამბობს ხალხი.

საგნის ნახვა და განცდა ისეთ ღრმა და ამოუშლელ შთაბეჭდილებას ნერგავს ადამიანის ცნობიერებაში, რომ მას ვერასოდეს ვერ გაუტოლდება სმენითა და სიტყვით მიღებული შთაბეჭდილება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხალხი ცოცხალ სიტყვას დიდ როლს არ ანიჭებდეს. პირიქით, ცოცხალი სიტყვითაც ზემოქმედებენ მისი გმირები ერთმანეთზე.

ფოლკლორის მიხედვით, არა მხოლოდ საგნის ცალკეული ნიშნების (სიდიდე, გემო და სხვ.), არამედ მთელი საგნის ჩვენებაც საჭიროა. ხალხმა, იცის, რომ ერთი რომელიმე ნიშნის ჩვენებით შეუძლებელია მთლიან საგანზე სრული წარმოდგენის შემუშავება. საგნის მთლიანად ჩვენების კარგი მაგალითებია საბავშვო თამაშობებში. აქ დავასახელებთ თამაშს „აგანგალა-განგალა“[1]. „დედა“ ქამრით უჩვენებს ბავშვებს ცხოველისა თუ ფრინველის სიდიდე-სიპატარავეს. ფოლკლორიდან ჩანს, რომ თვალსაჩინოებას ხალხურ სკოლაშიც ცნობდა ხალხი საჭიროდ. „ხალხური სკოლების“ მასწავლებლები ხშირად იყენებდნენ თვალსაჩინოების პრინციპს.

უფროსი (დედა, მამა, ბიძა, და, ძმა, თუ სხვ.) უჩვენებდა ბავშვს, თუ როგორ შეესრულებინა მას ესა თუ ის საქმე. მაგალითად, როგორ დაემყნა ხეხილი, ხვნის დროს როგორ გაჰყოლოდა ხარებს. როგორ მოემზადებინა მასალა ასაგები შენობისათვის და ა. შ. მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა არა განყენებულად, არამედ თვით ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების დროს და განსაკუთრებით მაშინ, როცა მოზარდი, უცოდინარობის გამო, სიძნელეს წააწყდებოდა. ცხადია, თვალსაჩინოების ამ წესით გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლებაში.

ამრიგად, საგნის გაგებისა და შესწავლისათვის, თვით მისი ცალკეული თვისებების (გემოს, სიმაგრის, სიდიდის და სხვ.) ჩვენება

---

[1] ქს. სიხარულიძე. საბავშვო ფოლკლორი, გვ. 109—110.

აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის, რადგან ამით საგნის მხოლოდ ამ თვისებებზე შევუქმნით მოზარდს წარმოდგენას და არა მთლიანად საგანზე. ამიტომ საჭიროა მთელი საგანიც ვაჩვენოთ ბავშვსო, —გვანიშნებს ხალხი. ხალხური თვალსაჩინოება თვით საგნის, და არა სურათის, ჩვენებას გულისხმობს, ცოცხალ სიტყვასთან ერთად.

მაგრამ საგნის თვალსაჩინოდ ჩვენებაც არ იქნება საკმარისი, თუ გარკვეული თანმიმდევრობაც არ დავიცავით სწავლებაში.

* * *

თანმიმდევრობის პრინციპი. ადამიანი თანმიმდევარი უნდა იყოს ამა თუ იმ საქმიანობაში. მაგრამ ეს თანმიმდევრობა ბოლომდე, საქმიანობის დასრულებამდე უნდა შეინარჩუნოს, რადგან ნათქვამია: „ვინც გააჩინა თხა, მან დაუგრიხა რქა“-ო. თანმიმდევრობაში სხვა მნიშვნელობასაც ხედავს ხალხი:

„კვირასაც რაღაცა გააკეთე, თორემ ორშაბათს გაზარმაცდებიო“ („სწ. სიბერ.“ გვ. 104).

ამრიგად, თანმიმდევრობის დარღვევა, ერთი მხრივ, მიზნის განხორციელებაში უშლის ადამიანს ხელს, მეორე მხრივ კი, მის ზნეობრივ მხარეზეც მოქმედებს — გაზარმაცებას იწვევს. ამიტომ — „ვინც ანი“ თქვა, იმან „ბანიც უნდა თქვასო“ (სვინტიძე, ქართ. ანდაზ. გვ. 61). ეს საერთოდ, მაგრამ მეტად დიდია ამ პრინციპის მნიშვნელობა სწავლების პროცესში. ხალხი მისი გამოყენების შთამაგონებელ მაგალითებს გვაძლევს. აქ დავასახელებ ცნობილ ლექსს „მოდი ვნახოთ ვენახი“. ამ ლექსით ჯერ ერთ საგანზე (ვენახზე) ეძლევა ბავშვს წარმოდგენა, შემდეგ მეორეზე (თხაზე). იქვე დასკვნაა გაკეთებული — „მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა“. მომდევნო სტროფში საგანთა ამ ჯგუფს ერთი საგანი — თოფი ემატება და უფრო ვრცელი დასკვნა გვაქვს. შემდეგ კიდევ ერთი საგანი და კიდევ ახალი დასკვნა, და ასე ბოლომდე, რათა ყოველ სტროფში თითო რაიმე ახალი გააგებინოს ბავშვს. საბოლოოდ კი, ყველაზე ვრცელი დასკვნაა გაკეთებული:

„კატამ თაგვი, თაგვმა მიწა,
მიწამ ქანგი, ქანგმა თოფი
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა“.

ხალხი მოზარდს გამოცდილი დიდაქტიკოსივით თანმიმდევრობით გადასცემს თავის აზრებს: ჯერ ერთ სიტყვას აწვდის, მისი გამეორების შემდეგ — მეორეს და ა. შ.

ამ ნაწარმოებში ცოდნის თანმიმდევრობით გადაცემის მაგალითიც ჩანს და ის დიდი მნიშვნელობაც, რომელსაც ხალხი სწავლების ამ პრინციპს ანიჭებდა.

ზემოთ განხილული პრინციპების გამოყენება გადაცემული ცოდნის გაგებას უწყობს ხელს. ამასთან ხალხმა, თითქოს, იცის, რომ საფუძვლიანი ცოდნისათვის ეს არ არის საკმარისი. შეიძლება მოზარდმა გაიგოს რაც ასწავლეს, მაგრამ სათანადოდ ვერ შეითვისოს და ვერც შეინარჩუნოს ის. ამისათვის ხალხი სხვა საშუალებას მოითხოვს.

* * *

ცოდნის განმტკიცების პრინციპი. გადაცემული მასალის დამახსოვრებისათვის ხალხი გამეორებას ცნობს საჭიროდ. ფოლკლორში ვხვდებით ცნობილ გამოთქმას „გამეორება ცოდნის დედაა“. გამეორების მნიშვნელობაზე მიუთითებს აფორიზმებიც:

„ბევრის ცემით რკინაც გაიღვედებაო“ და „ერთი წიხლის კვრით ციხე არ დაიქცევაო“ (ან. ხინთიბიძე. „ანდაზების პედაგოგიური კლასიფიკაციისათვის“ — „თელ. პედ. ინსტიტუტის შრომები“, II, 1957, გვ. 284, 289).

მართლაც, ერთი და იმავე მიმართულებით წარმოებული ზემოქმედების ხშირი გამეორება ყოველგვარ სიძნელეს სძლევს. ამით უნდა აიხსნას, რომ ხალხი სისტემატიურად მიმართავს თავის ნაწარმოებებში ფრაზების, ცალკეული ადგილების, გამოთქმების, სიტყვების, ბგერებისა და სხვ. გამეორებებს. ცნობილია, რომ თითქმის ყოველი ჯადოსნური ზღაპარი იწყება გამოთქმით „იყო და არა იყო რა“ და თავდება — „იგი იყო ჭირში, ჩვენ ვიყავით ლხინში“. განმეორებანი ამ სახის ნაწარმოებებში პერსონაჟთა ურთიერთმიმართვის დროსაც გვხვდება. ამასთან, მეტად საგულისხმოა საგალობლებიც „იავ-ნანა“, „მზე შინა და მზე გარეთა“ და ლექსი „მოდი, ვნახოთ ვენახი“, აგრეთვე — „ენის ვასატეხები“ და სხვ. პირველი საგალობლის ყოველ სტრიქონში მეორდება გამოთქმები — „იავ-ნანა“, და „ვარდო ნანა“. ასევეა საგალობელშიც — „მზე შინა და მზე გარეთა“, რომლის ყოველ სტრიქონშია გამეორებული „მზევ, შინ შემოდიო“. კიდევ უფრო საინტერესოა, ამ მხრივ, ლექსი — „მოდი, ვნახოთ ვენახი“, რომელიც სასწავლო მიზნით ყოფილა თვით ხალხის მიერ გამოყენებული. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მის ყოველ სტროფში მეორდება „მოდი ვნახოთ“ და „მიველ ვნახე“. და რადგან ხალხურ პოეზიაში განმტკიცებული გამეორების ამ სისტემას ზემოთ მოყვანილი აფორიზმიც ემატება, ე. ი. დებულებაც გვაქვს გამეორების მნიშ-

ვნელობაზე, გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ხალხი შეგნებულად მოითხოვს მას. უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოაღნიშნული გამეორებანი ნაწარმოებთა ძირითადი აზრების, მომენტებისა და ფრაზების დამახსოვრებასა და ბავშვის . ცნობიერებაში გამტკიცებას უწყობდნენ ხელს. მაგალითად, ლექსში — „მოდი, ვნახოთ ვენახი", ყოველ სტროფში მეორდება ის, რომ სხვადასხვა საგნებს შორის შეურიგებლობაა, რაც, ხალხის აზრით, დასაგმობია. დამახსოვრებასა და ცნობიერებაში განმტკიცებას ემსახურებოდა ზღაპრებსა და საგალობლებში წარმოებული და სისტემაში მოყვანილი გამეორებანი. მაგალითად, ზღაპრების დასასრულით — „იგი იყო ჭირში, ჩვენ ვიყავით ლხინში", უსათუოდ ეწყობოდა ხელი იმ შეხედულების განმტკიცებას, რომ „ბოროტი ძალები" და მავნე ადამიანები დასაგმობია, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო. აქვე ხდებოდა ამ აზრების, სათანადო გამოთქმებისა და სიტყვების დამახსოვრებაც. ამასთან, გამეორება ხომ მთელი ნაწარმოების დასწავლის საშუალებაც იყო ყოველთვის. ამავე მიზნით გამეორებანი ხშირადაა გამოყენებული საბავშვო ნაწარმოებებშიც. ბგერებისა და ცალკეული სიტყვების დამახსოვრებაში, აგრეთვე, ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა „ენის გასატეხი", რომელიც სწორედ საბავშვო ხასიათის ნაწარმოებია.

* * *

მისაწვდომობის პრინციპი. შეგნებულობით, თვალსაჩინოებით, თანმიმდევრობითა და გამეორებით მიზანს ვერ მივაღწევთ, თუ ბავშვის თავისებურებანი არ გავითვალისწინეთ. მართლაც, ზოგი ადამიანის მოქმედებისა რეალური მარაგზაა, ზოგისა — ვიწრო ბილიკი. აქ რამდენიმე მომენტია საყურადღებო. ვიცით, რომ მეცნიერული პედაგოგიკა მოსწავლის ასაკობრივ მომწიფებას ითვალისწინებს. რვა წლის ბავშვს გაცილებით ნაკლები მასალის შეთვისება შეუძლია, ვიდრე ცხრა, ათი, თერთმეტი, თორმეტი და ყოველი შემდგომი ასაკის ბავშვებს. ხალხს არ გააჩნია ბავშვთა ასაკობრივი პერიოდიზაცია. მისთვის, უმთავრესად, არსებობენ ჩვილი, პატარა და მოზრდილი ბავშვები. არის აგრეთვე გამოთქმები: გოგო, დიდი ქალი, ბიჭი, მოხუცი (ქალი და კაცი)[1], და ფოლკლორშიც ეს მიახ-

---

[1] ცნება „ქალი" საქართველოს სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა ასაკის აღმნიშვნელად იხმარება. მაგალითად, ჯავახურ, გურულ, რაჭულ დიალექტებში „ქალი" ნიშნავს — ცოლს (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1961, გვ. 649, 667, 689); მოხევურში „ქალი" აღნიშნავს

ლოებითი გამოთქმებია გათვალისწინებული. ხალხი ფიქრობს, რომ პატარა ასაკის ბავშვს, დიდთან შედარებით, მასალის ათვისებისა და ცოდნის დაგროვების ნაკლები შესაძლებლობა აქვს:

> პატარა ვიყავ ობოლი,
> გერათ გამოვყევ დედასა,
> ორც ვიცოდი მეხრეობა,
> ვერც გავყე გუთნისდედასა" („შრომის სიმღერები", გვ. 39).

სხვაგან კი პირდაპირაა ნათქვამი — ასაკობრივი სიპატარავე განსაზღვრავს ადამიანის ცოდნასა და მოქმედებასაო:

> „მეხრეობას ვერ გაგიწევ,
> პატარა ბიჭი მქვიანო" (იქვე, გვ. 37).

აქ არა მხოლოდ ნაკლები ფიზიკური შესაძლებლობა უნდა ვიგულისხმოთ, არამედ ნაკლები ცოდნაც. ეს იმასაც ნიშნავს, რომ პატარა ბავშვს მისი შეთვისების მცირე შესაძლებლობა აქვს. მეტად საგულისხმოა, რომ ჩვილი ბავშვისათვის, როგორც ვიცით, ხალხს აქვს გამოთქმები: „ალუ", „ტაი-ტაი" და ა. შ., რაც იმას ამტკიცებს, რომ ის ანგარიშს უწევს ბავშვის ასაკობრივ მომწიფებასა და შესაძლებლობას. ამ მოსაზრებას ის პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს და ყოველ ასაკზე ფიქრობს: იმ ნორმაზე ოდნავად მეტი მასალაც რომ მივაწოდოთ ადამიანს, რის დაძლევაც მას შეუძლია, მიზანს ვერ მივაღწევთ, მისთვის სულ მცირედ მეტი „ტვირთიც" კი მავნებელი იქნებაო: „აქლემს საცერი დაადგეს, — დაწვაო, ააცალეს — ადგაო" (ფ. ა. კოლექც. 8, გვ. 2). ჩანს, ხალხი ფიქრობს: სიძნელეები თანდათანობით უნდა იქნეს დაძლეული, აგრეთვე გათვალისწინებული იქნეს ბავშვის შესაძლებლობაც: ნუ დავქანცავთ მას, თორემ მცირეოდენი ზედმეტი, სიმძიმეც კი საკმარისია, რომ მან ხელი აიღოს დავალების შესრულებაზეო. ფოლკლორში კარგად ჩანს მარტივიდან და ადვილიდან უფრო რთულზე და ძნელზე გადასვლა. ხალხი ასაბუთებს კიდეც ასეთი წესის საჭიროებას. ცნობილია გამოთქმა — „ანი არა გქონდა, ბანს ვინ მოგცემდაო" (ფ. ა. № 24425).

ამიტომ ბავშვს სიძნელეების მიხედვით თანდათანობით უნდა მიეცეს შესასწავლი მასალა. ამ მოსაზრებას გადამწყვეტ მნიშვნელობას

გოგოს, ქალიშვილს (იქვე, გვ. 564), ასეთი შინაარსი აქვს მას გუდამაყრულშიც (იქვე გვ. 574). ფშაურში და ინგილოურში „ქალი" ქალიშვილს ნიშნავს (იქვე, გვ. 595, 623). ამრიგად, საერთოდ არ შეიძლება ითქვას, რომ „ქალი" უსათუოდ ბავშვის, ან მოზრდილი ადამიანის ასაკის აღმნიშვნელია, ხალხური შეხედულებით. ამ გამოთქმებს ჩვენ ხალხის საერთო მოსაზრებების გადმოსაცემად ვიყენებთ ასაკის შესახებ. სპეციალურად კი, ასაკობრივი პერიოდიზაციის საკითხს ამ ნაშრომში არ ვეხებით, მიკვლეული მასალის, უკმარობის გამო.

ანიჭებს ხალხი. სწავლება მარტივიდან უნდა დაიწყოს და თანდათანობით ვითარდებოდეს. თუ ასე არ მოხდა, ყველაფერი გაუგებარი იქნება. აი, მაგალითი — „ვინც თავი არ იცის, ბოლოს ვერ გაიგებსო“ (სვინტიძე, „ქართული ანდაზები“ გვ. 62).

ხალხი სამართლიანად ფიქრობს, რომ არ შეიძლება რთული მასალის ერთბაშად დაძლევა, რთული საქმიანობის შესრულება. ამიტომ ბავშვმა ერთი და იმავე დროს მხოლოდ ერთი რაიმე უნდა ისწავლოს. ცნობილია ანდაზა „ორი კურდღლის მადევარი, ვერც ერთს ვერ დაიჭერსო“, ან „ქორო, ბევრისა მდევარო, ბევრჯელ დარჩები მშიერი“ („ძველი საქართველო“, 3, განყ. 2, გვ. 46).

ამრიგად, მასალა ბავშვისათვის გასაგები, მისაწვდომი უნდა იყოს, მის შესაძლებლობას უნდა შეეფერებოდეს.

* * *

ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინების პრინციპი. თვითოეულ ბავშვს თავისი გონებრივი, ინდივიდუალური შესაძლებლობა აქვს. ამ შესაძლებლობის გათვალისწინებით უნდა დამყარდეს ბავშვთან ურთიერთობა. ხალხი ფიქრობს, რომ ყოველ ადამიანს, ყოველ ბავშვს თავისი ინდივიდუალური თვისებებიც აქვს — „შვილი ჩემია, მაგრამ ჭკუა კი თავისი აქვსო“ (თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 2, გვ. 288). ამიტომ ამბობს — რამდენი ადამიანია, ჭკუაც იმდენიაო და სხვ. შეიძლება დავასახელოთ სხვა გამოთქმაც: „კაცს სწორე გზა ჰქონდაო, მაგრამ აღმართს ირჩევდაო“ (ფ. ა. იქვე, გვ. 11). ამიტომ არ შეიძლება ყოველ ადამიანს ერთნაირად მივუდგეთ. ეს კი მოითხოვს — ჯერ მისი შესაძლებლობა და თვისებები გავიგოთ და შემდეგ დავამყაროთ მასთან ურთიერთობა. „სიტყვის თქმა რომ გინდოდეს, ჯერ გამგონი გასინჯე“ (იქვე № 26182). ეს გულისხმობს, რომ აღსაზრდელი ყოველმხრივ უნდა შემოწმდეს, გაგებული იქნეს — შეეფერება თუ არა მისი მომზადება იმის შინაარსს, რაც მას უნდა გადაეცეს, და გამომცდელი იმის მიხედვით უნდა მიუდგეს აღსაზრდელს, რასაც ეს შემოწმება უჩვენებს — „გონიერსა ერთი უთხარ, უგუნურსა — ათასიო“.

მაშასადამე, ადამიანმა უნდა იცოდეს — თუ მის წინაშე გონიერი ადამიანია, ის ერთხელ ნათქვამსაც კი გაიგებს, თუ უგუნურია, — მასთან გაცილებით მეტი ჯაფა და ნათქვამის ბევრჯერ გამეორება დასჭირდება, იმ შედეგის მიღწევისათვის, რასაც პირველ შემთხვევაში ერთი თქმითაც კი მიაღწევდა. თვით შედეგიც კი ინდივიდუალური შესაძლებლობის მიხედვით უნდა შეფასდეს. უნდა ვიცოდეთ, რომ „ქოფაკმა ძაღლმა რომ კურდღელი დაგიბრუნოს, კაი საქმეა (იქვე, № 7044). ამასთან ჩანს ისიც, რომ ბავშვი, მოზარ-

დი, ე. ი. ის, ვინც ცოდნა უნდა შეიძინოს, ფსიქოლოგიურადაც შემოწმდეს. უნდა გავითვალისწინოთ რა მდგომარეობაშია ის და ამის მიხედვით ვიქონიოთ მასთან ურთიერთობა. ამრიგად, ხალხი ადამიანის ფსიქოლოგიურ შესწავლასაც მოითხოვს. ადამიანებთან დამოკიდებულება და, კერძოდ, სწავლების პროცესი, ფსიქოლოგიური დაკვირვების შემდეგ უნდა ჩატარდესო. ეს ხალხური პედაგოგიური აზროვნების მეტად ძვირფას ელემენტად უნდა ჩაითვალოს.

მაშასადამე, ხალხი მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებათა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებასაც ცნობს საჭიროდ.

ხალხის მიერ შემუშავებული ესა თუ ის პრინციპი ერთნაირად უკავშირდება, როგორც ცხოვრების მოვლენებს, ისე სასწავლო პროცესს. სწავლების პროცესი ცხოვრებისეული პროცესია და მისი წარმატებით განხორციელებისათვის შეიძლება ის პრინციპები გამოვიყენოთ, რომლებიც ცხოვრების სხვა მოვლენებსაც ეხებიან. აქაც ჩანს სწავლების ცხოვრებასთან ორგანული კავშირი და ამაშია სწორედ ხალხური დიდაქტიკის ძალა.

ასეთია ფოლკლორში წარმოდგენილი მასალები, რომლებშიც კარკვეული აზრებია იმის შესახებ, თუ რა სახელმძღვანელო ფოსტულატებებს, ანუ პრინციპებს უნდა დავემყაროთ რომელიმე დასასწავლი მასალის გადაცემის დროს.

* * *

სწავლების შინაარსი. ხალხური სწავლების შინაარსში ვგულისხმობთ იმას, თუ რა უნდა იცოდეს ადამიანმა და რა მიზნით. ამის მიხედვით, ჩვენი ამოცანაა — ფოლკლორის მდიდარი ფონდებიდან გამოვიყოთ ისეთი მასალები, რომლებიც ზოგად გონებრივ და სპეციალურ მომზადებას, ბუნებისა და საზოგადოების შესახებ მოზარდის ცნობიერების ცოდნით გამდიდრებას და ხელობათა შესწავლას შეუწყობს ხელს, და აგრეთვე — გარკვეულ როლს შეასრულებს მის ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ მომზადებაშიც.

ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება მეტად მდიდარია სასწავლო მასალით. რა ხასიათისაა, ძირითადად, ეს მასალა და რა მიზანდასახულობით უნდა გამოვიყენოთ ის?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხალხს სწავლა-განათლება ცხოვრების წინააღმდეგობათა დაძლევის საშუალებად მიაჩნია და ამის გამო, ის რეალური განათლების პრინციპზე დგას. ძირითადად, სხვა მასალებთან ერთად, ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ნაწარმოები, რომელშიც ნათქვამია — „სიზმარი არ გამოდგება, სინათლე ჯობია ბნელსა“-ო („ძველი საქ“. 3, განყ. 2, გვ. 256).

ამრიგად, სიზმარი არარეალურია, ამიტომ მას უნდა გავემიჯნოთ, რათა თვალსაჩინო და ნათელი აზრებით ვიხელმძღვანელოთ.

ცოდნისა და გამოცდილების შეძენა, ხალხის აზრით, მხოლოდ იმდენადაა საჭირო, რამდენადაც ის ცხოვრების მოთხოვნილებებს უპასუხებს. მატერიალისტურმა თვალსაზრისმა ხალხს საშუალება მისცა, თუმცა შეუგნებლად, მაგრამ მაინც, ჯერ კიდევ უძველეს პერიოდებში, ადამიანის საქმიანობის ყოველ დარგში მტკიცედ დაეკავშირებინა ცოდნა-გამოცდილება ცხოვრებასთან. ამით აიხსნება, რომ ის ეჭვის თვალით უყურებდა ძველ სკოლას. ეს კარგად ჩანს ერთ-ერთი გლეხის მიმართვაში მასწავლებლისადმი: თქვენი სკოლის მოსწავლემ, რომელმაც სამი წელი დაჰყო სკოლაში, ერთი სიტყვაც ვერ ამოიკითხა ნაწერიდანო („ივერია", 1880, № 10). ასეთი სწავლა მიუღებელია, ხალხის აზრით, რადგან ის ცხოვრებაში გამოსაყენებელ ცოდნას არ იძლევა. ის უტილიტარიზმის პრინციპით უდგებოდა ყოველ ნაბიჯს განათლების დარგში. ამით აიხსნება ხელობის შესწავლისაკენ მისწრაფებაც:

„ე. მაგის მალექსებელი
არ არის დიდი ხნისაო,
სწავლა ძალიან მინდოდა,
ჯელობა მაშინისაო" („ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება", ელ. ვირსალაძის რედ., გვ. 407).

ზოგადი და პროფესიული სწავლის ერთიანობა რომ აუცილებელია, ეს კარგად ჩანს ლექსშიც, სადაც ხალხი პირობას ადებინებს ვაჟს ქალის წინაშე: „ვისწავლი წერა-კითხვასა, ხელობას და კარგ კალამსა-ო" („ძველი საქ." იქვე, გვ. 255).

ამრიგად, ხალხი რეალურ და მასთან ზოგად და პროფესიულ განათლებას მოითხოვს.

სწავლა-განათლებაში ის, ერთი მხრივ, არსებული ცხოვრების გაუმჯობესების, ხოლო, ხეორე მხრივ, მომავლის პერსპექტივასაც ხედავდა ყოველთვის. ხალხს მხედველობიდან არ გამორჩენია მასების განათლების შეზღუდვა კლასობრივ საზოგადოებაში, ის მძიმე მდგომარეობა, რომელიც განათლების დიდ წყურვილს აბრკოლებდა. ხალხი განათლების უფლებასა და თავისუფალ სკოლას მოითხოვდა და, როცა საბჭოთა წყობილების პირობებში მისი სურვილები დაკმაყოფილდა, ღრმად ასახა ის თავის შემოქმედებაში და აღფრთოვანებით აღნიშნა: საბჭოთა მთავრობამ მოგვცა — „სწავლა, დიდება გლეხებსა"-ო (თ. ბეგიაშვილი, „ქართული ფოლკლორი", გვ. 85). სხვაგან კი ნათქვამია:

„საწყალ ხალხს ბრალობს მთავრობა,
ასწავლის გლეხის შვილებსა"-ო (ფ. ა. № 22715).

ხალხი არა მხოლოდ აღსაზრდელის, არამედ აღზრდილისა და ნასწავლის სწავლასაც მოითხოვს: „ნასწავლი თუ არ სწავლობს, უწვიმო ღრუბელსა ჰგავსო“. ამასთან, ხალხური თვალსაზრისი განათლებაზე არ იფარგლება სასკოლო ასაკით. ხალხი ყოველ ასაკში ცნობს საჭიროდ სწავლას, ცნობიერების ცოდნით გამდიდრებას. ეს მისი პედაგოგიური აზროვნების შემდეგი ძირითადი და მნიშვნელოვანი თავისებურებაა.

მაგრამ ხალხს ზუსტად განსაზღვრული და გარკვეული არ ჰქონდა — რა მოცულობით გადაეცა ცოდნა მომავალი თაობისათვის. ამასთან არც სწავლების რეჟიმზე ჰქონდა მას წარმოდგენა. ის მხოლოდ ყოველდღიურ მოთხოვნილებათა შესაბამისად, აწვდიდა ახალგაზრდობას აუცილებელ ცოდნას, იმ ცოდნას, რაც ცხოვრებისათვის იყო საჭირო.

ფოლკლორში გაბარებული შეხედულებანი „სასწავლო საგნების“ ცოდნის მნიშვნელობის შესახებ.

1. მ შ ო ბ ლ ი უ რ ი ე ნ ა. ხალხი დიდი ყურადღებით ეკიდება წიგნის, წერა-კითხვის, ცოდნასა და მეტყველების განვითარებას. ადრინდელი პერიოდების ნაწარმოებებში „წერილი“ „წიგნად“ იწოდებოდა და ეს გაგება დიდხანს იყო ძალაში. ხალხის აზრით, „წიგნის“ ცოდნას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ყოფაცხოვრებისათვის. ეს ჩანს, როგორც ეპოსში, ისე სხვა სახის ფოლკლორულ ნაწარმოებებში. ეპიკურ ნაწარმოებთა შესწავლამ გვიჩვენა, რომ, ხალხის აზრით, „წიგნი“ წარმოადგენს ანდერძის გადაცემის, თაობათა შორის კავშირის დამყარების, იურიდიული ურთიერთობისა და ბოროტების წინაალმდეგ ბრძოლის საშუალებას. ფოლკლორის სხვა სახეების მიხედვით კი, ერთი მხრივ, უფრო ფართოდაა წიგნის მნიშვნელობა წარმოდგენილი, მეორე მხრივ, მას ახალი ფუნქციებიც აქვს. პირველი, ამბავისა და ცოდნის, ადამიანთა სურვილების, აზრებისა და განწყობილებების სხვა ადამიანებზე გადაცემის საქმეში მოჩანს. ხალხმა იცის, რომ ცოდნა, აზრი, განწყობილება, ტერიტორიითა და დროის ინტერვალით დაშორებულმა ადამიანებმა „წიგნით“, ანუ წერილით შეიძლება გაუზიარონ ერთმანეთს. ამბავის გადაცემაში „წიგნის“ მონაწილეობის აუცილებლობა კარგად ჩანს ერთ-ერთ ლექსში: გმირი წუხს, რომ თავისი მდგომარეობა ახლობლებს ვერ გააგებინა და შემდეგ წერილს მიმართავს: „სწორედ უამბე ყველასა დაბარებული ჩემი“-ო. (ა. შანიძე, „ქართ. ხალხ. პოეზია“, გვ. 171).

„ახ, შე ოხერო წერილო, მიდიხარ ფშავის მხარესა,
რა მალე ჩამოშორდები ამ უცხო არემარესა,
მე კი აქ დაღონებული ბედს ვემდურები მწარესა“
(„ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება“, 1958, გვ. 207).

ეპიკურ ნაწარმოებებში „წიგნის“ როლი თავისუფლებისათვის ბრძოლაშიც შეინიშნება. ეს ნათლად ჩანს ამირანის თქმულებაში ცამცუმის ანდერძის სახით, და იმ ზღაპრებშიც, რომელთა მიხედვით, ბოროტი ადამიანები დაბეჩავებული ახალგაზრდების დაღუპვის მიზნით, მათ ატანენ წერილებს, რომლებშიც წერია: „მოვიდეს თუ არა ეს ბიჭი, მოკალიო“. მაგრამ ამ ახალგაზრდებმა წერა-კითხვა იციან, წერილის შინაარსს გებულობენ და განსაცდელს თავს აღწევენ.

უნდა აღინიშნოს, რომ „წიგნი“ შინა სახელმწიფოებრივ საქმიანობაშიც გარკვეულ როლს ასრულებს. ავიღოთ არაგველების მიერ გაგზავნილი წერილი ერეკლე მეორისადმი. აქ თხოვნაა მეფისადმი — მოხუცებულობამ არ გატეხოს, მხნედ იყოს („სიბერემ არ შეგაშინოს, არ იყოს ქვეყნის ყვედრება“). ამასთან სიტყვას სდებენ მის წინაშე: თუშეთი, ფშავეთი და ხევსურეთი თავს გასწირავენ მტერთან ბრძოლაშიო (ვ. კოტეტიშვილი „ხალხ. პოეზია“, გვ. 269).

„წიგნს“ სახელმწიფოთა დიპლომატიურ ურთიერთობაშიც იყენებდნენ: სულთანი დაიძრა და „ქურჯთა მეფეს“[1] შემდეგი შინაარსის „წიგნი“ გაუგზავნაო: ან სამეფოზე აიღე ხელი, ან ხარაჯა და ან შენი ქალი მოგვეციო („ან ჩვენ დაგვიგდე სამეფო, გადაიარე მთანია, ან მოგვიკრიფე ხარაჯნი, ცხენ-ცხორი, ძროხა-ჯორია, ან მოგვეც ქალი რუსუდან, ტანჩი ალვისა ფერია“, — პ. უმიკაშვილი, იქვე, გვ. 11).

ამრიგად, „წიგნის“, ანუ წერილის მნიშვნელობა ასეთია ძირითადად: ის წინაპართა ანდერძის, ამბავის, სურვილებისა და მისწრაფებათა ადამიანებზე გადაცემის; აგრეთვე იურიდიული და დიპლომატიური ურთიერთობის საშუალებაა.

ჩვეულებრივ წიგნშიც სხვადასხვა ფუნქციას ხედავს ხალხი. მისი აზრით, ის ჭკუის დამრიგებელია და მასთან მასწავლებელიც („მუნჯი ვარ და სხვას ვასწავლი“, წიგნი; ფ. ა. № 27608). ჭკუა, ცოდნა და გონიერება ხომ მთავარია ხალხის აზრით. ეს ნიშნავს, რომ „წიგნი“ გამარჯვების ერთადერთ საშუალებად არ მიაჩნია ხალხს. მეტიც: მოვიგონოთ ხალხური ზღაპრების „წიგნის“ უცოდინარი გმირები, რომლებიც ყოველგვარ წინააღმდეგობას სძლევენ და ხშირად მაღალი წოდების წიგნიერ წარმომადგენლებსაც კი სჯობნიან; კერძოდ, ხალხური ნოველა რომლის მიხედვით მტრისაგან სამშობლო სწორედ გლეხის სტრატეგიულმა მოქმედებამ იხსნა, რადგან მეფე და ვეზირები ვერაფერს გახდნენ[2]. ხალხი აქ გონიერების მნიშვნელობას უსვამს ხაზს. საბჭოთა

---

[1] პროფ. ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი ს ცნობით, ამ ლექსის ერთ-ერთ ვარიანტში „გურჯთა მეფე“ არის მოხსენებული (პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1937, გვ. 567, შენიშვნები).

[2] ქართული ხალხური ნოველები, ჩაწერა, გამართა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ა ლ. ღ ლ ო ნ ტ მ ა, 1956, გვ. 140—143.

ფოლკლორში წიგნს და ცოდნას ადამიანის ქცევის გარდამქმნელის როლიც აქვს მინიჭებული: „წიგნმა და სწავლამ შესცვალა მთაში ჩხუბი და ხატები“-ო (ა. გომიაშვილის მასალებიდან).

წერილის მნიშვნელობით, „წიგნი“ როგორც ვიცით, წარმართული შინაარსის ნაწარმოებებშიც გვხვდება („ამირანი“, „მზე და მთვარე“). აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთივე ხასიათის ნაწარმოებებში ადრესატისათვის „წიგნის“ წამღებად მტრედია აღიარებული — (საილუსტრაციოდ — „დავჯექი, წიგნი დავწერე, მტრედსა შევაბი მკარადა“ (ა. შანიძე, „ქართული ხალხური პოეზია“, გვ. 487).

ხელოვნების ისტორია გვაწვდის ცნობას, რომლის მიხედვით, ვიდრე სახვითი ხელოვნება გაჩნდებოდა, იყო ერთგვარი გამოხატულება, — წერილის, როგორც გარკვეულ მანძილზე კავშირის დამყარების საშუალების ჩანასახი[1].

ფოლკლორული მასალებიდან ჩანს, რომ ჩვენს ხალხში წერისა და კითხვის სწავლის წყურვილი თანდათანობით იკიდებდა ფეხს, მაგრამ კლასობრივი ჩაგვრა და ცხოვრების მოუწყობლობა მას აბრკოლებდა. გასული საუკუნის 80-იან წლებში სანდალა (ზ. ჭიჭინაძე) მართებულად წერდა: „საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ პარტნოვის ხელოსნებში წერა-კითხვის რიცხვი ცოტა არის, თითქმის სულ გაუნათლებლის რიცხვისაგან შესდგება ხელოსნობის ამქარი“[2].

ასეთ ვითარებას თუ ქალაქში ჰქონდა მაშინ ადგილი (სადაც ყოველთვის მეტი შესაძლებლობა იყო წერა-კითხვის შესწავლისათვის), რაღა უნდა ითქვას შუა საუკუნეების ჩამორჩენილი სოფლის მოსახლეობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მოსახლეობა წერაკითხვის უცოდინარი იყო, ხალხი მაინც გადმოსცემდა ზეპირად თავის აზრებს. ქადაგებდა მშობლიური ენის შენარჩუნებას.

„ტოკო ბნელი ხარ ისევა,
ქართულში თათრულს ყბედამო;
როდის ისწავლი ლაპარაკს:
ქართულს როდის გაბედამო“ (ფ. ა. № 23910).

ფოლკლორულ ნაწარმოებებში ნაჩვენებია, აგრეთვე, სხარტი და მხატვრული სიტყვის უდიდესი როლი ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობაში.

ამრიგად, წერა-კითხვის ცოდნას და სწორ მეტყველებას ოდითგანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მშრომელი ხალხი.

---

[1] Основы марксистско-ленинской эстетики, 1961, გვ. 233.

[2] ს ა ნ დ ა ლ ა, საქართველოს მუშა და ხელოსან ხალხის ცხოვრების ისტორიის მასალები, 1926, გვ. 57.

* * *

ფოლკლორში ორი სახის ნაწარმოებნი შეიძლება გავარჩიოთ: 1. ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ყოველი ადამიანის აღზრდას ემსახურება და 2. ბავშვთათვის საგანგებოდ შექმნილი ნაწარმოებნი, ანუ საბავშვო ფოლკლორი. ამჟამად მხოლოდ საბავშვო ნაწარმოებებს ვეხებით. ავიღოთ სტროფი:

„ეეი ევისა,
ფეხი მდევისა,
ხმა ზურაბისა,
ხტომა ვეფხვისა (ბაყაყი — ხელნაწ. ინსტიტუტი, H, 24499, № 124).

ბუნებრივია, რომ საბავშვო ნაწარმოების შექმნა ბავშვთა აღზრდა-განვითარების მიზანს ემსახურებოდა.

* * *

ანგარიში ადამიანის ცხოვრების ყოველდღიურ საქმიანობასთან იყო და არის დაკავშირებული. ამით აიხსნება, რომ უძველესი კულტურის მკვლევარები მის წარმოშობას საზოგადოებრივი ცხოვრების პირველ საფეხურთან — ველურობასთან აკავშირებენ[1]. ამ მნიშვნელობის გამო, მან გარკვეული ადგილი დაიჭირა ძველი აღმოსავლეთისა და შემდეგ — ანტიკური საბერძნეთის სასკოლო განათლებაში. ანგარიშის ცოდნის მნიშვნელობა ქართველებსაც უძველეს პერიოდებში ჰქონდათ შეგნებული. საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის შემდეგი სიტყვები: „ახლა, როცა გამოირკვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ქართველების სარწმუნოებაში მთვარეს და მის შდგომარეობას, მცხრალისა, გავსებულისა და მთვარის აღვსების გამოცნობას, ცხადია, რომ ხატის მსახურებს უნდა კარგად სცოდნოდათ მთვარის ანგარიში“. ი. ჯავახიშვილს მოაქვს რ. ერისთავის ცნობა, რომ ფშავისა და ხევსურეთის ხევისბერი და დეკანოზი კითხვაზე, თუ რამდენი დღის იყო მთვარე, მაშინვე პასუხს მოგცემთო და განაგრძნობს: „ვინ არ იცის, რომ საქართველოში ამ ოცი წლის წინათ ყველამ ჩინებულად იცოდა, ზოგმა ახლაც იცის, მთვარის რაოდენობის გამოანგარიშება“-ო[2]. უნდა ვიფიქროთ — მთვარის გამოანგარიშებასაც ერთგვარი წვლილი შეჰქონდა ადამიანის მომზადების საქმეში და როგორც ჩანს, რეალური და მეტად საჭირო შედეგიც მოჰყოლია. ამასთან, რამდენადაც იგი მთვარის თაყვანისცემას უკავშირდებოდა, შეიძლება მე-

---

[1] საილუსტრაციოდ, Э. Тейлор, Первобытная культура, მოსკოვი, 1939, გვ. 184—185.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, I, 1960, გვ. 58.

ტიც ითქვას, ის საქართველოში ანგარიშის სწავლების ერთ-ერთ უძველეს ელემენტად შეიძლება მივიჩნიოთ. მნიშვნელოვანია, რომ ის არა ერთი რომელიმე ტომის ახალგაზრდების გონებრივი წრთობის საშუალება უნდა ყოფილიყო, არამედ მთელი ქართველი ხალხისა, რადგან ყველგან, „სადაც ქართველებს უცხოვრიათ, მთვარის თაყვანისცემის კვალი შერჩენილია; ამის გამო მთვარის ვითარცა მთავარ-მეუფისა და ღვთაების თაყვანისცემა, ყველა ქართველი ტომების უძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს“ (იქვე, გვ. 59, ხაზი ი. ჯავახიშვილისაა).

* * *

ხშირია ისეთი ფოლკლორული ნაწარმოებები, რომლებიდანაც ჩანს, რომ ხალხს აუცილებლად მიაჩნდა ისტორიული წარსულისა და გეოგრაფიის ელემენტების ცოდნა. ხალხის აზრით, ისტორიული ფაქტები არა მხოლოდ წარსულის, არამედ თანამედროვე ცხოვრების გაგების, შესწავლისა და მისი გაუმჯობესებისათვის მოზადებაში ეხმარება ადამიანს. ნაწარმოების — „დაჯექ, გვიამბე, მოხუცო“ მიხედვით, ახალგაზრდები მოხუცს მიმართავენ:

„მაინც გვიამბე მოხუცო,
შენი ჭირიმე, შენია,
ძველი დროების ამბები,
ახლისა გამომჩენია“ (ვ. კოტეტიშვილი, იქვე, გვ. 96).

წარსულის შესწავლა თანამედროვეობაში გარკვეასაც აადვილებს. ასე უწყობს ხელს ისტორიის ცოდნა ადამიანის გათვითცნობიერებას.

* * *

თავის შემოქმედებაში ხალხი გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს ამა თუ იმ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ცოდნას. ადამიანს, როდესაც საკმაო წარმოდგენა არ აქვს თავის სამოქმედო ადგილზე, მიზანს ვერ მიაღწევსო სამართლიანად ფიქრობს ხალხი.

ზღაპარში „სამი ძმა“, ჯადოსნური რაში „ასწავლის“ გმირს საცხოვრებელ ადგილს იმ მომღერალი ფარშავანგისას, რომლის მოყვანა მას მამამ დაავალა. მან ასე აუწერა ვაჟს ფარშავანგისაკენ მიმავალი გზა: „პირველად შეგხვდება კუპრივით შავი მდინარე“, შემდეგ — ტბა, შემდეგ — „ცამდე აზიდული ეკლის ღობე“. შემდეგ — „გაქვავებული ქვეყანა“[1]. „მომღერალი ფარშავანგის სასახლეზე“ კი რაშმა ვაჟს უთხრა — ამ სასახლეს მაღალი და რკინის კარებიანი გალავანი

[1] ქართული ხალხური ზღაპრები, შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი ს რედაქციით, წინასიტყვაობითა და ლექსიკონით, 1959, გვ. 142—144.

აქვსო. თან მიუთითა ისე მოქცეულიყო, როგორც ამ პირობებს შეეფერებოდა. ვაჟმა ისარგებლა ამით და მიზანს მიაღწია. ამრიგად, საშოქმედო ადგილის გაცნობით შეისრულა ვაჟმა მიზანი.

ამ ნაწარმოებში თუ ადგილმდებარეობის ცოდნის მნიშვნელობაზეა მითითებული, სხვაგან ამა თუ იმ ადგილისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი პირობებისა და მათი ცოდნის საჭიროებაცაა ხაზგასმული: „ცხენმა ცხენს ჰკითხა: მინდორში როგორი ბალახიაო, — ჭიანჭველას მალავსო". ამის მიხედვით დასკვნაც არის აქვე გაკეთებული — ეს ბალახი უვარგისია, რადგან მას „გემო წასვლიაო" („სწავლა სიბერემდისო", გვ. 112). ადგილმდებარეობისა და პირობების ცოდნა მიზანდასახულობის განხორციელებაში რომ ეხმარება ადამიანს, ეს ხალხური დებულებითაც ჩანს; „ლეჩხუმურ ლობიოს ლეჩხუმური წყალი მოხარშავსო"[1], ან — „ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო" (იქვე, გვ. 47).

ამრიგად, გეოგრაფიული ხასიათის ცოდნა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცხოვრებაში, იგი ადამიანის გამარჯვების ერთ-ერთი საშუალებაა.

* * *

ცნობები ბუნებაზე. ბუნებაზე ხანგრძლივი დაკვირვება ადამიანის გონებრივი ჰორიზონტის გაფართოების ერთ-ერთი საფუძველი იყო ყოველთვის. ზემოთ გაირკვა, რომ უძველეს ნაწარმოებთა მიხედვით, ბუნება ადამიანის სასარგებლოდ მოქმედებს: ცა მას წვიმას უგზავნის, რის შედეგად ის მეურნეობას აწარმოებს და არსებობის საშუალებას იქმნის. მზე გზებს უშრობს, მთვარე ღამით უნათებს. შემდეგდროინდელ ნაწარმოებებში კი ხალხმა რეალისტურად ასახა ბუნების მნიშვნელობა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის: მისი გამოყენება მიწათმოქმედებაში, მშენებლობაში, მესაქონლეობაში და ა.შ. ამასთან ხალხმა იცის, რომ ყველაფერი ეს ბუნების შესწავლით შეიძლება. მაგრამ ბუნების შესწავლას უფრო მეტი სიკეთეც მოაქვს: იგი ადამიანის დაღუპვისაგან ხსნის ერთ-ერთი პირობაა. ამირანის თქმულების ფშაური ვარიანტის ერთ-ერთი ეპიზოდის მიხედვით, (როგორც ვიცით), „თაგვმა ბალახით გააცოცხლა" თავისი შვილი. ამით ყამარმა ისარგებლა: მონახა ასეთივე ბალახი და ბრძოლაში დახოცილ ამირანსა და მის ძმებს სიცოცხლე დაუბრუნა. ხალხი მიუთითებს — ბალახის თვისების ცოდნამ ეს ადამიანები სიკვდილს გადაარჩინაო. თქმულების „ყველაზე ძლიერი" გმირი — ბიმურზელი დარწმუნდა, რომ ადამიანი ბუნების მოვლენებზე უფრო ძლიერია (გაზ. „მუშა",

---

[1] ა ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვ. მასალები, გვ. 46.

1938. № 215). მაშასადამე, ბუნების ძალთა შეცნობამ ბიმურზელი უფრო შეგნებული და ცხოვრებისათვის მომზადებული გახადა. „ამირანი“ და „ყველაზე ძლიერი“ უძველეს პერიოდებში შექმნილი ნაწარმოებებია. შემდეგი პერიოდების ქმნილებებში კიდევ უფრო ნათლად ჩანს ბუნების შესწავლის მნიშვნელობა:

„აცა ზაფხული მოვიდეს, თოვლი გამოშრეს მთისაო,
ვნახოთ, ვერ ჩამაგდებსა ბაირახ თუშებისაო“ (ხალხური სიტყვიერება თ. რაზიკაშვილის მიერ შეკრებილი, III, გვ. 280).

ამრიგად, ზამთრისა და ზაფხულის თვისებათა ცოდნა მომავლის იმედს უქმნის ადამიანსო.

საბჭოთა პერიოდის ფოლკლორში, ბუნების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მოვიგონოთ ხალხური ლექსის შემდეგი ნაწყვეტი — „ხალხი ისე განვითარდა, მაღლა იწევს მთვარეზე“, ან — „ზაჰესმაო „ქარხნები აგვიმუშავა, სინათლეს გვაძლევს თვალშია“ და ა. შ. ამრიგად, ბუნების ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წინააღმდეგობათა დაძლევასა და ცხოვრების მოწყობისათვის. რაც შეეხება სამეურნეო ხასიათის სასწავლო მასალას, მის შესახებ ზემოთ გვქონდა აღნიშნული.

ცოდნა-გამოცდილების გადაცემის მეთოდები

ცოდნის დაუფლების აუცილებლობა ადამიანს აძებნინებდა გამარჯვებისათვის საჭირო გზებსა და საშუალებებს. ფ. ენგელსი ბარბაროსობის პერიოდსაც კი ცნობდა ისეთ პერიოდად, „როცა ადამიანის საქმიანობის შემწეობით ბუნების პროდუქტების წარმოების გადიდების მეთოდების ათვისება ხდება“[1]. რამდენადაც ახალგაზრდობის აღზრდის აუცილებლობას ხალხი თავიდანვე გრძნობდა, ბუნებრივია, მას აღზრდის საშუალებებზე უნდა ეფიქრა. ამით უნდა აიხსნას, რომ ცოდნის გადაცემის ზოგიერთ მეთოდს უძველესი პერიოდების ქართულ მითოლოგიურ ზღაპრებშიც კი ვხვდებით, ხოლო უფრო გვიანდელ პერიოდში — ცოდნის დაუფლების მეთოდის საჭიროების დასაბუთებაც ჩანს. პირდაპირაა ნათქვამი: „კაცს გონს წაართმევს სიბნელე, თუ გზა არ იცის სწორადა“ (ვ. ხორნაულის მასალებიდან). ქართულ ფოლკლორში ცოდნის გადაცემის შემდეგი მეთოდებია, ჯერ-ჯერობით, შენიშნული: თხრობა, ახსნა, კითხვა-პასუხი და ვარჯიში.

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, II, 1964, გვ. 224—225.

თხრობა და ახსნა. ფოლკლორის თანახმად, ცოდნის გადამცემი, უფრო ხშირად, თვით ხალხია, ზოგჯერ კი მისივე აზრების გადამცემად ნაწარმოების რომელიმე პერსონაჟია გამოყვანილი.

ამის მაგალითებს ვხედავთ ნაწარმოებში, რომელთა პერსონაჟები მრავალი სახის ცოდნას გადასცემენ ადამიანებს. ჯერ, საილუსტრაციოდ, დავასახელებთ ნაწარმოებს, რომელიც, ჩვენი აზრით, იმ პერიოდს უნდა ეხებოდეს, როცა ადამიანი ჯერ კიდევ არ იყო ბუნებისაგან გამოყოფილი და მიაჩნდა, რომ ადამიანის ენა თუ გველის ენას შეეხო — ადამიანი ბუნების საგნებისა და მოვლენების ენას გაიგებს. აი, ზღაპარი — „დურგალი და მისი ცოლი" (პ. უმიკაშვილი, „ხალხური სიტყვიერება", III, გვ. 132—135). საყურადღებოა, რომ ცხოველი, რომლის ენასაც ადამიანი თავის ენას შეახებს, ხშირად, ამ უკანასკნელს აფრთხილებს — ეს არავის უთხრა, თორემ მოკვდებიო. აქ, თხრობის საშუალებით, გადაცემულია აზრი: ბუნების საიდუმლოების გამჟღავნება დანაშაულია და ვინც მას ჩაიდენს, სიკვდილითაც კი დაისჯებაო.

ცოდნის თხრობით გადაცემას ვხედავთ მეურნეობის სხვადასხვა დარგშიც, კერძოდ მევენახეობაში, მაგ. — ცოდნის გადაცემა იმის შესახებ, რომ ვენახისათვის სასუქია საჭირო:

„შენ სასუქი მომიმზადე
თითო ჯინი თითო ძირსა,
ისეთ მტევნებს გაგიკეთებ,
არ ჩავიდეს გოდრის პირსა".

და შემდეგ დარიგებაა — საწნახელის სათანადოდ გამზადების შესახებ (ხალხური სიბრძნე, IV, პროფ. ქს. სიხარულიძის შედგ., მისივე წინასიტყვაობით, შენიშვნებით, 1965, გვ. 63—64).

თხრობის გამოყენებას ვხვდებით წისქვილის შესახებ ცოდნის გადაცემის დროსაც. როგორც აღნიშნულია, არსებობს ლექსი — „წისქვილისა", რომელშიც სწავლებაა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაკეთდეს წისქვილი (ღარი პირამდე უნდა გაითალოს, გაკეთდეს: ბორბალი, ქვა, სარეკელი და ა. შ.). მაგრამ ხალხი ამაზე არ შეჩერებულა; მან შექმნა გამოცანებიც, რომლებიც აფართოებდა ბავშვის წარმოდგენას წისქვილზე. ამ გამოცანებს ჩვენ ასე ვალაგებთ: ა. გამოცანები, რომლებიც წისქვილის შიგნითა მოწყობილობაზე აძლევდა ბავშვს წარმოდგენას:

„ზედადგარი ზედ ნადგარი
ზედ ირემი გაწოლილი" („ხალხ. სიტყვ. მასალ". II, გვ. 126).

აქვე მოვიგონოთ ზემოხსენებული ლექსის ადგილი: წისქვილსო — „შიგნით ლამაზი ქვა უნდა, ხვიმირი და სარეკელი, საკონწიალო სხვა

უნდა“. ეს ნაწილებიც წისქვილის შიდა მოწყობილობაში შედის.

ბ. გამოცანები, რომლებიც საერთო წარმოდგენას უქმნის ბავშვს წისქვილის მოქმედებაზე:

„თოფი ხისა, ტყვია წყლისა,
ხეს ეცა და ქვა გაიქცა.“

და გ. გამოცანები, რომლებიც დაფქვის პროცესზე იძლევა ცნობებს. ერთი მხრივ აქ პირველი გამოცანის ბოლო ნაწილია საყურადღებო, რომელიც ზემოთ არ მოგვიყვანია „ზევიდან აყრიან, ქვევით ჩამოდის“ (პირველ ნაწილში — „ზედადგარი ზედ ნადგარი, ზედ ირემი გაწოლილი“, — იგულისხმება წისქვილის ქვები და ე. წ. სარეკელი, რომელიც მარცვლის მიწოდებას ანაწილებს) და გამოცანა:

„დათვი სჭამდა, რახრახებდა
მასპინძელი ყურს უგდებდა“.

უკანასკნელი სტრიქონი მეწისქვილის მეთვალყურეობას ეხება. აქვე თუ მოვიგონებთ ზემოხსენებული ლექსის ადგილს — „ზედ რომ ბური დააყარო, იმასაც კარგი ფქვა უნდა“, — მეწისქვილისადმი მიმართული დარიგებაც გვექნება.

შეიძლებოდა წისქვილის შესახებ ბავშვებისათვის მიწოდებული ცნობები ერთგვარი სისტემის სახით წარმოგვედგინა; ცნობები წისქვილის მთავარ გარე ნაწილებზე (შენობა, ღარი, ბორბალი); შიგნითა ნაწილებზე (წისქვილის ქვები, სარეკელი და სხვ.); წისქვილის მოძრაობაზე (წყლით ბორბლის ამუშავება; აგრეთვე დაფქვის პროცედურაზე — მარცვლის ზევიდან ჩამოყრა და სხვ.) და — მეწისქვილის მოვალეობაზე (მეთვალყურეობა, რათა მარცვლები კარგად დაიფქვას).

თხრობას აქვს ადგილი მეხილეობის სწავლების დროსაც. როგორც ზემოთ ითქვა, ხალხი ბავშვებს ცნობებს აწვდიდა ხეხილებსა და ბოსტნეულზე, ასკილზე, ვაზზე, ყურძენზე, მაყვალზე და ა. შ. (საილუსტრაციოდ, „ხალხური სიტყვიერების მასალები“, II, გვ. 127—130), რითაც ბავშვი ეცნობოდა მათ თვისებებს. აქ მოვიტანთ გამოცანას ღვინოზე. შეიძლება ითქვას, ამ გამოცანაში, ალეგორიული ფორმით, ღვინის მოყვანის ისტორიაა წარმოდგენილი: „დედა ლამაზი, მამა კოჭლი, შვილი გადარეული“, რაც უწყობდა ხელს სხვადასხვა საგნისა და მათი თვისებების შედარებით (სიკოჭლისა — ვაზის ნამყენთან; ღვინის ადამიანზე ზემოქმედებისა — გადარეულ ადამიანთან, და ა. შ.), აზროვნებისა და წარმოსახვის განვითარებას. ავიღოთ შემდეგი მაგალითიც:

„ცას ვკიდე ხელი, ვერ ვკიდე,
ვარსკვლავებს დავედარები,

ქერეი მაქვს, მეტად მწარე მაქვს,
ფერით ლალს დაეედარებ,
თასი მიბოძეთ, დაეყარო,
იაგუნდი და ლალები“ (იქვე, გვ. 128).

ამ გამოცანაში ჩანს ბროწეულის ქერქის თვისებები (სასიამოვნო ფერი, მასთან სიმწარეც და სხვ.), რომლებიც შესანიშნავ სურათებს უქმნის ბავშვს ამ მცენარეზე. ფოლკლორში ასეთი ცნობები თითქმის ყოველ მცენარეზე მოიპოვება, რაც კარგ საშუალებას წარმოადგენდა მათი ნიშან-თვისებების შესასწავლად.

თხრობა, ხშირად, საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვებებს ემყარება, რასაც შრომის პროცესში აქვს ადგილი. ახსნა-განმარტებას კი ვხვდებით, მაგალითად, თამაშში „ჩიტიფაფობა“. აქ ცოდნაა იმის შესახებ, რომ ცომის შემზადებისათვის წყალია აუცილებელი. ახსნაა ნაწარმოებშიც „ზღაპარი არაბზანგისასა“: თვით მოსწავლე, მეფის ვაჟი ეკითხება მასწავლებელს იმის შესახებ, თუ რას აღნიშნავს სიტყვა — „ქვეყანა“, რასაც სათანადო პასუხი მოსდევს.

ეს მეთოდი დამოუკიდებლადაც მრავალ ნაწარმოებში გვხვდება. მოვიგონოთ მითოლოგიური ლექსი — „მზე და მთვარე“. აქ მზე მთვარეს უხსნის: ჩვენ, და-ძმებმა ერთმანეთი რატომ უნდა შევიძულოთ, როცა მე აუცილებელი ვარ ქვეყნისათვის, რადგან გზების გაშრობა შემიძლია, ხოლო შენ ამის შესაძლებლობა არ გაქვსო. ახსნა გვხვდება ლექსშიც „თვეები“ (რომლითაც ბავშვი მოსავლისათვის საჭირო კლიმატურ პირობებზე ღებულობს ცნობებს). ამავე მეთოდს ვხედავთ ცნობილ ლექსშიც ტოროლას შესახებ, ბავშვის ცნობიერებაში შემდეგი აზრის ჩასანერგავად: ტოროლა ადრე დილით აღვიძებს მეხრეს. ამიტომ არ უნდა მოკლათო. დამოუკიდებლად გვხვდება ეს მეთოდი ბატონყმობის მამხილებელ შემდეგ ლექსშიც:

ქართლი იმისთვის დავაგდე,
თოვლს დასდებს, აღარ აიღებს,
რაც მოსავალი მომიკა,
მოვა ბატონი წაიღებს“ („ძველი საქ.“ II, განყ. 5, გვ 76).

თხრობა და ახსნა ზემოთ აღნიშნულ ყველა „სასწავლო საგანშია“ გამოყენებული. როგორც ვიცით, ამ მეთოდების გამოყენებისას ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვაა საჭირო, რასაც ზოგჯერ ფოლკლორში ვხვდებით.

კითხვა-პასუხი (საუბარი) თხრობის შემდეგ, ყველაზე უფრო გავრცელებული მეთოდია ფოლკლორში. დიალოგი, რომლის გარეშე ეს მეთოდი წარმოუდგენელია, მრავალ ნაწარმოებში გვხვდება. კითხვა-პასუხს ხალხი დიდად აფასებს, რადგან მასში ცნობისმოყვარეობის

აღძვრის კარგ საშუალებას ხედავს. ცნობისმოყვარეობის აღძვრა კი მას სრულიად სამართლიანად მიაჩნია ცოდნის დაუფლებისა და, საერთოდ, ადამიანის განვითარების კარგ საშუალებად. ამიტომ ის მრავალ ნაწარმოებში მიმართავს ამ გზას და მის სასურველ შედეგებსაც გვიჩვენებს. ავიღოთ ზღაპრები, რომელთა ახალგაზრდა პერსონაჟებს, ხშირად, მოხუცი ქალები, რომელიღაც ძნელად მისასვლელ ადგილას მყოფ მზეთუნახავზე ჩამოუგდებენ საუბარს და ინტერესს უღვივებენ მის მიმართ. მაგ. ზღაპარში „ლერწმის ქალი“, ვაჟმა ქალს კოკა გაუტეხა, რის გამოც მას უთხრეს — „ისეთი ქალის სიყვარული ჩაგივარდეს გულში, რომ ადამიანის ნაშობი არ იყოსო“ („ხალხური სიბრძნე“ I, 1963, გვ. 65—72). ბიჭი მართლაც წავიდა იმ ქალის საძებნელად და მიზანს მიაღწია. ინტერესის აღძვრას ვხედავთ ზღაპარშიც „მარაღოჯი“ („ჯეჯილი“, 1893, № 5, გვ. 45—48). აღძრული ცნობისმოყვარეობა ადამიანს აიძულებს ბრძოლისათვის ემზადოს. ბრძოლა კი, მის განვითარებას იწვევს.

ხალხი ნათლად გვიჩვენებს კითხვა-პასუხის როლს ამ საქმეში, გარკვევით ამბობს: მისი გამოყენებით ძნელად ასათვისებელ ცოდნასაც კი შეიძლება ადამიანი დაეუფლოსო — „კითხვა-კითხვით კაცი იარუსალიმშიც კი მივა“ (სვინტიძე, გვ. 108). მაშასადამე, კითხვის დასმითა და მასზე სწორი პასუხით ადამიანი ყოველთვის მიაღწევს მიზანს. აქ, ერთი მხრივ, ცოდნის დაუფლების დიდი პერსპექტივაა გადაშლილი ახალგაზრდობის წინაშე, მეორე მხრივ კი შემდეგი დარიგება ჩანს: დაბრკოლებათა დასაძლევად ადამიანმა სხვა ადამიანების ცოდნა-გამოცდილება უნდა გამოიყენოს. კითხვა-პასუხის მეთოდის ასეთი დაფასებით უნდა აიხსნას, რომ ქართულ ფოლკლორში ვხვდებით მასალებს, რომლებშიც კითხვა-პასუხი ხალხის მიერ ცოდნის გადაცემის საშუალებადაა აღიარებული. „მოდი ვნახო ვენახის“ ერთ-ერთ, მესხურ, ვარიანტში სამი პირია დასახელებული: „მკითხავი, მოპასუხე და დამსწავლი“ („ძველი საქართველო“, 2, განყ. 5. გვ. 117). იგულისხმება: ერთი მათგანი კითხვას სვამს, ვთქვათ, — „რამ შეჭამა ვენახი“. მეორე უპასუხებს: „თხამ შეჭამა ვენახი“, ხოლო მესამე მეორესთან ერთად სწავლობს. ჩვენი საკითხისათვის აქ ის არის მთავარი, რომ თვით ხალხი მოითხოვს ამ ლექსის დასწავლისათვის კითხვა-პასუხის მეთოდს. მისი აზრით, კითხვა-პასუხი ორი მხრივ მაინც ემსახურება სწავლების მიზანდასახულობას: 1. ბავშვი ეცნობა მთელ რიგ ცოცხალ და არაცოცხალ საგნებს, მათ ურთიერთდამოკიდებულებას (ვენახის, თხის, მგლის, თოფის, ჟანგისა და ა. შ.) და ამა თუ იმ საგანში მომხდარ ცვლილებებს (მაგ, დაჟანგვის შედეგად თოფის დაზიანებას); 2. ბავშვი სწავლობს სიტყვებს, ეუფლება ცნებას.

კითხვა-პასუხის (საუბრის) მიხედვით, ფოლკლორული ნაწარმოებები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველი ის ჯგუფია, რომელშიც შეკითხვის მიცემისთანავეა გაცემული პასუხი. საილუსტრაციოდ ავიღოთ შემდეგი კითხვები:

1. კამეჩი რატომ წვება?

პ ა ს უ ხ ი: იმისთვინ, რომ ჯდომა არ იცის (იქვე, № 31040); ფ. 3 № 311039)

2. ბატი ცურვას საიდან იწყებს?

— ნაპირიდან (იქვე).

3. ბატი რო ცურავს საით მიდის?

პ ა ს უ ხ ი: საითაც თავი აქვს (იქვე);

4. სახლში რისთვინ მივდიეართ?

პ ა ს უ ხ ი: იმისთვის რომ სახლი ჩვენთან არ მოვა (იქვე);

5. ნეკსს ყუნწი საით აქვს?

პ ა ს უ ხ ი: საითაც ძაფს უყრით (იქვე).

ნაწარმოებთა მეორე ჯგუფი კი არ მოითხოვს უშუალო პასუხს. ასეთია ყოველი გამოცანა. საილუსტრაციოდ:

„აგერ იმ გორას, რა არის?
ამწვანებული მთა არის,
შიგ უსხეთს ოქროს კბილები,
ვერ გამოიცნობ რა არის (მარწყვი)" — („ხალხ. სიტყვ. მასალები", II, გვ. 122).

ან

„პირთამდისინ სავსე არის.
თოხლითა და ციკანითა" (ბროწეული. — ქს. სიხარულიძე, „საბავშვო ფოლკლორი", გვ. 219).

გამოცანებში კითხვა-პასუხის თავისებური სახე გვაქვს. ამ ნაწარმოებში კითხვა თავისთავად იგულისხმება, მაგრამ ყოველ მათგანში როდია ის წარმოდგენილი. ასეთია, კერძოდ, შემდეგი გამოცანები:

„თაეხერხი, ბოლო ნამგალი,
ვინძლო ამოხსნა საგანი (მამალი") — („ხალხური სიტყვიერების მასალ"., გვ. 118).
„უსაზღვრო ყანა, უთვალავი ძნა (ცა და ვარსკვლავები)".

არც ერთ ამ გამოცანაში კითხვა არ ჩანს, მაგრამ ახსნა (რომელიც ყოველი გამოცანისათვისაა აუცილებელი) ხომ პასუხს წარმოადგენს, რაც კითხვის შედეგია.

ამრიგად, გამოცანაში ცოდნის გადაცემა, ერთი მხრივ, კითხვა-პასუხის გამოყენებით ხდება, ამასთან კითხვა-პასუხის საშუალებით მოზარდი არა მხოლოდ იმ საგნებს ეცნობა, რომლებიც უშუალოდაა მათში დასახელებული, არამედ ნაგულისხმევ, საძიებელ საგნებსაც. ეს კი ხელს უწყობს არა მხოლოდ სხვადასხვა საგნების გაცნობას, არა-

მედ მათი მსგავსება-განსხვავებისა და ურთიერთკავშირის შეცნობა-საც, რაც ლოგიკური აზროვნების განვითარების საუკეთესო საშუალებაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კითხვა-პასუხი თამაშშიც გვხვდება. ერთ-ერთი ასეთი თამაშია განხილული სტატიაში — „ძველი ქართული გართობა"[1]. ირკვევა, რომ ეს თამაში ანბანის ზეპირად შესწავლისათვის უნდა ყოფილიყო შექმნილი. ავტორი წერს: „ბავშვები რომ ერთად დასხდებიან, ერთი რომელიმე ასე იწყებს"-ო. „ანზედ ვისი მეზობელი ხარ?". ავტორს სხვა კითხვებიც მოაქვს. მაგალითად: „შენი გვარი"?, „საიდან მოდიხარ?", ან „ბანზედ ვისი მეზობელი ხარ?", „რა გქვიან?" და ა. შ. მოპასუხეს, როგორც თამაშიდან ჩანს, „ა"-ნთან დაკავშირებულ კითხვაზე იმ სიტყვებით უნდა ეპასუხნა, რომლებიც ამ ასოზე იწყება (აბაშიძე, და სხვ.); „ბ"-სთან დაკავშირებულ კითხვებზე კი „ბ"-თი დაწყებული სიტყვებით (ბერიძე, ბეჟან და სხვ.). წერილის ავტორის გადმოცემით პასუხი სწრაფი უნდა ყოფილიყო და თანაც ერთი და იგივე სიტყვა არ გამეორებულიყო. ავტორი აგრეთვე აღნიშნავს: ეს სათამაშო არა მარტო ბავშვებისათვის არის სასარგებლო, არამედ დიდებისთვისაც.

ამასთან ერთად, წერილში ნათქვამია: „კითხვა-პასუხი მთელს ანბანზედ ითქმისო". ასეთ კითხვებს უძველესი ყოფაცხოვრების ამსახველ ნაწარმოებებშიც ვხვდებით. კერძოდ, დრამატულ ნაწარმოებებში, სახელწოდებით — „ჭყინტულდ ანუ ლელი და ლეკურ-ყაბა" (დ. ჯანელიძე, „ქართული თეატრის ხალხური საწყისები", გვ. 125—129). აქ ქაჯისა და ჭყინტულდის დიალოგია წარმოდგენილი. რომლითაც სხვადასხვა ხასიათის ცოდნას ღებულობდა მოზარდი: ქაჯის კითხვაზე — „საალებოდ რა გყავდა დაყენებული"-ო, ჭყინტულდი უპასუხებს, — წიქარა-გიშერაო. ამას ლოგიკურად უკავშირდება მიმართვა — ის წიქარა-გიშერა პატარა იქნებაო, და მასზე პასუხიც — „პატარა კი არა ძალიანი დიდი: მისი ტყავი ეკლესიასაც გადახურავს"-ო. შემდეგი დიალოგი ეხება იმას, პატარაა თუ არა ეკლესია, ლეკვი და ნადირი, რომელსაც ლეკვი იჭერს, მაგრამ რომელიც ნაძვის ხესაც კი შეიძლება აახტეს. პატარაა, თუ არა თვით ნაძვის ხე, რომელიც ზღვაზეც კი შეიძლება ხიდად გაიდოს. ასევე პატარაა თუ არა ცხენი, ცხვრის ფარა და სხვა. ჭყინტულდის ყოველი პასუხი იმის მტკიცებას ეძღვნება, რომ საგნების სიპატარავე-სიდიდე დიდ როლს ასრულებს ამა თუ იმ საქმიანობის შესრულებაში. მაგალითად, წიქარა-გიშერას ტყავი სწორედ თავისი სიდიდით წვდება ეკლესიას, რომელსაც ის ძაღლიც კი ვერ შემოუ-

---

[1] „ნაკადული, საყმაწვილო ჟურნალი მოზრდილთათვის", 1907, № 6, გვ. 62. წერილს ხელს აწერს კ. ყ ი ფ ი ა ნ ი.

ვლის სამ წელიწადს, რომელიც ნადირს სამი გახტომით ეწევა; რომ სიმდიდრისათვის მნიშვნელობა აქვს გუთნეულს, ცხოველების სიმრავლეს და სხვ. ეს ელემენტარული ცნობებია, მაგრამ პატარა ბავშვის გონებრივი განვითარებისათვის აუცილებელი იმ მხრივაც, რომ კითხვების თანმიმდევრობა და მათზე პასუხი, ლოგიკური მსჯელობის უნარის განვითარებას ემსახურებოდა. გარკვეული წესია დაცული ამ კითხვების დასმაშიც; ამა თუ იმ საგნის სიდიდე-სიპატარავეზე მსჯელობა დასახული მიზნის განხორციელებას უკავშირდება, მაგ. ხარის ტყავის სიდიდე — შენობის გადახურვას; ხის (ნაძვის) სიდიდე — მის ხიდად გამოყენებას და ა. შ. მაშასადამე, გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის სათანადო სიდიდის ნივთები და მოქმედებაა საჭირო და ა. შ. საყურადღებოა ისიც, რომ ეს მსჯელობა ობიექტურად არსებულ რეალურ საგნებსაც ეხება, რაც მძლავრ პირობას წარმოადგენს გარემოზე წარმოდგენის შესამუშავებლად.

აზროვნების განვითარებასთან ერთად, ხალხის მიზანი ბუნების „ავი“ ძალების დამარცხებაც იყო. ეს ამ ნაწარმოებებშიც ჩანს, მაგრამ აქ არა ფიზიკური ძალებით ხდება მათი დამარცხება, არამედ — გონიერებით. აი, რას ამბობს ქაჯი ჭყინტულდთან კამათის შემდეგ: „ა, შე გრძნეულო, შე კუდიანო, ცოტ-ცოტა ყველა მომიტყუებია, ამ ჭყინტულდისათვის ვერაფერი მომიხერხებია“-ო (იქვე, გვ. 126—127). მართლაც, როგორც სწორად შენიშნავს დ. ჯანელიძე, ჭყინტულდი ქაჯს ცოდნითა და ხერხიანობით ძლევს (იქვე, გვ. 128). ასეთ ნაწარმოებთა შესწავლით მოზარდის ზნეობრივ ფორმირებასაც ეწყობოდა ხელი. მაშასადამე, ზემომოყვანილ ცნობებს საგნების შესახებ, კითხვა-პასუხის გამოყენებით, მტკიცედ აკავშირებდა ხალხი თავის მიზანსწრაფვასთან — დაეძლია ბუნება, დაემტკიცებინა, რომ ადამიანის გონება ბუნების ყოველ ძალაზე (ქაჯზეც კი) ძლიერია. ყველაფერ ამას ის ახალგაზრდობის გათვითცნობიერებისათვისაც იყენებდა.

ამრიგად, კითხვა-პასუხის მეთოდი აქ არა მხოლოდ ცოდნის დაუფლების, არამედ ერთგვარი მსოფლმხედველობის აღზრდის საშუალებაც არის.

* * *

აქ გვინდა აღვნიშნოთ სწავლების ერთ ფორმაზე, რომლის ნიშნები ქართულ ხალხურ შემოქმედებაშიც უნდა მოჩანდეს, ჩვენი აზრით, და რასაც აპაგოგიური მტკიცება ჰქვია.

საყურადღებოა ლექსი — „სანთლის გუთანს ავაშენებ“, რომელიც ჟურნალ „თეატრში“ დაიბეჭდა:

„სანთლის გუთანს ავაშენებ, შიგ შეეგბამ უღელ დევსა,
ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ, მშრალად ვინადირებ თევზსა,

აქლემს ბარ-საკვეთს ავკიდებ, უკან გაკაყოლებ მგელსა,
ყინულზედ კალოს გავლეწავ, მშრალად გადავეყრი ბზესა,
ჰინკველას გოდორს ავკიდებ, კამპეჩებს დაუყრი ბზესა"[1].

ეს ნაწარმოები ფანტასტიკურ სურათებს ჰქმნიდა და ჰქმნის ბავშვის წინაშე, რასაც მისი შინაარსის არარეალურობა (აბსურდობა) ადასტურებს.

საყურადღებოა, რომ იაკობ გოგებაშვილს გარკვეული ცვლილებები მოუხდენია გამოქვეყნებულ ლექსში: 1. „თეატრში" ამ ლექსის სათაურია — „ხალხური ლექსი", იაკობს დაურქმევია „შესაძლებელია?" ეს ნიშნავს, რომ მას ეს ნაწარმოებები ბავშვის საფიქრელად, ტვინის სავარჯიშოდ გაუხდია, რაც საინტერესოა პედაგოგიური თვალსაზრისით; 2. უკანასკნელ ტაეპში „დაუყრი" „დავუყრით" შეუცვლია. აპაგოგიური მტკიცების მიხედვით, ადამიანს მცდარ დებულებას აწვდიდნენ და მსჯელობის შედეგად ის რწმუნდებოდა, რომ ეს დებულება მცდარი იყო, და მაშასადამე, მისი საწინააღმდეგო აზრი იქნებოდა მართებული. ზემოთ მოტანილი ლექსის გაცნობის დროსაც ბავშვი ნათლად ხედავს, რომ საქმე აქვს ერთი მხრივ, ნამდვილად არსებულ, ხოლო, მეორე მხრივ, გამოგონილ საგნებთან და მოვლენებთან. ხვდება, რომ მიწაზე ხვნა და ლეწვა რეალური მოვლენებია, ხოლო ზღვაში ხვნა და ყინულზე კალოს გალეწვა — არარეალური და შეუძლებელი. ქართულ ფოლკლორში ამის სხვა ანალოგიური მასალაც აღმოჩნდა (ან. ხინთიბიძე, „ქართული ფოლკლორი ბავშვთა აღზრდის სამსახურში" — „საყმაწვილო ლიტერატურის მოამბე", 1973, № 9, გვ. 36—39). ამ მეთოდს, ჯერ კიდევ, სოკრატე მიმართავდა. იგი სწორედ ასეთი მსჯელობით არწმუნებდა მოსაუბრეს ამა თუ იმ აზრის სისწორეში. ასეთ მასალას ბავშვში ხალისიანობა შეაქვს, რაც ცოდნის დაუფლებას აადვილებს. ისე, რომ შეიძლება ითქვას — ქართულ ფოლკლორში გვაქვს აპაგოგიური მტკიცების ნიმუშები.

ხალხური კითხვა-პასუხის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ კითხვებს ხშირად თვითონ მოზარდები აყენებენ მცოდნე ადამიანების წინაშე, ე. ი. თვითონ „მოსწავლეები" არიან „სასწავლო პროცესის" ინიციატორები. ამის რამდენიმე შემთხვევა ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, მაგალითად, ლექსში — „დაჯექ, გვიამბე მოხუცო", ან ავიღოთ ერთ-ერთი თამაშიდან ბავშვის სიტყვები: „რა ვქნა, რა ვქნა,

---

[1] „თეატრი", 1886 წ., № 40, გვ. 461. წერტილები ტექსტისეულია. ეს ლექსი შესწორებით შეიტანა ი. გოგებაშვილმა „დედაენაში" (ტ. 5, გვ. 381). ის ისწავლება ამჟამადაც (ნ. ბ ო ც ვ ა ძ ე, ე კ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, „ქართული ენა", II კლ. სახელმძღვანელო, 1974, გვ. 93).

როგორა ვქნა, როგორ ავიღო ცხრა ჩხირი", და იქვე „მასწავლებლის" პასუხიც: „ცხრა დადე და ცხრა აიღე, ასე აიღე ცხრა ჩხირი" („ძველი საქ.", 2. გან., 5. გვ. 84).

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ: „1. კითხვა-პასუხს, როგორც ცოდნა-გამოცდილების გადაცემის მეთოდს, ფოლკლორში დიდი ადგილი აქვს დათმობილი; 2. იდეას ბუნების ძალების დაძლევის აუცილებლობის შესახებ, ჩვენი ხალხი შეგნებულად, თუ შეუგნებლად, მტკიცედ აკავშირებდა საგნებისა და მოვლენების ამ მეთოდით ახალგაზრდობისათვის გაცნობასთან; 3. ახალგაზრდობის აღზრდის ამ ორი მომენტის ერთმანეთთან შერწყმა უძველეს პერიოდებში უნდა პოულობდეს საფუძველს. გარდა მითოლოგიური ზღაპრებისა, ეს ჩანს ზემოგანხილულ ასეთივე ხასიათის თქმულებებსა და დრამატიულ ნაწარმოებებშიც. 4. ხალხური კითხვა-პასუხი არა სიტყვების დაზეპირების მიზანდასახულობის მქონე კატეხიზისური საუბარია, არამედ ცხოვრების მოთხოვნილებებით გამოწვეული, საქმიანი, ცოცხალი; აღმგზნები და შთამბეჭდავი საუბარი. იგი ევრისტიული ხასიათისაა. აქედან — მას კონკრეტულობა, სიზუსტე და მოკვეთილობა ახასიათებს, რადგან საგნის ან მოვლენის არსების გაგებას ისახავს მიზნად. 6. თითქმის ყოველი ხალხური კითხვა-პასუხი ბავშვისათვის მიმზიდველია, რაც ცოდნისადმი ინტერესსა და მისწრაფებას იწვევს.

ვარჯიშიც ფოლკლორში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. შეიძლება ითქვას, ხალხს შეგნებული აქვს მისი როლი მეტყველების უნარისა და სხვადასხვა სახის ცოდნის დაუფლების, შრომაში ჩვევის გამომუშავების, საერთოდ, აქტიური ადამიანის მომზადების საქმეში. ამით უნდა აიხსნას, რომ ვარჯიში ბავშვის პრაქტიკულ საქმიანობაში არაიშვიათად, თანმიმდევრულ სახეს ღებულობს. აქვეა აღსანიშნავი, რომ ხალხი ვარჯიშს ადრე, ჩვილობის პერიოდში აწყებინებს ბავშვს და შემდეგ თანდათანობით ართულებს. აღსანიშნავია ბგერის დაუფლებაში ვარჯიში — „აღუ"-ს გამეორება. შემდეგ, მეტყველების დაუფლების პროცესში, ვარჯიში თანდათანობით რთულდება ნაადრევ ასაკში, განსაკუთრებით დიდ როლს თამაში ასრულებს: თამაშის დროს ადგილი აქვს ბგერების, საგანთა სახელებისა და სხვ. ხშირ გამეორებებს, რაც დიდად უწყობს ხელს ცოდნის განმტკიცებას. საყურადღებოა თამაშობანი, რომლებშიც ბავშვთა მოძრაობა ბგერების გამოთქმას უკავშირდება. პატარა ბავშვებში ვხვდებით ასეთ თამაშს:

„როცა გითხრა ე,
არ გამოხვიდე,
როცა გითხრაი,
მაშინ გამოდი" (ჩემს მიერ ჩაწ. მასალებიდან)"

ასეთი თამაშობანი ბგერების დამახსოვრების კარგ საშუალებას წარმოადგენს.

სახელების დამახსოვრებას ხელს უწყობდა ცნობილი თამაში — „ტაი-ტაი ტასო“, რომელიც მეოჯახეობას ეხება. აქ ბავშვები იმეორებენ ტერმინებს: „ცოცხი“, „დარბაზი“, „ყაჭ-აბრეშუმი“, რაც მათ დამახსოვრებასა და ამასთან — მათი დანიშნულების გაგებას და დასწავლას უადვილებს. ასევე მესაქონლეობისა და მეფრინველეობასთან დაკავშირებით, ზემოთ მოყვანილ ერთ-ერთ ლექსში სამჯერ მეორდება სიტყვა — „ბატი“, რაც ხელისშემწყობია ამ ფრინველის სახელის დასწავლისათვის.

ხალხი ბგერებისა და სიტყვების ვარჯიშობაში დიდ როლს ანიჭებს „ენის გასატეხს“ და „ჩქარაგამოსათქმელს“. ჩვენს მიერ აღნიშნულია, რომ ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან და, ორივე მეტყველების განვითარებისათვის შეუქმნია ხალხს („ენის გასატეხი“ რომელიმე ბგერის გამოთქმაში დეფექტის გამოსწორების, ხოლო „ჩქარგამოსათქმელი — „ფრაზების და კომპოზიტების დაუფლებისა და მათი სწრაფად გამოთქმაში ჩვევის გამომუშავებისათვის). ამ მიზნით, ორივე შემთხვევაში თანმიმდევრული გამეორებებია ხალხის მიერ გამოყენებული.

სიტყვებისა და მასთან — საგნების ნიშან-თვისებათა დასწავლა-დამახსოვრების მხრივ, საყურადღებოა ლექსიც „მოდი, ვნახოთ ვენახი“. აქ გამეორებათა მწყობრი და მზარდი სისტემა გვაქვს. ჯერ პირველი სტროფის ბოლოს მეორდება ამავე სტროფში მოხსენებული სიტყვები. მაგრამ შემდეგ მათი გამეორება სტროფებშიც ხდება, ახლად დასახელებული საგნების სახელებთან ერთად:

...მ ი ე ე ლ ვ ნ ა ხ ე ვ ე ნ ა ხ ი, თ ხ ა მ შ ე ჭ ა მ ა ვ ე ნ ა ხ ი.
მოდი ვნახოთ თხაო, რამ შეჭამა თხაო;
მიეელ, ვნახე თ ხ ა ო, მგელმა ჭამა თ ხ ა ო.
მ გ ე ლ მ ა თ ხ ა, თ ხ ა მ ვ ე ნ ა ხ ი შ ე ჭ ა მ ა“.

შემდეგ სტროფში სიტყვათა ამ მწკრივს „თოფი“ ემატება და ყველა მომდევნო სტროფში ხდება თოფის გამეორებაც.

„თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა“.

მომდევნო სტროფში კი, სიტყვებს „ჟანგი“ ემატება და აქაც ყველა ერთად მეორდება. შემდეგში — „მიწა“ („მიწამ ჭამა ჟანგი“) და ეს სიტყვებიც ერთად მეორდებიან. შემდეგ კი „თაგვისა“ და მასთან ყველა სიტყვის გამეორებას აქვს ადგილი. ბოლოს, სიტყვათა ამ

მწკრივს „კატა“ ერთვის, ხოლო საძიებლად ყველა ზემოხსენებული სიტყვის ერთად წარმოთქმა გვაქვს:

„კატამ თაგვი, თაგვმა მიწა,
მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა“.

ეს, ასე ვთქვათ, „დასკვნითი, შემაჯამებელი გამეორებაა“ იმ სიტყვებისა, რომლებიც ამ ლექსით დაისწავლეს ბავშვებმა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ლექსი ისეთ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც თვით ხალხის მიერ უნდა ყოფილიყო სასწაულო მიზნით გამოყენებული.

ზემომოყვანილ მასალებში შეიძლება გავარჩიოთ მარტივი და რთული გამეორებანი. „მოდი ვნახოთ ვენახის“ პირველ სტროფებში, როგორც აღვნიშნეთ, რამდენიმე გამეორებაა (ვენახი, თხა), შემდეგში — საგანთა სახელების უფრო მეტი რაოდენობისა (თოფი, მგელი, თხა და ა. შ.), ბოლოს — სახელების კიდევ უფრო მეტი რიცხვისა (კატა, თაგვი, მიწა, ჟანგი, მგელი და ა. შ.).

ხალხი არც ზემოაღნიშნულით კმაყოფილდება და გამეორებათა ერთგვარ ნორმასაც გვაწვდის, რაც ზოგიერთი „ენის გასატეხიდან“ ჩანს: „ჩიტმა რკო ჭამა, რკო ყლაპა, რკო მუხაზე გაიტანა, გაარჩია და შეჭამა“; აქ სამჯერ გამეორების მოთხოვნაა. სამჯერ გამეორებას ვხვდებით აქვე მოთავსებულ მეორე „ენის გასატეხშიც“[1]. ზემოთ განლაგებული მასალის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ხალხს სიძნელე-სინამდვილის მიხედვით „ენის გასატეხის“ ორი ჯგუფი შეუქმნია: ერთი ადრეული ასაკის ბავშვთათვის და მეორე — უფრო მოზრდილთათვის.

„ენის გასატეხს“ რამდენიმე თავისებურება აქვს, რომლებიც დიდად უწყობს ხელს მეტყველებაში ვარჯიშს: ა. ბევრი მათგანი ბავშვებისათვის სახალისო ცხოველებსა და ფრინველებს ეხება: — თხას, ჩიტს, მტრედს, („თეთრი მტრედი“ და სხვ.). ბ. „ენის გასატეხის“ წარმოთქმა გართობის ხასიათს ღებულობს, ხოლო არასწორად თქმა სიცილსაც კი იწვევს ხშირად; გ. ბგერების, მარცვლების, სიტყვებისა და წინადადებების გამეორებებში შეჯიბრს აქვს ადგილი, რაც ინტერესს აძლიერებს. ყველაფერი ეს კი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ამრიგად, ერთი მხრივ, თვით „ენის გასატეხშია“ გამეორება,

---

[1] საქართველოს სსრ ლიტერატურის მუზეუმის არქივი, 8487, ხ. ფურც. 19. შემდეგ მითითებული იქნება ასე: სლმ. ფონდი და ნომერი.

მეორე მხრივ კი, შეჯიბრების პროცესი იწვევს მას. გამეორებათა ასეთი მკაცრად გამიზნული სისტემა დიდად არის ბავშვის ენის გამართვის, სიტყვის სწორად წარმოთქმისა და ენის დაუფლებისათვის ხელის შემწყობი.

ზემოაღნიშნულის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ „ენის გასატეხშიც“ გამეორებათა იგივე პრინციპია გამოყენებული, რაც ლექსში „მოდი ვნახოთ ვენასი“, მაგრამ პირველში, ერთი შეხედვით, უჩინარი, რადგან ამ სახის ნაწარმოები, თავისი სიპატარავის გამო, არ შეიძლება გამეორებათა შემცველი იყოს და ისიც იმგვარად, რომ მარტივიდან იწყებოდეს და თანდათანობით რთულზე გადადიოდეს. ამრიგად, წესიც და მასალის ზემოხსენებული დალაგებაც ორივე ნაწარმოებში საერთოა. აქ დაცულია ზემოხსენებული პრინციპი ცოდნის თანდათანობით დაუფლების შესახებ. ვარჯიშს არითმეტიკის სწავლების დროსაც იყენებს ხალხი. აქ საჭიროა ითქვას, რომ მის გასაადვილებლად იგი ხშირად მიმართავს გათვლის რითმულ, და ამავე დროს, ბავშვისათვის სახალისო დაბოლოებას. მაგალითად:

> მატარებელი მოსკოვში მიდის
> ორობით, სამობით, ოთხობით,
> ხუთობით, ექვსობით,
> შვიდობით, მშვიდობით“ (ფ. ა. კოლ. 29ბ, გვ. 85).

ასეთი დაბოლოებანი ბავშვში თამაშისადმი ინტერესის გამომწვევია, ინტერესი კი ცოდნის განმტკიცების ხელის შემწყობი.

საყურადღებოა განმტკიცებული წესი: ხალხი მზამზარეულ სათამაშოებს კი არ აწვდიდა ბავშვებს, არამედ თვითონ ბავშვები ამზადებდნენ მათ[1]. ამას კი, გარდა იმისა, რომ აქტიურობა შეჰქონდა მათში, ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ გარკვეულ ვარჯიშს წარმოადგენდა ხელსაწყოების, საგნების დამზადებაში. ეს გარემოება იმ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ ბავშვები თამაშის წესებს ორგანიულად აკავშირებენ თამაშისათვის საჭირო პრაქტიკულ საქმიანობასთან, რაც თავის მხრივაც, ერთგვარი ვარჯიშია, სინამდვილესთან ცოდნის დაკავშირების მხრივ.

ამრიგად, ხალხი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ვარჯიშს — ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცების საქმეში.

ცოდნა-უნარის შემოწმება და გამოცდა. ხალხური გამოცდა, პირველ რიგში, იმ მხრივ იპყრობს ყურადღებას, რომ მისი მიზანი მოზარდთა გონებრივი განვითარება და უნარ-ჩვევების გამომუშავებაა. შეტად საინტერესოა ამ მხრივ გამოცანები. ისინი, რო-

---

[1] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. 7, 1953, გვ. 14—15.

გორც აღნიშნული გვაქვს, შემდეგ ჯგუფებად შეიძლება დაიყოს — გამოცანები, რომლებშიც: 1. რამდენიმე საგანია წარმოდგენილი; 2. რომლებიც არითმეტიკული ამოცანების შემცველია; 3. ჩვევის გამომუშავებას ემსახურება ამა თუ იმ საქმეში; 4. სწავლასა და სასწავლო ნივთებს ეხება და სხვ.

ყველაფერი ეს ბავშვის გონებრივი და ზოგჯერ, ზნეობრივი განვითარების, კარგი საშუალებაა, ამასთან ხელს უწყობს ისეთი თვისებებით შეიარაღებას, რომელიც ბავშვს საშუალებას მისცემს არა უბრალო ხერხიანობა გამოიჩინოს, არამედ შექმნილი სიტუაციის ყოველი მხარე განჭვრიტოს; სხვა მოვლენებთან ურთიერთობაშიც წარმოიდგინოს საგნები და სწრაფი რეაგირება მოახდინოს მათზე. ეს მომენტი უაღრესად საინტერესო უნდა იყოს საბჭოთა პედაგოგიკისათვის.

ამრიგად, ხალხი რთულ პირობებს ქმნის „გამოსაცდელი" მოზარდისათვის, რათა ამ უკანასკნელმა მტკიცე ცოდნა შეიძინოს და მისი გამოყენებაც შეძლოს ყოველგვარ პირობებში. ხალხი ფიქრობს: თუ ადამიანი თავის მომზადებას რთულ ვითარებაში ვერ გამოიყენებს, ჭეშმარიტ მცოდნედ ვერ ჩაითვლებაო. ჭეშმარიტი მცოდნე ის კი არ არის, ვინც რაიმე შეისწავლა, არამედ მხოლოდ ის, ვინც მას უნარიანად მოიხმარს სრულიად მოულოდნელ შემთხვევაშიო. აქ მეტად საყურადღებოა ანდაზა „ვინც ცეკვა იცის, ხარის ცოხნაზედაც აჰყვებაო". მაშასადამე, მოცეკვავემ ასეთ მდგომარეობაშიც უნდა გამოიყენოს თავისი ცოდნა; არ უნდა დაიბნეს იმის გამო, რომ ტაშს არ უკრავენ. ეს დამოუკიდებელი აზროვნების აუცილებლობაზე მიუთითებს და უაღრესად მნიშვნელოვანია საბჭოთა აღზრდისათვის. ჩანს, ხალხმა იცის, რომ შეცვლილი ვითარება ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს ადამიანისათვის. ამას შეიძლება დავუკავშიროთ შიში, როგორც ხელის შემშლელი გარემოება გამოცდის დროს. ესეც შეიძლება მდგომარეობის შეცვლით იყოს გამოწვეული:

> -ქვიდან ქვაზე გარდამავალსა,
> წყალსაც ფერი შეეცვლების"-ო („ჯეჯილი", 1902; № 3, გვ. 65).

ისიც დაბრკოლებას წარმოადგენს, რომ ადამიანი ყოველთვის არ არის აქტიურ მდგომარეობაში — „ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო". ცხადია, ეს ანდაზა შეუძლებელია ადამიანის ყოველ ქცევას მივუყენოთ. თუ ასე მოვიქცევით, გამოვა, რომ პასიური და ზოგჯერ უდარდელი ადამიანიც კი უნდა გავამართლოთ. მაგრამ მთელი ქართული ფოლკლორი მის წინააღმდეგაა მიმართული: ის სწორედ აქტიურობას და პასუხისმგებლობას მოითხოვს. ამიტომ, ამ ანდაზის გავლენის სფერო ადამიანის ცნობიერების კონკრეტული მდგომარეობის ფარგ-

ლებში უნდა ვეძიოთ. ცნობიერების სპეციფიკურ ვითარებას, ძირითადად, პასუხისათვის ადამიანის მზადყოფნის საკითხი უნდა დავუკავშიროთ. რა თქმა უნდა, ხალხმა ისიც იცის, რომ ადამიანი არც აქ შეიძლება ყოველთვის გავამართლოთ. მაგრამ ამ მომენტში ჩვენთვის საინტერესო გამოცდის წინაშე მდგარი ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობაა. ხალხი ფიქრობს: არ არსებობს ადამიანი, რომელსაც რაღაც შესაძლებლობა მაინც არ ჰქონდეს, არ არსებობენ ყველაფერში უნიჭო და უუნარო ადამიანები, და ამ აზრს უნდა ვემყარებოდეთ მისი ცოდნა-უნარის შეფასების დროსო. ამისათვის ორი რამ არის საჭირო: ადამიანის შესაძლებლობის გაგება და მისი გამოვლენისათვის საჭირო პირობების შექმნა.

როგორც გარკვეულია, ხალხის აზრით, ჭკუის გამოყენებას უცოდინარობა უშლის ხელს, მაგრამ, არის სხვა მიზეზებიც, კერძოდ ის, რომ ხშირად ადამიანს ბევრი რამ ავიწყდება და უნდა მოვაგონოთ — როდის როგორ მოიქცესო. ფოლკლორში ამ დებულების მრავალნაირი დასაბუთება გვაქვს. ჯერ ყამარის დარიგებას მივმართოთ ამირანისადმი. როგორც ვიცით, ცისმპყრობელთან ბრძოლის დროს მან ამ უკანასკნელს ასწავლა:

„მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა,
დაბლა შემოჰკარ რბილოსა“-ო და ა. შ.

ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყამარმა ამირანზე უკეთ იცოდა ბრძოლის წესები. პირიქით, თქმულების ყველა ვარიანტში სწორედ ამირანია მოწინავე მებრძოლად გამოყვანილი. მიუხედავად ამისა, სწორედ ამირანს დასჭირდა ბრძოლაში ასეთი დახმარებაო, გვანიშნებს ხალხი. რატომ? უნდა ვიგულისხმოთ, რომ მას დაავიწყდა ასეთ პირობებში ბრძოლის რა წესი აერჩია. ყამარმა სწორედ ეს მოაგონა მას. ამას გარდა, ცნობილია ხალხური ლექსის სტროფიც:

„ახალი პატარძალი ვარ ჭკუა ვერ მოვიგონეო,
ჩიქილით სახლი დავგავე, ცოცხი ვერ მოვიგონეო“ და ა. შ.

ოჯახური საქმის რა უცოდინარიც არ უნდა ყოფილიყო ეს პატარძალი, შეუძლებელია, ის მაინც არ ცოდნოდა, რომ სახლის დაგვა სწორედ ცოცხით შეიძლება და არა — ლეჩაქით. მაგრამ სახლის დაგვაზე ხალხმა იმიტომ მიუთითა, რომ ეთქვა: ადამიანის ცნობიერებას არ შეუძლია ყოველ მომენტში ყოველი ცოდნის შენარჩუნება. ეს აზრი რომ დამაჯერებელი გაეხადა, ხალხმა ერთგვარ ჰიპერბოლას მიმართა — პატარძალმა ისიც კი ვერ მოიგონა სახლი რით დაეგავა და ძნელი რამ ხომ უფრო ადვილად შეიძლება ადამიანს დაავიწყდესო. ამრიგად, ადამიანის ცნობიერება მართლაც რომ არაა ყოველ მომენტ-

ში მზად კითხვაზე პასუხისათვის. ამ აზრს გამოხატავს ანდაზაც ადამიანს „ხან მჭადის სახელიც დაავიწყდებაო“.

მჭადი, ფიქრობს ხალხი, ყველაზე ახლოა ადამიანთან, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ის ყოველდღიური საკვებია, მაგრამ ეს ყოველდღიურად აუცილებელი საგნის სახელიც კი ავიწყდება, ზოგჯერ, ადამიანსო. შესაძლებელია, აქ გარკვეულ როლს ასრულებდა ზემოაღნიშნული პერსონაჟების ერთგვარი არაცნობიერი დამოკიდებულება მათ წინაშე არსებულ მოვლენებთან. როგორც პროფ. რ. ნათაძე აღნიშნავს „განწყობის თვისებათა რიგი, მათ შორის მოვლენის გაუცნობიერებლად ასახვა ექსპერიმენტალურად დადგენილ ფაქტს წარმოადგენს“[1]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ, მაგალითად, ამირანისათვის მოულოდნელი იყო დოლებშარიან მოწინააღმდეგესთან ბრძოლა. ამის გამო, ამ უძლიერესმა მებრძოლმაც კი ვერ მოიგონა ხმლის მოქნევის წესი. ანალოგიური ვითარებით შეიძლება აიხსნას ანდაზაც მჭადის დავიწყების შესახებ. ხალხი ფიქრობს: ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი მდგომარეობა მოსალოდნელია და დავეხმაროთ ადამიანს, მოვაგონოთ საჭირო ცოდნაო. ამასთან საჭიროა საერთოდაც ჰქონდეს ცოდნის გამოვლენას გარკვეული პრაქტიკული საფუძველი: ცხოვრების მოთხოვნილებებმა უნდა დაარწმუნოს მოზარდი პასუხის აუცილებლობაში. აი, ამ აზრის ერთ-ერთი საილუსტრაციო მასალა: „იყო ერთი კაცი, ყავდა ერთი შვილი, იმისი შვილი დადიოდა სასწავლებელში. ერთხელ, როცა შვილი მოვიდა სასწავლებლიდან, მამამ უთხრა შვილს:

— შვილო, ერთი რუსული სიტყვა მითხარიო.

— რა ვთქვაო, — უთხრა შვილმა.

— ერთი რუსული სიტყვა მითხარიო, — ისევ უთხრა მამამ.

ბავშვი შეჩერდა და იდგა უძრავად. მამას გული მოუვიდა და იფიქრა „ტყუილად დადის სასწავლებელში და არაფერი არ იცისო. მოდი, გამოვიყვან სასწავლებლიდგანაო“. ამ დროს შემოვიდა სახლში ძაღლი, ბავშვს გული მოუვიდა და ძაღლს დაუყვირა:

— პაშლა საბაკა ნადვორო.

მამას ძალიან გაუხარდა და თქვა: „შენი ჭირიმე, შვილო, ეს ხომ რუსული არისო. — დიახ, უპასუხა შვილმა“ (ფ. ა. № 403).

ფსიქოლოგიაში დამტკიცებულია: თუ ადამიანს დასწავლის რეალური მოტივები არ აქვს და თუ სწავლის პროცესი შრომის დროს დასმული საკითხების გადაჭრაში არ მიმდინარეობს, დამახსოვრებას ხელი ეშლება[2]. შეიძლება ითქვას: მ ა ს ა ლ ი ს დ ა ს წ ა ვ ლ ი ს მ ე-

[1] რ. ნ ა თ ა ძ ე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1959, გვ. 283.

[2] ა. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი, სწავლისა და შრომის პირობებში მეხსიერების აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები, 1959, გვ. 24—25.

ტად მნიშვნელოვანი ფაქტორი აღსაზრდელის წინაშე არსებული კონკრეტული საჭიროებაა.

ამრიგად, მოთხოვნაზე პასუხის გაცემისათვის ისეთი ბუნებრივი პირობებია საჭირო, რომლებიც „გამოსაცდელს“ აიძულებენ ცოდნა გამოავლინოს. შემდეგი პირობა მისი წინასწარი გაფრთხილებაა იმის შესახებ, რომ გამოცდა მოელის. მოვიგონოთ გამოთქმა — „გამოცანას დაგიყენებ, ახსნი, შენი ბედიაო“. მაგრამ ზოგჯერ ამას თხოვნაც უნდა დავუმატოთ, რათა პატარა ბავშვში ინტერესი აღვძრათ პასუხისათვის. მაგალითად, გამოცანა ადამიანის ახრდილის შესახებ ასე ბოლოვდება: „თქვენი ჭირიმე მიშველეთ ეს რა გადამეკიდაო“ („ხალხ. სიტყვ. მას“. II, გვ. 119).

ამასთან ხალხი ფიქრობს — ადამიანთან საუბრისას მისი ვითარებაც უნდა იქნეს გათვალისწინებულიო — „კაცმა კაცის დარდი არ იცოდა და შუაღამისას სიზმარს ეუბნებოდაო“, და შემდეგ გარკვევით მიუთითებს: „ვისაც ფეხზე წაღა უჭერს, იმას სხვისი სიტყვები არ ეყურებაო“ (ხელნ. ინსტ. Q. 965, გვ. 156—248). ხალხი ფიქრობს: ვინც ასეთ ფსიქოლოგიურ ვითარებას ვერ გაითვალისწინებს, ადამიანის შეფასებაში შეცდებაო.

„გამოცდის“ გაადვილების ერთ-ერთი პირობა გამოცანაში არსებული შედარებაც არის. საილუსტრაციოდ:

„თაგვსა ჰგავს, — თაგვი არ არის,
ჩიტსა ჰგავს, არც თუ ჩიტია,
ღამით დაფრინავს, დღისით კი,
ჭერში თავდაღმა ჰკიდია (ღამურა)“,

(„ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია“, I გვ., 102—103).

ამ გამოცანის მიხედვით, ბავშვმა თაგვი და ჩიტი უნდა შეადაროს ერთმანეთს, რითაც დარწმუნდება, რომ არც ერთი მათგანი არ შეიძლება საძიებელი საგანი იყოს, და მაშასადამე, სხვა საგნის მონახვაა აუცილებელი. ამის საშუალებას კი მას გამოცანაში წარმოდგენილი ნიშან-თვისებანი აძლევს.

სწავლების შედეგიანობისათვის სხვა პირობაც არის საჭირო, კერძოდ, ინტერესის შექმნა. ავიღოთ გამოცანა:

„ერთი ალვის ხის ტოტზედა,
თორმეტი ტოტი ასხია,
ს�ეიეა და სcეიეა ფოთოლი,
ისევ იმდენი ასხია“ (წელიწადი, თვეები, დღეები, — „ხალხური სიტყვიერების მასალები“, II, გვ. 119).

ასეთი გამოცანები ბავშვის ყურადღებას იპყრობს. ამ გამოცანასთან დაკავშირებით მან ასეთი კითხვები შეიძლება დასვას: რა იგუ-

ლისხმება ალვის ხეში? თორმეტ ტოტში? ფოთოლში? ან, თუ ფოთლები სცვივა, რატომ ასხია იმდენივე? ზემოთ აღნიშნული გამოთქმა, რომლითაც გამოცანის ამხსნელს ბრძენის სახელი უნდა მიეკუთვნოს, იმას ემსახურება, რომ გამოცანის ახსნაში ჩაბმული ადამიანები „მეცნიერის“ სახელის მიკუთვნებით წახალისდნენ. ორივე მომენტი კი, ერთად აღებული, კიდევ უფრო მეტ ინტერესს ქმნის გამოცანის ახსნისადმი, რაც თავისთავადაც წარმოადგენს გონებრივი განვითარების ერთ-ერთ საშუალებას. თუმცა ასეთი გამოცანების ამოხსნისას ადამიანს ხშირად რითმა იტაცებს და რაც ნამდვილად საძიებელია იმას ვეღარ ამჩნევს, მაგრამ შექმნილი ინტერესი ამით არ ნელდება.

ამრიგად, გამოცდის სიძნელეთა შესამსუბუქებლად საჭიროა: დავიწყებულის მოგონება, ცოდნის გამოყენების აუცილებლობაში დარწმუნება; გაფრთხილება, რომ ცდიან; ზოგჯერ, თხოვნაც კი, რომ გამოცანა ამოხსნას; სხვადასხვა საგნის ნიშან-თვისებათა შედარება და საძიებელი საგნის მიგნებისადმი ინტერესის აღძვრა.

აი, ხელისშემწყობი პირობები გამოცდის წარმატებით დამთავრებისათვის. ცხადია, შეიძლება, ზოგიერთ მოზარდს ამის შემდეგაც აღმოაჩნდეს ერთგვარი სისუსტე, მაგრამ ეს იმის საბუთი როდია, რომ მისი იმედი დავკარგოთ. საჭიროა ხანგრძლივად ვაწარმოებდეთ ბავშვზე დაკვირვებას და ვიცოდეთ, რომ „ერთი წლის ბერწობით ფური არ დაიკვლება“ (სვინტიძე, ანდაზები, გვ. 53).

გამოცდის აუცილებელ საშუალებად ხალხი კითხვების დასმას ცნობს საჭიროდ. კითხვა კი, როგორც აღვნიშნეთ, ყოველ გამოცანაშია. დასმულ კითხვებზე სწორი პასუხისათვის, ცოდნა-გამოცდილებასთან ერთად, ის მიხვედრილობასაც დიდ როლს ანიჭებს. პირდაპირ ამბობს — „მიხვედრილობა ჭკუაზე ნაკლები როდია“-ო (ალ. ღლონტი, „რჩეული ქართ. ანდაზ. და სიტყვ. მას.“ გვ. 58). აქედან ზოგიერთი, კერძოდ, „ჭკუის მოგონების იდეა“, შეიძლება საბჭოთა სკოლაშიც გამოგვადგეს.

* * *

მეტად გავრცელებულია ფოლკლორში გამოცდა არითმეტიკულ ამოცანათა გადაწყვეტაში. აი ამის ერთ-ერთი ილუსტრაცია: „ერთმა ამხანაგმა უთხრა მეორეს — ერთი მანეთი მომეცი და ორი შენოდენი მექნებაო. მეორემ უთხრა: არა, ერთი მანეთი შენ მომეცი და სწორ-სწორად ვიქნებითო. რამდენი ექნებოდა ან ერთს, ან მეორეს“ (პასუხი პირველს — 5, მეორეს — 7; ფ. ა. № 4302). გამოცდას სხვა „საგნებშიც“ ვხვდებით. ძირითადად ასეთია ხალხური შეხედულებები გამოცდაზე.

მეხუთე თავი

ზნეობრივი აღზრდა

ზნეობრივი პრინციპები.

ხალხი ზნეობრივ შეხედულებებს თავისი არსებობის დასაწყისიდანვე აყალიბებდა და ავითარებდა. როცა კლასები არ არსებობდნენ, ისინი მთელი საზოგადოების საერთო შეხედულებებს წარმოადგენდნენ. კლასებისა და კლასობრივი ჩაგვრის წარმოშობის შემდეგ კი, ხალხური ზნეობრივი შეხედულებანი პრინციპულად განსხვავდებოდნენ მჩაგვრელი კლასების ზნეობრივი შეხედულებებისაგან და უპირისპირდებოდნენ მათ. ამასთან იმის გამო, რომ ექსპლოატირებული მასის „ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას“[1], ეს შეხედულებანი ამ იდეოლოგიას ემყარებოდნენ. ამიტომ არის, რომ ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან კომუნიზმის მშენებელი ხალხის ზნეობას და კომუნისტური მორალის შემადგენელ ნაწილს და ზოგადკაცობრიულ შეხედულებებს წარმოადგენენ[2].

ჩვენი პირველი ამოცანა იმის გარკვევაა, თუ რა შინაარსს სდებს ხალხი ზნეობის ამა თუ იმ პრინციპში. ამიტომ პირველად ამ საკითხს ვეხებით.

* * *

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პროცესში თანდათანობით მუშავდებოდა და ყალიბდებოდა აზრი — ადამიანი ბუნების ყოველ მოვლენაზე ძლიერ ძალას წარმოადგენსო. ეს აზრი ანტითეზა იყო პირველყოფილ საზოგადოებაში შექმნილი რწმენისა, რომლის მიხედვით, ადამიანი თაყვანს სცემდა ბუნების მოვლენებს, როგორც უძლიერეს ძალებს.

როგორც ითქვა, თქმულებაში „ყველაზე ძლიერი“, ხალხმა ადამიანის უპირატესობა გვიჩვენა ბუნების მოვლენებთან შედარებით. არსებობს საერთო ზნეობრივი ნიშან-თვისება, რომელსაც მოვალეობის გრძნობა ეწოდება და, რომელიც ადამიანის მრავალმხრივი ქცევების ერთგვარ საწყისს, ამოსავალს წარმოადგენს. ეს გრძნობა, ხალხის აზრით, იმდენად საჭირო და აუცილებელია, რომ თვით ღმერთსაც კი მოეთხოვება:

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, 1951, გვ. 10.

[2] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1971, გვ. 174.

„პირველად ღმერთი ვახსენოთ,
ის უფრო დიდებულია.
ღმერთი ისრე შეგვეწევა,
როგორც რომ ვალდებულია“ (უმიკაშვილი, II, გვ. 80).

ბავშვებში მოვალეობის გრძნობის ჩანერგვასა და განვითარებას ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ამასთან საგულისხმოა, რომ ამ გრძნობის აღზრდას მრავალი მოწინავე პედაგოგი ცნობდა საჭიროდ, კერძოდ, კ. უშინსკი და სხვ. მეტად მკაფიოდ და ფართოდ გამოიხატა მოვალეობის აღზრდის იდეა, დიდი ჩეხი პედაგოგის, იან ამოს კომენსკის პედაგოგიურ მოძღვრებაში. კომენსკი წერდა: „ყველა უნდა იყოს მომზადებული, რათა შეასრულოს თავის მომავალ მოწოდებასთან დაკავშირებული მოვალეობანი“ (იან. ამოს კომენსკი, „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი“, დიდი დიდაქტიკა, 1949, გვ. 77). როგორც ვიცით, ყოველი მოაზროვნის შეხედულებანი თავისი დროის ვითარებითაა განსაზღვრული და ცხადია, მოვალეობის გრძნობის აღზრდის იდეაც კომენსკის პედაგოგიურ მოძღვრებაში ამას ემორჩილება. მოვალეობა იმთავითვე გულისხმობს სამსახურს. ი. ა. კომენსკი ფიქრობდა — ადამიანები იმიტომ ვარსებობთ, რომ „ერთი მხრით, ვემსახუროთ ღმერთს, ქმნილებებსა და თვით ჩვენს თავს, ხოლო მეორე მხრით — განვიცადოთ შვება, რომელიც გამომდინარეობს ღვთისაგან, ქმნილებათაგან და თვით ჩვენგან“ (იქვე, გვ. 84). აქვე, გარდა ღმერთის და თავისთავისა, მოძმესაც გულისხმობდა კომენსკი. აქედან ღმერთი და მისადმი სამსახური პრინციპულად მიუღებელია ჩვენთვის, მოძმისა და თავისთავისადმი მოვალეობის მოხდა კი, უაღრესად საჭიროა და აუცილებელი, მაგრამ, ცხადია, სრულიად სხვა შინაარსით — კომუნისტური შინაარსით, რაც კეთილსინდისიერებისა და თვითშეგნების გამომუშავებას უწყობს ხელს.

საბჭოთა პედაგოგიკამ დიდი ყურადღება მიაქცია მოვალეობის გრძნობის აღზრდას. ა. მაკარენკო ამბობდა: „ჩვენ გვსურს აღვზარდოთ კულტურული საბჭოთა მუშა“; — „ჩვენ უნდა გავხადოთ იგი დისციპლინიანი“, — „ჩვენ უნდა მასში აღვზარდოთ მოვალეობის გრძნობა და ღირსების ცნება, სხვანაირად რომ ვთქვათ, ის უნდა გრძნობდეს თავისი და თავისი კლასის ღირსებას და ამაყობდეს მით. ის უნდა გრძნობდეს თავის მოვალეობას კლასის წინაშე“; — „მას უნდა შეეძლოს იყოს თავაზიანი, მკაცრი, კეთილი და ულმობელი — თავისი ცხოვრებისა და ბრძოლის პირობების შესაბამისად. ის უნდა იყოს აქტიური ორგანიზატორი. ის უნდა იყოს შეუპოვარი და გამოწრთობილი, უნდა ფლობდეს თავის თავს და შეეძლოს გავლენის

მოხდენა სხვებზე; თუ მას კოლექტივი დასჯის, მან პატივი უნდა სცეს კოლექტივსაც და სასჯელსაც"[1].

ჩანს, რომ მოვალეობის გრძნობის აღზრდის ამოცანას მტკიცედ აკავშირებს ა. მაკარენკო ჩვენი ქვეყნის ინტერესებისათვის ბრძოლასთან. ამისათვის მას აუცილებლად მიაჩნია: დისციპლინა, ნებისყოფა, ბრძოლისუნარიანობა, აქტიურობა და ზრდილობა. ამავე დროს — ადამიანის ადამიანთან და მთელ კოლექტივთან გულისხმიერი დამოკიდებულება, რასაც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება საბჭოთა აღზრდაში.

ქართულ ხალხურ პედაგოგიურ აზროვნებაშიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მოვალეობის გრძნობა ზნეობრივი აღზრდის თითქმის ყველა მხარეს ითვალისწინებს.

ხალხი სამართლიანად ფიქრობს, რომ ყოველგვარი მოვალეობის შესრულებისათვის მრავალი სიძნელის გადალახვაა საჭირო, რაც თავის მხრივ, ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცეს მოითხოვს. უამისოდ ადამიანი ვერ გაიხარებს. პირდაპირაა ნათქვამი: „ყველაზე უბედური ისაა, ვინც უბედურებას ვერ აიტანსო" (ალ. ღლონტი, „ანდაზები და სიტყვ. მას". გვ. 60). ამის შესაბამისად, ერთ-ერთ გმირს ხალხი ასე ათქმევინებს გოდერძის ციხისადმი: თუ მტერი გაგტეხს, „ქვამც ნუ სდებულხარ ქვაზედა"-ო („ივერია", 1887, № 140).

სულიერ სიმტკიცეს მოკლებული ადამიანი ვერ გაუძლებს წინააღმდეგობებთან ჭიდილს და ამდენად გამოუსადეგია — „მეკვამური ისე არ ვარგა, თუ კვამლი არ ამოდისო", ნათქვამია სხვა ადგილას (ლ. მეტრეველი, ანდაზები, გვ. 49).

ნებისყოფის სიმტკიცის მნიშვნელობა ფოლკლორის თითქმის ყოველ ეპიკურ ნაწარმოებებშია ხაზგასმული. არ არის მისი არც ერთი მთავარი პერსონაჟი, რომელიც მოკლებული იყოს ამ თვისებას. ამასთან მათ გვერდით გამოყვანილია სუსტი ნებისყოფის ადამიანები, რომლებიც პირადი სარგებლიანობისა და კმაყოფილებისათვის ღალატობენ თავიანთ ძმებს, მეგობრებსა და ამხანაგებს. კერძოდ, ცნობილია ზღაპრებში მზეთუნახავის დასაკუთრებისათვის ძმების „დაბლა ქვეყანაში" ჩატოვების მოტივი. ხალხი ყოველთვის მკაფიოდ გვიჩვენებს ამ სულმდაბალ და უნებისყოფო ადამიანთა საშინელ მარცხს; ამასთან იმასაც, რომ წარმატება სახელი და დიდება სწორედ იმათი ხვედრია, ვისაც ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცე აქვს. ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცეს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ადამიანს, რომელიც მას მოკლებულია, გონიერებაც და ჭკუაც ვერ უშველის, ხალხის აზრით: ჭკვიანი კაცი „მალე წახდე-

---

[1] ა. ს. მ ა კ ა რ ე ნ კ ო, თხზ. ტ. მეორე, თბილისი, 1959, გვ. 450.

ბა, თუ ჭკვასთან ერთად, ხასიათის სიმტკიცე არ აქვს“ (ფ. ა., № 20121). ამიტომ ხალხი გადაჭრით მოითხოვს ამ თვისებებს ადამიანისაგან. ცნობილია ლექსი, რომლის მიხედვით, ვაჟკაცი არ უნდა შეშინდეს, იმედი არ უნდა დაკარგოს, თუნდაც მტერი თავს „ბუზივით ეხვიოს“[1].

ხალხმა იცის, რომ ამა თუ იმ საქმის შესრულება გარკვეული წესების დაცვას, დისციპლინას საჭიროებს. ეს კარგად გვიჩვენა მან ეპიკურ ქმნილებებში, მაგრამ კიდევ უფრო რელიეფურად — ზეპირსიტყვიერების სხვა სახეებში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ფოლკლორში ვრცელი მსჯელობა არ გვაქვს დისციპლინაზე, მაგრამ ცალკეულ შეხედულებებშიც მკაფიოდ მოჩანს ხალხის აზრი მის საჭიროებაზე. საყურადღებოა, კერძოდ, ხალხური თამაშობანი, რომელთა საერთო დამახასიათებელია მონაწილეთა ერთმანეთისადმი „ბრძანებაც“ და მორჩილებაც. თამაშის დროს ხან ერთი ბავშვია „მბრძანებელი“, ხან მეორე. ასეთი მონაცვლეობით ბავშვი თავიდანვე ეჩვევა ბრძანებასაც და დამორჩილებასაც, რაც დისციპლინის გამომუშავების კარგი საშუალებაა. ამავე დროს ბავშვებში თანასწორობის საჭიროების შეგნებაც მუშავდება, და ყველაფერი ეს ბავშვის ზნეობრივი წრთობის მნიშვნელოვანი მომენტია. ასეთი აზრი გამოთქვა, აგრეთვე, ან. მაკარენკომ. ის წერდა: „ჩვენს მიერ აღზრდილ საბჭოთა მოქალაქეს უნდა შეეძლოს ამხანაგისადმი დამორჩილება და იცოდეს ისიც, რომ უბრძანოს ამხანაგს“ (ან. მაკარენკო, თხზ. 2, ქართ. თარგმანი, 1959, გვ. 450).

შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხში მშრომელი ხალხისა და დიდი საბჭოთა პედაგოგის მოსაზრებანი ერთმანეთს ემთხვევა.

ხალხი დიდ ყურადღებას აქცევს მოქმედების წესსა და აკურატობას:

> „ბიჭო, შენსა ბიჭობასა ჩემი სჯობდა ქალობაო,
> ჩემი ადგომა-დაჯდომა, ჩემი საქციელობაო“ („ხალხური სიტყვიერება“, III, გვ. 214).

ცნება „ქალობა“, ამ კონტექსტში იმავე შინაარსს შეიცავს, რასაც ცნება — „კაცური კაცობა“. სხვა ადგილას ხალხს ასეთის გამოთქმაც აქვს: „წისქვილი ჯერით ფქვავსო“. საინტერესოა, ამ მხრივ, გადმოცემაც თამარის შესახებ: „თამარ დედოფალი შუადღემდის ყველივით ქვას სჭრიდა, შუა-დღიდან აშენებდაო“ (ფ. ა. № 5707—5712).

აქაც მოქმედების გარკვეული წესრიგის, ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, — დისციპლინის გარკვეული საჭიროებაა წამოყენებული.

---

[1] ს. გ ო რ გ ა ძ ე, ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია პარალელებით ახალი მწერლობიდან, 1927, გვ. 29.

* * *

სამართლიანობისა და თანასწორობის დაცვა. ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა უძველესი პერიოდებიდან მოსდევდა ქართულ ფოლკლორს, მაგრამ სხვადასხვა პერიოდების ნაწარმოებებში ის სხვადასხვაგვარადაა მოცემული. საგულისხმოა უძველეს ქმნილებებში წარმოდგენილი ბრძოლები, როგორც ღვთაების, ისე სხვა „ავი" ძალების წინააღმდეგ, სადაც ბრძოლის იარაღებად „ჯადოსნური საშუალებებია გამოყენებული." განვითარების შემდეგ საფეხურებზე კი, ხალხი ასწავლიდა — „ჩაგვრელები არასოდეს არ იქნებიან სამართლიანნი, — „ბატონის და მეფის ხელში ნუ დაიქნ სამართალსა"-ო („ქართული ხალხური ზღაპრები", შ. ძიძიგურის რედ., წინასიტყვაობით, 1959, გვ. 37).

იდეა ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლისა, უძველესი პერიოდებიდანვე ახასიათებდა ქართულ ფოლკლორს, მაგრამ სხვადასხვა პერიოდების ნაწარმოებებში ის სხვადასხვაგვარადაა ასახული. საგულისხმოა უძველეს ქმნილებებში წარმოდგენილი ბრძოლები როგორც ღვთაების, ისე სხვა „ავი" ძალების წინააღმდეგ. აქ ბრძოლის იარაღებად ხალხი, უფრო ხშირად „ჯადოსნურ საშუალებებს" ცნობდა. განვითარების შემდგომ საფეხურებზე შექმნილ ნაწარმოებთა მიხედვით კი, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა თანდათანობით რეალურ ყოფას უკავშირდებოდა. საყურადღებოა აქ ნოველა „გლეხი და მიქელგაბრიელი" („აკაკის თვიური კრებული", 1898, № 10, განყ. III, გვ. 49—51). გლეხმა ბავშვი უფალს არ მოანათვლინა რადგან უფალი უსამართლოა — ერთ ადამიანს იმდენს ქონებას აძლევს, რომ არც კი იცის მან როგორ მოიხმაროს, ზოგისთვის კი ლუკმა-პურსაც ვერ იშეტებსო.

ბრძოლის იდეაა გამოხატული ქვემომოყვანილ ხალხურ ლექსშიც:

„ჩაუხტეთ და ჩაუხტეთ ბარათაშვილსა;
მოვსტაცოთ და მოვსტაცოთ, წამოვიყვანოთ,
თვალ-ეუეუნ და თვალ-ეუეუნ თეთრი ქალია!"

(„ხალხ. სიტყ. მას". 1955, გვ. 109). ხალხმა სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლთა სახეებიც წარმოგვიდგინა, თუნდაც მაია წყნეთელის, ა. ოძელაშვილის, აფ. მერკვილაძის, დ. შევარდნაძის, ა. ჯორჯიაშვილისა და სხვ. სახით.

1905—1907 წლების პერიოდში შექმნილ მუშათა რევოლუციურ სიმღერებში კიდევ უფრო მკაფიოდ აისახა თავისუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობის იდეა, რაც ახალგაზრდობის რევოლუციური და კოლექტიური სულისკვეთებით აღზრდის კარგი საშუალება იყო. ასეთია, მაგალითად, ერთ-ერთი სიმღერის ადგილი:

„ძმობას, ერთობას, სიყვარულს,
ტახტი დაუდგათ ქებული;
ძირს ჩამოვაგდოთ ნიკოლოზ
ჩვენს ზურგზედ გასუქებული“. (ქართ. ხალხ. საისტ. სიტყვ. III, გვ. 118).

სამართლიანობის დაცვის იდეას ორგანულად უკავშირდება ფოლკლორში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეა. დედა აღმზრდელია და ამავე დროს გმირული თვისებების მატარებელი. აგრეთვე, მშვენიერების, სილამაზის განსახიერებაა, მას დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობები აქვს. ქალის ამ დადებით ნიშან-თვისებების საფუძველზე ,ხალხი პირდაპირ' მოითხოვს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას: „ქმარმა რომ სიზმარი ნახოს, ცოლმა უნდა გაიგოსო“ (სვინტიძე, იქვე, გვ. 181). შეიძლება ითქვას — ხალხის აზრით, კაცურიკაცობა ქალისადმი პატივისცემასა და მის დაცვაშიც მდგომარეობს. ერთი მხრივ, რევოლუციამდელ პერიოდებში გამოთქმული ეს შეხედულებანი თავის საფუძვლებს მატრიარქატში პოულობდნენ, როცა ქალი გაბატონებული იყო საზოგადოებაში და მის ქანდაკებასაც კი აკეთებდნენ. „საქართველოს ისტორია“ — I, 1958, გვ. 14). ფოლკლორში შეიძლება გავარჩიოთ ის ვითარება, როცა მატრიარქატის დაცემის პროცესში ქალი თანდათანობით კარგავდა უფლებებს. აქაც იპყრობს ყურადღებას ამირანის თქმულება.

მოვიგონოთ ამ თქმულების შემდეგი ადგილი: ყამარის მოტაცების დროს უსუპიც მოკლეს ბრძოლაში და ბადრიც. ამრიგად, ამირანს თანამებრძოლები შემოეცალა. დაინახა რა ეს ყამარმა, მას მიმართა — „შენი აბჯარი მე მომეცი, მე ჩავალ საომრადო“. აქ ნათლად ჩანს მატრიარქატის ძალა და ქალის მხედრული თვისებები, რაც ამაზონების თვისებათა სახით შემონახულია ხალხურ თქმულებებში. მაგრამ ყამარის ამ სურვილს ამირანის წინააღმდეგობა გადაეღობა. თავი იჩინა ახალი ეპოქის — პატრიარქატის დასაწყისის ძალამ: „რას ამბობ, გაუჯავრდა ამირანი, —დედაკაცებს თქვენი საქმე ნუ გავიწყდებათ, რა შენი საქმეა ხმალი, ხმლიანი მე ვარ, მე ჩავალ. ეს რა სახელია ჩემთვის, რომ შენ იომო და მე აქედან გიცქერდეო“ („ხალხური სიბრძნე“, III, გვ. 21). აქ კარგად ჩანს მამაკაცის დიდი უფლება. მაგრამ ამჟამად ჩვენთვის უფრო საინტერესოა ის, რომ ყამარი საბრძოლო ტექნიკასა და ხერხებს არის დაუფლებული. იცის რა მამის საბრძოლო მომზადება და აგრეთვე ისიც, რომ ქალს უფლება არ აქვს თვითონ ჩაერიოს ბრძოლაში, ყამარი მეორე ფუნქციას ასრულებს, სწორედ თავისი საბრძოლო მომზადების მეოხებით. აქ ის დამრიგებელ-მასწავლებლის როლში გამოდის. როგორც ვიცით, მისი დარიგების

მეოხებით დაამარცხა ამირანმა ცისმპყრობელი. ამრიგად, აქაც ეს ქალი დამრიგებელ-მასწავლებლადაც ჩანს, და ხალხის საერთო აზრიც მასზე დადებითია. ქალისადმი ასეთი დადებითი დამოკიდებულება, გარდა „ამირანისა“, შემდგომი პერიოდების ნაწარმოებებშიც გვხვდებ-ბა. აქ ჩვენ მხოლოდ ერთ მომენტზე ვამახვილებთ ყურადღებას. ეს ქალისადმი მოკრძალებული დამოკიდებულების საჭიროებაა. აი, ლექსი „წუთისოფელი“. აქ ხალხი გარკვეულ მოთხოვნას აყენებს ადამიანისადმი:

„თუ ქალი გეტყვის დობასა,
ის უკეთესი და არი,
აგრეთი გქონდეს გუნება,
ვით მოწმენდილი ცა არი,
თუ არ იწამებ ამასა,
მუცლით ნაშობი რა არი?“ (ვ. კოტეტიშვილი, იქვე, გვ. 25).

საერთოდაც, ხალხის აზრით, (ადამიანმა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა უღალატოს კაცურიკაცობის წმინდა მოვალეობას. სხვა ნაწარმოებებში ამ მოთხოვნას ქცევის კონკრეტული ფორმები აქვს მონახული. გზადაბნეული უცხო ქალი მამაკაცს მიმართავს: ამეღამ შემინახე, ვითომ თქვენი და ვიყოო, რაზედაც მამაკაცმა უპასუხაო:

„მეც თავის დას დაგამსგავსე,
მზე თუ გნახე ამოსული“ —
— „თუ დასაეით არ გიწამო,
გამეწიროს ხმალლესული“-ო (ს. მაკალათია, ფშაური ლექსები, გვ. 62).

აქვე სიტყვის შესრულების აუცილებლობის იდეასაც ვხედავთ. ხალხი გვიჩვენებს — ჭეშმარიტი ადამიანები სიტყვას არ ღალატობენო.

ასეთი ხალი შეხედულებებით ზრდიდა ჩვენი ხალხი თავის მომავალ თაობებს.

მაგრამ საერთოდ ქალზე დადებით შეხედულებათა საფუძველსაც ხალხის დემოკრატიული იდეოლოგია ქმნიდა და ასაზრდოებდა. შემდეგიც უნდა აღინიშნოს: 1. ქალისადმი გაბატონებულმა უარყოფითმა შეხედულებებმა ერთგვარი ვავლენა ფოლკლორზეც მოახდინეს და გვხვდება ასეთი გამოთქმებიც: „ქალი ˚ ქებით გათხოვდება, რძალი ვის უნახავს კარგი“, „ქალი ჭკვიან კაცში ნაკლს ეძებს, სულელში — ღირსებასაო“ (ლ. მეტრეველი, ანდაზები გვ. 79). ამასთან უნდა ითქვას: მიუთითებს რა ქალის ზემოხსენებულ დადებით თვისებებზე, ხალხს ისინი, არა ყოველი ქალის, არამედ ჭეშმარიტი ადამიანური თვისებების ქალის დამახასიათებლად მიაჩნია, რადგან სამართლიანად ფიქრობს, რომ უარყოფითი თვისებების ადამიანები მამა-

კაცებშიც არიან და დედაკაცებშიც. თანმიმდევრული შეხედულებები ქალის დიდ შესაძლებლობასა და კანონიერ უფლებებზე მხოლოდ საბჭოთა ფოლკლორში გვაქვს.

* * *

უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, ხალხის აზრით, მომავლისათვის ბრძოლაც უნდა იყოს კაცურიკაცის ნიშანდობლივი თვისება. ნაწარმოებში „ზღაპარი ხელმწიფისა, რომელსაც სიკვდილი სანატრელი გაუხდა", მოხუცს ეკითხებიან თუ რატომ არ კვდება ის. მოხუცი ასე პასუხობს: სანამ არ მომიტანთ საკვირველსა, რომ გამიკვირდეს, არ მოვკვდებიო". შვილები ამ საკვირველის, ჯერ შეუცნობელი საგნის საძიებლად გაემართნენ, იპოვეს და მამას მიუტანეს, რის შემდეგ მან მოსალოდნელი სიკვდილის სურვილი გამოთქვა („რჩ. ქართ. ხალხ. ზღაპრები", 1958, გვ. 172—178).

ამ ზღაპარში ჯერ არნახული, უცნობი ნივთის ძიების დაუოკებელი მისწრაფება ჩანს, რაც თვითკმაყოფილებისა და უმოქმედობის წინააღმდეგ იყო ყოველთვის მიმართული. ადამიანი მარად ახლისაკენ უნდა ისწრაფოდეს, ფიქრობდეს, ოცნებობდეს, ეძებდეს. იქ, სადაც ძიებისა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა არ არის, არც ჭეშმარიტი სიცოცხლეა. თვითკმაყოფილება შემოქმედებითი ძიების სამარეა. ზემოხსენებულ ზღაპარში არა კონკრეტული საგნის, არამედ საერთოდ ახლის ძიების საკითხია დასმული, რაც ყოველთვის იყო ადამიანის აღზრდა-განვითარების, მისი შინაგანი შესაძლებლობის გამოვლენის სტიმული. ქართულ ფოლკლორში ტექნიკური პროგრესისა და ადამიანის თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეაც მკაფიოდ ჩანს. მაგალითად „ამირანის" ვარიანტის — „კალმახელას" მიხედვით, ამირანმა აბედი გამოიგონა, რითაც ადამიანებს, კერძოდ, პურის გამოცხობის ახალ საშუალებაზე მიუთითა (ნ. რეხვიაშვილი „ქართული ხალხური მეტალურგია", გვ. 233). ამირანი არც ამით დაკმაყოფილდა, — ქურაც გააკეთა, რომელშიც ადამიანებმა ქოთნები გამოწვეს. ამირანმა კაჟისა და აბედის გამოყენება და აგრეთვე, ხმლის გრდემლზე გამოჭედვაც ასწავლა ხალხს (იქვე. გვ. 235). ყველაფერი ეს პროგრესული ნაბიჯი იყო იმ უძველეს პერიოდში.

როგორც ვნახეთ, ზემოხსენებული ზღაპრის მიხედვით, მამამ ახლის ძიებისა და მოპოვების იდეა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს დაუკავშირა. მართლაც, ის გარემოება, რომ მოხუცს მანამ არ სურდა სიკვდილი, სანამ ადამიანისათვის უცნობ საგნებს არ იპოვნიდა, ხოლო როცა ამ საწადელს მიაღწია ის (სიკვდილი) სასურველად სცნო, ბევრის მთქმელია: მოხუცის ინტერესი იყო, სიკვდილამდე ერთხელ მაინც ენახა

დღევანდლამდე ყველასათვის უცნობი საგანი. კითხვა ისმის — მხოლოდ პირადი ინტერესი ამოძრავებდა მას, თუ საერთო-სახალხო ინტერესი?

მხოლოდ პირადი ინტერესი რომ ყოფილიყო მისი მამოძრავებელი, მაშინ ის ამ ნივთების მოპოვების შემდეგ არა თუ სიკვდილს, არამედ მუდმივ სიცოცხლესაც კი მოისურვებდა. ამიტომ აქ არა მხოლოდ პირადი, არამედ სახალხო ინტერესიც უნდა დავინახოთ. საგულისხმოა შემდეგი: ზღაპარში ნათქვამია — ახალი ნივთების მოპოვების გამო, მთელი საზოგადოება მოიწვიესო (იქვე).

აქედან კარგად ჩანს ხალხის აზრი, რომ ახლის მოპოვება მხოლოდ პიროვნების კი არა, მთელი საზოგადოების, მთელი ქვეყნის საქმეა, რადგან ის მის მომავალს ემსახურება, ხოლო ადამიანი, რომელიც ამისათვის იბრძვის, კაცურიკაცია. მოხუცმა ხალხს გადასცა ეს მონაპოვარი და ამით თავისი ვალი მოიხადა მის წინაშე. ამასთან ახალგაზრდობასაც სამოქმედო ასპარეზი გადაუშალა, საქმე გაუჩინა. ესეც მოვალეობის ერთგვარი მოხდა იყო, რამდენადაც მომავალი თაობის წრთობას უწყობდა ხელს. რა დიდი მსგავსებაა ამ აზრსა და ზღაპარში „მიწა თავისას მოითხოვს" გატარებულ აზრს შორის. მოვიგონოთ „ყორანის სიტყვები" იმ ყმაწვილის მიმართ, რომელიც დაეძებდა ისეთ ადგილს, სადაც სიკვდილი არ იქნებოდა: მე მანამ არ მოვკვდები, სანამ ამ ხის ფოთლებს შვილებით და შვილიშვილებით არ გავავსებო (თ. ბეგიაშვილი, „ქართული ფოლკლორი" გვ. 179). მართლაც, არსებითად ხომ ეს აზრია მოხუცის ზემოხსენებულ სიტყვებშიც, მოხუცსაც ხომ მანამ არ სურდა სიკვდილი, სანამ ახალ მონაპოვარს არ დაუტოვებდა ხალხს. აი ეს არის ამ ნაწარმოებთა გამსაზღვრელი იდეა. მეტად საყურადღებოა ისიც, რომ ახლის ძიება ხალხმა სწორედ ახალგაზრდობას დააკისრა. მომავლისათვის ბრძოლის იდეა კარგად ჩანს გამოთქმაშიც — „ისეთი ხიდი გადე, რომ შენმა შვილიშვილმაც ზედ გაიაროსო". მართლაც, აზროვნება და შემოქმედება ხომ ამოუხსნელის ამოხსნას, შეცნობას, და ამით მომავალს უნდა ემსახურებოდეს. შეუცნობლობა საზოგადოების პროგრესს აბრკოლებს.

ხალხური აზროვნება არც ამით კმაყოფილდება: საზოგადოების სამსახურისა და მომავლისათვის ბრძოლის იდეა ცხოვრების შეცვლის, ადამიანის თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეაში გადადის. ეს ჯერ კიდევ უძველესი პერიოდის ძეგლში „ამირანი" წამოაყენა ჩვენმა ხალხმა და შემდეგ იგი სხვადასხვა ფორმით ვლინდება მის შემოქმედებაში. ეს იდეაა გატარებული, კერძოდ „არსენას ლექსში", მაგრამ მისი უმაღლესი საფეხური საბჭოთა ფოლკლორში გვაქვს.

საერთოდ, ხალხურ შემოქმედებაში დიდი ყურადღება ექცევა

ცხოვრების გარდაქმნისათვის ბრძოლას, რაც თვით ადამიანზეა დამოკიდებული.

ხალხის აზრით, ყოველი ასეთი მოქალაქე კაცურიკაცის თვისებათა მატარებელია.

ამრიგად, კაცურიკაცი ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლიც უნდა იყოს და ახალი ცხოვრებისათვის თავდადებულიც. ასეც არის: ჭეშმარიტი მოღვაწე ყოველთვის ხალხის ინტერესებიდან გამოდის, ხალხის გულიც მიუდგომლად ინახავს ადამიანის კარგსაც და ავსაც და გადასცემს შთამომავლობას.

პატრიოტული და ინტერნაციონალური შეხედულებანი. ქართული ფოლკლორის მიხედვით, სამშობლო მრავალმხრივ უკავშირდება კაცურკაცობას. „სამშობლო კუთხე კაცობის ძირიაო" — ამბობს ხალხი. ეს გამოთქმა ღრმა და ფართო შინაარსის შემცველია. კაცობა (კაცურიკაცობა), როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის კეთილშობილურ თვისებათა ერთობლიობაა. აქედან სამშობლო, როგორც მასთან კავშირში მყოფი, უფაქიზესი სიყვარულის საგანია. მაგრამ სამშობლო არა უბრალო კავშირშია კაცურკაცობასთან, არამედ მისი საფუძველიც, მისი წარმომშობიც, მისი არსებობის წყაროც არის.. მაშასადამე, იმ კარგ თვისებებს, რაც კაცურკაცობას ახასიათებს, თვით სამშობლოში ეძებნება საფუძველი.

ხალხს სამშობლო არ წარმოუდგენია სოციალური მოვლენებიდან განმხოლოებულად, მოწყვეტილად. ხალხი ფიქრობს: საქმე არა მხოლოდ მოვლენის წარმოშობაშია, არამედ მისი არსებობისათვის ხელის შეწყობაშიც. და არსებითად ხომ სწორედ სამშობლოს დაცვაში ვლინდება მისადმი სიყვარული, და ხალხიც ასწავლიდა — „ციხეს კარი უნდა, კარს უკან კაციო" („რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები", გვ. 40). ამ დებულების განვითარებას წარმოადგენს ცნობილი ანდაზა — „ვინც კატას არ გაიჩენს, თაგვებს გაიჩენს".

შეხედულებას სამშობლოს სიყვარულზე ჩვენი ხალხი თავის არსებობის პირველი პერიოდებიდანვე აყალიბებდა ცნობიერებაში. ის მითოლოგიურ ნაწარმოებებშიც გვხვდება, როგორც ქვემოთ ვნახავთ, და ეს გასაგებიცაა: ვ. ი. ლენინს, პატრიოტიზმი სწორედ უძველეს პერიოდებში წარმოშობილ გრძნობად მიაჩნდა: „პატრიოტიზმი ერთ-ერთი ყველაზე ღრმა გრძნობაა, რომელიც განმტკიცებულია საუკუნეებისა და ათასეული წლების მანძილზე განცალკევებულ სამშობლოთა არსებობით"[1].

---

[1] ვ. ლენინი, თხზ. ტ. 28, სახელგამი, 1952, გვ. 215.

მართლაც, პატრიოტიზმის ფესვებს მითოლოგიურ თქმულებაში „ამირანი“ ვხედავთ. დევებმა ბავშვებს — ამირანს, ბადრს და უსუპს სახლ-კარი დაუნგრიეს. ბავშვები უბინაოდ დარჩნენ, ისინი შემდეგი სიტყვებით იგონებენ უბინაობას:

„ბადრი, უსუპ და ამირან
ობლები მოვიყარენით,
ღველუ არ გვინახავ, ქერაი,
საჩალეს მოვიზარდენით“.

ძმები თავიანთი სახლის, ბინისათვის იბრძოდნენ:

„სამნი ჩვენ, სამას დევები,
ჩაბალხეთ შავიყარენით“-ო (ალ. ხახანაშვილი, „ქართული სიტყვიერების ისტორია“, 1904, გვ. 14).

ცხადია, უძველეს პერიოდებში თანამედროვე გაგებით არ არსებობდა სამშობლო. მაგრამ არსებობდა ბინა, საცხოვრებელი სახლი, რაც იმდროინდელი ადამიანისათვის იგივე სამშობლო იყო. „სახლის“ ასეთი გაგება გვაროვნული პერიოდის შემდეგაც დიდხანს იყო ძალაში. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, „სახლი“ ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნის ძეგლში „შუშანიკის წამება“, მოსახლეობის ერთეულს აღნიშნავდა, „პიტიახშის სამფლობელოს გარკვეულ ერთეულს „სახლი“ ჰრქმევია“. აქვე ი. ჯავახიშვილი ამბობს — ლეონტი მროველი სიტყვა „სახლს“ ქართლისა და სპარსეთის აღსანიშნავად ხმარობსო („სამართლის ისტორია“. I, 1928, გვ. 141). აქედან ცხადია, რომ ამირანი და მისი ძმები მტრებისაგან აფორიაქებული თავიანთი „სამშობლოს“ აღდგენისათვის იბრძოდნენ. ამიტომ ვხედავთ აქ პატრიოტიზმის ფესვებს.

ხალხის აზრით, სამშობლოსადმი სიყვარული მისი დაცვისათვის უნდა ამზადებდეს ადამიანს.

ხშირად ხალხი უფრო ღრმა და სათუთი გრძნობით გადმოგვცემს სამშობლოს დაცვის იდეას. აქ საყურადღებოა ლექსი „წყალსა მოჰქონდა ნაფოტი“. წყალს ნაფოტი მოჰქონდაო და:

„დადექ ნაფოტო, მიამბე“—
„ლაშქრად წასულთა ძმებთანა
დამა რა დაგაბარაო,
ხომ არ მოსულა შენთანა,
ხელ-პირი დაიბანაო,
ხომ არ ატირდა ბრალადა,
ცრემლები ჩამოყარაო?“ (ვ. კოტეტიშვილი, „ხალხური პოეზია“, 1961, გვ. 37).

მეტად ემოციური და ღრმა განცდების გამომწვევია ამ ლექსში

წარმოდგენილი ადამიანთა შინაგანი განცდა ლაშქრად წასული ძმებისადმი.

ქართული ხალხური პატრიოტიზმი თავდაცვითია. ჯერ კიდევ „ამირანში“ გვაქვს ამის ნიშნები. ყოველმხრივ წარმტაცი და ადამიანზე ზემოქმედია ამირანის შთამაგონებელი სიტყვები:

„არცა ვარ ტყისა ხოხობი, მომინადირონ ქორითა,
არცა ვარ ჭალის კურდღელი, რომ დამიჭირონ მწევრითა, —
არცა ვარ ხისა ფურცელი, გადამიტანონ ქარითა,
მოვლენ და მეც აქ დავხვდები, ამ ჩემის გორდა ხმალითა,
უსუპითა და ბადრითა, მესამით ამირანითა“
(„ხალხური სიბრძნე“, III, 1964, გვ. 20).

ეს კეთილშობილური თავდაცვითი იდეა ამოძრავებდა და ამოძრავებს ქართველებს თავიანთი არსებობის დასაწყისიდანვე.

ფოლკლორის მიხედვით, სამშობლოსადმი სამსახური მრავალგვარია: მისი დაცვა გარეშე მტრების, შინაური გაუტანლობისა და ღალატისაგან. გარდა ამისა, მშობლიური ენისა და კულტურისადმი სათუთი და პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება. სამივე მომენტს ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშანი უნდა ჰქონდეს. ეს სამშობლოსათვის პრინციპული ბრძოლაა: „ჩიტი ფთათ დაიბადა და ფთას შეაკვდაო“ (ფ. ა. № 25056); ან „მეომარი მამულის გულისათვინა უნდა მოკვდესო“ (უმიკაშვილი, II, გვ. 177), ხოლო „ვინც სამშობლოსათვის თავს არ გასწირავს, იგი თავის მტერიაო“ (ფ. ა. იქვე). ჩანს, რომ პიროვნებისა და ქვეყნის ინტერესები ხალხს მთლიანობაში აქვს წარმოდგენილი. მისი აზრით, რაც ქვეყნისათვის სასარგებლოა, ის პიროვნებისათვისაც მისაღები და სასარგებლო არის. პირველი მომენტი თავდაცვით ბრძოლას გულისხმობს. ეს, როგორც ვიცით, ფოლკლორის მრავალ ნიმუშში ჩანს, კერძოდ, ნაწარმოებებში: ვ. გორგასალის, დ. აღმაშენებლის, თამარ მეფის, გ. საკაძის, ერეკლე მეორისა და სხვათა შესახებ.

თავდაცვითი ბრძოლის კეთილშობილური იდეა გვაქვს ცნობილ ხალხურ სიმღერაშიც „მუმლი მუხასაო“.

სამშობლოს დაცვის იდეას დებულების ძალასაც ანიჭებს ხალხი — „სამშობლოსათვის სიკვდილი ბედნიერებააო“, — ამბობს („რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები“, გვ. 29).

ცნობილია სამშობლოსადმი სიყვარულისა და მისი დაცვისაკენ მოწოდება საბჭოთა ფოლკლორში. მარტო დიდ სამამულო ომზე შექმნილი ლექსები კმარა ამის ნათელსაყოფად.

შინაური მტრები სამშობლოსადმი უარყოფითად განწყობილი

ადამიანებია, რომლებიც პირადი ინტერესებისათვის ასუსტებენ მას. ისინი გარეშე მტრებზე უფრო საშიშარ მტრებადაა მიჩნეული, ფოლკლორში — „მტრის შინ ყოლას ვეფხვთან ბრძოლა სჯობიაო“ (ნ. ნაკაშიძე, ანდაზები, გვ. 51). გავიხსენოთ ცნობილი ანდაზაც — „ციხე შიგნიდან გატყდებაო“.

ხალხი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ მსჯელობს გარეშე და შინაურ მტრებზე, რადგან მათ შორის ორგანულ კავშირს ხედავს. სამშობლოს დაცვის საქმეში ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შინაგანი ძალების გაერთიანებას. ეს აზრია გატარებული გამოთქმაშიც — „სამეფოს მტერი ვერ დასძლევს, თუ მეფის სახლი მშვიდია“. ხალხმა შინაური მტრების მთელი გალერეა წარმოგვიდგინა. აქ საყურადღებოა ლექსების ციკლი ზურაბ ერისთავზე, რომელიც დამონების მიზნით, მუსრავდა და აწიოკებდა მთის ხალხს. შინაურ მტრებად მიაჩნია ხალხს ტყვეთა გამყიდველებიც. ისინიც ქვეყანას ასუსტებენ. ამ ადამიანებს, როგორც სამშობლოს მოღალატეებს, ხალხისვე აზრით „ქვეშ მძრომი გველი სჯობია“[1] და „პირს უჯის მორიელია“ (იგივე. V, განყ. 3, გვ. 13). სხვაგან კი ამბობს: ისინი გაკიცხვისა და შერცხვენის ღირსნი არიან — „შეურცხვეს ყველგან ულვაში და გაუშავდეს პირიო!“ (იგივე, VI, განყ. 3, გვ. 11).

მშობლიური ენის დაცვის ტენდენციებსაც ვხედავთ ფოლკლორში:

„არადეთს რომ გამოვედი,
ძლიეს გავიგონე ქართული“ (კოტეტიშვილი, იქვე, გვ. 165).

აქ ოცნებაც ჩანს მშობლიური ენის შესახებ და მისდამი სიყვარულიც.

მშობლიური ენისადმი ასეთი სიყვარული ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს, თუ მას კაცურიკაცობის სახელი სურს ატაროს:

„სამშობლო შემრგე არს მისთვის,
ვინც დედა ენა იცისო,
ვინც არა და კაცი არ არს,
სრულ არ მწამს მისი ფიციო“ (ფ. ა. კოლექ. II, საქმე 2, № 294).

აქაც კარგად ჩანს ის შინაგანი კავშირი, რომელსაც კაცურკაცობასა და პატრიოტიზმში ხედავს ხალხი. ხალხის აზრით, კაცურმაკაცმა სულიერი კულტურის სხვა საუნჯეებიც უნდა დაიცვას. კერძოდ, იგი დიდად აფასებს გამოჩენილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ხალხურ შემოქმედებაში ქება-დიდებით იხსენიებიან — შ. რუსთაველი, აკ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი და სხვ., რასაც

---

[1] „ა კ ა კ ი ს თვიური კრებული“, 1898, VII, განყ. 3, გვ. 13.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდობაში მშობლიური ლიტერატურის, საერთოდ კულტურისა, ხოლო აქედან — სამშობლოსადმი თავდადების გრძნობის გამომუშავებისათვის.

ხალხს ეროვნული კულტურის საუნჯედ და დიდებად თვით ხალხურ ნაწარმოებთა შემქმნელებიც და შემსრულებლებიც მიაჩნია:

„ამ ლექსსა შენა მოგიძღვნი
ქართველო ქალო, მარია;
შენი ნიჭი და თამაში
ღამის მნათობი მთვარეა“ —
„გვიშობონ ქართველნი შვილნი
რომ მორთონ მთა და ბარია“, (ფ. ა. № 33830).

სამშობლოსათვის ბრძოლა მისი სახელისათვის ბრძოლასაც გულისხმობს, ხალხის აზრით. ისე, რომ ადამიანი იმაზეც უნდა ფიქრობდეს, რომ სახელი მოუხვეჭოს ქვეყანას: „სოფელს ვაჭმია სახელი, გული გავხეთქა მტრისაო“ (უმიკაშვილი, I, გვ. 75).

მაშასადამე, ქვეყნის სახელისათვის ბრძოლაც შედის კაცურიკაცის მოვალეობაში.

ვის უნდა დაეყრდნოს ადამიანი სამშობლოს ბედნიერებისათვის თანმიმდევრულ ბრძოლაში. გავიხსენოთ აფორიზმი: „თუ მეფეს სძინავს, ქვეყანა ვერ დაიძინებს შვებითა“-ო (H, 1967; ფურც. 34). აქედან ჩანს, რომ: თვით ხალხი უნდა ადევნებდეს თვალყურს იმას, თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდება მეფე სამშობლოს ინტერესებს. აქაც ხალხის დემოკრატიული თვალსაზრისი ჩანს.

სამშობლოს მოღალატეები თუ დაგმობის ღირსნი არიან, სამაგიეროდ მისთვის თავდადებულნი დიდებასა და უკვდავებას იმსახურებენ. ხალხში თავიდანვე შეიქმნა ტრადიცია, რომლის მიხედვით, ღირსშესანიშნავ და საგმირო ამბებს მომავალ თაობებს გადასცემდნენ. ასეთ ტრადიციას ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა: გმირის უკვდავება და ახალგაზრდობისათვის მაგალითის მიცემა.

ასეთ გმირებს თვით ხალხის მეხსიერება და მისადმი პატივისცემა ხდის უკვდავად, რადგან მათი მოგონება საპატიოა:

„სახეთო ვქნათ ამხანაგებო,
დავკლათ ხარი და ცხვარია,
მოვიხსენიოთ ისინი,
ვინც ველზე დარჩა მკვდარია,
სამშობლოს გულისათვინა
ბრძოლას შასწირა თავია,
არ არის მისთვის სამარე,
არც მიწა გულზე ფარია“ (ფ. ა. № 32353).

სოციალისტურმა სინამდვილემ, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა ძმურმა თანაარსებობამ ცნება „სამშობლო“ გააფართოვა. სწორედ ამას გამოხატავს ლექსი — „მოსკოვი“, რომელშიც ქართველი ხალხი მოსკოვს მიმართავს:

„სამშობლოს ცენტრო, დიდებავ,
საბჭოთა ყველა ერისა“ („ქართ. ხალხ. სიტყვ. ქრესტ.“ II გვ. 279).

აქ ხალხი მოსკოვს, სამშობლოს დედაქალაქს აქებს, როგორც გარეშე, ისე შინაგანი მტრების წინააღმდეგ დაუცხრომლად მებრძოლს (იქვე).

ამრიგად, მოვალეობას სამშობლოს წინაშე ყოველი ადამიანი უნდა გრძნობდეს, რის შედეგად ის კაცურიკაცის სახელს დაიმკვიდრებს. მოვალეობა გულისხმობს: სამშობლოს ტერიტორიის, მისი საზღვრების, ენისა და კულტურის დაცვას და მასთან ქვეყნის სახელისათვის ბრძოლას.

* * *

ხალხმა იცის, რომ ამა თუ იმ ქვეყანას არ შეუძლია განმარტოებულად, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის გარეშე არსებობა. როგორი უნდა იყოს სხვა ხალხებთან მისი დამოკიდებულება? მასალებზე დაკვირვება ნათელყოფს, რომ ხალხს ამ საკითხისათვის მიუქცევია ყურადღება. ეს ბუნებრივიც არის: ჩვენს ხალხს თავისი არსებობის მთელ მანძილზე ხშირი ურთიერთობა ჰქონდა და აქვს მრავალ ხალხთან. ეს ურთიერთობა კეთილმეზობლურიც იყო და მტრულიც. იმის მიუხედავად, რომ ჩვენს ქვეყანას ზოგიერთი მათგანისაგან მრავალი შევიწროება განუცდია, მაინც ვხვდებით პატივისცემისა და დაფასების გრძნობას მათ მიმართ. ხალხი გამოდის პრინციპიდან, რომლის მიხედვით, ადამიანს სხვა ხალხებიც უნდა უყვარდეს ურთიერთგაგების საფუძველზე. საგულისხმოა გამოთქმა: „თათარო, შენი ჭირიმე, თუ ჩემი ძმა იქნებიო“ (Q, 965, გვ. 118).

აქ ურთიერთგაგებისა და მასზე აღმოცენებული მეგობრობის საჭიროების მაღალი შეგნება ჩანს.

როგორც აღნიშნული გვაქვს, სტროფზე „ყველა ადამის შვილი ვართ, თათარიც ჩვენი ძმა არი“, ვ. კოტეტიშვილი მიუთითებდა: აქ ნაციონალურ, რელიგიურ და დაძმურ „თავკერძობაზე“ მაღლა ადამიანობაა დაყენებულიო (კოტეტ., „ხალხური პოეზია“, გვ. 322). ეს იდეა შემთხვევითი არ არის ქართული ფოლკლორისათვის. ვ. კოტეტიშვილი იქვე (გვ. 322) შენიშნავდა — იგი ჩვენს ზღაპრებშიც მოჩანსო. ჩვენ გვინდა დავასახელოთ ზღაპარი, რომლის მიხედვით, ჩააბარა რა ტახტი თავის სიძეს მოხუცმა ხელმწიფემ, ასე დალოცა: მთელი ხალხი

გიყვარდეს „ერთნაირად და გქონდეს ხათრი შენის ძმა ხელმწიფისაო“[1]. ამასთან, ფოლკლორში არც ის გარემოებაა უყურადღებოდ, რომ სხვა ხალხშიც არის ასეთი გრძნობა, კერძოდ, ქართველებშიც, რაც ზოგჯერ, მტრული დამოკიდებულების მომენტშიც კი შეიძლება გამოვლინდეს. ერთ ლექსში აღნიშნულია: ლეკებს ტყვეობიდან გამოვეპარე, გზაში შიმშილმა შემაწუხა — ბალახს ვძოვდი, ხოლო წყურვილის გამო, ბალახის ნამს ვლოკავდი, ამ დროს „ურჯულო“ შემომეყარა და როცა ჩემი შიმშილის ამბავი გაიგო,

„დაჯდა და პური მაჭმია, — დახე დანდობას მტრისასა!
მერე გზა გამამასწავლა, დასავლას მიჰყევ გზისასა“-ო („ხალხური სიტყვიერება,“ III, თ. რაზიკაშვილის მიერ შეკრებილი, გვ. 47).

ამრიგად, ადამიანობა და ძმობა, აი საფუძველი, რასაც ხალხებთან კეთილი დამოკიდებულების შესაქმნელად უნდა დავემყაროთ.

პირველი მეორის ამოსავალია, ორივე კი ხალხთან ურთიერთგაგების და მეგობრობისა. მაგრამ არსებობს მესამე საფუძველიც. ეს სამართლიანობის პრინციპია, რომელსაც თავის მხრივ, დასაყრდენად იგივე ადამიანობა (კაცურიკაცობა) აქვს. აი, რას ასწავლის ხალხი: „ლეკი ან თათარი და შენი ძმა რომ ჩხუბობდნენ, ‚სწორი სამართალი მიეციო“ (Q 1965, გვ. 168).

აქ ასეთი მითითებაა: სამართლიანობა ყოველგვარ ნათესაურ და ნაციონალურ კარჩაკეტილობაზე მაღლა დგასო. ამრიგად, არა მხოლოდ ადამიანობა და ძმობა, არამედ სამართლიანობის პრინციპის დაცვაც უწყობს ხელს ხალხთა ურთიერთგაგებასა და მეგობრობას. ყველაფერი ეს იმით აიხსნება, რომ მშრომელი ხალხისათვის არასოდეს არ ყოფილა დამახასიათებელი შოვინისტური სულისკვეთება.

ამრიგად, ინტერნაციონალურ გრძნობას სამი საფუძველი აქვს: ა დ ა მ ი ა ნ ო ბ ა, ძ მ ო ბ ა და ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ო ბ ა, და კაცურიკაცი სწორედ ამ საფუძვლებს უნდა ემყარებოდეს.

შეხედულებები სამშობლოს დაცვისა და ხალხთა შორის მეგობრობის შესახებ, ფოლკლორში მჭიდროდაა დაკავშირებული მშვიდობის იდეასთან:

„ჩვენ ვიცავთ თავისუფლებას
და ჩვენ სამშობლოს მზიურსა“ —
— „გვიყვარს ზავი და მშვიდობა,
ბედნიერება ქვეყნისა
და სიხარული, ხალისი
ყველა მუშის და გლეხისა“.

---

[1] რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, 1958, გვ. 187.

მაგრამ თუ ვინმე თავს დაგვესხაო:

„ბოროტსა მტერსა, ვერ‌ბვსა,
თავს დავატყდებით რისხვითა“ (ვ. ხორნაულის მასალებიდან).

როგორც ვხედავთ, ეს ნაწარმოები საბჭოთა ხალხის სულისკვეთებას ასახავს. ამასთან ის იმ შეხედულებათა გაგრძელებისა და განვითარების ახალ საფეხურსაც წარმოადგენს, რომლებიც, ჯერ კიდევ, რევოლუციამდე ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს შემუშავებული. ხალხი ხელშეუხებლობისა და თავისუფალი არსებობის პრინციპს აყენებს:

„შილდის თავს ქორი ნადირობს, შილდის ბოლოზე არწივი.
— ჩამოვალ! ქორი უბარებს, — არ ჩამოგიშვებ—არწივი.
ერთურთს ნუ დავალეინებ, თავთავად, მივცეთ ადგილი!“
(„ხალხური სიტყვიერება“, III, თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, გვ. 62).

აქ სამი მომენტია საყურადღებო — თავდასხმის სურვილი, თავდაცვა და ერთმანეთის ხელშეუხებლობისა და თავისუფლად არსებობისაკენ სწრაფვა. პირველი თავდამსხმელთა, სხვის შემავიწროებელთა დამახასიათებელია; მეორე — იმათი, ვინც თავის დამოკიდებულებას იცავს; მესამე კი — პატიოსანი, მშვიდობისმოყვარე ადამიანებისა და ამავე დროს — თვით ხალხის იდეალი. ამ პრინციპზე მდგომი მშრომელი ხალხი ყოველთვის უარყოფდა სხვა ერის შევიწროებას, თავდასხმას, და აყენებდა აზრს — ამა თუ იმ ქვეყნის საზღვრები ხელშეუხებელი უნდა იყოს, არავის არ უნდა ჰქონდეს მისი ხელყოფის უფლებაო:

„ალაზანს გადმოსწოლია გულხატარაის ჯარია“ —
— „დაგზავნეს ყარაულები ჩეთმას დაგვიღეთ თოლია“ —
—„ჩ ე თ მ ა ს რ ა ს გ ვ ე მ ა რ თ ლ ე ბ ი ა ნ, ჩ ე თ მ ა ხ ო ჩ ვ ე ნ ი მ ხ ა რ ი ა?“
(„ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება“, გვ. 125).

აქ ყოველი ქვეყნის ღირსების დაცვისა და პატივისცემის საჭიროების იდეაა წამოყენებული. ჩანს, ხალხს ურყევ დებულებად მიაჩნია აზრი, რომ სხვა ქვეყნის საზღვრები ხელუხლებელი უნდა იყოს („ჩეთმას რას გვემართლებიან, ჩეთმა ხომ ჩვენი მხარია?“). ჩვენი ხალხის მშვიდობისაკენ მისწრაფება მრავალ ნაწარმოებში ჩანს, მაგრამ აქ ხალხური აფორიზმი მოვიყვანოთ — „ომის მოყვარული ადამიანის მოძულეაო“ („რჩ. ქართ. ანდ. და სიტყვ. მასალა“, გვ. 60). ჩანს, ხალხი კარგად ხედავს ომის არაადამიანურ შედეგს. ასეთი შეხედულებით უნდა აიხსნას ერთ-ერთი ლექსის შემდეგი ადგილი: ყეენმა ერეკლე მეფეს შემოუთვალა — ვიომოთო, რაზედაც ამ უკანასკნელმა

უპასუხაო: — „ხალხის მუსვრა რათ გვინდა, მოდი ვიჭიდაოთო“ (ფ. ა. კოლ. 29ბ, გვ. 53).

ჭიდაობამ დაამტკიცოს ჩვენი ძლიერება, ხალხი რა შუაში არისო, აი, ამ გამოთქმის აზრი. ხალხმა იცის, რომ მასა მართლაც არაფერ შუაშია, რომ ომებს ქვეყნის ხელისუფალნი იწყებენ და მასები არ უნდა იჟლიტებოდნენ.

სხვა ნაწარმოებებში კონკრეტულადაა დასმული საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ უნდა იჟლიტებოდნენ უდანაშაულო ადამიანები. ერთ-ერთ ნაწარმოებში აღწერილია რა ომის საშინელება, ნათქვამია: „სადაური ვარ? სად ვცვდები? აქ რა მაქვ დაკარგულია“-ო (ა. შანიძე, „ქართული ხალხური პოეზია“, გვ. 185). ასეთივე შეხედულებებს ვხედავთ ლექსებშიც პირველი იმპერიალისტური ომის შესახებ.

ამრიგად, ხალხი გმობს ომს, რადგან ის უკანონოდ მიაჩნია. მაშასადამე, მშვიდობის იდეა ემყარება იმ აზრს, რომ ომი მასების გამანადგურებელია. საგულისხმოა, რომ ეს აზრი „აბესალომ და ეთერის“ ერთ ვარიანტშიც ჩანს. აქ გამოთქმულია წუხილი ახალგაზრდობის იმ ბედზე, რომელიც ომიდან მოელით მათ. შერელომა ეთერს მიმართავს:

„ვინც იქ წავა, ვეღარც მოვა,
ვაი დედას ბიჭისასა!
ჩაგვიხოცენ ყმაწვილებსა.
უჩვევლებსა ომისასა“-ო (ალ. ხახანაშვილი, „ქართული სიტყვიერების ისტორია“, 1904, გვ. 37).

ამიტომ ხალხი კაცურკაცად არ თვლის ომის გამჩაღებელს. ფოლკლორის მიხედვით, ხალხთა შორის მშვიდობა შვილისადმი სიყვარულზე მაღლაც კი დგას.

ერთ ლექსში მამა სამდურავს უცხადებს შვილს, მინდიას იმის გამო, რომ მან არხოტინელებთან დადებული პირობა დაარღვია და თავს დაესხა მათ სოფელს („სოფელში შესტანებიხარ, თეხონს გაუჭერ თავიო“, — „ივერია“, 1888, № 44). სამაგიეროდ ის აქებს თავისი შვილისა და მისი თანამებრძოლების გამჟღერ არხოტინელთა დამცველ შიშნიას (იქვე).

მეტად საინტერესოა, რომ ხალხი თვით მამას დააგმობინებს შვილის აგრესიულ მოქმედებას, რითაც კიდევ უფრო აღრმავებს თავის აზრს ასეთი მოქმედების მავნებლობისა და შეუწყნარებლობის შესახებ. შვილიც კი უნდა უარყოს მამამ, თუ ის სხვა ხალხს შეავიწროებსო. ხალხის მოთხოვნა აქაც პრინციპული და კატეგორიულია. აქვე ისიც ჩანს, რომ აგრესორი ვერ გაიხარებს, მას დამარცხება არ აცდება, ეს აზრი მოჩანს სხვა ლექსშიც. ერთ-ერთმა თავდამს-

ხმელმა არ დაიჯერა რა დარიგება — შენი საცხოვრებელი ადგილით, — თუშეთით დაკმაყოფილდი — ხევსურეთს ნუ შეაწუხებო, დაიღუპა, — მოჰკლეს. მკვლელი კი შექებულია ლექსში თავდამსხმელის მოკვლის გამო („ივერია", 1888, № 121, აგრეთვე, ლექსები ზურაბ ერისთავზე).

ფოლკლორის შემოქმედმა ისიც იცის, რომ მშვიდობა თავისთავად არ მოვა, მოპოვებული უნდა იქნეს, ხოლო ამისათვის ბრძოლაა საჭირო. ბრძოლა მშვიდობისათვის, რომელიც პრინციპულად უპირისპირდება მშვიდობის დამრღვევ ომს და მისკენ მისწრაფებას, კარგად არის გამოსახული ლექს-სიმღერაში — „მოვიდა მშვიდობაო", ამ ნაწარმოების მიხედვით, მშვიდობა შავი გველის მოკვლის შედეგია: შავ წყალს გველი მოჰქონდა, ვაჟი შეიარაღდა, ის შუბის წვერით ამოიღო და მოჰკლა, და ამის შედეგად დამყარდა მშვიდობა[1]. „შავ წყალში" ხალხი საშინელების მომტან ომს გულისხმობს, გველში — მავნებელ ძალას.

აქ სიმბოლიურ სახეებშია წარმოდგენილი ზემოხსენებული აზრი იმის შესახებ, რომ მშვიდობის მოპოვებისათვის მშვიდობის მტრები უნდა იქნენ დამარცხებულნი.

ზემოთქმულის მიხედვითაც ჩანს — პატრიოტიზმის გრძნობის აღზრდას უძველეს პერიოდშივე ჩაეყარა საფუძველი.

შრომის როლი ადამიანის ცხოვრებაში

ზემოთ შრომა განვიხილეთ როგორც მატერიალურ ღირებულებათა შექმნის საფუძველი, მაგრამ ის, ხალხის აზრით, ადამიანს არა მხოლოდ მატერიალური, არამედ, ყოველმხრივი, პირველ რიგში, მორალური ამაღლების საწინდარია და ამდენად მისი მორალური ჩამოყალიბების მძლავრი საშუალებაც. ხალხმა იცის, რომ შრომის შედეგად მოპოვებული ეკონომიური წარმატება, ადამიანის საზოგადოებრივი პრესტიჟის საფუძველია — „კაცი შრომაგარჯილობით დაფასდებაო" („რჩ. ანდაზ. და სიტ. მასალები" გვ. 28). სხვა ადგილას კი ნათქვამია: „ბევრი მოხნა და მოთესო, მტერს დაუყენო თვალები"-ო („შრომის სიმღერ." გვ. 27). დაახლოებით ამავე შინაარსისაა მიმართვაც: „სოფელმა თუ მტრობა დაგიწყოს, შრომას მოუმატეო, „ადრე გააბი გუთანი"-ო რაშიც იგულისხმება — ასეთი ბეჯითი შრომა გიხსნისო (იქვე). აქედან შრომა ბრძოლის იარაღიც არის. გამარჯვება შრომით მოიპოვება. მეტად მნიშვნელოვანია, რომ თავდადებული და შეუპოვარი შრომა სასახელო საქმედ აღიარა

---

[1] ან. ინაიშვილი, ჯ. ნოღაიდელი, გრ. ჩხიკვაძე, მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან, 1964, გვ. 51.

ხალხმა. ფოლკლორს წითელი ზოლივით გასდევს აზრი — „შრომელი ადამიანის დაკარგვა ბუნებამაც კი უნდა იგლოვოსო: „მთაო, იგლოვე ბეჟანი, ჯანყების შემოსევითა“ (თ. ბეგიაშვილი, იქვე, გვ. 40). მაგრამ როგორია იმ ადამიანის ზნეობრივი პროფილი, რომელიც არ შრომობს? ასეთი ადამიანი სხვის ხარჯზე ცხოვრობს და ამიტომ ბატონს ემსგავსება. უშრომლობა მუქთამჭამელად აქცევს მას. ხალხმა დებულების სახე მისცა ამ აზრს „ცხენი თუ არ ამუშავე, ბატონია-ო“ (Н, 1945, გვ. 38). შრომას დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ადამიანის ესთეტიკური და ფიზიკური ფორმირებისათვის. ამიტომ „შრომელი ადამიანი ბედნიერია. ხალხი ამ აზრსაც დებულების სახით აყალიბებს: „დიდება და სახელი შრომის ხელშია-“ („სწავლა სიბერემდისო“ გვ. 8). ამიტომ შრომა საპატიო და აუცილებელია. ამასთან, როგორც საერთოდ, ისე შრომის საკითხშიც ხალხი პრინციპულობას, დასახული მიზნის ბოლომდე მიყვანას მოითხოვს. ხალხმა საყოველთაო შრომის აუცილებლობის იდეა წამოაყენა.

აქ ერთი კითხვაც ისმის: იქნებ ადამიანის ჯანმრთელობისათვისაა შრომა მავნებელი და ამდენად საფრთხეს წარმოადგენს მისი არსებობისათვის? — არა, შრომა არა თუ მავნებელია ჯანმრთელობისათვის, არამედ — ხელისშემწყობიც: „გაურჯელობა და უქმობა უფრო დაღლის კაცს, ვიდრე ჯაფა და შრომა“-ო (ფ. ა. № 10113). აქვეა საგულისხმო აფორიზმიც: „ადრე ადგომით კაცს სიცოცხლე მოემატებაო“ („სწ. სიბერემდ.“, გვ. 122). აქედან გამოდის, — ადამიანი, რომელიც არ შრომობს, ნაკლებ სიცოცხლისუნარიანია. მეტიც: სხვა ადგილას გამოთქმულია აზრი — სწორედ უშრომლობა ვნებს ადამიანის ჯანმრთელობასო: „გაურჯელი ადამიანი დამდგარ ჩარხივით დაჟანგდებაო“ (ფ. ა. № 10109). ამ დებულებებს ხალხი ასაბუთებს კიდეც თავისებურად; ადამიანს შრომა წინააღმდეგობათა გადალახვას აჩვევს, რაც ორგანიზმის წრთობასა და განმტკიცებას იწვევსო:

„არა, რას მიზამს მე ჯაფა
და შრომა მრავალგვარი;
ჩემი ფოლადი მარჯვენა
მათშია გამომდნარია!“ („მოგზაური“, № 1901, № 3, გვ. 269).

ფოლკლორში დიდი ადგილი უჭირავს შეხედულებებს კოლექტიურ შრომაზე. ეს შეხედულებანი უშუალოდ გამომდინარეობენ ხალხის თვალსაზრისიდან ძალთა გაერთიანების აუცილებლობის საჭიროებაზე. ხალხი დიდად აფასებს ასეთ შრომას, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

* * *

შრომის საკითხზე მსჯელობის დროს, ყურადღება უნდა მიექცეს, აგრეთვე, იდეას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა აღზრდისათვის. ეს არის იდეა ხალხისათვის უსასყიდლოდ შრომისა. ამ მხრივ საგულისხმოა შემდეგი გამოცანა ფუტკარზე:

„სუსტი, სუმბუქი, ფრინველი
არ ითხოვს სასმელ-საჭმელსა,
კაცსა საზრდოსა უტკბილებს
და ღმერთსა უნთებს სანთელსა“[1].

მაგრამ განა უსასყიდლოდ შრომისა და ბრძოლის მაგალითს არ წარმოადგენს ფოლკლორის თითქმის ყოველი მოწინავე გმირის ქცევა? მოვიგონოთ ამირანი, არსენა, მ. წყნეთელი; ზღაპრების უამრავი პერსონაჟები. მართლაც, სარგებლიანობის არავითარი პრინციპი არ ედო საფუძვლად ამირანის თავგანწირულ ბრძოლებს ადამიანთა მოდგმის გათავისუფლებისათვის, ბოროტი ძალების წინააღმდეგ; არცერთი მოწინავე გმირის საქმიანობას ხალხის საკეთილდღეოდ. მაგრამ უფრო თვალსაჩინოდ მაინც ზემოთ მოყვანილი გამოცანა მიუთითებს ხალხისათვის უსასყიდლოდ სამსახურის საჭიროებაზე. მასში საგანგებოდ არის ყურადღება გამახვილებული ასეთ ქცევაზე და შექებულიც არის ის. ჩანს, ეს კეთილშობილური და უაღრესად პროგრესული აზრი ამოძრავებდა ხალხს. ამისათვის ფუტკრის მაგალითი აიღო, რადგან, თუმცა ინსტიქტურად, მაგრამ მაინც ის უსასყიდლოდ ემსახურება ადამიანებს, ხალხის აზრით. აქ შეიძლება დავინახოთ მშრომელი მასის სოციალისტური აზროვნების ელემენტი, რომელზედაც ლენინი მიუთითებდა.

ამხანაგობა, მეგობრობა, კოლექტიურობა. ცხოვრების მოთხოვნილებებმა და ხანგრძლივმა გამოცდილებამ ადამიანი იმ აზრამდე მიიყვანა, რომ გათიშულად, განმარტოებულად არსებობა შეუძლებელია. ეს აზრიც შრომის პროცესში ჩაისახა. ფ. ენგელსი ეხება რა ხელისა და შრომის განვითარების შედეგებს, განაგრძობს: „...შრომის განვითარება აუცილებლად ხელს უწყობდა იმას, რომ საზოგადოების წევრები უფრო მჭიდროდ შეკავშირებულიყვნენ, ვინაიდან იგი ურთიერთ მხარდაჭერის, საერთო მოქმედების შემთხვევებს ამრავლებდა და ამ ერთად მოქმედების სარგებლობის შეგნებას თვითეული ცალკე ინდივიდუმისათვის ნათელს ხდიდა“[2].

---

[1] ხალხური ანდაზები და გამოცანები. შეკრებილი და გამოცემული ს. მ ე რ კ ვ ი ლ ა ძ ი ს ა გ ა ნ. გვ. 52.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, თბილისი, გვ. 87.

ამ შეგნების ჩამოყალიბება დაბრკოლებათა გადალახვის აუცილებლობასთან იყო დაკავშირებული. ადამიანს ხომ მრავალი წინააღმდეგობა ხვდებოდა სისტემატიურად: ბუნების სტიქიური ძალების, სოციალ-კლასობრივი ჩაგვრის, სამშობლოზე თავდასხმებისა და სხვ. სახით, რომელთა დაძლევისათვის გაერთიანებული ძალები იყო საჭირო.

ადამიანი ვერ გაძლებს სხვებთან ურთიერთობის გარეშე, განმარტოებულად, იზოლირებულად „კაცი თუ არ გყავდეს, კერიას გამოელაპარაკეო" („რჩ. ანდაზ. და სიტყ. მას", გვ. 54). ასეთი კავშირი ნამდვილი მეგობრობითაა შესაძლებელი. ამის გარეშე ცხოვრება ცხოვრებას არ დაემსგავსებოდა: „ძმა თუ არ გყავდეს, სხვა იძმე, უძმოდ სიცოცხლე მწარეა"-ო (ნ. ნაკაშიძე, იქვე, გვ. 50). ამ აზრის ერთგვარი განვითარება შეიძლება დავინახოთ აფორიზმში — „ავადმყოფს ექიმი არჩენს, უბედურს კაი მეგობარიო" („სწ. სიბრძ". გვ. 22).

ფოლკლორში ცნება „მეზობელიც", ხშირად, ძმობის, ე. ი. სულიერი კავშირის შინაარსის შემცველია — „მეზობელთან ჭირიც ლხინიაო" („რჩ. ანდაზ. და სიტყვ. მას.", გვ. 57); „მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო", (ნ. ნაკაშიძე, გვ. 58). ყველა ასეთ შემთხვევაში სწორედ ზემოხსენებული სულიერი სითბო იგულისხმება. ეს კი, თავისთავად გულისხმობს ერთმანეთის „ტკივილების", ფიქრებისა და მისწრაფებების გაგებას, რაც იმას ნიშნავს, რომ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, მათ შორის ურთიერთ მორჩილებასაც უნდა ჰქონდეს ადგილი და ურთიერთ ზეგავლენასაც. ეს აზრია სწორედ შემდეგ გამონათქვამში:

„ძმაო, რა სჯობდა ძმობასა,
ერთმანეთისა ყმობასა"[1].

„ყმობა" ან კონტექსტში სწორედ ურთიერთგაგებისა და შეგნებულად დამორჩილების აღმნიშვნელია და ამასთან ერთმანეთის სიყვარულსაც გულისხმობს. ასეთი „ძმობა" ვაჟკაცობის ერთ-ერთი ნიშან-თვისებაც არისო, — ამბობს ხალხი — „ვაჟკაცობით მაშინ გაქებ — იყო მოძმეთ მოყვარული" ხელნაწ. ინსტ. H., 1967, ფურც. 27).

წრფელი, მეგობრული სიყვარული გადაგვიშალა ხალხმა ზემოხსენებულ ლექსში — „წყალსა ნაფოტი მოჰქონდა". ნაფოტო, დადეკ და მიამბეო: ხომ არ გინახავს ჩემი მეგობარი, და „თუ ნახე, ხომ არ მიგლოვდა, თვალთ ცრემლი ხომ არ ღვარაო"?.

---

[1] „ძველი საქართველო", 2, განყ. 5, გვ. 67, ასეთივე აზრია გატარებული სხვა ნაწარმოებებშიც", კერძოდ, ხ, შ. ს. 2543, საინვ. 12, გვ. 9.

რამდენი სითბო და სათუთი გრძნობაა აქ, რამდენი სურვილი და მისწრაფება მეგობართა სულიერი კავშირის, ერთსულოვნებისა. აი, სწორედ ასეთ მეგობრობას ცნობს ხალხი საჭიროდ, — გულწრფელს, ვიწრო ანგარიშიანობისაგან თავისუფალს.

მშრომელთა ეს თვალსაზრისი სპეტაკ და თანმიმდევრულ ძმურ ურთიერთობაზე, რომლის არსი გამტანობა და ერთმანეთისათვის თავგანწირვაა, სავსებით გასაგები იქნება, თუ მოვიგონებთ კ. მარქსის შემდეგ სიტყვებს იმ მუშებზე, რომლებიც სოციალისტურ ბრძოლას უთანაგრძნობდნენ;".... Человеческое братство в их устах не фраза, а истина, и с загрубелых от труда лиц глядит на нас вся красота человечества"[1].

ამრიგად, მუშებში, მშრომელებში ხედავდა კარლ მარქსი ჭეშმარიტ ძმობას და მას „კაცობრიობის მთელ სილამაზეს" უწოდებდა. ასე გულითადია მშრომელთა ძმური ურთიერთობა, მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლის აზრით. ხალხის ამ თვალსაზრისს ძმობის, მეგობრობისა და გამტანობის დიდ როლზე, დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა აღზრდისათვის.

ზემოთქმულთან ერთად, ხალხმა იცის რომ ყოველგვარი ამხანაგობა არ არის სასარგებლო. მეტიც — „ავი ამხანაგის ყოლა ბატონის ყოლას უდრისო", — ამბობს ის (ფ. ა. № 24300).

* * *

შინაგანად წრფელი და მტკიცე ძმური გრძნობა კოლექტიურ სულისკვეთებაში გადადის და მის ერთ-ერთ დასაყრდენს წარმოადგენს. ხალხი თავისი ცხოვრების უძველეს პერიოდებშიც გრძნობდა საერთო მიზნის ქვეშ ადამიანთა გაერთიანების დიდ მნიშვნელობას. მაგალითად, მან იცოდა (როგორც ცნობილია), რომ თუ რამდენიმე მონადირე საერთო მიზნად არ გაიხდიდა ნადირის მოკვლას და მას არ განახორციელებდა, მარცხი იყო მოსალოდნელი: „წისქვილის ქვები თუ ერთმანეთს არ ეხმარებოდეს, ცალმა რაც იბრუნოს, ვერას დაფქვასო", აგრეთვე — „ერთმა ფარა ცხვარმა რომ ხეს შებღავლოს, გახმებაო"[2]. ამ აზრის განზოგადება მოჩანს აფორიზმში, რომლის მიხედვით, თანხმობით სუნთქვაც კი „ქარს ამოაგდებს" („სწავლა სიბერემდისო" გვ. 95). უფრო თვალსაჩინოა ეს შემდეგ დებულებაში — ერ-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. 3, 1930, Москва—Ленинград, стр. 661.

[2] ხალხური ანდაზები და გამოცანები შეკრებილი და გამოცემული ს. მერკვილაძისაგან, გვ. 8.

თობა ძალაა და ცალ-ცალკეობა უღონობა“ (H, 1967, ფურც, 21). ამიტომ ვინც ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული, ბედნიერია:

„ერთობის მოსიყვარულეს
იმას სძინამ ტკბილი ძილით,“ —
—„მუდამ ქორწილში დადის
შინაც არ აკლია ლხინი“ (ფ. ა. № 21,229).

მაგრამ ხალხი ყოველგვარ მიზნობრივ გაერთიანებას როდი მოითხოვს. მთავარია — მიზანდასახულობა ცხოვრების გაუმჯობესების საქმეს ემსახურებოდეს და თუ ამას ვერ ასრულებს, დასაგმობია: „ერთად შრომა ხალისია, ერთად უქმად დგომა — სირცხვილიო“ — ამბობს ხალხი („რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები“ გვ. 28).

აზრი კოლექტიური გაერთიანების დიდ მნიშვნელობაზე შემდეგ სტროფშიც მოჩანს:

„ალავერდამ დაიძახა,
მე გავაბამ გუთანსაო,
წინა ხარმა დაიძახა,
მე დავაყრი ძალასაო“ და ა. შ. („შრომის სიმღერები“, გვ. 31).

ცნობილია ზღაპრებში გავრცელებული „დაძმობილებაც“, რომელიც სწორედ დახმარებას გულისხმობს, საერთო ამოცანის განსახორციელებლად.

კოლექტიური ძალების მნიშვნელობა, როგორც ცნობილია, ხალხმა სიმღერებშიც გამოხატა. ასეთია, მაგალითად, „ნადური“. ეს სიმღერა შრომის პროდუქტიულობას უწყობდა ხელს. აი, რას წერდა ამის შესახებ, ცნობილი მოგზაური არქანჯელო ლამბერტი: „სიმღერა, რომელიც მოჰყვება ნადს, გამოუგონიათ მარტო იმიტომ კი არა, რომ ეს მხიარული კრება გაამხნევოს, არამედ იმისათვისაც, რომ იმათ ჩქარა იმუშაონ. ამისათვის საგანგებო სიმღერა აქვთ“ და „რამდენადაც სიმღერას ააჩქარებენ, იმდენად თოხნასაც ააჩქარებენ“-ო[1]. ასეთივე მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხი, აგრეთვე „ელესას“, რომლის შეძახილი ძალას მატებდა მის მონაწილეებს. სახალხო მასწავლებლის, გ. შარაშიძის ცნობით, ელესას სიმძიმის აწევის დროსაც მიმართავდნენ[2]. „ნადურსა“ და „ელესას“ სიხალისე და ინიციატივა შეჰქონდა ადამიანებში.

---

[1] ა რ. ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ა. ჭ ყ ო ნ ი ა ს ი, მეორე გამოცემა, ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი ს წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, 1938, გვ. 52.

[2] გ. შ ა რ ა შ ი ძ ე, გურული ლექსიკონი, წიგნში — „გურული, ზემოთ იმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები“, 1938, გვ. 25.

აზრს ძალთა გაერთიანების დიდ მნიშვნელობაზე, ამტკიცებს კ. მარქსის შემდეგი სიტყვები: „მექანიკური ჯამი განცალკევებულ მუშათა ძალებისა განსხვავდება იმ საზოგადოებრივი ძალისაგან, რომელიც ვითარდება, როდესაც მრავალი მუშახელი ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე განუყოფელ ოპერაციაში ერთად მოქმედებს". — „12 კაცი 144 საათიან ერთობლივ სამუშაო დღეში გაცილებით უფრო მეტ ერთობლივ პროდუქტს ამზადებს, ვიდრე 12 განცალკევებული მუშა, როდესაც თვითეული 12 საათს მუშაობს, ან — ვიდრე ერთი მუშა, რომელიც ზედიზედ 12 დღის განმავლობაში მუშაობს"[1].

ინდივიდუალურ დახმარებასთან ერთად, ფოლკლორში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლექტიურ დახმარებასაც. განსაკუთრებით იპყრობს აქ ყურადღებას საბჭოთა პერიოდში შექმნილი ნაწარმოებები. საბჭოთა ფოლკლორში კოლექტივიზმს საპატიო ადგილი აქვს დათმობილი. თუ ზემოგანხილულ ნაწარმოებთა მიხედვით, კოლექტივიზმი ცხოვრების გაუმჯობესების მძლავრი საშუალებაა, ზოგიერთ სხვა ნაწარმოებში ყურადღება კოლექტიურ დახმარებას ექცევა. ასეთია, კერძოდ, შემდეგი სტროფი:

„ეიმხნეოთ და ეიმუშაოთ
ძმებო, საქმე შაეყვაროთ,
მარტო ჩვენთვინ არ ვინდომოთ,
უნდა სხვასაც დაეხმაროთ" (ჩემი მასალებიდან).

საყურადღებოა, რომ ფოლკლორში კოლექტივიზმს მტკიცედ უკავშირდება პატრიოტული გრძნობა. ამის ერთ-ერთი ილუსტრაციაა ლექსის ნაწყვეტი — „თუშებო, ფშაველ-ჴევსურნო, ლაშქრობა გავიზიარათ, ერთმანეთს ნუ უღალატებთ, მტერი სხვა დავაზიანათ" (ა. შანიძე, „ქართ. ხალხ. პოეზ". გვ. 323). ეს ლექსი მშრომელ მასებს თანდათანობით მეტი სიღრმე შეჰქონდათ კოლექტივიზმის გაგებაში. სტატიაში „შეგნებული დისციპლინის შესახებ", ნ. კ. კრუპსკაიას მოჰყავს აფორიზმი — „მარტოხელა კაცი ჭამაშიც ბრალიაო", და დასძენს: „ეს მართალია, საჭიროა ერთად მოქმედება. ეს კარგად იციან მუშებმა და მუშა ქალებმა, ერთად იბრძოდნენ ისინი მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ და გაიმარჯვეს. ერთად ეწევიან ისინი ძველი ცხოვრების გარდაქმნას და საქმე წინ მიდის"[2].

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, I, 1954. გვ. 414—415.

[2] ნ. კ. კ რ უ პ ს კ ა ი ა, აღზრდისა და სწავლების შესახებ, რჩეული პედაგოგიური ნაწარმოებნი, 1953, გვ. 232.

მშრომელთა ასეთი შეგნება ჩანს სწორედ 1905—1907 წლების პერიოდის ქართულ ფოლკლორში. ერთ-ერთ ნაწარმოებში კოლექტიური ძალის პერსპექტიული შედეგებიც აისახა:

„ხალხი გაწყვეტს მონობის ჯაჭვს,
დაემხობა თვითნებობა,
მის ნანგრევზე ამაღლდება,
ერთობა და მეგობრობა“.

ასე ვითარდებოდა ხალხის შეხედულებანი კოლექტიური გაერთიანების დიდ მნიშვნელობაზე პიროვნებისა და საზოგადოებისათვის. აქვე ერთი კითხვა უნდა დაისვას: როგორ ურთიერთობას ცნობს ხალხი საჭიროდ პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. თავის მხრივ, ეს კითხვაც ორ მომენტს გულისხმობს: პიროვნების დამოკიდებულებას საზოგადოებასთან და საზოგადოებისა — პიროვნებასთან.

ხალხი ასწავლის — პიროვნებამ უნდა შეიგნოს, რომ საზოგადოება გაცილებით მეტია მასზე, რომ თვითონაა საზოგადოებაზე, ხალხზე დამოკიდებული: „შე სოფლის თავსა ვესახლე, განა სოფელი ჩემ თავსა!“[1] მაშასადამე, ადამიანი უნდა მიხვდეს, რომ ის საზოგადოების მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენს. სწორედ ასეთი გაგება მიიყვანს მას გამარჯვებამდე. ხალხი ჩამოყალიბებულ აზრს იძლევა იმის შესახებ, რომ ადამიანი, რომელიც „სოფელს“, ქვეყანას ერწმუნება, მიზანს მიაღწევს, და ასაბუთებს კიდეც ამ აზრს: „მიჰყევ და მოჰყევ სოფელსა, სოფელი ღონიერია, სოფლის წყალობა დიდია, თუ კაცი გონიერია“ („ხალხ. სიტყვ. მას“ II გვ. 53).

ვინც გაიგებს და შეაფასებს ხალხის ამ ძალას, მას სოფელიც მიიღებსო: ზემოაღნიშნული ლექსის ბოლოს ნათქვამია — ვინც სოფელს შეეთვისა, სოფელმაც მხოლოდ ის ითვისაო. ამ აზრის სისწორე ერთ-ერთი გმირის ქცევითაც გვიჩვენა ხალხმა ლექსში — „ლაშარს მოვიდა თილიძე“. სოფლის მიერ გაძევებული თილიძე, უკან დაბრუნდა და მას შეევედრა — მიმიღეთ და ჩემს ერთგულებას, საჭიროების დროს, მტერთან ბრძოლით დაგიმტკიცებთო[2]. მაშასადამე, თილიძემ შეიგნო თავისი ადგილი საზოგადოებაში.

ასეთია კოლექტივის ძალა. ხალხმა ეს აზრი განაზოგადა კიდეც აფორიზმით „ხალხი მოგცემს წარმატებას, ხალხი მოგცემს დაღმა-

---

[1] პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, სახალხო ლექსები მცირე ტომთა ენებზე, 1905, გვ. 45.

[2] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშური ლექსები, გვ. 38—39. იგივე აზრია გატარებული ერთ-ერთ სხვა ნაწარმოებშიც (ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, გვ. 177—178).

ტებას“ (ფ. ა. № 16285). ადამიანი ამიტომაც უნდა შეეგუოს იმ საზოგადოებას.

ამრიგად, პიროვნება სოფელს, ხალხს უნდა მიჰყვეს, მას უნდა ემორჩილებოდეს.

საკმარისია თუ არა, რომ ადამიანი სოფელს დაემორჩილოს, მიჰყვეს?

— არა, ეს საკმარისი არ არის, რადგან, „სოფელს“ სამსახური ესაჭიროება თავის არსებობისათვის. ხალხის ამ აზრის ნათელსაყოფად ჯერ ავიღოთ ანდაზა — „ცა და მიწა იქცეოდა, ტურა ქორწილს შვეპოდა“ („ხალხ. სიტყვ. მას.,“ II, გვ. 86). აქ ნათქვამია: ქვეყნის ამ მწარე განსაცდელის დროს ქორწილი კი არ უნდა გამართოს ადამიანმა, არამედ თვითონვე მიიღოს მონაწილეობა მისი მდგომარეობის გამოსწორებაშიო. ეს ანდაზა იუმორს შეიცავს იმ ადამიანების მიმართ, რომელნიც გულგრილად ხვდებიან საზოგადოების, ხალხის საქმეს; რომელთაც არაფრად მიაჩნდათ ის. სწორედ ასეთ ადამიანს ვერ მოუნახავს თავისი ადგილი საზოგადოებაში. სხვა ადგილას ხალხი კატეგორიულადაც გამოთქვამს ამ აზრს. ერთ-ერთ ნაწარმოებში ის მოსამსახურეს ათქმევინებს მეფისადმი: „მეფეს მთელი ქვეყანა აბარია, იგი თავისთავის დაკმაყოფილებაზე კი არ უნდა ზრუნავდეს მხოლოდ, არამედ ხალხის ბედზე და ავ-კარგზეო“ („ქართ. ხალხ. სიტყვიერების ქრესტომათია“ I, გვ. 324). მაგრამ მხოლოდ მეფე უნდა იქცეოდეს ამგვარად?

— არა, ასე უნდა იქცეოდეს ყოველი ადამიანი, თუ მას საბოლოოდ დამარცხება არ სურს — „ხალხს რომ არაფერს არგიხარ, სიბერის დროს გაიგებსო“ — ნათქვამია ერთ ლექსში („ხალხური სიტყვიერების მასალები“, 1955, გვ. 220).

ცხადია, აქ მხოლოდ ეკონომიური სარგებლიანობა არ იგულისხმება. ეს რომ ასეა, ჩანს ლექსშიც, რომლის გმირი ამბობს: ქურდების სადევნელად იმიტომ წავედი, რომ „სოფელს ვაქმია სახელი, გული გავხეთქა მტრისაო“ (უმიკაშვილი, I, გვ. 75).

მაგრამ, როგორც ვიცით, კოლექტივის, ხალხის სამსახურის სულისკვეთებით უფრო მდიდარი საბჭოთა ფოლკლორია. ჩვენ გვაქვს უამრავი ნაწარმოები — ლექსები და სიმღერები, რომლებშიც ეს იდეა მძლავრად ჟღერს.

ამრიგად, ხალხის აზრის განვითარება საზოგადოებასთან დამოკიდებულების საკითხში ასე წარმოგვიდგება: პიროვნებამ უნდა გაიგოს, რომ თვითონ საზოგადოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ამიტომ მას ნდობა უნდა გამოუცხადოს, სჯეროდეს მისი, ემორჩილებოდეს და მაგალითად გაიხადოს მისი ქცევა, დამთმობი იყოს მის მიმართ. ესეც არ კმარა, — უნდა ემსახურებოდეს მას.

მაგრამ აქ მეორე კითხვაც ისმის: თვით „სოფელი“, საზოგადოება როგორ დამოკიდებულებაში უნდა იყოს პიროვნებასთან?

— ისიც მზრუნველი უნდა იყოს პიროვნების მიმართო, ამბობს ხალხი. ამ უკანასკნელსაც გარკვეული შესაძლებლობა და უფლება აქვს: „ჩემი ქუდის ქვეშ, მეც კაცი ვარო“. („სწავლა სიბერემდეო“, გვ. 80). ჩანს, რომ ხალხი ცნობს პიროვნების დიდ როლს და ყურადღებით ეკიდება მას. ღრმაშინაარსიანია გამოთქმა: „ჩემი ქუდის ქვეშ“. ის გულისხმობს, რომ გარდა პიროვნების ქუდისა, არსებობს სხვა „ქუდიც“, ე. ი. ხალხის, კოლექტივის, რომელიც დიდად მნიშვნელოვანია, მაგრამ პიროვნების „ქუდსაც“ ერთგვარი პატივისცემა უნდა ჰქონდეს გარკვეულ ფარგლებში. ანვითარებს რა ხალხი ამ აზრებს, მოითხოვს: საზოგადოებამაც პატივი სცეს პიროვნებას და საჭიროების დროს ეხმარებოდეს, შველოდესო: „კაცს რომ გაუჭირდება, სოფელს მიადგება, ნადირი — ტყეესაო“ („სწ. სიბ“. გვ. 95). ასეთ შემთხვევაში სოფელიც ეხმარება მას:

„ერთსა პატარა ელზედა ასი ნუკრი მიდიოდა;
ერთსა ფეხი მოსტეხოდა ასიე იმას შესაქეროდა“
(საქსოვი ქსელი; ფ. ₀. 27364).

ამ ნაწარმოებებიდან ჩანს, რომ პიროვნება სწორედ სოფელს, სწორედ ხალხს მიმართავს გაჭირვების დროს და ეს უკანასკნელიც ცდილობს — მას უშველოს. შედეგი? თუ ზემოთ მოყვანილ აზრს გავიხსენებთ იმის შესახებ, რომ „სოფელი ღონიერია“, შედეგიც სასურველი უნდა იყოს. მაგრამ ზუსტად ეს შემდეგ გამოთქმაში ჩანს — „მიდექ და მოდექ თუ გიჭირს, სოფელი ღონიერია“-ო („სწ. სიბერ“, გვ. 96). მაშასადამე, არა მხოლოდ პიროვნება უნდა ზრუნავდეს საზოგადოებისათვის, არამედ საზოგადოებაც პიროვნებისათვის; პიროვნება და საზოგადოება ერთი მთლიანობაა. ამიტომ პიროვნების ლხინი, თუ ჭირი, საზოგადოების ლხინი და ჭირი უნდა იყოს. საგულისხმოა, რომ ეს არა მხოლოდ ფოლკლორით, არამედ თვით ხალხის ყოფაცხოვრებითაც დასტურდება. ვაჟა-ფშაველა წერდა: ფშაველების აზრით, „პირადი ნაკლულოვანება ხომ ნაკლულევანებაა, მაგრამ პირად ნაკლულევანებად ჩასათვლელია ნაკლოვანება გვარისა, თემისა და სოფლისა. მოპირდაპირეც ამ საერთო ნაკლს იღებს პირად ნაკლად ადვილად: ძალდაუტანებლად. მკითხველი ამ გარემოებას ადვილად მიჰხვდება, თუ გაიხსენებს კომუნალურ ცხოვრებას ფშაველებისას“-ო[1].

ხალხის ეს აზრი, ნაწილობრივ უახლოვდება კოლექტივიზმის

[1] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ტ. V, 1961, გვ. 141.

პრინციპს, რომელიც ა. მაკარენკომ ასე გამოთქვა: „ადამიანს უნდა ესმოდეს, რომ საზოგადოებრივი ინტერესი — ეს არის პირადი ინტერესიც“[1].

შეხედულებანი ძალთა ერთიანობის საჭიროების შესახებ, როგორც ზემოთ ითქვა, უძველეს პერიოდებში პოულობენ სათავეებს. მათი აღმოცენება დაკავშირებული იყო პირველყოფილ საზოგადოებაში გაბატონებულ კოლექტიურ ცხოვრებასა და შრომასთან. კოლექტიურობის ელემენტები, ნაწილობრივ, ჩანს ჩვენში უძველეს დროიდანვე არსებულ „ოჩხარის“ ჩვეულებაშიც: ადამიანი, რომელსაც საქონელი არ ჰყავდა, საქონლის ყოლ ადამიანებს მოიწვევდა თავის სახლში, სადილს გაუმართავდა და საქონლის ჩუქებას თხოვდა. ისინიც აჩუქებდნენ და ამით საქონლის პატრონად გახდიდნენ („ძვ. საქ“. 2, განყ. 5, გვ. 77).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ერთიანობის იდეა მითოლოგიურ ზღაპრებსა და ლექსებშიც ჩანს.

ჰუმანიზმი. ჰუმანიზმის იდეები ჯერ კიდევ ამირანის თქმულებაში შეიმჩნევა, რასაც თვით ამირანის ბრძოლა ამტკიცებს ბოროტი ძალებისაგან ადამიანის გათავისუფლებისათვის. ადამიანებთან დამოკიდებულებას ორი, არსებითად, ერთმანეთის საწინააღმდეგო, მხარე აქვს: 1. უანგარო, გულწრფელი, პატიოსნური და 2. მლიქვნელური დამოკიდებულება, რათა სარგებლიანობა და წარმატება იქნეს მოპოვებული. ეს უკანასკნელი გარეგნული, ფორმალური ქცევაა, რაც გულითადობის საეჭვო მაჩვენებელია და სავსებით უცხოა ხალხური ეთიკისათვის. იქ, სადაც ფორმალიზმი იწყება, გულითადობის აღსასრულიც დგება. ხალხის აზრით, ჰუმანური გრძნობა კეთილშობილი და უკვდავია: მოვიგონოთ გამოთქმა — „ყველაფერი დაიქცევა კეთილი საქმის მეტი“-ო (ალ. ღლონტი, — „ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები“, გვ. 54). ამიტომ ადამიანის შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს — რამდენად სასიკეთოა მისი საქმიანობა ხალხის აწმყოსა და მომავლისათვის.

ფოლკლორის მიხედვით, ჰუმანიზმი გულისხმობს: 1. ადამიანის დაფასებას, მისდამი სიყვარულს, გულისხმიერ დამოკიდებულებას; 2. გაჭირვების დროს დახმარებას და მისი დაცვისათვის ბრძოლას.

ადამიანის დაფასება და პატივისცემა ხალხურ ნაწარმოებთა მთავარი მოთხოვნილებაა. მაგრამ ასეთი დამოკიდებულების ერთ-ერთი დასაყრდენი თვით ადამიანთა შორის გულწრფელობა და კეთილგანწყობილება უნდა იყოს:

---

[1] ა. ს. მ ა კ ა რ ე ნ კ ო, თხზ. ტ. 2, თბილისი, 1959, გვ. 451.

„არ ვისთვის ავი არ მეთქვას,
ყველასათვის გული მამეგო“-ო („შრომის სიმღერა“, გვ. 123).

მეტიც: საჭიროა ადამიანის სულიერ განწყობილებასაც ჩავწვდეთ, მისი ტკივილი შევიცნოთ და დატანჯულს ამით თანაგრძნობა გავუწიოთ:

„ნონე უკრავდა სტვირსაო,
— პატრონი მგლოვიარეა,
ბიჭო ნუ უკრამ სტვირსაო“ („საბაკ. ფოლკლ.“, გვ. 92).

აქ სხვა ადამიანის მწუხარების უგულებელყოფისა და მისი შესაბამისი მოქმედების აკრძალვის მოთხოვნილებას ვხედავთ, ჰუმანიზმის პრინციპის საფუძველზე. ადამიანთა ურთიერთობას არა ეგოისტური ინტერესები უნდა დაედოს საფუძვლად, არამედ — ზოგადადამიანური გრძნობები. აი, აქ გატარებული აზრი. ამის ნათელსაყოფად ხალხს ძმების ურთიერთდამოკიდებულება აქვს აღებული. ძმებისა იმიტომ, რომ უვარგისი, ეგოისტი ადამიანი ძმასაც კი ცვლის ვიწრო ანგარიშებზე; მას არ აქვს არა თუ საერთოდ ადამიანობა, არამედ საკუთარი ძმობის მნიშვნელობის გაგების უნარიც, და როგორი უნდა იყოს ის სხვა ადამიანების მიმართო. ეს აზრი ზოგადკაცობრიულია. ხოლო ადამიანი, რომელიც ამ აზრის მიხედვით მოქმედებს, ბედნიერია. ნეტავი იმას, ვისაც „დავრდომილი თუ უნახავს, სურვებია მისი შველა“-ო (ფ. ა. კოლ. XXV-ბ, 74, გვ. 1).

საყურადღებოა „ეთერიანში“ ეთერის მიმართვა აბესალომისადმი:

„რად გამიცრუვე მაყრები
უცხოს თემს ქვეყანაჩიგა?
ზეცით მოსული გვირგვინი
გარიეე ჩალა-მტვერჩიგა?“ (ხალხური სიტყ., IV, მიხ. ჩიქოვანის რედ. 1954, გვ. 173).

ეს საყვედური აბესალომს ეხება, რომელმაც სიყვარული თავისი კლასის ინტერესებს დაუქვემდებარა, მისთვის დათმო. ზემოთ მოტანილი ხალხური აზრის მიხედვით კი, ადამიანს ყველაზე მეტად გაჭირვების დროს სჭირდება დახმარება, მაგრამ აბესალომი სწორედ ამ დროს დასცილდა მას. სულ სხვა თვისებები აქვს ეთერის. ის ზოგადადამიანურ თვალსაზრისზე დგას, მოღალატე აბესალომისადმიც კი ჰუმანურია. „ეთერიანის“ მრავალი ვარიანტის მიხედვით, ეთერი სიამოვნებით წაჰყვა აბესალომის დას ავადმყოფ აბესალომთან: „ნეტავი ჩემის ნახვით კი მოგირჩეს ძმა, და როგორ არ წამოვალო“, უთხრა მან ამ უკანასკნელს (იქვე გვ. 101). მაგრამ იმის ნათელსაყოფად, რომ ადამიანი ჰუმანური უნდა იყოს, ხალხი ამბობს — ეს აბრეშუმის ჭი-

ასაც ახასიათებსო — „იმისი ნამუშევარი მთლათ ამშვენებს თემსა“-ო (პ. უმიკაშვილი, II, გვ. 275). საყურადღებოა ლექსიც ხარის შესახებ. ამ ლექსში ნათქვამია: სწორედ ამ ცხოველმა შეიცოდა ადამიანები, რადგან მათზე ზრუნვა — „არავინ იდო თავზედა“. მან კი ვალდებულებად აიღო — კვირაში ექვსი დღე მათთვის ემუშავნა და მხოლოდ შეშვიდე დღეს (კვირას) დაესვენაო, ამიტომ, თვით ადამიანებიც ასეთივე ზრუნვას უნდა იჩენდნენ მათ მიმართ. ხალხი მიუთითებს — ჩიასაც კი „ფეხი არ დაედგმისო“[1].

ამრიგად, ადამიანი სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს.

„წუთისოფელი ასეა — ღმეს დღე უთენებია,
რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“ (ხ. შ. ს. ა. 2543 საინ. 12, გვ. 17).»

სიყვარული აქ მტრობას უპირისპირდება. ასეთი კეთილი ადამიანია კაცურიკაცი და ამიტომ ის ყველასათვის საყვარელიც არისო. ჩვენი გიგა დაბერდა კიდეც და „საქონელიც არ ემდურის, არამც თუ ადამიანი“-ო (იქვე, 2544, საინ. 13, № 1373). ხალხური ჰუმანიზმი მებრძოლი ჰუმანიზმია და ეთერის ჰუმანურობაც მებრძოლი განწყობილების შემცველიცაა, რაც მის სიტყვებშიც მოჩანს ღალატის შესახებ (აბესალომო „რად გამიცრუვე მაყრები“-ო), სხვაგან კი ამბობს: „აბესალომისა სული ეშმაკების წაღებულია“-ო (იქვე, გვ. 69). ხალხი გვანიშნებს — ეს სათუთი ადამიანიც კი არ ემორჩილება ვიწრო კლასობრივი ჯგუფირებით შემოსაზღვრულ და მაღალ წოდებაში განმტკიცებულ ანტიჰუმანურ სულისკვეთებასო. აქ მებრძოლი ხალხური ჰუმანიზმი ჩანს. ჩაგრული და მჩაგვრელი კლასების ამ საპირისპირო ფსიქოლოგიას და ამ უცანასკნელის გავლენას ადასტურებს, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მითითება იმის შესახებ, რომ „ამა თუ იმ ხანის გაბატონებული იდეები ყოველთვის იყო მხოლოდ გაბატონებული კლასის იდეები“[2].

კლასობრივი საზოგადოება ამახინჯებს ადამიანთა კეთილშობილურ, ჰუმანურ გრძნობებს. აი, რა აზრია „აბესალომ და ეთერში“.

ხალხი სხვა მხრივაც ღრმად იხედება ადამიანის სულიერ სამყაროში და ასწავლის, რომ ფიქრი, გამოუმჟღავნებელი წუხილი, ჯავრი ადამიანს მძიმედ აწვება და აწუხებსო:

„ცეცხლი ვსთქვი ძირი არ დამწვა,
უთქმელობით გულს დამაწვა“[3].

---

[1] მესხური ანდაზები და გამოცანები, შეგროვილი კ. გვარამაძისაგან, 1895, გვ. 40.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1956, გვ. 82.

[3] „ცისკარი“, 1853, № 2, გვ. 53. სხვა ვარიანტში „ძირის“ მაგიერ გვაქვს — „პიჩი,“-„ცეცხლი ვთქვი, პირი არ დამწვა“.

მართლაც, არის შემთხვევები, როცა ადამიანის შინაგანი დუღილის გამომჟღავნებას არ მოაქვს სათანადო შედეგი, მაგრამ უთქმელობაც — შინაგანი განცდისა და ფიქრის გამოუთქმელობაც არ ვარგა, რადგან ის ადამიანის შინაგან სამყაროში ბრუნავს, ტრიალებს და მთელ გულსა და სულს აშფოთებს, რაც მავნებელია მთელი ორგანიზმისათვის.

ნაწილობრივ ზემოთ გაანალიზებული მასალებიდანაც ჩანს, რომ ხალხური ჰუმანიზმი ადამიანის მხოლოდ დაფასებით კი არ იფარგლება, არამედ მისადმი დახმარებასაც გულისხმობს. მაგრამ ამის დასამტკიცებლად სხვა საბუთიც არის საჭირო. როგორც ვიცით, ჰუმანიზმის ორი სახე არსებობს. ერთი მათგანი მხოლოდ კეთილი სურვილებით კმაყოფილდება. ცხადია, ასეთი ჰუმანიზმი არ შეიძლება ჭეშმარიტი იყოს, რადგან ის ვერ შველის ადამიანს. ჰუმანიზმის მეორე სახე კი, ადამიანის ბედნიერებისათვის ბრძოლას მოითხოვს.

ხალხური ჰუმანიზმი სწორედ ასე ქმედითია და პირველ რიგში ამაშია მისი დადებითი მნიშვნელობა. ხალხი პირდაპირ ამბობს: „მარტო ლოცვით სამოთხეში ვერ შეხვალო“ (ფ. ა. № 19159). ცნება „სამოთხე“, ამ კონტექსტში ბედნიერების სიმბოლოდ არის წარმოდგენილი. იგი გულისხმობს, რომ ადამიანები ერთმანეთს არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით უნდა ეხმარებოდნენ, შველოდნენ, საერთოდ — კეთილ საქმიანობას ეწეოდნენ. აი, ეს არის ჭეშმარიტი ჰუმანიზმი. მაგრამ ამისათვის ბრძოლაა საჭირო.

მეტად თვალსაჩინოდ არის ეს აზრი გადმოცემული ზღაპარში — „მადლიერი მკვდარი“ („რჩ. ქართ. ხალხ. ზღაპრები“, 1958, გვ. 111—113). ერთი კაცი მკვდარს მიათრევდა და ეუბნებოდა — „ახლაც არ გამისტუმრებ ვალსაო?“ ამან ასეთი ფიქრები აღუძრა ერთ ახალგაზრდას: „აი, რა არის ცხოვრება. კაცს ცოცხალს სისხლსა სწოვს, მოკვდება და საფლავში მიყვება — ჩემი ვალი გმართებსო! საცოდავი მონა...“ — „არა, საცოდაო! მე შენ უნდა გიპატრონო, მე შენ გაგასვენებ ადამიანურად“-ო.

აქ ადამიანის პატივისცემის ორ სახეს ვხედავთ: ზოგადადამიანურს და პიროვნულს. პირველი სოციალურ ჩაგვრას ეხება, მეორე — მის მსხვერპლს — პიროვნებას. პირველი მომენტი კარგად ჩანს მამის სიტყვაში ახალგაზრდისადმი. ადამიანურად დამარხა რა ამ უკანასკნელმა მკვდარი, მამისაგან მოწონება დაიმსახურა: „შენი იმედი მაქვს შვილო. შენ ისეთი საქმე ჩაგიდენია, რომ შენი ღვაწლი და ამაგი არ დაიკარგებაო“. არსებობს რაღაც ისეთი ადამიანური, რომლის წინაშე ყოველგვარმა თანამდე-

ბ ო ბ ა ამ ქ ე დ ი უ ნ დ ა მ ო ი ხ ა რ ო ს. ხალხს არც ის რჩება მხედველობიდან, რომ ბრძოლა ადამიანის ბედნიერებისათვის, თავისთავშივე გულისხმობს ვინმესთან დაპირისპირებას. ამ მხრივ, ერთგვარ ინტერესს იმსახურებს ვახტანგ გორგასალზე შეთხზული ცნობილი ლექსი, რომლის მიხედვით, ვახტანგმა „იალბუზის ეშმაკები ცხრამთას იქით გადარეკა" („ივ". 1889, № 204).

ხალხის უძველესი წარმოდგენით — ადამიანთა ამ მტრების — ეშმაკების დამარცხება, მთელი ხალხისადმი დახმარებასა და შველასაც გულისხმობს. ხალხური ჰუმანიზმის ასეთ გაგებაზე მიუთითებდა სწორედ ვაჟა-ფშაველა, როცა წერდა: „გმირი ერთსა და იმავე დროს მტრის სისხლის მქცეველიც არის და წმინდანიც, როგორც მფარველი თავის თემისა"-ო[1].

ხალხის აზრი, რომლის მიხედვით ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო, კარგად ჩანს მითოლოგიურ ნაწარმოებებშიც გველეშაპების, დევებისა და სხვა „ავი" ძალებისაგან ადამიანის გათავისუფლებისათვის ბრძოლის სახით. თავის შემოქმედებით ხალხი ამტკიცებს, რომ ყოველი ბრძოლა, რომელიც ჩაგვრისაგან გათავისუფლებას ემსახურება, თავის ბუნებით, ჰუმანურია. ამის საბუთია არსენა ოძელაშვილისა და უსამართლობის წინააღმდეგ სხვა უამრავ გმირთა ბრძოლები. განსაკუთრებით არის აღსანიშნავი რევოლუციონერთა ბრძოლების ასახვა ფოლკლორში. უნდა ითქვას — არსენას ლექსში წარმოდგენილი ჰუმანური პრინციპი ღარიბთა დახმარების შესახებ, სხვა მრავალ ნაწარმოებშიც ჩანს (საილუსტრ. ვ. კოტეტიშვილი, „ხალხური პოეზია" გვ. 274).

სხვა ადგილას ხალხური პოეზიის ბრწყინვალე ნიმუში-„მოყმე და ვეფხვი", ჰუმანურობის ზოგადსაკაცობრიო იდეის მატარებლად არის მიჩნეული, რადგან აქ დედის ჰუმანურობა საკუთარი შვილისადმი წრფელ სიყვარულში ვერ თავსდება და საერთოდ, ყოველი შვილისადმი თავგამეტებულ სიყვარულში გადადის, მხეცის შვილის სიყვარულშიც კი. აქ საერთოდ ადამიანის დაფასების, მისდამი სიყვარულისა და თავდადების ზოგადი იდეები ჟღერს. ამ ლექსის დავიწყება შეუძლებელია აღზრდის იდეებზე მსჯელობის დროს, რადგან მასში მკაფიოდ ჩანს ხალხური ჰუმანიზმის უძველესი ფესვები. ზოგადსაკაცობრიო აზრი და მისი დიდი აღმზრდელობითი ძალა.

---

[1] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ტ. V, 1961, გვ. 75.

* * *

შეხედულებანი სინდისსა და პატიოსნებაზე. ამ ნიშან-თვისებებს ვერავითარი სიმდიდრე ვერ შეედრება, ხალხის აზრით: „სვინდისი სჯობს საუნჯეს, ვისაც კი აქვს ვაგონება“-ო („ძვ. საქ.“ III, განყ. 2, გვ. 44). უფრო მკვეთრად და კატეგორიულადაა ეს აზრი გამოთქმული შემდეგი აფორიზმით: „პატიოსნება ყველაზე დიდი სიმდიდრეაო“ („რჩ. ქართ. ანდაზ. და სიტყვ. მას“, გვ. 59). ხალხმა იცის, რომ სინდისიერება და პატიოსნება ადამიანის კონკრეტულ ქცევებში ვლინდება. პირველად სიტყვის, პირობის შესრულების საკითხზე შევაჩერებთ ყურადღებას. ამ თვისებას ხალხი კაცურკაცობასთან აკავშირებს: „კაცი უნდა კაცი იყოს, რომ დაჰპირდეს, არ გამტყუნდეს“-ო („ხალხ. სიტყვ. მას“. II, გვ. 45).

პირობის შესრულებას მოვალეობის გრძნობა უნდა ედოს საფუძვლად და არა ძალდატანება: „თუ გემართოს, გამოგზავნე, ნუღარ ვინდა უკან დევნა-ო“ („ძვ. საქ.“ III, განყ. 2, გვ. 46). ამას უკავშირდება მეტყველებაში თავდაჭერილობის საჭიროებაც, რადგან საწინააღმდეგო ქცევა არა მხოლოდ პიროვნების, არამედ მთელი საზოგადოებისათვისაც მავნებელია— „ჩურჩულმა ქვეყანა ამოაგდოო“ („სწ. სიბერ“. გვ. 128).

ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, აგრეთვე, სირცხვილის გრძნობას. მას, იგი ვაჟკაცობის აუცილებელ თვისებადაც მიიჩნევს. ცნობილია გამოთქმები — „ვაჟკაცი ქუდს სიცოცხლისათვის კი არ ატარებს არამედ სირცხვილისათვისო“. სადაც კაცი „შერცხვება, მისი სამარეც იქ არის“-ო. ეს თვისებები ქალსაც უნდა ახასიათებდეს და კაცსაც — „ქალსა თუ კაცსა ნამუსი, რომ უნდა ჰქონდეს, „ცხადია“-ო, ნათქვამია ერთ ლექსში („ივ“., 1885, № 10, გვ. 49).

ხალხი დიდი ყურადღებით ეკიდება, აგრეთვე, სტუმართმოყვარეობას: „სტუმარი მასპინძლის ლხინიაო“ — ამბობს. აქ საჭიროა მივმართოთ ზღაპარს — „სამი ძმა“. ამ ნაწარმოებით ხალხი ამბობს: სტუმართმოყვარე ადამიანის სუფრაზე მოტანილი ქვაც კი შეიძლება საკვებად გამოდგეს. სტუმართმოყვარეობა ძვირფასი თვისებაა, დაუვიწყარია და სტუმართმოყვარე ყოველთვის გაიმარჯვებსო[1]. ამ ზღაპრის მიხედვით, სამ ძმას, მოხუცის სახით, წმ. გიორგი ესტუმრა. ძმები არყის გამონახადი წყლით გაუმასპინძლდნენ მას, პურის ნაცვლად კი ქვა მიუტანეს, რადგან საჭმელ-სასმელი არ ჰქონდათ. მაგრამ არყის გამონახადი წყალი ღვინოდ იქცა, ქვა კი პურად. გულითადი მასპინძლობისათვის მოხუცმა უფროს ძმას მიწა დაულოცა, საშუა-

---

[1] „სახალხო მთქმელები“, 1956, გვ. 24—27.

ლოს — ჯოგი და უმცროსს მეოჯახე ქალის შერთვა უსურვა, თან ძმები დაარიგა სტუმარი არ შეგძულებოდეთო და წავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ის ისევ ესტუმრა მათ, რათა შეემოწმებინა პირობას თუ ასრულებდნენ. მაგრამ ის არც უფროსმა ძმამ მიიღო სტუმრად და არც საშუალომ. საშუალომ თავი ასე იმართლა — ქალს ხელი დაეწვა და პურის გამოცხობა არ შეუძლიაო. უმცროსი ძმა მომკვდარიყო, მაგრამ მისმა ცოლმა რომ სტუმარი დაინახა, კუბო დამალა და გაუმასპინძლდა. ამის შედეგად მოხუცმა პირველი ორი ძმა ისევ გაღარიბა, ხოლო უმცროსი გააცოცხლა.

აქვეა აზრი, რაც სხვაგან ასეა გამოთქმული — „პური და გული სტუმარსა, წავა შინ, მოაგონდება"-ო. აქედან ისიც ჩანს, რომ სტუმართმოყვარე მთელი ოჯახიც მოსაგონებელი და საყვარელია. მართლაც, სტუმართმოძულე ოჯახზე ხალხი ამბობს: „არ ვარგა უსტუმრო სახლი, ცალ ფულად არ გამოდგებაო"[1].

ამრიგად, სტუმართმოძულე ადამიანს ავტორიტეტი არ აქვს. ეს ცოტაა, ის შეიძლება განადგურებამდეც კი მივიდეს: „ორი პურაძვირი კაცი ერთმანეთის ბაძვით შიმშილით დაიხოცნენო" („ჯეჯილი", 1900, № 4, გვ. 65).

უარყოფითი აზრი მოჩანს ფოლკლორში, აგრეთვე, შურიანობაზე, სიხარბეზე, სიძუნწეზე, მლიქვნელობაზე, მექრთამეობაზე და მათ მსგავს სხვა თვისებებზეც. „შურიან კაცს მეზობლის ვარდი თვალში ეკლად ეჩხირებაო" („რჩ. ქართული ანდაზები", და „სიტ. მასალა". გვ. 54). შურიანობას სამწუხარო შედეგი-ადამიანთა გაუტანლობაც მოსდევს: „მეზობელს მეზობელთანა, აღარ ეკმევა პურია"-ო.

ამრიგად, შური ადამიანთა სიძულვილისა და გათიშვის წყაროა. სამარცხვინოა სიხარბეც. უპირველეს ყოვლისა, ხარბი ადამიანი გაუმაძღარია, — ხარბის გულსა და თვალს მხოლოდ „მიწა გააძღებსო". ის გროშებზე ცვლის ადამიანებს, რითაც თავის უგუნურობასაც ამტკიცებს და სიძულვილსაც იმსახურებს: ხარბი ადამიანიო „ორი შაურის გულისთვის ნათელ მირონს შესძულდება, ორი ტკაველი მიწისთვის ძმას მოჰკლავს ან შეაკვდება. ეს კი არ იცის უგუნურმა, კაცი კვდება მიწა რჩება" (ვ. კოტეტიშვილი, იქვე, გვ. 274).

სიხარბე მეგობრის მოღალატედაც ხდის ადამიანსო, ამბობს ხალხი და საილუსტრაციოდ ქმნის ნაწარმოებს (ფ. ა. № 20744), რომელშიც ნათქვამია — სამმა მეგობარმა ოქრო იპოვნა და ყოველ მათგანს მისი მისაკუთრების სურვილი აღეძრა: „ოხერმა ფულის სიხარბემ გულში ჩაუდვა შურია". ამის გამო, დადებული პირობა — ერთმანე-

---

[1] სახალხო ლეგენდები და ლექსები, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, 1887 გვ. 72.

თისათვის არ ეღალატნათ და შეძენილი ნივთებიც საერთო საკუთრებაში ჰქონოდათ, — არ შეასრულეს, დაარღვიეს, — „გატეხეს სიტყვა". მაგრამ მათ არა თუ სიტყვა გატეხეს, მეტიც გააკეთეს: ერთმანეთს საჰმელი მოუწამლეს და დაიხოცნენ. აქ აშკარად ჩანს სიხარბის ეკონომიური საფუძველი — კერძომესაკუთრეობა, მისი მავნე შედეგები, და მითითებულია: ამ ფსიქოლოგიას ადამიანი ბოროტმოქმედებამდე მიჰყავსო. ამრიგად, სიხარბე თვით ხარბი ადამიანებისათვისაც მავნებელია. ეს აზრი შემდეგი სახითაც გამოისახა ფოლკლორში: „სიხარბემ რა ქნა და ყველაფერი დაკარგაო". სხვა ადგილას ნათქვამია: „მეტისმეტი სიხარბითა მელამ თავისი კუდი მოიჭამაო" („სწ. სიბერ". გვ. 58). გარდა ამისა, სიხარბე ადამიანის ჭკუაგონებასა და აზროვნებაზეც უარყოფითად მოქმედებს: „სიხარბე კაცს ჭკუას წაართმევსო" („ხალხ. სიტყვ. მას", II, გვ. 70).

სიხარბეს სიძუნწე უკავშირდება. ძუნწიც ყველაფერს ეკონომიური სარგებლიანობით, ფულით ზომავს. ეს უკანასკნელი მას ღმერთად წარმოუდგენია. ხალხი იუმორშერეულად ამბობს: მას ისიც კი ჰგონია — „სამოთხეს ფულით ჰყიდიანო" („ჯეჯილი", 1897; № 10, გვ. 53). ასეთი ქცევა არაგონიერად მიაჩნია ხალხს და მიუთითებს: ფული კი არ უნდა ბატონობდეს ადამიანზე, არამედ პირიქით, — საჭიროა ის ემსახურებოდეს ამ უკანასკნელსო: „ფული მოსამსახურედ კარგია, ბატონად კი არაო" („სწ. სიბერ". გვ. 79). ადამიანმა ეს უნდა გაიგოს, ხოლო ვინც ვერ გებულობს და ფულს თვლის ბატონად, ცდება, რადგან არ იცის „ფული რეგვენის ბატონია, ჭკვიანის მსახურიო" (იქვე). სიძუნწე არც თვით ძუნწისათვისაა სასარგებლო და არც სხვისთვის. სწორედ ეს აზრია განზოგადებული ცნობილ აფორიზმში: „ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევსო". ავითარებს რა ამ აზრს, ხალხი ამტკიცებს, სიძუნწე უსინდისობასაც იწვევს, რაც კიდევ უფრო სამარცხვინო თვისებად ხდის მას. საილუსტრაციოდ ის ამბობს — „კაცმა კაცს ვენახი აჩუქა და იმან ყურძენიც არ აჭამაო" („რჩეული ქართული ანდაზები". გვ. 54). ხალხური ზეპირსიტყვიერება მდიდარია ქურდობის წინააღმდეგ არსებული ანდაზებით. „ქურდმა ფიცი იშოვნა და შინ შახარობელი გაგზავნაო" (ლ. მეტრეველი, იქვე, გვ. 75). „ქურდი თავის სახლს ვერ ააშენებს, სხვისას კი დააქცევსო" (სვინტიძე, ანდაზ. გვ. 182).

ზემოთგანხილული მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, შურიანობაში, სიხარბეში, სიძუნწესა და ქურდობაში ხალხი საერთო თვისებებს ხედავს: პირადი ეკონომიური სარგებლობის ხალხის ინტერესებზე მაღლა დაყენებას, ღალატს და სხვ. ამის მიხედვით ის საქართლიანად ფიქრობს: ამ თვისებათა მატარებელი ადამიანები არაფრად აგდებენ ჰუმანურობას, პატიოსნებას, სინდისიერებას; არ უფიქ-

რდებიან, რომ საზოგადოება სიძულვილით უცქერის ასეთ ადამიანს. ისე, რომ ისინი ეკონომიურადაც ზიანდებიან და მორალურადაც.

ამ მახინჯ მოვლენებს გარდა, არსებობს კიდევ უფრო აუტანელი და მიუღებელი თვისება — ბოროტება. ბოროტს ხალხი ხშირად „ავს“ უწოდებს, ხოლო მის დასახასიათებლად ამბობს: მშობლებსაც კი არ სურთ ასეთი ადამიანიო (ერთ-ერთი ნაწარმოების მიხედვით, მშობლებმა არაფრად ჩათვალეს მათი ბოროტი შვილის სიკვდილი და თქვეს — „ვინაც ავი კაცი იყო, ჯანდაბაშიც ჩამკვდარაო“ (ფ. ა. № 20637)

ამიტომ, ვისაც მავნე შვილი ჰყავს, მუდამ მწუხარებაშია — „ბოროტი შვილის დედასა რა მოაშორებს სევდასა“. ბოროტი ადამიანი, ზოგჯერ, სასაცილო მდგომარეობაშიც ვარდებაო: „კაცი ბჭობდა სხვის სავნოდა, ღმერთი მასზედ იცინოდა“ (H, 2535, № 1). ბოროტება ეგოიზმს, კაცთმოძულეობას და მუხანათობას ემსახურება, ეს მრავალი სახით წარმოგვიდგინა ხალხმა. მის უძველეს სახედ შეგვეძლო მიგვეჩნია სულის გაყიდვა. სულის გაყიდვა მსოფლიო ფოლკლორული მოვლენაა, რაც კერძოდ, გამოისახა თქმულებაში ფაუსტის შესახებ. ფაუსტმა ხომ ჯადოქრად გახდომა განიზრახა და ამ მიზნით ეშმაკს მიჰყიდა სული, რაც ადამიანისადმი შეურიგებელ მტრობას ნიშნავდა და რამაც გენიალური ლიტერატურული გადამუშავება განიცადა გოეთეს „ფაუსტში“. სულის ეშმაკზე მიყიდვა ადამიანობისაგან განდგომა იყო. ეს კარგად აისახა ქართულ „ეთერიანშიც“. ეთერის ტრფობით გატაცებულმა მურმანმა ეშმაკს მიჰყიდა სული. ვის შეუძლია აბესალომს ეთერი „შეაძულოს და მე ჩამიგდოს ხელშიო“ — ფიქრობდა მურმანი. მას ეშმაკი შეხვდა და უთხრა — „აგის „წამალს მე გასწავლი, თუ შენს სულს მე მომცემო“ (ს. გორგაძე, „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“, 1925, გვ. 80). ასე მიჰყიდა მურმანმა ეშმაკს სული. ხალხმა გვიჩვენა ადამიანობისაგან განდგომის ამ საშინელი, შემაძრწუნებელი, პიროვნული ტრაგედიის და ოჯახური ბედნიერების მწვავე შედეგები.

ბოროტებას მოღალატეობა უკავშირდება. თავისი შემოქმედებით და კერძოდ, ზღაპრებით, ხალხი, როგორც ვიცით, ამტკიცებს, რომ მოღალატეს ხალხის რისხვა და სამარცხვინო სასჯელი მოელის.

დასაგმობია მაბეზღარობაც: „დაბეზღება ცუდი არის, ღმერთი დიდათ ცოდვათ გვაძლევს“-ო (უმიკაშვილი, II, გვ. 198).

ხალხი დამაჯერებლად ასახავს ლოთობის მავნე შედეგებსაც და გმობს მას. ამის ნათელსაყოფად ის ერთ-ერთი ლექსის ლირიკულ პერსონაჟს ათქმევინებს: დათრობამ გზა-კვალი ამიბნია, ამის გამო „დაეწყეველ და აღარ დავლევ, ჩემს დღეში ცარიელ არაყსა“-ო („ჯეჯილი“, 1896, № 1, გვ. 53).

ცნობილია ხალხის უარყოფითი აზრი ამპარტავნობაზე. ამპარტავნობაში ის უვიცობას და უგუნურებას ხედავს, რადგან ასეთი ადამიანი ვერ ამჩნევს სხვა ადამიანთა ღირსებებს — „ყველაზე მეტად თვალთ ვის აკლიაო? და — ვინც თავისთავს აქებსო".

„თვალნაკლულობა", ამ კონტექსტში არა მხოლოდ ადამიანის ზნეობრივ, არამედ გონებრივ მხარესაც უკავშირდება. ამიტომ აქ გამოთქმული აზრის უშუალო გაგრძელება უნდა დავინახოთ აფორიზმში — „ამპარტავნობა უვიცობა" არისო (ხელნაწ. ინსტ. Q, 965, გვ. 322). ეს ხალხური პედაგოგიური აზროვნების სისწორეზე მიგვითითებს. ამ დებულებათა სისწორეს ხალხი კონკრეტული მაგალითითაც ამტკიცებს, ავიღოთ სტროფი:

„კაციაანთ ქორწილი ქნეს სტვირითა და ქამანჩითა.
პატარძალი მაიყვანეს სარკითა და სადაფითა;
არც მაჩვენეს დილის მზითა, არც საღამოს სანათითა,
მაშინ მაინც დავინახავ, რომ დარბოდეს კალათითა" (ვ. უმიკაშვილი, I, 1964, გვ. 225).

ამრიგად, „კაციაანთ" ქედმაღლობა გამოიჩინეს და არავინ (იგულისხმება დაბალი ფენის ადამიანები) არ გაიკარეს ქორწილის დროს, მაგრამ ასეთი ქედმაღლობაც დროებითია, რადგან სიმდიდრე, რომელსაც ის ემყარება, წარმავალია. უფრო სამწუხარო კი ის არის, რომ ამპარტავნობას, ხშირად, ზნეობრივი დაცემაც მოსდევს:

„კაცი ცრუ, ამპარტავანი
ურჩობას მოეკიდება,
დედას სცემს, მამას აგინებს,
ცოლს ავად მოეკიდება" („ივ. " 1889, № 204).

ასეთია ამპარტავნობის უარყოფითი შედეგები.

ზნეობრივ თვისებებსა და პრინციპებზე მსჯელობის დროს, ხალხი უყურადღებოდ არც იმ გარემოებას ტოვებს, რომ ბრძოლაში დამარცხებაც მოსალოდნელია. ამის ნათელსაყოფად, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ისეთ ძლიერ გმირსაც კი, როგორიც ამირანი იყო, ის ათქმევინებს, რომ ყოველთვის „გალაღებული" არც თვითონაა, ზოგჯერ, ისიც განიცდის მარცხს. აქ გარკვევითაა თქმული, რომ მარცხს ყოველი ადამიანი უნდა მოელოდეს, რადგან ხალხისვე აზრით, „მჯობთა მჯობი არ დაილევა".

მაგრამ ხალხი აქაც ღრმად მსჯელობს, ფიქრობს: ცალკეული დამარცხება ადამიანის ბედის გადამწყვეტი არ იქნება, თუ მისი მთელი სულიერი სამყარო მტკიცეაო. მეტად საყურადღებოა ნაწარმოები, რომლის მიხედვით, თავის უფროს ვაჟს სოვდაგარმა „დიდძალი ფუ-

ლი“ მისცა, სავაჭროდ გაგზავნა და უთხრა: „როგორც გინდა ისე აწარმოე საქმე, იზარალე, ნუ გეშინია, მხოლოდ ნიჭი და მოსაზრება გამოიჩინეო“ („რჩ. ქართ. ხალხ. ზღაპრ.“, 1958, გვ. 110). და როცა ამ ვაჟმა იმის შიშით, რომ არ ეზარალა, ვერაფერი იყიდა და სახლში ხელცარიელი დაბრუნდა, მამამ ის თავიდან მოიცილა შემდეგი სიტყვებით: „შენ, შვილო, არაფერ საქმეში არ გამოდგები, შენს ხელში თანხა ისე მოკვდება, უძრავად გახდება, შენ მე შვილად ვერ გამომადგები, გამეცალე, ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოსო“. და როცა მეორე შვილიც ასე მოიქცა, ისიც თავიდან მოიშორა მან. მაშასადამე, გამარჯვებისათვის ადამიანის მთელი სულიერი ძალების მომზადება და მზადყოფნაა საჭირო. მზადყოფნისათვის კი, გარდა ზემოთ აღნიშნული (კერძოდ, გონებრივი და ფიზიკური) ძლიერებისა, მთელ რიგ სხვა თვისებებს ცნობს ხალხი საჭიროდ. პირველად გამოვყოფთ სიფხიზლესა და პრინციპულობას. სიფხიზლე მოწინააღმდეგე ძალების შეფასებაშიც საჭიროა. უნდა გაიგო მისი ძალები, რადგან „კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩება“. ამასთან ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ „მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერს“. სიფხიზლე განსაკუთრებით იმიტომ არის აუცილებელი, რომ მტერს არ სძინავსო, ამბობს ხალხი და ამას შემდეგი მაგალითით ამტკიცებს: ზურაბ ერისთავმა ხევსურები მიიწვია — ზავი დავდოთო. იცოდა რა ზურაბის ხასიათი, ერთ-ერთ ხევსურს. უთქვამს: „ხევსურნო, კმალს ნუ დავიხსნით: ზურაბ არ დაინდობაო“. მაგრამ ამ გაფრთხილებას ყურადღება არ მიაქციეს, ზურაბთან მივიდნენ და დათვრნენ. ამ უკანასკნელმა ასეთი ვიდარებით ისარგებლა და ისინი გაწყვიტა (ა. შანიძე, იქვე, გვ. 316—317).

სიფხიზლე იმიტომაც არის საჭირო, რომ მტერი ხშირად არაპირდაპირი გზით იბრძვის, შემპარავია: ჯერ მცირე მოთხოვნებს აყენებს ადამიანის წინაშე და როცა ამ მიზანს მიაღწევს, ახალ პრეტენზიებს აცხადებს, რასაც გამანადგურებელი შედეგები მოსდევს. ზღაპარ „მელია და მწყერჩიტას“ მიხედვით, მელიამ ჯერ ერთი ბარტყი მოთხოვა ჩიტს, შემდეგ მეორე, და ასე გაუნადგურა ბარტყებიო, ამბობს ხალხი და ამით ერთხელ კიდევ მიუთითებს სიფხიზლის აუცილებლობაზე.

სიფხიზლეს და საერთოდ, ადამიანის ყოველ მოქმედებას, პრინციპულობა უნდა ახლდეს. ერთ-ერთი ლექსის ლირიკული გმირი ამბობს: რამდენი გაჭირვება მინახავს, მაგრამ „არც გული გამომიცვლია“, და არც მიზანზე ამიღია ხელიო („ივ. 1887, № 174). საერთოდაც მთელ ხალხურ შემოქმედებაში გატარებულია აზრი, რომ დასახული მიზნის განხორციელებისათვის თანმიმდევრული, შეუპოვარი, პრინციპული მოქმედება და ბრძოლაა საჭირო. არ არის შემთხვევა, რომ ფოლ-

ელორული ნაწარმოების მოწინავე გმირს ხელი აეღოს ბრძოლაზე. სწორედ ასეთ ადამიანზეა ნათქვამი: „კარგი ყმის დედას დავნატრი, ვინც ნათქმს გააცხადებსო“ (უმიკაშვილი, II, გვ. 191). საყურადღებოა, კერძოდ, პრინციპულობა სამართლიანობის დაცვაში:

„გაგამ თქვა მიჯობს სასჯელი, მტყუანის გამართლებასა“-ო („ქართ. მთიელთა ზეპირსიტყვიერება“. გვ. 217).

პრინციპულობასთან პირდაპირობაც აუცილებელია. ეს აზრიც მთელი ხალხური შემოქმედებისათვისაა დამახასიათებელი. აქ შემდეგ ანდაზას მოვიტანთ „კაი მონადირე დაწოლილ კურდღელს არ ესვრისო“ („ხალხ. სიტყვიერ. მას“. II, გვ. 41). ამას უკავშირდება აზრი მლიქვნელობის დაგმობის შესახებ: „პირში მაქებარი — კაცის ძირის გამომთხრელია“-ო. ამიტომ: „წინ მდგომი მტერი სჯობია, უკან მდგომ მეგობარსაო“.

ხალხი მოთმინებასაც მოითხოვს ადამიანისაგან და მას კაცურ-კაცობასთან აკავშირებს: „სულგრძელი კაცი სწორედ კაცური კაციაო“ („რჩ. ქართ. ანდაზ“. გვ. 94). მოთმინება იმიტომაც არის აუცილებელი, რომ ის გამარჯვების საწინდარია, — „სამოთხის გასაღებიაო“ (იქვე). ამასთან ხალხი ფიქრობს, რომ ყოველთვის მოთმენაც შეუძლებელია (ამის შესახებ, ქვემოთ). ზემოაღნიშნულთან ერთად, ხალხი გრძნობს, რომ ამ ზნეობრივი პრინციპებისა და ნორმების დაცვას და მათ ცხოვრებაში გატარებას სხვა თვისებებიც სჭირდება. ასეთებია: სიმხნევე, პერსპექტიულობა, აქტიურობა. სიმხნევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს წინააღმდეგობათა დაძლევის პროცესში — „კაცი ფონს გავი გულადად, თუ არ უმტყუნა სიმხნევემ“-ო (H, 965, გვ. 154). პერსპექტიულობა, იმედიანობა ხომ საერთოდაც ახასიათებს ხალხურ შემოქმედებას. ხალხი ასაბუთებს კიდეც მის საჭიროებას, ამბობს — იმედი შვებაც არის გაჭირვების დროსო —

„ძნელია. გაჭირვებაჩი
იმედ არ იყოს ყმისაო“ (ფ. ა. № 17127).

იმედიანობის საფუძველს, ერთი მხრივ, იმის შეგნება წარმოადგენს, რომ „ავდარი დროებითია“, რაც საშუალებას აძლევს ადამიანს ხელი არ ჩაიქნიოს ცხოვრებაზე. ასეთია პერსპექტივის ძალა, რომელსაც ყოველთვის ცხოველმყოფელობა და აქტიურობა შეჰქონდა ახალგაზრდებში: რომელიც არწმუნებდა მას, რომ მიზნის მიღწევისათვის ბრძოლის დროს ოხვრა კი არა, ძალების მოკრება, მომზადება, შეიარაღებაა საჭირო.

ამ თვისებებთან ერთად, ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარ ძალებზე დამყარებას, წინააღმდეგობათა გადალახვის დროს: „ყველა ღმერთს ეხვეწებოდა, წალდი კი თავის წევრსაო“ (ფ. ა. №

14415). ცხადია, ეს არ გამორიცხავს ურთიერთდახმარების საჭიროებასაც, რაზედაც ხაზგასმითაა ფოლკლორში მითითებული, მაგრამ ურთიერთდახმარებაც თვით სუბიექტის ინიციატივისა და ბრძოლის უნარიანობით არის შესაძლებელი. ხალხი გარკვევით მიუთითებს, რომ ასეთი დახმარებით სიძნელის მხოლოდ შემსუბუქება შეიძლება, მთავარი წინააღმდეგობა კი, თვითონ სუბიექტმა უნდა დაძლიოს, — „ასი ბებიაც რომ მოიყვანოთ, მშობიარობის ტკივილები მაინც მშობიარემ უნდა გადაიტანოს"-ო (ს. ლ. მ. ა. 20002 — ხ, საქ. № 4, გვ. 100).

ამ დებულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ აზრის ჩასანერგად, რომ ყოველმა ადამიანმა პასუხისმგებლობა იგრძნოს თავის თავის მოვალეობის მიმართ. აქედანაც ჩანს, — საკუთარ ძალებზე დამყარება თავისთავად მოითხოვს ერთ თვისებას, — აქტიურობას. ეს ფოლკლორული ნაწარმოების ყოველი მოწინავე პერსონაჟის ნიშანთვისებაა. აქტიურობის გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევს ადამიანი. აქტიურობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანთვისება არსებული შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებაა. ამას ასახავს ცნობილი მითითება — „ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის, ფეხი წინ წადგი, გაწვდება". ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი არსებული პირობებით არ შეიზღუდოს, საკუთარი მეცადინეობითაც მიაღწიოს მიზანს, იგივე მოჩანს მიმართვაშიც მებრძოლისადმი — „თუ ტყვია გაგითავდება, ღილი მაიჭერ ტანზედა" (ხალხური სიტყვიერება", III, გვ. 58).

ეს მაგალითები ადამიანის აწმყოში მოქმედებაზე მიგვითითებენ. მაგრამ ყოველი ასეთი მოქმედება, ამავე დროს, მომავალსაც ემსახურება. ამასთან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ხალხი საგანგებოდაც გამოთქვამს აზრს მომავლისათვის ბრძოლისა და შრომის აუცილებლობაზე. ამრიგად, აქტიურობა აწმყოსაც უნდა ემსახურებოდეს და მომავალსაც. არც ეს კმარა: იგი წარსულში დაგროვილ გამოცდილებასაც უნდა დაემყაროს. ეს კარგად ჩანს ზემოთ განხილულ ნაწარმოებში („ზღაპარი ხელმწიფისა, რომელსაც სიკვდილი სანატრელი გაუხდა"), სადაც კაცის გაჭირვარი თავის ქალის მიერ მიცემული დარიგება დიდად არის დაფასებული. ხალხი წარსულ ცოდნა-გამოცდილებასთან შეგნებულ დამოკიდებულებას ცნობს საჭიროდ.

არც ეს თვისებებია საკმარისი. ხალხი იმ გარემოებას ღებულობს მხედველობაში, რომ წინააღმდეგობათა დაძლევის დროს, ზოგჯერ, მოდუნება, ან გადაჭარბებაა მოსალოდნელი. ეს ორი, ერთიმეორის საწინააღმდეგო ვითარებაა, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მიზანდასახულობის სისრულეში მოყვანას და მარცხი გამოიწვიოს. ამიტომ, ის ზომიერების დაცვას ცნობს საჭიროდ, ამბობს — „აღმარ-

თი და დალმართი ორივე ღმერთმა დასწყევლოსო“ (ს. ლ. მ. ა. 8491-ხ. გვ. 661). მეტიც, — ზომიერება არა თუ საჭირო, აუცილებელიცაა: ზემოთ აღვნიშნეთ — ხალხი სიფრთხილეს ცნობს საჭიროდ მოქმედების დროსო. მაგრამ ამასთან მიუთითებს — სიფრთხილესაც საზღვარი უნდა ჰქონდეს, თორემ მარცხია მოსალოდნელიო — „ფრთხილი ჩიტი მახეში ორივე ფეხით გაებაო“ („სწავლა სიბერ“. გვ. 131). ხომ არ არის აქ წინააღმდეგობა? — არა: ხალხის თვალსაზრისით სიფრთხილით ადამიანს არაფერი წაუხდება, მაგრამ ზომაზე გადასული სიფრთხილე ადამიანს ადუნებს, რაც შეიძლება ტრაგიკულად დამთავრდეს. ასე მოუვიდა სწორედ იმ ჩიტს. ზედმეტმა სიფრთხილემ ბრძენიც კი შეიძლება დააზიანოს „ბრძენი სიფრთხილით წახდებაო“. ასეთივე უარყოფითი შედეგები მოსდევს უზომო მოთმინებასაც. ამასთან დაკავშირებით ხალხი ამბობს: „მოთმინების ბაწარი მალე გაწყდებაო“ (ფ. ა. № 14941).

მეორე მხრივ, ფოლკლორში ისიც არის გათვალისწინებული, თუ რის მოთმენა უხდება ადამიანს. არსებობენ ისეთი მოვლენები, რომელთა მოთმენა დანაშაულსაც უდრის, რადგან ისინი არ შეეფერებიან ადამიანის ღირსებას. ასეთია ყოველი სახის ბოროტება, რომელთანაც შერიგება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებზეა სწორედ ნათქვამი — „ქვა რომ ქვა არის, დაიჭექებს და გასკდებაო“.

საერთოდ ხალხი ფიქრობს: მუდმივ, უსაზღვრო მოთმინებას ზიანი მოაქვს ადამიანისათვის და ზოგჯერ უბედურებაც კი შეიძლება მოუტანოსო.

ამ შეხედულებებიდან ბევრი რამ უკავშირდება საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრებისათვის მომზადების ამოცანებს.

ზემოაღნიშნულთან ერთად, ხალხმა იცის, რომ ეს ზნეობრივი თვისებანი მზამზარეულად არაა მოცემული ადამიანში და ამიტომ მათი გამომუშავებაა საჭირო.

ზნეობრივი აღზრდის საშუალებანი

თავისი არსებობის მთელ მანძილზე მშრომელი ხალხი გაწაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა მოზარდ თაობებში ზნეობრივი თვისებების ჩანერგვასა და განვითარებას. ის აყალიბებდა მოზარდის მსოფლმხედველობას, ზნეობრივ მრწამსს, ნებისყოფას, ქცევებს; უმუშავებდა სათანადო ჩვევებს და ა. შ. ეს გასაგებია: მომავალ თაობათა სახით მას თავისი ინტერესებისა და უფლების დამცველი ჰყავდა წარმოდგენილი. მაგრამ ამავე დროს, ადამიანის აღზრდა ძნელ საქმედ მიაჩნდა: „მღვდლად ყოფნა ძალიან ადვილია, ადამიანად ყოფნა

— ძალიან ძნელიაო“ (ნ. ნაკაშიძე, იქვე, გვ. 13), „ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცა“, „ყმაწვილის გული ბოსტანიაო, რასაც დათესავ, ის მოვაო“ („სწ. სიბ“. გვ. 87).

განსაკუთრებით პირველ აფორიზმშია აღზრდის სიძნელის პრობლემა დასმული: კაცურიკაცის აღზრდის სირთულეს პროფესიული აღზრდის სირთულე ვერ შეედრებაო. მეორე და მესამე აფორიზმით კი იგულისხმება, რომ ასეთი აღზრდისათვის ბავშვში არსებული შესაძლებლობის სწორად გათვალისწინება და მისი სინამდვილედ ქცევაა მთავარი, რადგან ამ შესაძლებლობიდან სხვადასხვა ხასიათისა და მიმართულების ადამიანები შეიძლება მივიღოთ, იმის და მიხედვით, თუ რას ჩავუნერგავთ მას და როგორ. უნდა ვიფიქროთ: ერთი მხრივ, ხალხს, აქ, იმ ზნეობრივ თვისებათა ჩანერგვისა და განვითარების სიძნელე აქვს მხედველობაში, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ხოლო მეორე მხრივ, თვით აღსაზრდელის თავისებურებები. ზნეობრივი წრთობის ამოცანა იმითაც რთულდება, რომ ხალხის აზრით, აღზრდის ობიექტი მხოლოდ ბავშვი არ არის: არიან მომწიფებული ადამიანებიც, რომელთაც მანკიერი ზნეობრივი თვისებები აქვთ. კაცთმოძულების, ბოროტების, სიხარბის, შურიანობისა და სხვა ასეთ თვისებათა არსებობა, სწორედ ამას ამტკიცებს. და თუ ბავშვის აღზრდა რთულია, ათჯერ მეტად რთული უნდა იყოს მომწიფებული ადამიანის აღზრდა.

ასეთია ორი მთავარი ჯგუფი სიძნელეებისა, რომელნიც უნდა დაიძლიოს, რათა კაცურიკაცი აღიზარდოს.

ფოლკლორის თანახმად, ზნეობრივი წრთობის პროცესი თვით ცხოვრებაში, შრომაში წარმოებს. აქ ეჩვევა მოზარდი წინააღმდეგობის გადალახვას, ეუფლება შრომისა და ბრძოლის წესებს და ა. შ. მეტად საგულისხმოა, რომ ხალხს სწორედ ამ უკანასკნელზე გადააქვს ყურადღება თავის ნაწარმოებებში. ჯერ მოვიგონოთ „ზღაპარი ხელმწიფისა, რომელსაც სიკვდილი სანატრელი გაუხდა“. ახალგაზრდებმა უაღრესად რთული ბრძოლები გადაიხადეს და მრავალი განსაცდელი გაიარეს, რათა მამის საოცნებო („საკვირველი“) ნივთები მოეპოვებინათ და მოეტანათ. მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ნივთებს, ან ღირდა თუ არა ისინი ამდენ ბრძოლად, ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ზღაპარში ნათქვამი. გარკვევით ჩანს, რომ ამ ნაწარმოების მთავარი ამოცანა ახალგაზრდა პერსონაჟების სიძნელეთა დაძლევაში წრთობაა, რათა ისინი ფიზიკურად და სულიერად განვითარდნენ. ეს კი ამ ზღაპრის პედაგოგიურ მიზანდასახულობაზე მიგვითითებს. ხალხის აზრით, მიზნისათვის ბრძოლის პროცესში იწრთობა ადამიანის ხასიათი და ნებისყოფა, ყალიბდება ვაჟკაცობისა და ურთიერთგამტა-

ნობის ძვირფასი თვისებები. და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ ეს არის, ამ ნაწარმოების მთავარი ამოცანაც. მაგრამ კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს ახალგაზრდობის ზნეობრივი წრთობის მიზანდასახულობა ზღაპრებში „ეროი მანეთის შოვნა"[1], „ზარმაცი კაცი"[2] და „ვინც საქმე გააკეთა, პურიც იმან ჭამოს"[3]. გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაწარმოებნი ზუსტად პედაგოგიურ თემებზეა შექმნილი.

ზნეობრივი წრთობაც ნაადრევ ასაკში უნდა იწყებოდეს, რადგან „წნელი სანამ-ნედლია, მანამ მოგრიხე, გაიზრდება აღარ მოიგრიხება". ეს იმას გულისხმობს, რომ შეხედულებანი, ქცევები და ჩვევები, რომლებიც აღსაზრდელ ადამიანში პირველად ჩაინერგება, ისე მტკიცედ მკვიდრდება მის სულიერ სამყაროში, რომ მათი აღმოფხვრა შეუძლებელია. ეს აზრი აქ თითქოს კატეგორიულად არის გამოთქმული, მაგრამ ფოლკლორში გატარებულ საერთო აზრსაც თუ გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ ეს გამოთქმა მისთვის არ არის დამახასიათებელი. მართლაც, სხვაგან ასეთ გამოთქმას გარკვეული განმარტება ახლავს. მაგალითად, გამოთქმას — „ადამიანი ხელახლა არ გაიჭედებაო", „უმეტესად გაუსწორებელ ადამიანზე" ამბობენო (ფ. ა. № 5360). ამასთან ხალხი გულისხმობს, რომ ასეთები გამონაკლისს წარმოადგენენ. ისე რომ, ეს გამოთქმა არ გამორიცხავს ხალხური პედაგოგიური აზროვნებისათვის დამახასიათებელ აზრს მოზრდილი ადამიანის აღზრდის შესაძლებლობის შესახებ. სხვა საკითხია, რომ ის ძნელია და თანაც დიდ დროს საჭიროებს.

* * *

ნაადრევი ასაკიდან ზნეობრივ წრთობას ყოველთვის უწყობდა ხელს მშრომელთა ოჯახში შექმნილი შრომითი ატმოსფერო. ზნეობრივი აღზრდის ნაადრევ ასაკში დაწყებას ადასტურებს ცნობილი საბავშვო სიმღერის — „ნანას" ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც პატრიოტული შინაარსისაა.

ჯერ აკვანშივე ისმენდა პაწია ამ საგალობელს, ხოლო შემდეგ, როცა წამოიზრდებოდა, ერკვეოდა კიდეც მის შინაარსში, და ასე ინერგებოდა მასში სამშობლოსადმი სიყვარული.

აღსანიშნავია, რომ ნაადრევ ასაკში ზნეობრივი წრთობის დაწყების ტრადიციაზე თვით ხალხი მიუთითებს:

„როცა ქართველი მშობელი
შვილს უყურებდა მკლავზედა,

[1-3] ქართული ხალხური ნოველები, ჩაწერა, გამართა და შენიშვნები დაურთო ალ. ღლონტმა, 1956, გვ. 109—110; 124—127; 110—114.

ეტყოდა: „დედაშეილობას
ნაკლებ არ დარჩე სხვაზედა,
მამაც კარგ გუვანდა, პაპაცა,
მტერთან ხმლის ხმარებაზედა!“ („ქართ. ხალხ. სიტყვ. ქრესტ.“, 2 გვ. 272—273).

ყურადღებას იმსახურებს ბავშვებში პატარობიდანვე ჰუმანურობის იდეის ჩანერგვის ტრადიციაც. სვანეთში უკანასკნელ დრომდე შემორჩენილია ამ სახის დარიგებანი. ხელნაწერში — „პატარა სვანი“, ვკითხულობთ: ბებია ბავშვს (ასანს) არიგებს: „ბაყაყს, ხვლიკს, მერცხალს ქვა არ ესროლოო, რადგან: ბაყაყს თუ ქვას ესვრი, დედაშენს რძე აღარ ჩაუდგება ძუძუში, რადგან ბაყაყი უვნებელი არისო. ხვლიკზე ჯოხის სროლასაც ასეთივე შედეგი მოჰყვება, ხოლო მერცხალს ვინც ქვას ესვრის, მას დედა მოუკვდებაო[1]. ეს მოტივები აღნიშნულ დარიგებათა გამამტკიცებელი იყო და დაჯერების ერთგვარ საშუალებებს წარმოადგენდა.

ბავშვებს, აგრეთვე არიგებდნენ, რომ ჩიტების ბუდე არ დაენგრიათ „ცოდვაა, ...ბუდე ხომ ჩიტების სახლია, რომელსაც დიდი შრომით და წვალებით აშენებენ. გეცოდებოდეს პატარა ჩიტუნები, რომლებიც უსახლკაროდ რჩებიან ბოროტი ბავშვების ბრალით“. ეს ბავშვები ამ დარიგებებს თავის ამხანაგებს გადასცემდნენ და ეს უკანასკნელნიც ასე იქცეოდნენ[2].

ფოლკლორში მკაფიოდ ჩანს ცდა ბავშვში შრომითი მოვალეობის შეგნების გამომუშავებისა, რომლის წყაროდ ხალხს ცხოვრების მოთხოვნილებები მიაჩნია.

ხალხური შრომითი სწავლება, განსაკუთრებით იმ მხრივ არის ჩვენთვის საინტერესო, რომ ის ადამიანის შრომისათვის პრაქტიკულად მომზადებას ემსახურება. ადრეულ ასაკში დიდი ადგილი უჭირავს, როგორც ვიცით, თამაშს. ყოველ თამაშში ჩანს ბავშვთა ენერგიული „შრომა“. ეს არც არის გასაკვირი, — თამაშსა და შრომას შორის დიდი მსგავსებაა. „უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ თამაშსა და მუშაობას შორის არც ისე დიდი განსხვავებაა, როგორც ბევრს ჰგონია, — წერდა ა. მაკარენკო, — კარგი თამაში კარგ მუშაობას ჰგავს, ცუდი თამაში ცუდ მუშაობას“[3].

ხალხი თამაშს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ცდილობდა

[1-2] ალ. დავითიანი, პატარა სვანი (ხელნაწერი), გვ. 235. საქ. სსრ. პედ. ინსტ. არქივი, № 77—82, რვ. III, გვ. 235.

[3] ა. ს. მაკარენკო, რჩეული პედ. თხზულებანი, ლექციები, სტატიები, გამოსვლები. ვ. ქაჯაიას წინასიტყვაობით, 1950 გვ. 335.

შეექმნა ისეთი ნაწარმოები, რომელიც მცირეწლოვან ბავშვში შრომისადმი ერთგვარ ინტერესს აღძრავდა. ასეთია, კერძოდ, ლექსი:

„აბრამ ადრე ადგებოდე,
ხოხობს დაბამდე,
ჯაჭვი აუწყვეტია,
ჩალა გადურბენია.“[1]

ამ ლექსში ბავშვისათვის საყვარელი საგნის — ფრინველის მოვლისაკენ მოწოდებასთან ერთად, იმის ერთგვარი ახსნა-განმარტებაც ჩანს, თუ რატომ არის ადრე ადგომა საჭირო. ასეთი მიმართება ხალისსაც მატებდა ბავშვს და ინტერესსაც უქმნიდა საქმიანობისადმი, რაც საბოლოოდ მას შრომას აჩვევდა, თანდათანობით. ამას ორგანულად უკავშირდება მისწრაფება ბეჯითობის დანერგვისადმი: „ანგრე, ბიჭო, გენაცვალე, ზარმაცობას ნუ აცალე“ („ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია“, I, გვ. 33).

აქაც ბავშვის თავისებურების გათვალისწინებასთან გვაქვს საქმე (მიმართვა მოფერებითია).

ამასთან ხალხმა იცის — მოზრდილი ასაკის ბავშვის მიმართ, ზოგჯერ, მეტი სიმკაცრეც არის საჭირო. პირველ რიგში საყურადღებოა ცნობილი გამოთქმა — „ვინც დაიზარაო, არ გაიხარაო“, ან „ვისაც ზამთარში ლხინი უნდა, ზაფხულში უნდა გაისარჯოსო“. მაგრამ, აზრი სიბეჯითის საჭიროების შესახებ, ზოგჯერ უფრო მკაცრადაც არის გამოთქმული ფოლკლორში. საილუსტრაციოდ დავასახელებთ სამ ნოველას: „ერთი მანეთის შოვნა“, „ვინც საქმე გააკეთა, პურიც იმან ჭამოს“ და „ზარმაცი კაცი“, პირველ ნაწარმოებში გამოყვანილია ვაჟი, ხოლო მეორესა და მესამეში ხელმწიფის ქალიშვილი და ზარმაცი კაცი, რომელნიც ოჯახში შექმნილმა შრომითმა პირობებმა და „აღმზრდელთა“ მკაცრმა მოთხოვნებმა დაარწმუნეს, რომ შრომის გარეშე ვერ იარსებებდნენ.

მეტად საყურადღებოა შემდეგიც: ხალხი არა მხოლოდ ზრდადამთავრებული ადამიანის, არამედ ზრდადაუმთავრებელის, ბავშვის შრომისუნარიანობის დადებით შედეგებზეც მიუთითებს.

„ყველა მენ შემომხედავდა.
ჩემს დედას მინატრიდიან
კაიშვილ გამოგეზარდა“-ო („შრომის სიმღერ.“, გვ. 139).

ამრიგად, კარგმა და თვალსაჩინო შრომამ არა მხოლოდ მშრომე-

---

[1] თელავის პედ. ინსტ. ენისა და ლიტ. კაბინეტი, ე. ჩ ა ლ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს რვ. 3, გვ. 33.

ლი ბავშვი გახადა ქების ღირსი, არამედ — მისი აღმზრდელი დედაცაო, — მიუთითებს ხალხი.

შრომის საჭიროების ასეთივე შეგნება და თანაც — ენთუზიაზმი მოჩანს ნაწარმოებში მეოჯახე ქალის შესახებ, მხოლოდ — ბავშვისათვის საყვარელ ობიექტთან — ცხოველთან და მის მოვლასთან დაკავშირებული. მოზარდთათვის მათი თანატოლი ბავშვის ასეთ მშრომელად გამოყვანას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ეს მათ სულს აწრთობს და სასურველ მიმართულებას აძლევს.

ყველგან, სადაც ბავშვს უხდებოდა თამაში და შრომა, პირველი წლებიდანვე ითვისებდა, სხვადასხვა ხასიათის ცოდნასთან ერთად, გარკვეულ შეხედულებებსა და ჩვევებს, რადგან სწორედ ამ ასაკიდან ასწავლიდნენ მას — საქმე გაეკეთებინა, ეშრომა, თორემ არც საჭმელი ექნებოდა და არც ახალი „წითელი ფეხსაცმელი". ეს ერთგვარი „გაკვეთილები "იყო. საერთოდაც, მშრომელთა ბავშვები ასეთ ატმოსფეროში არიან ყოველთვის, და ყოველ წუთში ისრუტავენ შრომით ატმოსფეროთი შექმნილ ზნეობრივ ნორმებს. მაგრამ არა ლიტონი სიტყვებითა და სენტენციებით, არამედ ცხოვრების უშუალო მაგალითებით რწმუნდებიან ისინი ასეთი, თუ ისეთი ქცევის აუცილებლობაში. ხალხს მართლაც არ უყვარს სენტენციები, რომელთაც ასე მართებულად ებრძოდნენ ბ. ბელინსკი[1], კ. უშინსკი[2] და ყველა პროგრესული პედაგოგი-მოაზროვნე. მშრომელი ხალხი ძირითადად, არა მშრალ სიტყვიერ დარიგებას, არამედ ზნეობრივ ქცევას და ამ ქცევის პროცესში ორიოდე სიტყვას იყენებს შთაგონებისათვის. ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ი ქ ც ე ვ ა დ ა რ ა მ დ ე ნ ი მ ე მ ო კ ლ ე დ ა ს ა ქ მ ი ა ნ ი მ ი თ ი თ ე ბ ა მ ი ს ი ვ ა რ გ ი ს ი ა ნ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ, (რათა ბავშვმა ორიენტაცია აიღოს მათ საჭიროებაზე), ა ი, ხ ა ლ ხ უ რ ი ა ღ ზ რ დ ი ს „თ ე ო რ ი ი ს ა" დ ა პ რ ა ქ ტ ი კ ი ს ა მ ო ს ა ვ ა ლ ი, რომელიც ყოველთვის გამოსადეგი იქნება ახალგაზრდობის ჭეშმარიტი ფორმირებისათვის. ამის მიხედვით, საჭირო შეხედულებებსა და ჩვევებს, საერთოდ-ზნეობრივ წრთობას ბავშვი ამა თუ იმ საქმის კეთების პროცესში განიცდის, და სწორედ საქმიანობის პროცესი მიაჩნია ხალხს ადამიანის ფორმირების ნამდვილ პროცესად. აქაც ჩანს მისი პედაგოგიური იდეა.

ხალხი დიდ ყურადღებას აქცევს ბავშვის შრომით აქტიურობას. ავიღოთ ზღაპარი „აღრათია"[3]. დედინაცვლის მოხერხებით, მისი გერი

---

[1] ბ. ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, 1950, გვ. 56—შესავალი.

[2] კ. დ. უ შ ი ნ ს კ ი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, 1954, გვ. 20.

[3] თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხალხური ზღაპრები, 1951, გვ. 91.

ტყეში წაიყვანეს და უპატრონოდ დატოვეს. უპატრონოდ დარჩენილმა გოგონამ ტყეში იპოვა სახლი, რომელსაც ყოველდღე უვლიდა და ასუფთავებდა. ხელმწიფის შვილებმა, რომლებსაც ეს სახლი ეკუთვნოდათ, ბედნიერება მოუტანეს პატარა გოგონას. გოგონამ შრომით მიაღწია ბედნიერებას. იმის ნათელსაყოფად, რომ ასეთ შეგნებულობას სწორედ მეოჯახეობაში წვრთნა იწვევს, ფოლკლორში წარმოდგენილია საწინააღმდეგო პირობებში აღზრდილი ადამიანი, რომელიც ამბობს:

„ვერ გავაკეთებ მე სახლის საქმეს,
როგორც ძველთაგან ოჯახის რძალი“.

„მე უნდა შევირთო ნასწავლი ქმარი“, რომელსაც ძლიერი ხმიანი ფორტეპიანო ექნება, „ორი მოახლე“ ეყოლება, რომლებიც ჰომემსახურებიანო[1]. ასე სამარცხვინოა იმ ადამიანის ქცევა. რომელსაც მეოჯახეობის საჭიროების შეგნება არა აქვსო, — ამბობს ხალხი.

ადრე ასაკიდანვე ცნობს ხალხი საჭიროდ ამხანაგური, მეგობრული და კოლექტიური სულისკვეთების ჩანერგვასა და განვითარებას. მაგალითად, კახეთში (სიღნაღის რ.) ორი-ხუთი წლის ბავშვში გამტანობის გრძნობის აღზრდისათვის იყენებდნენ მიმართვას, რომელიც იმ ბავშვის ქცევის გამოსწორებისათვის ყოფილა გამოყენებული, რომელსაც წყრომა უყვარდა. ამ ქცევის გამო, ბავშვს აქ „მწყრომელას“ ეძახდნენ. ამას ემატებოდა შემდეგი: პურის ჭამის დროს ბავშვის კერძს შეჭამენ, თან ამბობენ — „მწყრომელას კერძი გემრიელიაო“. (თელავის ინსტ. იქვე, ფურც. 59). ამით მას აგებინებდნენ, რომ „მწყრომელობა“, ჩხუბი, მიუკარებლობა, გაუტანლობა არ ვარგა; რომ ასეთი ადამიანი ყოველთვის წაგებულია. ამ თვისებათა ჩასახვა-განვითარებას, როგორც ვიცით, დიდად უწყობს ხელს საბავშვო თამაშობანი. ცნობილია, რომ ყოველი თამაში ერთი საერთო მიზნით აერთიანებს რამდენიმე ბავშვს და თითოეული მათგანი საერთოდ მიღებულ წესს ემორჩილება, რაც მათ ერთმანეთთან აახლოებს. ამის შედეგად კი, მათში ამხანაგობისა და მეგობრობის გრძნობები ისახება და ვითარდება.

საყოველთაოდ ცნობილია, ე. წ. „კოლექტიური თამაშობანი“, მაგალითად, თამაში „წრეჯორაობა“ (დავლაობა). ბავშვები ორ ჯგუფად იყოფიან. ჯგუფი, რომელსაც ჯორაობა ერგო, თავის წრეს იცავს თავდამსხმელთაგან. წრეში მყოფი „დედა“ თუ „მხედარს“ ფეხით შეეხო, „მხედრების“ მთელი ჯგუფი ჩაჭრილად ითვლება და „ჯორე-

[1] „ხალხ. სიტყვ. მასალები“, 2 გვ., 137.

ბის“ ადგილზე უნდა დადგეს. როგორც აქვეა აღნიშნული, ეს „თამაში კოლექტიურია“ — ყველა იბრძვის თავის პარტიისათვის და ეხმარება ერთმანეთს გაჭირვებაში“[1]. კოლექტიურია თამაშიც „დღე და ღამე“ (იქვე, გვ. 108). აქაც ორ ჯგუფადაა ბავშვები გაყოფილი. ჯგუფს, რომელიც ორივე ჯგუფისათვის საერთო „დედისაკენ“ გარბის, მეორე ჯგუფი დაედევნება დასაჭერად. როცა ბავშვს დაეწევიან, ის ჩერდება. მეორე ჯგუფს მხოლოდ იმ შემთხვევაში თვლიან მოგებულად, თუ ის ყველა მოთამაშეს გააჩერებს“; პირველი ჯგუფი თუ დედასთან „დროზე მიაღწევს“ დაჭერას გადარჩება (იქვე, გვ. 108).

ორივე თამაში იმით არის ჩვენთვის საინტერესო, რომ მათი მონაწილე ყოველი ბავშვი პასუხისმგებლობას გრძნობს იმ ჯგუფისადმი, რომელსაც თვითონ ეკუთვნის. პირველ თამაშში ზუსტად და გარკვევით მოჩანს ხალხის აზრი — ჯგუფის რომელიმე წევრის მარცხი მთელმა ჯგუფმა უნდა გაიზიაროსო (მოვიგონოთ: „დედა“ თუ „მხედარს“ შეეხო, — „მხედრების“ მთელი ჯგუფი ითვლება ჩაჭრილად).

საბავშვო თამაშობებში ხშირია ბავშვთა ჯგუფებად დაყოფა, საერთო მიზნისათვის ბრძოლა და დაცვა პრინციპისა — „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“. აქ კოლექტიური სულისკვეთების წრთობის ერთგვარი პროცესი გვაქვს, რომელიც როგორც სკოლამდელ, ისე სკოლის ასაკის ბავშვთა თამაშობებშიც გვხვდება. საბჭოთა ფოლკლორში მკაფიოდ გამოითქვა პრინციპულობის დაცვის საჭიროება კოლექტიური თანამშრომლობის დროს — „კოლექტივის საქმეში დედაშვილ-მამაშვილობა არ იქნებაო“ („სწავლა სიბერემდისო“, შედგ. გ. კაჭახიძის მიერ, გვ. 25), რაც ძალას მატებს წინა პერიოდებში გამოთქმული კოლექტიური სულისკვეთების აღმზრდელობით იდეას.

ხალხურ შემოქმედებაში დიდი ყურადღება ექცევა პრინციპულობის, გამბედაობისა და სხვა ვაჟკაცური თვისებების მოზარდ თაობაში ჩანერგვას. ხალხი ამ მიზნით ბავშვთა იმ სათამაშოებს იყენებდა, რომლებშიც ამ მხრივ, ერთგვარ წრთობას ჰქონდა ადგილი. ასეთი იყო, მაგალითად, ბავშვებში გავრცელებული თამაში „ყაჩაღობა“. აქ ბავშვთა ორი ჯგუფია: „ერთი „ყაჩაღებისა“, რომლებიც ფიცრისაგან გაკეთებული დამბაჩებით, თოფებით, ხანჯლებით და ხმლებით

---

[1] პროფ. რ. ნათაძე, და გ. ნათაძე, ბავშვთა ხალხური თამაშობანი საქართველოში, კრებულში — „გამოკვლევები საბავშვო ბაღის ახალი დიდაქტიკური მასალების შესახებ“, ტ. II, ნაკვეთი I, რედაქ. დოც. ბ. ი. ხაჭაპურიძე, 1945, გვ. 124—125.

არიან შეიარაღებულნი. მეორე ჯგუფს შეადგენენ „მილიციონერები“, რომლებიც „ყაჩაღებს“ დასდევენ. მათ შორის ხშირად ხდება თავდასხმები და იმართება სროლა (იქვე, გვ. 131—132). როგორც სამართლიანად არის მითითებული, ეს თამაში „ფართო შესაძლებლობას აძლევდა ბავშვებს „ვაჟკაცობის“, გაბედულობის, სიმარდისა და ღონის გამოვლენისათვის“, რადგან მისი „ტიპური მომენტებია: მოულოდნელი დაცემა უფრო მრავალრიცხოვან „მტერზე“, სწრაფი გაქცევა, იარაღის წართმევა, ხელიდან გამოსხლტომა, „მტრის“ წაქცევა, მაღალი ადგილიდან ჩამოხტომა და სხვა (იქვე). ყველაფერი ეს ერთგვარი წრთობა, ვარჯიში იყო ვაჟკაცობასა და გამბედაობაში.

ზნეობრივ აღზრდაში დიდ როლს ასრულებს სხვადასხვა სახის დარიგებანი, რომლებიც, აგრეთვე, თითქმის ყველა ზნეობრივ თვისებათა ჩანერგვასა და განვითარებას ემსახურებოდა ყოველთვის. ხალხმა ხმლის ძალას შეადარა დარიგების ძალა: „ერთი ხმალი“ ორმოც, ან ას მოწინააღმდეგეს მოკლავს, ერთი რჩევა კი მთელ ლაშქარს გაუსწორდებაო („ერთი რჩევა სულ დათრგუნავს სიმრავლესა ლაშქრის ღასსა“, — ო. ფ. ა. № 2139). ამასთან ხალხი სწორად ფიქრობს: რჩევა-დარიგებას მხოლოდ მაშინ მოჰყვება სასურველი შეღეგი, როცა აღსაზრდელი დიდი მონდომებითა და ინტერესით ითვისებს მას; თუ არა, — დარიგებაც უშედეგოა: „ეს წისქვილი ქვა არისო, მისი წესი ფქვა არისო, როცა კაცი არ შეისმენს, იმისთვის თქმა რა არისო“ („ხალხ. სიტყვიერ. მას.“ II, გვ. 29). აი ნაწარმოები, რომლის პერსონაჟი ნანობს, რომ დედ-მამას არ უჯერებდა:

„დედმამა რომ მარიგებდა
ავი მეგონა,
მტერი რომ სიტყვას იტყოდა
კარგი მეგონა“-ო (ფ. ა. № 17839).

დაუჯერებლობის შედეგად ლექსის ეს პერსონაჟი საპატიმროში ჩასვეს. გაიქცა, ყაჩაღი გახდა და მოჰკლესო. ასეთი მაგალითების საფუძველზეა სწორედ ნათქვამი — „გაუგონარი თავის თავს დააკლებსო“ („სწავლა სიბერემდისო“, გვ. 26). ასეთია დარიგების აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ხალხურ შემოქმედებაში დარიგების ორი სახე შეიძლება გავარჩიოთ, ერთი აღმზრდელებს ეხება, მეორე — აღსაზრდელებს. პირველის სახით, შეიძლება ითქვას, ერთგვარი „სახელმძღვანელო“ მითითებები გვაქვს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდეს აღმზრდელი, რაც ხალხური პედაგოგიური აზროვნების ერთგვარ სიმწიფეზე

მიგვითითებს. აქ მეორეს ვეხებით. ის დარიგებები აღზრდის მეთოდებს უკავშირდება და ამიტომ მათ მეთოდებთან ერთად გავეცნობით.

ზნეობრივი აღზრდის მეთოდები

აღსაზრდელის დარწმუნება. ხალხი დიდ აღმზრდელობით საშუალებას ხედავს ამ მეთოდში. ფოლკლორში მისი გატარების შემდეგ საშუალებებს ვხვდებით:

ახსნა-განმარტება. ხალხის მხატვრულ ნააზრევში ხშირად ვხვდებით ამა თუ იმ ზნეობრივი ქცევის ერთგვარ დასაბუთებას. უპირველესად საგულისხმოა ახსნა-განმარტებანი, რომლებიც სამშობლოსა და შრომის სიყვარულის ჩანერგვას ემსახურებიან. აი, ზემოთ განხილული სტროფის ნაწილი:

„თუ გსურს საშშობლო ახარო,
სწავლას მიჰყევ ხელი მალე“.

აქ განმარტებულია — ადამიანს ცოდნის საფუძველზე შეუძლია სამშობლოს ემსახუროსო. შრომის აუცილებლობაში დასარწმუნებლად კი ხალხი მიუთითებს: სწორედ შრომაა დაღუპვისაგან მხსნელი. ამიტომ „თუ რომ აგმტერდეს სოფელი“, — „ადრე გააბი გუთანი“, ე. ი. კიდევ უფრო მეტი მონდომებით იშრომეო („შრომის სიმღერები“, გვ. 27).

ახსნა-განმარტება გვაქვს ზემოხსენებულ ნოველაშიც „ერთი მანეთის შოვნა“. ზარმაცი შვილი შრომის აუცილებლობაში რომ დაერწმუნებინა, მამამ მეუღლეს უთხრა: ის (შვილი) თუ თავისი შრომით მონაპოვარ ფულს არ მოიტანს, ჩემს ქონებას სხვას დავუტოვებო. ამით შეწუხებულმა დედამ შვილი დაარიგა — თუ არ იშრომე, მამაშენი არაფერს მოგცემსო. საბოლოოდ იმოქმედა ზარმაც ბიჭზე ასეთმა ღონისძიებამ და ის მშრომელი გახდაო, ამბობს ხალხი.

საყურადღებოა ახსნა-განმარტებანი შრომის პროდუქტებისადმი ფრთხილი დამოკიდებულების შესახებ. საილუსტრაციოდ — „თუ იყიდი, რაც არ გჭირია, მალე გაყიდი, რაც გჭირია“ („სწავლა სიბერემდეო“, გვ. 78); ან — „ვისაც ნემსის დაკარგვა არ დაენანება, იმას არც აქლემის დაკარგვა დაენანებაო“ (ალ. ღლონტი. „რჩ. ქართ. ანდაზები“, გვ. 35). მაშასადამე, უბრალო ნივთისადმი არაგონიერ და უზრუნველ დამოკიდებულებას ადამიანი სინანულამდე მიჰყავსო. ამიტომ, საჭიროა ვიცოდეთ — საერთოდაც არ შეიძლება ნივთებისადმი ასე მოპყრობა, რომ „წყალსაც კი დაზოგვა უნდა“. აქვეა სწა-

ვლება არსებული ქონებრივი შესაძლებლობის მანამდე გამოყენებაზე, სანამ მასში მომსახურების ოდნავი „უნარიც“ კი დარჩენილა: დაზიანებულ ნივთზე ხელი არ უნდა ავიღოთ, შევაკეთოთ, განვაახლოთ,— „ძველი ძველს დააკერე, ახალს დაემსგავსებაო“ („ქართ. ანდაზები“. 208). ნივთის მოვლასთან დაკავშირებით საყურადღებოა სწავლებაც — ერთი კასრი თაფლი, ერთი კოვზი კუპრით გაფუჭდებაო, ან ცნობილი გამოთქმა: „ზღვა კოვზით დაილევაო“, „აშენება თქვი, თორემ დაქცევა ადვილიაო“, ან — „ას მომტანს ერთმა გამტანმა აჯობაო“. ახსნა-განმარტებას ვხედავთ გამოთქმაშიც ამპარტავნობის წინააღმდეგ — „მაღლა ცაზე რო დაფრინავ, ჩამოვარდებიო, რა ვინდ ბევრი ფული გქონდეს, დახურდავდებიო“ (ფ. ა. კოლ. II, საქმე, 4, № 117).

საყურადღებოა ახსნა-განმარტება ლოთობის წინააღმდეგაც:

„მომეტებული ღვინის სმა
ჭკვას და გონებას შაგვიშლის;
მოყვარეს მტრად გადაგვიქცევს,
დაეიდარაბას აგვიშლის“ („ივ.“, 1900, № 24).

ამით შეიძლება აიხსნას, რომ ფოლკლორში გვაქვს მასალა, რომლის თანახმად საჭიროა ალსაზრდელს ვაგრძნობინოთ, რომ მას ვენდობით: „კაცმა თავისი საქონელი მპარავს ჭიაბარა: „უცეთ შეინახავსო“ (H, 1967, ფურც. 41). იმაში დარწმუნდება, რომ მას ენდობიან, ქურდშიც კი ზრდის პასუხისმგებლობასო.

ეთიკური საუბარი. ეთიკურ საუბარს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხალხურ შემოქმედებაში. აქაც მოვიგონოთ ნოველა ხელმწიფის ზარმაცი ქალის გამოსწორების შესახებ. ქმარი და დედამთილი ხელმწიფის ქალის გამოსწორების მიზნით შემდეგი შინაარსის საუბარს მართავენ:

დედა—„პური ვინა ჭამოს?
—მე და შენა“. —უპასუხა შვილმა.
საქმე ვინ გააკეთოს?
—მე და შენა—მიუგო შვილმა“.

„ჭამეს დედა-შვილმა პური, ქალი კი შორიდან უყურებს მშიერ-მწყურვალი“ („ქართ. ხალხ. ნოველები“, იქვე, გვ. 113). ასეთი საუბარი შემდეგ დღეებშიც გამეორდა. დედამთილი და ქმარი ამ საუბრებში გამოთქმულ აზრს ზუსტად იცავდნენ — ქალს არაფერს აჭმევდნენ, თუ არ იშრომებდა. ქალი იძულებული გახდა ჩაბმულიყო შრომის ფერხულში.

აი, ხალხური ეთიკური საუბარი, რომლის დადებით შედეგებს იქ-

ვე, ნაწარმოებშივე ვხედავთ. ეს ამტკიცებს, რომ ხალხს იგი აღზრდის კარგ საშუალებად მიაჩნია, თუმცა ამ მიზნით შიმშილის გამოყენება უმართებულოა.

თხრობა. ფოლკლორულ ნაწარმოებებში ხშირად გვხვდება ეპიზოდები, რომლებშიც ამა თუ იმ ზნეობრივი რწმენის, ნორმისა, თუ ქცევის საჭიროების შესახებ არის ლაპარაკი. ასეთია, მაგალითად, „არ-ᲑᲔᲜᲐᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ“ ეპიზოდი ჩარჩი ვაჭრების წინააღმდეგ ბრძოლისა, და ღმოთქმა — „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა“. თხრობაა ლექსშიც „ერთი გლეხი ვარ საწყალი“, როგორც ვიცით, აქ მოთხრობილია იმის შესახებ, თუ მიკიტანმა როგორ გაუვლიფა საწყალი გლეხი. საინტერესოა თხრობა ბოროტებაზეც. აი ნაწარმოები — „არც შენ შეგრჩება, მეფეო“. მებაღემ, რომელსაც მეფემ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, სიტყვა ითხოვა და ამ უკანასკნელს უთხრა: „გახსოვთ, ხელმწიფევ, თქვენ ვარდზე ბულბულმა რომ ბუდე გაიკეთა, თქვენ ხომ ბრძანეთ: არ შერჩება ჩემს ვარდზე ბუდის გაკეთებაო. ისიც ხომ გახსოვთ, როგორ შეუჭამა გველმა ბარტყები ბულბულს. და არ შერჩა ბულბულს თქვენ ვარდზე ბუდის გაკეთება. ისიც ხომ ბრძანეთ, — არც გველს შერჩება ბულბულის ბარტყების შეჭმაო! გველიც ხომ თიბვის დროს ნამგალში მომიყვა და შუაზე გადავჭერ. როგორც გველს არ შერჩა ბარტყების შეჭმა, ისე არც მე შემრჩა გველის მოკვლა, თქვენი ბრძანებით მახრჩობენ. მაგრამ, ხელმწიფეო, თქვენც კარგათ იცოდეთ, არც თქვენ შეგრჩებათ ჩემი ჩამოხრჩობაო“.

ამით მეფემ გაიგო, რომ ბოროტება არავის შერჩება და მებაღე გაათავისუფლა („რჩ. ქართ. ხალხ. ზღაპრები“, 1958, გვ. 8). მაშასადამე, ხალხი აქ თხრობის აღმზრდელობით მნიშვნელობას ადასტურებს. საინტერესოა ამ მეთოდის გამოყენება პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში. მოვიგონოთ ლექსი „დაჯექ, გვიამბე მოხუცო!“ ვიცით, რომ მოხუცმა სამშობლოსათვის წინაპართა თავდადებაზე მოუთხრო ახალგაზრდობას, რასაც აღმზრდელობითი გავლენა მოუხდენია, ახალგაზრდებმა მოხუცს მიმართეს: „ნუღარ იდარდებ, მოხუცო, ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲔᲠᲘᲐ“-ო (ვ. კოტეტიშვილი, იქვე, გვ. 97). ჩანს ის დარწმუნებულა, რომ ადამიანს სამშობლო უნდა უყვარდეს და მოვალეა იცავდეს მას.

• მ ა გ ა ლ ი თ ი მრავალ ფოლკლორულ ნაწარმოებში ჩანს, როგორც ზნეობრივი აღზრდის საშუალება. ხალხი თვითონ მიუთითებს ამის შესახებ: „ფუტკრისა და ჭიანჭველას შრომა კაცსაც შრომას ასწავლისო“ (ნაკაშიძე, ანდაზები, გვ. 39). რა პირობებით შეიძლება შრომისადმი სიყვარულის აღძვრა ბავშვში? ამის შესახებ საყურადღე-

ბოა საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი და გამოცდილების შედეგად მიღებული ხალხის დასკვნა: შრომისადმი სიყვარული შრომითმა ატმოსფერომ და მის შედეგად შრომის აუცილებლობაში დარწმუნებამ შეიძლება ბავშვში ჩანერგოს: „შვილი მოჯალაბისას მიაბარე და გაიზრდებაო“ (H, 1945, გვ. 36). საერთოდაც მასალებში მითითებულია, რომ მაგალითს და მიბაძვას დიდი გავლენა აქვს აღსაზრდელზე (საერთოდ ადამიანზე). ანდაზაში — „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“, ხალხი იმ ზემოხსენებულ აზრსაც გამოხატავს, რომ ყოველ საგანს, ზოგადთან ერთად, ინდივიდუალური ნიშნებიც გააჩნია, რომლებიც სხვისი ზემოქმედებით იცვლებიან. ამ ანდაზით ხალხურმა აზროვნებამ კლასიკურად გვიჩვენა ზოგადისა და კონკრეტულის ერთიანობა, ერთ მოვლენაში მოქცევა, მათი ისეთი კავშირი, რომ მისგან ვერც კონკრეტულს გამოთიშავ და ვერც ზოგადს.

მეტად საყურადღებოა თვით ხალხის მითითება კარგ მაგალითზე და მოწოდება — მას მიბაძონ:

„როგორ უყვარდათ სამშობლო,
გახსოვდეთ წინაპარია.
მეფე ქართველთა თამარი
უხვი და უწყინარია.
ეგები იმას წაბაძო,
და დაიმშვენო გვარია“ —
„შოთა უკვდავი მელექსე,
მრავალი მისი დარია“ (ფ. ა. № 33830).

კარგად ჩანს, რომ ეს მაგალითი პატრიოტული შინაარსისაა, — იგი ახალგაზრდობაში სამშობლოსადმი სიყვარულის აღზრდას ემსახურება.

ხალხი ფიქრობს რომ მაგალითმა შეიძლება საწინააღმდეგო რეაქციაც გამოიწვიოს აღსაზრდელში, მაგალითის მიმცემის საწინააღმდეგო პოზიციაზე დააყენოს ის: არის ამ შინაარსის ანდაზა — ბევრი უზნეო ქცევის დედამთილს რძალი არ დაემსგავსებაო (ფ. ა. № 10495).

კითხვა ისმის — ანდაზა „ფუტკრისა და ჭიანჭველას შრომა კაცსაც შრომას ასწავლისო“ და ეს ანდაზა რძალ-დედამთილის შესახებ, ხომ არ გამორიცხავენ ერთიმეორეს? ხომ არ არის აქ წინააღმდეგობა ხალხის აზროვნებაში?

— არა, არ არის, ხალხი ფიქრობს: მაგალითს არა მხოლოდ მიბაძვა ქცევა წარმოადგენს, არამედ ის რეაქციაც, რომელსაც ის იწვევს საზოგადოებაში, წრეში, რომელთანაც აღმზრდელსა და აღსაზრდელს აქვთ ურთიერთობა. ამ წრეში შემუშავებული აზრი გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მოზარდზე, თავის გავლენაში აქცევს მას. ამის გა-

მომხატველია, კერძოდ, ზემომოყვანილი ანდაზა: ბევრი უზნეო ქცევის დედამთილს რძალი არ დაევსგავსებაო. აქ ჩანს, რომ სწორედ უარყოფითი ზნეობრივი თვისება გამხდარა ზნეობრივი ქცევის გამომუშავების მიზეზი. როგორ? — აქ ხალხი ფიქრობს: კოლექტივის, საზოგადოების მიერ ამა თუ იმ ადამიანის უარყოფითი ქცევის დაგმობა, გავლენას ახდენს აღსაზრდელზე, რის გამოც, ამ ქცევის საწინააღმდეგო თვისებებს იმუშავებსო. ისე, რომ მაგალითი ზოგჯერ საწინააღმდეგო შედეგს გვაძლევს. როდის შეიძლება ეს მოხდეს? — უნდა ვიფიქროთ, მაშინ, როცა აღსაზრდელს, საზოგადოებაში შემუშავებული აზრის საფუძველზე, ამა თუ იმ ქცევის კრიტიკულად შეფასების უნარი აქვს. საწინააღმდეგო შემთხვევაში კი — როცა ადამიანი ბრმად, გაუაზრებლად ბაძავს ამა თუ იმ ქცევას, ხშირად უარყოფითი ქცევის გავლენის ქვეშ ექცევა. სწორედ ასეთ ადამიანზე ამბობს ხალხი — „წამხედურამ წაიხედა, წინა ფეხი წაიტეტკაო" (უმიკაშვილი, II, გვ. 267). ჩანს, აღსაზრდელისაგან იგი აქაც აქტიურობას მოითხოვს. ქართულ ფოლკლორს ამ აზრის სხვა მასალაც შემოუნახავს („აღზრდის იდეები", 1963, გვ. 194—195). ხალხი უფრო თვალსაჩინოდაც ვამოთქვამს ამ აზრს:

„კაცმ უნდა კაცსა მიბაძოს,
კარგ სახლსა, კარგსა ბინასა,
თვითონაც ისეთ აიგოს,
როგორსაც ნახავს სხვისასა"

(ე. ხორნაულის მასალებიდან).

მაგრამ ადამიანმა რომ კარგი სახლის მსგავსი სახლი აიშენოს, მას კარგი და ცუდი სახლის ერთმანეთისაგან გარჩევა უნდა შეეძლოს: ნაკლოვანება და ღირსება შეამჩნიოს და ერთმანეთისაგან გამოყოს. მაშასადამე, უნდა იაზროვნოს, გონებრივი აქტიურობა გამოიჩინოს. შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ განხილული ნაწარმოებები ერთიმეორის განვითარებას წარმოადგენენ და გვაძლევენ ერთ მთლიან და დამთავრებულ აზრს იმის შესახებ, რომ ცალკეული პიროვნების მაგალითს უდიდესი ზეგავლენა აქვს აღსაზრდელზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელს მისი კრიტიკულად ათვისება შეუძლია, თუ მასში დადებით და უარყოფით თვისებას ამჩნევს; უფრო მეტად წრის, კოლექტივის განწყობილებას ემორჩილება და თავის მოქმედებას ამ უკანასკნელის მიხედვით წარმართავს.

მაშასადამე, ხალხი ფიქრობს — პიროვნების მაგალითი ყოველთვის კი არ ასრულებს გადამწყვეტ როლს აღზრდაში, არამედ — იმ წრის, იმ კოლექტივის დამოკიდებულება ამ მაგალითისადმი, რომელ-

თანაც აღსაზრდელია დაკავშირებული. ეს გასაგებიცაა: პირველი პიროვნების ზეგავლენაა, მეორე კი — მთელი კოლექტივისა და ამდენად უფრო ზემოქმედი, უფრო ძლიერი. მაშასადამე, არა მარტო მაგალითი ახდენს გავლენას ადამიანზე, არამედ საზოგადოებრივი აზრიც ამ მაგალითის შესახებ, ამიტომ საჭიროა ყოველი პიროვნება დადებით საზოგადოებრივ აზრამდე ამაღლდეს, რათა ამ მიბაძვის ღირსი გახდეს.

რეჟიმი. ფოლკლორში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეჟიმს ამა თუ იმ საქმიანობის წარმატებით დამთავრებაში. ხალხი აქებს იმ ადამიანს, რომელსაც ადრე ადგომა არ ეზარება. „ასე უნდა კაი ქალსა დილაზე ადრე ადგესო“ და სხვ.

ასეთი ნაწარმოებებით ხალხს სურს მოზარდი საქმის დროულად დაწყებას შეაჩვიოს. ცხადია, მას ზუსტად არა აქვს განსაზღვრული ბავშვის ადგომის დრო, მაგრამ დილით ადრე ადგომას კი მოითხოვს, რათა ბავშვი დროულად შეუდგეს თავისი მოვალეობის შესრულებას.

ვარჯიში. ნაწარმოებებში გვხვდება ეპიზოდები, ადგილები, რომლებშიც ზნეობრივი შინაარსის გამოთქმათა და მოქმედებათა გამეორებებს აქვს ადგილი. ავიღოთ ცნობილი ზღაპარი — „რწყილი და ჭიანჭველა“. რწყილის მოქმედების მთავარი მიზანი აქ ძმობილი ჭიანჭველას წყალში დახრჩობისაგან გადარჩენაა. ისე, რომ მისი ქცევა ძმობილობის პრინციპის დაცვას ემსახურება. ამის განსახორციელებლად ნაწარმოებში ორი მომენტი იპყრობს ყურადღებას: დახმარების გამომხატველ გამოთქმათა და სათანადო მოქმედებათა გამეორება. პირველი ასეა წარმოდგენილი: „რწყილი ახტა, დახტა“ და „მივიდა ღორთან“, მუხასთან, ყვავთან, კრუხთან, ორმოსთან, თაგვთან, კატასთან, ძროხასთან. ისე, რომ ეს გამოთქმა რვაჯერ მეორდება ნაწარმოებში. და ამდენჯერვე მოსდევს მას გამეორება სიტყვებისა, რომელთა მიხედვით, პირველ შემთხვევაში რწყილი ჯაგარს თხოვს ღორს, მეორე შემთხვევაში რკოს — მუხას, მესამეში — ყვავს მიმართავს, რათა ის მუხას ჩამოშორდეს, მეოთხეში — კრუხს, რათა წიწილა მისცეს. მეხუთეში ორმოს — ფეტვისათვის და ა. შ. ყველა ამ მიმართვისას უცვლელად მეორდება დახმარების ამსახველი სიტყვებიც: „ამოვიყვან ჩემს ჭიანჭველას ძმობილსა“. გამოთქმების გამეორებებს მოქმედებათა გამეორებანი უკავშირდება: მეორდება რწყილის ხტომა ძმობილის გადასარჩენად — „რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ღორთან“, მუხასთან, ყვავთან და ა. შ.

ამრიგად, ამ ნაწარმოებში რწყილის მოქმედებისა და „გამოთქმების“ რვაჯერ გამეორება გვაქვს. მათ კი საფუძვლად „ძმობილობის“

დაცვა, ეს ჰუმანური თვალსაზრისი უდევს. რწყილი უანგაროა: მის მოქმედებას პირადი სარგებლიანობის სურვილი კი არ ამოძრავებს, არამედ „ჰუმანურობა“, და სწორედ ამ გრძნობის გამომხატველი მოქმედებანი და გამოთქმები მეორდება ნაწარმოებში. ცხადია, მათი დასწავლა თავისთავად წარმოადგენს ბავშვის ერთგვარ ვარჯიშს იმ აზრის შეთვისებაში, რომ გამტანობა და ჰუმანური ქცევებია საჭირო. მაგრამ აქ მეორე მომენტიც არის: ამდენჯერვე მეორდება ამ ნაწარმოებში ზემოხსენებული ცხოველების, ფრინველებისა და სხვათა „პასუხები“, რომლებიც პირადი სარგებლიანობის პრინციპს ემყარებიან. ამ ორი რიგის თვისებებიდან ხალხი პირველის უპირატესობას გვიჩვენებს. რწყილის მოქმედებათა სახით აქ მეგობრული თავდადების აღმაფრთოვანებელი მაგალითი გვაქვს, რაც ღრმად წვდება ბავშვის სულიერ სამყაროს. ეს გასაგებიცაა: ადამიანი თუ მთელ თავის ძალას, თავის შესაძლებლობას კეთილი საქმისათვის იყენებს, გული ხარობს, სული იფურჩქნება, რაც აღზრდის შესანიშნავი საშუალებაა: ასეთი ნაწარმოები ისევე კვებავს ადამიანის გულსა და სულს, როგორც საჭმელი კეჭს.

წახალისება. წახალისების რამდენიმე სახე შეიძლება გავარჩიოთ: წაქეზება, დაპირება, შექება და ჯილდო.

წაქეზება. საგულისხმოა გამოთქმები: „ვინც ამას არ გამოიცნობს, სულ ჭკუიდან შეიშლება“ (ცხვარი — „ხალხ. სიტყვ. მჯ.“, II, გვ. 131); „ვინც ამას გადიკითხავს, ჭკვიანი და ბრძენიაო“ (თაფლი, — პ. უმიკაშვილი, III, გვ. 284). ასეთ გამოთქმებში ერთგვარი წაქეზება, ბავშვის წამახალისებელი მოწოდება ჩანს. ბავშვის წაქეზებას ხალხი პრაქტიკაშიც ხშირად იყენებს, როგორც აღზრდის კარგ საშუალებას.

დაპირება. ბავშვის წაქეზებამ დადებითი შედეგი უნდა მოგვცეს, მაგრამ ზოგჯერ ასე არ ხდება. ამიტომ ხალხი დაპირებასაც მიმართავს. ის ორნაირ დაპირებას ცნობს საჭიროდ — მატერიალურს და სიტყვიერს. პირველის ილუსტრაციაა გამოთქმა: „ადრე ამდგარსა ყმაწვილსა, დედა უმზადებს სადილსა“. ხალხი აქ ბავშვის ემოციურობას ითვალისწინებს, რადგან იცის, რომ ასეთი დაპირებები გადამწყვეტ გავლენას ახდენდნენ მასზე.

სიტყვიერი დაპირებაა ხალხურ გამოთქმაში — „გამოცანა გერგება“[1]. ამ გამოთქმას მაშინ მიმართავდნენ, როცა ინტუიციით მიაგნებდა ვინმე რაიმეს (ეს, ამავე დროს, შექება იყო, გონებრივი უნარიანობით

[1] ი. ჭავჭავაძე, ტ. II, 1950, გვ. 225, მოთხრობაში „სახრჩობელაზე“. -

გამოწვეული). გამოცანებში გაბატონებული ადგილი უჭირავს დაპირებას. მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხალხი, რადგან გამოცანის ახსნისათვის რაიმეს დაპირება ხალისს იწვევს ბავშვში, რაც გონებრივი წრთობის ერთ-ერთი ხელის შემწყობია. ამ აზრის გამოთქმის საშუალებას მრავალი გამოცანის დასასრული გვაძლევს, — „აბა, თუ გამოიცანი, მზათ არის საჩუქარია". ეს წინასწარი ღონისძიება იმის გამაფრთხილებელი საშუალებაა, რომ მოზარდმა იფიქროს და კარგად წარმოიდგინოს გამოცანაში ნაგულისხმევი ნიშან-თვისებანი; ისინი სხვადასხვა საგნის დამახასიათებელ ნიშნებს შეადაროს და სათანადო დასკვნა გააკეთოს, რათა მისი გონება ამოძრავდეს. აღსანიშნავია შემდეგიც: მართალია, გამოცანის თქმას რაღაც საზეიმო, სახალისო ხასიათი ჰქონდა. მაგრამ მეორე მხრივ, მას „ტვინის მტანჯველი" ფიქრებიც სდევდა, რადგან გამოცანის ახსნა მრავალნაირ შედარებებს და სათანადო დასკვნის გაკეთებას მოითხოვს, რაც რთული პროცესია, მაგრამ როცა ისმენდნენ წამაქეზებელ გამოთქმას — „ამისა გამომცნობელი ახლა თქვენ ბრძანეთ ვინ არის"-ო, ყველას ინტერესი აღეძვრებოდა, ხოლო გამოცანის ამოხსნას თუ ბრძენის „ტიტულიც" მოჰყვებოდა, ინტერესი კიდევ უფრო მაღალ საფეხურს აღწევდა. პირველი „კაი ბიჭობის", თუ „კაი ქალობის" სურვილის აღმძვრელი იყო, მეორე — გონებრივი უნარიანობის დამადასტურებელი საბუთი.

შ ე ქ ე ბ ა თავის ძალებში დარწმუნების, მორალური სიმტკიცისა და საუკეთესო ზნეობრივი თვისებების გამომუშავების ერთ-ერთ პირობად მიაჩნია ხალხს. პირველის ილუსტრაციაა:

„ვაჟკაცებმა თქვესო: ბეჩავს რაღა ვუყოთო,—
— თავს მაიკლავსო.
— თავ მავაწონოთ და კარგზე უკეთესი იქნებაო" (ფ. ა. № კოლ. მე-8, გვ. 5).

აქ მკაფიოდ და ღრმად არის წარმოდგენილი შექების დადებითი ზეგავლენა ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე. თავის მოწონება აღსაზრდელის დადებით ნიშან-თვისებას უნდა ემყარებოდეს, მაგრამ ამისათვის საჭიროა — ეს ნიშან-თვისებანი სხვა ნიშან-თვისებიდან გამოიყოს და ყურადღების ცენტრში მოექცეს. ეს კი ისაა, რასაც სასურველი შედეგის მისაღებად აღსაზრდელის დადებით ნიშან-თვისებაზე დამყარება ეწოდება. უნდა ითქვას — ხალხი პრინციპულად მოითხოვს მას და ასწავლის — ზოგჯერ, უყურადღებოდაც კი უნდა დავტოვოთ ადამიანის ნაკლოვანებაო. სხვა ადგილას ის პირდაპირ მიუთითებს:

„თუ ძმისა ვაჟკაცობანი შენთან შეხვედეით ედარეა,
არ დაამცირო ის ხალხში, ვაჟკაცსა დაადარეო" („ქართვ. მთ. ზეპირ." გვ. 112).

„მდარე“ ქცევის ადამიანის ვაჟკაცთან შედარება სწორედ იმას ნიშნავს, რომ მისი უარყოფითი ნიშან-თვისებები დარჩეს უყურადღებოდ, რათა დადებითს დავემყაროთ. ხალხმა იცის, არ არსებობს ადამიანი დადებითი თვისებების გარეშე. როცა მას ყურადღებას მივაქცევთ, აღსაზრდელი სულიერად მაღლდება, თავის ძალებში რწმუნდება და ეს კარგი თვისება მასში გაბატონებულ ადგილს იჭერს. საყურადღებოა ამ მხრივ „ზღაპარი ხელმწიფისა, რომელსაც სიკვდილი სანატრელი გაუხდა“. საკვირველი საგნის მოპოვებისათვის წასული ყმაწვილი გზაში ნახავს ადგილს, სადაც „ძვალი ისე ყრია, როგორც ქვა“. ამის შესახებ თავის „რაშმა მას გადასცა“: „გზაზე ერთი მღვრიე წყალი შეგხვდება. ეს ხალხი იმ წყლის დახოცილიაო. იმ წყალს რომ მიატანო, მოდი და ასე სთქვი: ნეტავ შენაო. წყალოო, ნეტავი შენი სმით გამაძღოო. რომ არ მეჩქარებოდესო, რაშიდან გადმოვიდოდი და დაგეწაფებოდიო“. ეს რომ წყალმა გაიგონა „შეგუბდა და გასავლელად მშრალი დაუგდო“-ო („რჩ: ქართ. ხალხ. ზღაპრ.“ 1958, გვ. 175). დადებით ნიშან-თვისებაზე ყურადღების გამახვილებამ ისეთი წყალიც კი გააკეთილშობილა, რომელიც უმოწყალოდ წყვეტდა ადამიანებსო, — მიუთითებს ხალხი, რაც სწორედ იმას ნიშნავს, რომ რაღაც ელემენტარულმა დადებითმა თვისებებმა, გაბატონებული ადგილი დაიჭირა მასში. ასეთია შექების გარდამქმნელი ძალა, ხალხის გაგებით.

აქ წარმოდგენილი შექების ჯადოსნური სახე იმაზე მიგვითითებს, რომ ამ მეთოდის აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჩვენს ხალხს, ჯერ კიდევ, უძველეს პერიოდში უნდა ჰქონოდა შემჩნეული.

ზემოთ წარმოდგენილი მასალების მიხედვით, შექება თვით შექების ობიექტზე მოქმედებს. მაგრამ ხალხი ამით არ ფარგლავს მის როლს, ამბობს — შექება სხვა ადამიანებზეც ახდენს გავლენასო:

„კაი ყმა შავაქათ, ვაჟებო,
ცუდებიც შაცდებოდა“ („ივ.“ 1888, № 135).

კაი ყმის შექება ჩამორჩენილი ადამიანების გამოსწორების საშუალებაც არის, გარდა იმისა, რომ ის თვით კაი ყმაზეც დადებითად მოქმედებს. ორივე შემთხვევაში კი, შექების შედეგად, სულიერად ამაღლებული და გმირად ქცეული ადამიანები გაცილებით მეტ პროდუქტს გვაძლევენ:

„გამარჯვებულმა გუთანმა
სამოცჯერ შემოუარა,
ნეტა რა ხარმა გაუძლო,
ან და რა მეხრემ იარა?“ („შრომის სიმღერა“, გვ. 31).

გამარჯვებამ ახალი ემოციური განწყობილება შექმნა, „გუთანი გაახარა“, წაახალისა, რამაც შრომის ნაყოფიერება გაზარდაო.

მაკრამ ნაკლოვან მხარეზე ყურადღების გაუმახვილებლობა და შექება არ ნიშნავს, რომ უკანასკნელს გარკვეული საფუძველი არ ჰქონდეს.

„რასა დამძახი, გუგულო,
უზმოსა, უსადილოსა?
მაშინ დამძახე გუგულო,
ყანა რომ დავაგუგუნო“ („შრ. სიმღ.“, გვ. 88).

ხალხი ღირსეულთა შექებას მოითხოვს. არსენა ოძელაშვილისა და საერთოდ, მშრომელთა ინტერესებისათვის ყოველი მებრძოლის შექება, სწორედ ამ მოსაზრებით უნდა აიხსნას. ეს აზრი მითოლოგიურ თემებზე შექმნილ ნაწარმოებებშიც ჩანს. „უნდა ძალიან შევაქო დევების ამომწყვეტია“-ო (ა. შანიძე, იქვე, გვ. 226).

შექების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივი სამშობლოსათვის ბრძოლაა. ხალხი საჭიროდ ცნობს შ. რუსთაველის, თამარის, ერეკლე მეორისა და ყოველი „კაი ყმის“ შექებას. საბჭოთა ფოლკლორში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, კერძოდ, დიდი სამამულო ომის გმირთა შექებას (ხ. შ. ს. ა. 2539, საინ. 8, № 1158). დიდ როლს ანიჭებს ხალხი შრომითი წარმატებებისათვის შექებას.

როგორც ვიცით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ფიზიკურად მშრომელი ადამიანი მდაბიოდ იყო მიჩნეული, მაგრამ თვით მშრომელ ხალხს აქაც თავისი თვალსაზრისი ჰქონდა: პირველ რიგში ის სწორედ მშრომელ ადამიანს აფასებდა, აქებდა.

შექება ზოგჯერ დაპირებასაც შეიცავს — „გავიწივოთ და გავიდეთ, სახელი გაგვივარდებაო“ („შრ. სიმღერა“, გვ. 89). დაპირება აქ სახელის მოპოვებას ითვალისწინებს, მაგრამ შემდეგ სტროფში ის ნაყოფიერი შრომის შედეგად მოსალოდნელ სიამოვნებას გულისხმობს:

„საღამოს სახლში მივიდეთ,
ლხინი ვნახოთ და თამაში“ (იქვე, გვ. 31—32).

შექებაში ხალხი შექების ობიექტის ავტორიტეტის საფუძველს ხედავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი აზრით, ეს მეთოდი საზოგადოებრივი აზრის შექმნის ერთერთი წყაროც არის. ერთ-ერთ ზემოხსენებულ ლექსში, როგორც აღვნიშნეთ, მოზარდის მაღალი შრომისუნარიანობაა აღწერილი. მაგრამ იქვე ნათქვამია: „ჩემს დედას მინატრიდიან კაიშვილ გამოგეზარდა“-ო. აქ არა მხოლოდ მოზარდის, არამედ მისი სასახელოდ აღმზრდელი მშობლის შექებაც მოჩანს.

ხალხის აზრით, ადამიანები უნდა შევაქოთ: სამართლიანობის, სამშობლოსათვის თავდადების, კეთილსინდისიერი შრომისა და კარ-

გი მოქალაქის აღზრდისათვის. ასევე მოითხოვს ხალხი ზოგადი და პროფესიული ცოდნის მქონე, გონებამახვილი და მასთან ყოველი გამოჩენილი მოღვაწის შექებას („ხალხ. სიტყვ. ქრესტ." 2, გვ. 270—72). ასეთ ადამიანთა შექება ყოველთვის ძვირფასი მაგალითი იყო ახალგაზრდისათვის. ჩანს, რომ ხალხი დიდ აღმზრდელობით ძალას ხედავს ამ მეთოდში. ამით შეიძლება აიხსნას, რომ მას ნაადრევ ასაკშიც ცნობდა ის საჭიროდ და მისი გამომხატველი ცნებებიც კი შეუმუშავებია. მაგალითად, „თვალის ჩინო", „თვალეუეუნავ", „იის კონავ", „ამომავალო მზეო", „ბადრო", „ბულბულო", „გვრიტო" და ა. შ. (თელავის ინსტ. იქვე, გვ. 37—38). ამ ჩანაწერში აგრეთვე ვკითხულობთ: „ზოგჯერ მშობელი შვილს ღვთიურ არსებას ადრის, ადარებს: ჩემო ღმერთო, ანგელოზო, ხატო, მოჩვენებავ, წმინდანო" და სხვ. (იქვე, გვ. 34).

ასე დიდია შექების როლი. ის ადამიანის გამოსწორებისა და წინსვლის, წარმატების, კერძოდ, შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ამასთან ერთად ხალხი მიუთითებს — შექებაშიც ზომა იქნეს დაცული, თორემ არასასურველ შედეგს მივიღებთო: „ხატს სანთელს ბევრს ნუ აუნთებ, თავი წმინდანი ეგონებაო" (ფ. ა. № 12428). მაშასადამე, ზომაზე მეტად შექება დიდ წარმოდგენას უქმნის თავისთავზე ადამიანს, რაც მიუღებელია ხალხის აზრით.

ჯილდო. დაპირება, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯილდოს, ანუ საჩუქარსაც გულისხმობს. გამოცანებში ხშირად გვხვდება გამოთქმა — „აბა თუ გამოიცანი, მზათ არის საჩუქარია". საჩუქარს კი, ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ავიღოთ თამაში „აგან-გალა-განგალა". ბავშვს, რომელმაც „დედის" მიერ დასახელებული ნიშნების მიხედვით გამოიცნო ცხოველი, ან ფრინველი, „დედა" ქამრით („ლახტით") აჯილდოებს („საბ. ფოლკლორი", გვ. 109—111). მაგრამ ჯილდო ყოველი სასახელო საქმის, გმირული შრომისათვის უნდა მიეცეს ადამიანს. ქართველებს ის, კერძოდ, შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაუწესებიათ. მაგალითად, ერთ-ერთი ცნობით, ხატობაში გამართულ დოღში „პირველად გასულ მხედარს", „ერთი ჩხუტი" (სუფრა) ეძლევა და მას სოფელი პურ-არაყ-ლუდით უმასპინძლდება" (ს. მაკალათია, დუშეთი, გვ. 203). ხალხი ასეთი წახალისების ერთგვარ შედეგსაც გვიჩვენებს. მაგრამ აქ საჭიროა მოვიგონოთ ხალხის მართებული აზრიც იმის შესახებ, რომ წახალისებაც ზოგჯერ ხელს უშლის სწორ აღზრდას — „საქებურმა ხარმა ნიახური გადაქელაო" („აკაკის თვიური კრებული", 1898, განყ. III, გვ. 18). ჩანს, რომ ხალხი სხვა საშუალების გამოყენებასაც ცნობს საჭიროდ. მართლაც, ერთ ად-

გილას ნათქვამია — „შექებამ და წაქეზებამ ვირზე შემსვა, ძაგებამ კი ვერა მიყო რაო“ („სწავლა სიბერემდისო“, გვ., 150). ჩანს, ხალხი დასჯასაც მოითხოვს. დასჯას იმიტომაც უნდა მივმართოთ, რომ ზოგიერთი ადამიანი ვერ აფასებს დანაშაულის პატიებას, ადამიანის კეთილშობილურ დამოკიდებულებას მის მიმართ და უარესს ჩადისო („პატიეს მელასაო, მოუმატა კბენასაო“, იქვე, გვ. 66). ამასთან საჭიროა ითქვას: აღზრდის ამ ორ საშუალებას ხალხი ორგანულად აკავშირებს ერთმანეთთან.

დასჯა და მისი სახეები.

ხალხურ შემოქმედებაში, ამა თუ იმ მოვალეობის შეუსრულებლობის გამო, დასჯა კანონზომიერ სახეს ღებულობს. ეს ჩანს ბავშვისადმი მიმართვაში „მწყრომელა“ და აგრეთვე ცნობილ ლექსში „მტირალა“. მოზრდილთათვის კი, ხალხს სასჯელის სხვადასხვა სახე შეუქმნია. ფშავში არსებული დასჯის შესახებ ვაჟა-ფშაველა აღნიშნავდა: „სასჯელს დამნაშავისათვის მთელი თემი, სოფელი დაადგენდა. სასჯელი ორნაირი იყო: 1) ფიზიკური (ჩაქოლვა); 2) ზნეობითი (მოკვეთა, საზოგადოებიდამ გაძევება)“[1]. ეს ძვირფასი ცნობაა ფშავში არსებულ სასჯელზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად. ამასთან ფოლკლორული მასალების მიხედვით შეიძლება დასჯის შემდეგი სახეები გავარჩიოთ: გაფრთხილება, რაიმეს აღკვეთა, გაძევება, „ჯარიმა“, გაკიცხვა, დატუქსვა და იძულება. საჭიროა აღინიშნოს ფიზიკურ დასჯაზეც.

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა. მეტად საყურადღებოა, რომ დასჯამდე ხალხი გაფრთხილებას ცნობს საჭიროდ. ჯერ მოვიტანოთ ი. გოგებაშვილის „დედა ენაში“ დაბეჭდილი ხალხური ლექსი, სათაურით „კურდღელი და ყანა“:

„კურდღელო, ნუ სძოვ ყანასა, პატარაა და ბრალია,
თორემ მოგიტევ მწევრებსა, ჩემი აღარა ბრალია“[2].

როგორც ვხედავთ, გაფრთხილება აქ იმას ემსახურება, რომ კურდღელმა ყანას თავი დაანებოს. გაფრთხილება გვაქვს ზემოხსენებულ ზღაპარშიც, ზარმაცი ხელმწიფის ქალის შესახებ. მისმა ქმარმა (მშრომელმა გლეხმა) იცოდა, რომ ხელმწიფის ოჯახში აღზრდილი ქალი თვითნება და ზარმაცი იყო და უკანასკნელის თვალწინ თავისი ცხენი გააფრთხილა: ჩემს ნაფეხურებზე დაადგი ფეხი, თორემ მოგკლავო. ასეთივე გაფრთხილება მისცა მან ძაღლსაც. ცხადია, ცხოველებ-

---

[1] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, V, 1961, გვ. 63.
[2] ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, თხზ. 5, გვ. 320.

მა ეს ვერ შეასრულეს, რის გამოც მან ისინი დახოცა. ცხადია ისიც, რომ არსებითად ეს ხელმწიფის ზარმაცი ქალის გაფრთხილება იყო (ღლონტი, „ხალხური ნოველები", გვ. 112).

ზოგჯერ გაფრთხილებას ალეგორიული, მიმახვედრებელი სიტყვებითაც გვაწვდის ხალხი. აი, ცნობილი გამოთქმა — „ასეთი გოდორი დასწანით, რომ თქვენს შვილებსაც გამოადგესო". უძველეს დროს ზოგიერთ ხალხში ასეთი ჩვეულება იყო: როცა ადამიანი მოხუცდებოდა, მას თავიდან იცილებდნენ, კლდიდან გადააგდებდნენ. ერთი მოხუცის შვილებმაც გოდრის დაწვნა დაიწყეს, მოხუცი მამის კლდიდან გადასაგდებად. მამამ გაიგო მათი განზრახვა და ამ სიტყვებით შიმართა. შვილებმაც გაიგეს ეს არაპირდაპირი გაფრთხილება, მიხვდნენ, რომ მათი შვილებიც ასე მოიქცეოდნენ და გოდრის წვნას თავი დაანებესო, გადმოგვცემს ხალხი (პ. უმიკაშვილი, — „ხალხ. სიტყ." II, გვ. 219).

ამა თუ იმ საქმეში მონაწილეობის აღკვეთა და გაძევება. აქ მხედველობაში გვაქვს თამაშიდან ბავშვის გაყვანა რაიმე ამოცანის შეუსრულებლობის გამო. მაგალითად, თამაშში „აფრინდა აფრინდა", თუ ბავშვი ხელს იმ დროს ასწევს, როცა დაიძახეს — „ხე აფრინდა"-ო, მას უფრთსისაგან „წკიპურტი მოხვდება" და თამაშიდან უნდა გავიდეს. გამარჯვებული კი ის იქნება, ვისაც თამაშიდან გაძევება არ მოუწევს და მაშასადამე, ბოლომდე შერჩება მას[1]. ან ავიღოთ თამაში — „თავდავლაობა ანუ ქალაქობანა", სადაც ასეთი მომენტია: ბავშვს, რომელიც ვერ შეამჩნევს, რომ მას ლახტი შეუგდეს, მოთამაშეთა რიგებიდან რიცხავენ („საბ. ფოლკლ". გვ. 113). თამაშის აღკვეთა მოჩანს შემდეგ გამოცანაშიც:

„ქვესკნელ მავალი წითელი, ორი ფეხები განზედა,
შენ ამას ვერ გამოიცნობ, ადი, გაბრძანდი, კარზედა" (უმიკაშვილი, II, გვ. 281).

თამაშის დროს დასჯა ჩვეულებრივი მოვლენაა. ამის დამამტკიცებელია სიტყვა „წიაწაობა". აქვე განმარტებულია, რომ „წიაწაობა" დასჯას ნიშნავს. თუ რომელიმე ჯგუფი ან მოთამაშე თამაშს წააგებს, იგი გამარჯვებულმა შემდეგნაირად უნდა „აწიაწოს": 1) გამარჯვებული მას ჯოხით ბინიდან სამჯერ გაუკრავს ბურთს, დამარცხებული კი — ერთხელ იმ ადგილიდან, სადაც გამარჯვებულის მიერ მესამედ გაკრული ბურთი დაეცა, და სადაც დამარცხებულის ბურთი დაეცემა, ის იქიდან დაიწყებს სულამოუთქმელად სირბილს „წიი"ს ძახილით"[2].

---

[1] ზ. შერეზადიშვილი, ხალხური თამაშობანი, 1954, გვ. 7.

[2] გ. მერკვილაძე, ქართული მოძრავი თამაშობანი, 1922, გვ. 74.

ჯ ა რ ი მ ა. როგორც ზემოთ ითქვა, ის ბავშვი, რომელმაც გამოცანის ახსნის დროს დაკვირვებულობა, სათანადო ცოდნა და გონებრივუნარიანობა ვერ გამოიჩინა, „ჯარიმდება"[1]. ამით ხალხს სურს ბავშვს პასუხისმგებლობა აგრძნობინოს, შთაგონოს, რომ საჭიროა ფიქრი, აზროვნება, ცოდნის სათანადოდ გამოყენება.

გ ა კ ი ც ხ ვ ა. გაკიცხვის მრავალი მაგალითი გვხვდება ფოლკლორში. ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ხშირადაც იყენებს მას. უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი წაწალაშვილის ღალატის გამო, მის შესახებ შექმნილ ლექსში ნათქვამია:

„გრცხვენოდესთ, მოღალატენო,
თავის ერთგულის ძმისასა" („ხალხ. სიტყვ." III, გვ. 96).

დ. შევარდნაძის ლექსში უფრო ზოგადი სახე აქვს ასეთ შერცხვენას. გმირის ღალატით მოკვლის გამო, იქ ასეთი მიმართვაა: „გრცხვენოდეს კაცის ღალატიო". აღსანიშნავია, რომ გაკიცხვა ხალხის ყოფაცხოვრებაშიც იყო ფეხმოკიდებული. კერძოდ, ფშავთან დაკავშირებით ვაჟა-ფშაველა წერდა: „ახალი ფშავლების პოეზია თვალყურს ადევნებს ახალგაზრდობას, იმათ ყოფა-ქცევას, როგორ ეპყრობიან დედ-მამას, ნათესავებს, — აგრეთვე მოხელეებს — გმირ-ნაცვალ-მამასახლისებს. ვისაც მოასწრობს და დაიჭერს რაშიმე, არ ჰზოგავს და უშხლარტუნებს სატირულ შოლტებს". ქვემოთ კი აღნიშნავს: „საერო ლექსი" ახალგაზრდა კაცს „უძრახავს კოხტა-პრანჭიაობასა და „საათიანობას"-ო, და მოჰყავს ლექსი. ამ ლექსის მიხედვით დაგმობილია ახალგაზრდა, რომელსაც თავისი ძვირფასი ნივთებით მოსწონს თავი, თავის პაპასა და ოჯახს კი, ვერ პატრონობს:

„ემა თემურაზს უთხარით:
საათს რად არა ჰნახაო?
შვილიშვილს შამოგებარა
არჯალა, თავის პაპაო.
ისიც ღორღებში დაარჩვე,
შე სასაცილოვ სხვათაო".

შემდეგ: ვერცხლის სარტყელი გიყიდია, დედის წყალობით ცხოვრობ და ერთ კვიცსაც კი ვერ მოუარეო. (ტ. V, 1961, გვ. 113, 145—146).

სხვა ადგილას ვაჟა წერდა: ფიქრიანი ადამიანი „რას დადგება ისე, რომ უფიქრელს თვალ-ყური არ ადევნოს: ყურს უგდებს თავი-

[1] საილუსტრაციოდ: „ვინც იმას არ გამოიცნობს, გამართოს ერთი სადილი" (ხალხ. სიტყვ. მას. II, გვ. 133) ან: „ამის გამომცნობი კაცი, აბა წამოდგეს წინაო, ან ჩამოასხი ხელადა, ან დამპატიჟე შინაო" (იქვე, გვ. 119).

სებურად, ჭკვიანურად და უპასუხებს დინჯად, უფიქრელს მოულოდნელად“-ო და მოჰყავს ლექსი, რომლის პირველ ნაწილში „უფიქრელი“ ადამიანის გაკიცხვაა, უშინაარსო ლაპარაკის გამო. ადამიანს მიმართავენ:

„მანამ მაგას იფიქრებდი,
თავში რად არ ლოდი გეცა!“

აქვე ვაჟა აღნიშნავს, რომ ეს სიტყვები ამ ადამიანს შეარცხვენს და გააწითლებსო.

საყურადღებოა გაკიცხვა მშობლებისადმი შვილის უპატივცემულო დამოკიდებულების გამო:

„შვილი მამას ეუბნება გამეყარე მოგცემ წილსა,
აქამდინ, რომ გინახავდი, სხვლა იცოდი ვენახისა“ (უმიკაშვილი, -1, 1964, გვ. 210).

იმის ნათელსაყოფად, რომ ასეთი შვილები გმობისა და გაკიცხვის ღირსნი არიან, მოვიყვანოთ შემდეგი სტროფები:

„ნეტავი, შვილო, ბაგრატო,
გველი მეშობა, შენ არა“ (ფ. ა. კოლ. II, საქ. 14, № 59).

სხვა ადგილას კი ასეთი მიმართვაა:

„ბიჭაუ, რას ფრთხილობ? მშიშარა
მშობელი დედის მგმობია:
თავ-ლაფ დასხმულსა სიცოცხლეს
სიკვდილი არა სჯობიან“ (ეურნ. „ივ.“ 1885, № 11, გვ. 50).

ამ ეღირს შვილთა დანაშაული რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს, ერთ ნაწარმოებში მითითებულია: მშობლებისა და საერთოდ, მოხუცებისადმი ასეთი დამოკიდებულება საზოგადოების მიერ გაკიცხვასაც იმსახურებსო — „ბებერს რას მემუქრები, ეგ რა ვაჟკაცის შნო არისო“ („ხალხ. სიტყვ.“, III, გვ. 31).

დ ა ტ უ ქ ს ვ ა. ფოლკლორში დატუქსვასაც ვხვდებით, მაგრამ აქ განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს ხალხი, რადგან მიაჩნია, რომ სისტემატურად გამოყენებული ეს საშუალება ხელის შემშლელიც კი არის აღზრდისათვის. აი, ლექსი:

„სულ მუდამ ქროლა არ ვარგა, მიწას ააშრობს სველასა,
უწყვეტლივ ჭყივილ-კივილი თავს მოაძულებს ყველასა“
(ა. უმიკაშვილი, იქვე, გვ. 203).

როგორც გამუდმებულ ქ რ ო ლ ა ს მოაქვს ზიანი, ისე გამუდმებით ტუქსვასაც, რადგან ის ადამიანს თავს აბეზრებსო.

ი ძ უ ლ ე ბ ა. სასჯელის ამ ზომას, სხვა ნაწარმოებთა გარდა, ვხე-

დავთ ზემოთ აღნიშნულ ზღაპრებშიც — „ერთი მანეთის შოვნა“ და „ვინც საქმე გააკეთა, პური იმანა ჭამოს“. პირველის მიხედვით, მამის სიმტკიცე და პრინციპულობა აიძულებს მცონარა ბიჭს, თავისი შრომით იშოვნოს ფული, მეორის მიხედვით კი ქმარი და დედამთილი — ხელმწიფის ქალიშვილს.

მაგრამ საერთოდ, ფოლკლორში იმის ცდაა, რომ აღსაზრდელზე არა იძულებით, არამედ კეთილგანწყობილებით ვიმოქმედოთ, რადგან ეს უფრო შედეგიანია:

„ქაი გულით, მდევი ყურით მოიყვანესო,
ავი გულით, ხარი ყანიდან ვერ გამოაგდესო (საქ. ლიტ. მუზ. არქივი 8490—6, № 255, გვ. 69)..,

მაშასადამე, ჰუმანური და წრფელი დამოკიდებულება, ცხადია, ზოგჯერ, გაცილებით უკეთეს შედეგს გვაძლევს, ვიდრე საწინააღმდეგო ქცევა, — დასჯა. ხალხი საერთოდაც უარყოფს აღსაზრდელთან კონფლიქტს: „შუღლი რად უნდა დიაცსა? ასწავლას, რა ეჭირვება“-ო (შანიძე, იქვე, გვ. 265). ვხედავთ, რომ ხალხს აქ ლოგიკური მახვილი ახსნა-განმარტებასა და გონივრულ მითითებებზე გადააქვს და არა დასჯაზე. ეს კი ხალხური პედაგოგიური აზროვნების ერთ-ერთი რაციონალური მომენტია.

აქვე საინტერესოა ხალხის მითითება იმაზე, რომ გამოსწორების შემთხვევაში ადამიანს სხვაგვარად უნდა მოვეპყრათ, რათა მას თავისი წარმატების მნიშვნელობა ვაგრძნობინოთ: „ქაჩალს ქაჩალს ნუ ეძახი, თუ თავი მოიკარკაცა“ (თუ კაიკაცად გახდა — Q 965, გვ. 303).

ეს უკვდავი აზრია და დიდად საჭირო საბჭოთა პედაგოგიკისა და სკოლისათვის. ამით ხალხი ერთხელ კიდევ ადასტურებს თავის დიდ გამოცდილებას აღზრდის საქმეში. მაგრამ დასჯის საკითხში ეს ხალხური პედაგოგიური აზროვნების ერთი მხარეა, მას მეორე მხარეც აქვს. ხალხი ფიქრობს: ყოველთვის როდი მოაქვს დანაშაულზე პასუხის გაუცემლობას დადებითი შედეგი. ყოველ ადამიანს როდი შერცხვება თავისი ცუდი ქცევის გამო. შეიძლება, ნაწილობრივ, ამ მოსაზრებით აიხსნას, რომ გვხვდება ნაწარმოებები, რომლებშიც მკაცრი დასჯის საჭიროებაც კი მოჩანს. საგულისხმოა, ამ მხრივ გამოთქმა — „შეგირდი კარგ ოსტატად ჯოხს გამოჰყავსო“ (Q 965, გვ. 331), ან ავიღოთ აფორიზმები: „სახრე სამოთხიდან არის გამოსულიო“[1]; „სახრე ღმერთს დაულოცნია“[2] ან — „ცხენიც კი არ წავა უმათრახოდო“ („რჩ. ქართ. ანდ. და..“, გვ. 40). ან გადმოცემა ავიღოთ, რომლის მი-

---

[1-2] „ძვ. საქ.“ II, განყ.5, გვ. 101.

ხედვით, ექიმი ამბობს „მე თავად ზარმაცი ვიყავი, არა ვსწავლობდი, მამაჩემმა აიღო კარგი რბილი სახრე; კარგათა მცემა, მერე ვისწავლე და ექიმი გამოველიო“[1].

ამ ნაწარმოებთა მიხედვით ფიზიკური დასჯა ხალხს თითქოს ადამიანის ფორმირების საშუალებად მიაჩნია. ამასთან შემდეგიც უნდა ითქვას: ამათგან ზოგიერთი მაინც ხალხური წარმოშობის არ უნდა იყოს. ასეთია, მაგალითად, აფორიზმი მათრახით ცხენის დასჯაზე: იგი ბატონყმური ფსიქოლოგიის, მონური მორჩილების გამომხატველია, რის წინააღმდეგიც ყოველთვის იყო მშრომელი მასა. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი გამოთქმა ფეხს არ იკიდებდა დაბალ მასაშიც. მეორე მხრივ, არც ის შეიძლება ითქვას, რომ უძველეს პერიოდებში ფიზიკური დასჯა სავსებით უარყოფილი იქნებოდა. ცნობილია, რომ ფიზიკური დასჯის უმაღლესი ფორმა — სისხლის აღება უკანასკნელ პერიოდამდეც კი შემორჩა საქართველოს ზოგიერთ რაიონს (ფშავ-ხევსურეთი და სხვ.).

ფოლკლორული მასალა საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ: ფიზიკურ დასჯას ხალხი საჭიროდ იმ შემთხვევაში ცნობს, თუ ადამიანზე ზემოხსენებული ღონისძიებანი დადებითად არ მოქმედებს. როგორც აღნიშნული გვაქვს, არსებობს ლექსი:

„სამჯერ გეხვეწე, თორღვაო,
სამჯერ დაგიკალ ცხვარიო,
მეოთხედ შემოგახვეწე
თეთრი ქორაი ხარიო“.

აქედან ჩანს, არა თუ ხვეწნა-მუდარა, არამედ სხვა საშუალებაც გამოუყენებიათ (ცხვრები დაუკლავთ), რათა სირცხვილის გრძნობა აღეძრათ თორღვაში, მაგრამ ამაოდ. ამის შედეგად კი, სასჯელის მკაცრი ზომა გამოუყენებიათ „გატირეს ორივ თვალითა, როგორც ქმარ მკვდარი ქალიო“[2].

თორღვა მოკლეს. კითხვა ისმის — ვის წინააღმდეგ იქნა დასჯის ეს მკაცრი ზომა გამოყენებული, ვინ იყო თორღვა?

იქვე აღნიშნულია: თორღვა ბაგრატიონთა ნაბიჭვარი იყო და ხევსურეთში ცხოვრობდა. ჯერ ხევსურებს ართმევდა ხარჯს და შემდეგ ფშავლებსაც მოსთხოვა. ფშავლებს მისთვის უნდა ეძლიათ „თითო შიშაქი ცხვარი კომლზე, თითო ტომარა ნაცარი გზების გასაშრობად და

---

[1] ფ. ა. კოლეკ. II, საქ. 29, № 46, აგივე მოჩანს ნოველაში — „ზნიანი ქალი“ (ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, ხალხური ნოველები, გვ. 119—120).

[2] ივ. ბ უ ქ უ რ ა უ ლ ი, ლაშარის ჯვარი და თამარ დედოფალი, „მოამბე“, 1889, № IV, განყ. II, გვ. 107—108.

თითო ბორაის მხარი ისრის ფრთად“, მაგრამ თორღვა თანდათან უმატებდა ბეგარას. რის ატანაც შეუძლებელი გახდა და ერთმა ფშაველმა ის მოკლაო“.

ამ შემთხვევაში საქმე მჩაგვრელთან გვაქვს, რომლის მიმართ დასჯის უმაღლესი ზომა ყოფილა გამოყენებული. ცხადია, სასჯელის ეს ზომა სრულიად შეუფერებელია აღზრდისათვის. მაგრამ აქ ჩვენ ხალხის იმ აზრის ნათელყოფა გვაინტერესებს, რომ ფიზიკურ დასჯას მხოლოდ მაშინ უნდა მივმართოთ, როცა სხვა საშუალება უშედეგო აღმოჩნდება.

მიუხედავათ ამისა, ფიზიკური დასჯის ერთგვარ ნიშნებს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა თამაშშიც ვხვდებით. რით უნდა აიხსნას ეს? — იმით, რომ ხალხის პედაგოგიური თვალსაზრისით, საჭიროა თავიდანვე გამოუმუშავდეს ბავშვს პასუხისმგებლობის გრძნობა, ამა თუ იმ საქმიანობისა და ქცევისადმი. მოვიგონოთ თამაში — „აფრინდა, აფრინდა“. ამ თამაშის დროს, თუ ბავშვი ხელს მაშინ ასწევს, როცა არ არის საჭირო, მაგალითად, „ხე აფრინდა“-ო, მაშინ მას მთქმელისაგან წკიპურტი მოხვდება და თამაშიდან გავა. გამარჯვებულია ის, ვინც თამაშს ბოლომდე შერჩება. თამაშის — „კროუუნაობას“ წესის მიხედვითაც, ვინც სანიშნოს ვერ მოახვედრებდა, მას ზურგზე უნდა აეკიდა გამარჯვებული და გარკვეულ მანძილზე წაეღო (ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 164). პირველ შემთხვევაში დასჯა ბავშვის რბენაში სისუსტით არის გამოწვეული, მეორე შემთხვევაში — ალღოს უქონლობით. ამასთან ცხადია, რომ ეს სასჯელი მსუბუქია და არა — მკაცრი.

ამასთან ერთად, ქართულ ფოლკლორში ვხვდებით მასალას, რომლიდანაც ჩანს, რომ ხალხის აზრით, ადამიანს თვითონ უნდა შეეძლოს თავისი დანაშაულის შეფასება და ამის მიხედვით თვითდასჯაც. არის თამაშის წესები, რომლებსაც, თავიანთი ნებით ემორჩილებიან ბავშვები და თავს დასჯილის მდგომარეობაში აყენებენ. ეს ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რადგან აქ შეგნებული დისციპლინის საჭიროების იდეაც ჩანს. საილუსტრაციოდ ჯერ ავიღოთ „წყვილი კაკლებით თამაში“[1]. ბავშვები ამოირჩევენ ერთ კვადრატულ მეტრ ადგილს და ოთხი კაკლით თამაშობენ. პირველი მოთამაშე კაკალს ხელის გულზე იწყობს, მიწიდან ერთი მტკაველის დაშორებით და ხელის ჰაერში შემოტრიალებით ამორჩეულ ადგილზე აბნევს. კაკლები ერთმანეთს არ უნდა შეეხონ და ამავე დროს არც ძალიან შორს უნდა იყვნენ ერთმანეთთან, „რადგან მოთამაშეს უძნელდება წყვილების ერთმანეთზე გარტყმა“. და თუ კაკლები ისე ახლოს დავარდა, რომ ერთ-

[1] საბავშვო ფოლკლორი, გვ. 101—102.

მანეთს არ ეხებიან, „მაგრამ არც გარტყმა შეიძლება, იმ შემთხვევაში მოთამაშე მათ შორის ატარებს ნეკს“. ხოლო თუ „ნეკის გატარების დროს“ კაკლები შეინძრა, მოთამაშე თამაშს წყვეტს და მის ადგილს სხვა მოთამაშე იჭერს. უნდა ვიფიქროთ: რადგან კაკლების მიწაზე დაყრის დროს სიზუსტის დაცვა ძნელია, ამიტომ აქვს უფლება მოთამაშეს დაშვებული შეცდომა გამოასწოროს (კაკლებს ნეკით მიუჩინოს თავის ადგილი). აქვე ამ თამაშის შემდეგი მომენტიც საინტერესოა: უპირველესად საჭიროა — მოთამაშემ ისე დაყაროს მიწაზე კაკლები, რომ ისინი ერთმანეთს არ მოხვდეს. თუ ეს ვერ შეასრულა, თავი უნდა დაანებოს თამაშს. როგორც ვხედავთ, ამ თამაშში თვითდასჯის ორი შემთხვევაა. მაგრამ აქვე მესამე შემთხვევასაც ვხვდებით: მოთამაშე თავს იმ შემთხვევაშიც ანებებს თამაშს, თუ ერთმანეთს ვერ მოახვედრა „გაშლილი კაკლები“.

აქედან ჩანს, რომ თუ დადგენილ წესს ვერ აასრულებ, ვალდებული ხარ თვითონვე ჩაიყენო თავი დასჯილის მდგომარეობაში (რაც ამ შემთხვევაში თამაშში მონაწილეობის თვით აკრძალვაში გამოიხატება).

ასეთივე თვითდასჯასთან გვაქვს საქმე მეორე თამაშშიც — „ტამფაობა“: თუ მოთამაშემ ტენგა[1] ვერ მოახვედრა ჯოხის პატრონს, ის ვალდებულია ტამპის დარაჯად, მცველად დარჩეს. ავიღოთ თამაშიც „ცოლტკეციაობა“. ამ თამაშის მიხედვით, ბავშვი, რომელიც დამჯდარი მოთამაშის წიხლს ვერ მოიგერიებს, ე. ი. მოიხვედრებს, ამ უკანასკნელის მცველად უნდა დადგეს. მაშასადამე, სავალდებულოა რომ ამ ბავშვმა თავისი სისუსტე შეიგნოს და თავი იმით დაისაჯოს, რომ სხვისი მცველი გახდეს, როცა მისი ამხანაგები ამ მოვალეობიდან თავისუფალნი არიან.

თვითდასჯა ჩანს თამაშშიც — „ჯართად მოვლა“. მოთამაშე ბავშვი, რომელმაც ვერ გაიგო, რომ მას ზურგს უკან ქუდი დაუგდეს, „უნდა ადგეს და ახლა მან“ უნდა ჩამოიაროს „ხელში ქუდით“ („საბ. ფოლკლ“., გვ. 100). ამავეს ვხედავთ თამაშშიც — „მეღორობა“. ამ თამაშიდან ჩანს; ადამიანი, რომელიც თავის ბინას თავდამსხმელისაგან ვერ იცავს, ვალდებულია თვითონ დაისაჯოს თავი იმით, რომ საკუთარი ბინა დატოვოს (იქვე, გვ. 108—109). უფრო საგულისხმოა შემდეგი: ხალხი არა მხოლოდ ცალკეული ბავშვისაგან, არამედ ბავშვთა ჯარკვეული ჯგუფისაგანაც მოითხოვს თვითდასჯას. საილუსტრაციოდ აქ ვასახელებთ თამაშს „ჩხირზე გადახტომა“ (იქვე, გვ. 103—104). მოთამაშეები ორ ჯგუფადაა დაყოფილი და თითოეული მათგანი „დე-

[1] „ტენგა“—თაებოლო გადახერხილი, მომრგვალებული ჯოხი.

დას“ ირჩევს. ჯგუფის ყოველი მოთამაშე „სამჯერ სირბილით უნდა გადახტეს“ ჩხირთან გაბმულ „ქამარზე ფეხის დარტყმით, გადაზომილი მანძილის მიმართულებით“. თუ სამივეჯერ ფეხი ააცდინა ქამარს, გადახტომის უფლებას კარგავს. ამასთან „დამარცხებული ჯგუფის თითოეულმა წევრმა უნდა კივილით გაირბინოს გამარჯვებული ჯგუფის „დედის“ მიერ განსაზღვრული მანძილი ამოუსუნთქავად“.

აქ არა ერთი ბავშვის, არამედ ბავშვთა ჯგუფის თვითდასჯასთან გვაქვს საქმე. თვითდასჯის ეს შეგნება კიდევ უფრო მძაფრია ამავე თამაშის ფინალში: „თუ მარბენალმა ბოლომდე ვერ შესძლო გარბენა, სადაც ამოისუნთქავს და გასწყვეტს კივილს, იმ ადგილიდან შეისვამს ზურგზე თავის მოპირდაპირეს და მიჰყავს დანიშნულ ადგილამდე“. ბოლოს ნათქვამია: „ასეთი წესით ასრულებს ორივე ჯგუფი წინასწარ დადებულ პირობას“-ო. ბავშვისათვის ძნელია ამოუსუნთქველად და კივილის შეუწყვეტლად მითითებული მანძილის გავლა, მაგრამ დამარცხებული ჯგუფი თვითონვე ღებულობს მას თავისთავზე უყოყმანოდ, რაც კეთილსინდისიერებისა და თვითშეგნების გამომუშავებას უწყობს ხელს. ამავე თამაშში კარგადაა განსაზღვრული, ჯგუფთან ერთად, ინდივიდუალური თვითდასჯაც. თამაშის უკანასკნელი მომენტი სწორედ ამას ადასტურებს.

ამის მიხედვით შეიძლება ითქვას: ხალხი საჭიროდ ცნობს —ადამიანმა თვითონვე შეიგნოს თავისი სისუსტე და ის შედეგები, რომელიც მის მიერ წესრიგის დარღვევას მოსდევს. ამ აზრის პედაგოგიური მნიშვნელობა იმით არის განსაკუთრებით საყურადღებო, რომ ის, იმ ნაწარმოებებში გვხვდება, რომელთა საშუალებით არა მხოლოდ ეცნობოდა მოზარდი თაობა ხალხის ამ შეხედულებას, არამედ თვითონვე მონაწილეობდა მის პრაქტიკულად განხორციელებაში. ჩანს, ხალხს ისეთი თაობის მომზადება სურს, რომელსაც იმის შეგნება ექნება, რომ თვითონვე მიაყენოს თავისთავს კუთვნილი სასჯელი.

* * *

იმ მეთოდების გამოყენების შემდეგაც კი, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, არ შეიძლება ითქვას, რომ ყოველი პიროვნება, სამართლიანი, გამტანი, მეგობარი, ჰუმანური, — საერთოდ ზნეობრივია. ამიტომ ხალხი ადამიანთა ზნეობრივ შემოწმება-გამოცდას მოითხოვს.

ზნეობრივი შემოწმება-გამოცდა. სად უნდა ხდებოდეს ასეთი გამოცდა? ადამიანის საქმიანობაში, პრაქტიკაში — ამბობს ხალხი: „კაცი მისი საქმით იცნობაო“ (Q, 965, გვ. 152). სხვაგან კი ნათქვამია:

„ნადირი როგორ მაიკლას სამჯერ მთა გადუვლელადა,

კაი ყმა როდის იცდება ომში შიგ შაუსვლელადა!" („ქართ. მთიელთა ზეპ". გვ. 111).

ამასთან არა ყოველი მთის გადავლა და არა ყოველი ომი არის ადამიანის ზნეობრივი შემოწმების წყარო, არამედ — მკაცრი განსაცდელი, გაჭირვება:

„ვაჟკაცს ნურც აქებ, ნურცა ჰგმობ სანამ არ გაჭირდებაო,
ვინც არი კარგი ვაჟკაცი, მაშინღა გამოჩნდებაო"
(„ხალხ. სიტყვ. მას." 2, გვ. 30)

სხვა ადგილას პირდაპირაა ნათქვამი: „კაცის გამოცდა მხოლოდ გაჭირვებაში შეიძლებაო" (ფ. ა. № 25398).

ასეთია ხალხის თვალსაზრისი. მაშასადამე, ის ფიქრობს — ადამიანის ზნეობრივი პროფილი პრაქტიკაში უნდა შემოწმდესო. ზნეობრივი შემოწმება-გამოცდის საჭიროებაზე ხალხი შემდეგი გამოთქმითაც მიუთითებს — „კაცი გამოსცადე და მერე ეძმეო" („სწ. სიბერ.", გვ. 104). ის გარკვევით ამბობს — ადამიანის ზნეობრივ თვისებას მისივე მოქმედება ავლენსო:

„ეგ შენი კარგი კაცობა აქ უნდა გამოჩნდებოდეს"-ო,
IV, განყ. 2, გვ. 28).

ასეთმა გამოცდამ რომ ადამიანის მომზადება უნდა გამოარკვიოს, ეს შემდეგი სტროფიდანაც ჩანს:

„ყმაწვილო ბეწიკუაო, დარბაისლობა იცია?
წინ წასვლა, უკვენ ამოსვლა, ჩაშველებაი იცია?
დაგეჭრა სწორ-ამხანაგი, ჩასვლა მაშველა იცია" (ა. შანიძე, იქვე, გვ. 121).

რიგ ნაწარმოებებში სხვადასხვა ზნეობრივი თვისების შემოწმების საჭიროება ჩანს. ამ სტროფის მიხედვით კი იმისა, თუ რამდენად შეუძლია ყმაწვილს დარბაისლური წესების შესრულება, ამხანაგის დახმარება და ა. შ. ისე, რომ აქ, გამტანობის საკითხი ისმის და ვინ არის გამტანი, ამას სჭირდება შემოწმება. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ერთ-ერთ ნაწარმოებში წარმოდგენილი მამის მიერ შვილის შემდეგი დარიგება: „უკაცოდ, უთანაშემწოდ. არ ივარგებ და ასეთად ის ადამიანი აიყვანე, ვინც შენსკენ ლბილი პური მოთალოს, თავისკენ კი ხმელი პურის გვერდები გადაიწყოს. ასეთ კაცს ყოველიფერში ენდობი, არ გილალატებსო. ვინც თავისკენ გადაიწყოს ლბილი პური და შენსკენ ხმელი პური გადმოაწყოს, — არ მიეკარო — გაგხვეტს, გილალატებს და დაგღუპავსო". („რჩ. ქართ. ხალხ. ზღაპრ.", იქვე, გვ. 113). ხალხი აქაც ამბობს: ადამიანის ზნეობრივ თვისებებსაც მისი ქცევა გამოავლენს და სწორედ მას უნდა დავაკვირდეთ და შეავამოწმოთო. ამასთან ის ფიქრობს: ადამიანის ზნეობრივი შემოწმება

წვრილმან საქმიანობაშიც შეიძლებაო. ეს კარგად ჩანს ზემოხსენებული ზღაპრის პერსონაჟთა ქცევებიდან: მამის დარიგების თანახმად ვაჟმა სწორედ პურის დაჭრაში გამოსცადა მგზავრი, რომელიც ამხანაგად უნდოდა გაეხადა, მაგრამ აღარ გაიამხანაგა, რადგან მან უკეთესი პური დაიტოვა თავისთვის, ხოლო უვარგისი მას გადაუწყო. ასევე უთხრა მან უარი მეორე მგზავრსაც, რომელმაც აგრეთვე, ვერ ჩააბარა ზნეობრივი გამოცდა. სამაგიეროდ ამ ვაჟმა გაიამხანაგა მესამე მგზავრი, არაბი, რადგან მან პატიოსნება გამოიჩინა პურის ნაჭრების განაწილებაში და შემდეგ ბედნიერებაც კი მოუტანა ამ ვაჟს (იქვე, გვ. 14—15). ირკვევა, რომ ხალხის აზრით, ადამიანთა ურთიერთ თანამშრომლობას არა ნაციონალური მდგომარეობა განსაზღვრავს, არამედ თვისებები, სამართლიანობა და პატიოსნება. ეს თვალსაზრისი, როგორც ზემოთ ვნახეთ, მშრომელი ხალხის საერთო თვალსაზრისია. აქ საქმე ეხება პირადი სარგებლობით გატაცებას, გულგრილობას, ეგოიზმს. ამ მავნე თვისებებმა კი, ზნეობრივი ქცევის ყოველ სახეში შეიძლება იჩინოს თავი. ამიტომ სხვა მაგალითიც მოვიყვანოთ საილუსტრაციოდ. ასეთია შემოწმება-გამოცდა სამართლიანობაში. აი, ნაწარმოები — „მართალი კაცი" („ხალხ. სიტყ. ქრესტ.", I, გვ. 286—290). ალალ-მართალ შვილს, რომელიც ფულის საშოვნელად უნდა წასულიყო, მამამ უთხრა: „მე მეძახიან მართალ კაცს. შენ მართალი კაცის შვილობა უნდა დაამტკიცო და იყო ყოველთვის მართალი"-ო (იქვე). ამ ბიჭმა ეს მართლაც დაამტკიცა: სასამართლოში სიმართლე აღიარა, რამაც ის კი არ დაღუპა, არამედ გამარჯვების გზაზე დააყენა[1].

ამრიგად, გამოცდამ ნათელი გახადა: პირველი და მეორე მგზავრი მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ პირად სარგებლობაზე ფიქრობდნენ, და ამიტომ დამარცხდნენ. მართლაც, ზნეობრივი გამოცდა აღზრდის აუცილებელ კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს. ეს აზრი უნდა გამოიყენოს საბჭოთა სკოლამ.

ზემოთმოყვანილი მაგალითები ადამიანთა პირად ცხოვრებას ეხება. მაგრამ ზნეობრივი ვალდებულება, როგორც გარკვეული იყო, ამით არ შეიძლება განისაზღვროს, რადგან პიროვნება კოლექტივთან, საზოგადოებასთან, სამშობლოსთან არის დაკავშირებული. ამიტომ აქაც უნდა შემოწმდეს მისი ზნეობრივი პროფილი. აი, ამის ერთ-ერთი ილუსტრაცია — შეყვარებული ქალი სატრფოს მიმართავს:

ვაჟკაცს ნუ მეტყვი ქალწულსო,
ნუ ამბობ შემიყვარეო,

[1] ეს ბიჭი ერთ ბეგს დაუდგა მოჯამაგირედ, ერთი სხვა ბეგი დაინტერესდა ბიჭის სამართლიანობაში და გამოცდა მოუნდომა. ამ მიზნით, თავისი ქალიშვილის შემწეობით, ბიჭს აქლემი დააკვლევინა. ამის გამო სასამართლო დაინიშნა, მაგრამ ბიჭი არ შეუშინდა მოსალოდნელ სასჯელს და სიმართლე აღიარა, რითაც ბეგის ქონება დიმკვიდრა.

შენი გმირობა მაჩვენე,
ქვეყანა ანეტარეო,
დაცემულ მოძმეს მიეხედე,
სიცოცხლე გაიმწარეო
და შემდეგ ჩემი ქალობა
მალამოდ მოიხმარეო“ (ფ. ა. № 33738).

ადამიანმა თავი უნდა დასდოს ქვეყნისა და მოძმისათვის, და როცა ამ „გამოცდას დაიკერს“, შემდეგ შეიძლება ჭეშმარიტი შეყვარების ღირსი გახდესო.

ფოლკლორში ნაჩვენებია, რომ ხალხური წესებითა და მეთოდებით მოწინავე ადამიანები იზრდებოდნენ: არსენა ოძელაშვილის, „არსენა ჯორჯიაშვილისა და სხვა უთვალავი გმირის საქმიანობა, ვაჟკაცობა, კაცურიკაცობა სწორედ ამის ილუსტრაციაა. ხალხს სხვა გმირებიც გამოჰყავს მსგავს თვისებათა მატარებლად. მაგალითად, ვინმე გივი აფციაური, რომელიც მისი აზრით, სასახელო ვაჟკაცი, გულმაგარი, ფიზიკურადაც ძლიერი, — „მუხლად არწივი ფრთიანი“ იყო და ამავე დროს: „კეთილი ხალხისათვისა, მშვიდი და თავაზიანი“.

ეს მოწინავე გმირი ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგიცაა: ამხანაგებმა რომ სიზმარი გადასცეს, მან უპასუხაო: „რა გაიგება სიზმრისა, ბეტ წილად ტყუილი არი“-ო („ქართ. მთ. ზეპირსიტყვ.“ გვ. 130). ასეთი ქცევების მნიშვნელობის ნათელსაყოფად ხალხი „ნასწავლს“ ადარებს იმ „უსწავლელს“, რომელიც მათ დაუფლებულია.

„ემ მაგისთანა ვაჟკაცი ერთი ხუთკაცად ღირსაო,
შკოლაში ნამყოფს ჯობია მაგისი გონებისაო“ (იქვე).

ამრიგად, ზნეობრივი აღზრდა-განვითარება უდიდეს, როლს ასრულებს, როგორც პიროვნების, ისე საზოგადოების, მთელი ხალხის ცხოვრებაში. იგი ნაადრევ ასაკში უნდა იწყებოდეს და, ბავშვის ზრდა-განვითარების შესაფერისად, თანდათანობით რთულდებოდეს, რათა ხალხისა და სამშობლოს ინტერესებისათვის მებრძოლი, კაცურიკაცობის თვისებათა მქონე ადამიანი აღიზარდოს; აღზრდა, ძირითადად, წინააღმდეგობათა გადალახვის, ამა თუ იმ შრომითი საქმიანობის პროცესში უნდა წარმოებდეს, მოკლე, შთამბეჭდავი რჩევა-დარიგებათა გამოყენებით. ამასთან გამოყენებული იქნეს შემდეგი მეთოდები: დარწმუნება, თხრობა, მაგალითი, რეჟიმი, წახალისება და დასჯა. ხალხურ შემოქმედებაში ეხვდებით აგრეთვე აზრებს დანაშაულის შეგნების, თვითდასჯისა და შეგნებული დისციპლინის საჭიროებაზე. ზნეობრივი აღზრდა არა მხოლოდ მოზარდს ესაჭიროება, არამედ ზოგიერთ მოზრდილ ადამიანსაც. ზნეობრივი ქცევები ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის მიხედვით უნდა შემოწმდეს და არა სიტყვების მიხედვით.

ესთეტიკური აღზრდის საკითხები

შეხედულებანი მშვენიერების შესახებ

ჩვენი მიზანია გავარკვიოთ — შეხედულებანი მშვენიერების არსსა და იმ ღონისძიებებზე, რაც ხალხს მიაჩნდა საჭიროდ ესთეტიკური აღზრდისათვის. ამ საკითხის რკვევას ორმხრივი მიზანი აქვს. პირველ რიგში, ცხადია, ხალხური ესთეტიკური აღზრდის შესწავლა, მაგრამ ეს თავისთავად მიგვიყვანს ესთეტიკის წარმოშობის სათავეეებამდე, რამაც შეიძლება ესთეტიკის ისტორიის მომავალ მკვლევარს მცირე, მაგრამ მაინც ერთგვარი მასალა მისცეს, ამ საკითხის შესწავლისათვის; წარმოდგენა შეუქმნას — როგორ ჩაისახა და როგორ ვითარდებოდა ადამიანის ესთეტიკური თვალსაზრისი და გემოვნება. მართლაც, ხალხური შემოქმედების უძველეს და შემდეგი დროის ნიმუშებშიც შეიძლება აღმოჩნდეს ესთეტიკური განცდისა და გაგების პირველყოფილი ელემენტები და მათი განვითარების საფეხურებიც, რასაც შინაგანი კავშირი აქვს ესთეტიკური აღზრდის ჩასახვასა და განვითარებასთან.

ესთეტიკური გრძნობის გენეზისი ხომ პირველყოფილი ადამიანის სულიერ ცხოვრებას უკავშირდება. ამიტომ, თუ მისი პირველყოფილი მდგომარეობის დანახვა და გარკვევა გვსურს, სწორედ ხალხური შემოქმედების იმ ნიმუშებს უნდა მივმართოთ, რომლებიც თავიანთი შინაარსით, მსოფლგაგებითა და სულისკვეთებით სწორედ პირველყოფილობას შეესატყვისება. აქ დავასახელებთ „ეთერიანს“, რომლის ზოგიერთ ვარიანტში სწორედ უძველესი ნიშნებია წარმოდგენილი. ასეთია, მაგალითად, ეთერის მცენარისაგან წარმოშობა, მისი ოქროს კალოშები, „სულის გაყიდვა“. „ეთერიანი“ ვ. კოტეტიშვილს სწორედ უძველეს პერიოდში წარმოშობილად მიაჩნია („ხალხური პოეზია“, გვ. 317—318). უძველეს პერიოდში წარმოშობილად მიაჩნია ეს ნაწარმოები, აგრეთვე, დ. ჯანელიძეს. მასში იგი ხედავს მის პერსონაჟთა „გაბაასებათა ციკლს“. თან ამბობს — „იგი ერთიმეორის მონაცვლეობით, ერთიმეორის საპასუხოდ იმღერება“-ო. (დ. ჯანელიძე, „ქართული ხალხური თეატრის საწყისები“, 1948, გვ. 131).

ხალხის აზრით, მშვენიერება სიცოცხლის თანაარსია. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ზღაპარი „მიწა თავისას მოითხოვს“[1].

---

[1] თ. ბ ე გ ი ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფოლკლორი, 1941, გვ. 178—181. ამ ზღაპრის ვარიანტია „ზღაპარი კაცისა, რომელსაც სიკეთილი არ უნდოდა“ („რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები“, ელ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ი ს რედ., 1958, გვ. 11—13).

შეიძლება ითქვას, რომ ამ ზღაპარში სიცოცხლისა და მშვენიერების მარადიულობის საკითხია დასმული. ზღაპარი იწყება კითხვით, თუ „რა არის სიკვდილი?“ და ამ საკაცობრიო მნიშვნელობის საკითხის ძიებას ეწირება მისი პერსონაჟი, ჰაბუკის მთელი სიცოცხლე. მაგრამ ასურულ-ბაბილონური ეპიკური ქმნილების „გილგამეშის“ მთავარი გმირის მსგავსად, ისიც დარწმუნდება, რომ ადამიანის, ისე როგორც ყოველი არსების, სიკვდილი გარდაუვალია, სიცოცხლე დაბოლოებულია, მშვენიერება კი დაუბოლოებელი. მე არასოდეს არ მოვკვდები, — და შენც, თუ ჩემთან დარჩები, ასევე იქნები, ხოლო თუ მე დამტოვებ და უკან წახვალ, მოვკვდებიო. — უთხრა მასთან მისულ ჰაბუკს „ტურფამ“, მშვენიერმა ქალმა. ეს „ტურფა“ მშვენიერების საერთო, ზოგადი სახეა, ადამიანის კონკრეტული სახით წარმოდგენილი. ამიტომ იყო, რომ ის ვაჟი ქალთან ათას წელს დარჩა და არც კი მოხუცებულა. ამრიგად, უკვდავი მშვენიერება მომაკვდავ ადამიანსაც კი უკვდავჰყოფსო, — ამბობს ხალხი; სადაც სილამაზეა, სიცოცხლეც იქ არისო. მშვენიერების განცდა მძლავრად ეუფლება ადამიანის მთელ სამყაროს, სიცოცხლისუნარიანობას მატებს მას და თავის განუყრელ ელემენტად აქცევს. მაგრამ არა მხოლოდ მშვენიერებაა უსასრულო. ათასი წლის შემდეგ უკან დაბრუნებულ ყმაწვილს ისევ დახვდა თავისი ქვეყანა და ხალხი. მაშასადამე, ცხოვრება როგორც ერთობლიობა, უსასრულოა, მაგრამ ცალკეული ადამიანის სიცოცხლე-ცვალებადი: იქ სულ სხვა ხალხი ცხოვრობდა და მისი კარმიდამოც სრულიად შეცვლილიყო. ვის უნდა დაემორჩილოს ადამიანი — უსასრულო მშვენიერებას, თუ ცხოვრების ცვალებადობას? იმის მიუხედავად, რომ ყმაწვილის ერთადერთი მიზანი უკვდავება იყო, ხოლო უკან დაბრუნების გამო მას სიკვდილი მოელოდა, ის თავის ქვეყანაში წამოვიდა. ამრიგად, საკითხი ცვალებადი ცხოვრების სასარგებლოდ გადაწყდა, რადგან ამას თვით ეს უკანასკნელი მოითხოვს: ადამიანმა უნდა გაიზიაროს ყოველი არსების ბედი, უნდა შეურიგდეს აზრს, რომ იგი მოკვდება, მაგრამ უნდა მოკვდეს მხოლოდ მაშინ, როცა თავის ვალს მოიხდის ქვეყნის წინაშე ისე, როგორც ყორანი სწორედ მაშინ მოკვდა, როცა მან ის ხევი ამოავსო, რომელშიც თვითონ იყო, ხოლო ირემი მაშინ, — როცა იმდენი გააკეთა, რომ მისი რქები ცას მიებჯინა და ეს იმიტომ, რომ პიროვნების სიცოცხლის სასრულობა და მთელი ცხოვრების უსასრულობა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული: ცხოვრება პიროვნებათა გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ მეორე მხრივ, — პიროვნების სიცოცხლე ადამიანთა საზოგადოების უსასრულოდ არსებობის ელემენტია და იგი მას უნდა დაემორჩილოს, როგორც ნაწილი — მთელს, დროული — მარადიულს.

რა ურთიერთობა უნდა იყოს უსასრულო მშვენიერებასა და უსასრულო, დაუბოლოებელ ცხოვრებას შორის? ისინი კიდევ უფრო მეტად შეეფერებიან ერთიმეორეს, მაგრამ სამწუხაროდ ის „ტურფა", რომელთანაც ყმაწვილი იყო, ცხოვრებიდან მოწყვეტილია, განზე დგას. მეტიც: მან სხვასაც, — ყმაწვილსაც კი მოუწოდა — არ დაბრუნებოდა თავის ქვეყანას.

ადამიანი კი მშვენიერების გარეშე ვერ იარსებებსო, — ფიქრობს ხალხი: ყმაწვილმა ის „ტურფა" იმ პირობით დატოვა, რომ ისევ უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ მოსცილდა თუ არა მას, — მოხუცდა და მოკვდა. ხალხის აზრით, მშვენიერება ცხოვრების განუყრელი ნაწილია და მას უნდა ემსახურებოდეს. ის „ტურფა" კი მხოლოდ იმ ყმაწვილს, და ისიც შემთხვევით, ემსახურებოდა და მასთან დარჩენილი ვაჟიც მთელი ათასი წლის განმავლობაში ცხოვრებიდან მოწყვეტილი აღმოჩნდა.

აზრი — მშვენიერება უკვდავიაო, სხვა ნაწარმოებშიც ჩააქსოვა ხალხმა. ის ჩანს იმ ჯადოსნურ ზღაპრებშიც, რომელთა მიხედვით, მშვენიერ არსებას სწვავენ და ფერფლად აქცევენ, წყალში აგდებენ და სხვ., მაგრამ ის კი არ იღუპება, არამედ ისევ ცოცხლდება, ზოგჯერ კი მცენარეების სახითაც ევლინება ქვეყანას, რის გადმონაშთი „აბესალომ და ეთერშიც" გვაქვს. უკვდავების იდეები საერთოდაც გვხვდება ხალხის მხატვრულ ნააზრევში — „უკვდავების წყაროს", „უკვდავების ბაღდადის", ან სხვა ჯადოსნური საგნის საშუალებით, ადამიანის გაცოცხლების; ზოგჯერ კი გაახალგაზრდავების დაუცხრომელი სურვილის სახით („ქართული ხალხური სიტყვიერება", ქრესტომათია, I, ქს. სიხარულიძის რედ; 1956 წ. გვ. 264; „რჩეული ქართ. ხალხ. ზღაპარი". იქვე, გვ., 110). მაგრამ გაახალგაზრდავებით, თუ გაცოცხლებით ხალხი არ ფიქრობს, რომ ადამიანმა სიკვდილი დაამარცხა, არა, მთელ რიგ ნაწარმოებებში ის ნათლად გვიჩვენებს სიკვდილის გარდაუვალობას (უფრო მკაფიოდ — იმ ნაწარმოებებში, რომლებშიც სიკვდილ-სიცოცხლის ერთმანეთთან ბრძოლაა წარმოდგენილი). მაგრამ ზღაპარში „მიწა თავისას მოითხოვს", ერთი მხრივ, ეს შეხედულება უფრო ღრმა და ფართო მასშტაბითაა წარმოდგენილი (არა მხოლოდ პიროვნების სიცოცხლის, არამედ, საერთოდ, ადამიანთა საზოგადოებისა და ქვეყნიერების ხანგრძლივობის საკითხია დასმული); ხოლო მეორე მხრივ, მას მშვენიერების უსასრულობის საკითხი უკავშირდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უსასრულობის იდეა და თვით ტერმინიც ხალხისათვის უცხო არ არის.

საერთოდ სიცოცხლე უსასრულოა, დაუბოლოებელია, მაგრამ ცალკეული ადამიანების სიცოცხლე სასრული, დაბოლოებული, ამი-

ტომ სიცოცხლე საერთოდ აღებული, თავისთავშივე შეიცავს წინააღმდეგობას. ამასთან სასრული ადამიანის, ცხოველის, თუ ფრინველის სიცოცხლე ცხოვრების ფერხულში არის ჩაბმული, უპირისპირდება არასასურველ მოვლენებს და იბრძვის თავისი ცხოვრებისეული ვალის მოხდისათვის. აქ ცხოვრების დიალექტიკაა მოცემული, ცხოვრების დიალექტიკური ბუნების ასახვაა, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

ხალხურ შემოქმედებაში და კერძოდ, ზემოხსენებულ ზღაპარში ცხოვრების დიალექტიკის სწორედ ასეთი ასახვა გვაქვს, მაგრამ ეს გულუბრყვილო დიალექტიკაა, სტიქიური, ობიექტური სინამდვილის უშუალო ჭვრეტის შედეგად მიღებული. ამიტომ იგი ვერ მაღლდება მშვენიერების უსასრულობისა და ცხოვრების უსასრულობის ერთიანობის, მით უფრო „ტურფას“ დიალექტიკური ბუნების აღიარებამდე: ვერ ხედავს მის დიალექტიკურ ბუნებას, რადგან ეს უფრო მაღალ განზოგადებულ მსჯელობას მოითხოვს. ამის შედეგად, მან, მშვენიერება წარმოიდგინა, როგორც განუსაზღვრელი, იზოლირებული მოვლენა. მართლაც, ამ უკანასკნელს, მისი აზრით, არ აქვს მიზეზი, ე. ი. ის „ტურფა“ თვითმყოფია, არავის შეუქმნია და ვერც ვერავინ შეწყვეტს მის არსებობას: „მე ქმნილების პირველ დღესა ვარ გაჩენილი და აქამდე სულ ასე ვარ“. მე „ტურფა“ მქვიან და არც როდის დავბერდები, მუდამ ასე ვიქნები და არ მოვკვდებიო“ (თ. ბეგიაშვილი, იქვე, გვ. 180). ასეთი თვითმყოფობა თავისთავად გამორიცხავს შინაგანი წინააღმდეგობის არსებობას. ეს იგივეა, რაც ღვთაება, რომელსაც არც დასაბამი ჰქონდა რელიგიური წარმოდგენით, და არც დასასრული. ამიტომ, ის იყო თავისთავში ჩაკეტილი და ქვეყნიური ცხოვრებიდან გარიყული, — რადგან მის დიალექტიკურ ბუნებას არ ემორჩილებოდა. იგი არ არის, როგორც ფსევდო-დიონისე (ბ. იბერი) იტყოდა „ყოვლისავე ყოვლობისა და კერძოობისა თავსა შორის თაჯსსა შემომკრებელი“ (ვსარგებლობ შ. ნუცუბიძე, „კრიტიკული ნარკვევები“, 1969, გვ., 129). მაღალ საფეხურზე მდგომი აზროვნება კი დაინახავდა, რომ მშვენიერებაც ცვალებადია და თუ უსასრულო ცხოვრებაში არის სასრულის მარცვლები (პიროვნების სიცოცხლის სახით), უსასრულო მშვენიერებაშიც უნდა ყოფილიყო სასრული მშვენიერება. შემდეგ პერიოდებში, კი ხალხმა დაინახა, რომ მშვენიერებასაც, სიცოცხლის მსგავსად ორი სახე აქვს: მშვენიერება, როგორც მარადიული სიცოცხლის თანაარსი, — მარადიული და ამავე დროს კონკრეტული — ცალკეულ საგანსა თუ მოვლენაში განსახიერებული: ზღაპარში „მიწა თავისას მოითხოვს“, თუ ერთი მხრივ მარადიული სიცოცხლეა მოცემული, მო-

გვიანო პერიოდების ნაწარმოებებში კონკრეტულ მშვენიერებას და მის წარმავლობას ვხედავთ:

„ქალო, ამდენი ქებითა ნუ გაიდიდებ თავსაო,
დღეს ერთი ჰყეავის ყვავილი,
ხვალ შლილობა აქვს სხვასაო“ („ხალხური სიბრძნე“, IV, გვ. 323).

ამრიგად, მშვენიერება სიცოცხლის თანაარსებული მოვლენაა და ამიტომაც ის მარადიულიც არის და წარმავალიც.

* * *

საგნისა თუ მოვლენის შინაგანი და გარეგანი ნიშან-თვისებები, სწორედ ხალხური ესთეტიკის მიხედვით წარმოადგენს მშვენიერების, ან სიმახინჯის, ლამაზის, ან ულამაზოს გასაღებს, რამდენადაც ეს ნიშან-თვისებები ადამიანის გონებრივ, ზნეობრივ და ფიზიკურ თვისებებს უკავშირდებიან. ეს მკვლევარის წინაშე ფართო ასპარეზს შლის. ესთეტიკური განცდა მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებებში კი არ არის წარმოდგენილი, არამედ ბუნებაშია და საზოგადოებაშიც.

მართლაც, როგორც ცნობილია, ესთეტიკურ განცდას ეს ორი წყარო ჰქონდა: ბუნება და საზოგადოება. აქვე უნდა ითქვას: პრიმიტიული ცხოვრების პირობებშიც კი, ადამიანს ჰქონდა ხელოვნებისადმი დადებითი განწყობა და თვითონვე ჰქმნიდა თავის ხელოვნებას. მან შეჰქმნა მშვენიერი სიმღერები და მელოდიები, ნაირნაირი საკრავები, თეატრი და ვოკალური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები. ამასთან ის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებსაც ჰქმნიდა და განსაკუთრებით ეს ნიმუშები იყო შრომის შედეგი. ვამბობთ გამოყენებით ხელოვნებაზე, რადგან ის უშუალოდ მიგვითითებს, რომ თვითონ შრომის პროდუქტია, თორემ საერთოდ ხელოვნების ყოველი სახის წყარო სწორედ შრომაა.

ზემოთქმულის მიხედვით მრავალი საკითხი შეიძლება დაისვას. კერძოდ, საკითხები იმის შესახებ, თუ რა არის ხალხის აზრით მშვენიერი, ლამაზი; რა სახით გვხვდება ხალხის მხატვრულ ნააზრევში ეს კონკრეტული მშვენიერება; რამდენად უწყობს ის ხელს ადამიანის სულიერ ზრდას, მის სულიერ ფორმირებას და ა. შ.

* * *

1. როგორც ეპიურ ქმნილებებში, ისე ფოლკლორის სხვა სახეებშიც გარკვევით ჩანს აზრი, რომ ლამაზი, მშვენიერი, პირველ რიგში, თვით ცხოვრება — ბუნება და საზოგადოებაა. ჯერ კიდევ, ივ. ჯავახიშვილი ლექსზე — „თაფარავნელი ჭაბუკი“ ამბობდა: აქ „ბუნების თვალწარმტაცი მშვენიერება და აზვირთებული სტიქიონის სიდიადე

საუცხოოდ არის ადამიანის ცხოვრების საბედისწერო საშინელებასთან დაპირისპირებული"-ო[1]. ბუნების მშვენიერების მხატვრულ ასახვას ხედავს ივ. ჯავახიშვილი ხალხურ სტროფშიც[2], რომელიც ვ. კოტეტიშვილმა გამოაქვეყნა თავის „ხალხურ პოეზიაში":

„ა, ის ღრუბელნი მიყვარან
ბოროლაზედ რო დიანო,
ერთი მეორეს შაურასა
ხარობენ მეელიანო.
შაიყრებიან ერთადა,
მანანას ჩამოყრიანო".

მაშასადამე, ჩვენი მეცნიერის აზრით, ხალხი ბუნებაში მშვენიერებას ხედავს. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ მას იგი არ მიაჩნდა დამახასიათებლად ხალხური პოეზიისათვის: „უნდა ითქვას, რომ ხალხურ პოეზიაში ბუნების მშვენიერების გრძნობის გამოხატვა იშვიათად თუ სადმე გვხვდება"-ო (იქვე). მაგრამ ამ განცხადებით არ კმაყოფილდებოდა და საკითხის შესწავლას მოითხოვდა: „მით უმეტეს საყურადღებოა და საინტერესო, გამორკვეულიყო, თუ როდის და სად, რა სახით გვხვდება ბუნების სიდიადე — სილამაზის შექება ძველ ქართულ სამწერლობო ძეგლებსა და ხალხურ მხატვრულ თხზულებებში"-ო (იქვე).

მართლაც, ქართულ ხალხურ შემოქმედებაში საერთოდ მშვენიერებისა და კერძოდ, ბუნების მშვენიერების აღქმის არსებობის საკითხი არა ნაკლები პრინციპულობით უნდა დაისვას, ვიდრე ამას ლიტერატურულ ნაწარმოებთა მიმართ აქვს ადგილი. ჩვენი თემისათვის ეს იმდენადაა საჭირო, რამდენადაც ხალხის აზრს ბუნებაში მშვენიერების არსებობის, ან არარსებობის შესახებ, ერთგვარი მნიშვნელობა აქვს ხალხური ესთეტიკური აღზრდის გარკვევისათვის. ხედავს თუ არა ხალხი, ქართული ფოლკლორის მიხედვით, მშვენიერებას ბუნებაში? — ხედავს და წარმოგვიდგენს კიდეც მას თავის შემოქმედებაში. მშვენიერია, მაგალითად, მისი აზრით, ია და ვარდი —

„ჩვენს კორდზედ ერთი ველია,
ია დგას, ვარდი ჰფენია"-ო, ამბობს („ივერია", 1892, № 128).

ჩანს, რომ ია და ვარდი აქ ველის მშვენიერების დასადასტურებლად არის ნახსენები. იასა და ვარდს ქართული ხალხური შემოქმედების სხვა ნიმუშებშიც ხშირად ეხვდებით. მაგრამ ხალხის აზრით, არა

[1-2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, გვ. 141—142.

მხოლოდ ღრუბლები და ია-ვარდი, არამედ მთელი ბუნებაც ლამაზი და წარმტაცია. ხალხი ამბობს, ღმერთმაო:

„ცა მოსჭედა ვარსკვლავებით,
მზე და მთვარე დააყენა,
დედამიწა მთლად გაავსო
ფრინველით და პირუტყვითა,
ყველგან წყალი თეზით ხარობს,
ტყე და ველი — ყვავილითა“ (ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზ. გვ. 275—276).

აქ ცის, მიწის, ფრინველების და ცხოველების, ტყეებისა და ველების მშვენიერებაა წარმოდგენილი. სადაც ჭეშმარიტი სილამაზეა იქ ყველაფერი გაზაფხულს უდრის და ადამიანისსულიერიტკბობისასპარეზიციშლება.

მართალია, პეიზაჟი ხშირად არ გვხვდება ფოლკლორში, როგორც ქვემოთ ვნახეთ, მაგრამ სადაც გვხვდება, მძლავრად და შთამაგონებლად.

აქვე სხვა მომენტიც საინტერესოა: როგორც ვ. კოტეტიშვილი შენიშნავდა (იქვე, წინასიტყვაობა) და ზემოთაც ვნახეთ, ხალხის აზრით, სილამაზე განყენებულად არ არსებობს, თვით ცხოვრებას ექვემდებარება, ე. ი. ადამიანის ინტერესებითაა განსაზღვრული. საერთოდაც, მშვენიერება არ წარმოადგენს აბსოლუტურ კატეგორიას. მოვიგონოთ გამოთქმა „ვისაც ვინ უყვარს, იმისი ლამაზიც ის არისო“. მაშასადამე, სილამაზის კრიტერიუმი თვით ადამიანია. ბუნების მშვენიერებას იმდენად ეხება ხალხი, რამდენადაც ის ადამიანისათვისაა სასარგებლო. ზემოთ მოტანილი ლექსიც დედამიწის ფრინველებით და პირუტყვებით გავსების შესახებ, ადამიანის ინტერესებს უკავშირდება; დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ პეიზაჟი ფოლკლორში განმხოლოებულად კი არ არის მოცემული, არამედ ადამიანებთან, მის განცდებთან, მის განწყობილებებთან ურთიერთობაში, ხშირად ადამიანის ქცევის უფრო ნათლად წარმოდგენის მიზნითაც. „მოყმე და ვეფხვის“ პერსონაჟების ბრძოლა და მისი შედეგები კლდესთან არის დაკავშირებული; თაფარავნელი ჭაბუკისა — მღვრიე ზღვისა და მისი ტალღების სტიქიაში წარმოებს, ამირანისა და ცისმპყრობელის ბრძოლა ატეხილ ქარიშხალს ერწყმის. ორივე ტრფობას უკავშირდება. ტრფობის პრობლემა ყოველთვის ორგანულად იყო დაკავშირებული გმირობის პრობლემასთან, რაც კარგად აისახა „თაფარავნელ ჭაბუკში“. ბუნების ყველა ,ზემოთაღნიშნული მოვლენა ამავე დროს მშვენიერიცაა და ლამაზიც, თითოეულის წარმოდგენა მშვენიერ პეიზაჟურ სურათს ქმნის. ასევე ფოლკლორში მხატვრული სიტყვა,

მუსიკა, სიმღერა, ქორეოგრაფია ადამიანის სიხარულისა, თუ მწუხარების გამოსახულებანი ბუნების მშვენიერ სურათებს ერწყმიან. მშვენიერებისაკენ ლტოლვა, ხელოვნება, ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა — „მე უმღერელი ვერა ვძლებო" — ათქმევინა ხალხმა ერთ თავის უსახელო პერსონაჟს. აქ ადამიანი და მშვენიერება ერთმანეთს ერწყმის და ალამაზებს. ამის საილუსტრაციოდ ზღაპარ „წიქარას" გაჭირვებაში მყოფი პერსონაჟი-ბიჭის დამხმარე, აკვნესებული სალამურიც კმარა.

ზოგჯერ ხალხი მთლიანობაშიც გვაძლევს ბუნებისა და ადამიანის მშვენიერებას:

„ზღვის პირას კარავი იდგა,
კარავსა აუხადე, შიგ ქალი
იჯდა მზეთუნახავი" (ფ. ა. № 32592).

სხვა ნაწარმოებში მარმარილოს კოშკია ქალის სილამაზესთან დაკავშირებული: მარმარილოს კოშკს, რომელშიც „ლერწამ-ტანიანი" და „თმა-გიშერიანი" ქალი ზის, ცაზე წვერი მიუბჯენიაო, ნათქვამია ერთ-ერთ ლექსში („ივ". 1894, № 128). ამრიგად, ხალხის აზრით, ქალის მშვენიერება ბუნების მრავალ საგანთან ერთიანობაში იძლევა რაღაც განუზომელ ესთეტიკურ კმაყოფილებას. მაშასადამე, ხალხი არა მხოლოდ ცალკეულ საგნებსა და მოვლენებში, არამედ მთელ ბუნებაშიც ხედავს მშვენიერებას, მაგრამ იშვიათად ასახავს მას. ამასთან ბუნებისა და ადამიანის მშვენიერება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, მისი აზრით.

იყო დრო, როცა უძველესი წარმართული რწმენის საფუძველზე, მშვენიერება ხალხს ღვთიური წარმოშობის მოვლენად მიაჩნდა. ამიტომ ზემოთ წარმოდგენილ შეხედულებათა ნაწილი ჩვენი ხალხის ცხოვრების უძველეს პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ.

აქ საყურადღებოა, რომ წარმართული ცრუმორწმუნის საფუძველზე, მშვენიერების წარმოშობის მიზეზად ხალხი წარმართულ საკულტო საგნებს ცნობდა. საილუსტრაციოდ მოვიგონოთ, რომ „ეთერიანის" ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით, ეთერის წარმოშობა წყალთან არის დაკავშირებული — ის — „უკვდავების წყაროსაგან გაჩნდაო". არის ისეთი ვარიანტებიც, რომელთა თანახმად ის ვაშლის შეჭმის შედეგადაა გაჩენილი და „ხის კენწეროში გაზრდილი". ისიც ხომ ცნობილია, რომ მზეთუნახავის წარმოშობას ხალხი ცასა და მზეს უკავშირებდა.

უძველესი რწმენის გამო, ხალხს სიმღერა — მუსიკაც ღვთისაგან წარმოშობილად მიაჩნდა, მაგრამ ასეთი აზროვნება თითქმის ყველა

ხალხისათვის იყო დამახასიათებელი. ამრიგად ჩანს, რომ წარმართ ქართველებს უძველეს პერიოდებში მშვენიერება საკულტო ობიექტთან და ღვთაებრიობასთან დაუკავშირებიათ. მაგრამ შემდეგ, თანდათანობით, ამის საპირისპირო თვალსაზრისი შეუმუშავებიათ: მშვენიერების წყარო არა ღვთაებრიობაში, არამედ — ცხოვრებაში, კერძოდ, ადამიანში დაუნახავთ. მეტიც: ხალხის აზრით, პირველ რიგში სწორედ ადამიანია ლამაზი, მშვენიერი („აღზრდის იდეები", 1958, გვ. 102).

ადამიანის მშვენიერ არსებად წარმოდგენა, ხალხური ესთეტიკური აღზრდის საფუძვლად და ამდენად ჩვენი თემის განმსაზღვრელად მიგვაჩნია. ზემოხსენებული ლექსის ნაწყვეტი იასა და ვარდზე, ადამიანის სიმპატიას გამოხატავს ამ მცენარეებისადმი (რამდენადაც ისინი მშვენიერ არსებად არიან წარმოდგენილი). ეს საკულტო ობიექტები ახლოა ადამიანთან, განუყრელია მისგან; ისინი ამ უკანასკნელის ფიქრისა და ოცნების საგნებსაც წარმოადგენს. მაშასადამე, ადამიანი ისე ლამაზი და მშვენიერია, ხალხის იმდროინდელი გაგებით, რომ საკულტო საგნებისაგანაც კი განუშორებელია, მაგრამ ჩვენთვის უფრო საყურადღებოა ის, რომ ხალხს თვით ბავშვი მიაჩნია მშვენიერ არსებად:

„მინდვრად გასულან ბავშვები,
ყვავილებს კრეფენ მღერითა:
რა ლამაზები არიან,
ვერც კი გაძღები ცქერითა" („ხალხ. სიტყვ. მას". 1955, გვ., 143)

მეტიც: ხალხი ფიქრობს, რომ არა მხოლოდ ადამიანი, არამედ მის მიერ შექმნილი ნივთებიც წარმტაცნი და ლამაზნი არიან: „კაცის ნაშრომი, ნაკეთი კარგი და ლამაზიაო" (H, 2020 № 179). ასეთ საგანთა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, ადამიანის მიერ შექმნილი სურათი. ზღაპარ „ღვთისავარის" მიხედვით, ახალგაზრდამ ერთი მოხუცის სახლში ქალის სურათი ნახა. ამ სურათის მშვენიერებამ ისე იმოქმედა მასზე, რომ „ფერი ხან მიწისფერად ექცეოდა და ხან უცებ ყურებამდე გაჭარხლდებოდა ხოლმე. ეტყობოდა, რომ ღელავდა" („რჩ. ქართ. ხალხ. ზღ." 1958, გვ. 96). ლამაზია ადამიანის მიერ შექმნილი სხვა საგნებიც, მაგალითად, შენობებიც (კოტეტიშვილი, იქვე, გვ. 150).

ვხედავთ, რომ უკანასკნელად გაანალიზებული ფოლკლორული ნიმუშები აღარ შეიცავენ აზრს — მშვენიერება ღვთიური წარმოშობისაა.

თავისი ესთეტიკური იდეალები ხალხმა, ერთი მხრივ, მშვენიერების ზოგადი სახით წარმოგვიდგინა. ეს სახე მზეთუნახავია. მიიჩნია რა ის მშვენიერ ქმნილებად, როგორც ვიცით, ხალხი მას მზეს და ოქროს ადარებს, ან საერთოდ ლაპარაკობს მის ბრწყინვალებაზე. მაგ-

რამ უყურადღებოდ მშვენიერების არც კონკრეტულ ნიშნებს ტოვებს. ერთ-ერთი ასეთი ნიშანი, როგორც ეს ხალხური ეპოსიდანაც ჩანს, ფერია. ფოლკლორში გვხვდება: თეთრი, წითელი, შავი და ზოგიერთი სხვა ფერი. თეთრ ფერს, როგორც მშვენიერების ნიშანს, მრავალ ნაწარმოებში ვხვდებით, აი, ცნობილი სტროფი:

„მაღლიდან გადმომდგარიყო,
თვალ-ყუეყუნ თეთრი ქალიო“.

აქ სითეთრე ქალის მშვენიერების ამსახველია.

ადამიანის მშვენიერების აღსანიშნავად ფოლკლორში, ზოგჯერ, ცისკარს ედარება მისი სახე („გზაში ქალი შემეყარა, როგორც დილის ცისკარიო“ — ფ. ა. კოლექც. 11, 9 № 80).

ამ შემთხვევაში ქალის სილამაზე ბუნების მშვენიერებით არის დასაბუთებული. საჭიროა ისიც ითქვას, რომ ხალხი თეთრ ფერს საერთოდაც აკავშირებს ცისკართან და სინათლესთან. მის ესთეტიკურ შეხედულებებში კანონზომიერი სახე აქვს მიღებული ქალის მზესავით ნათელ, მთვარისეულ სიბადრეს. მაგალ. შავი ფერი, ზოგჯერ, მთელ სახეს ალამაზებს:

„შურით დაგვფრენდა ნიავი,
გირხევდა დალალ-ყავებსა,
წარბი-წამწამი ყორნისა,
ბურავდა გიშრის თვალებსა,
თვალსა, რა თვალსა ცის მნათსა“ და ა. შ.
(„ხალხური სიბრძნე“, IV, გვ. 323).

ზოგჯერ შავ ფერს მაყვლისფერი ცვლის — „თვალები გიგავს მაყვალსა, ჭალის პირს ამოსულსაო“ (იქვე). მშვენიერების ნიშან-თვისებად არის მიჩნეული, აგრეთვე, წვრილი წარბი, ბრტყელი შუბლი, თხელი ბაგე და სხვ. („წარბი წვრილი, შუბლი ბრტყელი“, „ბაგე ხახვის ფურცელია“, — „აბესალომ და ეთერი“).

ყურადღებას იპყრობს თმა, როგორც მშვენიერების ნიშან-თვისება. ფანდურო, „შენი ჩქამი“ მომწონს, „სტვირო, შენი ხმიანობა“, „ვაჟიკაცო, ფარი-ხმალი, „ქალო, შენი თმიანობა“-ო („ივ. 1870, № 148). როგორც ვხედავთ, ქალის თმიანობა აქ მუსიკალური ინსტრუმენტების დამატკბობელ ხმებთან და ვაჟკაცის შეიარაღებასთან არის შედარებული. ჩანს, ის ისევე ზემომქმედია, ხალხის აზრით, როგორც მუსიკალური ხმები და ფარ-ხმალი. სხვა ნაწარმოებში პირდაპირაა ნათქვამი — თმიანობა სილამაზის დამახასიათებელი ნიშანიაო:

„ქალი რა ქალი, ქალიო
კოპამდინ სცემდა თმანიო,

თმანი რა თმანი თმანიო,
შვიდკეცა შვიდი მხარიო“ (ფ. ა. კოლ. II, საქ. 10, № 308).

როგორც შენიშნულია, ხალხი დიდად აფასებს გარეგნულ სილამაზეს, — „საქონელი ჯერ გარეგნობით უნდა მოეწონოს კაცსაო“ — ამბობს[1]. ეს საერთო დებულება სხვა ნაწარმოებში ქალზე არის გავრცელებული. მისი ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს — ულამაზო გოგონა ცოლად არ მინდა, — ჩემი ცოლი ყველა სხვა ადამიანის ცოლებზე უფრო ლამაზი უნდა იყოსო[2]. მაშასადამე, გარეგნული მშვენიერება აქ იდეალად არის აღიარებული.

ამის თანახმად, ზოგიერთ ნაწარმოებში ზუსტად არის აღწერილი ქალის წარმტაცი შავგრემანობა, სახის ნაწილების სილამაზე[3]. სხვაგან ლაპარაკია ალვის ხის მსგავს ტანზე, როგორც მშვენიერების ნიშან-თვისებაზე. (ცოტეტიშვილი, გვ. .31). ასეთ ბუნებრივად ლამაზ ადამიანს არც კი სჭირდება ხელოვნურად გალამაზება, პირის დაბანა, ფერ-უმარილი მისთვის ზედმეტიაო (ფ. ა. № 10873). კარგად ჩანს, რომ ფოლკლორში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გარეგნულ სილამაზეს. ის მოწონებული და დაფასებულია. არც ამით ამოიწურება გარეგნული სილამაზე და მისდამი პატივისცემა, რადგან არსებობს მისი სხვა სახეობებიც. ასეთია, მაგალითად, სხეულის რითმული მოძრაობა, გემოვნებით ჩაცმა-დახურვა. ერთ ნაწარმოებში ხალხი მოწონებას გამოთქვამს ქალის კოხტა სიარულისა და ჩაცმულობის („ტანთ ჩაცმა და თავ-დახურვა“) გამო (იქვე, № 33763). მაგრამ ფოლკლორში არა მხოლოდ ქალის, არამედ მამაკაცის მშვენიერებაზეც არის მითითებული: ამირანი მზის მსგავსია, ხოლო „ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა“, უსუპი კი — „ბროლის ციხესა“.

მზე და ბროლის ციხე, ქალის სილამაზესთან ერთად, აქ მამაკაცის მშვენიერების განსახიერებადაა მიჩნეული. ცნობილ ლექსშიც ერთი ფშაველის მიერ შვიდი ქისტის გაწყვეტის გამო ნათქვამია: „ქალის საქმარე აქავ გვყავს, გაზრდილი ლერწმის ტანზედა“.

საჭიროა ითქვას: ჯერ კიდევ 1886 წ. ცნობილმა მოღვაწემ ალ. მირიანაშვილმა სტატიაში — „ქალის მშვენიერების იდეალი“ („ივერია“, № 106, 109, 112), აღნიშნა — ხალხურ ლექსებში ქალის მშვენიერებაზე მოჩანს აზრები — ხალხი ქალის გარეგან მშვენიერებას ასახავს, მაგრამ შინაგან სილამაზესაც გულისხმობსო. ამის შემდეგ, ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ, მ. კელენჯერიძემ, ჯერ

[1-2] ალ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ცოლის იდეალი გამოხატული ქართულ ხალხურ პოეზიაში, „მოამბე“, 1901, № X, გვ. 21. [3] საილუსტრაციოდ, ჯ. ჩ ხ ე ი ძ ე, შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აკაკის ზეპირსიტყვიერებაში, 1961, გვ. 27.

ჟურნ. „მოამბეში“ (1894 წ. №№ 11, 12, 1895, №№ 1—6), ხოლო შემდეგ — ცალკე გამოცემული წიგნის — „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა“ იმ ნაწილში, რომელშიც ხალხური პოეზიის პედაგოგიურ მნიშვნელობაზეა ლაპარაკი, ალ. მირიანაშვილის მსგავსად, მხოლოდ ხალხურ ლექსებში დაინახა აზრები სილამაზის შესახებ. მან ცნო, რომ ხალხი მხოლოდ ქალში ხედავს სილამაზეს (იქვე გვ, 104—108). მან აღნიშნა ქალის გარეგან და შინაგან სილამაზეზე, მაგრამ შინაგანი სილამაზის ნიშნები (გარდა მცირე გამონაკლისისა), არ დაუსახელებია. იმ დროისათვის ამ მოღვაწეთა ეს შეხედულებანი ახალი იყო და ერთგვარ მიღწევას წარმოადგენდა ქართული ფოლკლორის შესწავლის საქმეში. მაგრამ ამჟამად შეუძლებელია ამით დაკმაყოფილება: გამოირკვა, რომ ხალხს უფრო ფართო ასპექტში აქვს წარმოდგენილი მშვენიერება (მამაკაცშიც ხედავს მშვენიერ არსებას). ისიც უნდა ითქვას, რომ აზრები მშვენიერებაზე არა მხოლოდ ლექსებში, არამედ ფოლკლორის სხვა ჟანრებშიც არის ფიქსირებული. მაგრამ თუნდაც ის გარემოება, რომ ამ მოღვაწეებმა ფოლკლორში დაინახეს აზრი შინაგან და გარეგან მშვენიერებაზე, მათ დიდ დამსახურებაზე მიგვითითებს ამ საკითხში.

მშვენიერების ამ ნიშნებთან ერთად, ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სიტყვის სილამაზეს, მოხდენილ, სხარტ და მოსწრებულ გამოთქმებს. ამის დამამტკიცებელია ხალხური პაექრობა, რომელშიც მეტყველების ამ ნიშნებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

როგორც ეპიკურ ნაწარმოებთა ანალიზით გაირკვა, ხალხის აზრით, მშვენიერებას ორი მხარე აქვს — გარეგანი და შინაგანი.

მშვენიერების ზემოდასახელებული ნიშან-თვისებანი, ადამიანის გარეგნული ნიშან-თვისებანია. მაგრამ ხალხმა იცის, რომ გარეგნული მშვენიერება საკმარისი არ არის, რომ ადამიანს შინაგანი მშვენიერებაც უნდა ჰქონდეს, რადგან გარეგნობა ყოველთვის არ ასახავს საგნის შინაგან ბუნებას — „რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო როდია“ (სვინტიძე, იქვე, გვ. 147). გ ა რ ე გ ნ უ ლ ი მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ი თ გ ა ტ ა ც ე ბ ა ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ს ა თ უ ო შ ე ს ა ვ ა ლ ი ა.

როგორც აღვნიშნეთ, ხალხის აზრით, მშვენიერება, სილამაზე, ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს, როგორც მისი განუყოელი ნაწილი. ამისათვის არის სწორედ საგნის შინაგანი (გონებრივი და ზნეობრივი) თვისებები საჭირო. ხალხის აზრით, შინაგანი სილამაზის ადამიანი პატივისცემისა და ხსნის ღირსია, ის არ უნდა დაიღუპოს. ამიტომაც იყო, რომ ნესტან-დარეჯანი სწორედ თეთრმა და, ნაწილობრივ, წითელმა გველმა გადაარჩინა დაღუპვას. ხალხური „ვეფხისტყაოსნის“

მიხედვით, როცა ნესტანი ზღვას მისცეს და ის შავ, თეთრ და წითელ გველებში მოხვდა:

„შავმა გველ უთხრა“ — შევკამოთ!
წითელ უშქინა • ავითა;
თეთრმა გველ უთხრა: ნუ შევკამთ
ხმელთ მნათობარი მოვიდა“ (ხალხური „ვეფხისტყაოსანი“ მ. ჩიქოვანის რედ. 1937, გვ. 118).

ნესტანს წითელი გველიც იცავს, მაგრამ განსაკუთრებით თეთრი გველია მისი მხსნელი, რადგან სწორედ მან გაიგო ეს ქალი, როგორც სიკეთისა და სინათლის განსახიერება (მოვიგონოთ გამოთქმა — „ხმელთ მნათობარი მოვიდა“). სწორედ ამიტომ დაეხმარა თეთრ გველს ზღვაც მის გათავისუფლებაში: „ზღვამ შეიბრალა მზექალი, დაწყნარდა და კიდობანი მაღლა — ქანქანით წაიღო“ (იქვე). სილამაზისადმი ღრმა პატივისცემის საჭიროების იდეა აქ ადამიანის ხსნაში გადადის და შემდეგ აზრს შეიცავს: ვინც ჭეშმარიტად მშვენიერია, არ უნდა დაიღუპოს, მარად უნდა ცოცხლობდეს.

ფოლკლორში შინაგანი სილამაზის რამდენიმე ნიშანია დასახელებული. ერთ-ერთი და მთავარი მათ შორის შრომისმოყვარეობაა. ეს გასაგებიც არის, რადგან როგორც გ. პლეხანოვმა გაარკვია, შრომა ხელოვნებაზე ხნიერია და ადამიანი საგნებსა და მოვლენებს, უპირველესად უტილიტარული თვალსაზრისით უცქერის, ხოლო შემდეგ — ესთეტიკური თვალსაზრისით[1]. ხელოვნების შემქმნელი მშრომელი ხალხი რელიეფურად ასახავს თავის შემოქმედებაში შრომისა და ხელოვნების კავშირს. ერთი თქმულების მიხედვით „გუთნისდედა და საზანდარი ყოფილან ძმები. ერთადა კარგა უცხოვრიათ“ (ფ. ა. № 32451).

აქ ნათლად ჩანს შრომისა და სიმღერა-მუსიკის ერთიანობის იდეა. ეს გასაგებიცაა: შრომა ხომ ადამიანის დამამშვენებელია ხალხის აზრით, და ადამიანის სილამაზეც სწორედ შრომისმოყვარეობის მიხედვით უნდა შეფასდესო (მოვიგონოთ ცნობილი გამოთქმა „ქალი თუ გინდა ლამაზი, დაჰკვლიე ქერის მკაშია“). ასეთი ქალი უნდა იყოს სწორედ მოსაწონი და სიყვარულის ობიექტი. შრომისმოყვარეობასთან ერთად, საჭიროა სხვა თვისებებიც ჰქონდეს ადამიანს, რათა ლამაზი, მშვენიერი იყოს. ასეთია ალალმართლობა და სათნოება. შინაგანი მშვენიერების მეორე ძირითადი ნიშანი გონიერებაა. მეტიც: „გონიერი კაცი“ არა მხოლოდ თავისთავის, არამედ ქვეყნის დამამშვენებელიც კი არისო, ამბობს ხალხი (Q, 965, გვ. 59). აქვეა საგულის-

[1] Г. В. Плеханов, Литература и эстетика, том I, М., 1958, გვ. 75.

ხმო, რომ ფოლკლორში გვხვდება გამოთქმაც — „ჭკვით ლამაზი“ (თელავის ინსტ. ლ. მირიანაშვილის რვ. № 13). ამრიგად, ხალხი ფიქრობს: ჭეშმარიტად ლამაზი მხოლოდ ის საგანი შეიძლება იყოს, რომელსაც გარეგნულ სილამაზესთან ერთად, შინაგანი სილამაზეც აქვს. მაგრამ აქვე ერთი მომენტიც იპყრობს ყურადღებას: რაც ბრწყინავს თუ ყველა ოქრო არ არის, გამოდის, რომ საგნის გარეგან და შინაგან ნიშან-თვისებებს შორის შეუთანხმებლობაა. ამიტომ გარეგან ფორმას ადამიანი ზოგჯერ შეცდომაში შეჰყავს: საგნის ჭეშმარიტ სილამაზეში არწმუნებს, ნამდვილად კი საწინააღმდეგო მდგომარეობაა. მოვიგონოთ გამოთქმა: „თოვლი თეთრია, მაგრამ სიცივე დიდი იცის“. სითეთრე მშვენიერების ნიშანია, მაგრამ საგნის სითეთრეს თუ მისი შინაგანი ნიშნები არ შეეფერება, საქმე შეუთავსებლობასთან გვაქვს, რაც მთელი საგნის დაგმობას იწვევს: „თოვლი თეთრია, მაგრამ მის წასვლას ყველა ნატრობსო“; ან — „თოვლი თეთრია, მაგრამ ჭირივით მოელის კაციო“.

ასეთ შემთხვევაში შეუთავსებლობაა, სხვანაირად — კონფლიქტია, საგანის გარეგან და შინაგან თვისებებს შორის. აზრი — საგნისათვის ეს მავნებელიაო, კიდევ უფრო გარკვევით მოჩანს შემდეგ სტროფში:

„დასწყევლოს ღმერთმა ქალი, თუ
მას ლამაზი აქვს პირია,
თუ სამაცდუროთ შეუკრავს,
ბილიკი, გზა და ხიდია“ (ს.ლ.მ.ა. 20009-ხ. საქმე 5, გვ. 96).

აქ კარგად ვხედავთ მკაცრ წინააღმდეგობას გარეგან მშვენიერებასა და შინაგან (ზნეობრივ) ნიშან-თვისებებს შორის და ზიანსაც, — საგნისადმი სიძულვილს, რომელიც მას თან სდევს. როცა ასეთი წინააღმდეგობაა, მაშინ გარეგანი და შინაგანი ნიშან-თვისებების შეხამება ხელოვნურ ხასიათს ატარებს. ხალხი ამას გრძნობს და, როგორც შენიშნული გვაქვს, აყენებს იდეას გარეგანი და შინაგანი სილამაზის არა კონფლიქტის, არამედ შერწყმის, მთლიანობისა. თვით შეთანხმება-შერწყმაშიც მშვენიერებაა, რადგან ის ზომაზე, სიმეტრიაზე მიუთითებს, რომელიც ესთეტიკურის ერთერთ მნიშვნელოვან ნიშან-თვისებად არის ცნობილი. ხალხი შინაარსით სავსე სილამაზეს, გარეგან და შინაგან ნიშან-თვისებათა ჰარმონიას მოითხოვს. ერთ-ერთ ნაწარმოებში პირდაპირ არის ადამიანის მიმართ ნათქვამი: მართალია, ლამაზი და კარგი შეხედულების ხარ, მაგრამ საკითხს არა ეს, არამედ შენი ვაჟკაცობა გადაწყვეტსო („თუ უნარი გაქვს მკლავშია“-ო. „ძვ. საქ.“, III, განყ. 2, გვ. 200).

იგულისხმება — ადამიანის გარეგნულ სილამაზეს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ გადამწყვეტი მაინც შინაგანი სილამაზეა. ეს აზრი ემყარება ხალხის ზოგად დებულებას, რომლის მიხედვით, „ვაჟკაცს არ გამოადგება სოფელს შვენება თავისა, მას უნდა ხმალი უჭრიდეს, იმედი ჰქონდეს მკლავისა“ („აკაკის თვიური კრებული“, 1898, VII, ვანყ. III, გვ. 30).

ასეთ ჰარმონიულ მთლიანობაშიც ხედავს ხალხი სწორედ ჭეშმარიტ მშვენიერებას. ეს აზრი რომ უფრო ნათელი გახადოს, ის აღწერს ქალის შინაგან და გარეგან სილამაზეს და ნათელს ხდის, თუ როგორი ნიშნები უნდა ჰქონდეს მშვენიერ ადამიანს. ეს ნიშნებია: ტანის სილამაზესთან ერთად სინდისიერება და სულიერი სიმტკიცე[1]. აი, ასეთი უნდა იყოს მშვენიერი ადამიანი. აქ მთლიანობაშია მშვენიერების შინაგანი და გარეგანი მხარეები და ამით მათ შორის მოხსნილია კონფლიქტი, ე. ი. მათ ჰარმონიასთან გვაქვს საქმე. ხალხის აზრით, ასეთი ჰარმონიულობა უძლეველადაც კი აქცევს საგანს.

შეხედულება ესთეტიკური მთლიანობის საჭიროების შესახებ, ხალხის გონებრივ ძლიერებაზე მიგვითითებს: „მთლიანობა, როგორც იგი გონებაში გვევლინება აზროვნებითი მთლიანობის სახით, პროდუქტია მოაზროვნე გონებისა, რომელიც სამყაროს აითვისებს მისთვის ერთადერთი შესაძლებელი წესით, წესით რომელიც განსხვავდება ამ სამყაროს ხელოვნებით — რელიგიურ-პრაქტიკულ-გონებრივი ათვისებისაგან“[2].

მაგრამ, როცა ჰარმონია დარღვეულია, ე. ი. საგანს ერთ-ერთი მხარე არ აქვს ლამაზი, ხალხის აზრით, როგორც ზემოხსენებულ „აღზრდის იდეებშია“ აღნიშნული, უპირატესობა შინაგან სილამაზეს უნდა მიექცეს: უზნეო და უჭკუო გარეგნულად ლამაზს, გარეგნულად ულამაზო, მაგრამ ზნეობრივი და გონიერი ადამიანი სჯობს. ხალხის ამ აზრს — ვაჟა-ფშაველაც ადასტურებს. 1889 წ. დაბეჭდილ წერილში — „ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაურის პოეზიის გამოხატულებით“, ის აღნიშნავს: ფშაველის აზრით, ქალის გარეგანი სილამაზე ფუჭია, თუ მისი ქცევები მიუღებელიაო, და მოჰყავს შემდეგი ხალხური სტროფი:

„ყანა მშრალი სჯობს სამკალად
ნამიან-ჭანჭახიანსა,
ქალი გონჯი სჯობს ლამაზსა,
ჭორიან, საძრახიანსა“.

---

[1] „ივერია“, 1890, № 252 („ქალო, ლამაზო, ტანისავ, მოსულო ღერწმის ტანზედა, სვინდის-ნამუსით გაზრდილო, მტკიცე, ურყეო, კაჟზედა“).

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 282.

უნამუსობაში დაძრახულს და ლამაზს ქალს ისევ გონჯსა და ნამუსიანს დედაკაცს ამჯობინებს ფშაველი“ (ტ. V—1961, გვ. 93).

მაგრამ ეს არა მხოლოდ ქალის სილამაზის მაგალითებით მტკიცდება, როგორც აღნიშნული გვაქვს, არამედ მამაკაცის სილამაზის მაგალითებითაც, ამასთან, არა მხოლოდ ფშაურ პოეზიაში ჩანს, არამედ მთელ ქართულ ფოლკლორში. ხალხი პირდაპირ ამბობს:

„ნამუსიანი გონჯი ჯობს,
ტურფას ურცხვსა და უკმეხსა“-ო („ივ.“ 1893, № 204).

ზემოთ გაანალიზებული მასალიდან ჩანს: ხალხი ჯერ ცალ-ცალკე ეხება ქალისა და მამაკაცის ესთეტიკურ მშვენიერებას, ხოლო შემდეგ საერთოდ ლაპარაკობს ადამიანის სილამაზეზე, რომლითაც აზრთა მწყობრი სისტემა იქმნება მშვენიერების შესახებ.

ხალხმა თუ ვაჟკაცის მიმზიდველი სახე ამირანით წარმოგვიდგინა, ქალის სათნოებისა და ჭეშმარიტი სილამაზის, პრინციპულობის, ვაჟკაცური სულისკვეთებისა და გამტანობის ნათელი სურათი ეთერის წარუშლელ მხატვრულ სახეში განასახიერა. ამირანი და ეთერი ადამიანთა საზოგადოების ორი, ერთმანეთისაგან შინაგანად განუყრელი, დედაკაცობისა და მამაკაცობის სრულყოფილი სახეებია, მაგალითი ვაჟკაცისა — ქვეყნისათვის თავდადებაში, ქალისა — ოჯახურ პატიოსნებასა და სათუთ სილამაზეში. ეთერისა და ამირანის სახეებს, პირველ რიგში შინაგანი კაცურიკაცობის წარმტაცი ნიშან-თვისებები ალამაზებს. ხალხს ამ ჰარმონიული სახეების დახატვით სურს გვითხრას — მათი გარეგნული ესთეტიკური მხარეები შინაგანი ფორმის გამოვლენაა და მათი ძალაც ამაშიაო. და როცა ხალხურ ესთეტიკაზე ვმსჯელობთ, ამოსავალ წერტილად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ სწორედ ეს ნიშნებია მისი განმსაზღვრელი.

* * *

განხილულ მასალებზე მსჯელობისას გაკვრით იყო აღნიშნული იმის შესახებ, რომ ხალხი უტილიტარული თვალსაზრისით უდგება მშვენიერებას. მართლაც მრავალ ნაწარმოებში ის ნათლად ამბობს: საგანი, მოვლენა იმის მიხედვით უნდა შეფასდეს, ეხმარება თუ არა ის ადამიანს, ქვეყანას, საზოგადოებასო. ამიტომაა მშვენიერი და ლამაზი ის ცხოველები, რომლებიც ადამიანისათვის ზრუნავენ. მაგალითად, ხარი სწორედ იმიტომაა ასეთი, რომ იგი ადამიანის ნუგეშია, თავის ძალ-ღონესა და „კეთილ გულს“ მისთვის არ ზოგავს (მან ხომ „ადამიანის შენახვა“ „იდო თავზე“ და პირნათლადაც ასრულებს ამას, ხალხის აზრით). მშვენიერია, აბრეშუმის ჭიაც: იგი ტურფაა და მისი ყელის

ყოველი მოძრაობა მთელი ხალხის, მთელი თემის დამამშვენებელია. ამისათვის ის თავსაც დებს და „სასიკვდილოთ სახლს იშენებს“-ო, მიუთითებს ხალხი. ცხადია, ასეთ მსჯელობას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: ნათელი გახდეს, რომ მშვენიერი მაშინ არის ადამიანი, როცა მისი ქცევები ხალხს, საზოგადოებას ემსახურება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფოლკლორში სიმღერა-მუსიკას. ის, პირველ რიგში, ადამიანის სულიერი მოთხოვნილებაა და ამასთან მისი საჭიროებით განსაზღვრული. აქაც იმავე სარგებლიანობის პრინციპს ვხედავთ. ვ. კოტეტიშვილი შენიშნავდა: „სიმღერა ჩვენში, წამალიც არის ავადმყობის დროს, ნუგეში უბედურებაში, ენერგიის მომცემი შრომაში და სხვ“. (ვ. კოტეტიშვილი, „ხალხური პოეზია“ გვ. 315). სიმღერა-მუსიკის მრავალმხრივი უტილიტარული შინაარსი ერთი მხრივ ასე გვესახება: როგორც სხვაგან გვაქვს აღნიშნული, იგი სიმართლის მქადაგებელი და დარდის გამქარვებელია, ეკონომიური არსებობის წყაროა, ბრძოლის იარაღია, განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ეს ნაწარმოებში, რომელშიც ნათქვამია: წყალზე მიმავალი მარიამი ლეკებმა მოიტაცეს. ტყვე ქალს ფანდური მოაგონდა, თავის დახსნისათვის მისი გამოყენება სცადა და მცველებს მიმართა:

„ლეკნო, მამიტათ ფანდური,
გულ გაეუქარვო ჯავრია!“

მისცეს რა ფანდური, მან, მასზე დამღერებით, თავისიანი გიორგის მისამართით თქვა:

„სადა ხარ, ჩემო გიორგი,
რათ არ მაჯენ კვალია“-ო.

ამით გიორგიმ ამ ქალის მდგომარეობა გაიგო, მცველები გაწყვიტა და ქალი გაათავისუფლა (ფ. ა. № 20726). ამრიგად, სიმღერა-მუსიკა ბრძოლის იარაღია და სიმართლეს ემსახურება. ზემოხსენებული ფანდურით გულის ჯავრის გაქარვების მიზეზი, მუსიკალური ინსტრუმენტის დამატკბობელი ხმაა, რომლითაც ზღაპრების მიხედვით, ცხოველებიც (კერძოდ გველი) კი, მოჯადოებულნი ხდებიან. ადამიანები ამ ინსტრუმენტის საამო ხმისათვის საფასურს იხდიან (სტვირი „სოფელ-სოფელ ჩამოივლის, ყველგან იღებს მინდსა“-ო, — „აკ. თვ. კრებული“, 1898, X, განყ. 3, გვ. 27).

გარდა ამ მასალებისა, ყურადღებას შემდეგი სტროფიც იპყრობს: ფანდურო — „სუ შენ მაგონებ ლექსებსა, ნახევარ შენი ბრალია“-ო. აქედან ჩანს, რომ სიმღერა-მუსიკა შემოქმედებითი ფანტაზიის აღმძვრელიც არის, რაც იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ ხალხი ვიწრო უტილიტარიზმში არ არის ჩაკეტილი. ამ აზრს შემდეგიც ადასტურებს:

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, სახალხო გმირებზე ლექს-სიმღერები იქმნებოდა, რასაც მეტად მდიდარი ტრადიცია აქვს ჩვენში, აქედან სიმღერა-მუსიკის მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი წარსული ცხოვრების უკეთესი ტრადიციების პოპულარიზატორიც არის, შექებით ნათელს ხდის თანამედროეთათვის მათ სასახელო საქმეებს და ამით მათდამი სიყვარულსაც ნერგავს ხალხში, კერძოდ, ახალგაზრდობაში, რითაც მათ ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ამით აიხსნება, რომ ლექსს ხალხში დატოვებულ სამახსოვროს უწოდებს ერთ-ერთი გმირი („და შენ კი ჩემად სახსოვრად სააქაოსა რჩებოდე", — ვ. კოტეტიშვილი, იქვე, გვ. 21). აქაც არის უტილიტარული შინაარსი, მაგრამ ისეთი, რომელიც ეკონომიურ სარგებლიანობას სცილდება და ადამიანის სულიერად ამაღლებას ემსახურება.

ამრიგად, სიმღერა-მუსიკა უკვდავად ხდის ადამიანის სახელს.

ასეთია ხალხის აზრი მშვენიერების სარგებლიანობის შესახებ, მაგრამ ზოგიერთ ხალხურ ნაწარმოებში უტილიტარიზმი უკიდურესობამდეა მიყვანილი, როგორც, ჯერ კიდევ, ვაჟა-ფშაველა აღნიშნავდა ხალხურ ლექსზე, რომელშიც ნათქვამია: „ქალს დღეობაში ნუ „აფასებ", ტანთ ნათხოვარი აცვია, ქალი თუ გინდა ლამაზი, დაჰკვლიე ქერის ნაცაშია"-ო[1]. ვაჟა ამბობს: „მთის სასტიკმა ბუნებამ" ათქმევინა მამაკაცს ეს „შეუსაბამო და ვერაგული ფიქრი" — დედაკაცი ოჯახისათვის ვარგოდეს, მისი „სილამაზე ბევრად საჭირო არც კი არისო". „ლუკმა-პურისათვის გაფაციცებულს" მამაკაცს „ჰსურს დედაკაცისათვის საჭიროდ არა სცნოს ის, რაც მასში ციური, ღვთაებრივია, მიმზიდველია, რითაც ლაზათიანდება ჩვენი დუბეჭირი ცხოვრება"-ო[2]. იგივე ჩანს ცნობილ ლექსშიც ქალის სიკოჭლის შესახებ. თითქოს გამოდის, რომ გარეგნულ მშვენიერებას ხალხი უგულებელჰყოფს. ნამდვილად კი, ეს არ ახასიათებს საერთოდ ფოლკლორს. და თუ ამ ლექსში მას ვხვდებით, იმიტომ, რომ აქ შრომის თემატიკა განსაზღვრავს პოეტური გამოხატვის ფორმას და ლოგიკური მახვილიც შრომისადმი დადებით დამოკიდებულებაზეა გადატანილი. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ აქ ერთგვარი ჰიპერბოლაა შრომის დაფასებით გამოწვეული. მთავარი მაინც ის არის, რომ ამ ლექსით ხალხი დიდად აფასებს ამა თუ იმ საქმის ცოდნას, ზნეობრივ ქცევებსა და შრომისადმი სიყვარულს, ე. ი. შინაგანი სილამაზის მთავარ ნიშან-თვისებებს.

მაგრამ, ერთი შეხედვით, ეს უკიდურესი უტილიტარიზმიც კი ადამიანის არა პირადი სარგებლიანობის ინტერესებით არის ნაკარნახევი,

---

[1] სახალხო ლეგენდები და ლექსები, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 39—40.
[2] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, — ტ. V, 1962, გვ. 306—307.

არამედ საერთო, საზოგადოებრივი ინტერესებით, კერძოდ იმით, რომ ადამიანი გონიერი და ზნეობრივი უნდა იყოს.

აქვე საჭიროა გავიხსენოთ ხალხის აზრიც, რომ მშვენიერება უკვდავია. როგორც აღვნიშნეთ, მშვენიერებას ორი მხარე აქვს — კონკრეტული და აბსტრაქტული.

კონკრეტულია მშვენიერება, კერძოდ კონკრეტულად არსებული ადამიანის სახით. მაგრამ ამ სახეში არის ელემენტი ზოგადი, აბსტრაქტული მშვენიერებისა. ასეთია, მაგალითად, იმ ზღაპრული ქმნილების — ქალის მშვენიერება, რომელთანაც ჭაბუკი საუკუნეთა მანძილზე იყო და არ ბერდებოდა (ზღ. „მიწა თავისას მოითხოვს"). აბსტრაქტულია ზღაპრებში წარმოდგენილი მზეთუნახავის მშვენიერება, ან ოქროს ბავშვისა. ყველა ასეთ შემთხვევაში მშვენიერება სიცოცხლესავით მარადიულია. იდეა მშვენიერების მარადიულობის შესახებ სწორია. ამასთან როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ხალხის აზრითვე მშვენიერება ობიექტურია, რამდენადაც იგი ბუნებას ახასიათებს; ლამაზი, მშვენიერი ყოველთვის იყო, არის და იქნება.

მშვენიერების აღმზრდელობითი როლი. ესთეტიკური გრძნობის აღზრდა

ხელოვნების აღმზრდელობითი ზემოქმედების არე, მთელ რიგ დარგების საგანთა აღმზრდელობით ზემოქმედებასთან შედარებით, ფართოა: თუ მათემატიკის, ფიზიკის, ასტრონომიის, ბიოლოგიისა და ზოგიერთ სხვა საგნის შესწავლისათვის სკოლაა გადამწყვეტი, ხელოვნების ნიმუშის აღქმისადმი ადამიანის მისწრაფება და თვით მისი ზემოქმედებაც ადამიანზე სკოლის ფარგლებს სცილდება. ყოველი ასეთი ნაწარმოები სკოლის გარეშეც ახერხებს ადამიანის თვალისა და ყურის, მისი სულიერი სამყაროს გარკვეული მიმართულებით წარმართვას, სახლში იქნება ის, მინდორში, ტყეში, თუ სხვა ადგილას. ამიტომ ესთეტიკურ აღზრდაზე, ხალხური შემოქმედების მასალების მიხედვით, შეგვიძლია გაცილებით თავისუფლად ვილაპარაკოთ, ვიდრე გონებრივ, ზნეობრივ აღზრდასა და აღზრდის სხვა მხარეებზე. ამასთან, ცხადია, რომ ესთეტიკური აღზრდის დარგშიც სკოლა გაცილებით უფრო ორგანიზებულ და სისტემატურ ზემოქმედებას ახდენს აღსაზრდელზე.

* * *

ზემოთწარმოებული მსჯელობიდან ჩანს, რომ მშრომელ ხალხს კარგად ესმის მშვენიერების არსი, მისი როლი საზოგადოებაში; აქვს თავისი თვალსაზრისი, იდეალები. ვ. კოტეტიშვილი მართალი იყო, რომ წერდა: „...შემოქმედების შეგნებაც ჩვენს ზღაპრებში უდიდეს გამახვილამდე არის მისული"-ო. ავტორს, თავის მიერ ჩაწერილი

ერთ-ერთი ზღაპრის შინაარსი მოჰყავს: „მომღერალი სიმღერისაგან ფიზიკურად დაიწვის და სატრფო, რომელსაც უმღეროდა, ფერფლის გვას იწყებს თავისი თმებით; ფერფლში ცეცხლის ნაპერწკალი კიდევ ყოფილა, ქალის თმას მოედება და ისიც ზედ დაიფერფლება". მკვლევარი ასკვნის: „აქ არის მოცემული მუსიკის უდიდესი შეგნება და ის ფაქტი, რომ ასეთი ზღაპრები ხალხის რეპერტუარს დღემდე შერჩა, იმის ნიშანია, რომ ხალხს დიდად დაუფასებია სიმღერა (და საერთოდ შემოქმედება)" („ხალხ. პოეზია", გვ. 315).

ამ მიხვედრილობითა და შეგნებით უდგებოდა მშრომელი ხალხი არა მარტო მშვენიერებას, არამედ მისი გაგების შესაძლებლობის ახალგაზრდობაში გამომუშავების საკითხსაც. აქ აღზრდის ორი მიზანდასახულობაა აღსანიშნავი: ადამიანს მშვენიერების არსში ჩაწვდომა უნდა შეეძლოს და თვითონაც შემოქმედი იყოს. მაგრამ ხალხმა ისიც იცის, რომ ორივე მიზანდასახულობის განხორციელებისათვის, პირველ რიგში, მშვენიერი საგნის, მოვლენის ადამიანზე ზეგავლენას უნდა ჰქონდეს ადგილი. მას საერთოდაც სურს ადამიანზე მშვენიერების ზემოქმედება გვიჩვენოს. ამ მხრივ საყურადღებოა მომაკვდავი აბესალომის სიტყვები, ეთერის მასთან მისვლის გამო:

„ბანიდან ჩამოიხედა,
სულში ნათელი ჩაჩიდგა"-ო.

მშვენიერების ასეთი გაგება უნდა ჰქონებოდა საფუძვლად ხალხის აზრს — სიმღერა სიმდიდრეზე მაღლა დგასო: „ფშაველმა თქვა: სიმდიდრეს ერთი ფშაური შემღერება მირჩევნიაო" („სწავლა სიბერემდისო", გვ. 124). ცხადია, აქაც ჩანს, რომ ხალხი ეკონომიური თვალსაზრისით არ იფარგლება მშვენიერებაზე მსჯელობის დროს, თანაც აქ მშვენიერების ორივე მხარეა გათვალისწინებული — გარეგანიც და შინაგანიც. ამის მიხედვით ხალხი ამბობს: ადამიანს, რომელსაც საგნის შინაგანი მშვენიერების გაგება არ შეუძლია და მხოლოდ გარეგნული ნიშან-თვისებებით კმაყოფილდება, მარცხი მოელისო. ამ ცალმხრივობის ზეგავლენა კარგად გვიჩვენა მან „აბესალომ და ეთერში". აბესალომი სწორედ მაშინ დამარცხდა, როცა ეთერის გარეგნული სილამაზის დაკარგვის გამო, გაწყვიტა მასთან კავშირი. მაგრამ აქ მისი არა მხოლოდ ფიზიკურ მარცხთან გვაქვს საქმე (ის ხომ ამის მსხვერპლი გახდა), არამედ მორალურთანაც: აბესალომმა სიტყვის განუხრელად შესრულების ზნეობრივ პრინციპს უღალატა. ამავე დროს მან ეთერის შინაგანი სილამაზე და მნიშვნელობაც ვერ გაიგო. ამას თვით ეთერის სიტყვები ამტკიცებს:

„შენ აბესალომ ბატინო,
რა წუნი ნახე ჩემშია"-ო.

ხალხი მიუთითებს: მიუხედავად იმისა, რომ ეთერი უგულებელ-ჰყვეს, ის მაინც მშვენიერ და ადამიანის ცნობიერებისაგან განუშორებელ არსებად დარჩაო. ეს იმიტომ, რომ ეს ქალი ჭეშმარიტად მშვენიერია (გარეგნულადაც ლამაზია და შინაგანადაც), და ადამიანს სწორედ ამ თვისებით იპყრობს. ხალხი მიუთითებს: სწორედ ასეთი მშვენიერება ახდენს ადამიანზე გავლენასო.

„აბესალომ და ეთერი" ეკუთვნის იმ ნაწარმოებთა რიცხვს, რომელნიც ადამიანებს უნერგავდნენ აზრს, — ნამდვილი მშვენიერება გარეგნული და შინაგანი სილამაზის ორგანულ შერწყმას წარმოადგენსო. ადამიანს ამ უკანასკნელის (შინაგანის) დანახვა და დაფასებაც უნდა შეეძლოს. ამითაც იპყრობდა „აბესალომ და ეთერი" ყოველთვის ყურადღებას, ჰქმნიდა ინტერესსა და მისწრაფებას ადამიანში, რაც ხელის შემწყობი უნდა ყოფილიყო ესთეტიკური აღზრდისათვის.

ხალხის ეს შეხედულებანი დღესაც შეიძლება გამოვიყენოთ ახალგაზრდობაში მშვენიერების გრძნობის აღზრდისათვის.

ამასთან ხალხი ფიქრობს: მშვენიერებამ რომ ზეგავლენა მოახდინოს ადამიანზე, მისდამი ინტერესი უნდა აღიძრასო. ამას შემდეგი გარემოება უწყობდა ხელს: როგორც აღვნიშნეთ, ქართველებში ტრადიციად იყო ქცეული მომღერლის დაფასება. აქ საქმე გვაქვს ავტორიტეტთან, რომელიც საერთოდაც ყოველთვის დიდ პედაგოგიურ როლს ასრულებდა და ასრულებს, რადგან კარგი, მშვენიერების არსში ჩამწვდომი მომღერალი ადამიანის დაინტერესებას იწვევს, ამ მხრივ, დიდად მნიშვნელოვანი იყო ხალხის ზემოხსენებული მითითება იმის შესახებ, რომ მშვენიერების გარეშე ადამიანის ცხოვრება არასრულყოფილია.

ხალხი არც ამით კმაყოფილდება და ნაწარმოებთა მთელ რიგს ქმნის, რომლითაც მშვენიერი საგნის განცდასა და მისგან გამოწვეული ესთეტიკური გემოვნების გამოვლენის გარკვეულ ნიშნებს გვიჩვენებს. ნაწარმოებში „ღვთისავარი" ნათქვამია, რომ სურათმა, რომელიც ერთი მოხუცის სახლში აღმოჩნდა, ვაჟზე ისეთი ზეგავლენა მოახდინა, რომ მას „ფერი ხან მიწისფრად ექცეოდა და ხან უცებ ყურებამდე გაჭარხლდებოდა ხოლმე. ეტყობოდა, რომ ღელავდაო"-ო („რჩ. ქართ. ხალხ. ზღაპ". იქვე, გვ. 96). მაგრამ ეს ცოტაა: ამ სურათს არა მხოლოდ პიროვნების, არამედ ახალგაზრდათა მთელი მასის გატაცებაც გამოუწვევია: კოშკთან „მთელი დედამიწის პირიდან მომსკდარი" ახალგაზრდები შეკრებილიყო და „მზეთუნახავი ქალის მოჩვენებას ელოდნენ. ოქროს ტაბაკს დაატარებდნენ ურდო ხალხში და, როცა პირის სანახავი ოქროთი ტაბაკი გაივსებოდა, კოშკის აივანზე ერთი კარიდან გამოვიდოდა მზეთუნახავი, დაანახვებდა სახეს, როგორც

მზე, დიდსა და პატარას. იქვე მოუხვევდა და მეორე კარიდან შევიდოდა კოშკში, როგორც მზე ღრუბელში". მეფის შვილი ვეღარ აცილებდა მას თვალს და ა. შ. (იქვე, გვ. 99). ავიღოთ ნაწარმოებიც „იოლანგულან-აღაჯი", აქ დასმული იყო ამოცანა — ეპოვნათ ისეთი მცენარე, რომლის ფოთლები „ტაშს უკრავენ", ხოლო თვით ხე მღეროდა და თამაშობდა („ქართ. ხალხ. ზღაპრ". შ. ძიძიგურის რედ. გვ. 43). ამ მშვენიერი მცენარის პოვნას მთელი თავისი ძალ-ღონე შეალია უმცროსმა ძმამ. რიგ ნაწარმოებებში სხვა საგნებისა და მოვლენების მიმართაც მოჩანს ასეთი ინტერესი. ასეთია, მაგალითად, მუსიკა. საყურადღებოა, რომ გადმოცემის თანახმად, სიმღერა „ჟონას" ზოგჯერ ორ-სამჯერ იმეორებდნენ ოჯახში მისვლისას. „ამ დროს გლეხის პატარა ბიჭი გამოურბენინებდა ჩაფით ღვინოს და ტაბაკით სააღდგომო ხორაგს, გადასცემდა ეს ბიჭი ამაებს მეჟონავეებს და თანაც შეჰნატრებდა: ოხ, რა ბედნიერები ხართ! როდის იქნება მეც მეღირსოს ჟონაზე სიარული?!" (ფ. ა. კოლ. XXV, 76, გვ. 61). აი, ზეგავლენა, რომელსაც სიმღერა ახდენდა ბავშვებზე, რის გამოც ისინი ოცნებობდნენ — თვითონაც მომღერლები ყოფილიყვნენ. მუსიკის ასეთივე ზეგავლენას გვიჩვენებს ხალხი ნაწარმოებშიც „ზღაპარი თვალებიდან თვალმარგალიტის მყრელისა". აქ ნათქვამია: მესტვირემ რომ სამგლოვიარო დაუკრა, ერთ გოგოს თვალებიდან „თვალ-მარგალიტი გადმოდინდა", ხოლო სამხიარულოს დაკვრის შედეგად თვალებიდან — ია და ვარდიო. („ქართ. მთ. ზეპირსიტყვ." გვ. 388).

ხელოვნების შესახებ ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ხელოვნება ხალხს ეკუთვნის. იგი თავისი უღრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების თვით შუაგულს უნდა აღწევდეს. იგი გასაგები და საყვარელი უნდა იყოს ამ მასებისათვის. იგი უნდა აერთიანებდეს ამ მასების გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას, აღაფრთოვანებდეს მათ. იგი მათში მხატვრებს უნდა აღვიძებდეს და ავითარებდეს"[1].

ზემოთმოტანილ მაგალითებში მშვენიერების არა მხოლოდ ზეგავლენა ჩანს ადამიანზე, არამედ, წრთობაც; ესთეტიკურ განცდაზე შეჩვევა, „მუსიკალური ყურის" აღზრდა და ა. შ. ამ ზეგავლენით აიხსნება ის გატაცებაც, რომელზედაც აკაკი ამბობს „ჩემს თავგადასავალში": „მიყვარდა ხოლმე ყანებში სიარული, სადაც მუშები იმღეროდნენო"[2]. ჩვენი პოეტი აქ ბავშვის საერთო მისწრაფებას გამოხატავს

---

[1] კ. ცეტკინი, მოგონებანი ლენინზე, წიგნში-„ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ" 1957, გვ. 609.

[2] ა. წერეთელი, ტ. 7, 1958, გვ. 12.

სიმღერა-მუსიკისადმი. ასეთი სიყვარული ყოველთვის იყო მუსიკალური აღზრდის ერთ-ერთი დასაყრდენი; აქ მუშავდება გემოვნება, რიტმის გრძნობა და სხვ. ხალხი ადამიანზე მშვენიერების ზეგავლენას უმთავრესად შრომისა და ბრძოლის პროცესში გვიჩვენებს. ეს პროცესი დიდად უწყობს ხელს გრძნობის გამომუშავებას. შრომის რიტმი თვით შრომასაც უფრო ინტენსიურს და ნაყოფიერს ხდის.

ასეთი ორმხრივი ზემოქმედების შედეგად, მუსიკალური სმენის აღზრდას და ჰარმონიული მოძრაობის განვითარებას ეწყობა ხელი. კერძოდ „ნადურში" ამას, ე. წ. შეძახილებიც ეხმარებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ აქვე ხელი ეწყობოდა ყოველი მომღერლის ერთგვარი პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდასაც. მომღერალი უნდა მომზადებულიყო, რათა დისონანსი არ შეეტანა საერთო რიტმში, თავის ხმის უადგილო აჟღერებით. ესეც გარკვეულ პირობას ქმნიდა მშვენიერების გრძნობის განვითარებისათვის.

მთელი რიგი სანახაობებიც, რომლებიც სხვადასხვა ვითარებაში იმართებოდა, ესთეტიკური აღზრდის საშუალებას წარმოადგენდა.

მაგალითად, „ლაზარობა", „გონჯაობა", „ბერიკაობა" და სხვ. „ბერიკაობა", რომელიც მოსავლის მიღების მიზნით სრულდებოდა ცრურწმენის საფუძველზე, თავის დროზე დიდ გავლენას ახდენდა მაყურებელზე და კერძოდ — ახალგაზრდობაზე. „ყეენობის" პატრიოტული შინაარსი (ყეენთან ბრძოლა) და მთელი ის ცერემონიალიც, რომელსაც ამ დროს ჰქონდა ადგილი, გარკვეული ესთეტიკური განცდით აიარაღებდა ახალგაზრდობას.

აქვე თუ მოვიგონებთ „აბესალომ და ეთერის" ზემოთმოყვანილ ადგილს, რომელშიც სიტყვის გატეხის უარყოფითი შედეგები ჩანს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფოლკლორში ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდის მომენტების ერთმანეთთან შერწყმის შემთხვევებსაც ვხვდებით, რაც ხალხური პედაგოგიური აზროვნების მნიშვნელობას ზრდის. მაგრამ მშვენიერების გრძნობის აღზრდასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა იმასაც აქვს, რომ სიმღერები ხალისიანობას იწვევს, რაც, ხელს უწყობს აღქმის უნარიანობის განვითარებას, გემოვნების გამომუშავებას, საერთოდ — ესთეტიკურ აღზრდას.

სიმღერის შესრულებას ხომ თავისი წესი ჰქონდა და მასზე შეჩვევაც ესთეტიკური აღზრდის საშუალება იყო. კერძოდ, „ნადურის" შესრულების დროს მკაცრ წესრიგს მოითხოვდნენ. ამ ჩვეულების კარგი მცოდნე აპ. წულაძე წერდა, სიმღერა მუშაობის გარკვეულ ტემპს ჰქმნისო. მას ყველა ემორჩილება, მომღერალიც და არამომღერალიც. ამ რიტმის დარღვევას არავის აპატიებდნენ. სიმღერა ძლიერდება „ისე სწრაფად, რომ თვალს ძლივს მოჰკრავ. თოხს სიმღერის ტემპს

აყოლებს, როგორც მომღერალი, ისე არამომღერალი. ყველამ უნდა დაიცვას ტაქტი"[1].

ეს მომღერლის თავისთავზე მუშაობის კარგი საფუძველი იყო: განსაკუთრებით ადამიანი, რომელსაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ასე ერთსულოვნად სურდა „ნადურის" მონაწილე გამხდარიყო, ყოველნაირად შეეცდებოდა ევარჯიშა, დაკვირვებით შეესწავლა ნადურის წესები და შესრულების დროს დაკვირვებული და ფრთხილი ყოფილიყო. ეს კი ხელს უწყობდა მის ესთეტიკურ აღზრდას და ბავშვებისა და მოზარდების მაგალითსაც წარმოადგენდა, ბავშვებისა, რომლებიც იქვე იყვნენ და აღგზნებულნი უსმენდნენ ამ სიმღერას. ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი ხელისშემწყობი უნდა ყოფილიყო ხალხური თეატრალური „დადგმებიც". მრავალი წარმართული შინაარსის ხალხური წარმოდგენები და სანახაობები იყო შემორჩენილი. ასეთია, მაგალითად, გარდა „ბერიკაობისა", „დათო", „ცხენკაცობა", „აქლემკაცობა" და სხვ[2].

სიტყვას „ბერიკა", როგორც ამჟამად გარკვეულია, სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ. „ბერი", „შვილი", „ბავშვი", „ბიჭი". ამასთან ის საერთოდაც შვილს ნიშნავს[3]. საყურადღებოა ის, რომ ხშირად, ბერიკაობაში ბავშვები მონაწილეობდნენ. საინტერესოა, ამ მხრივ, ლექსი ბერიკაობაზე:

„სოფელში დავდით კარიკარ, ბერიკაობა ღამეა"-ო და:
„ბავშვებსა ჰკიდავ გედები, მასპინძელზე აქვს თვალია.
გუდას მოიხდის, იძახის: — ცოტა თქვენ ჩაგვიყარია,
ყველი და ხაჭო ჩაგვიღეთ, ხორციც მოგვეცით მალია.
— ახალგაზრდები ყვირიან: — არაუ ჩაგვისხი ცხარია!"...
(დ. ჯანელიძე, იქვე. გვ. 405).

აქ გარკვევით ჩანს, რომ ბავშვები ამ ხალხური ცერემონიალის აქტიური მონაწილენი იყვნენ. მაგრამ, ხშირად, ისინი მთავარ როლშიც თვითონ გამოდიოდნენ. დ. ჯანელიძეს მოჰყავს ფშაური ბერიკაობის შემდეგი აღწერილობა: „აღსანიშნავია აგრეთვე, პატარა ქალების ბერიკაობა. იკეთებენ ყვავილების გვირგვინს. ტანზე იცვამენ ღია ფერის კაბებს (თეთრი, ყვითელი, წითელი და სხვ.), ისინიც მუსიკით დადიან სოფლად". აქვეა მეორე ცნობაც: „თუშეთში" ბავშვები, ენძელა რომ ამოვა, გვირგვინებს დაიდგამენ თავს, მეფე-პატარძალი ვართო, კარდაკარ დადიან, მღერიან, ცეკვავენ და კვერცხებს აგროვებენ"[4].

---

[1] ალ. წ უ ლ ა ძ ე, ეთნოგრაფიული გურია, „მნათობი", 1939, № 3 გვ. 182—183.
[2] დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, „ქართული თეატრის ხალხური საწყისები", გვ. 49—58.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 345—346.
[4] დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, იქვე, გვ. 348—349.

მაგრამ „ბერა“, „ბარა“ ცხოველის შვილსაც ნიშნავს. ეს კიდევ უფრო ამტკიცებს აზრს, რომ ბერიკაობა საერთოდაც არის შვილთან დაკავშირებული, ე. ი. ეს მართლაც, ზოგადი ტერმინია. ყველაფერი ეს უსათუოდ აძლევდა ხალხს საფუძველს — ამ სანახაობის შემსრულებლად ცხოველის შვილიც (კერძოდ დათვის ბელი) გამოეყვანა. აქვე შემდეგიც უნდა ითქვას: ბერიკაობა სახალხო სანახაობა იყო და როგორც აღნიშნულია (დ. ჯანელიძე იქვე, გვ. 398—399), თავისთავადაც საჭიროებდა ზრდადამთავრებულ ადამიანებთან ერთად, ბავშვების და ახალგაზრდობის მონაწილეობას (მოსახლეობაში კარდაკარ სიარული და სხვ.).

ამასთან ხალხური თეატრალური სანახაობა მაყურებელს საშუალებას აძლევდა, საგანგებოდ მორთვა-მოკაზმვის გარეშე დაუფლებოდა ესთეტიკური აღზრდის ერთგვარ ელემენტებს, განევითარებინა თავისი გემოვნება და ცხოვრების ამა თუ იმ მხარესაც გაცნობოდა.

ცხადია, ისიც ხდებოდა, რომ ბერიკები, ზოგჯერ, საგანგებოდ შერჩეულ მოედნებზე გამოდიოდნენ. გარდა ამისა, ბერიკაობა, ზოგჯერ, მეფის სასახლეშიც იმართებოდა. შემორჩენილია ცნობა, რომლის მიხედვით, ერეკლე მეორის სასახლეში საგანგებოდ ყოფილა მოწყობილი „საოხუნჯო დარბაზი“ (ჯანელიძე, იქვე, გვ. 400), რაც ცხადია, მაღალ არისტოკრატიას ემსახურებოდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ „საოხუნჯო დარბაზში“ სხვა სახის გასართობებიც იქნებოდა, მაგრამ, საერთოდ მაინც, ბერიკაობის ძირითადი სამოქმედო ასპარეზი მოსახლეობის კარმიდამო იყო.

ბერიკები სხვადასხვა სახით გამოდიოდნენ ხალხის წინაშე: ა. ცხოველის სახით. (ბერიკაობის შემსრულებელ ბერიკას ზოგჯერ, „დათოს“, დათვს უწოდებდნენ; „ბერიკაობაში“ ღებულობდა მონაწილეობას მოთამაშე, რომელიც ხარის ბერიკოში ნიღაბში იჯდა, — (ჯანელიძე, იქვე, გვ. 349) და ბ. ადამიანის სახით („მოხუცად შენიღბული ბერიკა დადის ჭუჩა-ქუჩა და ცეკვავსო“), (იქვე, გვ. 398).

აღზრდის თვალსაზრისით აქ ორი მხარეა გასათვალისწინებელი: ა. მოზარდი ადამიანის (ბერიკას) ესთეტიკური წრთობა (კოსტუმი, ნიღაბზე შეჩვევა, და რაც მთავარია — ქცევების იმ სახით გადმოტანა, რომელიც გამოსახატავ პერსონაჟს ჰქონდა, ე. ი. თავისთავის სხვად ქცევის ხელოვნების დაუფლებაში ჩვევის მიღება) და ბ. მაყურებლის ესთეტიკურად აღზრდის ელემენტები.

მაგრამ ბერიკაობას მუსიკალური აღზრდისათვისაც ჰქონდა მნიშვნელობა. ბერიკები დადიოდნენ დაფა-ზურნით (უფრო ადრე კი სტვირით) და მღეროდნენ შემუშავებულ სასიმღერო რეპერტუარს (დ. ჯანელიძე, იქვე, გვ. 225—226).

ყველაფერი ეს მუსიკალური აღზრდის ერთ-ერთი კარგი საშუალება უნდა ყოფილიყო. აქაც ორი მიმართებით უნდა წარმოებულიყო აღმზრდელობითი ზემოქმედება: ერთი მხრივ, თვით ახალგაზრდა ბერიკები აწრთობდნენ თავის სმენას და ვარჯიშობდნენ მუსიკალური იარაღის გამოყენებაში, მეორე მხრივ კი — ახალგაზრდა მსმენელებს უვითარდებოდათ მუსიკალური სმენა. მაგრამ ბერიკაობის აღმზრდელობითი როლი მხოლოდ მასში მონაწილეობით არ განისაზღვრებოდა.

როგორც პირველის, ისე მეორის (მუსიკალურის) შესრულება წინასწარ სამზადისს საჭიროებდა. სამზადისი კი ახალგაზრდობის ესთეტიკური ფორმირების მეტად მნიშვნელოვანი პირობა იყო. არსებითად აქ ყალიბდებოდა მომავალი ბერიკა, რომელსაც უნდა მიეზიდა მაყურებელი და გავლენა მოეხდინა მასზე, ხელი შეეწყო მისი ესთეტიკური გემოვნების გამომუშავებისათვის. მართლაც, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ემზადებოდნენ ბერიკაობაში მონაწილეობისათვის (ათი-თხუთმეტი დღის განმავლობაში), დიდებიც და პატარებიც: ანაწილებდნენ როლებს (იქვე, გვ. 352). ამას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი ხალხური მსახიობის მომზადებისათვის.

* * *

როგორც ვიცით, სიმღერა, ხშირად მუსიკალური ინსტრუმენტით სრულდება. ასეთი ინსტრუმენტი კი ზოგჯერ ამა თუ იმ შრომით საქმიანობასთანაა დაკავშირებული. ცხოვრების მოთხოვნილებათა საფუძველზე შექმნილი და გულში ჩამწვდომი მელოდიები ადვილად ამახსოვრდება ადამიანს. ეს იმით აიხსნება, რომ „ზნეობრივი ხასიათი ქართველთა სამუსიკო პიესებისა, — ამბობს ი. კარგარეთელი, — შეეფერ-შეეწონებოდა ერის მოთხოვნილებას, მათი მნიშვნელობა სამუდამჟამოა ქართველთათვის“ — „ამ პიესებს ზედ დაეტყო და დაემჩნია ყოველგვარი საისტორიო გარემოება, ყოველგვარი მიმართულება საპოლიტიკო; სახელოვნებო და საზოგადო ცხოვრებისა“[1].

გასაგებია ის ზემოქმედება, რომელსაც ხალხური ნაწარმოები ახდენდა მასებზე და კერძოდ ახალგაზრდობაზე. ახალთაობის ესთეტიკური აღზრდა ხალხს ცხოვრების მოთხოვნილებად მიაჩნდა. ამას ადასტურებს ლექსი ბოდბისხეველ ნანაზე, რომელზედაც სხვაგან გვაქვს მსჯელობა და რომლის მიხედვით, იმის გამო, რომ ნანამ მუსიკალურ ინსტრუმენტზე (გარმონზე) დაკვრა არ იცოდა, უხერხულობაში ჩავარდა და კინაღამ დაიღუპა. (ფ. ა. კოტეტიშვილის კოლექცია, II, საქმე 21, № 283).

ი. კ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ი, ქართული მუსიკა, ჟ. მოამბე, 1895 წ. № 11, გვ. 65.

* * *

მშვენიერების ზემოაღნიშნული ზემოქმედება ადამიანზე და კერძოდ მოზარდზე, ესთეტიკური აღზრდის ერთგვარ პროცესს წარმოადგენდა.. მაგრამ ისიც (როგორც საერთოდ-ხალხური აღზრდა) ბუნებრივ პირობებში მიმდინარეობდა, რადგან მშრომელებს რევოლუციამდე სასკოლო ესთეტიკური განათლების მიღების საშუალება არ ჰქონდათ, თუმცა ხალხი ოცნებობდა ასეთ სკოლებზე. ამ მხრივ საგულისხმოა რომ ნაწარმოებში „სოვდაგარი", მას გამოჰყავს ყმაწვილი, რომელიც ყოველ ძალღონეს ხმარობს იმისათვის, რომ სხვა ცოდნასთან ერთად, დაფა-ზურნის დაკვრასაც დაეუფლოს. დაფა-ზურნის დამკვრელს მან ჰკითხა: „რა მოგცე, რომ დაფა-ზურნის დაკვრა მასწავლო". „ათი თუმანი მომეცი და ძალიან კარგად გასწავლიო". ხალხი ამბობს: ყმაწვილი ისე იყო დაფა-ზურნაზე დაკვრის შესწავლის სურვილით გატაცებული, რომ მედაფაზურნეს ათი თუმნის მაგიერ ოცი თუმანი მისცა სწავლებაშიო. ამ უკანასკნელმაო — ნათქვამია ნაწარმოებში ქვემოთ, „მას სამ დღეს ისე ასწავლა, რომ თავისზე უკეთესად", თან ერთი დაფა-ზურნაც აჩუქაო („რჩ. ქართ. ხალხ. ზღ." გვ. 339).

აქ მუსიკის სწავლებასთან გვაქვს საქმე, რასაც, როგორც ჩანს, დადებითი შედეგი მოჰყოლია. ასეთი „კერძო პრაქტიკა" ხალხური ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი საშუალება იყო. მაგრამ, ამასთან ერთად, ესთეტიკურ აღზრდას მასობრივი ფორმაც ჰქონდა. ეს ხალხური თეატრი, ფოლკლორულ ნაწარმოებთა შესრულება და სხვადასხვა ხასიათის სანახაობები იყო. ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდაში, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა შრომის სიმღერებიც, რომელთაც, თითქმის, ყოველთვის ისმენდნენ გლეხის ბავშვები (შრომის პროცესში, სხვადასხვა ხასიათის თავშეყრილობებში, მგზავრობის დროს და ა. შ). ასე, შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული ადამიანები მხოლოდ „ბუნებრივ" ატმოსფეროში ეუფლებოდნენ ხალხური ხელოვნების ამა თუ იმ დარგს. საგულისხმოა, რომ ამის მაგალითი საბჭოთა წყობილების პირობებშიც კი შემორჩა, ე. ი. მაშინ, როცა ესთეტიკური აღზრდის ყოველგვარი პირობაა შექმნილი. მუსიკათმცოდნეები ასახელებენ ჩონგურის შესანიშნავ დამკვრელს გ. გარუჩავას, რომელსაც არც მუსიკალური განათლება აქვს და არც ზოგადი. ამის მიუხედავად, მან ჩონგურის ისეთი რეკონსტრუქცია მოახდინა, რომ მუსიკის სპეციალისტთა ყურადღება დაიმსახურა (ვ. შილაკაძე, „მეტყველება და მუსიკა", 1969, გვ. 138—140).

ამასთან ცხადია, რომ სიმღერა მოძრაობის მაორგანიზებელი ძალაცაა, — რამდენადაც მისთვის საჭირო წესრიგს გუნდის ყოველი

მონაწილე უნდა დაემორჩილოს. მაგრამ ხალხი საერთოდაც დიდ ყურადღებას აქცევდა წესრიგიანობისა და სისუფთავის საჭიროების გრძნობის გამომუშავებას. საილუსტრაციოდ მოვიგონოთ ლექსი ახალ პატარძალზე. აქ ყურადღებას იპყრობს გამოთქმა „ახალი პატარძალი ვარ“, და შემდეგ მისი უცოდინარობა და უწესრიგობა ოჯახურ საქმეებში, საერთოდ აქ მითითებულია ცხოვრებაში გამოსულ ახალგაზრდაზე, რომელსაც არც ელემენტარული ესთეტიკური სიფაქიზე აქვს და არც წესრიგიანობის საჭიროების ოდნავი ჩვევა. ხალხი სწორედ ამიტომ გმობს მას. კარგად ჩანს: ხალხის ესთეტიკური შეხედულება აქ არა გართობასა და ფუფუნებას, არამედ შრომას, ოჯახური მეურნეობის წარმოებას და მის ესთეტიკურ მოწყობილობას უკავშირდება.

ესთეტიკური აღზრდის ელემენტი შეიძლება დავინახოთ შემდეგი ფერხულის ტექსტშიც, რომელიც ძველად სრულდებოდა:

„დათო, სახლი დაგვიგავეო,
ჩემო დათუნაო (ქალებიც ბასს ეტყოდნენ).
ახლა პირი დაიბანე
ჩემო დათუნაო,
ნაგავიც გადაყარეო,
ჩემო დათუნაო.
სარკეშიაც ჩაიხედე,
ჩემო დათუნაო“ (ფ. ა. კოლექც. XXVIII ბ, გვ. № 138).

სახლის დაგვა და თვითმომსახურეობის ელემენტები, პირის დაბანა, სარკეში ჩახედვა და სხვა ჩვევები, რომლებიც ბავშვის ცნობიერებაში უნდა ჩანერგილიყო, ყოველივე ეს მოზარდს ესთეტიკურ ქცევებს უმუშავებდა. ეს მაგალითები იმაზე მიგვითითებენ, რომ ხალხი უშუალოდ აკავშირებდა ესთეტიკური აღზრდის ამოცანებს ბავშვის, მოზარდის პრაქტიკულ საქმიანობასთან. შრომასთან ესთეტიკური აღზრდის ორგანული დაკავშირება, თანამედროვე საბჭოთა აღზრდის აუცილებელი ელემენტია.

ესთეტიკურ აღზრდას ემსახურება ნაწილი იმ თამაშობებისა, რომლებშიც ადამიანი, ან ესა თუ ის ცხოველი და ფრინველია გამოყვანილი. ამ თამაშობათაგან ბევრს უნდა ჰქონოდა მნიშვნელობა არტისტული ჩვევების გამომუშავებისათვის. აქ ბავშვი არტისტობის საწყისს, ელემენტარულ ჩვევებს ეუფლება. ის ანსახიერებს „დედის“ „შვილის“, „კრუხის“, „წიწილების“, „ქორისა“ და სხვ. როლებს და ცდილობს, — ზუსტად წარმოადგინოს თამაშში მოცემული პერსონაჟის ყოველი თვისება.

ხალხი მშვენიერების გრძნობის აღზრდაში განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნებს მუსიკალურ ინსტრუმენტს: იგი მას ახასიათებს, რო-

გორც თავისი ინტერესების გამომხატველ მშვენებას. ეს აზრი პირდაპირ არის გამოთქმული ლექსში ჩონგურის შესახებ: „ჩონგურიო —

„ეჰ ჭირამ გლეხის შვილსა,
შვენება არის ძმისაო“, (ფ. ა. №32015).

ამ მშვენებას კი, მისი აზრით, დიდი აღმზდელობითი როლი აქვს. ლექსისა და სიმღერის შემსრულებლები — მეჩონგურეები, მეფანდურეები, ბესაზანდრეები და სხვ. მუსიკალური იარაღით გადასცემდნენ ადამიანებს, მათ შორის — ახალგაზრდობას: მშრომელთა განწყობილებებს, მისწრაფებებს, სურვილებს, მხატვრულ გემოვნებას. მაგრამ ეს „პედაგოგიური პროცესის“ მხოლოდ ერთი მხარეა. მას აქვს მეორე მხარეც — მუსიკალურ იარაღზე დაკვრის სწავლება. რომელიც ზუსტად გამოხატავს აღზრდის პროცესს. მუსიკალური აღზრდის დაწყებასაც შედარებით ადრე ასაკში ცნობს ხალხი საჭიროდ. არის ნაწარმოები, რომლის მიხედვით, ათი წლის ბავშვი მიუყვანიათ მესტვირეობის შესასწავლად (იქვე, № 31561).

მესტვირეობის შესწავლა ხალხს გონივრულ და სასიამოვნო საქმედ მიაჩნია:

„მე რომ ღმერთმა გამაჩინა,
ჭკვა-გონება დამატანა:
ხელში მამცა ჭრელი სტვირი,
ამ სოფელში დამატარა.
საცა მიველ, ზედ დამედო
დიდი იყო თუ პატარა“[1].

ხალხი მუსიკალური იარაღის თვისებებზეც აწვდიდა მოზარდს ცნობას. ამ მხრივ საყურადღებოა ზოგიერთი გამოცანა. მაგალითად, ერთ-ერთი ზემოთ აღნიშნული გამოცანა მას წარმოდგენას აძლევდა მასალაზე, რომლითაც სტვირს აკეთებენ („მუცელი აქვს ცხვრისა“-ო), აგრეთვე იმის შესახებ, რომ, როგორც ითქვა, მას სოფელში დაატარებენ და გარკვეულ გასამრჯელოს ღებულობენ. რიგი ნაწარმოებებით ბავშვი აგრეთვე ღებულობდა ცნობებს ჩონგურსა და გარმონზე.

ესთეტიკურ აღზრდას გარკვეული წესები ჰქონდა, რომელთაც განუხრელად იცავდნენ და მომავალ თაობებსაც გადასცემდნენ ხანდაზმული ადამიანები. ამის ერთ-ერთ მომენტს ეხება სწორედ აკად. აკ. შანიძის სიტყვები ხევსურულ „სიმღერებთან“ დაკავშირებით: „სიმღერა ხევსურეთში უფრო იმას გულისხმობს რომ ჯარში უფროსები დასხდება, ხელში ლუდიანი ჯამები უჭირავთ. უმცროსები კი

[1] ფშაური ლექსები, დ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ შეკრებილი, გვ. 201.

თავ-მოხდილებია და ცალ მუხლზე დაჩოქილი. ერთ მათგანს ფანდური აქვს და ამღერებს საგმირო შინაარსის სიტყვებს. შემდეგ ფანდურს მეორეს გადასცემს და ახლა ის დაამღერებს. შემდეგ იგი მესამეს გადასცემს, იგი კიდევ სხვას...“[1].

აქ აღზრდის გარკვეულ პროცესთანაც გვაქვს საქმე, რომელსაც თავისი ტრადიცია უნდა ჰქონოდა. შ. ასლანიშვილი, როგორც სხვა, ისე ამ ცნობის საფუძველზე აღნიშნავს: „როგორც ჩანს, ლექსთა დამღერებით კითხვის წესი ძველ წარსულში იყო გავრცელებული“-ო[2].

მაგრამ ხალხი მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრის სწავლებითაც არ იფარგლებოდა. იგი ცდილობდა — მისი დამზადებაც ცოდნოდა მოზარდს. ასეთ ცოდნას ის პრაქტიკულადაც აძლევდა მას (ფ. ა. № 27220). მაგრამ ამასთან ერთად, გარკვეულ მითითებებსაც უმუშავებდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ესა თუ ის ინსტრუმენტი. ამის ერთ-ერთ ილუსტრაციას შემდეგ გამოცანაში ვხედავთ:

„ავდექ ტყის პირას მივმართე,
ხე გამოვთალე სახმარი,
ტყის პირს სიმტკიცე უსინჯე.
ხერხი ვიხმარე, სხვა ხმალი:

ოთხი ძმანი ჯორზე შევსვი,
ვალაპარაკე სხვასსხვანი და
ამის გამომცნობელსა ჭკუა
ექნება სახმარი (ჩონგური)“, (ფ. ა. № 27 220).

ამ გამოცანით ბავშვი გებულობდა, რომ ჩონგურის გასაკეთებლად მასალის საგანგებოდ შერჩევა და მასთან გარკვეული წესების დაცვაც არის საჭირო. ასეთი მითითებაა სტროფშიც საზანდრის შესახებ (მის მასალად ხის გამოყენება და სხვ.).

* * *

ხალხი ესთეტიკური აღზრდის დადებით შედეგებზეც მიუთითებს. მაგალითად, ის ამბობს: ზემოხსენებულმა ყმაწვილმა მიიღო რა „მუსიკალური განათლება“ დაფა-ზურნაზე დაკვრით, მდიდარი კაცის გული მოიგო და ბედნიერი ცხოვრება დაიმკვიდრაო („რჩ. ქართ. ხალხ. ზღაპ.“ გვ. 341—342). ამრიგად, ხალხური ესთეტიკური აღზრდა მიზანს აღწევსო, ამბობს ხალხი.

აქ ეკონომიურ შედეგზეა ლაპარაკი, მაგრამ რიგ ნაწარმოებებში სხვა ხასიათის შედეგებიცაა გათვალისწინებული. მშვენიერების გაგე-

---

[1] ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, გვ., 022.

[2] შ. ასლანიშვილი, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, 1956 გვ 18.

ბა და მისდამი ინტერესი, ხალხის აზრით, ადამიანს გამბედაობას მატებს და გმირადაც კი ხდის. ცნობილია მზეთუნახავების მოპოვებისათვის ზღაპრების პერსონაჟთა მიერ წარმოებული ბრძოლები. აქ შევეხოთ ლექსს „თაფარავნელი ჭაბუკი". ასპინძელი ქალის სილამაზე, რომელიც ზღვის „გამოღმაც" კი „კელეპტარობდა", ისეთი ზეგავლენის მქონე იყო, რომ ჭაბუკი სარისკო გზაზე დააყენა. იგი ზღვასაც არ შეუშინდა, რათა ეს მშვენიერება დაესაკუთრებინა —

„ზღვა ჰქონდა წინად საკალი,
გასელას შიგ არა ჩქარობდა" (ვ. კოტეტიშვილი, იქვე, გვ. 29).

ასეთი თავგამეტება ყოველთვის მაგალითს წარმოადგენდა ახალგაზრდობისათვის. მდგომარეობას, ერთი მხრივ, ის ართულებდა, რომ ვაჟის ხელი დოლაბით იყო დაკავშირებული და მხოლოდ ცალი ხელით მიარღვევედა ის ზღვის ტალღებს. ამას „ავსული ბებერის" ქცევაც ემატებოდა: ის ლამპარს უქრობდა, იგულისხმება — ტრფობის წყაროს უსპობდა მას. „ავსული ბებრის" სახით ავი ძალა ჩანს, რომლის დამარცხება აუცილებელი იყო მშვენიერების დასაუფლებლად. ჩანს, ვაჟმა ამ ქალის მშვენიერების ზეგავლენის შედეგად მრავალი წინააღმდეგობა განიცადა.

შეიძლება ვიფიქროთ: ზემოხსენებული სოვდაგრის შვილის მსგავსად, თაფარავნელ ჭაბუკს გარკვეული ესთეტიკური მომზადება ჰქონდა.

აქვე უნდა შევეხოთ ხალხური ესთეტიკური აღზრდის ერთ თავისებურებას — დასჯას. დასჯა ესთეტიკურ აღზრდის პროცესში თავისებური ხასიათის, უფრო „ჰუმანური", უფრო ლმობიერი უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ საინტერესოა „ნადურის" შესრულებაში შეცდომის გამო გამოწვეული სასჯელი. ის მომღერალი, რომელიც დაარღვევს „ნადურის" შესრულების წესს, ტაქტს, მას „ცალკე ნაპირს (სვრელს) მიუჩენენ, არ გაირევენ" საერთო მუშაობაში და სიმღერაშიო, აღნიშნულია ერთ ადგილას[1].

ცხადია, ეს დასჯის გარკვეული სახეა, დაახლოებით ისეთი, როგორსაც ბავშვთა თამაშის დროს აქვს ადგილი (მოვიგონოთ თამაშის მონაწილე ბავშვი თუ თამაშის წესს ვერ შეასრულებდა, თამაშიდან რიცხავდნენ).

ამრიგად, სილამაზე, მშვენიერება, უძლიერესი ძალაა, რადგან ის ცხოვრების ორგანული, განუყოფელი ნაწილია. გარეგნულად ლამაზი ადამიანი, თუ მას შინაგანი სილამაზე (ზნეობრივი სისპეტაკე და გო-

---

[1] ალ. წ ე ლ ა ძ ე, ეთნოგრაფიული გურია („მნათობი", 1939, № 3, გვ. 183).

ნიერება) არ აქვს, შეიძლება ჭეშმარიტად ლამაზი იყოს. ამიტომ ესთეტიკური აღზრდა ცხოვრების მოთხოვნებს უნდა დაუკავშირდეს; ესთეტიკურმა აღზრდამ ადამიანს მშვენიერების არსისა და მნიშვნელობის გაგების უნარი უნდა გამოუმუშაოს; „მუსიკალური ყური“ და ემოციები განუვითაროს; მშვენიერების განცდა ასწავლოს. ამასთან მან ხელი უნდა შეუწყოს შემოქმედი პიროვნების მომზადებას, რომელსაც მხატვრული მეტყველების უნარი ექნება, მუსიკალურ იარაღზე დაკვრა ეცოდინება და ა. შ. ესთეტიკური აღზრდა ადრე ასაკში უნდა იწყებოდეს. მისთვის სპეციალურად განკუთვნილი მეცადინეობა და სხვადასხვა ხასიათის მასობრივი ღონისძიებებია საჭირო, ამ შეხედულებათა ნაწილი თავის ფესვებს ჩვენი ხალხის ცხოვრების უძველეს პერიოდებში პოულობს.

მეშვიდე თავი

სამხედრო-ფიზიკური აღზრდის საკითხები

1. შეხედულებანი ფიზიკური შესაძლებლობის შესახებ

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ხალხურ შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი ცხოვრების გაუმჯობესების, უკეთესი ძეობიისათვის ბრძოლას უჭირავს და აქ გადამწყვეტი როლი ადამიანს აქვს მიკუთვნებული. ამასთან გათვალისწინებულია, რომ ჯანმრთელობასა და ფიზიკურ ძლიერებას მოკლებული ადამიანი ვერ უზრუნველყოფს ცხოვრების ამ მოთხოვნებს. ამით უნდა აიხსნას, რომ ქართველები უძველესი პერიოდებიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ ფიზიკურ განვითარებას, რაც მითოლოგიური ზღაპრებიდანაც ჩანს. ეს ყურადღება შემდეგ პერიოდებშიც დიდი იყო[1].

ცნობილია, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განუვითარებლობის გამო, უძველეს პერიოდებში ფიზიკური ძლიერების საშუალებას ხალხი „ღვთაებრივ ძალებში“ ხედავდა, რაც კარგად აისახა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. მაგალითად, ვიცით, რომ ამირანს, ხალხის უძველესი ცრუწარმოდგენით, ღმერთმა დაანათლა „გაქანებული ზვავის სიმარდე, თორმეტუღელა ხარ-კამეჩის ღონე და მგლის

[1] საილუსტრაციოდ, გ. ნიკოლაიშვილი, — ფიზიკური აღზრდის ზოგადი საფუძვლები, 1959, გვ. 9; მ. გორგაძე, ნარკვევები საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიიდან, 1959, გვ. 3—13; მ. აფრიდონიძე, მძლეოსნობის ისტორიის საკითხისათვის საქართველოში (ქუთ. პედ. ინსტ. შრ. XVII, გვ. 623). ზ. შერაზადიშვილი, ფიზიკური აღზრდა საქართველოს სკოლებში 1900—1917, 1967.

მუხლი". მაგრამ საჭიროებისამებრ, ამის შემდეგაც უმატებდა ძალას: როცა ამ გმირმა ამბრის ფეხი ვერ შედო ურემზე, ღმერთმა მას ახალი ძლიერება მიანიჭა. ამირანი ღვთაებისაგან მინიჭებული ძალებით ამარცხებდა „ბოროტ ძალებსო", — ამბობს ხალხი. მაგრამ დროთა ვითარებაში, ეს ყალბი შეხედულება ჯანსაღი შეხედულებებით შეიცვალა და ადამიანის ფიზიკური განვითარების წყაროც თვით რეალურ სამყაროში მოიძებნა. ეს თვით „ამირანის" ზოგიერთი ვარიანტიდანაც ჩანს"[1]. ვინც გამოიწრთობა, ვინც თავის ძალებს განავითარებს, ძლიერიც ის იქნება, ხოლო გარეგნული შეხედულება სრულიადაც არ ამტკიცებს მის სიძლიერესო, — ფიქრობს ხალხი. ეს აზრია სწორედ შემდეგ გამონათქვამში — „პატარა კაცმა დიდი გორა გადაიარაო" („რჩ. ქართ. ანდაზ. და სიტყ. მას"., გვ. 38). ფიზიკურად გამოწრთობილი ადამიანი ყოველგვარ სიძნელეს დაძლევს: „გზის სიგრძე არაფერია, თუ მუხლში ძალა შემოგრჩენია" (Q, 965, გვ. 53). ხოლო ის, ვისაც ასეთი მომზადება არ აქვს, თავისთავსაც შეარცხვენს და საზოგადოებასაცო, — ამბობს ხალხი. „ბეჟანიანში" ნათქვამია: როცა შვიდი წლის ბეჟანმა საშიშარ ტახტთან საბრძოლველად გასვლა მოინდომა, მამამ ის გააფრთხილა:

„თუ იმ ღორსა გამეექე,
ბიძას როსტომს რასღა ერჩი,
მთელს ერავნელთ შეარცხვენო" (ხ. შ. ს. ა. 2372, საინვენტარო, ვ. გვ. 3).

საბრძოლველად გასულ ბეჟანს რომ ღორის შეეშინდა და უკან დაბრუნებას აპირებდა, უთხრეს — მამაშენი ამის შემდეგ თავადებში ვეღარ გამოვა სირცხვილის გამოო (იქვე). ხალხი ამით ბრძოლისათვის მომწიფებისა და მომზადების აუცილებლობაზე მიუთითებს. სხვაგან კი მას ხაზგასმული აქვს, რომ თვით მებრძოლის უნარზეა დამოკიდებული ადამიანის წარმატება. ფიზიკური მომზადება და ბრძოლისუნარიანობა, აი, რა ასრულებს გადამწყვეტ როლს წინააღმდეგობებთან ბრძოლებში. აქ საყურადღებოა გამონათქვამი — „დიღმის მინდორი დიდია, გაქცევა შენზე ჰკიდია". („რჩ. ქართ. ანდაზ. და სიტყ. მას". გვ. 66). ეს ფიზიკური განვითარების საჭიროებაზეც მიუთითებს. ხალხის აზრით, ასეთი განვითარება, პირველ რიგში, შრომითაა შესაძლებელი. ამით აიხსნება, რომ სწორედ მშრომელები არიან ფიზიკურად ძლიერნი და ბრძოლისუნარიანნი, რის გამოც მეფეები მათ აგზავნიან ძნელი ამოცანების გადასაჭრელადო, — გვისაბუთებს ხალხი ზღაპრებში. მეფეები ომებსაც მშრომელთა დახმარებით იგე-

[1] სვანური პროზაული ტექსტები, ბალზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს შ ა ნ ი ძ ე მ, ვ. თ ო ფ უ რ ი ა მ, 1939, იქვე, „ამირანის" პირველი ვარიანტი.

ბენო. ზღაპარ „ქაჩალი მებატეს“ მიხედვით, სწორედ მებატემ იხსნა ქვეყანა მტრებისაგან[1]. ამის გამო, მშრომელთა შვილები ზოგჯერ მეფის შვილებსაც წვრთნიან ფიზიკურადო. ზღაპარ „ირმისას“ მიხედვით, სწორედ დაბალი ფენის წარმომადგენელმა — ირმისამ გაწვრთნა მეფის შვილი, შეატყო რა მას ფიზიკური სისუსტე. ზოგიერთ ნაწარმოებში მშრომელთა მაღალი საბრძოლო ტაქტიკაც არის ნაჩვენები. ასეთია ზემოთ მოხსენებული ნოველა, რომლის თანახმად, სწორედ ელეხის ტაქტიკურმა რჩევა-დარიგებებმა იხსნა ქვეყანა მტრებისაგან. საქართველოზე მტრების სისტემატური თავდასხმების გამო, მუდმივი მზადება იყო საჭირო თავდაცვისათვის და თვით ხალხი ამბობს — „იარაღს მტერი მოიტანსო“ (Q, 965, გვ. 135). შემდეგიც უნდა ითქვას: ფიზიკური ძლიერება და იარაღი არა მხოლოდ მტერთან, არამედ სხვა ვითარებაშიც, კერძოდ, მხეცთან ბრძოლებშიც ხომ აუცილებელია. ამით აიხსნება, რომ ხშირად ვხვდებით ცნობებს და ხოტბასაც საომარ იარაღებზე და მათ მაღალ შეფასებასაც. ამის შესახებ, ხევსურეთთან დაკავშირებით, აკად. ა. შანიძე წერს: „საომარ იარაღს“ ხევსური დიდად აფასებს, „რაიცა პოეზიაშიც ძალიან კარგადაა გამოხატული: ხმალი (ფრანგული, გორდა და სხვ.), თოფი (ხირიმი, ბუჩა, სიათა და სხვ.). ჯაჭვი, ძველ ლექსებში კიდევ მშვილდისარი ისეთი საგნებია, რომელთათვისაც სასიყვარულო სიტყვები, ეპითეტები და ხოტბა ბლომად მოიპოვება“ (აკ. შანიძე, „ქართ. ხალხ. პოეზია“, გვ. 026—027). ასეთივე დამოკიდებულება იყო იარაღისადმი ფშავშიც (ვაჟა-ფშაველა, ტ. V, 1961, გვ. 89).

ხალხი დიდად აფასებს იარაღს. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აგრეთვე ტანდასაცავ საშუალებებსაც — „შენ, ჩემო ჯაჭვო, აბჯარო, ჩაჩქანო ხორაზმისაო“ (ფ. ა. 33787).

საყურადღებოა, რომ ხანჯალთან და ძველი თავდაცვის საშუალებებთან ერთად, ფოლკლორში მოგვიანო პერიოდის იარაღებსაც ვხვდებით: ზარბაზანს, ტყვიამფრქვევს, „ვინტოვკას“, მაუზერს, ნაგანს და სხვა:

„ტახტის თავითი უკიდაე აბჯარი ასასხმელიო:
ხანჯარი სპილოს ტრიანი, თავი-ბოლომდე ჭრელიო,
ვინტოვკა არშავიანი, თავი ბოლომდე ძველიო,
ნაგან, სხვა გვერდზე მაუზერ,
მჭარ-იღლივ პატრონტაშები“... — (ა. შანიძე, იქვე, გვ. 490).

ტყვიამფრქვევი და ზარბაზანი კი ასეა მოხსენიებული: როცა ხევსურები აჯანყდნენო, მკერვალიშვილს

„აუღავ პულიმეტაი,
ნაჭაუხოზე დადგესა“ —ო (ფ. ა. № 33236).

[1] ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია, I. გვ. 242—243.

ზარბაზანი კი ასე —

„მოგიმართავ ზარბაზნებსა,
შენკე ვაქნევინებ პირსა“, —

ეუბნება ჩვენი მეფე თავდამსხმელ ჯაბალხანსო (ფ. ა. № 33275).

საყურადღებოა ცნობები იარაღის წრთობაზეც. ცნობილია ლექსი ამირანზე:

„მაშინ სად იყავ შავ ბადრო,
როს ჩემი ხმალი წრთებოდა“.

კერძოდ, ხმლის საწრთობად ცხიმიც ყოფილა გამოყენებული:

„ხმალო, ნაჭედო, საფრანგეთსაო,
ქალაქ ნაწდობო ერბოშიაო“ („მოამბე“ 1898, VI, 9, გვ. 94).

შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ფოლკლორში იარაღის გაუმჯობესების მნიშვნელობაზეც არის მითითებული. ავიღოთ შემდეგი ლექსი:

„დროება გამაიცვალა,
კაცნ გადაიქცნენ სხვაზედა.
რუსულებ თოფებ დაბეერდა,
ზირიმთ ვინ იცნობს ხმაზედა!
სამკალავს საფუხარ ვინ იცნობს,
ჯარ რო დასხდების სმაზედა!
ჯარი როს გავა მითხოსა,
ფრანგულს ვინ დასცდის ჭრაზედა“ (ბუთიაშვილის მასალებიდან).

აქ ნათლად ჩანს ხალხის დადებითი აზრი ახალ მოთხოვნილებათა შესაფერის იარაღთა საჭიროებაზე, ჩანს, რომ ძველი იარაღი ახალს ვერ შეედრება; რომ ხალხს მხედველობიდან არ რჩება იარაღების გაუმჯობესება. ასეთი განწყობილება კი ხელს უწყობდა მის შეხედულებათა განვითარებას იარაღის შესახებ.

მაგრამ ხალხმა ისიც იცის, რომ იარაღი მხოლოდ საშუალებაა, მთავარი ძალა კი თვით ადამიანია, მისი ცოდნა-გამოცდილება და უნარია. მეტიც: ადამიანს თუ სათანადო მომზადება აქვს, უბრალო ნივთიც კი შეიძლება იარაღად გამოიყენოს — „უცებ მოსულ მტერს იმით დახვდებიან, რითაც შეხვდებიანო“ (ფ. ა. № 26378). ამასთან შეიძლება ამა თუ იმ მომენტს ესა თუ ის იარაღი სავსებით არც შეეფერებოდეს და ყოველ ასეთ და მის ანალოგიურ შემთხვევებშიც, ადამიანია გადამწყვეტი — „ხმალს სიმოკლე ვერ დაუშლის, ფეხი წინ წასდგი, გაწვდება“. ყველაფერ ამისათვის კი, გარდა ჯანმრთელობისა, ფიზიკური მომზადებაა საჭირო.

რა ამოცანებია ფიზიკური აღზრდა-განვითარების წინაშე, ხალხის აზრით? — პირველი ამოცანა ჯანმრთელობისათვის ზრუნვაა. ამოსავალ დებულებად მოჩანს სწავლება — „სიცოცხლე გიყვარდეს და სიკვდილი გაგშორდებაო". („სწ. სიბ." გვ. 107). ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანები ყურადღებით ეკიდებოდნენ თავიანთ ჯანმრთელობას. ამის პირველი საშუალება ნორმალური კვებაა: „მეტი ჭამა მუცელს ატკენს" ადამიანსო („სწ. სიბ." გვ. 99). ბავშვის კვება დაბადებიდანვე დედის რძით უნდა იწყებოდეს. მეორე საშუალება მოძრაობაა: „აგორებული ქვა ხავსს არ მოიკიდებს" (არ დაავადდება — „ხალ. სიტყვ. ქრესტ." I, გვ. 113). ჯანმრთელობის პირობას წარმოადგენს აგრეთვე შრომა. შემდეგი ამოცანებია, როგორც ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ჩანს. ფიზიკური განვითარება და იარაღთან ერთად, მისი საჭიროებისამებრ გამოყენება.

ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ჩვენს ხალხს ფუფუნების წინააღმდეგ ბრძოლა და ბავშვის ორგანიზმის ხელსაყრელი პირობებით უზრუნველყოფა მიაჩნია: „ვინც თავის შვილს ანებივრებს, იგი უბედურებისათვის ამზადებსო" (ფ. ა. № 10101). ამ აზრის ერთგვარი დასაბუთებაა შემდეგი გამონათქვამები: „ფუფუნებაში აღზრდილი უძლური იქნება, არც თავს არგია და არც სხვასაო" („ძვ. საქ.", III, განყ. 2, გვ. 285). ამ მოსაზრებათა მიხედვით, ბავშვის ორგანიზმს ერთგვარი სიმკაცრით ეპყრობოდნენ. როგორც სხვაგან გვაქვს აღნიშნული, ქართულ ფოლკლორში გვხვდება მასალები „თოშიან წყალში" ბავშვის დაბანის შესახებაც. აი ესეც: ნადირობის შესწავლისათვის მისულ კაცს მონადირემ აჩვენა მცირეწლოვანი ბავშვები, რომლებიც ტიტველნი იყვნენ და ყინვიან წყალში ცურაობდნენ. შემდეგ კი ასეთი ახსნა-განმარტება მისცა მას: ვისაც ნადირობის შესწავლა სურს, ასეთი სიცივეც, შიმშილი და წყურვილიც უნდა აიტანოს, მაგრამ ახლა შენ ამას ვერ შესძლებ, „ნადირობის სწავლა ვისაც უნდა, ის ბავშვობიდან უნდა გამოეჩვიოსო" („ძველი საქართველო", 4, განყ. 4, გვ. 47). იგულისხმება — ეს წყალი საბანაოდ იყო გამოყენებული. ყინვაში წრთობა გვხვდება ნართების ეპოსშიც. სოსრიკო ყინვიან წყალში გამოიწრთო: ის ჭაობში ჩადგებოდა და შვიდი დღე და ღამის განმავლობაში ყელამდე წყალში იყინებოდაო[1].

ბავშვის ორგანიზმისადმი ასეთი სიმკაცრე, ცხადია, მიუღებელია.

---

[1] Нарты, Адыгейский героический эпос. Главный редактор А. А. Петросян. Москва, 1974, გვ. 205.

ამასთან უნდა ითქვას — ხალხს ერთი საყურადღებო აზრი ამოძრავებდა: ბავშვში თავიდანვე გამოემუშავებია წინააღმდეგობის დაძლევის უნარი, რაც შემდეგი სტროფიდანაც ჩანს:

„ზერაბ გაზარდა დედამ მიგდებ-მოგდებით, გლეხურა,
არც არა ბეური ტანთ ეცვა, არც არა მკლავთა ეხურა.
წამაიზარდა ზერაბი, თავადებ მაიმსახურა!“ („ხალხ. სიტყ.“ III, გვ. 12).

ხალხი ამბობს — „გლეხურად“ აღზრდამ მისცა საშუალება ზერაბს, წინააღმდეგობანი დაეძლიაო. მაგრამ ხალხი სიფრთხილით დამოკიდებულებასაც მოითხოვდა ბავშვის სათუთ ორგანიზმთან და ასორციელებდა კიდეც ამას: ბავშვს აკვანში ჩაწვენისას გაუკრავდნენ ხელფეხს, მუხლებზე მატყლის პატარა „მუხლთბალიშს“ უდებდნენ, რათა „მუხლის სახსრები არ დაშავებოდა“ (თელავის პედ. ინსტიტუტი, ჩალაბაშვილის რვ. გვ. 13)[1]. ხოლო შუბლი რომ წინ არ წამოწეოდა, თავზე ბამბის ქუდს დაახურავდნენ და მასზე საშუბლეს მიაკერებდნენ. კისერი და თავი რომ სწორად სჭეროდა, იმ ადგილს, სადაც თავი ედო, ჩაღრმავებდნენ (ე. მაჭავარიანი, „ბავშვის მოვლა-აღზრდის წესები მთიულეთში“ — აკად. ს. ჯანაშიას სახელ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX — A და XXI — B, 1957, გვ. 278).

ფოლკლორიდან ჩანს, რომ დიდი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ბავშვის კუნთების განვითარებას და ამისათვის მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ სიარულს, სირბილს, ხტომას. სიარულის მნიშვნელობას გულისხმობს ანდაზაც — „აი, ჩემი ორი ჯოხით ქვეყანა გავზომეო“ („ჯეჯილი“, 1905, № 4, გვ. 30). სიარულსა და სირბილში ვარჯიშს ემსახურება მრავალი ხალხური თამაში, მაგალითად, თამაში — „ციკო, ციკო და ბუე“. ერთი ბავშვი მგლის როლს ასრულებს, სხვები — ციკნებისას. „მგელი“ „ციკანს“ დასდევს და მისი შეპმა სურს, თუ რომელიმე „ციკანმა“ ვერ გაასწრო, „მგელი გაიტაცებს“ (ს. მაკალათია, „თუშეთი“ გვ. 164). თამაშში — „თავდავლაობა ანუ ქალაქობანა“[2] ნათქვამია „ყველაზედ მეტად გამარჯვებული ის არის, ვინც სრულად არ „გაიჭრება“, ე. ი. არ დაირტყამს ლახტს, ან თუ დაირტყამს, მაინც სხვაზედ ნაკლებსო. გამარჯვებას ის მიაღწევს, ვისაც „სიცქვიტესთან მუხლიც მისდევს და ჩქარი სირბილი იცის“-ო. ხტომა ხალხს სიყოჩაღის ერთ-ერთ გამოვლენად მიაჩნდა. საყურადღებოა, კერძოდ, თამაში „გადახტომობა“ (გადახტომა წარმოებს ფეხებსა და ხელებზე, — თელავის ინსტ. მ. ხარიტონაშვილის ჩანაწერები). ეს თამაში იმ მხრივაც არის

[1] ეს წესი აღმოჩნდა გორის რაიონშიც, ს. ვარიანში (ჩემი ჩაწ. მასალ.). ასეთი წესი იყო მთიულეთშიც.

[2] ქ. სიხარულიძე, სბავშვო ფოლკლორი, გვ. 101. 113—114.

საინტერესო, რომ მასში თანდათანობით რთულდება დასახული ამოცანა: ჯერ ერთი მოთამაშის გაწვდილ ფეხებზე ხტებიან, შემდეგ რამდენიმე მოთამაშის ერთმანეთზე დაწყობილ ფეხებზე. ასევე, ჯერ ერთ გაშლილ ხელზე ხტებიან, და შემდეგ — ორ ხელზე. გადახტომაში ჩვევის გამომუშავებას ემსახურებოდა, თამაშობები: „თავხტომა“, და „გრძელი ათურმა“, რომელთაც „მხედრულ“ თამაშობებს უწოდებენ[1].

ფიზიკური ვარჯიშის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებდა ახალგაზრდობის ხალხური „ვეფხისტყაოსანის“ გმირის — ავთანდილის სიტყვები. ეს უკანასკნელი ამბობს, რომ დედ-მამა მას „ცოდვა-ჭირით“ ზრდიდა; ციხეებს შორის თოკებს გააბამდნენ და მასზე არბენინებდნენ. ბოლოს ნათქვამია:

„მე ის მეგონა, ქვე, თუ მკელენ,
იგინი თურმე მწვრთნიდიან“-ო (ხალხური „ვეფხისტყაოსანი“ გვ. 131).

კარგად ჩანს, რომ აღზრდა აქაც ძნელ პროცესად არის წარმოდგენილი, რის გამოც აღსაზრდელი მასში მტრობას ხედავდაო, — ამბობს ხალხი, მაგრამ აქვე მიუთითებს: ვინც ასე გაიზრდება, ბოლოს მიხვდება — ყველაფერი ეს მის საკეთილდღეოდ წარმოებდაო („მე ის მეგონა, ქვე თუ მკელენ, იგინი თურმე მწვრთნიდიან“).

ამრიგად, წვრთნის პროცესი, ხალხის აზრით, „ცოდვა-ჭირსა“ ჰგავს, მაგრამ აღსაზრდელმა უნდა აიტანოს, თუ სიძნელეების დაძლევა და ამით ცხოვრებაში გამარჯვება სურს. წვრთნის ასეთივე შედეგს ვხედავთ ლექსშიც „იახსარი“: „ასე გავიდი თოკზედა, ვერავინ მამკიდოს თვალიო“ („ხალხურ. სიტყვ.“ III, გვ. 20). ხალხი მოქნილობის განვითარებაში ყოველთვის დიდ როლს ანიჭებდა, კერძოდ, სირბილს, ბურთის თამაშს. ბურთაობაში რომ ის ფიზიკური განვითარების საუკეთესო საშუალებას ხედავდა, ეს მრავალი ცნობით მტკიცდება, რომლებიც კერძოდ, მე-19 საუკუნის პრესაში ქვეყნდებოდა[2]. მისდამი ასეთ ინტერესს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა-განვითარებისათვის. ირკვევა: ხალხი ამჩნევდა სპორტის, ამ შესანიშნავი სახეობის, მრავალმხრივ მნიშვნელობას, იმას, რაზედაც აკაკი წერეთელი მიუთითებდა: — ბურთის თამაშის დროს ადამიანის ორგანიზმის ყველა ნაწილი მოძრაობს — „თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყველაფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდეს“-ო[3].

---

[1] პროფ. რ. ნ ა თ ა ძ ე, და გ. ნ ა თ ა ძ ე, ბავშვთა ხალხური თამაშობანი საქართველოში, კრებულში „გამოკვლევები საბავშვო ბაღის ახალი დიდაქტიკური მასალების შესახებ“, გვ. 120—124.

[2] საილუსტრაციოდ, „ივერია“, 1888, № 98, 1889, № 108, 1899, № 92.

[3] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, ტ. VII, 1958, გვ. 14.

ასეთი მნიშვნელობით აიხსნება, რომ ფოლკლორში ამ თამაშმა გარკვეული ასახვა ჰპოვა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოცანებია საინტერესო. ერთ-ერთ მათგანში სწორედ ბურთის თამაშია აღწერილი („ხალხური სიტყვიერება" მას. II, გვ. 122).

დიდი ყურადღებით სარგებლობდა ჭიდაობაც. სპორტის ამ სახეობაშიც ბავშვს პატარაობიდანვე ავარჯიშებდნენ. ფშავში გავრცელებული იყო, მაგალითად, თამაში „შეჭიდულა", რომლის საშუალებით მოთამაშე ბავშვები ჭიდაობის გარკვეულ წესებს ეცნობოდნენ და იცავდნენ კიდეც. ჭიდაობაში შეჯიბრიც იყო ბავშვებს შორის გავრცელებული.

ყველასათვის ცნობილია, ე. წ. ცხენოსნობის ამსახველი თამაშობებიც[1]. მათ მცირე ასაკის ბავშვები ანსახიერებდნენ. ცხენის როლს ჯოხი ასრულებდა. მასზე ბავშვი ჯდებოდა და დარბოდა. როგორც სწორადაა შენიშნული, ეს თამაში ბავშვის გამოცდილებას ავლენს ცხენის მოვლაში, კვებაში, საძოვარზე წაყვანაში, დაჭედვაში, ჯირითში და ა. შ.[2] იგი ერთგვარ პირველ მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენდა ცხენოსნობაში. ამასთან სირბილშიც უმუშავდებოდა ბავშვს გარკვეული ჩვევა[3]. აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ზოგიერთ ნაწარმოებში სწორედ ბავშვია ცხენოსნად გამოყვანილი. ზღაპარ „მონადირის შვილის" მიხედვით, ჯადოსნურმა ცხენმა მოინდომა — შეჯდომის დროს „კბილით დაეგლიჯა" ბავშვი, მაგრამ ეს უკანასკნელი „უცებ აიწია და შეჯდა. ცხენი გაფრინდა, ბავშვი ცას გააკრა". ამ უკანასკნელმა აქაც იმარჯვა, — მარდად მოექცა მას მუცელზე და თავი გადაირჩინა. ახლა „დედამიწას გააკრა", მაგრამ ბავშვი ზევიდან მოექცა მას. დიდხანს ათამაშა ცხენმა ეს პატარა ბავშვი, მაგრამ ვერაფერი დააკლო („ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია", I, გვ. 229). ასეთი ნაწარმოებებით ფიზიკური წვრთნის მაგალითებს ღებულობდა მოზარდი თაობა. მომზადებას კი, თვით ცხოვრება მოითხოვდა.

დიდი როლი აქვს ფოლკლორში დათმობილი საბრძოლო გამოცდილებას. ამის გარეშე ადამიანი ვერც კი წარმოიდგენს საომარ სიძნელეს და ვერც შეაფასებსო:

„ომ უჩვეულსა ჭაბუკსა, ომი ჯვარობა ეგონა,
ხმლის ცემა, ფარის ფარება ფარიკაობა ეგონა,
მოდენა ცხელის ტყვიისა — ციდამ ხორხოშა ეგონა,

[1-2] პროფ. რ. ნ ა თ ა ძ ე, გ. ნ ა თ ა ძ ე, ბავშვთა ხალხური თამაშობანი საქართველოში, კრებულში „გამოკვლევები საბავშვო ბაღის ახალი დიდაქტიკური მასალების შესახებ", რედ. ბ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, გვ. 103—104.

[3] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, 1935, გვ. 194.

დადება საკაცეზედა— თავის ლურჯაი ეგონა,
ჩადება სამარეშია — თავის ლოგინი ეგონა..“ (ხალხ. სიტყვ. III, გვ. 52).

სხვაგან ნათქვამია — „შანშემ რა იცის თოფისა, ჯერ ისარიც არ უსროლიაო[1].

გამოუცდელ ადამიანს ომი ადვილი საქმე ჰქონია. ეს გამოუცდელობა მათ დამარცხებას უქადისო.

ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იარაღის სათანადო მოხმარებას: „იარაღიანს თუ უიარაღომ დაასწრო, მერე იარაღი ზარალიაო“ („სწ. სიბ.“, გვ. 15), და პირდაპირ მიუთითებდა: „იარაღს ნუ აიღებ, თუ ხმარება არ შეგიძლიანო“ (ფ. ა. კოლექც. VIII, გვ. 10). ამ თვალსაზრისით უნდა აიხსნას, რომ ხალხი ქმნიდა სათამაშოებს, რომელთა საშუალებით ბავშვები ფიზიკურ მომზადებას გადიოდნენ. ვაჟებს თავიდანვე აჩვევდნენ იარაღის გამოყენებას. მაგალითად, ხევსურეთში პატარაობიდანვე ასწავლიდნენ მათ შვილდ-ისრის სროლას, ფარიკაობას. მცირე ასაკის ბავშვს ხანჯალს ჰკიდებდნენ, რის შედეგადაც ათი-თორმეტი წლის ყმაწვილი თავისუფლად ხმარობდა იარაღს.

ერთ-ერთ სვანურ თამაშთან („ლიდშნალ“) დაკავშირებითაც აღნიშნულია „ყოველს ყმაწვილს 12 წლიდან აქვს ხის ლეკური (დაშნა), რომელსაც იგი ინახავს წლიდამ-წლამდე, სანამ დანიშნულს ხნოვანობას არ გადასცილდებაო“. ფშავშიც გავრცელებული იყო მშვილ-დოსნობა, თოფიკაცობა და მათი მსგავსი თამაშობანი. თოფიკაცობა ასეა აღწერილი: „დიდ გულას ჯოხს გულს ამოაცლიან, პირში ჩვარს ჩაუტენავენ და ისვრიან“ (ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 49). იარაღზე შეჩვევა ნიადაგს ამზადებდა სროლაში ჩვევის გამომუშავებისათვის. ქართველებს უამრავი საამისო თამაში შეუქმნიათ. ასეთია, მაგალითად, სვანეთში — „ლიფშვნდანალ“, „ლიჯარბზუნალ“ („საბავშვო ფოლკლ.“ გვ. 121). ნიშანში სროლას სხვა მრავალი თამაშიც ემსახურება, მაგ. „ლახტაობა“ (რომელშიც ორმოში კეტის ჩაგდებისათვისაა სროლა), „ტამფაობა“ („დაყენებულ“ ჯოხს ესვრიან ბავშვები, — ხ. შ. ს. ა. 229 (1084).

ზოგიერთ რაიონში მოზარდებსა და ხანდაზმულ ადამიანთა შორისაც იმართებოდა სროლაში შეჯიბრი. ვაჟა-ფშაველა წერს, რომ ფშავში 12—13 წლის ახალგაზრდებს „მოხუცებულებიც არა ნაკლებ ეჯიბრებოდნენო“ (ვაჟა ფშაველა, V, გვ. 35). ზოგჯერ საწინააღმდეგო ვითარებასაც ჰქონდა ადგილი: თვით მოზარდები მონაწილეობდნენ დიდების ვარჯიშში — „თოფის სროლაში 12—13 წლის ყმაწვილებიც კი

[1] ნ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფული წერილები, I, 1962, გვ. 133.

ჩაერეოდნენ ხოლმე“ (იქვე). როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევას ის დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ხანდაზმულ ადამიანებთან თამაში, ერთი მხრივ, ინტერესს ზრდიდა მოზარდებში, მეორე მხრივ, კი, იმის საშუალებას იძლეოდა, რომ ეს უკანასკნელი მათს ცოდნას და ბრძოლისუნარიანობას გაცნობოდნენ. ნიშანში სროლისადმი დიდი ყურადღების მაჩვენებელია ისიც, რომ ზოგიერთ სოფელში საგანგებოდ ყოფილა მისთვის ადგილი შერჩეული, როგორც ქვემოთ ვნახავთ.

საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ კოლექტიურ შეჯიბრებებზე სროლაში. ასეთი იყო, მაგალითად, თამაში „ლიყანსგუნალ“ („საბავშვო ფოლკლ.“ გვ. 119—120). ბავშვები ორ ჯგუფად იყოფოდნენ (შეჯიბრი ჯოხების შორს მანძილზე სროლაში იმართებოდა ამ ჯგუფებს შორის). ამით ხელი ეწყობოდა არა მხოლოდ მეომრის, არამედ საერთოდ თავდაცვის უნარის მქონე ადამიანის აღზრდას; ადამიანისა, რომელსაც ადვილად შეეძლო, მაგალითად, ნადირის ბრჭყალებიდან თავის დაღწევა. ბავშვებს, მოზარდებს იარაღის ხმარებაში სწორედ იმიტომ ავარჯიშებდნენ, რომ ჯეროვანი ჩვევა და მომზადება მიეღოთ, გამოწრთობილიყვნენ. ამ მხრივ საგულისხმოა ერთი უსათაურო ლექსიც, რომლის მიხედვით, გმირი თავის დედ-მამას ავალებს, თუ ვისთვის გადაეცათ მისი იარაღი — ხმალი, ხანჯალი და თოფი, — ფარი და ჯაჭვი ლეგას მიეცით — ჯერ „ომში შაუვალია“-ო (ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 170).

ფარი და ჯაჭვიც ხომ თავდასაცავი საშუალება იყო, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში მათ სასწავლო იარაღების ფუნქციებიც უნდა შეესრულებინათ. საგულისხმოა ხალხში შემუშავებული აზრი, რომლის მიხედვით, იარაღის ტარების ღირსი მხოლოდ ვაჟკაცური თვისებების მქონე ადამიანი იყო.

„შანშეს მიეცით ხმალია;
სხვის ხელში ნუამც მეგულებს,
სხვა ღირსი არვინ არია,
ხანჯარი ფანჩაის შვილსა, ის კარგი მეომარია“ —
— „თოფი მიეცით ელიზბარს, ის კარგი მეომარია“ (იქვე).

ადამიანის ყოველ საქმიანობაში და კერძოდ, ფიზიკურ მომზადებაშიც გარკვეული წესების დაცვაა საჭირო. მაგალითად, ბახტრიონის გმირის ზეზვა გაფრინდაულის ლექსში გატარებულია აზრი — ომში ჯერ თოფი უნდა იქნეს გამოყენებული და შემდეგ — ხმალიო. ერთ-ერთი ბეტრის მუქარაზე — ბახტრიონში ვენახს მოვჭრი, „ზედ დავასახლებ ელსაო“ და არც თუშებისა და ზეზვას ცხენს მოვერიდებიო,

ზეზვა ამბობს: სულთანსო „თოფს დავკრამ, ხმალსაც შემოვკრავ, დღეს დავაყენებ ცხელსაო“[1].

მოპირდაპირის წინააღმდეგ ჯერ თოფის, ხოლო შემდეგ ხმლის გამოყენების წესს, არა მხოლოდ ორთაბრძოლაში, არამედ საერთოდაც იყენებდნენ ბრძოლის დროს. ერთ-ერთ ლექსში ნათქვამია: თავდასხმების დროს თუშებმა ჯერ ტყვია დაუშინეს და შემდეგ ხმლებით გადავიდნენ, მტერს გზა გადაუჭრეს და დაამარცხესო (გაზ. „კოლმეურნის ხმა“. 1953, № 13).

ლექსში ბახტრიონის ციხის აღების შესახებ, ერთ-ერთი გმირი თანამებრძოლს ურჩევს: „უკუღმ დავჭედოთ ცხენები დავამალვინოთ კვალიო“ (ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 26).

ამ რჩევის მიზანი, როგორც ჩანს, ის იყო, რომ მტერს ორიენტაცია დაჰკარგოდა ბრძოლის დროს. ა. ერბოში ამოვლებული მატერიის (ნაქსოვის) გამოყენება მტრის სიმაგრის ასაფეთქებლად. ერთი თუშური გადმოცემის მიხედვით, ქისტების ბელადი მურთაზი, თუშების ციხეს დასხმია თავს, მისი „სანგლის აფეთქება“ მოუნდომებია და ბრძანებაც გაუცია. ამის გამო, ერთ თუშის ქალს თავისი მანდილი ერბოში ამოუვლია, სანგალში გადაუგდია და ის აუფეთქებია (იქვე, გვ. 73). ბ. მაშხალების გამოყენება გზის გასანათებლად სიბნელეში, ლექსში თუშებზე მუცალის თავდასხმის შესახებ, ნათქვამია: თუშებმა ლევან ბატონიშვილს დახმარება თხოვეს. ეს უკანასკნელი ჯარით წამოვიდა და:

„ჭელთ მისცა მაშხარაები!
— შაინათნიდით გზანია!“ (H, 2025, გვ. 6).

ხალხი არც ზემოთ წარმოდგენილი საშუალებებით კმაყოფილდება: ფოლკლორში აღმზრდელისაგან მოზარდის უშუალო წვრთნასაც ვხვდებით. როგორც გარკვეულია, ეს ჩანს „ამირანის“ ერთ-ერთ ვარიანტში, მაგრამ მას ვხვდებით ლექსშიც — „შვიდნი გაზარდნა ვაჟკაცი“. ავიღოთ შემდეგი ადგილი:

„შვიდნი დაზარდნა ვაჟკაცი
არწივის ნაბუდარზედა,
შვიდთავ უყიდა თოფები,
შვიდთა დაჰკიდა მხარზედა,
შვიდთაე ფარ-ხმალი უყიდა,
შვიდთავ დაჰკიდა მხარზედა“ (დ. ა. კოლექცია, 10, № 104).

ჩანს, ასეთი უშუალო წვრთნა ჰქონდა გავლილი მითოლოგიური თქმულების „ამირანის“ გმირ ქალს — ყამარსაც, თორემ ისე ვერ ასწავლიდა ხმლის ხმარების წესს ისეთ გმირს, როგორიც ამირანი იყო.

[1] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, გამოკვლევები და წერილები, 1959, გვ. 420.

* * *

სამხედრო-ფიზიკური მომზადება ხალხის აზრით, ადრე ასაკში უნდა იწყებოდესო. ამ აზრს შემდეგი სტროფიც ადასტურებს:

„შენისთანა ვაჟკაცსა
დედა ვერ გაზრდის შვილსა,
შვიდი წლისა რომ შეიქნა,
ოსტატია ზარბაზნისა.“.

ამის გამო მას პატივი სცეს — დაასაჩუქრესო (ფ. ა. № 11139). ისიც საგულისხმოა, რომ ასეთი შეხედულება ისტორიულ პიროვნებებზეც გაუვრცელებია ხალხს, თუმცა აქ გმირის გონებრივი მომზადებაც იგულისხმება — „შვიდის წლის ქალი, თამარი მეფეთ თქვეს, დედოფალია“-ო („ქართ. ხალხ. საისტორიო სიტყვ.“ I, 1961, ქს. სიხარულიძის, რედ. შენიშვნებით, გვ. 206).

ფოლკლორში ათი წელიც გვხვდება დიდი ფიზიკური შესაძლებლობის გამოვლენის ასაკად. მტერთან ბრძოლაში დაღუპული სოლომონ ბატულაშვილის შვილიო:

„ათი წლისა რო შეიქნა,
ისიც ჯარში გამწესდესა“ (ვ. კოტეტიშვილი, იქვე, გვ. 123).

როგორც შენიშნული გვაქვს, ეს ცნობები ჰიპერბოლურია და ზოგჯერ თვით ხალხიც არასწორად თვლის მას.

შეიძლება ითქვას — აქ ისეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როგორც ზღაპრებში, რომელთა მიხედვით, მცირეწლოვანი ბავშვებიც საარაკო საქმეებს ჩადიან, რადგან ხალხს თავისი გმირების გოლიათობა სურდა დაემტკიცებინა. მაგრამ სამხედრო-ფიზიკურ მომზადებასთან დაკავშირებით, მეორე მომენტიც უნდა გავითვალისწინოთ: ხალხის მიზანია ასეთი მომზადების დიდ მნიშვნელობას გაუსვას ხაზი. ამიტომ ხალხი მცირეასაკოვანებსაც კი მიაწერს ასეთ ძლიერებას.

* * *

ფოლკლორში ზრდადამთავრებულ ადამიანთა ფიზიკურ წვრთნასაც დიდი ადგილი უჭირავს. შემოღებული იყო სხვადასხვა ხასიათის შეჯიბრი, სანახაობა და სხვ. აი, როგორ არის ერთ-ერთ ნაწარმოებში წარმოდგენილი შეჯიბრი „ჯირითის ტყორცნაში“. ტრიალ მინდორზე, მეფის სასახლის წინ, ხალხია თავმოყრილი და „რჩეული ჭაბუკები ერთმანეთს ჯირითის ტყორცნაში ეჯიბრებიან“. „ვინც სვეტისთავზე დადგმულ თასს გადმოაგდებს, მეფის ასულს მიათხოვებენო“. მაგრამ თასი ვერავინ გადმოაგდო“.

ეთნოგრაფიული ცნობებიდან ჩანს, რომ ასეთი შეჯიბრებები ხატობასა და მის მსგავს დღეობებზეც იმართებოდა და მასში ქალებიც მონაწილეობდნენ. ერთ-ერთ ცნობაში (რომელიც თუშეთს ეხება), ეს პროცესი ასეა გადმოცემული: ქალები მამაკაცებისაგან მოშორებით დასხდნენ ცალკე. ახალგაზრდობას მათთან ერთად უნდოდა თამაში და მათკენ „მიიწევდა, მოხუცნი მათ ამას უშლიდნენ, რადგანაც წინად ქალებში გარევა და იქ თამაში აკრძალული ყოფილა". მაგრამ, მათ მაინც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჯირითში მამაკაცების წინააღმდეგ. თავის მხრივ, ახალგაზრდობაც მათ წრეში იჭრებოდა და „ლეკურს" უვლიდა. ამას ჩქარა ცხენების რბევა მოჰყვა. ხატიდან 50 მეტრის დაშორებაზე ტყის ბილიკის თავზე დედაკაცები დაირაზმნენ და გზა შეკრეს, ხელში მათ ეჭირათ გრძელი ჯოხები და შოლტები" (ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 203).

ქვემოთ ნათქვამია — ეს რამდენჯერმე გამეორდა და ასეთი შეჯიბრებანი სხვა სოფლებშიც იმართებოდა მამაკაცებსა და დედაკაცებს შორისო. ესეც ერთგვარი წვრთნა იყო არა მხოლოდ მისი უშუალო მონაწილეების, არამედ ბავშვთათვისაც, რომლებიც დიდი ინტერესით ადევნებდნენ მას თვალ-ყურს.

ფიზიკური ვარჯიში და სათანადო წესრიგის დაუფლება დისციპლინიანობის აღზრდის მნიშვნელოვანი საშუალებაც იყო.

* * *

მასალებიდან ჩანს, რომ სამხედრო-ფიზიკური მომზადების ზოგიერთ სახეობაში ერთგვარ შემოწმება-გამოცდასაც უნდა ჰქონოდა ადგილი. სიტყვა „გაგსინჯე", გამოცდას გულისხმობს. ამასთან, როგორც აღზრდის სხვა მხარეებთან დაკავშირებით, ისე აქაც ხალხი ფიქრობს — ადამიანის ფიზიკურ მომზადებას თვითონ ცხოვრება ამოწმებსო, ცნობილია ანდაზა — „ვაჟკაცსა ხმალი გამოცდის, დიაცსა ქოხსამკითხველო" (Q,965). ამჟამად ამ ანდაზის პირველი ნახევარია ჩვენთვის საინტერესო, რითაც ეს აზრი მტკიცდება. ხალხი გამოცდის საჭიროებაზე გამოთქვამს თავის აზრს მითითებაშიც — „ჯერ თხრილზე გადახტი და მერე თქვი ყოჩაღი ვარო".

* * *

ხალხი ზემოთქმულითაც არ კმაყოფილდება. მას თავისი აღმზრდელობითი ღონისძიებების სისწორის დადასტურება სურს და ამიტომ ამის შედეგებზეც ამახვილებს ყურადღებას. ხალხურ ნაწარმოებთა მიხედვით, ხალხურ წესებსა და სწავლა-დარიგებებზე აღზრდილი ადამიანები უნარიანად ემსახურებოდნენ როგორც პირად, ისე საერთო და

სახელმწიფოებრივ ინტერესებს, სამშობლოს. საილუსტრაციოდ დავასახელებთ ზღაპარს — „იადონისა და ბულბულისა". აქ გამოყვანილია ახალგაზრდა, რომელმაც ნიშანში ზუსტი და უნარიანი სროლით ჩამოაგდო ხელმწიფის ეზოში ვაშლი, რის შედეგად ამ უკანასკნელის სიძე გახდა („ქართ. მთ. ზეპირსიტყვ". გვ. 364—365).

მაგრამ ჯეროვანი ფიზიკური მომზადების დადებითი შედეგები ხომ რელიეფურადაა ასახული ფოლკლორში ვ. გორგასალის, დ. აღმაშენებლის, ერეკლე მეორისა და მრავალი სხვა გმირის მოღვაწეობათა სახით. მეტად საინტერესოა მშრომელთა ინტერესებისათვის მებრძოლი ა. ოძელაშვილის, ს. დარჩიას (ჩემი მასალებიდან) და დ. შევარდნაძის (იქვე), განსაკუთრებით — დიდი სამამულო ომისა და უამრავი სხვა გმირის ფიზიკური ძლიერების და სამხედრო მომზადების დადებითი შედეგების ასახვა ხალხურ შემოქმედებაში.

საყურადღებოა, რომ ხალხური ფიზიკური აღზრდის ერთგვარ დადებით შედეგებზე აღნიშნავს იტალიელი მოგზაური არქ. ლამბერტიც. ის წერს: „მეგრელები, როგორც ქვეყნიერების დანარჩენი ერნი, ომს ისე შეჩვეულნი არიან, „რომ მშობლებს სულ პატარები დაჰყავთ ლაშქარში და არ არიდებენ იმ გაჭირვებას, რომელიც იქ უნდა გადახდეთ. ბავშები ისე ატარებენ იარაღს, უკავიათ ხელში ფარი და ხმარობენ შვილდს, თითქოს დაბადებიდან შეჩვეულნი იყვნენ ბრძოლას"[1].

მერვე თავი

თვითწრთობა, თვითგანვითარება

შეკრებები, სკოლა და „დამრიგებელ-მასწავლებლები" ბავშვის აღზრდა-განვითარებას, მის ფორმირებას უწყობენ ხელს. თავის პედაგოგიურ ნააზრევში ხალხი მოზარდის თვითგანვითარებასაც გარკვეულ როლს ანიჭებდა. განსაკუთრებით რევოლუციამდელ პერიოდებში, როცა ხალხი სკოლას იყო მოკლებული, თვითაღზრდას გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა. ზემოხსენებულ შეკრებებზე დასწრება და სხვადასხვა ფოლკლორულ ნაწარმოებთა მოსმენა, ერთი მხრივ, აღსაზრდელის ასეთი მისწრაფების გამოვლენას წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით, მშრომელთა შვილების დამოუკიდებელი ვარჯიში და მეცადინეობა თვითსწავლა-განვითარების აუ-

[1] არ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. გვ. 86.

ცილებელი საშუალება და პირობა იყო. აფორიზმში: „ყველა კაცი თავისთავის ხელმწიფეაო“ (ფ. ა. კოლექ. VII, № 24), არა მხოლოდ ის აზრი ჩანს, რომ ადამიანი თავისთავს განაგებს, არამედ ისიც, რომ მისი განვითარებაც, მისი სწავლაც ბევრად არის თვით მის პირად ინტერესსა და ინიციატივაზე დამოკიდებული. მოვიგონოთ გამოთქმაც — „ვინც იწმინდაო, ისიც გაიწმინდაო“. აქ ნათლად ჩანს: ხალხის აზრით, პიროვნების ფორმირება და შეიძლება ითქვას, ხელახლა აღზრდაც ბევრადაა თვითწრთობაზე დამოკიდებული. ამიტომ ხალხი მთელ რიგ ნაწარმოებებში გვიჩვენებს თვითწრთობის პროცესს და მის როლს, მნიშვნელობას დაბრკოლებათა გადალახვისათვის. მაგრამ, ამჟამად ჩვენთვის ფოლკლორულ ნაწარმოებთა ისეთი ადგილებია საინტერესო, რომლებშიც პირდაპირაა ნათქვამი — მოზარდისა და ახალგაზრდა ადამიანისათვის წინააღმდეგობათა დაძლევის პროცესი თვითწრთობის პროცესსაც წარმოადგენსო. აი, ზღაპარი — „ოილან-გულან აღაჯი“. როცა შვილებმა გაიგეს, რომ ვეზირებს მამამ ოილან-გულან აღაჯის, ე. ი. იმ მცენარის მოპოვება და მოტანა დაავალა, რომლის „ფოთლები ტაშს უკრავენ, ხე კი მღერის და თამაშობს“, — თვითონ მივიდნენ მასთან და თხოვეს — ჩვენ გაგვიშვი იმ მცენარის მოსატანადო; ხოლო მეფის უარყოფით პასუხზე — „თქვენ ჯერ გამოუცდელი ხართ, ვაითუ ვერ მოიტანოთ და რაიმე ფათერაკიც შეგემთხვეთ“-ო, შვილებმა უპასუხეს: „ჩვენც მაგიტომ გვინდა რომ წავიდეთ, ჩვენი ძალაც გამოვცადოთ და თქვენი სურვილიც შევასრულოთ“-ო[1].

აქ გარკვევით ჩანს: ბრძოლა ადამიანის თვითწრთობას უწყობდა ხელს. თვითწრთობას კი აღმზრდელობით მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხი. ატარებდა რა ამ აზრს, ის ქმნიდა ნაწარმოებებს, რომლებიც ასეთი წრთობის საჭიროების აზრსაც უმუშავებდნენ ბავშვს და სათანადო ჩვევებითაც აიარაღებდნენ. ბავშვთა და მოზარდთა თვითწრთობას ემსახურებოდა და ემსახურება თითქმის ყოველი თამაში, რადგან აქ (გარკვეული წესების საფუძველზე), ბავშვი ანვითარებდა თავის როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ ძალებს. მაგ., ის რწმუნდება: როცა თვალახვეულია, ყურადღებით უნდა იყოს. რომ თავისი ამხანაგი გამოიცნოს; ან სირბილში სხვას არ ჩამორჩეს, ტყვედ არ ჩავარდეს და ა. შ. ყოველი ასეთი ამოცანა სხვადასხვა საშუალებათა და ღონისძიებათა გამონახვას მოითხოვს, და ეს იწვევს სწორედ თვითწრთობას, თვითგანვითარებას.

მეტად საყურადღებოა მეორე მომენტი, რომელიც აგრეთვე თა-

---

[1] ქართული ხალხური ზღაპრები, შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი ს რ ე დ ა ქ ც ი ი თ, წინასიტყვაობითა და ლექსიკონით, 1959 წ. გვ. 43—44.

მაშთანაა დაკავშირებული. ეს არის სათამაშოთა დამზადება თვით ბავშვების მიერ, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა ადგილი მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში და რომელიც შეუნიშნავი არც ა. წერეთელს დარჩა. საგულისხმოა, რომ ის არა მხოლოდ ამ ფაქტზე, არამედ მის აღმზრდელობით მნიშვნელობაზეც ამახვილებს ყურადღებას. ის წერს „ჩემს თავგადასავალში“: „ქართულ სათამაშოებს ბავშვები თავის ხელით აკეთებენ, მაგალითად, ტაფა-რიკს თვითონ გამოსჭრიან ხოლმე, მშვილდ-კოდალს იკეთებენ, ბურთს თავის ხელით იმზადებენ“[1]. მართლაც, ბავშვები თვითონვე ამზადებდნენ, მაგ., ბურთს, მშვილდისარს, ჩილიკა-ჯოხს (გ. მერკვილაძე, ქართული მოძრავი თამაშობანი, 1922, გვ. 78—79). კერძოდ, ზემოხსენებული თამაში „თოფიკაცობა“ იარაღის სწორედ ასეთ დამზადებას ითვალისწინებს, ამას ჩვენი პოეტის აზრით, ის მნიშვნელობა აქვს, რომ ბავშვი თავის ხელით და შრომით შექმნილ სათამაშოებს უფრო აფასებს და უფრთხილდება, რითაც მას ქალაქის ბავშვებისაგან განსხვავებით (რომლებიც ნაყიდ სათამაშოებს ხმარობენ) სასურველი ხასიათი უმუშავდება (იქვე). აქვე უნდა ითქვას: სათამაშოს თვითდამზადებას ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ ბავშვი საგნების კეთებაში ღებულობდა ჩვევებს, ამასთან თავის შესაძლებლობასაც ავლენდა და ანვითარებდა. ჩვენი დიდი პოეტის აზრს თვით ხალხურ შემოქმედებაში აქვს საფუძველი. ხალხის აზრით, თამაშში შექმნილი წინაალმდეგობანი ბავშვს, მოზარდს საკუთარი ძალების განვითარების აუცილებლობაში არწმუნებს. ამის შედეგად მას მთელი ინტერესი, მონდომება და ენერგია დამოუკიდებელ მეცადინეობაზე გადააქვს, რაც მის განვითარებას იწვევს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ასეთი მეცადინეობა, შრომა ყოველთვის წარმოადგენდა თავის ძალებში დარწმუნებული და ყოველმხრივ ძლიერი ადამიანის მომზადების მტკიცე დასაყრდენს.

თავისი აზრის ნათელსაყოფად ხალხს კონკრეტული მითითებებიც შეუმუშავებია. საჭიროა რამდენიმე დამახასიათებელი გამოთქმის მოგონება, პირველად — გამოთქმისა, რომელიც ზნეობრივი თვითწრთობის საჭიროებაზე მიუთითებს: „უნდა ღმერთი მოიგონოს, კაცს რომ კაცი მოერიოს“. ასევე, შრომის საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა თვითშეგნება, რომლის მიხედვით, თუ ადამიანი არ შრომობს, არც კვების ღირსია („ვეღარ ვთოხნი და ვერც ვბარავ, არცა მეჭმევა ლობიო“). მაგრამ ხალხის აზრით, თვითაღზრდას არა მარტო იმის შეგნება უზრუნველყოფს, რომ ვინც არ მუშაობს არც საჭმელი ეკუთვნის, არამედ ამის შესაფერი საქმიანობაც — „ქალმა გარჯით და შრომითა

[1] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, ტ. 7, 1958, გვ. 14.

ვაჟკაცს თავი შეაყვარა". ასეთივე მითითებები მოჩანს აღზრდის სხვა მხარეებზე მსჯელობის დროსაც. ამ მხრივ, გარდა ლექსებისა, ყურადღებას იპყრობს სათამაშოები, რომლებშიც გონებრივ და ზნეობრივ თვითწრთობასთან ერთად, ფიზიკურ თვითწრთობასაც დიდი ადგილი უჭირავს.

ასეთი ნაწარმოებებით და ცალკეული გამოთქმებით ხალხი მიუთითებდა — ადამიანი თვითონ უნდა აკვირდებოდეს შექმნილ ვითარებას, მდგომარეობას, მშრომელთა ზნეობრივ ნორმებს; მასთან საკუთარ მომზადებას, ქცევებს და თავისი თავი ამის მიხედვით გარდაქმნასო. ამასვე ამტკიცებს ფოლკლორში გატარებული და ზემოთ განხილული შეხედულებანი იმის შესახებ, რომ ადამიანი პირველ რიგში, თავის საკუთარ ძალებს უნდა ემყარებოდეს, წინააღმდეგობათა დაძლევის პროცესში. ამრიგად, სკოლასა და ზემოხსენებულ სხვა ღონისძიებებთან ერთად, ხალხი გადამწყვეტ როლს ანიჭებს თვითგანვითარებას, თვითწრთობას.

თვითწრთობის საჭიროების იდეა, რომელსაც ასე დამაჯერებლად ვხვდებით ქართულ ხალხურ შემოქმედებაში, თავის აშკარა და ნათელ დადასტურებას პოულობს ჩვენი სკოლის დღევანდელ ეტაპზე, მოსწავლეთა თვითმომსახურეობისა და მსგავს საქმიანობათა სახით, თვითმომსახურეობა კი გამრჯე, მშრომელი და პატიოსანი მოქალაქის ჩამოყალიბების უძლიერეს ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ.

შეხედულებანი თვითგანვითარებისა და თვითწრთობის შესახებ, ხალხური პედაგოგიური აზროვნების ერთ-ერთი რაციონალური მარცვალია და ამდენად ხელის შემწყობი უნდა იყოს საბჭოთა აღზრდისათვის. საგულისხმოა, რომ ხალხის ეს თვალსაზრისი კარგად ასახა ი. ჭავჭავაძემ წერა-კითხვის შესწავლისადმი გაბროს მისწრაფების სახით.

მეცხრე თავი

ხალხური მასწავლებლები და სკოლა

ხალხური მასწავლებლები, რომელთაც ჩვენ „დამრიგებელ-მასწავლებლებს" ვუწოდებთ, ორი ფორმით აწარმოებდნენ სწავლა-აღზრდას: ინდივიდუალურად და ჯგუფურად. ამ უკანასკნელშიც შეიძლება ორი მომენტი გამოიყოს: ჯგუფური სწავლება „სკოლაში" და „სკოლის" გარეთ. აქედან გავრცელებული მეორეა, პირველს იშვიათად ვხვდებით — „ხალხურ სკოლებში" წარმოებული სკოლების სახით.

1. „დ ა მ რ ი გ ე ბ ე ლ-მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი“. „დამრიგებელ-მასწავლებლის“ აღსანიშნავად ფოლკლორში სხვადასხვა ცნებები ვვხვდება: ო ს ტ ა ტ ი, დ ა მ რ ი გ ე ბ ე ლ ი, ა ღ მ ზ რ დ ე ლ ი, მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი. ცნება „ოსტატი“ სხვადასხვა მნიშვნელობის იყო. სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში ასე აქვს ის განმარტებული: „ჟელოსანთ უფროსი“. სიტყვა „მამა“-ს განმარტების დროს კი საბა წერდა: „მამა“ არს ღმერთი დამბადებლობითა; მამა არს შ ე მ ქ მ ნ ე ლ ი; მამად ითქმიან: მ ო ძ ღ ვ ა რ ი, მ ღ ვ დ ე ლ ი, ა ღ მ ზ რ დ ე ლ ი, ო ს ტ ა ტ ი, გ ი ნ ა კ ა ც ი ვ ხ ვ ც ე ს ი“. ამასთან სიტყვის „ოწინარი“ განმარტების დროს, საბა ამბობს — ოსტატს საშენ მასალას აწოდებდნენო — „ოწინარი“, ძველი შემზადებული ადვილად დიდთა ქვათა ასაღებელად და მაღლა ოსტატისა თანა მისატანელად“. ამჟამად დადგენილია, რომ „ოსტატი“ ზოგადი ცნება იყო; რომ ამ ცნებით აღინიშნებოდა: „თავი, უფროსი, გამგე, უსტაბაში, მოძღვარი, მასწავლებელი“[1].

ამრიგად, „ოსტატი“ არა მხოლოდ მასწავლებლის, არამედ ხელოსნისა და სხვა საქმიანობის შემსრულებლის აღმნიშვნელიც იყო. ამასთან — უფროსისა და უფალისა. „ოსტატის“ მრავალმხრივი მნიშვნელობა, ნაწილობრივ, მე-19 საუკუნეშიც შემორჩა: „ოსტატი“ ხელოსანსაც ეწოდებოდა (სანდალა), („ხელოსნები“, 1886, გვ. 24) და აღმზრდელ-მასწავლებელსაც[2]. საყურადღებოა, რომ მისი ასეთი გაგება, სხვა წყაროებშიც ჩანს[3]. ასეთია ამ სიტყვის მნიშვნელობა ლიტერატურული წყაროების მიხედვით.

ჩვენს საკითხთან დაკავშირებით „ოსტატი“ საინტერესოა, როგორც ხელოსანი და როგორც მასწავლებელი. როგორც ფოლკლორიდან ჩანს, ხელოსანს გარკვეული ადგილი ეჭირა შუა საუკუნეების საქართველოში. ქართული ფოლკლორი მის ორივე გაგებას ადასტურებს. პირველის საილუსტრაციოდ, საგულისხმოა ერთ-ერთი ხალხური ლექსის შემდეგი ადგილი:

„სამნი ოსტატნი დავსხედით, თურქი, აფხაზი და მესხი,
სანეფო კაბას ვკერავდით“ და სხვ.[4]

„ოსტატი“ აქ ხელოსნის მნიშვნელობის აღმნიშვნელია. თუ ადამიანი რაიმე ხელობის ცოდნით გამოირჩეოდა, ოსტატად იწოდებოდა.

---

[1] ვისრამიანი, აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს, პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს, და კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქციით და შესავალი წერილით, ლექსიკონი ი. ა ბ უ ლ ა ძ ი ს ა, 1938, გვ. 377.

[2] გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში 1800—1870, გვ. 224.

[3] ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, ტ. III, 1963, გვ. 159—162.

[4] „ძველი საქართველო“, III, განყ. 2, გვ. 6.

მაგრამ აქვე სხვა მომენტიც არის საინტერესო: ასეთი ოსტატები ხშირად თავიანთი ხელობის მასწავლებლებიც იყვნენ. ი. გრიშაშვილი სამართლიანად წერს:

„ქალაქის ღარიბი მოსახლეობა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ხელობას. ამიტომ იყო, რომ ისინი თავიანთ მცირეწლოვან შვილებს ბალღობიდანვე მიაბარებდნენ ხოლმე შეგირდად რომელიმე ოსტატს, რათა ერთი ლუკმა პური მუდმივად ჰქონოდა“ და „კაცი გამოსულიყო“[1].

„დ ა მ რ ი გ ე ბ ე ლ ი“. ზოგჯერ მის შემოკლებულ ფორმასაც ვხვდებით — „რიგება“ (მოხუცო, ეცადე „რიგებას სოფლებისასა“-ო (ა. შანიძე, „ქართ. ხალხ. პოეზ,“ გვ. 629).

„აღმზრდელიც“ სხვადასხვა კონტექსტში გვაქვს: „ცუდად გაზრდილი შვილი დედის სირცხვილია და მამის მწუხარეაო“ (ნ. ნაკაშიძე, „ანდაზები“, 54). გვხვდება „ბიტყვა „აღზრდილი“-ც, „ფუფუნებაში აღზრდილი უძლური იქნება“ („ძვ. საქ“, III, განყ. 2, გვ. 285). გარდა ამ ცნებისა, როგორც ვთქვით, იხმარება „მასწავლებელიც“, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდის ფოლკლორში. ცნებათა ამ ჭრაველსახეობის გამო ვხმარობთ ჩვენ ცნებას „დამრიგებელ-მასწავლებელი“.

ვინ არიან „დამრიგებელ-მასწავლებლები“?

პირველ რიგში მშობლები. „ერთი კეთილგონიერი დედა მასწავლებლად ღირსო“ (H, 1967, ფურც. 24), — ამბობს ხალხი. ჩანს, რომ ის ორგანულად აკავშირებს დედის სახელთან აღმზრდელ-მასწავლებლის ფუნქციას. იგივე აზრი მამაზეც ვრცელდება. მამა შვილების აღმზრდელ-მასწავლებელია (მოვიგონოთ „ამირანის“ ზემოხსენებულ სვანურ ვარიანტში მამა იამანის როლი შვილების წვრთნაში). ეს ეთნოგრაფიული ცნობითაც მტკიცდება: ხევსურეთში „მამები ვაჟებს დიდთა წრეში ზრდიან, აჩვევენ საუბარს და ასწავლიან ხევსურულ ადათ-ჩვეულებს“ (ს. მაკალათია, „ხევსურეთი“, გვ. 194). საყურადღებოა ს. ორბელიანის ზემოთ მოყვანილი აზრიც — „მამად ითქმიან: მ ო ძ ღ უ ა რ ი, მ ღ ვ დ ე ლ ი, ა ღ მ ზ რ დ ე ლ ი, ო ს ტ ა ტ ი, გ ი ნ ა კ ა ც ი უ ხ უ ც ე ს ი“.

ამრიგად, ცნებები: „დედა“ და „მამა“, ხალხურ პედაგოგიურ აზროვნებაში ორგანულად უკავშირდებიან აღმზრდელის ფუნქციას. ეს გასაგებიცაა, რადგან, ხალხმა იცის, რომ მშობელი ბუნებრივადაა დაკავშირებული ბავშვთან, მის არსებასთან, მის სულისკვეთებასთან.

---

[1] ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 159. „ოსტატი“ ეწოდებოდათ ქალებსაც, რომლებიც აღმზრდელობით საქმიანობას ეწეოდნენ (დ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ისტორიული სურათები, ჟურნ. „ივერია“, 1882, № 6. გვ. 86), იგულისხმება სხვა საოჯახო საქმიანობასთან ერთად.

ანტომ ამბობს ის: „ყმაწვილის ენა დედას ესმისო“ (ალ. ღლონტი, „რჩ. ქართ. ანდაზები და სიტყვის მასალები“, გვ. 33). აქვეა საგულისხმო შემდეგი გამოთქმაც: „ბალღს როცა დედის კალთაში სძინავს, მარცვლის ოდენა ემატებაო“ (გ. კაჭახიძე, „სწ. სიბ“. გვ. 85). აქ მშობლის მიმართ ბავშვის განწყობილების საკითხიც არის დასმული. ამის მიხედვით ხალხი ფიქრობს, რომ შვილის კარგად აღმზრდელი მთელი ხალხის საქმეს აკეთებს. „კარგი შვილის დედაო ქვეყანას ახარებდაო“ („რჩ. ანდაზები და სიტყვ. მას.“ გვ. 53). ყველაფერი ეს გასაგებია: მშობლები სისტემატურად უნდა ზემოქმედებდნენ შვილებზე, რაც ფოლკლორიდანაც კარგად ჩანს. ხალხმა იცის — ბავშვისათვის შთაბეჭდილებათა პირველი გადამცემი, გარემო-სინამდვილეზე თვალის პირველი ამხელი, სწორედ ისინია.

დამრიგებელ-მასწავლებლებია, აგრეთვე, ხანდაზმული ადამიანები, მოხუცები. ხალხურ აზროვნებაში მოხუცს, როგორც აღმზრდელს, საპატიო ადგილი უჭირავს. მისი გამოცდილების მნიშვნელობა მრავალი ნაწარმოებით დასტურდება ფოლკლორში, კერძოდ, ცნობილია ლექსი, რომლის მიხედვით, სანადიროდ წასული შვიდი ახალგაზრდისა და ერთი მოხუცისაგან მხოლოდ ამ უკანასკნელმა შესძლო ვეფხვის მოკვლა, მიუხედავად იმისა, რომ ნადირს შვიდივემ ესროლა (ა. შანიძე, იქვე, გვ. 207).

სხვაგან ხალხი ამბობს — „ბებერი ხარისა რქანიც კი ეწევიანო“ („ძვ. საქ.“, II, განყ. 5, გვ. 88), და ამით კიდევ უფრო ამტკიცებს ზემოხსენებულ აზრს. ფოლკლორში ამ აზრის განზოგადებასაც ვხვდებით: „ახლებსა ძველები ჯობდეს ცდითაო“ (ა. შანიძე, იქვე, გვ. 203). „სეთია მოხუცის გამოცდილების ძალა. ამიტომ „ბერიკაცისა სიზმარიც დაიჯერება“ („ძვ. საქ.“, იქვე, გვ. 89). ეს გამოთქმები მოხუცის აღმზრდელობით როლზე მიუთითებენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ზოგიერთ მხარეში, კერძოდ, ხევსურეთში, არსებობდა ცნება „კითხული კაცი“, რომელიც „რასაკვირველია, ჭკვიანი, გამოცდილი, ბრძენი უნდა ყოფილიყო. უიმისოდ გვარში არ გადაწყდებოდა არც ერთი, თუნდაც წვრილმანი საქმე. ყოველ გასაჭირში მას ეკითხებოდნენ, როგორც საერთო საგვარეულო, ისე სათემ-სოფლო საქმეს. კითხული კაცი მსაჯულიც იყო, „თემსოფლის საქმეთა მომრიგებელიც“[1]. ხევსურეთშიც და ფშავეთშიც ირჩევდნენ გამოცდილ და ჭკვიან კაცს, რომელსაც „ხევსურეთში მომრიგებელ-მრჩეველი ეწოდებოდა; ფშავში კი — „ბრძენი“ (იქვე, გვ. 20).

ეს „კითხული კაცები“, „მომრიგებელ-მრჩეველნი“ და ბრძენი

---

[1] გ. თ ე დ ო რ ა ძ ე. ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, წიგნი მეორე, 1939, გვ. 19.

ადამიანები ყველასი და კერძოდ, ახალგაზრდობის დამრიგებელ-მასწავლებლები იყვნენ. სწორედ მათი ტიპური წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს გამოყვანილი ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში — „სათაგურში“. მართლაც, ამ მოთხრობის გმირი ესტატე, დამრიგებელ-მასწავლებლად ჩანს: „თუ რა საჩხუბარი გაქვთ იმას რა სჯობია — დინჯად მოლაპარაკებით გავათავოთ. მუშტიკრივით ვის რა გაურიგებია, თქვენ გაარიგოთ?“[1].

მაგრამ მოხუცი არა მხოლოდ დამრიგებელი, არამედ, საერთოდაც არის ახალგაზრდობისათვის გზის გამკაფავიც და მიმართულების მიმცემიცო, — ამბობს ხალხი. ნაწარმოებში — „ზღაპარი ხელმწიფისა, რომელსაც სიკვდილი სანატრელი გაუხდა“, ის სწორედ უფროსი თაობის ხელმძღვანელობის საჭიროებაზე მიუთითებს ახალგაზრდობას. მოხუცმა ამოცანა დაუყენა შვილებს ადამიანებისათვის მანამდე უცნობი ნივთების ძიებისა და მოპოვების შესახებ და მიზანსაც მიაღწია. ამით კი მათ მოუწოდა — ადამიანი ძველად მიღწეულით არ კმაყოფილდებოდეს, ახალს უნდა ეძიებდესო. ხალხური შემოქმედების მიხედვით ბევრი ასეთი „ბრძენი“ და გამოცდილი მოხუცი ეწევა აღმზრდელობით საქმიანობას და წარმატებასაც აღწევს.

ამრიგად, მოხუცი საიმედო მასწავლებელი და დამრიგებელია, მისი დიდი გამოცდილების გამო.

ზემოთქმულთან ერთად, ხალხს არ ავიწყდება თავისი აზრი, რომ ყოველ საგანს, მოვლენას დადებით მხარეებთან ერთად, ნაკლოვანი მხარეებიც აქვს. ასეთია მოხუცის ძალებიც და რჩევა-დარიგებებიც. ამიტომ, მათთან ერთად, მოწინავე ახალგაზრდობის დაკვირვება და ცოდნაც უნდა იქნეს გამოყენებული. ხალხს ეს აზრი მრავალ ნაწარმოებში აქვს გამოთქმული. ერთ-ერთი მათგანი ამირანის თქმულებაა. აქ სწორედ ახალგაზრდა ყამარი გამოდის ამირანის „დამრიგებელ-მასწავლებლად“, ცისმპყრობელთან ბრძოლის დროს. ახალგაზრდაა ქვემოთ განხილულ ლექსში გამოყვანილი „პერსონაჟიც“, რომელიც თვითონ მიმართავს მამას — ჩემგანაც შეისმინე რაიმეო. „ამირანი“ ძველი ფოლკლორული ნაწარმოებია, ეს ლექსი კი შედარებით ახალი დროის შემოქმედების ნაყოფი. ამრიგად, ხალხი როგორც ძველ, ისე ახალი დროის ნაწარმოებებში იმ აზრისაა, რომ ახალგაზრდებიც უნდა ეწოდნენ დამრიგებელ-მასწავლებლობას. გვაქვს ისეთი ნაწარმოებებიც, რომელთა მიხედვით, ახალგაზრდები მთელი სოფლის დამრიგებლად მიაჩნია ხალხს:

„ნუ გაუტყდები ბოყმეო, გაბეერებასა მტრისასა,

---

[1] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ტ. III, მოთხრობები, 1961, გვ. 430.

გაკლა-გამოკლას ეცადე, რიგებას სოფლებისასა“ („ხალხ. სიტყვ. მასალ.“, II, გვ. 58):

მაშასადამე, ხალხი მოხუცებსაც თვლის „დამრიგებელ-მასწავლებლად“ და მოწინავე ახალგაზრდებსაც.

ამრიგად, მშობლები, უხუცესი ადამიანები და ახალგაზრდები, აი, ვინ შეიძლება იყვნენ აღმზრდელები[1].

ისიც უნდა ითქვას, რომ მშობლებს, მოხუცებს და ახალგაზრდებს სხვადასხვა ხასიათის ცოდნა შეიძლება ჰქონდეთ. ამასთან არა ყოველი მოხუცი და ახალგაზრდა შეიძლება „დამრიგებელ-მასწავლებელი“ იყოს. ამიტომ, აქ ერთგვარი დიფერენციაციაა საჭირო. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მშობელი რომელიმე ბავშვისათვის არის მშობელი და არა — ყველასათვის. ანალოგიურად ითქმის მოხუცზეც და ახალგაზრდაზეც.

ხალხურ აღზრდაში დიდი ადგილი უჭირავს ამა თუ იმ პროფესიის ადამიანებს, როგორც „დამრიგებელ-მასწავლებლებს“. გადაჭრით შეიძლება ითქვას (როგორც ნაწილობრივ ზემოთაც იყო აღნიშნული): ხალხის აზრით, ადამიანს „დამრიგებელ-მასწავლელი“ არა ასაკის ან „ტიტულის“, არამედ, ზნეობრივ თვისებებთან ერთად, ცოდნა-გამოცდილების მიხედვით უნდა ეწოდოს. ამის ილუსტრაციაა აფორიზმი — „ჭკუა ხნიერებაში კი არა და თავშიაო“ („ძვ. საქ“., III, განყ. 2, გვ. 306). ამიტომ საჭიროა, რომ დარიგება-სწავლებაც არა მხოლოდ ასაკის, არამედ იმ ცოდნა-გამოცდილების მიხედვით ვთხოვოთ ადამიანებს, რომელიც მათ აქვთ და ჩვენთვისაც საინტერესოა მოცემულ მომენტში: „მთისა მეცხვარესა ჰკითხე, ბარისა-გუთნის დედასო“, („ჯეჯილი“, 1902, № 2—3, გვ. 90). ეს იმიტომ, რომ ამ ადამიანებმა ყველაზე უკეთ იციან მთისა და ბარის ადგილმდებარეობა, ჰავა, მოსახლეობა, მისი ზნე-ჩვეულება. ასეთივე აზრია გამონათქვამშიც — „წყლის მახლობელმა ფონი იცისო“ („ივერია“, 1888, № 206) და მითითებებშიც — „დარიგება იმას სთხოვე, ვინც დარიგებულად ცხოვრობსო“ („სწავლა სიბერემდეო“. გვ. 10), „თუ შენი არ იცოდე, მცოდნეს დაუჯერეო“ (იქვე, გვ. 103).

დამრიგებელ-მასწავლებელნი სხვადასხვა სახით არიან ფოლკლორში წარმოდგენილნი:

ა. ნაწარმოებთა დიდ უმრავლესობაში „დამრიგებელ-მასწავლებლის“ არც ასაკი ჩანს და არც პროფესია.

ბ. მთელ რიგ ნაწარმოებებში „დამრიგებელ-მასწავლებლის“ არა თუ ვინაობა საერთოდ, არამედ სახელიც და ზოგჯერ გვარიც კი არის

---

[1] ცხადია, აქვე ნავარაუდებია, რომ მშობელი შეიძლება მოხუციც იყოს და ახალგაზრდაც, მაგრამ ეს კერძო შემთხვევაა და მათზე, როგორც აღმზრდელებზე, ცალ-ცალკე მსჯელობის საჭიროებას არ გამორიცხავს.

მოხსენებული. ასე, მაგალითად, ჯადოსნური ზღაპრების „ხალხური სკოლების“ ზოგიერთ მასწავლებელს, თუმცა შერჭმეული, მაგრამ მაინც გარკვეული სახელები აქვთ, მაგალითად: „ვახვაბ“ (თ. პ. ი. ლ. მირიანაშვილის რვეული. № 13, გვ. 5); „ჰაიტ“ (ქს. სიხარულიძე, „ქართ. ხალხ. სიტყვ. ქრესტომათია“. გვ. 266) და სხვ. აღმზრდელის სახელი გვხვდება საბჭოთა პერიოდში შექმნილ რამდენიმე ლექსშიც. ზოგჯერ აღმზრდელის სახელთან ერთად, გვარიც არის აღნიშნული, მაგალითად, — „პეტრე ჟამიაშვილის ნასწავლებიაო“ (ა. შანიძე, იქვე, გვ. 291).

ბ. ხალხმა იცის, რომ აღსაზრდელზე ადამიანთა გარკვეული ჯგუფიც და მთელი საზოგადოებაც ახდენს გავლენას. აქ გადამწყვეტ როლს ასრულებს ოჯახი, რომლის ხელმძღვანელი აღსაზრდელის მშობლებია. ხალხი თითქოს ხედავს, რომ ოჯახის სახით ინდივიდუალური და კოლექტიური ზემოქმედების შესანიშნავ საშუალებასთან გვაქვს საქმე; რომ ბავშვს, ოჯახის ცალკეული წევრებიც ზრდიან და მთელი ოჯახიც, ოჯახური ატმოსფეროც, რასაც ყოველთვის ჰქონდა და აქვს უდიდესი როლი ბავშვთა ფორმირებაში. მაგრამ იყო დრო, როცა ოჯახი აღზრდის ერთადერთ კერას წარმოადგენდა და საკუთრივ სკოლის ფუნქციასაც ასრულებდა, რადგან ჯერ სკოლა საერთოდაც არ არსებობდა, შემდეგ გაჩნდა, მაგრამ საზოგადოების მშრომელთა ნაწილისათვის, იგი არსებითად, მიუწვდომელი იყო. ასეთ პირობებში ოჯახი სკოლის როლში გამოდიოდა. მხოლოდ იქ იზრდებოდნენ და დავაჟკაცდნენ ხალხისათვის თავდადებული ადამიანები. ამით აიხსნება, რომ ხალხს ოჯახი ყოველთვის მიაჩნდა აღზრდის კერად:

„ცუდმა სთქვა: კარგმა კაცმა,
კარგმა სახლმა ცუდი გამადედაკაცა,
კარგმა სთქვა: ცუდმა სახლმა, ცუდმა კაცმა
კარგი ავად მამაქცია“ („ხალხ. სიტყვიერ“. III, თ. რაზიკაშვილის შეკრ., გვ. 118).

მაშასადამე, ოჯახს უდიდესი გარდამქმნელი ძალა აქვს: ცუდ ადამიანს კარგ ადამიანად ხდის და კარგს — ცუდად. ისე, რომ ის გადამწყვეტ როლს ასრულებს აღზრდაში. ამასთან ხალხი ფიქრობს, რომ ცუდი ოჯახი ხშირად ერთნაირი ყალიბის ადამიანებს იძლევა:

„ავი დედა, ავი მამა, ავი შვილი, ავი რძალი;
ყველა ერთად რამ შეყარა, თუ არ იყო ჯვარის ძალი“[1]
(იქვე, გვ. 264).

ასეთ უარყოფით ადამიანთა საპირისპიროდ ერთ-ერთ ნაწარმოებში მშრომელ ქალებზე ნათქვამია: „ნეტავი იმის ოჯახსა, ვინც ის აირ-

[1] თ. ბ ე გ ი ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფოლკლორი, გვ. 46.

ჩია — ქალი"-ო. რატომ ითვლება ის ბედნიერად? ხალხი ფიქრობს: ასეთი ადამიანები სხვა საუკეთესო ოჯახებს შექმნიანო. ამის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ კარგი ოჯახი ღირსეული შვილის აღზრდით კეთილსინდისიერად და სასახელოდ არა მხოლოდ თავის წევრებს და თავის თავს, არამედ საზოგადოების აწმყოსაც და მომავალსაც ემსახურება.

ზოგჯერ თვით ხალხი გამოდის დამრიგებელ-მასწავლებლის როლში. ეს ჩანს ლექსებში „წისქვილისა" და „გუთნის მომართვა"; ან ავიღოთ სტროფი:

„ერთსულოვნად დავირაზმოთ,
შეეასრულოთ გეგმა სრულათ:
ყველა ერთად, შრომის ველზე
არვინ დარჩეს უსაქმურათ".
(ალ. ღლონტის მასალებიდან).

აქ მთელი კოლექტივის მოწოდება ისმის შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის (რაც გარკვეული აღმზრდელობითი მნიშვნელობის მატარებელია); აქ თვით ხალხი გამოდის უშუალოდ დამრიგებლად და მასწავლებლად. ავიღოთ ზოგადი მითითებაც — ადამიანმა ისეთი რამ არ უნდა ჩაიდინოს, რომ საზოგადოებაში გამოსვლისა შერცხვეს („ასეთი საქმე არა ჰქმნა, მოსვლა გრცხვენოდეს ცათაო", — ფ. ა. № 7430).

ავიღოთ დარიგებაც, რომლითაც ხალხი ზეზვა გაფრინდაულს მიმართავს: მტრების სიტყვას ნუ მიენდობი, თორემ შეცდომაში შეგიყვანს, ნურც მათ —„ პურ-ღვინოს", რადგან მისი საშუალებით უფრო ადვილად შეუძლიათ გიღალატონო[1]. ცხადია, ხალხის ეს დარიგება, თავისი ერთგული შვილისადმი, საქვეყნო საქმის წარმატებას ემსახურებოდა.

3. აღმზრდელებად თვლის ხალხი წინაპრებსაც. ერთი მხრივ, საყურადღებოა მათი ანდერძები, რომელთაც დიდი აღმზრდელობითი როლი ენიჭება ფოლკლორში: „მოკვდა და თავის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარიო" (სვინტიძე, „ქართ. ანდაზ". გვ. 126). ანდერძის ეს მნიშვნელობა კარგად ჩანს „ამირანში" (წინაპარი — ცამცუმი თავისი წერილით ბოროტი ძალის წინააღმდეგ მოუწოდებს ახალგაზრდებს და სათანადო რჩევა-დარიგებასაც აძლევს). სახელოვანი წინაპრები თავიანთი სამაგალითო ქცევებითაც ზრდიდნენ ახალ თაობებს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ცნებაც — „ანდრეზი". ერთ ლექსში რომელიღაც წინაპარზე ნათქვამია:

„ნაქნარი აღუდა ურის
ანდრეზად არა თქმისაო" („ივერია", 1888, № 57).

[1] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, გამოკვლევები და წერილები, 1959, გვ. 424.

აქვე განმარტებაც აქვს ამ გამოთქმას: ალუდაურმა რომ ჩაიდინა, იმის მსგავსი სასახელო საქმე „ჯერ არ გაგონილა, არა თქმულაო“. ძველად მოწინავე წინაპართა შესახებ ზეპირად გადმოცემული ამბები წარმოადგენდა სააღმზრდელო მასალას, რადგან წერილობითი წყაროები არ არსებობდა. ეს ხევსურთა ყოფა-ცხოვრებაშიც ჩანს, რომლის შესახებ სრულიად სამართლიანადაა აღნიშნული: „ხევსურული რჯული ზოგადად ნორმირებული არ ყოფილა: ის მუდამ ხელმძღვანელობდა წინათ მომხდარი და გადმოცემაში დაცული კონკრეტული შემთხვევებით“[1]. ეს იყო, „ანდრეზი“ რომელიც „წარმოადგენდა მაგალითის სახით შემონახულს წარსულის გადმოცემას, რომლითაც შემდეგ თაობას უნდა ეხელმძღვანელა“ (იქვე). ამიტომ ხალხური სამართლის წარმოების დროს, ბუეები ანდერძს „მოიგონებდნენ და მამა-პაპათა მიერ ჩადენილის მსგავსად თვითონაც განსჯიდნენ“. ხოლო მათ მიერ მიღებული დასკვნის შემდეგ „საგანგებოდ ინიშნებოდნენ, ე. წ. ა ნ დ რ ე ზ ი ს შემნახავი პირები, რომლებიც ვალდებული იყვნენ, მომხდარი ამბავი შთამომავლობისათვის ანდრეზად გადაეცათ“ (იქვე).

აი, ასეთი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა გადმოცემებს წინაპრების საქმიანობის შესახებ, რომელთაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლექსებადაც თხზავდნენ და ავრცელებდნენ, როგორც მაგალითს ახალგაზრდობისათვის.

მისაბაძ წინაპრად მიაჩნია ხალხს, კერძოდ, შ. რუსთაველი, რომლის ქმნილებას — „ვეფხისტყაოსანს“ მშობლები და სხვ. ზეპირად გადასცემდნენ მოზარდ თაობებს. აღმზრდელებად ჰყავს ხალხს წარმოდგენილი თავის ნაწარმოებთა მოწინავე პერსონაჟებიც. ასეთია, კერძოდ, ამირანი, რომელიც ყოველთვის იყო შთაგონების წყარო. ამიტომაც ოცნებობდა ხალხი ამ გმირის სახლ-კარზე და მისი გმირობით გატაცებული შთამაგონებლად კითხულობდა: „ამირანისა სახლ-კარის თუ არსად ჩანდა კვალია?“ (ჟურნ. „ივერია“, 1885, № 8, გვ. 101). ეს იმიტომაც, რომ ამირანი ბრძენიც იყო, ხალხის აზრით: ცხოვრებას იცნობდა, კერძოდ, იცოდა, რომ უძლეველი არავინ არის. საგულისხმოა აქ სიტყვები, რომელთაც ხალხი მას წარმოათქმევინებს:

„განა ღმერთი ვარ დედაო,
სუ ვიყო გალაღებული“-ო. (ფ. ა. კოლ. II, საქ. 18, გვ. 97).

ამირანი ფართო გონებრივი ჰორიზონტის ადამიანიც არის და ამიტომ ვინც მას მიუხვდება, ყველაფერს ჩაწვდება, გაიგებს:

---

[1] რ. ხ ა რ ა ძ ე, ხევსურული ანდრეზი — „ხალხური სამართლის წყარო.“ („მიმომხილველი“, II, 1951, გვ. 387).

„სრულ ქვეყანა ვამოჩნდება
ამირანის გორითგანა“ - ო (ფ. ა. იქვე, საქ., 10, გვ. 192).

ხედავდა რა ხალხი წინაპრებში აღმზრდელს, მაგალითად იყენებდა მათ საქმიანობასა და რჩევა-დარიგებებს, ახალთაობის აღზრდაში. ერთ-ერთ გადმოცემაში აღნიშნულია: „ჩვენსას წიგნი არ იყო და ბებიაჩემი ზეპირად გვიამბობდა“ რუსთაველის სიტყვებსო, და მოყვანილია ცნობილი სტროფი, რომლის მიხედვით გვარიშვილობაზე მაღლა ადამიანის კაცურიკაცობა დგას.

აი, ფოლკლორში წარმოდგენილი დამრიგებელ-მასწავლებლები. მაგრამ კვლევა-ძიების უფრო მეტი სისრულისათვის, ერთი საკითხიც უნდა გაირკვეს: ცოდნის რა სფეროებში რჩება ადამიანი დამრიგებელ-მასწავლებლად და რა ურთიერთობა უნდა იყოს ამ მხრივ, ზემოხსენებულ დამრიგებელ-მასწავლებლებს შორის?

ხალხის აზრით, როგორც ვიცით, არ შეიძლება ადამიანი ყველაფრის მცოდნე იყოს. აქედან ცხადია, მას არც ის შეეძლება, რომ ყველაფერი ასწავლოს. ამის შედეგი უნდა ყოფილიყო ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრებული წესი, რომლის მიხედვით, წერა-კითხვას სხვადასხვა ხელობის ადამიანები ასწავლიდნენ ერთმანეთს[1]. მაგრამ ურთიერთსწავლება არ შეიძლება მხოლოდ ერთ რომელიმე დარგში სწავლების ამოცანით შემოვფარგლოთ. თუნდაც ზემოთ მოყვანილი ანდაზა — „მთისა მეცხვარეს ჰკითხე, ბარისა გუთნისდედასაო“ გულისხმობს, რომ გუთნის დედას მეცხვარის შემწეობით უნდა გაეგო მთის თვისებები, ხოლო მეცხვარეს — ბარისა, გუთნისდედის შემწეობით. ისე, რომ სხვადასხვა შემთხვევაში, თითოეული მათგანი დამრიგებელ-მასწავლებელიც უნდა ყოფილიყო და დარიგების ობიექტიც. როგორც ვიცით, ურთიერთსწავლებას ხალხი მშობელსა და შვილებს შორისაც მოითხოვს:

„დათუნამ უთხრა მამასა,
კაცი რად გინდა ეული,
სიტყვა ჩემიც გაიგონე,
სირეგვნით გამორჩეული“[2].

„რეგვენი“ აქ ახალგაზრდას ნიშნავს, ხოლო მთელი სტროფის შინაარსი იმაზე მიუთითებს, რომ შვილებისაგანაც უნდა ისწავლოს მშობელმა („... ჩემიც გაიგონე“). შეიძლება ითქვას: ხალხი ურთიერთსწავლების პრინციპს ცოდნის ყოველ სფეროში მოითხოვს და მიაჩ-

---

[1] ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940, გვ. 8.
[2] ხალხური სიტყვიერება, ვ. თ. რაზიკაშვილის ჩაწ., გვ. 109.

ნია, რომ თავთავიანთი საქმიანობის მიხედვით, ყოველი ადამიანი შეიძლება დამრიგებელ-მასწავლებელი იყოს. ეს ჭეშმარიტი აზრია და დღესაც არ არის ინტერესმოკლებული.

* * *

დამრიგებელ-მასწავლებლები ყოველმხრივ უნდა ეწეოდნენ სწავლა-დარიგებას. დიდი ყურადღება ექცევა, მაგალითად, აღმზრდელს, მწყემსობის სწავლებაში, ხალხის აზრით, აღმზრდელმა უნდა ასწავლოს საქონლის მოვლა-პატრონობა, მტაცებლებისაგან მისი დაცვის წესები და სხვ. ეს კარგად ჩანს, კერძოდ, ნაწარმოებიდან, რომლის მიხედვით, მას სწორედ ამ შინაარსის დარიგება-სწავლება უწარმოებია. მწყემსმა მოჯამაგირემ ხელმძღვანელსა და დამრიგებელ გიორგის დაუფიცაო: შევამჩნიე რა, გუშინ მტრის ნაკვალევი, მივაგენი და იარაღით გავუსწორდიო („დავიჩოქე და ვესროლე, მოვარტყი გულის პირსაო"). ამით გიორგი არ დაკმაყოფილებულა და საყვედური უთქვამს შეგირდისათვის: ასეთი კარგი თოფით მეტი უნდა გაგეკეთებინაო (ფ. ა. № 20644).

* * *

ჩვილ ბავშვს, როგორც ვიცით, ზოგჯერ ძიძები ზრდიდნენ, მაგრამ ფოლკლორში მათ იშვიათად ვხვდებით და თუ ვხვდებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აღსაზრდელის მამა საზოგადოების უმაღლესი ფენის წარმომადგენელია. ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი სწორედ ნაწარმოებში „ზღაპარი არაბზანგინისა." მამა-მეფემ ბავშვს ძიძა მიუჩინა მომვლელად. უმთავრესად კი, მშრომელი ხალხი ძიძაობას არ ცნობს საჭიროდ და მოითხოვს, რომ ბავშვის მომვლელი თვით მშობელი იყოს (რადგან „ყმაწვილის ენა დედამ იცის"). იმ შემთხვევაში კი, როცა დედას რძე არ ჰქონდა, ბავშვს მეზობელი ქალი აწოვებდა ძუძუს.

* * *

საჭიროდ მიაჩნია თუ არა ხალხს, რომ დამრიგებელ-მასწავლებელი მხოლოდ დამრიგებელ-მასწავლებლის ფუნქციას ასრულებდეს, ე. ი. სწავლა-აღზრდა დამოუკიდებელ საქმიანობად არსებობდეს? ამ საკითხთან დაკავშირებით ორი სახის მასალა გვაქვს:

ა. დამრიგებელ-მასწავლებლები სხვათა შორის ეწევიან აღმზრდელობით საქმიანობას. ასეთია შრომის, მოგზაურობის პროცესი, და უფრო ხშირად, შეკრებაზე მათ მიერ წარმოებული დარიგებანი, აგრეთვე, უმეტესად, მშობლთა და სხვადასხვა ხელობის ოსტატთა დარიგება-სწავლებებიც. ბ. დამრიგებელ-მასწავლებელნი მხოლოდ და

მხოლოდ აღმზრდელებად გვევლინებიან. ასეთია „ხალხური სკოლების“ მასწავლებლები; ზემოთ განხილული ნაწარმოების — „ზღაპარი არაბზანგინისა“ მიხედვითაც ბავშვს სპეციალურად უნიშნავენ მასწავლებელს („რჩ. ქართ. ხალხ. ზღაპ.“, გვ. 343). ასეთი მდგომარეობა გვაქვს ნოველაშიც „სოვდაგარი“. ცხადია, საბჭოთა ფოლკლორში ეს თავისთავად იგულისხმება. მაშასადამე, ფოლკლორში მასწავლებლის პროფესიის ცალკე გამოყოფასაც აქვს ადგილი. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ჯადოსნურ ნაწარმოებებში არსებობა, „ხალხური სკოლების“ აღმზრდელების სახით, რამდენადაც ეს იმაზე მიგვითითებს, რომ მას საფუძველი შორეულ ეპოქებში აქვს.

დამრიგებელ-მასწავლებლის თვისებები, ადგილი და მოვალეობა. დამრიგებელ-მასწავლებელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შრომელი ხალხის პედაგოგიურ ნააზრევში. იგი საზოგადოების მერმისის — მომავალი თაობის, ცხოვრებისათვის მომზადებას, ყოველმხრივ აღზრდა-განვითარებას ემსახურება. ამიტომაც ხალხს საპატიოდ მიაჩნია მისი დამსახურება: „დედამ რომ შვილი გაზარდოს, რა არის იმისთანაო“ („ძვ. საქ.“, III, გან. 2, გვ. 100). ამით აიხსნება, რომ აღმზრდელის სახეს და ფუნქციებს ფოლკლორის თითქმის ყოველ სახეში ვხვდებით: ჯადოსნურ ზღაპრებშიც (ამ მხრივ, პირველ რიგში, ე. წ. „ხალხური სკოლებია“ საგულისხმო), საგმირო-ეპიკურ ქმნილებებში, ნოველებში, ლექსებში, ანდაზებში და სხვ. ყველაფერი ეს გასაგებიცაა: აღზრდაში ხალხი საქვეყნო საქმეს ხედავს. ამ აზრის განზოგადებაც გვაქვს ფოლკლორში: „ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო“. რატომ უნდა იყოს ასე? კარგად ჩანს, რომ აღმზრდელი ადამიანი არა მხოლოდ დედ-მამასა და ოჯახს, არამედ მთელ ხალხსაც, ქვეყანასაც ეკუთვნის; რომ აღმზრდელის საქმიანობა მთელ ხალხთან არის დაკავშირებული.

მართლაც, რატომ უნდა იყოს ავი შვილი დედ-მამის მაგინებელი, ან რატომ უნდა აგინონ ვინმე იმისათვის, რომ მან ცუდი შვილი აღზარდა? აქ თავისთავად იგულისხმება, რომ აღზრდილი შვილის საქმიანობა ხალხთანაა დაკავშირებული და მაშასადამე, ხალხს აქვს უფლება შეაფასოს მისი მოქმედება და თუ იგი დასაწუნი იქნება, დაიწუნოს. ამავე ანდაზიდან ისიც ჩანს, რომ ხალხში შემუშავებულ აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ ამა თუ იმ ახალგაზრდაზე სწორი წარმოდგენა გვქონდეს.

რას გულისხმობს ხალხი ბავშვის კარგად აღზრდაში? — პირველ რიგში მის მომზადებას ქვეყნის სამსახურისათვის.

აღმზრდელს უფლება აქვს შეაფასოს — მოიწონოს, ან დაი-

წუნოს მის მიერ აღზრდილი ადამიანის ქცევა. ანდაზიდან „ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო“ ჩანს, რომ ხალხის აზრს აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აღმზრდელი პასუხისმგებელი უნდა იყოს ბავშვის აღზრდაშიო, — ამბობს ხალხი. ცუდად აღზრდის გამო, შეგირდზე უფრო მეტად აღმზრდელი უნდა დაისაჯოს — „ერთი შეგირდს მისცხე, ხუთი გამზრდელსაო“ (ფ. ა. № 24941).

რა ძირითადი ნიშან-თვისებებით უნდა ხასიათდებოდეს აღმზრდელი, რომ სწორი აღზრდა აწარმოოს?

— მისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს, პირველ რიგში, ერთგვარი დემოკრატიული, თავმდაბლური დამოკიდებულება აღსაზრდელისა და მისი მშობლებისადმი. „ხალხურ სკოლებშიც“, რომლებთაც ჯადრსნურ ზღაპრებში ვხვდებით, ერთგვარი პირობის დადებას აქვს ადგილი ოსტატსა და ბავშვის მშობლებს შორის: აღნიშნულია, თუ რა ევალება ოსტატს და რა-მშობელს. ზღაპარ „მოხერხებული შეგირდის“ მიხედვით, მასწავლებელმა ბავშვის მშობელს უთხრა: „თუ შვილი სასწავლებლად მიგყავს, ჩემზე უკეთესს ვის მიაბარებ, დამიტოვე, ვასწავლი რაც საჭიროა, ერთი წლის შემდეგ მოდი, „თუ ისწავლის ჩემს ხელობას კარგი იქნება, თუ არა და რას წააგებს“-ო. ნაწარმოებიდან ჩანს, რომ ამ აზრს დათანხმებია მშობელი, რის შედეგად, მასწავლებელს ჯურღმულში ჩაუყვანია ბავშვი და სწავლებას შედგომია („ბერიკაცი იმ დღიდანვე შეუდგა ვაჟის სწავლებას“-ო. ნათქვამია იქვე). აქედან ჩანს, რომ ბავშვისათვის რაღაც ხელობა ერთი წლის განმავლობაში უნდა ესწავლებია მასწავლებელს. ზღაპარში „ჰაიტ“, ნათქვამია: გლეხმა როცა მასწავლებელ „ჰაიტ“-ს შვილი დაუტოვა აღსაზრდელად, ამ უკანასკნელმა წყალში ჩაიყვანა ბავშვი და უჩინარი გახადა. ამის გამო მშობელმა გლეხმა ტირილი დაიწყო — „ბავშვი დავკარგეო“, მაშინ ჰაიტი წყლიდან ამოვიდა და მას უთხრა: რა გატირებს, თუ არ გინდა დამიტოვო ბავშვი წაიყვანე, შენი ნებაა. (ფ. ა. № 783). ასეთ თავმდაბლობას „სწავლის კურსის“ დამთავრების შემდეგ ბავშვის მშობელთან წასვლის მომენტშიც აქვს ადგილი. ისე, რომ არ ჩანს ანტაგონისტურ კლასთა არსებობის პირობებში „ნასწავლ“ ადამიანთათვის დამახასიათებელი თავმაღლობა, თავმოწონება, დაბალი ფენის წარმომადგენლებთან შეხვედრისას. თვით შეგირდებთან დამოკიდებულებაშიც ეს მასწავლებლები ასეთივე თანასწორუფლებიანობის „პრინციპს“ იცავენ.

ეს ტრადიცია რეალისტური ხასიათის ნოველებშიც ჩანს, ნაწარმოებ „სოვდაგრის“ მიხედვით, როგორც ვნახეთ, სრული ნებაყოფლობით შეთანხმდნენ აღსაზრდელი და სხვადასხვა „საგნის“ (წერა-

კითხვის, მუსიკისა და ცურვის) მასწავლებლები, თუ რა უნდა გადაეხადა აღსაზრდელს ამ „საგნების“ შესწავლაში.

„სოვდაგარი“, „ხალხური სკოლების“ შემცველ ზღაპრებთან შედარებით, მოგვიანო პერიოდში უნდა იყოს შექმნილი (მასში ადგილი არ აქვს ჯადოსნობას, რომელსაც „ხალხურ სკოლებში“ ვხვდებით, მისი შინაარსი რეალისტურია). ამრიგად, ასეთი თანასწორუფლებიანობა სხვადასხვა პერიოდის ნაწარმოებებში გვაქვს და ის მთელი ხალხური შემოქმედებისათვის არის დამახასიათებელი. ეს ბუნებრივიცაა. მოვიგონოთ ლენინის მითითება ექსპლოატირებულ მასაში დემოკრატიული იდეოლოგიის არსებობის შესახებ.

დამრიგებელ-მასწავლებელს მოეთხოვებოდა ცხოვრებაში გამოსაყენებელი ცოდნა გადაეცა შეგირდისათვის. როგორც აღვნიშნეთ, ეს უტილიტარული მიდგომაა და საერთოდაც ახასიათებს ქართულ ფოლკლორს. იგი მეტნაკლებად მოჩანს უძველეს, ძველ და ახალ ფოლკლორულ ნიმუშებში და ემყარება „განათლების რეალისტურ პრინციპს“, რომელზედაც უკვე გვქონდა ლაპარაკი. საყურადღებოა, რომ ის „ხალხურ სკოლებშიც“ გვაქვს. ირკვევა, რომ ამ სკოლებში ბავშვს „სხვა საგნად ქცევას“ ასწავლიდნენ. მართალია, ეს ჯადოსნური ცრურწმენის საფუძველზე ხდება, მაგრამ მისი მიზანი რეალისტური იყო: „სხვა საგნად“ გადაქცევა ორიენტაციას უკარგავდა მოწინააღმდეგეს, და სამსხვერპლო ამით თავს აღწევდა ხიფათს. მაგრამ ამას გარდა, იმ-ღროინდელი ადამიანის ცრურწმენის საფუძველზე, ამ საერთო თვალსაზრისს თავისი ერთგვარი დადებითი მხარეები გააჩნდა. პირველ რიგში, სხვა საგნად ქცევაში ეკონომიური წარმატების, — სიღარიბისაგან თავის დაღწევის ერთ-ერთ საშუალებასაც ხედავდა ხალხი. მაგალითად, ზღაპარში „მოხერხებული შეგირდი“, ასეთი სურათი გვაქვს: „ხალხურ სკოლაში“ „განსწავლულმა“ ვაჟმა მამას უთხრა: „მამილო, მე ჯერ ჯორად გადავიქცევი, პირში ლაგამი ამომდე და ბაზარში გამყიდე, ოღონდ მყიდველს ლაგამი არ გაატანოო“-ო. ასეც მოხდა: ეს „ჯორი“ მყიდველმა ულაგმოდ წაიყვანა ბაზრიდან. მაგრამ როცა წყაროსთან მივიდნენ, იგი ხელიდან გაუსხლტა მას და მილში (რომლითაც წყალი ჩამოდიოდა), მიიმალა, შემდეგ ეს „ჯორი“ „ცხენად გადაიქცა“ და „კარგ ფასად“ გაიყიდა, მაგრამ მყიდველს ისევ გამოეპარა; სახლში მივიდა და ამის შედეგად ეს ღარიბი კაცი გამდიდრდაო, — ნათქვამია ზღაპარში.

ამ ეკონომიური სარგებლობის მიზანდასახულობას „სხვა საგნად ქცევის“ სწავლების შემდეგი რეალისტური შინაარსი უკავშირდება: „სხვა საგნად რომ ადამიანი გადაიქცეს“, იმ საგნის თვისებები უნდა შეისწავლოს, რადაც გადაქცევა სურს. ამის გარეშე არ შეიძლე-

ბა იგი ამ საგანს დაემსგავსოს. ამიტომ ვფიქრობთ: ასეთი სწავლება, ხალხის იმდროინდელი წარმოდგენით, საგანთა და მოვლენათა გარკვეულ გაცნობასაც გულისხმობდა. ეს მომენტი კი აძლიერებს ზემოაღნიშნულ ხალხურ უტილიტარიზმს. მაგრამ ამ პრინციპს კიდევ უფრო მკვეთრად ვხედავთ სხვა ნაწარმოებებში, რომელთა მიხედვით „ხალხურ სკოლაში“ ბავშვის შეყვანის მიზანი ხელობის შესწავლაა. ავიღოთ ზემოხსენებული ზღაპარი — „ღარიბი დედის შვილი ალექსანდრე“. დედამ სიღარიბის გამო, შვილის ჩვეულებრივ სკოლაში შეყვანა ვერ შეძლო. ამიტომ ის სოფელ ბოდბისხევში წაიყვანა და მიაბარა ხელოსანს, რომელსაც ვახვახას ეძახდნენ. აქ ნათლად ჩანს, რომ ხელობის შესწავლის მისანდასახულობას ეკონომიური პირობების გაუმჯობესების მოტივი ამოძრავებდა. კიდევ უფრო მკვეთრადაა ეს მოტივი ასახული ზღაპარში — „მეცხვარე, ბრმა დევი და ფეიქრის შეგირდი“. („ქართ. ხალხ. ზღ.“, 1938, გვ. 179). აღმზრდელი აქ ხელობით ფეიქარია, რომელსაც მშობლებმა შვილი მიაბარეს, იგულისხმება — ამ ხელობის შესასწავლად. რეალისტური ხასიათის ნაწარმოებებში ეს პრინციპი უფრო გარკვევით ჩანს. ზემოხსენებული ნაწარმოების, „სოვდაგრის“ მიხედვით, წერა-კითხვის, ცურვისა და მუსიკის შესწავლა მხოლოდ და მხოლოდ სარგებლიანობის პრინციპს ემყარებოდა. შემდეგი პერიოდის ნაწარმოებებიდან დამრიგებელ-მასწავლებლის ეს მოვალეობა კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს.

ზემოთ განხილული მასალებიდან ისიც ნათელია, რომ აღმზრდელი უნდა აფასებდეს ბავშვს, ითვალისწინებდეს მის ინდივიდუალურ თავისებურებებს; საერთოდ, ჰუმანურად იყოს მის მიმართ განწყობილი, აი, ის მოთხოვნები, რომელთაც „დამრიგებელ-მასწავლებელი“ უნდა აკმაყოფილებდეს. მაგრამ ეს მოთხოვნები ძირითადია და მათ საფუძველზე აღმზრდელს სხვა თვისებებიც უნდა ჰქონდეს. უპირველესად ის ზნეობრივად უნდა იყოს სპეტაკი, — „უნამუსო დიაცი სხვას ნამუსზე ვერ დაარიგებსო“, — მიუთითებს ხალხი. სინდისიერება და საერთოდ, ზნეობრივი სისპეტაკე დამრიგებელ-მასწავლებლის ყოველ „პედაგოგიურ“ საქმიანობაში უნდა ჩანდეს; მან არ უნდა დაიშუროს ენერგია ახალი თაობისა და საერთოდ — ადამიანთა აღზრდისათვის. აღმზრდელმა უნდა იცოდეს, რომ მთავარი, გადამწყვეტი ადამიანის ჯეროვანი ფორმირებაა და არა ის, თუ ვის მიმართ იქნება მიმართული აღმზრდელობითი ღონისძიებანი.

აი, ასე ჰეშმარიტი და ობიექტურია ხალხის აზროვნება დამრიგებელ-მასწავლებლის საზოგადოებრივი როლის შესახებ, რაც შეუძლებელია სასარგებლო არ იყოს საბჭოთა აღზრდისათვის. მაგრამ ეს როდი ამოწურავს საკითხის შინაარსს: აღმზრდელი უნდა დაკვირ-

დეს აღსაზრდელის მომზადების დონეს, ჩაწვდეს მის სულიერ ცხოვრებას და ამის მიხედვით წარმართოს აღმზრდელობითი მუშაობა. ნაწარმოების — „ზღაპარი არაბზანგინისა“ მიხედვით, იზრდებოდა რა მეფის შვილი სინათლისაგან დახშულ ოთახში, მზის არსებობაც არ იცოდა. მეტიც: წარმოდგენაც არ ჰქონდა მასზე. ამიტომ როცა კედელში ჭუჭრუტანა გაჩნდა და ოთახში მზის შუქმა შეატანა, ამ 17—18 წლის ჭაბუკმა ისინი რაღაც თავისებურ არსებად ჩათვალა და დაჭერა მოუნდომა, რასაც მასწავლებლის გარკვეული ახსნა-განმარტება მოჰყვა მზისა და მთვარის შესახებ. ხალხი ნათლად გვიჩვენებს ასეთი გულისხმიერების შედეგს: ეს ჩამორჩენილი ყმაწვილი მოწინავე ადამიანად იქცა. აღმზრდელი, ყოველთვის და ყოველ პირობებში უნდა არიგებდეს და ასწავლიდეს ბავშვს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, — სკოლაშიც, შრომის პროცესშიც, შეკრების ადგილებშიც, გზაშიც და ა. შ. ამას გარდა, აღმზრდელი ბავშვის მიმართ უნდა იყოს მომთხოვნი, აგრძნობინოს მას ცხოვრების სიმკაცრეც, შეაჩვიოს წინააღმდეგობათა გადალახვას. მართალი სიტყვა უნდა უთხრას აღსაზრდელს: „ბავშვს კვერს ნუ დაჰპირდები და თუ დაჰპირდი, — შეუსრულე კიდეცო“ („რჩ. ანდაზ. და სიტყ. მას.“, გვ. 41). აქ უწებლიეთ გვაგონდება ზემოთ განხილული ხალხური პრინციპი სიტყვის შესრულების შესახებ. არც ეს კმარა: ბავშვი აღმზრდელმა შრომას და გულისხმიერებასაც უნდა შეაჩვიოს: „ბავშვი დასაქმე და უკან გამოუდექიო“ (სვინტიძე, იქვე, გვ. 17). ასეთი ზემოქმედების პროცესში აღსაზრდელმა შეიძლება სასურველი ქცევები ვერ გამოავლინოს, მაგრამ ეს მის უვარგისობას არ ამტკიცებს და აღმზრდელი ამ უკანასკნელის შეფასებაში არ უნდა აჩქარდეს. ამ აზრზე მიუთითებს, ერთი მხრივ, დებულებაც — „ერთი წლის ბერწობით ფური არ დაიკვლება“. მაგრამ უფრო საყურადღებო მეორე გამონათქვამია, რომელიც ახალ ოჯახურ პირობებში მოხვედრილ ახალგაზრდაზე აღმზრდელობით ზემოქმედებას ეხება და ასეა წარმოდგენილი: — „ახალი რძალი ქორივით გასაშინაურებელია“-ო. ამასთან დაკავშირებით ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: სვანეთში „რძლის მოყვანის პირველი წელი, მისი მხრივ, ახალი ოჯახის შეთვისების, შეგუების წელია. რძლის ირგვლივ უკმაყოფილებას ყველა ერიდება ოჯახში. მას მოსაშინაურებელ ქორად თვლიან“ (ფ. ა. № 5185). უკანასკნელი სიტყვა („ქორად“) არასიმპათიურად ეღერს, მაგრამ ჩვენთვის ამჟამად მთავარი ის არის, რომ ხალხის თვალსაზრისით, აღსაზრდელს ვერ მოვთხოვთ იმას, რასაც — აღზრდილს; რომ მას გარკვეული დრო უნდა მიეცეს ჩამოსაყალიბებლად. ბუნებრივია, რომ აქ ადამიანის სრული ჩამოყალიბება იგულისხმება და არა მხოლოდ ზნეობრივი (ე. ი. აღზრდისათვის,

მეტად დიდი დროა საჭირო). ეს დებულება თავის გაგრძელებას პოულობს მითითებაში — „მოყვანილი ქალის ამბავს სამ წელიწადს ნუ იკითხავო“ (სვინტიძე, გვ. 127). ამიტომ აღმზრდელმა ჯერ უნდა ასწავლოს, კარგი და ცუდი გააგებინოს, თორემ პედაგოგიურ დანაშაულს ჩაიდენს:

„ერთგულო, ცრუკი ქკეყანა მე ხომ არ გამეკებოდა,
ერთგულსა ერთის სიტყვითა აუგ[1] რად დაედებაო“[2].

ეს საყვედური სავსებით მართებული, კანონიერია. ამასთან ხალხი მოითხოვს, აღსაზრდელზე ჩვენი აზრი მის ხასიათსა და ქცევებში მომხდარი ცვლილების მიხედვით შევცვალოთ. მოვიგონოთ გამოთქმა: „ქაჩალს ქაჩალს ნუ ეძახი, თავი თუ მოიკარკაცა (თუ კაი კაცად გახდა)“ (Q, 965, გვ. 303).

ზემოაღნიშნულთან ერთად, აღმზრდელის ყოველი სიტყვა, სწავლება, კეთილსინდისიერებით სავსე უნდა იყოსო, — ამბობს ხალხი და სათანადო მაგალითსაც ასახელებს: „ეს მერძეული გიორგი“, მოჯამაგირეს ისე არიგებს „როგორც, რომ მამა შვილსაო“ (ფ. ა. № 20644). ასეთი მშობლიური გრძნობა უნდა ამოძრავებდეს ყოველ მასწავლებელს.

ასეთია ხალხის მოთხოვნები აღმზრდელისადმი. ამ დარიგებათა სახით, აღმზრდელის აღსაზრდელისადმი დამოკიდებულების გარკვეული ნორმები გვაქვს, რომლებიც (უნდა ვიფიქროთ) მაორგანიზებელ როლს ასრულებდნენ მომავალ თაობათა ფორმირებაში. ამ შეხედულებებიდან ბევრი დაეხმარება საბჭოთა აღზრდას. მაგრამ ეს მოთხოვნათა ერთი ჯგუფია. არის სხვა მოთხოვნებიც, რომლებიც აღმზრდელმა უნდა შეასრულოს. აქვე ბუნებრივად ისმის აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთობის საკითხიც.

„უფროს-უმცროსობა, — წერდა ნ. ხიზანიშვილი, — შეადგენდა საოჯახო წესს და ამ წესს მით უფრო საჭიროდ რაცხდენ, რომ ძველი ოჯახი მრავალწევრიანი იყო და, მაშასადამე, თხოულობდა იერარქიულ დამოკიდებულებას, მორჩილებას ერთისა მეორისადმი“[3].

ცხადია, უფროსთა და უმცროსთა დამოკიდებულების ფორმებიც იცვლებოდა დროთა ვითარებაში. ფოლკლორის მასალების მიხედვით, გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ხალხი, კერძოდ, მშობელთა და შვილთა შორის სამართლიან, შეგნებულ, კეთილსინდისიერ და გულითად დამოკიდებულებას ცნობს საჭიროდ და ამის საფუძვლად მშობლებისა და შვილების ინტერესთა ერთიანობას აღიარებს: „შვილი დედ-

---

[1] „აუგი-ცუდი სახელი“. ხალხ. სიტყვ. III, გვ. 113.

[3] ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940, გვ. 170.

მამას ამშვენებს და ვარდი ყანასაო“ (ფ. ა. № 15064). დედა გაბოროტების შემთხვევაშიც კი კეთილია შვილის მიმართ — „როცა დედა იწყევლება, მისი ძუძუები ილოცებიანო“. ამ გამოთქმის ლოგიკურ გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ აფორიზმი: — „დედის წყევლა შვილს კარამდის არ მიჰყვებაო“ (ფ. ა. №24840), ეს ნაწარმოებნი ერთ მთლიან აზრს გვაწვდიან შვილისადმი მშობლის სასურველი დამოკიდებულების შესახებ. ეს დამოკიდებულება ღრმად ჰუმანური, კეთილშობილური, ჭეშმარიტად მშობლიურია. იგი თავიდან ბოლომდე გასდევს ქართულ ხალხურ შემოქმედებას და მისი განუყრელი ნიშან-თვისებაა. შვილისადმი დედის ამ თბილი დამოკიდებულებით აიხსნება, რომ ყოველი გაჭირვებისა, თუ დალხინების დროს, ადამიანი პირველად სიტყვა „დედას“ ახსენებს. მამის დამოკიდებულებაც ასეთია. შვილისადმი. მოვიგონოთ „ამირანის“ ერთ-ერთი სვანური ვარიანტის ის ეპიზოდი, რომლის მიხედვით, იამანმა თავისი ცალი თვალი ამოითხარა და დევს მისცა, შვილების ამ უკანასკნელისაგან დახსნის მიზნით[1]. აღმზრდელი ყოველთვის უნდა ზრუნავდეს ბავშვზე. უფრო სრული წარმოდგენის შესაქმნელად აქ ობლებთან დამოკიდებულებაზე აღვნიშნავთ. ხალხი, ერთი მხრივ, ობლის ფიზიკურად არსებობაზე ზრუნვას მოითხოვს:

„მთიბელიო როცა მთას გავაო,
სულს ისხამს ნიავისასაო,
— „ცელო, გამიკერო ამანათსაო,
ცელო, ობოლი გებრალებოდესო“ („ქართ. მთიელთა ზეპირსიტყვიერება“, გვ. 163).

დიდი განცდითაა აქ გადმოცემული ობლებისადმი ზრუნვის საჭიროება. მთიბველი სამუშაოზე გასვლისთანავე მიმართავს თავის სამუშაო იარაღს — ცელს, რათა მან ნაყოფიერად იმუშაოს და ამით ლუკმა-პური მოუპოვოს ობლებსო. მაგრამ, ხალხმა ისიც იცის, რომ ეკონომიური უზრუნველყოფაც არ კმარა, რომ აღმზრდელს ობლის წესიერად აღზრდაც ევალება:

„დედამ გაზარდოს ობოლი ერთი ათასად ღირსაო.
გაზარდოს, როგორ. გაზარდოს, მეტიც არ შეიძლებოდეს“-ო
(იქვე, გვ. 252).

მამაც ასე უნდა იქცეოდეს, ხალხი ერთ-ერთი ლექსის „ლირიკულ გმირს“ ათქმევინებს:

---

[1] სვანური პროზაული ტექსტები, ბალსზემოური კილო. ტექსტები შეკრიბეს შ ა ნ ი ძ ე მ, და ვ. თ ო ფ უ რ ი ა მ. 1939, „ამირანის“ პირველი ვარიანტი.

„მეუღლეს შემიტყობინეთ, შავს ნუ ჩაიცვამს ჩემზედ,
ობლებ არ დამიწიოკოს, კარგად დაზარდოს მზეზედა.“[1]

ითვალისწინებდა რა იმ გარემოებას, რომ ობოლი, ხშირად, უგულებელყოფილი და დაჩაგრული იყო, ხალხი ერთგვარ შედარებას ახდენდა ობლებისადმი კარგ და ცუდ დამოკიდებულებას შორის და სათანადო დასკვნაც გამოჰქონდა, რათა ცუდი აღმზრდელისათვის თავისი მოვალეობა ეგრძნობინებინა:

„ობლების ამტირებელსა საჯდომ ასწავლეს ბნელია,
სამზეოს უსამართლოეო, საფერი მოგეხვედა შენია“.
„ობოლთა შვილთა დამზდელსა გზას მიაგებეს ცხენია“[2].

ცნობილია, რომ ზღაპრების მიხედვით, ობლისადმი დედინაცვლის დამოკიდებულება უარყოფითია. ეს ფოლკლორის სხვა სახეებშიც მოჩანს: ლექსებშიც (ფ. ა. № 13462), ანდაზებშიც (სვინტიძე, იქვე, გვ. 44). ამასთან უნდა ითქვას, რომ ეს ძველი შეხედულება თანდათანობით კარგავდა ძალას. ამის მაჩვენებელია გამოთქმა: „სულ უდედობას დედი-ნაცვალი სჯობიაო“ („ძვ. საქ.“ II, განყ. 5, გვ. 101).

საბჭოთა ფოლკლორში კი თითქმის სრულიად არ გვაქვს დედინაცვლისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მაგალითი.

ხალხი საერთოდაც მოითხოვს ბავშვის პიროვნების დაფასებას, ერთგვარ პატივისცემას მის მიმართ; იმას, რომ მას თავისი ღირსება შეევაგნებინოთ. თუმცა აქ, ზოგჯერ, გადაჭარბებული თავაზიანობაც მოჩანს. ერთ-ერთი ცნობის მიხედვით ხევსურეთში „მოზარდ თაობას უფროსები ერთგვარ პატივით ექცევიან, ფეხზე უდგებიან და ხელის ჩამორთმევით მოიკითხავენ“ (ს. მაკალათია, ხევსურეთი, გვ. 194). მაგრამ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ხალხი იმასაც სცნობს საჭიროდ, რომ ბავშვს პასუხისმგებლობაც ვაგრძნობინოთ. ის წინაღმდეგია რა ფუფუნებისა, მოითხოვს, რომ ზომიერება იქნეს დაცული ბავშვთან დამოკიდებულებაში. საგულისხმოა მითითება: „შენი ჭირიმეთი შვილი არ გაიზრდებაო“ (ლ. მეტრეველი, ანდაზები, გვ. 88). არის გამოთქმაც — „შვილი გაზარდე მტრულადა, მოყვარედ გამოგადგებაო“. მეტიც: გამოდის რა იქიდან, რომ აღზრდა ასაკით არ ისაზღვრება, ხალხი მოითხოვს, რომ აღმზრდელი აღზრდილზეც უნდა ზრუნავდეს: „წყალი ძელსა არ გაწირავს, რადგან მისი გაზრდილია“ (სვინტიძე, იქვე, გვ. 194). მტრულად გაზრდა იმას ნიშნავს, რომ აღმზრდელმა შეიძლება ზოგჯერ დასაჯოს ბავშვი და ამ უკანასკნელმა მასში

---

[1] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშური ლექსი. გვ. 79. [2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 600.

მტრობა დაინახოს, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს, რადგან შედეგი სასურველი იქნება — კარგ ადამიანს აღვზრდით.

ყველაფერი ეს იმას ამტკიცებს, რომ ხალხი გარკვეულ პედაგოგიურ ტაქტს ცნობს საჭიროდ: ბავშვს პატივისცემით მოვეპყრათ, დავეფასოთ, თავისი ღირსებაც ვაგრძნობინოთ, მაგრამ ამასთან ისიც გავაგებინოთ, რომ ის არ წარმოადგენს რაღაც არაჩვეულებრივ არსებას, რომელსაც ყველა პატივს უნდა სცემდეს. საერთოდ კი ჩანს, რომ მშობლებმა თავი უნდა დასდონ შვილებისათვის, მუდმივად იზრუნონ მათ ჯანმრთელობასა და წესიერად აღზრდაზე.

ხალხი ამავე დროს მიუთითებს — კარგი აღმზრდელი ყოველთვის ფასდებაო. ეს ზემოხსენებულ ლექსში მიმართავს მოხუცს: ახალგაზრდობისადმი სწორი დამოკიდებულებით, „ჯერ ბოლოს გაიკეთებდი, მემრ გზასა სულეთისასა“-ო (ა. შანიძე, გვ. 630).

მასწავლებლის მიმართ კი ღრმა პატივისცემა და კეთილი სურვილები ჩანს ფოლკლორში (კერძოდ, არის ასეთი გამოთქმა — „სიკეთე და სიხარული მასწავლებელს ეხვეოდა“[1]).

ხალხის აზრით, სიკეთე აღმზრდელის ატრიბუტია, რადგან მისი საქმიანობა მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება. სიხარული კი, ერთი მხრივ, ასეთი ქცევის ბუნებრივი შედეგია, მეორე მხრივ კი იმისა, რომ აღმზრდელს, მასწავლებელს, საქმე აქვს სიცოცხლისუნარიან ბავშვთან. რაც შეუძლებელია დიდ სიხარულს არ იწვევდეს.

მტკიცდება, რომ ხალხის აზრით, აღსაზრდელისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, აღმზრდელისადმი ავტორიტეტს ზრდის აღსაზრდელებში.

ასეთია მეორე ჯგუფი მითითებებისა, რომელიც აღმზრდელმა სახელმძღვანელოდ უნდა გაიხადოს.

როგორ უნდა ექცეოდეს აღსაზრდელი აღმზრდელს?

სწავლების საკითხებზე მსჯელობის დროს ნათელი გახდა, რომ აღსაზრდელი თვითონაც უნდა აყენებდეს აღმზრდელის წინაშე კითხვებს საგნის, ან მოვლენის შესახებ. მაშასადამე, ის ნდობით უნდა იყოს განწყობილი დამრიგებელ-მასწავლებლის რჩევა დარიგებისადმი. მაგრამ, ხალხი ამით არ კმაყოფილდება და, როგორც ნაწილობრივ ზემოთაც ითქვა, ამბობს: აღსაზრდელს პატივისცემა და მოვალეობის გრძნობაც უნდა ჰქონდეს საერთოდ აღმზრდელისა და კერძოდ, მშობლებისადმი:

„დედას და მამას პატივი ეცი, რომ დღეგრძელი იყოვო“[2].

---

1 „ძველი საქართველო“, III, განყ. 2, გვ. 177-178.

2 მესხური ანდაზები და გამოცანები, შეგროვილი მესხი კ. გ ვ ა რ ა მ ა ძ ი ს ა გ ა ნ. გვ. 10.

ვხედავთ, რომ აქ ამ აზრის დასაბუთებაც მოჩანს. აყენებს რა ამ მოთხოვნას, ხალხი მის მაგალითზედაც მიუთითებს. ასეთი პატივისცემის მრავალი მაგალითია ფოლკლორში. მაგალითად, ზემოაღნიშნულ ნაწარმოებში „სოვდაგარი“, აღნიშნულია: სოვდაგრის შვილი ყოველნაირად ცდილობდა მშობლების ამაგი დაეფასებინა. ამიტომ უკიდურეს ზომასაც კი მიმართა: მამას ვაჭრისათვის მიაყიდვინა თავისი თავი და ამით ფეხზე დააყენა ოჯახიო. ხალხი ასეთი დამოკიდებულების დადებით შედეგებზე მიუთითებდა აბალგაზრდობას და ამ დებულებას აღმზრდელის შემდეგი სიტყვებით ასაბუთებდა:

„შენ თუ ქვე წახვალო გაზრდილო,
ჩვენ ვისღა შეეებრალებითაო...
ნუ მოგვიკვდებიო ამრან,
ნუ დაშვრეტ თვალთა ფრთეთაო“ („შრომის სიმღერა“, გვ. 132).

ამრიგად, აღსაზრდელის წესიერი დამოკიდებულებაც აღმზრდელისადმი სიყვარულს იმსახურებს ამ უკანასკნელში. ზემოთ მოყვანილ შეხედულებასაც თუ გავითვალისწინებთ იმის შესახებ, რომ ხალხის აზრით, აღზრდა არა მხოლოდ კერძო, არამედ საზოგადოებრივი საქმეც არის, ნათელი გახდება, რომ დადებითი ურთიერთდამოკიდებულება საზოგადოების წინაშეც ამაღლებს აღმზრდელის ავტორიტეტს.

კითხვა ისმის — რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა ამის საწინააღმდეგო უმართებულო დამოკიდებულებას აქვს ადგილი?

ფოლკლორულ ნაწარმოებებში გამოყვანილია უარყოფითი თვისებების „აღმზრდელ-მასწავლებლებიც“. მათ სახეებს ვხედავთ, კერძოდ, „ხალხური სკოლების“ ამსახველ ზოგიერთ ზღაპარშიც.

ერთ-ერთი ასეთი ზღაპრის მიხედვით, ოსტატი სასწავლო დროის მთელ მანძილზე ყოველი წლის ბოლოს ეკითხებოდა მოსწავლეებს — ისწავლეს თუ არა მათ მისგან. თუ უარყოფით პასუხს მიიღებდა, ნასწავლს გაუმეორებდა და თუ ამჯერადაც ვერაფერს ისწავლიდნენ, დაითხოვდა, მშობლებთან გაუშვებდა. იმ შეგირდს კი, რომელიც ეტყოდა — „ვისწავლეო“, თავს მოჭრიდა და ორმოში აგდებდა ხოლმე (ფ. ა. № 782). უფრო ზუსტ ცნობას ამის შესახებ ვხვდებით ზემოხსენებულ ზღაპარში „მოხერხებული შეგირდი“. აი, რა უთხრა აღმზრდელის ქალიშვილმა შეგირდს: „მამაჩემი რომ ბეტყვის „რაც გასწავლე თუ იციო, შენ უთხარი“ „არაფერი არ ვიცი“ — თქო, თორემ აქედან ცოცხალს არ გაგიშვებს. ჯერ არც ერთი ზემოდან მოყვანილი ვაჟი აქედან ცოცხალი არ გაუშვია. ეცადე, თუ სიცოცხლე გინდა, ჩემი დარიგება უნაკლოდ შეასრულე“-ო. ვაჟი ასეც მოიქცა: მან აღმზრდელი დაარწმუნა რომ არაფერი იცოდა, და ამ უკანასკ-

ნელმაც განუცხადა მის მამას „შენი შვილი უნიჭო ყოფილა, ვერაფერი ვერ ვასწავლე, წადი, ისევ შინ წაიყვანე“-ო. ნამდვილად კი მის შეკრძალს „ბრწყინვალედ ჰქონდა შესწავლილი სხვა საგნად გადაქცევის“ ხელოვნება და როცა ამაში მისი აღმზრდელი დარწმუნდა, მოკვლა მოუნდომა და დევნა დაუწყო, მაგრამ თვითონვე დაიღუპა[1]. შეგირდისადმი ასეთი დამოკიდებულება იმ მიზნით, რომ მან აღმზრდელს არ აჯობოს, მოჩანს შუასაუკუნეების ლექსშიც „ხეკორძულას წყალი მისვამს“ და თემულებაშიც მის შესახებ. ამ ლექსის ერთ-ერთ ვარიანტში სიტყვა „ოსტატიც“ იხსენიება. მცხეთის აშენებისათვისო:

„ოსტატმა მარჯვენა მაშვრა:
კარჭი რისთვის აგივია?!“-ო („ძვ. საქ.“ I, განყ. 4, გვ. 65).

ზემოხსენებული „ხალხური სკოლების“ აღმზრდელთა ქცევებიც ასეთივეა, მაგრამ თავისებურიც: ეს აღმზრდელები ჯეროვნად ასწავლიდნენ თავიანთ შეგირდებს, სათანადო ცოდნითაც აიარაღებდნენ და ამდენად ჭეშმარიტი აღმზრდელის სახელს ამართლებდნენ, მაგრამ როცა შეამჩნევდნენ, რომ ცოდნის მთელი მარაგი ჰქონდათ შეთვისებული, მათ დაღუპვას ცდილობდნენ, რათა საზოგადოებაში ყველაზე მცოდნე ადამიანის სახელი შენარჩუნებოდათ. აქ მკვეთრად ჩანს არაჭეშმარიტი აღმზრდელის ეგოიზმი, ინდივიდუალიზმი; ის, რომ ისინი ფეხქვეშ თელავდნენ ხალხში განმტკიცებულ ტრადიციას, რომლის მიხედვით, შეგირდი თუ ოსტატზე „ნაკლები გამოვიდოდა, ის ოსტატისათვის სირცხვილი“ იქნებოდა[2]. უფრო გვიანდელ ნაწარმოებებში კი, აღმზრდელის უარყოფითი სახე სხვაგვარადაა წარმოდგენილი და სათანადო „განაჩენითაც“. საგულისხმოა ნაწარმოები, რომელიც „მასწავლებლის“ ზნეობრივ დაცემას ეხება, მოსწავლეებთან ურთიერთობის საკითხში. ბოლოს კი ნათქვამია — „მოწაფეებს რომ არ ზოგვენ, ჩვენ რას ვიწამებთ მისასა?“-ო[3]. აღმზრდელის ასეთივე უარყოფითი სახე მოგვცა ხალხმა ნაწარმოებშიც — „მსუნაგი მასწავლებელი“ (ფ. ა. კოლექ. II, საქ. 29 № 11). მკაცრი განაჩენი გაცოცხლებს მას, აგრეთვე, იმ მშობელთა მიმართ, რომლებიც უპატრონოდ ტოვებენ ბავშვებს. საყურადღებოა გამოთქმა — „დედას ობლების დამყრელსა უბეს ჩაუსხნეს გველნია“, ის ჯოჯოხეთში გაგზავნეს და იქაც ეშმაკი გააყოლესო (ა. შანიძე, გვ. 230). ხალხი სხვა

[1] „ხალხური სკოლების“ აღმზრდელთა მიერ შეგირდების ასეთ დევნას მრავალ ნაწარმოებში ვხვდებით (საილუსტრაციოდ ფ. ა. № 783, 784).

[2] ს ა ნ დ ა ლ ა, საქართველოს მუშა და ხელოსან ხალხის ცხოვრების ისტორიის მასალები, ტ. I, 1926, გვ. 46.

[3] ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, სამღვდელოება ხალხურ სიტყვიერებაში, 1932, გვ. 34.

მხრივაც გვიჩვენებს მავნე აღმზრდელთა მარცხს. ისინი ვერც საჭირო ეონებრივ უნარიანობას იჩენენ, თვით შეგირდებიც კი ჯობნიან მათთ.

ამრიგად, აღსაზრდელისადმი უზნეო დამოკიდებულება აღმზრდელის დაღუპვასაც იწვევს და ავტორიტეტის დაცემასაც.

მაგრამ ზოგიერთი შვილი არაკეთილსინდისიერად იქცევა მშობლების მიმართო, — ამბობს ხალხი და ასეთი ქცევის სხვადასხვა სახეზე მიუთითებს. ერთ-ერთი მათგანია მშობელთა უგულებელყოფა, რაც არაგონივრულობად არის ფოლკლორში მიჩნეული:

„სულელ ჯაცსა და რეგვენსა
თავი უკედავი ჰგონია,
„დედა და მამა სადა ჰყამს,
რატო არ მოუგონია?“ (ფ. ა. № 11645).

არიან ისეთი ზნედაცემული შვილებიც, რომელთაც მშობლებთან ცხოვრებაც არ სურთ, რადგან მისგან სარგებლობას აღარ მოელიან — „აქამდი რომ გინახავდი, სხვლა იცოდი ვენახისა“-ო („ძვ. საქართველო“ —III, განყ. 2, გვ. 64—65). აქ კარგად ჩანს მშობლისადმი ვიწრო ეგოისტური, უსულგულო, არაადამიანური დამოკიდებულება. ზოგიერთი შვილი არც ამით კმაყოფილდება, ის გროშებზეც კი ჰყიდის მშობლიურ გრძნობას და შეურაცხყოფასაც აყენებს მშობლებს: „მამას კარში გამოაგდებს, დედას წიხლით ზედ შაჰსდგება“-ო! იგი ივიწყებს, რომ მას, სწორედ მშობლებმა უპატრონეს, გაზარდეს და გზა გაუკაფეს ცხოვრებაში, რისთვისაც მრავალი გაჭირვება გადაიტანეს („გაგზარდე და გაგაკაცე, ჯიბით გიზიდამდი ხილსა“-ო — „ძვ. საქ“, იქვე, გვ. 41).

საყურადღებოა ხალხური ნოველაც — „დედის გული“, რომელიც ლექსადაც გვხვდება ფოლკლორში. ხალხმა მკაცრი განაჩენი გამოუტანა დედის მოღალატე შვილს. თვით სატრფომაც კი, რომლის გულისათვის შვილმა დედას გული ამოჭრა, უარყო ის: „როგორ გამოგყვე, დედა ვერ გაგიტანია“-ო. ამის შემდეგ, ის ქალი ვაჟს ჩამოშორდა, „გათხოვდა და ვაჟმა ვერა ნახა სიყვარული“-ო. ხალხს არც ასეთი სასჯელი აკმაყოფილებს და მშობლების უარმყოფი შვილების უფრო მკაცრად დასჯასაც მოითხოვს: „კუპრი დულს, ალი ტმოდის, შიგ ეკიდება გენია, დედ-მამის მეუდიარეს შიგ უდევს ენის წვერია“ (პ. უმიკაშვილი, I, 1964, გვ. 163).

ხალხის ეს შეხედულებები ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა, ბავშვთა აღზრდაში.

თუ გავითვალისწინებთ წარმართულ ლექსებს ღვთაებების — მზისა და მთვარის დედად და მამად წარმოდგენის შესახებ, რაც მშობლების პატივისცემაზე მიგვითითებს, ამასთან ჯადოსნურ და რეალის-

ტურ ნაწარმოებებში გამოთქმულ შეხედულებებს აღმზრდელთა და აღსაზრდელთა ურთიერთდამოკიდებულებაზე, უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ნაწილი უძველეს პერიოდებში პოულობს სათავეებს.

ინდივიდუალური, ჯგუფური და სასკოლო სწავლება. ინდივიდუალური და ჯგუფური სწავლების სახით ზეპირ სწავლებასთან გვაქვს საქმე. ინდივიდუალური სწავლება ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ყოველთვის. ზემოხსენებული დამრიგებელ-მასწავლებლები, პირველ რიგში, სწორედ ამ გზით გადასცემდნენ ცოდნა-გამოცდილებას ახალგაზრდებს. ამით აიხსნება, რომ ის აღზრდის აუცილებელ საშუალებად თვით ხალხს ჰქონდა წარმოდგენილი, მიმართვა — „თუ შაირები არ იცი, რატომ არ მომებარები"-ო[1], სწორედ ამას ამტკიცებს. ასეთი მიბარება ტრადიციად იყო ქცეული. ჯგუფურ სწავლებას სხვადასხვა ხასიათის შეკრებებზე ჰქონდა ადგილი (დღეობებზე, სოფლის მცხოვრებთა შემთხვევით თავყრილობაზე, კოლექტიური შრომის პროცესებში — მიწის დამუშავებისას, ნადირობისას, მწყემსობისას, ქორწილში, მგზავრობაში და სხვა). შეკრებები საპატიო როლს ასრულებდა ახალთაობის ცხოვრებისათვის მომზადებაში. იქ ჰქონდა ადგილი მსჯელობასა და აზრთა გაცვლა-გამოცვლას ბავშვთა აღზრდის საკითხებზეც. ამაზე უნდა მიგვითითებდეს ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი ლექსის შემდეგი ნაწყვეტი:

> დედებმაო „შვილთა აღზრდაზე იუბნონ,
> რო შეიყარნენ ერთადა;
> ლამაზად შვილის აღმზრდელი
> დედა მიცვნია ღმერთადა"[2].

აქ მეტად საინტერესოა გამოთქმა — „შვილთა აღზრდაზე იუბნონ, რომ შეიყარნენ ერთადა". ჩანს, რომ ვაჟა-ფშაველას აქ მხედველობაში აქვს ჩვენს ხალხში ოდითგანვე დამკვიდრებული წესი, რომლის მიხედვით, აღზრდის საკითხები სწორედ თავყრილობებისა და ადამიანთა კოლექტიური მსჯელობის დროს „ირჩეოდა". ხალხის ზნე-ჩვეულებებისა და ადათ-წესების შესანიშნავად მცოდნე პოეტი სწორედ ამის საფუძველზე იძლევა რჩევას. ასეთი შეკრებები რომ ახალგაზრდობისა და საერთოდ მასების აღზრდის კარგ საშუალებებს წარმოადგენდნენ, ი. გრიშაშვილის მსჯელობაშიც ჩანს, „ნაღლზე", როგორც სახალხო თეატრზე, მსჯელობის დროს ის აღნიშნავს: „თუ მაღალი საზოგადოება კერძო სახლებში მართავდა წარმოდგენებს,

---

[1] „ალაკის თვიური კრებული", 1897, IV, განყ. 3, გვ. 39.
[2] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, 1961, გვ. 172.

ჩვენი აშუღები საესტრადო ხელოვნების განსავითარებლად მიმართავდნენ მოედნებზე გამოსვლების ფორმებს. ასეთი სალიანგო სანახაობა, რომელიც ცისქვეშ უფასოდ იყო მოწყობილი, ხალხისათვის უფრო მისაწვდომი და გასაგები იყო, ვიდრე საეკლესიო დღეობებზე ბერების ბუნდოვანი ქაროზი"[1]. ნაღლი იმართებოდა „მინდორში, ან მოედანზე" და მას ხალხი ძალიან ეტანებოდა, ყოველი მოქალაქე დილას ადრე მოდიოდა მოედანზე, რათა ადგილი დაეჭირა. ის „მუქარაც" ისმენდა აზრებს კაცთმოყვარეობაზე, სიკეთე-სიავეზე, პატიოსნებაზე, ერთობა-სიყვარულზე და სხვ. ამასთან აქ ადგილი ჰქონდა მოსწრებულ თქმებს, საინტერესო დიალოგებს და სხვ. ავტორი ქვემოთ აღნიშნავს: ნაღლი რამდენიმე ათეულ წელს არსებობდა და „გადავარდა ოთხმოციან წლებში, როცა თბილისის განაპირა უბნებს სახალხო წარმოდგენები მოეფინა".

შეკრებები ხშირად გარკვეულ წინასწარი მიზანდასახულობით ტარდებოდა, რაც ზოგიერთ ნაწარმოებში ასახულია კიდეც. საილუსტრაციოდ:

„ყველა ქალისას გიამბობს, ხალიაისძე ცდისასა[2],
სუყველას ამბავს გიამბობს, სუყველას გამოცდისასა"[3].

ასეთი ამბების გადაცემას მოზარდები, სიხარულით ხვდებოდნენ, რადგან მათში დიდ ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად, ქვეყნისათვის თავდადებულ ადამიანთა ვაჟკაცურ თვისებებზეც იყო საინტერესო ცნობები:

„მოლოდინი სჯობ მოსვლასა ლაშქრით ლაშაზის ყმისასა,
მოვა, მაიტანს ამბავსა თავისასა და სხვისასა,
ჯერ სწორებისას გვიამბობს, მერმ თავის გამოცდისასა" (იქვე, გვ. 47)

ვხედავთ, რომ აქ გარკვევითაა თქმული ახალი ვაჟკაცური ამბების გადაცემაზე.

საყურადღებოა, რომ ასეთ შეკრებებს თვით ხალხი უყენებდა გარკვეულ მოთხოვნებს, რომლებიც მათ უნდა დაეკმაყოფილებინათ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ გარკვეულ მიზნებს უსახავდნენ, სურდათ — მსმენელებს სწორი და მართებული ცნობები მიეღოთ.

ზემოთქმულით აიხსნება ერთ-ერთი მელექსე, რომ ბოდიშს იხდის — „ლექსი კი ვერ გითხრა საფერი, კაი ვაჟობა ხქენია"-ო[4].

---

1 ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ტ. III, გვ. 197,
2 „ცდისასა" — „ვაჟკაცობისას".
3 ხალხური ლექსები თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ ჩაწერილი, გვ. 50.
4 ა. შ ა ნ ი ძ ე, იქვე, გვ. 94.

მსმენელები იმახსოვრებდნენ მოსმენილ ამბებს და იყენებდნენ ცხოვრებაში.

ასეთ ნაწარმოებებს სიცოცხლისუნარიანობა შეჰქონდა როგორც მთქმელებში, ისე მსმენელებში, დაღლილობასა და მოქანცულობას უფანტავდა და ახალი ამბების მოსასმენად განაწყობდა მათ.

ლექსი, ამბავი, რომელსაც შეკრებულობაში გადასცემდნენ, ერთი მხრივ, გმირს უკვდავჰყოფდა, მეორე მხრივ, მაგალითს წარმოადგენდა ახალგაზრდობისათვის. შეკრებებში მოზარდები სხვადასხვა ადათ-წესებსაც ეცნობოდნენ და ყველაფერი ეს იმდროისათვის აღზრდა-განვითარების კარგ მასალად იყო მიჩნეული. ყოველი შეკრება ორი თვალსაზრისით იპყრობს ჩვენს ყურადღებას: ამ დროს, როგორც აღვნიშნეთ, ცოდნა-გამოცდილება გადაეცემოდა ახალგაზრდობას, მაგრამ ამასთან ერთად, შეკრება სწრაფ, პოეტურ აზროვნებას აჩვევდა; მოსწრებული სიტყვა-პასუხის უნარს უმუშავებდა; თვითშემოქმედებისადმი ინტერესს უქმნიდა. აქ დიდ როლს მიბაძვაც ასრულებდა და თავისი ძალების გამოვლინების წყურვილიც. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი ქმნიდა საუკეთესო პირობას მოზარდთა გონებრივი განვითარებისათვის.

ყოველ ასეთ შეხვედრებსა და ურთიერთობაში (შეკრებილობაში იქნებოდა, ის, თუ სხვაგან), ზემოთქმულის მიხედვით, ორი ძირითადი მომენტი შეიძლება გავარჩიოთ. ერთი თვით შეხვედრის პროცედურაა, მეორე მის შედეგებთან, შემდეგდროინდელ პერიოდთან დაკავშირებული საქმიანობა. აქ ადამიანთა ორი ჯგუფი იგულისხმება: შეხვედრის წამმართველი (ამბავის გადამცემი, მოლექსე, მომღერალი და სხვ.) და მაყურებელი. ამბავის, ცნობების გადმომცემი „დამრიგებელ-მასწავლებელი“ იყო, მაყურებელი კი — აღსაზრდელი, რომელიც შეკრებაზე იმისათვის მიდიოდა, რომ ახალ-ახალი ამბები გაეგო, ლექსების თქმისა და გამოცანების ახსნის დროს „ჯობნობის“ პროცედურისათვის ეყურებინათ და თვითონაც გამოეჩინათ კარგი ბიჭობა თუ ქალობა, მაგალითად, ანდაზებიც მოესმინა და „ჩქარა გამოსათქმელებითაც“ ევარჯიშნა, რაც ხშირად ემოციურ შეძახილებს იწვევდა და სიცილშიც გადადიოდა (რთული სიტყვების არასწორად გამოთქმის შედეგად). ასეთი სიცილიც საბოლოოდ, ერთგვარ, აღმზრდელობით როლს ასრულებდა: ის მკაცრად სვამდა შეკრების მონაწილე ახალგაზრდების წინაშე, რაც შეიძლება მეტი ცოდნის დაუფლების ამოცანას, რადგან ხედავდნენ, რომ სიტყვის არასწორად გამოთქმას, გამოცანის აუხსნელობას, ლექსში გადმოცემული ამბების გაუგებრობას და სხვა სახის მოუმზადებლობასა და უუნარიანობას არასასურველი შედეგი მოსდევდა. შეკრების ყოველი მონაწილე გულმოდგი-

ნედ სწავლობდა სხვადასხვა სახის ნაწარმოებებს: ვარჯიშობდა ანდაზების, გამოცანების, ლექსების დასწავლასა და გადაცემაში და ა. შ. ამასთან მოზარდი, შეკრებულობიდან სახლში დაბრუნების შემდეგ, ხშირად მიმართავდა დახმარებისათვის პაექრობას, თუ სხვა საქმიანობაში გაწვრთნილ ადამიანებს და თავის მზადყოფნასაც ხშირად ამოწმებდა.

შეკრებები ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდასაც ემსახურებოდა, რასაც მრავალი მასალა ადასტურებს. გვაქვს ასეთი ცნობა: ყვარელში „ძველი ჭეშმარიტების" მოედანზე ტალიანი და ყირიმის თოფებით ნიშანში სროლა იმართებოდა. სროლა ორმოც საჟენზე წარმოებდა (თ. პ. ი. ჯანიკაშვილის რვეული, 2). ნიშანში ისროდნენ ნეკრესის დღეობაზეც, როგორც აქვეა აღნიშნული. ასეთი წინასწარ შერჩეული ადგილები წრთობის კარგი საშუალებები იყო.

შეკრებებში გარკვეული ორგანიზაციული წესებიც შეიმჩნევა. პირველ რიგში აღსანიშნავია წესი იმის შესახებ, თუ როდის და რა პირობებში მოეწყოთ შეკრება: „ბევრ საუბარ კი ვიცოდით, რახან დავსხედით სმაზედა"-ო[1]. ქართული ქეიფი ხშირად აღზრდის ელემენტებსაც შეიცავდა. ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან ირკვევა, რომ ხალხი ლექსებს, ზღაპრებს და ფოლკლორის სხვა ნიმუშებს თავისუფალ დროს ამბობდნენ. მაშინ, როცა საოჯახო საქმეები მოთავებული ჰქონდათ.

„მაგის შეტ'ს არას გილექსებთ, არა გაქვს ლექსებისაო:
საქონლის საჭ�გათავდა, თ�a ნათიბი მთისაო,
ლექსო, არ დაიკარგები, ნათქვამო, ომაისაო!" (იქვე, გვ. 203).

მართალია, ახლა ლექსობის დრო არ მაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ლექსი დავიწყებას მიეცემაო. ხალხი დიდად აფასებდა ამბების მოსმენას, შენატროდა კიდეც შემთხვევებს, როცა ამის საშუალება მიეცემოდა. აი, როგორ გადმოცემს ამ ნატვრას ის — „როდის-ღა მოხვალ, ზამთარო, ლექსები გავაკურაო" (იქვე, გვ. 154). ასეთი პროცესის დასაწყისად ზოგჯერ ნოემბერიც არის დასახელებული („დაგვიდგა გიორგობის თვე ლექსის საუბრის ხანია", — ვ. კოტეტიშვილი, „ხალხური პოეზ." გვ. 280).

ამ მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ლექსების (იგულისხმება სხვა მასალისაც) გადაცემის დრო, შრომითი საქმიანობისაგან თავისუფალი პერიოდით და მასთან — თქმისთვის საჭირო პირობებით იფარგლებოდნენ.

ლექსისა თუ ამბის თხრობა-გადაცემის ტრადიციას შეკრებებზეც

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, «ქვე, გვ. 53.

სხვა ორგანიზაციული წესიც უნდა ჰქონოდა. ჩანს, ლექსს თუ ამბავს მორიგეობით ამბობდნენ და ზოგჯერ ერთგვარ მითითებებსაც ღებულობდნენ იმის შესახებ, თუ რისთვის უნდა მიექციათ მთავარი ყურადღება. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მიზანდასახულობა ჩანს აგრეთვე დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“ იმ ეპიზოდში, რომლის მიხედვით, ახალგაზრდები იკრიბებოდნენ, რათა საქართველოს წარსულის შესახებ მოესმინათ რაიმე ამბავი მორიგეობით. მთქმელს უნდა გაეთვალისწინებინა ცხოვრების მოთხოვნები; გადაეცა სწორი, მართალი ამბავი, თანაც იმგვარად, რომ საქებარი ადამიანი შეექო, ხოლო ცუდი — ემხილებინა. ამ შექებასა და გმობაშიც აღმზრდელობითი მიზანდასახულობაა. მორიგეობის ამ წესს მცირე ასაკიდან ეცნობოდნენ ბავშვები და იცავდნენ კიდეც. ირკვევა, რომ ამბების გადაცემა გარკვეული მიზანდასახულობით წარმოებდა.

ზეპირ სწავლებაში ერთგვარ როლს მოგზაურობაც ასრულებდა. მოგზაურობის დროს გადაცემული ამბები, ხალხის დაკვირვებანი, თუ სხვა, ყოველთვის თამაშობდა მნიშვნელოვან როლს ახალგაზრდობის ფორმირებაში. ეს პროცესი, ზოგჯერ, შეჯიბრების ხასიათს ატარებდა, რაც სხვადასხვა ფორმებით შემოინახა ფოლკლორმა. მისი ამსახველია, კერძოდ, გამოთქმა „თუ გინდა გამეჯიბრევი ერთად ვიაროთ გზაშია“. („ძვ. საქ.“, III, განყ. 2, გვ. 54).

ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ახალგაზრდობის მიერ რომელიმე ადამიანის გონებრივი უნარიანობის, ვაჟკაცობის გაცნობას და სხვ.

ასეთ შეკრებებში ხალხური სწავლა-აღზრდის მეორე საფეხური შეიძლება დავინახოთ. პირველი საფეხური წინა ასაკში ჰქონდათ ახალგაზრდებს გავლილი — მშობლების, ბებიას, ან ბაბუას უშუალო ხელმძღვანელობით. ასაკობრივ ზრდასთან ერთად, მათთვის საჭირო მასალის მოცულობაც გაიზარდა და მათი გადაცემათა რიცხვიც გაფართოვდა.

სკოლა. სკოლის წარმოშობა ხალხის კულტურის ახალ საფუძველზე მიგვითითებს. სკოლაზე უძველესი პერიოდებიდანვე ოცნებობდა ჩვენი ხალხი. ამას ამტკიცებს ზემოხსენებული „ხალხური სკოლების“ არსებობა. აქვე ვხვდებით ცნობებს ერთგვარ ბინებზე, რომლებშიც (იგულისხმება) სასწავლო პროცესს უნდა ჰქონოდა ადგილი. ასეთი ბინები, უფრო ხშირად, ჯურღმულთან და წყალთანაა დაკავშირებული. ეს გარკვევით ჩანს, კერძოდ, ზემოხსენებულ ზღაპარში — „მოხერხებული შეგირდი“. აქ ნათქვამია: როცა ბავშვის მამა და მასწავლებელი შეთანხმდნენ, ამ უკანასკნელმა ბავშვს „ხელი მოჰკიდა. მიწამ ისევ პირი გააღო და ორივენი ჩაეშვნენ ჯურღმულში, სადაც რამდენიმე პატარა, მაგრამ კოპწია სახლი იდგა“-ო. ჩვენთვის აქ, ეს „რამდენიმე პატარა

კოპწია სახლი“ არის საინტერესო, რადგან მათი სახით სწორედ სასწავლო ბინა (სკოლის ერთგვარი შენობა) იგულისხმება. ამ ნაწარმოებიდან ისიც ჩანს, რომ ასეთი სკოლები სხვაც ბევრი ყოფილა. მასწავლებელი, როგორც აღინიშნა, ბავშვის მამას მიმართავს — „ჩემს უკეთესს ვის მიაბარებ“ შვილსო. სკოლების შენობები სხვა ნაწარმოებებშიც გვხვდება[1]. სკოლის არსებობა მოსწავლეთა სიმრავლესაც გულისხმობს. ზოგიერთი „ხალხური სკოლის“ მასწავლებლებს ჰყავთ თერთმეტი (ფ. ა. № 3639), ზოგჯერ ორმოცი მოსწავლეც (იქვე, № 781). ზოგიერთ ზღაპარში კი ნათქვამია — მასწავლებლებს მრავალი მოსწავლე ჰყავდაო (იქვე, № 783). „ხალხური სკოლების“ მოსწავლეთა ასეთი სიმრავლე მეტად საყურადღებოა. საინტერესოა სწავლის ხანგრძლივობაც ამ სკოლებში. რამდენიმე მათგანში ერთ წელს გრძელდება „სწავლის კურსი“ (იქვე, № 781; 784); რამდენიმეში — სამს და ა. შ. „ხალხურ სკოლებში“ გამოცდის შესახებაც არის ცნობები. მოვიგონოთ განხილულ ზღაპარში, „მოხერხებული შეგირდი“, ზემოხსენებული აღმზრდელის ქალიშვილის სიტყვები შეგირდისადმი:— მამაჩემი რომ გეტყვის, რაც გასწავლე თუ იცი, „შენ უთხარი, არ ეიცი თქო“. მაგრამ საერთოდაც, „ხალხური სკოლის“ ყოველი მასწავლებელი ცდის „კურსდამთავრებულ მოსწავლეს“ სხვა საგნად ქცევაში, რის შედეგად ეს უკანასკნელი აუცილებლად იმარჯვებს, ყველაფერი ეს იმის შედეგი იყო, რომ ხალხს ყოველთვის დიდი მისწრაფება ახასიათებდა სკოლისაკენ, და ფოლკლორში სკოლის ხშირად ხსენებაც ამით უნდა აიხსნას. სკოლისადმი მისწრაფება ჩანს, კერძოდ, შემდეგ მიმართვაში ახალგაზრდისადმი: რად შეწუხებულხარ „ჯევსურეთ მასწავლებელი მთავრობით წარმოსულია“-ო (ა. შანიძე, იქვე, გვ. 287). ჩანს, ამ ყმაწვილის შეწუხების მიზეზი ის იყო, რომ სკოლას მასწავლებელი აკლდა. სხვა ნაწარმოებებში სკოლისადმი ასეთი მისწრაფების ახსნასაც აქვს ადგილი,—„...სკოლაში რომ შვილს გაზრდიან, მიეცემა ჭკვა და ტვინი“-ო, და შემდეგ ლაპარაკია თანამდებობებზე, რომლებიც სკოლის დასრულების შემდეგ იყო მოსალოდნელი რევოლუციამდელ პერიოდში. აგრეთვე — ხელფასზე და ა. შ. („ძვ. საქ“. III, განყ. 2, გვ. 65). როგორც სხვა საკითხებზე მსჯელობით გაირკვა, ხალხი ხშირად, არ კმაყოფილდება რომელიმე აზრის მხოლოდ გამოთქმით და მას კონკრეტული მაგალითებითაც ხდის ნათელს და მოჰყავს ვინმე ‘ ლევან აფციაურის მაგალითი. აფციაურმა სკოლაში სწავლით გაიუმჯობესა ცხოვრებაო („ქართვ. მთ. ზეპირ“. გვ. 259). არც ამით ამთავრებს ხალხი სკოლაზე მსჯელობას: აფციაუ-

[1] „გლეხის შვილი და მღვდელი“ (ფ. ა. № 384); „ადიხანჯალა“ („სახალხო მთქმელები“, გვ. 173), აგრეთვე — ზემოთ განხილული ზღაპარი „სოვ დგარი“.

რის ქცევაში სანიმუშო მაგალითს ხედავს და მის მიმბაძველად სხვა ახალგაზრდა გამოჰყავს. ლექსის ლირიკულ გმირს ის ათქმევინებს: მანგლისში სააფიცრო სკოლა გახსნილა და „უნდა ვისწავლო მშობლებო, სანამ დრო მაქვს ცდისაო, რომ გამოვიდე უფროსი წითელი არმიისაო“ (იქვე, გვ. 260).

ამ ლექსებში კარგად ჩანს უტილიტარიზმის ის პრინციპი განათლებაში, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი.

რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა წყობილების დროს, სახალხო განათლების აყვავებამ და საყოველთაო სწავლების შემოღებამ ყოველგვარი პირობები შექმნა იმისათვის, რომ ახალ საფეხურზე ასულიყო სკოლისადმი ხალხის მისწრაფება. ხალხი ახლა უკვე მოპოვებული განათლების უფლებასა და სკოლაზე მსჯელობს („ახლა გაიხსნა კლასები სწავლა და განათლებაო“), ხაზს უსვამს სახალხო განათლებაში და მასთან ქვეყნის მართვაში მშრომელთა უფლებებსა და წარმატებებს. (ფ. ა. № 30166).

ჩვენს დროს შექმნილი ზოგიერთი ნაწარმოები სკოლისადმი ბავშვის ინტერესის აღძვრისა და გაძლიერებასაც უწყობს ხელს. ეს ჩანს იმ სტროფში, რომელშიც ნათქვამია: ‘ ჩვენში ყველა სწავლობს — როგორც ვაჟი, ისე ქალი და ამას სათანადო დადებითი შედეგებიც აქვსო (ჩემი მასალებიდან).

სკოლა აისახა და მისადმი ინტერესი გამოვლინდა ხალხურ თამაშშიც. შეიძლება ეს იმით აიხსნას, რომ ხალხმა იცის — ყოველ თამაშს შეაქვს ერთგვარი წვლილი ბავშვის აღზრდა-განათლების საქმეში. თამაშის აღმზრდელობით მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ აკ. წერეთელი მიუთითებდა[1]. განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ ხალხს შეუქმნია თამაში „სკოლაობა“[2]. შეიძლება ითქვას: ეს თამაში ბავშვის სკოლისათვის მომზადებას უწყობს ხელს, რამდენადაც „მასწავლებლისა“ და „მოსწავლის“ მოვალეობათა ერთგვარ „შესრულებას“ წარმოადგენს თავისი აპარატურით — (წიგნებით, ფანქრებით, რვეულებით, ზარით, „მერხებით“, „მოსწავლეთა სიით“) და სადაც „მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაც“ ხდება.

სკოლისადმი ამ დიდი ინტერესის მიუხედავად, მშრომელი ხალხი, ზოგჯერ, მისი გახსნის წინააღმდეგაც გამოდიოდა. ცხადია, ამის მიზეზი ის იყო, რომ სკოლა ვერ პასუხობდა მშრომელთა ინტერესებსა და მოთხოვნილებებს[3]. ეს კი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ

---

[1] ა. წერეთელი, ტ. VII, 1958, გვ. 14.

[2] თელავის პედ-ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის კაბინეტი, სხვადასხვა პირის მიერ ჩაწერილი სათამაშოები, № 25, გვ. 15— 16.

[3] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. 4, 1955, გვ. 9.

სხვაგანაც ასე იყო. ფრ. ენგელსი წერდა ინგლისის ბურჟუაზიულ სკოლებზე „აღზრდა იქით არის მიმართული, რომ გაბატონებული პოლიტიკისა და რელიგიის მიმართ იგი მორჩილი, მოქნილი და მოსამსახურე იყოს, ასე, რომ იგი მუშებისათვის არსებითად მხოლოდ განუწყვეტელი ქადაგებაა მშვიდი მორჩილებისა და პასივობისა და ბედისადმი სრული დამონებისა. რა თქმა უნდა, მუშების მასა არაფრად აგდებს ამ სკოლებს, პროლეტარულ სამკითხველოებში დაიარება და ისეთ საკითხებზე მსჯელობს, რომელიც უშუალოდ მის საკუთარ ინტერესებს შეეხება"[1].

ამრიგად, მშრომელ ხალხს სკოლა სწყუროდა, მაგრამ ამავე დროს გაურბოდა ისეთ სკოლას, რომელიც მის ინტერესებს არ ემსახურებოდა.

თუ ასეთი განწყობილება იყო ძველი, რევოლუციამდელი სკოლისადმი, საბჭოთა სკოლას ხალხმა, როგორც აღვნიშნეთ, წარმოშობის დღიდანვე უმღერა.

სკოლა მხოლოდ ზოგადი განათლების კერად არ ჰქონდა ჩვენს ხალხს წარმოდგენილი, რაზედაც ხელობის შესასწავლად ბავშვის მიბარების ზემოთ აღნიშნული ტრადიციაც მიგვითითებს.

დამრიგებელ-მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება

დამრიგებელ-მასწავლებელზე, შეკრებებსა და სკოლაზე მსჯელობისას საჭიროა ითქვას შრომის ერთგვარ ანაზღაურებაზე, რასაც ხალხურ ლექსებში „სალექსო" ჰქვია, მაგრამ კონკრეტულად რომელიმე ბავშვის აღზრდის შემთხვევაში, რაც ეპიურ ნაწარმოებებსა და ხალხის ყოფა-ცხოვრებაში აისახა, ის სხვა ცნებით აღინიშნება, რის გამოც საერთო სახელად ჩვენ მას „საფასურს" ვუწოდებთ. ხალხის მთავარი მიზანი რაიმეს სწავლება, ან გაცნობა იყო. ამიტომ ამ ხალხურ ტრადიციაში პედაგოგიური შინაარსიც ჩანს. საფასურის ორი სახე შეიძლება დადგინდეს: ერთი-უშუალოდ ბავშვის მოვლა-აღზრდისათვის გაცემული. ასეთია, მაგალითად, გლეხობის ოჯახებში ძველად დამკვიდრებული საკმაოდ ცნობილი წესი „სადედო"-ს გადახდისა. საფასურზე მიგვითითებს რომელიმე შეგირდის, ან მისი მშობლების მიერ ეადახდილი გასამრჯელოც. ეს უკანასკნელი გვხვდება კერძოდ ზღაპარში „სოვდაგარი". აქ, როგორც აღნიშნულია, თვით აღსაზრდელი იხდის წერა-კითხვის, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრისა და ცურვის შესწავლისათვის ოცდ-ოც თუმანს. საფასურის მეორე სახეს არა-

---

[1] ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, თბილისი, 1935, გვ. 219—220.

პირდაპირი ხასიათი ჰქონდა. იგი ეძლეოდა ლექსისა, თუ მუსიკალური ნაწარმოებების მთქმელსა და შემსრულებელს.

ლექსის სწავლებასა, შეთხზვასა და თქმასთან დაკავშირებული საფასური სხვადასხვა ხასიათისაა. საფასური ნატურალური სახითაც გვხვდება. და ფულადი სახითაც. ერთ-ერთ ზემოთ განხილულ ლექსში ხილეულია საფასურად მოხსენებული: — „იანვარში მომიტანე ყარფუზი და მუხა ნესვი"-ო[1]. გასამრჯელოს ფულით ანაზღაურება კი მოჩანს გამოთქმაში — „ეს ლექსი შიომ მასწავლა, კიდეც ითხოვა ფარაო" (კოტეტიშვილი, გვ. 146).

მაგრამ ამ ლექსებში „სალექსოს" მხოლოდ მოთხოვნას ვხედავთ. ამიტომ საინტერესოა ნაწარმოებნი, რომლებშიც მისი გადახდის ფაქტზეა მითითებული: „ვინც ეს შაირი გამოთქო, ტანზე ჩოხა ჩააცვესა, ორი მანეთი აჩუქეს, უბეშიაც ჩაუდესა" და სხვ. („ძვ. საქ." III, იქვე, გვ. 16).

საჭიროა ითქვას, რომ ფოლკლორში, ზოგჯერ საფასურის გარკვეული ნორმაც ჩანს და მისი გადახდის აუცილებლობაც:

„სალექსოდ ნურას დაზოგავ,
ჯიბეს გაიკარ ხელიო;
ან ამაიღე ამბაზი,
ან უზალთუნი ჭრელიო,
შაურს — კი ნუ ამაიღებ,
უსუსურია, თხელიო;
მარჯვენა ხელი გაუხმეს
ვინც მაგას დაჰკრა კვერიო!..."[2]

არის შემთხვევებიც, როცა „სალექსოს"; ან საფასურის მოტივად ერა შრომის ანაზღაურების აუცილებლობაა დასახელებული, არამედ სხვადასხვა ვითარება, ზოგჯერ ეკონომიური სიდუხჭირე. ერთ ადგილას ნათქვამია: მატყლი მეკუთვნის სალექსოდ და მომეცით, რადგან საქსოვი მასალა არ მაქვს და ბავშვები ფეხშიშველი მყავსო (ხ. შ. ს. ა. 2377, საიტ. 8. № 9). მაგრამ გვაქვს ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებშიც „სალექსოს" მოთხოვნის მოტივად ხალხში შექმნილი წესი, ტრადიციაა დასახელებული: „სალექსოთ გამომიგზავნეთ ჩექმები თქვენი ძმისაო, თხოვნაში არა ჩამიგდოთ, სადათ არს მოლექსისაო" (ს. მაკალათია, „თუშური ლექსები", გვ. 48), ან „სამადლო არვის გეგონოთ, ადათია და წესიო" და სხვ. (ფ. ა. № 33279).

დასახელებულია სხვა მოტივებიც. მაგალითად — თავდაცვა. მე-

---

[1] სხვაგან კი დასახელებულია: ცხენი, ცხვარი, „საყურ-ბეჭედი" (ფ. ა. 33257).

[2] ფშაური ლექსები შეკრებილი დ ა ვ ი თ ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, 1887 წ. გვ. 255.

ლექსე ხანჯალს თხოულობს, — განაპირა ადგილს ეცხოვრობ და ჩიმთვის ის აუცილებელიაო (ა. შანიძე, გვ. 218).

აქ პირად თავდაცვაზეა ნათქვამი, მაგრამ გვაქვს ისეთი ნაწარმოებიც, რომლებშიც არა პირადი, არამედ სამშობლოს დაცვაა მოტივად დასახელებული — „სალექსოდ ხანჯალი მინდა“ რომ მტრებს შევებრძოლოო (ა. შანიძე, იქვე, 86). სხვაგან კი ნათქვამია — ამ მიზნით — „თითო პატრონა მიბოძეთ სალექსოს მაგიერია“-ო (იქვე, გვ. 264).

როგორც ვხედავთ, აქ მეტად კეთილშობილური მოტივი აქვს სალექსოს მოთხოვნას — სამშობლოსათვის ბრძოლა.

გასამრჯელოს აღების ტრადიცია ჩანს, აგრეთვე, მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისათვის (კერძოდ, მესტვირეებისაგან):

„აქ რომ მეგტვირე მოგდა
რა გავუტანო, რა მაქო...“[1]

ზოგიერთ სხვა შემთხვევაში საფასურს მელექსეები არ მოითხოვენ, რაც მათ ერთგვარ თავდაჭერილობაზე მიგვითითებს. ამას გარდა, რა მოტივიც არ უნდა იყოს დასახელებული, მისი საფუძველი მაინც სწავლების, ან სასწავლო მასალის შეთხზვისათვის დახარჯული შრომაა. მაგრამ როცა ლექსში მოხსენებული საფასურის მოტივად სამშობლოსადმი სამსახურია დასახელებული, ლექსის აღმზრდელობით შინაარსს მეორე აღმზრდელობითი მომენტი ემატება, რაც განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი საკითხისათვის. როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, საფასურის აღების სხვადასხვა პირობებია ფოლკლორში დასახელებული. ა. ლექსის შემთხზველი ცნობს საჭირად საჩუქრის მიღებას, მაგრამ ლექსის „პერსონაჟისადმი“ დიდი პატივისცემის გამო, თავდაჭერილობას იჩენს, არ უნდა ამით მას აწყენინოს; ბ. ლექსის „პერსონაჟის“ სურვილზე ამყარებს ის „საფასურის“ გაცემას, მაგრამ თან აფრთხილებს: თუ საჩუქარს მალე არ მომცემ, შემდეგ აღარ შევთხზავ ლექსს შენს საგმირო საქმეზეო. გ. თვითონ არ განსაზღვრავს ლექსის ღირებულებას და თავის შემოქმედების ობიექტს, ან მის ოჯახს მიმართავს — რაც გინდა ის მომეცი.

ა. პირველის ილუსტრაციაა სტროფი:

„სალექსოდ გამამიტანე
საპირისწამლე რქისაო,
არ-მამცემ არ მეწყინების —
შენ უფრო შაგხვდებისაო“ („ივ.“, 1888, № 57).

უკანასკნელი სტრიქონი კიდევ უფრო ზრდის ლექსის „პერსონა-

---

[1] ფ. ა. № 30669—მუსიკალურ ნაწარმოებთა შესრულების ტრადიციაზე დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, გვ. 269, 271—272.

ქის“ გმირობის მნიშვნელობას. იგულისხმება — ხალხურ პოეტს სურს ოქვას: საგმირო საქმის ჩამდენი თვითონ ეს გმირია, მე მხოლოდ მისი გმირობა აღვწერე და ამიტომ უფრო სწორი იქნება — ჩემთვის განკუთვნილი სარუქარი თვითონვე დაიტოვოსო.

ბ. სალექსოსო „თუ არ მალ გამომეგზავნით,
აღარ შეგაქებთ მერმია,
თუ გინდათ მთლადა გასწყვიტოთ
ბრძოლაში მტრისა ჯარია“. (ს. მაკალათია, „თუშური ლექსები“, გვ. 22).

გ. „ამ ლექსის გამოთქმაშია,
რას გაიმეტებთ ჩემთვისა,
პეტრე ვარ გორელაშვილი.
ნათქომ არ არის სხვებისა“[1].

ასეთია საფასურის აღების პირობები, რაც ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში ხალხის აზრს ადასტურებს მის საჭიროებაზე.

* * *

აზრი საფასურის საჭიროების შესახებ, თავისთავად იყო აღმზრდელობითი შინაარსის მატარებელი: ახალგაზრდობა გადმოცემული ამბის დიდ მნიშვნელობაში რწმუნდებოდა. ამას ის გარემოებაც აძლიერებდა, რომ ხალხი მელექსეს დიდ პატივს სცემდა: „თუმცა წინათ, მთის ადათით, ქალები მამაკაცებთან პურის ჭამის და არყის სმის დროს ვერ დაჯდებოდნენ, მაგრამ თუ ქალი მოლექსე იყო, მას გადაიხდენდნენ თავის გვერდზე და ალექსინებდნენ“ (ვ. ხორნაულის მასალებიდან).

ამ საქმიანობისადმი სიმპათია აქ განსაკუთრებით იმაში ჩანს, რომ იმდროინდელ პირობებში უგულებელყოფილი და დამცირებული ქალი, თუ კი მას მელექსეობა შეეძლო, პატივისცემის ობიექტად ყოფილა მიჩნეული. ამით უნდა აიხსნას, რომ „კარგი სიმღერა-ლექსის“ შესწავლისათვის „ფარასაც არავინ იშურებდა“ (დ. ჯანელიძე, იქვე, გვ. 269).

მეათე თავი

გარემოს, მემკვიდრეობისა და აღზრდის როლი ადამიანის ფორმირებაში

ამ საკითხს სხვაგანაც შეეხო ამ სტრიქონების ავტორი ეპოსთან დაკავშირებით („აღზრდის იდეები“, 1958, გვ. 131—136). აქ კი ძი-

[1] ფ. ა. კოლექ. VII, წიგნი 2, საქმე 2, № 246.

რითადად ფოლკლორის სხვა ჟანრებია განხილული, რათა ხალხის საერთო აზრი გაირკვეს აღზრდის ფაქტორებზე.

ქართულ ფოლკლორში გარემოს აღმზრდელობითი როლის შესახებ ორი სახის მასალა შეიძლება გავარჩიოთ:

საერთო, — „როგორიც ტყეა, იმისთანა ნადირი გამოდიოდა", „შვილი მოჯალაბისას მიაბარე და გაიზრდებაო" (ხელნაწ. ინსტ. H, 1945—Ш). ამასთან ცნობილია ანდაზაც ხარის ხართან დაბმის შედეგად მათი ცვლილებების შესახებ. ყველაფერი ეს გარემოს მნიშვნელობაზე მიგვითითებს აღზრდაში, მაგრამ ხალხის აზრით, გარემო ორგვარია, რომელთაგან ერთი დადებითად წარმართავს ბავშვის აღზრდა-განვითარებას, მეორე — არა. მაგ. ზღაპარ „ირმისას" მიხედვით, ორი ასეთი გარემო მოქმედებს — მეფის ოჯახური გარემო და ბუნების პირობები, ბუნებრივი გარემო. პირველში აღზრდილი მეფის შვილი მოუმზადებელი აღმოჩნდა, მეორეში აღზრდილი ირმისა — მომზადებული. ეს უკანასკნელი ყველაფერში ჯობნის მას — ღონეშიც, იარაღის ხმარებაშიც. მაგალითად, მეფის შვილს არ შეეძლო მაღლა ასროლილი. მიწაზე ჩამოვარდნილი და ჩასობილი ისრის ამოჭრობა, რაც ირმისასათვის სრულიად ადვილი იყო. ირმისამ უამრავი დევი მოკლა, რის შედეგად სხვა დევები იძულებულნი გახდნენ მას დაძმობილებოდნენ, რაც მეფის შვილისათვის შეუძლებელი იყო. ბოლოს ერთ დამორჩილებულ დევს უბრძანა — მე სხვაგან მივდივარ და ამას შენ „ასწავლე სუყველაფერი, შენი ხერხი და ღონეო". მშვენიერი ქალიც მეფის შვილმა ირმისას დახმარებით შეირთო. გავიხსენოთ ზემოთ გაანალიზებული ზღაპარიც, რომლის მიხედვით მეფემ და ვეზირებმა ვერ შეძლეს შემოსეული მტრებისაგან სამშობლოს დაცვა, ჩვეულებრივმა გლეხმა კი ისეთი სტრატეგიული უნარი გამოიჩინა, რომ ეს შეძლო. მაღალი კლასის წარმომადგენელთა უძლურების მიზეზს ხალხი ცხოვრებისაგან მოწყვეტილ აღზრდაში ხედავს (თუნდაც გავიხსენოთ „ზღაპარი არაბზანგინისა"). ეს მაგალითები გონებრივ, პროფესიულ და ფიზიკურ აღზრდას ეხებიან. ზნეობრივი აღზრდის მასალასაც გადავხედოთ „ეთერიანის" მიხედვით. აბესალომმა ვერ შეასრულა ეთერისადმი მიცემული ფიცი, დაარღვია საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული ტრადიცია სიტყვის შესრულების აუცილებლობის შესახებ. მშრომელთა ოჯახიდან გამოსული ეთერი კი გაცილებით უფრო მაღალი ზნეობის აღმოჩნდა.

ამრიგად, გარემო, წრე, სხვადასხვაგვარია (ამ ორი სახის გარემოს შესახებ, ნაწილობრივ, „აღზრდის იდეები"..., 1958, გვ. 34).

ამრიგად, ვხედავთ, რომ არა ყოველი სახის გარემო უზრუნველყოფს სწორ აღზრდას. სასურველი აღზრდისათვის შრომითი ატმოს-

ფერო, შრომითი გარემოა საჭირო. ერთი ცნობილი ანდაზაც გავიხსენოთ. „... კარგმა კარმა, კარგმა სახლმა, ცუდი გამადედაკაცა, ცუდმა სახლმა, ცუდმა კარმა კარგი ავად მაქცია“ („ხალხური სიტყვიერება“, III, 1953, გვ. 118). აქ კიდევ უფრო გარკვევით ჩანს ხალხის აზრი იმის შესახებ, რომ გარემო დიდ როლს ასრულებს ადამიანის ფორმირებაში.

მემკვიდრეობა. როგორც შენიშნულია, ეპიურ ნაწარმოებთა მიხედვით, აღზრდაში ხალხი დიდ როლს ანიჭებს მემკვიდრეობით ნიშანთვისებებს: ზღაპრების მოწინავე გმირები დაბადებიდანვე იჩენენ უდიდეს ფიზიკურ ძალებს და ეს ხომ წინაპართაგან მომდინარე ნიშანთვისებაა, მემკვიდრეობაა, თანდაყოლილი ნიჭია. სხვა ჟანრებშიც იგივე აზრი ჩანს. არსებობს გამოთქმაც „კაცის გვარი ფუჭია, თუ არა აქვს ნიჭია“-ო (H, 2020). ეს გამოთქმა, თითქოს ეწინააღმდეგება ზემოთ მოტანილ აზრს გარემოს როლზე აღზრდაში, და ჩანს, რომ ნიჭისადმი ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭებაში ერთგვარი გადაჭარბებაა. ეს გადაჭარბება ზოგჯერ უკიდურესობამდეც კი მიდის:

„ყველა დედა შვილს გამოზრდის,
ყველა გამოვა ჯიშითაო,
რომელიც კარგი გამოვა,
თავის ანგარიშითაო.
არ გათეთრდება ყორანი
რაც უნდა ხეხო ქვიშითაო“ (ფ. ა. № 33706).

მაგრამ ეს აზრები შემთხვევითი ხასიათისაა, რაზედაც, ნაწილობრივ, ზემოთაც იყო აღნიშნული, ხოლო უფრო ვრცლად აქვე ვნახავთ. მართლაც, აღზრდაზე მსჯელობისას ხალხი საერთოდ მემკვიდრეობით არ იფარგლება.

აღზრდა. გვაქვს ხალხური ნაწარმოებები, რომლებშიც მემკვიდრეობის მნიშვნელობასთან ერთად აღმზრდელობითი ზემოქმედების როლიც ჩანს. ცნობილია ხალხური შთაგონება:

„მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახე,
თუ ზრდით არ შეიცვალა, წინ უძთ მშობელთ
გზა და მახე“ (H, 26, 25, გვ. 23—24).

ხალხი არც იმ გარემოებას ტოვებს უყურადღებოდ, რომ ზოგჯერ, კარგ მემკვიდრეობით ნიშნებს არახელსაყრელი გარემო-პირობები სძლევს და აუფასურებს. გვაქვს ანდაზა — წმინდა წყაროდან წმინდა წყალი წვეთავს, მაგრამ მას მღვრიე ნაკადი აამღვრევსო („ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები“, — რუსულად, შედგენილი ა. ცომაია — ზოსავას მიერ, გვ. 58). ან ავიღოთ ზემოთ მოყვანილი ანდაზა — „აქლემმა თქვაო“ — რომ არ დამაჩოქებდნენ, ქვეყანას ავიკიდებდიო“, აქაც იგივე აზრია: აქლემს დიდი შესაძლებლობა აქვს,

მაგრამ გარეგანი ძალების ზემოქმედება ახშობს ამ შესაძლებლობასო. ისე, რომ აღზრდა-განვითარებას საბოლოოდ არც მხოლოდ მემკვიდრეობა განსაზღვრავს.

მეორე მხრივ, ზემოთ მოტანილ გამოთქმაში მშობლებზე, მათი უშუალო აღმზრდელობითი ზემოქმედებაც იგულისხმება. მშობელთა, და სულერთოდ, აღმზრდელთა, არასწორი ზემოქმედების შედეგად ყარგი მემკვიდრეობის ბავშვისაგან არასასურველი ადამიანი შეიძლება მივიღოთ. ცნობილია ანდაზა — „ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცაო".

ჩანს, რომ აღმზრდელობით ზემოქმედებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ხალხი ზემოქმედებაში გონებრივ ზემოქმედებასაც გულისხმობს. ის ბავშვის ,ცოდნა-გამოცდილებით შეიარაღებას მოითხოვს, რადგან „სიბრძნე გამოცდილების შვილიაო" („სწავლა სიბერემდისო", გვ. 11), და თუ ცოდნა-გამოცდილებას არ დავაუფლეთ ადამიანი, მას ვერც გარემო უშველის და ვერც ნიჭიო. ზემოხსენებული ლექსის „შვიდნი ძმანი და იმათი ბიძა" მიხედვით, როგორც აღინიშნა, შვიდი ძმა და მათი ბიძა სანადიროდ წავიდნენ. შვიდივე ახალგაზრდამ სათითაოდ ესროლა ვეფხვს, მაგრამ ვერ მოარტყეს, მათმა ბიძამ კი ერთი გასროლით მოკლა ის. აქ საქმე ადამიანებთან, მეტიც, ერთი და იმავე გვარის წარმომადგენლებთანაც კი გვაქვს საქმე და ამის მიუხედავად, მოხუცმა ჯობა ახალგაზრდებს. რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ მოხუცს დიდი ცოდნა-გამოცდილება ჰქონდა შეძენილი, სხვანაირად — მოხუცი სათანადოდ აღზრდილი, მომზადებული იყოო, გულისხმობს ხალხი. მემკვიდრეობას რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, მაშინ მოხუცს არ უნდა ეჯობნა მისივე გვარის წარმომადგენლებისათვის. აი, რა აზრია აქ (თუმცა მკრთალად) გამოთქმული. ხალხი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ ძმების მარცხის ნაყოფი მათი სუსტი მომზადება იყო. სხვაგან ნათქვამია — „ციპოვე ნაყოფი, იკითხე მებაღე" (ა. ცომაია — იოსავა, იქვე, გვ. 59). აქ უშუალოდ აღმზრდელზეა პასუხისმგებლობა გადატანილი. ხალხი უფრო გარკვევით და მკაფიოდ გამოთქვამს ამ აზრს — „უმაწვილის გული ბოსტანიაო, რასაც დათესავ ის ამოვაო" („სწავლა სიბერემდისო", გვ. 87).

ამრიგად, ვარემო, მემკვიდრეობა, აღზრდა გარკვეულ როლს ასრულებს ადამიანის ფორმირებაში, მაგრამ ცალ-ცალკე აღებული არც ერთი არ არის გადამწყვეტი. ეპოსშიც ეს აზრია. სჩანს, რომ ეს აზრი ხალხის საერთო შეხედულებაა აღზრდის ფაქტორებზე.

* * *

ქართული ხალხური აღზრდის იდეების განხილვას ორგანულად უკავშირდება საკითხი: შეასრულეს თუ არა ამ იდეებმა რაიმე როლი ქართული პედაგოგიური აზროვნებისა და სკოლის განვითარებაში.

ქართული ხალხური იდეების როლი პროგრესული პედაგოგიური აზროვნებისა და სკოლის განვითარებაში (უმთავრესი მომენტები)

ხალხური იდეები და მოღვაწეთა შეხედულებანი.

ყოველი ხალხის ფოლკლორი შეიცავს შეხედულებებს აღზრდის საჭირბოროტო საკითხებზე, რადგან ყოველი ხალხი ოცნებობდა თავის მომავალზე: ცდილობდა ახალგაზრდობაში ჩაენერგა სამშობლოსადმი სიყვარულის, შრომისმოყვარეობის, ჰუმანიზმის, ამხანაგობის, მეგობრობისა და ურთიერთთავდადების კეთილშობილური გრძნობები; აღეზარდა ბავშვი გონებრივად, ზნეობრივად, ესთეტიკურად, ფიზიკურად და ა. შ. ამასთან ცხადია, რომ ყოველი ხალხი თავისი ქვეყნის კონკრეტულ-ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობის, კლასობრივი ბრძოლისა და მით გაპირობებული ამოცანების, მასთან თავისი განვითარების შესაბამისად გამოთქვამდა თავის მშობლიურ ენაზე ამ შეხედულებებს. რამდენადაც ხალხური შეხედულებანი და აღზრდის პრაქტიკა მასების ათასეულ წელთა უმდიდრეს გამოცდილებას შეიცავს, ისინი არასოდეს არ რჩებოდათ მხედველობის გარეშე მოწინავე პედაგოგ-მოაზროვნეებს. ამით აიხსნება ი. გოგებაშვილის, ი. ჭავჭავაძის და ლ. ბოცვაძის ქვემოთ მოყვანილი აზრები ქართული ფოლკლორის ნიმუშების აღმზრდელობითი მნიშვნელობის შესახებ. ამასთან ხომ ცნობილია, რომ ჯერ კიდევ, ანტიკური საბერძნეთის მოაზროვნეები: პლატონი, არისტოტელე, დიდ როლს ანიჭებდნენ ზღაპარს ბავშვთა აღზრდაში. აქვე შეუძლებელია არ გავიხსენოთ დიდი პედაგოგი იან ამოს კომენსკი, რომელმაც გარკვეული ყურადღება მიაქცია ფოლკლორის ნიმუშების აღმზრდელობით როლს. უნდა აღვნიშნოთ საბავშვო ლექს-სიმღერაზე, რომლის შესატყვისად ქართული „ნანა“ არის მიჩნეული. (ი. ა. კომენსკი, „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი“, ტ. 2. თბილისი, 1958, გვ. 170—171)[1]. კომენსკი მის გამოყენებას იმ ასაკში ცნობდა საჭიროდ, როცა ბავშვში სიტყვის გაგების უნარი გაიღვიძებდა. ამასთან დასძენდა: „კარგი იქნებოდა, თუ მესამე და მეოთხე წლის ასაკში ამგვარი გარითმული სიმღერები გამრავლდებოდა“-ო

[1] ტექსტი ამოღებულია წიგნიდან—პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, ნაწილი პირველი, რედაქცია, ბიოგრაფია, წინასიტყვაობა და შენიშვნები ფ. გოგიჩაიშვილისა, თბილისი 1937, გვ. 201.

(იქვე). შემდეგი ასაკისათვის კომენსკი აღმზრდელებს მიუთითებდა იმ „ენის გასატეხის“ გამოყენების საჭიროებაზე, რომელსაც ქართული „ენის გასატეხი“ „ბლიკსა კაცსა ბლისკინასა“ შეეფერება[1]. იან ამოს კომენსკის გამოყენებული აქვს რამდენიმე სხვა სახის ხალხური ნაწარმოებიც: ანდაზა, გამოთქმა, თქმულება (იქვე, გვ. 158, 313; 353—359). საყურადღებოა, რომ კომენსკიმ „სკოლებიდან სიზარმაცის“ განდევნაზე მსჯელობის დროს გამოიყენა ბერძნული თქმულება ჰერკულესის ურჩხულთან ბრძოლის შესახებ (ტ. 2, გვ. 366), აგრეთვე თავის სიტყვაში ლათინური სკოლის პირველი კლასის გახსნასთან დაკავშირებით, გადმოსცა ბერძნების თქმულება დედალოსის ლაბირინთსა და არიადნეს ძაფის შესახებ (იქვე, გვ. 353—355) და ასე განმარტა: როგორც ამბობენ, ლაბირინთი ადამიანის ცხოვრების სირთულეს ნიშნავს, „აღსავსეს ათასნაირი სიძნელეებით“ და მისგან თავის დაღწევა „განსაკუთრებული სიბრძნის მეშვეობით შეგვიძლია“-ო.

კომენსკიმ ეპიგრამადაც კი წაუმძღვარა თავის შრომას — „ყოფაქცევის წესები“ ხალხური აზრი — „ვინც წარმატებას აღწევს მეცნიერებაში, მაგრამ ჩამორჩება კეთილზნეობაში, იგი საერთოდ ჩამორჩენილია, ვიდრე წარმატებული“ (იქვე, გვ. 313). საჭიროა ითქვას: კომენსკი თვითონ კრეფდა ხალხური შემოქმედების მასალებს და შეადგინა კიდეც კრებული — „ძველი ჩეხების სიბრძნე“ (გამოიცა პრაღაში 1954 წ.), რომელსაც იყენებდა თავისი პედაგოგიური სისტემის შექმნის დროს.

დიდი რუსი პედაგოგი კ. უშინსკი ფოლკლორის, თითქმის, ყოველ ჟანრში ხედავდა აღზრდის საშუალებას. ჯერ გავიხსენოთ მისი აზრი მხოლოდ ზემოთ მოტანილი ანდაზებისა და სიტყვის მასალების შესახებ, რომლის მიხედვით ეს ხალხური ნაწარმოებნი ბავშვში მშობლიური სიტყვის თესლს გააცოცხლებენ.

* * *

აქ ჩვენ ხალხური შემოქმედების მოწინავე მოაზროვნეებზე გავლენის მხოლოდ ზოგიერთ მომენტს ვეხებით. ცხადია, ეს მოღვაწეები თავიანთი დროის მიღწევებსაც იცნობდნენ და ითვალისწინებდნენ კიდეც, მაგრამ როგორც ირკვევა, მშობლიური ხალხის კულტურას მაინც ცენტრალური ადგილი ეჭირა მათ შემოქმედებაში.

ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ ხალხური მხატვრული აზროვნების გავლენის ფესვებს მოწინავე აზროვნების განვითარებაზე, ჩვე-

---

[1] ი ქ ვ ე, გვ. 169. ტექსტი ამოღებულია პ. უმიკაშვილის იმავე კრებულიდან, გვ. 498.

ნი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან ეძებნება საფუძველი. მართალია, იაკობ ცურტაველამდე ვერ დავასახელებთ რომელიმე პიროვნებას, რომელმაც ეს გავლენა განიცადა, მაგრამ არის ზეპირსიტყვიერი ნაწარმოებნი, რომლებშიც ასეთი გავლენა შეიმჩნევა. ი. ცურტაველის, ი. საბანისძისა და მომდევნო მოღვაწეთა შემოქმედებაში კი ეს გავლენა უფრო გარკვევით ჩანს.

გონებრივი აღზრდა. ეს საკითხი შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით" გვინდა დავიწყოთ. მისი პედაგოგიური იდეები პირველად პროფ. გ. თავზიშვილმა გაარკვია. ის აღზრდის ყველა მხარეს შეეხო შრომაში „ადამიანის დანიშნულება და აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში" (1937 წ.). არაერთხელ შეეხო მას აკად. შ. ნუცუბიძე. ამასთან ირკვევა, რომ შ. რუსთაველი დიდად არის დავალებული ქართული ხალხური პედაგოგიური შეხედულებებით (ან. ხინთიბიძე, „აღზრდის იდეები ქართულ ხალხურ შემოქმედებაში" (1958, გვ. 143—149).

შ. რუსთაველის აზრით, სამყარო მთლიანია: ობიექტური სამყარო და ადამიანი განუწყვეტლივ კავშირში არიან (შ. ნუცუბიძე, „კრიტიკული ნარკვევები, 1965, გვ. 234—236). სამყაროს მთლიანობის იდეა ძველ ბერძნებსაც ჰქონდათ, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის ძველთაძველ ქართულ ხალხურ შემოქმედებაშიც ჩანს, და შეუძლებელია, რუსთაველს, რომელიც კარგად იცნობდა ქართულ წარმართულ ფოლკლორს, მით არ ესარგებლა. სამყაროს მთლიანობის აღიარება ობიექტური გარემოს, და მასთან ადამიანის რაობისა და დანიშნულების შესწავლის ამოცანას აყენებდა. და ეს მრავალმხრივი რეალური ცოდნა და მიზანდასახულობა რელიეფურად აისახა „ვეფხისტყაოსანში". ამ ნაწარმოებში ვხედავთ ფილოსოფიურ, ასტრონომიულ და მრავალი სხვ. სახის ცოდნას და ავტორის მიზანსწრაფვას. აქვე ვხვდებით შთამაგონებელ შეხედულებებს ადამიანისათვის აუცილებელ გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ თვისებებზე.

შ. რუსთაველი, როგორც „პროფ. გ. თავზიშვილმა გაარკვია, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობასაც ცნობს (იქვე, გვ. 20—21). მაგრამ ამ საკითხშიც ის ხალხური გაგებიდან გამოდის. როგორც სხვაგან გვაქვს აღნიშნული, შ. რუსთაველმა ადამიანის მთლიანი, ყოველმხრივი განვითარების საჭიროების იდეა წამოაყენა, რადგან ამის გარეშე ცხოვრების სირთულე და მრავალფეროვნება ვერ შეისწავლებოდა. მან შთამაგონებლად წარმოგვიდგინა სამყაროს ეს მრავალმხრივობა: „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა"-ო[1].

ყოველმხრივობას ასახავს მის პოემაში წამოყენებული გონებ-

[1] შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, 1966, აკ. შანიძისა, და ალ. ბარამიძის რედ. სტროფი, ფ. I.

რივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის იდეები. ეს არის იდეები ადამიანის ძალთა ერთიანობისა. ისინი ისე მტკიცედაა შეკრული, რომ თუნდაც ერთ-ერთი მხარე რომ გამოაკლდეს — ადამიანი კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდებაო, გვიმტკიცებს რუსთაველი. ჩვენთვის აქ გონებრივი მხარეა საინტერესო. მისი გამოთიშვა ადამიანს მარცხის წინაშე აყენებსო — ამბობს პოეტი. მოვიგონოთ ტარიელის სწორედ ასეთი მდგომარეობა გონიერების დაკარგვის გამო, რაზედაც არაერთხელ მიუთითა მას ავთანდილმა. აქ კარგად ჩანს ის დიდი როლი, რასაც რუსთაველი გონებრივ განვითარებას ანიჭებდა.

ს. ს. ორბელიანის პედაგოგიურ შეხედულებებში გონებრივი აღზრდის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის მხოლოდ ის მომენტია საინტერესო, რომლის მიხედვით, საბას გონებრივი აღზრდისათვის ხალხური შემოქმედების მასალა მიაჩნია საჭიროდ. ლეონს ჯუმბერისათვის არაკები უსწავლებია და ჯუმბერიც კარგად ავლენს მათ ცოდნას მეფის (მამის) წინაშე. აქ ჩანს, რომ არაკების შესწავლის შედეგად ჯუმბერი გამხდარა დაკვირვებული და მცოდნე. მან მშვენივრად გადაწყვიტა ამოცანა სამ ძმაზე ოცდაათი-თხის და მათი თიკნების გაყოფის შესახებ. ისე, რომ საბა უშუალოდ ემყარება ხალხურ შემოქმედებას.

დ. გურამიშვილი. როგორც ვიცით, დ. გურამიშვილს საყურადღებო აზრები აქვს გამოთქმული ჭკუისა და ცოდნის დიდი მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ მათი წყარო ფოლკლორში ჩანს:

„ჭკუვა უკმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების“-ო („დავითიანი“, 1964, გვ. 19). ხალხური ანდაზა კი ამბობს:

— „ჭკუა ყველა კაცს აქვს, მაგრამ ყველა კარგად ვერ ხმაროპსო“ („ძველი საქართველო“, III, განყ. 2, გვ. 289).

აქ ნათლად ჩანს ხალხისა და დ. გურამიშვილის აზრის ერთიანობა ცოდნისა და ჭკუის შეფასების საკითხში.

ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ხალხური გამოთქმის წყარო თვით გურამიშვილის პოეზიაა? — არა: ჩვენ გვაქვს უძველესი პერიოდების მრავალი ზღაპარი, რომლებშიც ჭკუა და ცოდნა ყოველ ნივთზე მეტად არის დაფასებული. თუნდაც სოლომონ ბრძენის სახელთან დაკავშირებული ზღაპრები ავიღოთ, რომელთა მიხედვით, სოლომონი მოჯამაგირეს მიმართავს: თუ გინდა დაგარიგებ, გასწავლი და თუ გინდა შენი ერთი წლის ნაჯამაგირევს მოგცემ, რომელიც გინდა აირჩიეო. მოჯამაგირეები სწავლას ამჯობინებენ და მთელი წლის ნაშრომის გასამრჯელოზე ხელს იღებენ, რითაც თავს იხსნიან და-

ლუპვისავან (საილუსტრაციოდ, „ხალხური სიბრძნე“, II, გვ. 303—305).

არის ასეთი სათაურის ზღაპარიც — „ჭკუა და დოვლათი“ („რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები“, 1958, გვ. 296—298). აქ ხალხი გვიჩვენებს, რომ ჭკუა ყოველგვარ სიმდიდრეს ჯობს, რომ მხოლოდ ჭკუით ხდება ადამიანი ბედნიერი.

ამიტომ შეუძლებელია ითქვას, რომ XVIII ს. მწერლის ასეთი აზრების გენეზისი ხალხურ შეხედულებებში არ იყოს.

თვით „სწავლის“ გაგების საკითხშიც ეთანხმება დ. გურამიშვილი ხალხურ აზრებს. როგორც ვნახეთ, ხალხი სასწავლო მასალას სხვადასხვა ხელობა-საქმიანობაში ხედავდა (მიწათმოქმედება, მშენებლობა და სხვ.). უნდა ითქვას, რომ არჩილის (მისი „საქართველოს ზნეობანი“) და ს. ს. ორბელიანის („სიბრძნე სიცრუისა“) შემდეგ, დ. გურამიშვილი პირველი პოეტი-მოაზროვნე იყო, რომელმაც ხელობის ცოდნა მჭიდროდ დაუკავშირა მწიგნობრულ ცოდნას და მისი შესწავლა მოითხოვა.

დ. გურამიშვილი ჩამოთვლის სხვადასხვა ხელობა-საქმიანობას, კერძოდ, ვაჭრობას, ხუცობას, მიწაზე მუშაობას, მწყემსობას და მათ შესწავლას მოითხოვს (ლექსი „სწავლა მოსწავლეთა“). ეს კი მჭიდროდ უკავშირდება ზემოთ განხილულ ხალხის თვალსაზრისს — „წიგნთან“ ერთად ხელობათა შესწავლის საჭიროებაზე.

* * *

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს რუსეთთან დაკავშირების შედეგად, როგორც ვიცით, ახალი ხანა დაიწყო საქართველოს ცხოვრებაში. ის რუსეთისა და ევროპის კულტურას ეზიარა. ეს ის პერიოდი იყო, როცა რუსეთში რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულება ყალიბდებოდა და თვითმპყრობელობისა და უსამართლობის წინააღმდეგ მკაცრი ბრძოლა იწყებოდა.

მოწინავე ქართული ახალგაზრდობა ითვისებდა რუსულ და ევროპულ კულტურას და თავის თვალსაზრისს იმუშავებდა მის შესახებ. ჩვენ ორ მოღვაწეზე — ი. ბატონიშვილსა და ს. დოდაშვილზე შევჩერდებით.

ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ი. ბატონიშვილის „კალმასობა“, რომელშიც დიდი ადგილი უჭირავს ენციკლოპედიურ ცოდნას და მის გადაცემას, დიდადაა ქართული ფოლკლორითაც დავალებული. როგორც ფოლკლორის, ისე ამ ნაწარმოების მიხედვით, ზოგიერთმა სასულიერო პირმა წერა-კითხვაც არ იცოდა. ორივეში ვხვდებით როგორც არა სისტემატურ სწავლებას, ისე აზრს სისტემატური სწავლებისა და

თხოვნას ქალის განათლების საჭიროებაზე და ა. შ. ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც ფოლკლორი, ისე „კალმასობა“ შეიცავს აზრს იმის შესახებ, რომ სწავლა-აღზრდა არა მხოლოდ ბავშვს, არამედ ზრდადამთავრებულ ადამიანსაც ესაჭიროება. აზრს ბავშვების სწავლების საჭიროებაზე ვხედავთ ეპიზოდში, რომლის მიხედვით იონა ხელაშვილი უსაყვედურებს ამირეჯიბს, რომ ის ბავშვების სწავლა-აღზრდაზე არ ზრუნავდა („კალმასობა“, გვ. 31).

აქედან ნათლად ჩანს, რომ ი. ბატონიშვილი ხალხში შემუშავებული ზოგიერთი პედაგოგიური შეხედულებით სარგებლობს.

ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი. ჩვენ ვიცით, რომ ს. დოდაშვილი მე-19 საუკუნის პირველი ათეული წლების ქართველი ფილოსოფოსია, რომელიც „მატერიალიზმის თავისებურ დასაბუთებამდე მივიდა...“[1] ის, თავისი დროის შესაფერისად პროგრესული[2] და დემოკრატიული მოაზროვნე იყო[3]. საყურადღებოა მისი გამოთქმა: „ყოველთავე იმათ, ღვარისა ანუ სქესისა მაქებელთა მიუგოს ესრეთ: არა გვარითა იქნების კაცი, არამედ გონებითა და მოქმედებითა ხელოვნად“[4]. აქ შეგვიძლია დავინახოთ გავლენა სტროფისა, რომელსაც ხალხი შ. რუსთაველს მიაწერს და რომელიც ამავე შინაარსისაა („...თუ კაცი თვითონ არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა“... (ი. მეგრელიძე, „რუსთაველი და ფოლკლორი“, 1960, გვ. 35). ამ იდეას დოდაშვილი პრაქტიკულ საქმიანობაშიც ახორციელებდა: ის სწორედ თავისი „გონებითა და მოქმედებითა“ ცდილობდა გაეზიარებინა ხალხის უმწეო მდგომარეობა, წუხდა, რომ გლეხს, უსახსრობის გამო, საშუალება არ ჰქონდა პური ეყიდა (ს. დოდაშვილი, თხზ., გვ. 271-6). ამიტომ ღარიბი მოწაფეებისათვის ზრუნავდა და ეხმარებოდა მათ (იქვე, გვ. 270—71). ის ხალხის განათლებას მოითხოვდა (გ. თავზიშვილი, იქვე, გვ. 377). ს. დოდაშვილის ზემოთ მოყვანილი გამოთქმა — „გონებითა და მოქმედებითა“, სხვა მხრივაც იპყრობს ყურადღებას. აქ ჩანს მისი თვალსაზრისი თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის საჭიროების შესახებ, რაც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში (გ. თავზიშვილი, იქვე, გვ. 331). ეს მოსაზრება მისივე ავტორის ფილოსოფიურ თვალსაზრისში პოულობდა საფუძველს: ფილოსოფიაში „უნდა ვეძიოთ და ვიპოვოთ ჩვენი შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს ა და მ ო ქ მ ე-

---

[1] შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია; ტ. II, თბ. 1958, გვ. 493. [2] გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში 1801 — 1870, II, 1948, გვ. 336, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკეთი II, ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი ს შესავალი წერილითა და შენიშვნებით, გვ. 5. [3] ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, ლოგიკა, 1949, ა. ქუთელიას რედაქციითა და წინასიტყვაობით, 1949, გვ. XXIV. [4] ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, თხზ., გ. ა ბ ზ ი ა ნ ი ძ ი ს წინასიტყვაობით, 1961, გვ. 283.

ბ ე ბ ი ს ისეთი მიზეზები, რომელთაც შეუძლიათ მეტნაკლებად, დაა-ყენაყოფილონ ადამიანის გონება“ (ს. დოდაშვილი, თხზ., გვ. 44). მაგრამ ეს ზოგადი გაგებით. ჩვენთვის კი აქედან გამომდინარე ს. დოდაშვილის პედაგოგიური მოსაზრებანია საინტერესო. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ი. ხელაშვილისადმი მიწერილი მისი ერთ-ერთი წერილი. ამ წერილში ის აღნიშნავს: „...თუმცა ჯერეთ ყოველნი მოქმედებანი ჩემნი იმყოფების თეორიულსა ჭეშმარიტებასა შინა დაფუძნებულ, გარნა უკეთუ ბრძენი ბრძენთა ინებებს, პრაქტიკებრსა შინა აღმოჩნდების ხელმძღვანელობით თქვენითა და სახელისა თქვენისათვის თვისად დროსა გონება ჩემი წარმოიდგენს გამოხატვასა ღმრთისასა სულისა და ამოვნებასა, ხოლო ნება სიმართლესა, სიმშვიდესა, სიწრფოებასა წმინდასა, ჭეშმარიტებასა და სათნოებასა“ (იქვე, გვ. 246).

აქ აღზრდის დარგში ჩანს თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა (გ. თავზიშვილი, იქვე). ამ წერილში შემდეგი ადგილიც არის საინტერესო — დოდაშვილს მავნებლად მიაჩნია ცრუმორწმუნეობა საღი აზროვნებისათვის: „ჭეშმარიტი ფილოსოფია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა დაცხრება ვნებანი, და როცა ცრურწმენანი, რომელთაც ასე სამართლიანად უწოდებს ბეკონი ადამიანის გონების კერპებს, შეწყვეტენ მის მართვას“ (დოდაშვილი, თხზ., გვ. 42). ამით სავსებით გასაგებია აღიარებული აზრი იმის შესახებ, რომ ს. დოდაშვილმა ღმერთს ადგილი არ დაუთმო თავის ლოგიკაში[1].

ს. დოდაშვილის აზრები პრაქტიკისა და თეორიის კავშირზე, საყოველთაო განათლებაზე მისი ზრუნვა ღარიბი მოწაფეებისათვის, ახლოა ხალხური შემოქმედების აზრებთან.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეებით აღჭურვილმა, რუსეთის მოწინავე იდეებზე აღზრდილმა „თერგდალეულებმა“ და მათმა ხელმძღვანელმა ი. ჭავჭავაძემ, როგორც ვიცით, ახალი საკითხები დასვა ქართველი ერის წინაშე, საქართველოს როგორც კულტურული, ისე ეკონომიური განვითარების მიზნით. დიდი ყურადღება მიექცა მშრომელი ხალხის შემოქმედებას. მე-19 ს. პირველი ნახევრის საქართველოში ერთგვარი მოძრაობა იწყება ფოლკლორის ნიმუშების სკოლაში გამოყენებისათვის. ილია ჭავჭავაძემ, ხალხის ცხოვრების გასაცნობად, მისი მთელი ნაფიქრ-ნააზრევის ჩაწერა-შეგროვება და შესწავლა მოითხოვა.

---

[1] ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, ლოგიკა, 1949, გვ., LVI; თ. კ უ კ ა ვ ა, სოლომონ დოდაშვილი და მისი მსოფლმხედველობა, 1955, გვ. 18.

ილია ხალხურ აზროვნებას და შემოქმედებას პიროვნული გენიის წყაროდ ცნობდა: „ჯერ უნდა ხალხმა დაიმუშაოს თავისი სულიერი ბუნება, შეანძრიოს თავის უკვდავების ძარღვი, მოამზადოს მასალა თავის ცხოვრებითა და მერე თავისთავად, უთქვენ-უბრძანებლოდ ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განვითარებისა“ (ტ. 3, 1953, გვ. 45). შეიძლება ითქვას: მე-19 საუკუნეში ისე ღრმად და შთამაგონებლად არავის არ გაუაზრებია ხალხური გენიის ძალა, როგორც ილიას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ილია მხოლოდ ფოლკლორში არ ხედავდა მოღვაწის გენიალური შემოქმედების წყაროს: „შდაბიო ხალხის გონებითი, თუ სხვაგვარი საუნჯე მარტო იმის ლექსებში ანუ პოეზიაში როდი გამოიხატება, არა, ეს საუნჯე უხვად დათესილი და დარჩენილია ისეთს ნაწარმოებებში, რომელნიც სრულებით არ ეკუთვნიან პოეზიის სფეროს. ამგვარია, მაგალითად, ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურს და იურიდიულ ცხოვრებას“-ო (ტ. IV, გვ. 191 და მომდევნო). ილიას ეს აზრი ღრმაა. მართლაც, ხალხის სულიერი სამყაროს შეცნობა, მის არსში ჩაწვდომა, სწორედ მთელი მისი შემოქმედების შესწავლითაა შესაძლებელი. ილიას თვითონ ცხოვრება და მისი პრაქტიკა მიაჩნდა მეცნიერების ძირითად საფუძვლად და აქაც ჩანს ხალხური შემოქმედების ზეგავლენა მასზე: სწორედ ცხოვრების სინამდვილე მიაჩნდა ხალხსაც ყოველგვარი საქმიანობის საფუძვლად.

ილია ხალხს „წიგნის“ მნიშვნელობის გაგების საკითხშიც ეთანხმება. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ხალხი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „წიგნს“, მაგრამ ის არსებობის ერთადერთ პირობად არ მიაჩნდა. მან არაერთხელ გვიჩვენა, რომ ყოველგვარ წიგნურ განათლებას მოკლებული გლეხები, თავიანთი გონიერებითა და საქმიანობით ჯობნიან კიდეც მაღალი წრის წარმომადგენლებს. ახლა, ილიას აზრსაც შევეხოთ წიგნზე. ილიამ არჩილს ათქმევინა „ოთარაანთ ქვრივში“: „ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, — არც უწიგნურობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული“, II, 1950, გვ. 291).

ილიას აზრის ხალხურ აზრთან დამთხვევას ვხედავთ აგრეთვე ჭკუა-გონების, ცოდნის შეფასებისა (ილია ჭავჭავაძე, ტ. 3, გვ. 291) და ზოგიერთ სხვა საკითხშიც.

ზნეობრივი აღზრდის საკითხები. ზნეობრივი აღზრდის სფეროშიც მრავალი საერთო მომენტები მოჩანს ხალხურ შემოქმედებასა და

ქართველ მოღვაწეთა თხზულებებში. ამ სტრიქონების ავტორს ასეთი საერთო ფომენტები მე-5 საუკუნემდელ პერიოდშიც აქვს შენიშნული. ხალხური შემოქმედების მსგავსად, ქრისტიანი მწერლების თხზულებებში გარკვევით ჩანს აზრი, რომ არა მხოლოდ ბავშვები, არამედ ის ზრდადამთავრებული ადამიანებიც უნდა აღიზარდნონ, რომელთაც არსებული ცხოვრების შესაფერი მომზადება არ გააჩნიათ.

ბავშვების აღზრდის საჭიროება და თვით პროცესიც, როგორც ზემოთაც ითქვა, მოცემულია ლეონტი მროველის თხზულებაში („ქართლის ცხოვრება"), რომელიც წმ. ნინოს ცხოვრებას ეხება და რომლის მიხედვით 12 წლის წმ. ნინოს აღზრდისათვის მისმა მშობლებმა საგანგებო ზომები მიიღეს — ის იერუსალიმში გაგზავნეს. ბავშვთა აღზრდაზე მოგვითხრობს VI ს. ძეგლიც, „წამებაჲ ყრმათაჲ წმიდათაჲ რიცხჳითა ცხრათაჲ". ამ ნაწარმოების მიხედვით ცხრა ბავშვმა წარმართობა დაჰგმო და ქრისტიანულ მოძღვრებას ეზიარა („ჩვენი საუნჯე", ტ. I, 1960, გვ. 70—72).

ამრიგად, ქრისტიანული მწერლობა გარკვეული ყურადღებით მოეკიდა ბავშვის აღზრდის საკითხებს. მაგრამ ჩვენთვის არანაკლებ საყურადღებოა ზრდადამთავრებულ ადამიანთა აღზრდის საკითხი.

ადამიანის ხელახლად აღზრდის იდეა ოდითგანვე გასდევდა ხალხურ პედაგოგიურ აზროვნებას და საინტერესოა, რომ მას მოღვაწეთა თხზულებებშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაუჭერია. ლეონტი მროველის იმავე თხზულებაში წმ. ნინოს შესახებ, ნათქვამია — ნინომ, სხვებთან ერთად, მირიან მეფეც დაარწმუნა ქრისტიანული მოძღვრების ჭეშმარიტებაში და ის გააქრისტიანაო.

ასეთივე მდგომარეობას ვხედავთ „ევსტათე მცხეთელის მარტვილობაშიც". ევსტათემ ოცდაათი წლის ასაკში დაგმო წარმართობა და ქრისტიანობა მიიღო („ჩვენი საუნჯე", I, გვ. 28—32 და მომდევნო).

ი. საბანისძის „აბოს წამებაც" ამის შესახებ მოგვითხრობს. ცნობილია, რომ აბომ, ქრისტიანობის ზეგავლენით, ისლამი დაგმო და ქრისტიანი გახდა. აქ მეორე საკითხიც ისმის — რა სახის აღზრდას აქვს ადგილი ამ ძეგლებში? — შეიძლება ითქვას, — ერთი მხრივ, აღმზრდელის ზემოქმედებას აღსაზრდელზე. ასეთია, მაგალითად, წმ. ნინოს აღზრდა იერუსალიმში ქრისტიანული ეკლესიის ზეგავლენით, მირიან მეფისა და მრავალი სხვა ქართველის ქრისტიანად მოქცევა წმ. ნინოს ზეგავლენით. მაგრამ აღსანიშნავია - აღზრდის მეორე სახეც. ეს თვითაღზრდაა. თვითაღზრდით მიიღეს ქრისტიანობა ზემოთ აღნიშნულმა ცხრა ბავშვმა, ევსტათე მცხეთელმა, და აბო თბილელმა.

ამრიგად, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა ავტორები, ნაწილობრივ მაინც, იზიარებენ ხალხური აღზრდის ტრადიციას.

ამიტომ აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საერო მწერლები კიდევ უფრო მეტად იზიარებდნენ ამ ტრადიციას.

შ. რუსთაველი, როგორც აკად. შ. ნუცუბიძემ შენიშნა, არ ეთანხმება პ. იბერს იმ შეხედულებაში, რომ თითქოს, მხოლოდ სიკეთე არსებობს და არა ბოროტება. რუსთაველი აღიარებს, რომ არსებობს ბოროტი ძალები, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო (შ. ნუცუბიძე, „აზრი და საუკუნე", გაზ. „კომუნისტი", 1966, № 221). ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის იდეა კი, როგორც ცნობილია, ხალხური შემოქმედების განუყოფელი ნაწილია და რუსთაველის მიერ მისი დიდი წინამორბედის — პ. იბერის, ამ აზრის უარყოფის საფუძველი, სწორედ ამ ხალხური იდეის გავლენის შედეგი უნდა ყოფილიყო. ჩანს, მას გვერდი ვერ აუქცევია მისთვის. ჩვენი აზრით, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის იდეა რუსთაველის ზნეობრივ შეხედულებათა ამოსავალია. მართლაც, ეს იდეა თავიდან ბოლომდე გასდევს „ვეფხისტყაოსანს". სხვაგან აღნიშნული გვაქვს, რომ შ. რუსთაველის შეხედულებებში ზნეობრივ აღზრდაზე შეიძლება სამი მომენტი განვასხვავოთ: ეთიკურ-ზნეობრივი, ზოგადაღმზრდელობითი და ცალკეულ, კონკრეტულ პირობებში გამოსაყენებელი ზნეობრივი შეხედულებანი. ამ მომენტებს შორის მტკიცე ორგანული კავშირია. ამის საფუძველი კი იმ პერიოდის საქართველოს საერთო კულტურულ პირობებშია, რომლის ერთ ნაწილად ხალხური აზროვნებაც უნდა მივიჩნიოთ. ეს კავშირი დგინდება ცნება „კაცობის" იმ შინაარსით გაგებასა და გამოყენებაში, როგორც ეს ხალხურ შემოქმედებაშია დაცული, ცხოვრების გაუტანლობასა და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში, სიტყვის შესრულების პრინციპულ მოთხოვნაში, სიდინჯის საჭიროების, ადამიანისადმი ჰუმანური დამოკიდებულების, სამშობლოსადმი სიყვარულის, სხვა ხალხებისადმი კეთილსინდისიერი და სასიყვარულო დამოკიდებულებისა და სხვა ამ სახის საერთო აზრებით.

ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ი. ბატონიშვილი გაჭირვებულთა, „გლახაკების" დაცვას და მათ დახმარებას მოითხოვს. ი. ხელაშვილი სარდალს ეუბნება: ადამიანმა გონიერება უნდა გამოიყენოს კეთილი საქმისათვის, „გლახაკთა შეწუხება არ უნდა მოითმინოს" („კალმასობა", I, გვ. 192). ეს თვალსაზრისი, თავისი შინაარსით, ხალხურია, ხალხური აზროვნების საუნჯიდანაა ამოღებული.

ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი. ზნეობრივ აღზრდაშიც ს. დოდაშვილის ამოსავალია პრინციპი, „ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა, თუ კაცი თვითონ არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა". მართლაც, დოდაშვილი წერს: „არა გუარითა იქნების კა-

ცი, არამედ გონებითა და მოქმედებითა ხელოვნად“ (ს. დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 283). ეს ხალხური თვალსაზრისი იყო, რაც ოდითგანვე გასდევდა მის შემოქმედებას (აქაც გავიხსენოთ დაბალი ფენებიდან გამოსული ფოლკლორულ ნაწარმოებთა პერსონაჟები, რომლებიც ყოველმხრივ მაღლა დგანან მაღალი ფენების წარმომადგენლებზე).

ამ ხალხურ თვალსაზრისს გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ს. დოდაშვილის იმ აზრის შემუშავებაში, რომლის მიხედვით, განათლება ყველა წოდების შვილებმა უნდა მიიღონ.

ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. ზნეობრივი აღზრდის დარგში ი. ჭავჭავაძის შეხედულებათა ამოსავლად კაცურკაცობის იდეა უნდა მივიჩნიოთ. ამ ცნებაში იგი ადამიანის ქცევის საუკეთესო მხარეებს (პატრიოტიზმს ჰუმანიზმს, ინტერნაციონალიზმს, პერსპექტიულობას და სხვ.) აერთიანებს (გ. თავზიშვილი, „სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში“, 1948, გვ. 519—532). მაგრამ კაცურკაცობის იდეა ხომ ხალხური იდეაა.

ხალხურია, აგრეთვე, ადამიანთა გაერთიანების საჭიროების იდეაც, რაც ი. ჭავჭავაძის სახელმძღვანელო აზრს წარმოადგენდა — „საცა ერთი ვერას იქმს, იქ ოცსა და ორმოცს ერთად შეუძლიან ჰქმნას“ (იგივე, ტ. IV, გვ. 322).

ა კ. წ ე რ ე თ ე ლ ი. აკაკი წერეთელს მიაჩნია, რომ კაცურკაცობა გადამწყვეტ როლს ასრულებს ცხოვრებაში. მისი აზრით, კაცურკაცობის უგულებელყოფა ადამიანის სულიერად დადაბლებას ნიშნავს — „ნუ შეურაცხყოფ კაცობას, ნუ დამდაბლდები სულითა“-ო. ჩანს, რომ აკაკი წერეთელი ცნებაში „კაცურიკაცობა“ იმავე შინაარსს სდებს, რასაც ი. ჭავჭავაძე სდებდა.

აკაკი კარგად იცნობდა ხალხის ყოფაცხოვრებას, მის სულისკვეთებას, მის იდეალებს. მას მრავალი ხალხური ნაწარმოები და გამოთქმა აქვს გამოყენებული თავის ნაწარმოებებში. თვით მისი პოეტური სტილიც ხალხურია. ხალხის ცხოვრების გაცნობისა და მისი შემოქმედების დიდი დაფასებით აიხსნება ის გარემოება, რომ აკაკიმ „კრებულიც“ კი დააარსა, რომელშიც ფოლკლორული მასალები იბეჭდებოდა.

ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი. თავის პედაგოგიურ შეხედულებათა შემუშავებისას ზნეობრივ აღზრდაში, ი. გოგებაშვილი უშუალოდ ხალხურ თვალსაზრისს ემყარება. ჰუმანიზმს იაკობი, როგორც ვიცით, ზნეობრივი აღზრდის ყველა პრინციპზე მაღლა აყენებდა, და ამ ყველაზე კეთილშობილი გრძნობის ნათელსაყოფად მას სწორედ ხალხური ლექსი მოჰყავს:

„წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
თუ ერთმანეთს არ ეახარებთ,
ამის მეტი რა შეგვრჩება“.
— „რა კარგია კარგი კაცი,
კარგს საქმეზედ აგებული, —
ქვეყანა ჰყავს მადლიერი,
სწორის გული მოგებული“. (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, I, 1955, გვ. 283).

თავის კლასიკურ მოთხრობაში — „იავნანამ რა ჰქმნა“?! იაკობი უსათუოდ ემყარება, აგრეთვე, ხალხის აზრს გულის წამყვანი როლის შესახებ ადამიანის ცხოვრებაში, რასაც შ. რუსთაველმა გარკვეული ყურადღება მიაქცია. მოვიგონოთ „ვეფხისტყაოსნის“ ადგილი:

„გული, აზრი და გონება
ერთმანეთზედა ჰკიდიან,
რა გული წავა, იგიცა
წავლენ და მისკენ მიდიან“ („ვეფხისტყაოსანი“. 1966 წ. აკ. შანიძის და აკ. ბარამიძის რედ. სტროფი 849).

იაკობი ამბობს: ბრძენი ადამიანების აზრით, „წყარო ადამიანის ბედნიერებისა მოსიყვარულე გული არის“-ო, და გვიჩვენებს თუ როგორ მოხდა ქეთოს მოსიყვარულე გულის აღზრდა. აქვე გვიჩვენა იაკობ გოგებაშვილმა ხალხური მუსიკის უდიდესი როლიც ქეთოს სულიერ გარდაქმნაში.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების აზროვნების ჩამოყალიბებაში ხალხურ აზროვნებას გარკვეული წვლილი მიუძღვის.

შრომითი აღზრდა. შრომა ადამიანის უპირველესი მოთხოვნილებაა. იგი სხვადასხვა ხელობა-საქმიანობაში ხორციელდება. ყველა ხელობა-საქმიანობისაგან, რომელმაც ერთგვარი ასახვა ჰპოვა შუასაუკუნეების სახელმწიფოებრივ საქმიანობასა თუ მწერლობაში, მონადირეობა შეიძლება გამოვყოთ. მაღალ წოდებაში ნადირობა, ერთი მხრივ, გართობის საშუალება იყო, მეორე მხრივ კი — სამხედრო ფიზიკური ვარჯიშობისა და მომზადების საშუალება. ამდენად, შუასაუკუნეების საქართველოში ის უშუალოდ უკავშირდებოდა სახელმწიფოს ინტერესებს. მასალებიდან ჩანს, რომ მონადირეობის ამ მეორე ფუნქციას უპირატესობასაც კი ანიჭებდნენ. ივ. ჯავახიშვილი წერს: ძველ საქართველოში ნადირობას „მარტო კერძო გასართობის თვისება არ ჰქონდა“, იგი „სამხედრო ვარჯიშობის მაგიერი იყო და ბეგარივით სახელმწიფო ვალდებულებას წარმო-

ადგენდა, სანადირო ადგილებსაც მზრუნველობა არ აკლდათ და სათანადოდ იყვნენ დაცულნი"-ო („საქართველოს ეკონომიური ისტორია", I, 1930, გვ. 147). ნადირობის ეს ფუნქცია ბრწყინვალედ აისახა მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანსა" და შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში". საქართველოში „მონადირეთუხუცესის" თანამდებობაც კი ყოფილა (ქ. კეკელიძე, „ეტიუდები", III, გვ. 135). უფრო საყურადღებო კი ის არის, რომ მონადირეობით ეკლესიაც დაინტერესებულა და მას შვიდი ლოცვისაგან შემდგარი ნადირობის „წესებიც" კი შეუქმნია. ლოცვები ღვთისადმი მუდარას წარმოადგენდა, რათა ნადირობას კარგი შედეგი ჰქონებოდა და მონადირეც მშვიდობით დაბრუნებულიყო უკან (იქვე, გვ. 137—142). მშრომელი ხალხისათვის კი მონადირეობა, პირველ რიგში, ეკონომიური არსებობის წყარო იყო და ამასთან მონადირის აღზრდის საშუალება. სწორედ ამ უკანასკნელ მომენტთან დაკავშირებითაა საინტერესო მაღალ ფენებსა და მწერლობაში ასახული მონადირეობა, რის ფესვები ხალხურ ყოფასა და აზროვნებაში იყო ოდითგანვე მოცემული.

აი ის პირობები რის გათვალისწინებაცაა საჭირო ჩვენი საკითხის გარკვევისას.

მაგრამ ნადირობა ხომ კაცობრიობის პირველი საქმიანობა იყო, და ცხადია, ის საქართველოშიც ხალხის ყოფაცხოვრებისა და შრომის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. მონადირის აღზრდაც ამ საქმიანობის თანაარსი იყო, რასაც გარკვეული წესები ჰქონდა, როგორც ქართული ფოლკლორის მრავალ ჟანრშია ამ სტრიქონების ავტორის მიერ შენიშნული.

მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი" სწორედ ნადირობის ასახვით იწყება და ზემოთ აღნიშნული არისტოკრატიული თვალსაზრისის ასახვას წარმოადგენს. ნადირობა აქ გართობისა და სამხედრო ვარჯიშის ერთგვარი საშუალებაა. ინდოეთის მეფემ, აბესალომმა „დღესა ერთსა ბრძანა ნადირობას გასვლა. გავიდა და ინადირა სანადიროსა კარგსა. მოვიდა შინა და მხიარულმან დიდი პურობა გარდაიხადა და მნახავთა მადლი უბრძანა. ვითა „კარგთა სანადიროთა შინა მანადირეთო"". შემდეგ ნადირების მოსარეკად გაგზავნა მხლებელნი. მათ მრავალ ნადირში ერთი უცნაური ქურციკი შეამჩნიეს, მაგრამ ვერ დაიჭირეს. მეფემ მისი დაჭერა ბრძანა. „შეუტევეს ცხენი და წავიდა ქურციკი იგი". ქურციკი ვერ იპოვნეს, მაგრამ ნახეს ერთი ქვიტკირის სახლი, რომელშიც ადამიანთა სურათები იყო, მათ შორის ამირანდარეჯანისძისა („ამირანდარეჯანიანი", 1969, გვ. 5—6). ასე იწყება ეს რომანი. შ. რუსთაველმაც გართობის სახით წარმოგვიდგინა მონადირეობა თავში — „როსტევან მეფისაგან და ავთან-

დილისაგან ნადირობა". როსტევანი სანადიროდ გავიდა! დიდებულთა თანხლებით. ნადირობა მიმზიდველი იყო, გამრთობი, სახალისო.

„მას პატრონ-ყმანი გაუხდეს, ჭვრეტამდმცა სჯობდა რომელი!
და აჰა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი!" (სტრ. 76).

მაგრამ ჩვენი საკითხისათვის ნადირობის მეორე მხარეა უფრო საინტერესო. რუსთაველმა მონადირეობის სამხედრო მხარეც ასახა. დიდებულები იარაღს ისროდნენ და ნადირს ხოცდნენო:

„მიჰხოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლთა მიასხმიდეს,
რა ისარი დაელივის, მონანი-ყე მიართმიდეს.
და მხეცნი მათგან დაკოდღლნი. წაღმა ბიჯსა ვერ წარსდგმიდეს". (სტრ. 77).

აქ მონადირეობა სამხედრო საქმის განუყოფელ ნაწილად ჩანს. მაგრამ რუსთაველი ამით არ დაკმაყოფილდა. მან სამხედრო წრთობის, სამხედრო ვარჯიშის სახეც მისცა მონადირეობას.

„უბრძანეს: „მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა ვლიდითა,
მშვილდსა ფიცხელსა მოგვცემდით ისარსა მოგვართმიდითა,
ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა!". (სტრ. 75).

აქ ნადირობაში შეჯიბრიც კარგად ჩანს და მისი შედეგის შემოწმებაც, რაც ცხადია, აღმზრდელობითი ხასიათისაა. და შემდეგ: როცა ნადირობა დამთავრდა, ყოველი მათგანი თავის უპირატესობაზე ამბობდა ხუმრობითო:

ერთმანეთსა თუ: „მე გჯობო" სიცილით ეუბნებოდეს"-ო.

უფრო საინტერესო შეჯიბრების საბოლოო შედეგია. ბრძანებისამებრ მონებმა მეფე-როსტევანს მოახსენესო:

„ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ასჯერ ოცია,
მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია;
არ დასცთომია ერთიცა, რაც ოდენ შეუტყორცია". (სტრ. 82).

აქ მკაფიოდ ჩანს რუსთაველის პედაგოგიური მიზანდასახულობა. ამ თვალსაზრისით ისიც საგულისხმოა, რომ ავტორი ავთანდილის აღმზრდელის — როსტევანის დიდ კმაყოფილებასაც გვიჩვენებს „მოწაფის" ასეთი წარმატების გამო:

„მეფესა ესე ამბავი უჩნს, ვითა მღერა ნარდისა,
უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა,
აქვს მოჯნურობა ამისი, ვითა, ბულბულსა ვარდისა.
და სიცილ ით ლაღობს, მიეცა გულით ამოსელა დარდისა". (სტრ. 83).

ამრიგად, ნადირობაში წარმატება ქების, სახელისა და სულიერი კმაყოფილების საგანია შ. რუსთაველის თვალსაზრისით. ეს კი, პირველ რიგში ხალხური თვალსაზრისიც იყო. მოვიგონოთ უთვალავი ხალხური ლექსები, თქმულებები და ზღაპრები მონადირეობაზე, სადაც კარგი მონადირე ხოტბის ღირსადაა მიჩნეული.

ასეთი პედაგოგიური შინაარსი მისცა რუსთველმა ნადირობას. მაგრამ პედაგოგიური შინაარსი უპირველესად ხალხის წიაღში ჰქონდა მონადირეობას მინიჭებული, როგორც ვიცით. მონადირეობის ის წესებიც, რაც მოსე ხონელმა და შ. რუსთაველმა ასახეს, ხალხური წესების თავისებურ განვითარებას წარმოადგენდა.

შუა საუკუნეების მაღალ წოდებაში გავრცელებულ მონადირეობას რომ ხალხური საფუძველი ჰქონდა, ეს აკად. კ. კეკელიძის შემდეგი სიტყვებიდანაც ჩანს: „ქართულ ხალხურ შეგნებაში ნადირობა „წმიდა“ ხელობად ყოფილა მიჩნეული; ეს შეგნება გადმოსულა ქრისტიანულ ეპოქაში და ამიტომ ეკლესიას თავისი სანქცია მიუცია მისთვის. როგორც ხალხში შექმნილა მთელი რიტუალი ნადირობისა საგანგებო წესებითა და ლოცვებით, ისე ეკლესიაშიც შემუშავებულა საგანგებო „წესი“ ნადირობისა და შეთხზულა შესაფერისი საქრისტიანო ლოცვები“ (კ. კეკელიძე, „ეტიუდები“, III, გვ. 142—143);

ამის შემდეგ გასაკვირი აღარ არის, რომ ხალხურმა ნადირობამ, ამ უაღრესად საერო ხასიათის საქმიანობამ, საერო მწერლებზეც მოახდინა გავლენა.

ცნობილია, რომ არჩილმა თავის „საქართველოს ზნეობაში“ სხვა საქმიანობათა შორის მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია მონადირეობას. არჩილის აზრით, ნადირობა გართობის საშუალებაც არის და ადამიანის ფიზიკური განვითარებისა და სამხედრო მომზადების საშუალებაც (პროფ. ს. ჯანაშია — „შეხედულება ფეოდალური აღზრდისა და განათლების შესახებ და მათი წესები XVII საუკუნის საქართველოში“, — კრებულში — „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, I, 1937, გვ. 28). მაგრამ საერთოდ ნადირობას გართობის სახეს აძლევდნენ ფეოდალები. ეს „ამირან-დარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ზემოთ განხილული ადგილებიდანაც ჩანს. არჩილიც ამ თვალსაზრისისაა. ამიტომ აკავშირებს ის ნადირობას ქორწილთან. თეიმურაზის ქორწილშიო — „დილას შევსხდით, ვინადირით, შუადღისას შემოვიქცით“, შემდეგ ვიბურთავეთ და ბოლოს სუფრას მოვუსხედითო („გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, „ჩვენი საუნჯე“ 4, 1960 გვ. 169).

მონადირეობისა და მასთან — მესაქონლეობისადმი ყურადღე-

ბა ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“-შიც ჩანს, რამდენადაც ის მათ შესწავლას ცნობს საჭიროდ.

შეხედულებანი შრომით აღზრდაზე შემდეგ პერიოდებშიც შეიქმნა, მაგრამ აქ მხოლოდ ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ზოგიერთ შეხედულებაზე შევჩერდებით.

ი. ჭავჭავაძის მთელი მოღვაწეობა „მოძრაობისა და მოქმედების ფილოსოფიას“ ემყარება, რომელიც ს. დოდაშვილმა წამოაყენა საქართველოს სინამდვილეში. ეს პრინციპი ადამიანის საქმიანობაში უნდა გამოვლინდეს.

შრომის საკითხთან დაკავშირებით ილია ითვალისწინებდა, რომ საქართველო სოფლის მეურნეობის ქვეყანა იყო და ცხოვრების ახალ მოთხოვნათა შესაბამისად საჭიროდ ცნობდა მიწათმოქმედების, მებაღეობა-მეხილეობისა და მეურნეობის სხვა დარგთა განვითარებას. აქ საყურადღებოა, რომ ფოლკლორში გატარებულ შეხედულებათა მსგავსად, ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გუთანს, გუთნისდედას და ხარს, როგორც გამწევ ძალას; მოითხოვდა სოფლის მეურნეობის მცოდნე ადამიანების აღზრდას, რათა ქართველებს ცხოვრების წინააღმდეგობანი დაეძლიათ. ამისათვის მშრომელი ადამიანები იყო საჭირო და ილიაც დიდად აფასებდა მშრომელს. კერძოდ მისი „მუშა“ ამ მოტივით უნდა იყოს შთაგონებული.

ამრიგად, ილიას პედაგოგიურ შეხედულებათა წყაროდ, ნაწილობრივ მაინც, ხალხური შეხედულებანი შეიძლება მივიჩნიოთ.

აკაკი წერეთლის შეხედულებანი აღზრდაზე საკმაოდ შესწავლილია. სწორედ ხალხის ყოფაცხოვრება, მასში შექმნილი შრომითი ატმოსფერო და შრომითი საქმიანობა იყო ჩვენი პოეტის შეხედულებათა ამოსავალი თვალსაზრისი.

აქ საყურადღებოა, რომ აკაკის შემოქმედების დიდი ნაწილი შრომას, მშრომელებს, მათი ძალების შეკავშირებას და მსგავს საკითხებს ეხება. სწორედ აქედან გამოდის მისი შეხედულებანი საერთოდ სწავლა-განათლებისა და კერძოდ შრომითი აღზრდის შესახებ. ზემოთ მოტანილი გვქონდა აკაკის აზრი იმის შესახებ, რომ რაც კარგია ჩემში, ყველაფერი ეს იმის შედეგია, რომ სოფელში და გლეხთა ბავშვებთან ვიზრდებოდიო.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ჩვენი დიდი პოეტი-მოაზროვნის შეხედულებანი შრომით აღზრდაზე სათავეს ხალხის ყოფიერებასა და შემოქმედებაში პოულობს.

ესთეტიკური აღზრდა. შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ვპოულობთ ადგილებს, რომლებთაც მჭიდრო კავშირი აქვს ხალხურ ესთეტიკურ შეხედულებებთან.

როგორც ხალხი, ისე შ. რუსთაველიც ცნობს გარეგან და შინაგან სილამაზეს და მათი შერწყმის აუცილებლობას სრულყოფილი მშვენიერებისათვის. ტარიელი, ნესტანი, ავთანდილი და თინათინი გარეგანი და შინაგანი სილამაზის ასეთი შერწყმის განსახიერებანი არიან. ამ სახეების შესაქმნელად რუსთაველს გამოყენებული აქვს ქართველების უძველესი რწმენა მზისა და მთვარის ღვთაებრიობისა და მშვენიერების შესახებ. მართლაც, თავის პერსონაჟთა მშვენიერების ნათელსაყოფად რუსთაველი მათ მზესა და მთვარეს ადარებს. მაგრამ რუსთაველს არ სურს თავის გმირთა სილამაზე მხოლოდ ციურ სხეულთა მშვენიერებით განსაზღვროს. ამიტომ, მათ, ამქვეყნიური საგნების მშვენიერებასაც ადარებს და უფრო დამაჯერებელ სახეებს ჰქმნის. ისინი შედარებულია ალვის ხესთან, ვარდთან, იასთან და ა. შ. (სტროფები: 283, 622, 674, 132 და სხვ). ეს შედარებები წმინდა ხალხურია. ისიც უნდა ითქვას, რომ ია და ვარდი „ვეფხისტყაოსანში" ხშირად ერთად იხსენიება და ამის წყაროც ხალხურ მეტყველებაშია. ყველაფერ ამით ავტორი თავის გმირთა გარეგნულ სილამაზეს ასაბუთებს, მაგრამ ის მხოლოდ გარეგნული სილამაზით არ კმაყოფილდება და პოემის მთელ მანძილზე გვიჩვენებს ყოველი მოწინავე პერსონაჟის მისაბაძ გონებრივ და ზნეობრივ თვისებებს. ეს გმირები ბრძენი ხალხია, ამასთან ისინი ზნეობრივად უმწიკვლო და მისაბაძი ქცევების ადამიანები არიან: ფაქიზნი, ადამიანისათვის თავდადებულნი, სამშობლოს მოყვარულნი და ა. შ.

უმთავრესად ასე აისახა რუსთაველის აზროვნებაში ხალხური შეხედულებანი გარეგანი და შინაგანი სილამაზის შესახებ.

საყურადღებოა დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს ესთეტიკურ შეხედულებათა მტკიცე კავშირი ხალხურ შეხედულებებთან. ჩვენ შენიშნული გვაქვს, რომ დ. გურამიშვილი ცნობს გარეგანი და შინაგანი სილამაზის საჭიროებას და ამასთან დაკავშირებით ფიქრობს, ლამაზი ქალი, რომელიც ზნეობრივ უმწიკვლეობას მოკლებულია, სიყვარულის ღირსი არ არისო:

„ნუ გსურს ქალთ ქმრობა თავ თვალ-წარბისა,
რომლისაც გული სხვასთან გარბისა" („დავითიანი", გვ. 284).

გარეგნულად ლამაზ, მაგრამ უზნეო ქალს, გარეგნულად ულამაზო, მაგრამ შინაგანად ლამაზი ქალი ჯობსო:

„ქალს ნუ უარყოფ თვალად ნასობით,
თუ გწამს სიცოცხლე წელთა ასობით",

მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზნეობრივად სპეტაკია —

„—ოღონც ფხიზლად ვლიდეს, ქმარს არ სხვაზედ სცვლიდეს,
არ იყოს ანჩხლი“ (იქვე გვ. 287).

გარკვევით ჩანს, რომ დ. გურამიშვილის ესთეტიკურ შეხედულებათა საფუძველიც ხალხურ ესთეტიკურ აზროვნებაშია.

ხალხურ ესთეტიკურ შეხედულებათა გავლენა მრავალი მოღვაწის შემოქმედებაში ჩანს. მაგრამ აქ მხოლოდ ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ თერგდალეულთა განმსაზღვრელ თვალსაზრისზე ესთეტიკურ აღზრდაში. ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი, რუსეთის დემოკრატ-რევოლუციონერთა გავლენით, ხელოვნების უტილიტარიზმის პრინციპს იცავდნენ. აი, აქ უახლოვდებიან ისინი ხალხურ ესთეტიკურ შეხედულებებს, თვალსაზრისს, რომლის მიხედვით, მშვენიერება ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს. გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ აკაკი წერეთელმა დაჰგმო მშვენიერება ერთი ლამაზი ქალისა, რომელსაც საქართველოს და ქართველი ხალხის არაფერი სწამდა. ამასთან შრომა ეზარებოდა და მთელ თავის სიცოცხლეს გართობაში ატარებდა (აკ. წერეთელი, თხზულებანი, I, 1950, გვ. 319). აქ მკაფიოდ ჩანს აკაკის აზრის თანხმობა ხალხურ შეხედულებებთან.

ამავე თვალსაზრისზე იდგა დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილიც, რომელმაც მოთხრობაში „იავ-ნანამ რა ჰქმნა?“ ნათლად გვიჩვენა ხალხური მუსიკის გადამწყვეტი როლი ქეთოს სულიერად გარდაქმნაში. თავის სახელმძღვანელოებში კი მან მრავალი ხალხური სიმღერა შეიტანა, როგორც ესთეტიკური აღზრდის შემცველი ნაწარმოებები (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 5, გვ. 333).

ფიზიკური აღზრდა. მწერლობაში ცნობებს ფიზიკური აღზრდის შესახებ, მე-12 საუკუნემდე ვერ ვხვდებით, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ქრისტიანობამ სულიერ ცხოვრებაზე გადაიტანა მთელი ყურადღება. ამიტომ ამ საკითხზე მსჯელობა მე-12 საუკუნიდან უნდა დავიწყოთ, როცა მოწინავე მოღვაწეთა შემოქმედებაში საერო აზროვნება გაბატონდა.

შ. რუსთაველი უშუალოდ ემყარება ჯადოსნური ზღაპრების ფანტასტიკას, დაბადებიდანვე ადამიანის უდიდესი ფიზიკური ძლიერების შესახებ. ხუთი წლის ტარიელს ლომების მოკვლაც არაფრად მიაჩნდაო.

— „ხუთისა წლისა შევიქმენ მსგავსი ვარდისა შლილისა;
ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკვლა, მართ ვითა სირისა“, (სტროფი 322).

ფიზიკური ძალების შესახებ შ. რუსთაველის სხვა შეხედულებებ-

ზე აქ არაფერს ვამბობთ, საკმარისად მიგვაჩნია მოვიგონოთ ზემოთ მოყვანილი მსჯელობა მონადირეობაზე, რაც, ნაწილობრივ მაინც, ასახავს რუსთაველის შეხედულებებს ფიზიკურ აღზრდაზე.

ხალხური იდეების როლი სკოლის განვითარებაში

1. ხალხურ შეხედულებათა ადგილი მოწინავე მოღვაწეთა აზროვნებაში სწავლების საკითხებზე.

2. პედაგოგთა შეხედულებანი ფოლკლორულ ნაწარმოებთა აღმზრდელობით მნიშვნელობაზე.

სწავლების საკითხები. შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში", როგორც შენიშნული გვაქვს ხალხური სწავლების რამდენიმე მომენტი ჩანს: პირველი ურთიერთსწავლებაა. ირკვევა, რომ შ. რუსთაველი ხალხური სწავლების ამ ფორმას ემხრობა. მისი გმირები ერთმანეთის სწავლა-დარიგებით აღწევენ მიზანს. მაგალითად, ავთანდილი ტარიელის ხშირი დამრიგებელ-მასწავლებელია:

„ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვიტკირსა"
„თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა" (სტრ. 876).

ან

„კარგად ვერას ვერ მოავლენს კაცი აგრე გულ-ფიცხელი" (სტრ. 665)

და მრავალი სხვ. მაგრამ თვით ტარიელიც ასწავლის ზოგჯერ ავთანდილს. მაგალითად:

„მიმნდონი საწუთროსანი მისთა ნიუთთაგან რჩებიან,
იშვებენ, მაგრამ უმეხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან" (სტრ. 350).

და შემდეგ

„ვაქებ კაცსა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან.
და ისმენდი ჩემთა ამბავთა, თუ სულნი შე-ღა-მრჩებიან" (იქვე).

ურთიერთსწავლებას „ვეფხისტყაოსნის" სხვა პერსონაჟებიც ეწევიან.

მეორე მომენტი, რომლითაც ემსგავსება რუსთაველის შეხედულება ხალხურს, შემთხვევითი სწავლებაა. რუსთაველის გმირები სწორედ შემთხვევით ეწევიან ერთმანეთის სწავლა-დარიგებას.

მესამე მომენტი კი შემდეგია: რუსთაველის აზრით, ზოგჯერ უმცროსმა ადამიანმაც შეიძლება უფროსს ასწავლოს, რადგან სწავლება ცოდნა-გამოცდილებას ემყარება. თინათინმა თავისივე მამა როსტევანი დაარიგა:

„კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეფვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს" (სტრ. 108).

აქ უსათუოდ უნდა მოვიგონოთ ზემოთ მოტანილი ხალხური ლექსი —„დათუნამ უთხრა მამასა" მეც მომისმინე, ჩემი სიტყვაც გაიგონეო. იგულისხმება: მამა თავისთავად არის დამრიგებელ-მასწავლებელი,

მაგრამ ზოგჯერ შეიძლება შვილმა ისეთი რამ იცოდეს, რაც მამამ არ იცის. ამიტომ მამამაც უნდა ისწავლოს შვილისაგან.

არსებითად აქაც ურთიერთსწავლება გვაქვს.

მეოთხე ნიშანი, რითაც რუსთაველური სწავლება ხალხურს ემსგავსება, შემდეგია: „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით ბავშვებიც არიან სწავლების ობიექტები და ზრდადამთავრებული ადამიანებიც.

ბავშვობისას ტარიელი ბრძენ ადამიანებს მიაბარეს სასწავლებლად (სტრ. 332). ასევე საგანგებოდ ზრდიდნენ ბავშვობისას ნესტანსაც. მაგრამ „ვეფხისტყაოსანში" ზრდადამთავრებულ ადამიანთა სწავლებას ხომ წამყვანი ადგილი უჭირავს, როგორც ამას ფოლკლორში აქვს ადგილი.

ყველაფერი ეს იმას ამტკიცებს, რომ შ. რუსთაველი სარგებლობდა ხალხური შეხედულებებით სწავლების შესახებ.

დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. როგორც ვიცით, დ. გურამიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სწავლას. მოვიგონოთ მისი სიტყვები:

„უსწავლელი ვაქიკაცი სიბერის დროს გაწბილდების" („დავითიანი", 1964, გვ. 18).

ამიტომ —

„ჩამინე, სწავლის მძებნელო, მოყევ დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ ბემოცნებასა" (იქვე).

ახლა ფოლკლორიდან მოვიტანოთ რამდენიმე გამოთქმა. ხალხი ამბობს: „სწავლა მწარეა, მაგრამ ნაყოფი მისი ტკბილია" (H,1988); „ჭკვიანი, მაგრამ უსწავლელი, ჯაჭვით დაბმული ლომია" (ფ. ა. 10115); ან „სწავლა გონების საზრდოა და ჭკუის წარმატებაო" („მესხური ანდაზები და გამოცანები", კ. გვარამაძის მიერ შეკრებილი, 1899, გვ. 28). ჩანს, რომ გურამიშვილი ხალხურ შემოქმედებას ემყარება. აქ იმ გარემოებასაც თუ მოვიგონებთ, რომ ამ შინაარსის აზრებს ჯადონსურ ზღაპრებშიც ეხვდებით, კიდევ უფრო ნათელი გახდება, რომ გურამიშვილის აზრების წყარო სწავლაზე, ხალხურ შემოქმედებაშია.

ესთეტიკური ზემოქმედება. რუსთაველმა მშვენიერების ზემოქმედება დაახლოებით ისე ასახა, როგორც ხალხმა. ნესტანის პირველად ნახვამ ტარიელს წონასწორობა დააკარგვინა — „ქალსა შევხედენ, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა"-ო (სტრ. 347).

ასეთი ზემოქმედება, როგორც ხალხურ შემოქმედებაში, ისე „ვეფხისტყაოსანში" მშვენიერი არსების ძიებისა და გმირთა წრთობის საშუალებადაც არის წარმოდგენილი. პოემიდან ჩანს, რომ ნესტან-დარეჯანის ძებნამ გამოაწრთო და ახალ-ახალი ცოდნა-გამოცდილებით გაამდიდრა „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟები.

რუსთაველს მუსიკის აღმზრდელობითი ფუნქციაც ისე ესმის, როგორც ხალხს. ხალხური ზღაპრების მიხედვით, მუსიკალური ხმის მოსმენის შედეგად გველიც კი კეთილშობილი ხდება („ქართული ხალხური ნოველები", გვ. 241—242). „ვეფხისტყაოსანშიც" ანალოგიური სურათია:

„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიც კი გამოსხდიან." (სტრ. 968).

ეს ადგილები თავიანთი შინაარსით, თითქმის, ემთხვევიან ერთიმეორეს, რაც იმას ამტკიცებს, რომ რუსთაველის ესთეტიკურ შეხედულებათა ნაწილის ფესვები ქართულ ფოლკლორშია.

საინტერესოა XVI—XVIII საუკუნეების დიდი მოღვაწეებისა და ხალხის შეხედულებანი ესთეტიკური ზემოქმედების შესახებ. ფოლკლორში არის ასეთი ნაწარმოები — „მოუღალავი მოთამაშე ანუ ბრძნული მუზიკანტი" (ფ. ა. 233/8, № 674, „არაკთა კრებული", გვ. 1—6). ამ ნაწარმოების მიხედვით, მუსიკოსმა ისეთი ზეგავლენა მოახდინა მსმენელებზე, რომ მან ბედნიერება მიანიჭა მათ.

ახლა მწერლობას მივმართოთ. არჩილი ნაწარმოებში „საქართველოს ზნეობანი", აღნიშნავს, რომ ადამიანებმა, რომლებიც ხალხს აქლემებზე გადახტომის, ხანჯლის თამაშისა და სხვ. ხელოვნებას აჩვენებდნენ, ისეთი ზეგავლენა მოახდინეს ახალგაზრდობაზე, რომ „ინატრეს ბევრმა ვაჟებმან: ნეტავი ეს მასწავლაო!" („არჩილიანი", იქვე, გვ. 5).

ამრიგად, არჩილი მკაფიოდ გვიჩვენებს ხალხურ თამაშობათა დიდ ესთეტიკურ ზეგავლენას ახალგაზრდობაზე და თავის დადებით განწყობილებასაც ამ ზეგავლენის მიმართ.

საყურადღებოა ს. ს. ორბელიანის აზრის თანხმობაც ხალხურ ესთეტიკურ შეხედულებასთან. ზემოთ ვახსენეთ ზღაპარი, რომლის მიხედვით, ქალის სურათმა უდიდესი ზემოქმედება მოახდინა ახალგაზრდა ვაჟზე. საინტერესოა, რომ სწორედ სურათის ზემოქმედების ანალოგიური ეპიზოდი აქვს საბას „სიბრძნე სიცრუისა"-ში. მეფემ სიზმარი ნახა, რომლის მიხედვით მას ვიღაც ჭაბუკმა ვაჟის დაბადება მიულოცა და უთხრა: ვიცი, მე არ მომაბარებ მას აღსაზრდელად, „ნება შენდა, ვერავინ გასწვართოს; თუ მეძებო, მპოვებ ადრე, თუ არა და შენვე ინანდეო, სახე თვისი, ეტრატსა ზედა გამოწერილი, ხელთა მისცა და უთხრა: „მეძებე, თავამან შენშანო! — და თვით წავიდა". როცა მეფემ გამოიღვიძა: „ნახა, ხელთა ეტრატი ჰქონდა, სხვა არავინა იყო მისთანა. რა იგი ჭაბუკი ველარა ნახა, ეგრე დაჭუნდა, ვითა ძე იგი მოკვდომოდა და დიდი ურვა

შექმნა“ („სიბრძნე სიცრუისა“, 1957, გვ. 7). ამ სურათის დიდი ზეგავლენით შეწუხებულმა მეფემ იგი ვეზირ სედრაქს გადასცა. სედრაქსაც გაუკვირდაო „სიკეთე სახისა მისისა და ეგრე მოახსენა — თუცა თვით არ მოვიდეს კაცი იგი, პოვნა მისი საჭიროა“ (იქვე გვ. 8).

აქაც ნათლად ჩანს სურათის ესთეტიკური ზემოქმედება, მაგრამ ის სწორედ ზემოხსენებული ზღაპრის სურათის ანალოგიურია და მაშასადამე, მისი ფესვები ხალხშია. ჩანს ისიც, რომ საბა ეთანხმება ხალხის ასეთ ესთეტიკურ გაგებას.

ისიც საყურადღებოა, რომ ჯუმბერის სილამაზის დასამტკიცებლად საბა ხალხურ გამოთქმებს იშველიებს — მას მთვარეს და ვარსკვლავებს ადარებს („სიბრძნე სიცრუისა“, იქვე, გვ., 6).

* * *

შეხედულებებს ფოლკლორის სწავლების მნიშვნელობაზე, არსებითად XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩაეყარა საფუძველი.

მეტად საყურადღებოა პ. უმიკაშვილის შეხედულებანი ფოლკლორის პედაგოგიური მნიშვნელობის შესახებ. უპირველესად ყოვლისა ფოლკლორში ის ხედავდა ხალხის ისტორიის[1], სულიერი ცხოვრების (იქვე, გვ. 4), ენის (გვ. 4), მწერლობის არსის გაგებისა და შესწავლის საშუალებას (იქვე, გვ. 10). ფოლკლორულ ნაწარმოებთა შესწავლა ბავშვს სისხლხორცეულად აკავშირებს თავის ქვეყანასთან, რადგან „ის ყმაწვილი ხალხის შვილია და იმის შემადგენელი წევრი“-ო (გვ. 8—9), ამბობს უმიკაშვილი.

გამოდიოდა რა ამ შეხედულებებიდან, ის მოითხოვდა, რომ სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი დაეჭირა ხალხური შემოქმედების მასალებს და აკრიტიკებდა თავის დროის იმ სახელმძღვანელოებს, რომლებშიც მშობლიური ხალხური შემოქმედების მასალები არ იყო შეტანილი: „ჩემი მოსახსენებელი წინადადება, — წერდა ის, — შეეხება პედაგოგიურს მწერლობას“ (გვ. 1): „მოსწავლეს პირველსავე კითხვის დროს უჭირავს ისეთი წიგნი, რომელიც შედგენილია ხელოვნურის გაკეთებულის სტატიებით და ლექსებით“ (გვ. 8). ეს კი შეუძლებელია, რადგან ასეთ წიგნში შეტანილი არ არის ფოლკლორული ნაწარმოებნი, რომელნიც სწავლას აადვილებს და მოსწავლეში აქტიურობა და სიცოცხლისუნარიანობა შეაქვსო: „შეხედეთ ყმაწვილს, რომელსაც ეს არის ჩათვლით კითხვა დაუწყია და

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება; პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს კოლექცია, 100, გვ. 2—3.

კითხულობს სახალხო პატარა არაკს, ან ლექსსა. მთლად სიცოცხლედ გადაქცეულია. ამიტომ რომ წაკითხული ცოცხლად ესმის, როგორც სოფელში აქვე გაიგონა, წარმოუდგება მრთელის სინამდვილით ნახული". „და ყოველივე ეს გამოთქმულია ისე, როგორც კი ეადვილება მისს აგებულებას" (იქვე).

ასეთი იყო მოწინავე ქართველ მოღვაწეთა საერთო სულისკვეთება. მათ დიდი ძალა დაინახეს ხალხურ შემოქმედებაში და მისი შეგროვება და ცხოვრებაში გამოყენება მოითხოვეს. აქ დიდი როლი შეასრულა ი. გოგებაშვილმა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლამ, რევოლუციონერ-დემოკრატების: ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მოძღვრების გაცნობამ, მისი მთელი მოღვაწეობა პროგრესული გახადა. იგი თანამედროვე მეცნიერებით მოითხოვდა ახალგაზრდობის შეიარაღებას.[1]. ხოლო ამ საქმეში გადამწყვეტ როლს, კ. უშინსკის მსგავსად, მშობლიური ენის შესწავლას ანიჭებდა. გონებრივ აღზრდაში მან თავისებურად დაასაბუთა შეგნებულობის, თვალსაჩინოების, სისტემატურობისა და ცოდნის სიმტკიცით სარგებლიანობა სწავლებაში (გ. თავზიშვილი, „იაკობ გოგებაშვილი", 1960, გვ. 79—85). ზნეობრივი აღზრდის დარგში იაკობმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდას (იქვე, გვ. 58—64). ამასთან მთელი მისი პედაგოგიკა ხალხურობის პრინციპს ემყარება (იქვე, გვ. 38—43). ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი მიანიჭა, მან, აგრეთვე, შრომისადმი სიყვარულის აღზრდას, რადგან მის გარეშე —„არც ერთ წოდებას სიცოცხლე და წარმატება არ შეუძლიან"-ო, მიუთითებდა ის (ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 3, 1954, გვ. 187).

უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ი. გოგებაშვილი აღზრდის საქმეში მხოლოდ სკოლით არ იფარგლებოდა. ამ მხრივ საგულისხმოა მისი სიტყვები: „ჩვენ დიდად მოწადინებული ვიყავით, მიგვეცა ჩვენის სკოლებისა და ოჯახებისათვის სახელმძღვანელო წიგნი, დამყარებული პედაგოგიურს ჭეშმარიტს პრინციპზე და სავსებით შესაბამი ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენი სკოლისა და მეტადრე იმ განსაკუთრებულის მდგომარეობისა, რომელშიაც იმყოფება ქართული ენა სკოლებში" („ბუნების კარი", 1900, გვ. 1).

ამასთან დაკავშირებით, როგორც ვიცით, ის მოითხოვდა, რომ სკოლამდელ ასაკშიც გამოეყენებინათ მშობლებს ფოლკლორული მასალები მშობლიური ენის შესასწავლად. ამის შემდეგ ის საჭიროდ

---

[1] გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი —იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკა, — „იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო კრებული", 1940, გვ. 26.

ცნობს ოჯახშივე სხვა რეალური მასალის გამოყენებას: „მარტივი საგნების და სურათების სინჯვა და აღწერა კითხვა-პასუხის შუამავლობით“ პატარ-პატარა მოთხრობებისა და ცხოველებზე და სხვ. (თხზ. 2, გვ. 239—240). ეს იმით აიხსნება, რომ ფოლკლორული მასალა იაკობს ბავშვის სულიერი განვითარებისა და „ქართულს ნიადაგზედ“ აღზრდის პირველ საშუალებად მიაჩნდა.

აღსანიშნავია, რომ „დედაენის“ გამოცემის შემდეგ „ანბანი“ მან სწორედ ოჯახში სახმარებელ წიგნად გამოსცა.

ამრიგად, ფოლკლორული მასალა ოჯახშიც უნდა გამოვიყენოთ ბავშვთა აღზრდისათვის. მაგრამ მთავარი მაინც სკოლაა, რადგან ის არის, „უძლიერესი კულტურული ღონისძიება“ (იქვე).

ფოლკლორული ნაწარმოები რეალურ ცხოვრებას ასახავს და ბავშვმა ცხოვრება უნდა შეისწავლოსო.

ჩვენი პედაგოგის ეს ზოგადი მოსაზრებანი დაედო საფუძვლად მის აზრებს იმ ხალხურ ნაწარმოებებზე, რომლებიც გაკრიტიკებული იყო მისსავე სახელმძღვანელოებში შეტანის გამო. ასე მაგალითად, ერთ-ერთი რეცენზენტის შენიშვნაზე — „მოდი ვნახოთ ვენახი“ ბავშვისათვის გაუგებარი იქნება პირველი საკითხავი წიგნის პირველ გვერდზეო[1], ი. გოგებაშვილი წერდა: „თუ მკითხველს წაუკითხია ეს ლექსი, დაგვეთანხმება, რომ იგი სწორედ საგანგებოდ პირველი წიგნის დასაწყისისათვის შეუთხზავს ჩვენს ხალხსა. ეს ლექსი მარტივია უკანასკნელს ხარისხამდის. ყველა მუხლი მეტად მოკლეა. შედგება მხოლოდ სამი სიტყვისაგან“; „ამ ლექსში იხატება საგნების და ცხოველების ერთმანეთზედ დამოკიდებულება იმისთანა მარტივის მახვილობით, რომ ბავშვი სრულს აღტაცებაში მოდის. ამას დაუმატეთ მარტივი საბავშვო ჰანგი, რომელზედაც ეს ლექსი იმღერება და თქვენ ადვილად დამეთანხმებით, რა ზედგამოჭრილი და მარჯვე რამ არის ეს ჩვენი ხალხის ნაწარმოები წიგნის დასაწყისისათვის“ (ი. გოგებაშვილი, ტ. 5, გვ. 665—666). ამრიგად, „მოდი ვნახოთ ვენახის“ პედაგოგიურ მნიშვნელობას ჩვენი პედაგოგი იმაში ხედავდა, რომ ის მარტივია, საგანთა ერთმანეთთან დამოკიდებულებას ეხება და საბავშვო ჰანგზეა შექმნილი. ჩანს, რომ იაკობს ყველა ეს ნიშან-თვისება აღზრდისათვის საჭირო მასალად მიაჩნდა. ასევე — ლექსის — „ფეხმოტეხილი კურდღლის“ შესახებ, ის წერდა: „პირველად, ეს ლექსი სახალხო ლექსი• და, მაშასადამე, ძველი ნაცნობი, რომლის

---

[1] „დედა ენა“, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისათვის შედგენილი ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ან, მეოთხე გამოცემა, „დროება“, 1884, № 230, (წერილი ხელმოუწერელია).

შეხვედრა და უფრო ახლო გაცნობა ბავშვისათვის საამურია“-ო (იქვე, გვ. 667).

უფრო სრული რომ გახდეს იაკობ გოგებაშვილის შეხედულებანი ფოლკლორის აღმზრდელობით მნიშვნელობაზე, მივმართოთ მისივე აზრს ფოლკლორული ნაწარმოების როლზე შრომით აღზრდაში. „დედაენის“ ერთ-ერთი რეცენზენტის, — გადაღმიელის საპასუხოდ ი. გოგებაშვილი წერდა: „სახალხო ლექსში „ქ ა ლ ე ბ ი ს მ უ შ ა ო ბ ა“ ისეთ პოეტურის, მიმზიდველ ძალით არის გამოხატული თიბვა ჩერქეზთ ბატონიშვილის ქალებისა და ისეთს მარჯვე შემთხვევას აძლევს მასწავლებელს ჩააგონოს ბავშვებს მნიშვნელობა, საჭიროება და ღირსება საყოველთაო შრომისა, რომ ადამიანი სწორედ გადაღმიელის უმეცრებით უნდა იყოს სავსე, რომ ამ მშვენიერ ლექსს ბელიბერდა დაარქვეს“-ო (თხზ. 1, 1955, გვ. 315).

იაკობ გოგებაშვილმა გამოთქვა თავისი შეხედულებანი იმათ წინააღმდეგაც, ვინც „დედაენაში“ ანდაზების მოთავსებას უარყოფდა. ის შეეცადა თავისებურად აეხსნა ანდაზების მნიშვნელობა პირველი კლასის მოსწავლეთა აღზრდისათვის. მისი საერთო აზრით, ანდაზები ახლოა ბავშვის ცხოვრებასთან და „ამიტომაც უყვართ ბავშვებს ეს ნაწარმოებნი“ (თხზ. 5, გვ. 732—733). „მე წინად მეგონა, რომ ანდაზები არ იზიდავენ ბავშვის გონებასა, რომ ბავშვი უფრთხის მათ, როგორც უფრო სერიოზულს ნაწილს ხალხის ფანტაზიის ნაწარმოებისას. მაგრამ როცა ბავშვთა ცხოვრებას დავაკვირდი, დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი, ექვსი-შვიდი წლის ბავშვები ერთმანეთთან ბაასში, თამაშობაში, საუბარში თითქმის ისევე ხშირად ხმარობენ ხალხურ ანდაზებსა, როგორც დიდები“ (იქვე). ამრიგად, გოგებაშვილი ამტკიცებს, რომ ანდაზების ნაწილს ბავშვები ისევე იყენებენ ცხოვრებაში, როგორც სრულწლოვანი ადამიანები. ამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ბავშვთა მიერ ანდაზების გამოყენების შემდეგი მაგალითები: „კუდა ხარი თავისთვის არ იყო, სხვას ბუზებს უგერიებდა, მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანა, საქონელი პატრონს ეგვანება, ეშმაკები ტიკებს ალბობდნენ, ღვინო კი არსად იყო, მადლი ჰქენ, მარილიც მოაყარე“ (ტ. 5, გვ. 733). მაგრამ აქვე ის არ ივიწყებს, რომ ანდაზის არსის გაგება პატარა ბავშვებს უჭირთ. „რასაკვირველია — წერს იაკობი, — ბავშვებს სავსებით არ ესმით ანდაზების ღრმა აზრი, მაგრამ პირველი ხანისათვის ისიც საკმარისია, რომ მათ ხმარობენ შესაბამ შემთხვევებში და მაშასადამე ნახევრობით მაინც აქვთ შეგნებული მათი მნიშვნელობა“ (იქვე). შემდეგ განაგრძობს: „მაგრამ იქნებ მითხრან: რა საჭიროა აჩქარება, ანდაზებს შეგიძლიათ ფართო ადგილი დაუთმოთ პირველ საკითხავ წიგნში და ანბანში კი ადგილი არ მის-

ცეთო". ამის ასახსნელად ის ანდაზის ორ ნიშან-თვისებას უსვამს ხაზს. პირველი ფოლკლორის საერთო ნიშან-თვისება ენის ხალხურობაა, რის გამოც ამ სახის ნაწარმოებნი „როგორც ლექსიკონით, ისე სინტაქსით სამაგალითო საკითხავს წარმოადგენენ". მეორე კი, ასეთი ნაწარმოების სიპატარავეა, რაც მის გაგებას აადვილებს. ამას გარდა, ბავშვს უბრალო ფრაზაზე უკეთაც შეუძლია გაიგოს ანდაზა, რადგან მას იგი არაერთხელ მოუსმენია. იაკობს მესამე საბუთიც მოჰყავს: ანდაზების „კითხვას ისიც აადვილებს, რომ ბევრნი მათგანი ცეზურით, ან ლექსით არიან გამოთქმულნი, უმეტეს ნაწილად მუსიკალურ ფრაზებს წარმოადგენენ. ხოლო რამდენად უადვილებს მუსიკა ბავშვს შესწავლას რომელიმე ნაწარმოებისას, იქიდანა ჩანს, რომ იგი ყველაზე ადრე სწავლობს პატარა-პატარა ლექსებსა"-ო. ამბობს ის (იქვე, გვ. 733—734). ის, სასწავლო პროცესის მეორე მხარეს, მასწავლებელსაც არ ივიწყებს, რათა სავსებით გაამართლოს ანდაზის სწავლება: „ამ სახით მასწავლებლისათვის ცხოვრებისაგან მომზადებულია ნიადაგი ანდაზების ასახსნელად ბავშვებისათვის"-ო (იქვე).

ამრიგად, ანდაზები პედაგოგიური პროცესის ორივე მხარისათვისაა (მასწავლებლის და მოსწავლეების) საჭირო და სასარგებლო. შემდეგ ის კიდევ უფრო ადიდებს ანდაზის პედაგოგიურ მნიშვნელობას შემდეგი სიტყვებით: „ანდაზა ერთსა და იმავე დროს იპყრობს ღირსებას მარჯვე ფრაზისას, კარგის მოთხრობისას და შინაარსიანი ლექსისას. ამის გამო ანდაზების ბლომად მოქცევა ანბანის მესამე ნაწილში საეალდებულოდ უნდა ჩასთვალოს ყველა შეგნებულმა პედაგოგმა"-ო (იქვე).

ამრიგად, 1. ანდაზა საუკეთესო სასწავლო მასალაა, კერძოდ საანბანო პერიოდში. 2. ის თავისი მოცემულობითა და შინაარსით შეეფერება ბავშვის სულისკვეთებას.

ზნეობრივი აღზრდის დარგში იაკობის შეხედულებანი ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, სამართლიანობის შესახებ კარგად ეხმაურება ზემოთ განხილულ ხალხურ შეხედულებებს, რომლებიც სწორედ ფოლკლორშია ფიქსირებული.

შრომის როლი აღზრდაში. საბუნებისმეტყველო-მატერიალისტურმა აზროვნებამ ი. გოგებაშვილი რეალური განათლების პრინციპებამდე მიიყვანა, რასაც რუსეთში იმდროინდელი მოწინავე პედაგოგიური აზრი ეყრდნობოდა და რასაც უკიდურესობამდეც კი იცავდა დიმიტრი პისარევი. რეალური განათლების პრინციპი თავისთავად მოითხოვდა სამეურნეო განათლებას და შრომით აღზრდას.

ი. ჭავჭავაძესთან ერთად, იაკობს ამის ხელსაყრელი პირობები ჰქონდა საქართველოში. ამიტომ ის ახალგაზრდობას ასეთი განათ-

ლების მიღებისაკენ მოუწოდებდა. ცხადია, იაკობი აქ ხალხურ სამეურნეო კულტურას გულისხმობდა, რომელსაც ისტორიული წყაროებითაც იცნობდა, პრაქტიკული დაკვირვებითაც და ხალხური შემოქმედებითაც, და რომლის ნიმუშებს თვითონვე ჰკრეფდა ხალხში. ეს არა მხოლოდ მისი სახელმძღვანელოებიდან და წერილებიდან ჩანს, არამედ მის არქივში დაცული ჩანაწერებიდანაც (ხელნაწერების ინსტიტუტი, ფონდი № 100). იმ დროს საქართველოში კიდევ არსებობდა ამქრული წარმოება, ახალგაზრდობის მომზადების თავისებური ტრადიციით, რასაც ხალხის სამეურნეო ყოფა ამტკიცებდა და ამაგრებდა. ხალხური ხელოსნობის ყველა ზემოთ განხილული სახე XIX საუკუნეშიც არსებობდა. მაგრამ იაკობი ამით არ დაკმაყოფილდა და ხელოსნობის ისტორიულ ვითარებასაც შეეხო წერილში „რანი ვიყავით გუშინ?“, რათა ქართველებში მისი შესწავლის უფრო მეტი ინტერესი აღეძრა.

მაგრამ ახალ ბურჟუაზიული ცხოვრების მოთხოვნასთან დაკავშირებით ის, ხალხური ტრადიციის საფუძველზე, სამეურნეო სკოლების გახსნას მოითხოვდა, ხოლო ასეთი სკოლების საფუძვლად სახალხო სკოლას ცნობდა საჭიროდ, ელემენტარული კურსით. სახალხო სკოლებისათვის განკუთვნილ თავის სახელმძღვანელოებში, სხვა სახის ფოლკლორულ მასალებთან ერთად, მას შრომის, ბუნების მოვლენებისა და სხვადასხვა ხელობის ამსახველი ნაწარმოებებიც შეჰქონდა. ამ მასალებს კი ისე ალაგებდა, რომ მათ ბავშვის გონებრივი შრომისაკენ მისწრაფება გამოეწვია.

* * *

ი. გრგებაშვილის სახელმძღვანელოებში დაბეჭდილ ხალხურ ნაწარმოებებს კრიტიკოსებისაგან იცავდა ცნობილი პედაგოგი ლ. ბოცვაძე, თავის წერილში „პედაგოგიური შეუგნებლობა“ („განათლება“, 1912 წ. № 3), და ამით სავსებით ემხრობოდა დიდი პედაგოგის შეხედულებებს ფოლკლორის ნიმუშთა შეფასების საკითხში. ამასთან ის თავის აზრებს გამოთქვამდა ზოგიერთ ხალხურ ნაწარმოებზე. მაგალ., ლექსი „პური და ღვინო“ მისი აზრით წინდახედული ლაპარაკის საჭიროებაზე მიუთითებს ადამიანს და მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ამაშია („განათლება“; 1912, № 3, გვ. 163). ეხება რა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ანდაზის პირველ კლასში გამოყენება მიზანშეწონილია, ლ. ბოცვაძე აღნიშნავს: ანდაზებსა და გამოცანებს თვით ხალხი უყურებს „როგორც გამობრძმედილს და ნაცადს სიბრძნეს“; რომ მან სწორედ ასეთი ნაწარმოებებითა და თქმულებებით დაამტკიცა თავისი სიბრძნე და აქედანაც ცხადია,

რომ მათ „დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს“-ო (იქვე, გვ. 163). აქვე ამბობს იგი იმ დიდ როლზე, რომელიც მშობლიური ენისადმი სიყვარულის გამომუშავების საქმეში აქვთ ანდაზებს. ამ მხრივ მათ გრამატიკაზეც მაღლა აყენებს, — „ასე ამას ვერ მოახერხებს ვერც ერთი გრამატიკა“-ო (იქვე). ამასთან წერს, რომ ბავშვს ანდაზების დასწავლაც კარგად ეხერხება, რადგან მათი დამახსოვრება ადვილიაო[1]. საერთოდ კი ამბობს — „ახალ მასწავლებელს“ არ მოსწონს „დედა-ენა“, „ბუნების კარში“ მოქცეული არც სამეცნიერო მასალები და არც ხალხური ნაწარმოებნი, მიუხედავად მათის ღრმა პედაგოგიური მნიშვნელობისა“-ო[2].

ბოცვაძის ეს მოსაზრებანი, თითქოს, საფუძველია იმ აზრისა, რომელიც, დაახლოებით, თხუთმეტი წლით ადრე გამოთქვა მან თავის რეცენზიაში—„დედა-ენა“ ი. გოგებაშვილისა და „ბავშვთა მოკეთე“ ალ. ნათაძისა. ჩანს ეს აზრი მას ადრევე ჰქონდა შემუშავებული. მართლაც, ანდაზების პედაგოგიური მნიშვნელობის გაგების საფუძველზე, ლ. ბოცვაძეს შეეძლო საყვედური გამოეთქვა იმის გამო, რომ ნათაძის „ბავშვთა მოკეთეში“ იშვიათად არის ანდაზები მოთავსებული („ივერია“, 1897, № 235). აქვე უარყოფს იმ აზრს, რომ ანდაზების გაგება პირველი კლასის მოსწავლეს, თითქოს, არ შეეძლოს და განაგრძობს: „სიტყვებისა და ადვილად გასაგების მოკლე ფრაზების შემდეგ, არც სახალხო ანდაზების კითხვა გაუჭირდებათ ბავშვებს, იმისთანა ანდაზებისა, რომლის გარეგანი მხარე სრულად მისაწვდომი და ადვილად გასაგებია მათთვისო“ (იქვე). ხოლო თუ ანდაზის „შინაგანი აზრი“ ბავშვისათვის გაუგებარი იქნება, ეს „არც საჭიროა თავდაპირველად“, რადგანაც ამ ასაკში მისი გარეგნული მხარით დაკმაყოფილებაც შეიძლებაო. ლ. ბოცვაძე აქვე დასძენს: გოგებაშვილის ანბანში ბავშვისათვის გაუგებარ ანდაზებს იშვიათად ვხვდებითო (იქვე).

ლ. ბოცვაძის ამ მოსაზრებებში ანდაზის აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ჩანს და მათი სასწავლო მიზნით გამოყენების საჭიროებაც. ეს მოსაზრებანი იმაზე მიუთითებს, რომ ლ. ბოცვაძე ცალკეულ ნაწარმოებთა პედაგოგიური მნიშვნელობის დასაბუთებით არ იფარგლება, მთელი ფოლკლორის ნიმუშები აქვს მხედველობაში და ამრიგად, აქაც პროგრესული მიმართულების წარმომადგენლად, ი. გოგებაშვილის თანმიმდევრულ მომხრედ გვეელინება. მას მიაჩნია, რომ ხალხური შემოქმედების ნიმუშების აღმზრდელობითი `მნიშვ-

---

[1-2] „განათლება“, 1912 წ. № 3, გვ. 166. ამავე სტატიაში ეხება ლ. ბ ო ც ვ ა ძ ე, ზღაპრების დიდ აღმზრდელობით როლსაც (იქვე, გვ. 166—167).

ნელობის უარყოფა მავნებელია, და შემდეგ აზრს აყალიბებს: „განდევნა სახელმძღვანელო წიგნიდან ხალხური ნაწარმოებისა · უდრის ხალხური სულის გაჰქრობას, ენის შესწავლის შევიწროებას და ეროვნული ნიადაგის გამოცლას“ (იქვე, გვ. 168). ყველაფერი ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ლ. ბოცვაძე იზიარებს ხალხურ შემოქმედებაში გამოთქმულ აზრებს.

ზემოხსენებული აზრები ორი მხრივ იპყრობს ჩვენს ყურადღებას: ერთი ფოლკლორის პედაგოგიური მნიშვნელობის დაცვაში მდგომარეობს, მეორე კი — ხალხურობის დაცვასა და დემოკრატიული პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში. და ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოთა წარმატების მიზეზიც ამაში უნდა ვეძიოთ. პირველ რიგში იაკობი სწორედ დემოკრატიულ მსოფლმხედველობას თვლიდა მოღვაწის ღირსებად: „მაღალნიჭიერი გვამნი ნამდვილი დემოკრატები იყვნენ და არიან“-ო, წერდა ის ერთ სტატიაში[1].

ხალხურობის პრინციპის მიხედვით აფასებდნენ სახელმძღვანელოებს სხვა მოღვაწეებიც. პირველ რიგში ეს თვალსაზრისი ჩანს ლ. ბოცვაძის ზემოთ განხილულ სტატიებში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ, 1865 წ. ან. ხუციშვილის სტატიაში „უწყება ახალ წიგნთათვის“, ვხედავთ მის ნიშნებს. ავტორი აქებს იმ მოღვაწეებს, რომლებიც ხალხის განათლებისათვის ზრუნავენ: „ნეტარება იმ მამულის შვილს, რომელიც ერთ დროს შეუძლებელს თანა მოძმეს აუხსნის თვალებს და დაანახვებს განათლების სწორ გზას“-ო[2]. ამასთან ამბობს — თვით ეს საქმეც კი, თუ პირადი ინტერესებისათვის წარმოებს, დასაგმობიაო: „ამ გვარ საზოგადო-კაცობრიულ ღუაწლში ვინც მარტო თავის საკუთარს სარგებლობას ეძებს, ის ძნელად მიახწევს მიზანში ამოღებულ ნიშნამდინ—მაშინვე ასცდება“ (იქვე, გვ. 29—30). ჩანს, რომ ავტორის აზრით, სწორედ საზოგადო ინტერესებისათვის მოღვაწეობა წარმოადგენს დიდების საგანს, რადგან ეს არის „უანგარო სიყვარული თავის სამშობლოს მამულისა, რომელიც გამომდინარეობს მთელი კაცობრიობის სიყვარულისაგან“ (იქვე). აზრი საკუთარი ქვეყნის სიყვარულის მთელი კაცობრიობის სიყვარულთან ერთიანობისა, რომელიც მანამდეც იყო გამოთქმული, კერძოდ, ა. დისტერვერგისა[3] და ბ. ბელინსკის (იქვე, გვ. 274), მიერ, ავტორისათვის ერთ-ერთ დასაყრდენს წარმოადგენს ხალხურობის

---

[1] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზ. 4, 1955, გვ. 227. [2] ან. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, უწყება ახალ წიგნთათვის, — ჟურნ. „ცისკარი“, 1865, № 9, გვ. 29.

[3] ნ. ა. კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო ვ ი, ე. ნ. მ ე დ ი ნ ს კ ი, მ. ფ. შ ა ბ ა ე ვ ა, პედაგოგიკის ისტორია, თარგმანი მეორე რუსული გამოცემიდან, 1964, გვ. 149.

საქადაგებლად. იგი ამბობს: ხალხისათვის დაწერილმა წიგნმა ხალხს თვით წიგნი უნდა შეაყვაროს, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ მასში მოთავსებული მასალები ხალხისათვის გასაგები ენით იყოს გადმოცემული („იმ ენაზედ უნდა ვუთხრათ, რომელზედაც ის ლაპარაკობს"-ო, — ა. ხუციშვილი, იქვე, გვ. 34). ამის მიხედვით ის გმობს დ. ფურცელაძის სახელმძღვანელოს — „ქართული ანბანი და წიგნი საკითხავად მდაბიო ხალხთათვს" (1863 წ.), რადგან მიაჩნია, რომ მასში დაბეჭდილი ნაწარმოებნი მასებისათვის შეუფერებელია. ის მიმოიხილავს ამ წიგნში მოთავსებულ არაკებს და განაგრძობს: აქ, „თარგამოსის დროს ენით ნაწერი" ორიოდე ანდაზა და გამოცანაც არის და — „არ ვიცი რომელი მდაბიო ხალხისათვს იყო საჭირო" ასეთ ნაწარმოებთა წიგნში შეტანაო (იქვე, გვ. 35—36). ამავე თვალსაზრისით აკრიტიკებდა მეორე რეცენზენტი მ. ბეთანიშვილიც. რეცენზენტი წერს: ქართული სახელმძღვანელო ქართველთა თავისებურებებს უნდა გამოხატავდეს და მე კი ამ წიგნს „ვერც თავი გაუგე, ვერც ბოლო; ის ისეთი უაზრობა რამ არის, რომ კაცს ჭკუიდამ შეშლის"-ო[1]. ამავე მოსაზრებით იწუნებდა იგივე ავტორი ივ. კერესელიძის ქართულ ანბანსაც. ხალხურობის თვალსაზრისით სახელმძღვანელოთა განხილვა შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. მაგალითად, 1900 წ. დაწერილ თავის ნაშრომში ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ზ. ჭიჭინაძემ დაჰგმო ივ. კერესელიძისა და ს. მდივანოვის ანბანები იმის გამო, რომ მათში ხალხური ნაწარმოებები არაა შეტანილი. მდივანოვის ანბანმაო, წერს ზ. ჭიჭინაძე „ვერაფრით გაუსწრო თავის წინა მოადგილეებთა მკვდარს მიმართულებას და აზრებს, ანბანში არ აღმოჩნდა ბავშვების არც ერთი წამახალისებელი მოთხრობა, სახალხო ლექსები, ზღაპარი, ან სხვა რამ, ანბანის შემდეგ წიგნი სავსეა ძველისა და ახლის აღთქმის ცნობებით და ისიც ყველა საყმაწვილო მიმზიდველს ოსტატობას და უნარს მოკლებული"-ო[2]. დ. ფურცელაძის ცდას — ხალხისათვის საკითხავი წიგნის მიწოდებისა, ზ. ჭიჭინაძე ერთგვარად იწონებს: ეს „ანბანი ძველის ქართულის ანბანებისაგან მხოლოდ იმით გამოირჩეოდა, რომ იმაში მოთავსებულია ზღაპრები, ბაიათები, ზოგიერთი ადგილები საქართველოს ისტორიიდან და სხვა ცნობები", მაგრამ ამის მიუხედავად, „ვერც ეს წიგნი აღმოჩნდა პედაგოგიურად შედგენილი, იგი იყო ულაზათო,

---

[1] შ. ბ ე თ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოს. წავლეთათვის, შედგენილი ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ, „დროება", 1867, № 27.

[2] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები, იაკობ გოგებაშვილი, 1900, გვ. 19—21.

ბავშვეპის არ წამახალისებელი"-ო (იქვე), და პ. უმიკაშვილის ანბანს აქებს (იქვე).

ხალხურობის პრინციპის გატარებისათვის ბრძოლა არა მხოლოდ ხალხისათვის მისაწვდომი სახელმძღვანელოებისა და მათში ფოლკლორულ ნაწარმოებთა მოთავსების, არამედ მთელი ქართული პედაგოგიური აზროვნების ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა მე-19 ს. დასაწყისიდან რევოლუციამდე. ისე, რომ ფოლკლორული მასალების სახელმძღვანელოებში მოთავსებისათვის ბრძოლა, ამავე დროს პროგრესული პედაგოგიური თეორიისა და პრაქტიკისათვის ბრძოლის ნაწილი იყო.

* * *

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მოძღვრების საფუძველზე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხალხურ შემოქმედებას. ამის შედეგია მის შესაკრებად წარმოებული გრანდიოზული მუშაობა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და ამასთან გაცხოველებული ფოლკლორისტული კვლევა-ძიება. ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დიდმა საბჭოთა პედაგოგებმა ნ. კ. კრუპსკაიამ და ა. ს. მაკარენკომ მნიშვნელოვანი როლი მიანიჭეს ხალხურ შემოქმედებას კომუნიზმის მშენებელი თაობის მომზადებაში. ნ. კ. კრუპსკაია მიუთითებს ფოლკლორისადმი დიდ ყურადღებაზე საბჭოთა კავშირში და იწონებს მას — „ჩვენში ახლა გატაცებული არიან ფოლკლორით, ხალხური შემოქმედებით, ეს კარგია". აქვე ნ. კ. კრუპსკაია იძლევა რჩევას, თუ როგორ უნდა მივუდგეთ ფოლკლორს და მის ნიმუშთა სწავლებას[1]. ა. ს. მაკარენკო კი წერდა: „კარგად ნაამბობი ზღაპარი ეს უკვე კულტურული აღზრდის დასაწყისია. ფრიად სასურველი იქნებოდა ყოველი ოჯახის წიგნის თაროზე იდოს ზღაპრების კრებული. უკანასკნელ ხანებში ბევრი კარგი კრებული გამოვიდა. პატარა ბავშვებისათვის მოსათხრობად ბევრი ზღაპარი, რასაკვირველია, უნდა შემოკლდეს, სტილი შეიცვალოს, ზღაპარი სრულიად გასაგები გახდეს. შესაძლოა მშობლებმაც იციან ზღაპრები, ბავშვობისას გაგონილი"[2].

---

[1] ნ. კ. კრუპსკაია, აღზრდისა და სწავლების შესახებ, რჩეული პედაგოგიური ნაწარმოებნი, თარგმანი ს. ა. გრიგოლიასი, რედაქტორი უ. ობოლაძე, 1953, გვ. 330—331. [2] ა. ს. მაკარენკო, ლექციები ბავშვების ოჯახური აღზრდის შესახებ, 1961, გვ. 86.

ამრიგად, როგორც რევოლუციამდელი, ისე რევოლუციის შემდეგდროინდელი დიდი პედაგოგები ცნობდნენ ფოლკლორის ნიმუშების აღმზრდელობით მნიშვნელობას.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ საქართველოშიც გამახვილდა ყურადღება ფოლკლორისადმი. მისი სწავლების საკითხებზე დაიწერა რამდენიმე ნაშრომი. აქვე უნდა ითქვას, რომ პროფ. გ. თავზიშვილმა ყურადღება მიაქცია ხალხური სწავლების გამოყენებას მე-19 ს. პირველი ნახევრის ქართულ სკოლებში: „მეცხრამატე საუკუნის პირველი ნახევრის მთელ მანძილზე კვლავ მიმართავდნენ ჩვენში ბავშვთა აღზრდის ძველ, ხალხურ წესებს, კვლავ ძალაში რჩებოდა ძველი ტრადიცია — ჩვეულებანი სწავლა-აღზრდის დარგში, ეს წესები და ტრადიცია-ჩვეულებები პირვანდელ სახეს აღარ ატარებდნენ. მხოლოდ შორეული და ახლო გადმონაშთების სახით ვხვდებით მათ აღნიშნულ პერიოდში და აქ იმდენად ვლაპარაკობთ მათზე, რამდენადაც ისინი ამ პერიოდის ხალხურ პედაგოგიკასაც ახასიათებდნენ, როგორც ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდის, ისე წერა-კითხვის სწავლების მხრივ“[1]. შემდეგ ლაპარაკია ფიზიკური აღზრდის[2], ქალთა აღზრდისა და ე. წ. „დაწინდვის“ შესახებ[3]. აქვეა ნათქვამი ფიზიკური დასჯის[4], ურთიერთსწავლების ხალხურ ტრადიციაზე[5] და სხვ. ყველაფერი ეს, თუმცა ნაწილობრივ, მაგრამ მაინც, ხალხური ნააზრევის პედაგოგიურ მნიშვნელობაზე მიგვითითებს. ასეთია ხალხურ შემოქმედებაში გატარებულ შეხედულებათა ზეგავლენა და მისი როლი პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში.

ფოლკლორი სკოლაში

ქართველ მოღვაწეებზე ხალხური იდეების ზეგავლენა სკოლასაც გადასწვდა. აქ ორ მომენტს უნდა მიექცეს ყურადღება: ა. ქართული ფოლკლორის ნიმუშების სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებში შეტანას და ბ. გაკვეთილზე მათ გამოყენებას. აქვე უნდა მოვიგონოთ, ე. წ. „ხალხური სკოლები“, რომლებიც ჩვენი ხალხის სკოლისაკენ მისწრაფებაზე მიგვითითებს უძველეს პერიოდებში და რომელიც ჩვენ საქართველოს სასკოლო მშენებლობის პირველ სახედ მიგვაჩნია („აღზრდის იდეები“, 1958, გვ. 3). სასწავლო მიზნით ფოლკლორული მასალის შერჩევას შუასაუკუნეებშიც უნდა ჰქონოდა ადგილი[6]. მაგრამ სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებში

[1-6] გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, II, გვ. 210, 210-214; 214—222; 233—234; 245.

[6] ან. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე — ხალხური შემოქმედების ნიმუშების გამოყენების ისტორიისათვის რევოლუციამდელი ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებ-

ფოლკლორის ნიმუშთა შეტანა მე-19 ს. ორმოციან წლებში იწყება. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი პლ. იოსელიანმა გადადგა თავის სახელმძღვანელოში „ანბანი ქართული სასარგებლოდ ქართველთა ახალ-მოსწავლეთა ყრმათა“ (1838 წ.)[1], რომელშიც მხოლოდ ზღაპრები და არაკებია შეტანილი (გვ. 21—24). ეს სახელმძღვანელო 60-იან წლებამდე იყო ხმარებაში და მრავალჯერ გამოიცა. შემდეგ აღსანიშნავია „ქართული ქრესტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დ. ჩუბინოვის მიერ“ (ნაწ. 2. სანკტპეტერბურგი, 1946). ამ წიგნში პირველად ჩანს „ვეფხისტყაოსანი“, როგორც სასწავლო მასალა (გვ. 1—224). ამასთან სხვა ნაწარმოებებიც — „სიბრძნე სიცრუისა“, „ამირანდარეჯანიანი“, „რუსუდანიანი“, „ვისრამიანი“, „ქილილა და დამანა“ და წმინდა ფოლკლორული ნაწარმოებები — ანდაზები და სიტყვის მასალები (გვ. 456—458). ამ ნაწარმოებთა შესახებ — „ხალხური შემოქმედების ნიმუშების გამოყენების ისტორიისათვის“... (იქვე, გვ. 331—338). ამის შემდეგ აღსანიშნავია დ. ფურცელაძის „ქართული ანბანი“ (1863 წ.). 1964 წ. კი ცნობილი მოღვაწის — პ. უმიკაშვილის „ქართული ანბანი“ გამოვიდა, რომელშიც ზღაპრები და ანდაზებია შეტანილი (მათ 15 გვერდი უჭირავს).

საყურადღებოა, რომ უმიკაშვილი მითითებებსაც აძლევს მასწავლებელს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენოს მან ეს სახელმძღვანელო (გვ. 3—4). ანდაზები კი გარკვეული პედაგოგიური წესით ალფაბეტის მიხედვითაა დალაგებული. ამ სახელმძღვანელოში მკაფიოდ მოჩანს ხალხურობის ტენდენცია, და მასთან ხალხური ენა (რასაც პ. იოსელიანის სახელმძღვანელოში ვერ ვხედავთ). შეიძლება ითქვას — პ. უმიკაშვილის ამ სახელმძღვანელომ ერთგვარი ნიადაგი მოამზადა ი. გოგებაშვილის ყველასათვის ცნობილი სახელმძღვანელოების — ჯერ „ანბანის“, ხოლო შემდეგ „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ შედგენისათვის.

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში მოთავსებული ფოლკლორული მასალა, ერთი მხრივ, იმით არის ჩვენთვის საინტერესო, რომ ამ მასალებით უფრო გარკვევით ჩანს ის ადგილი, რაც ფოლკლორს ეჭირა განათლების შინაარსში. როგორც ვიცით, იაკობმა მთელი რიგი დიდაქტიკური შეხედულებები წარმოადგინა თავის სახელმძღვანელოებში, მოგვცა სახელმძღვანელოს შედგენის კლასიკური

სა და ქრესტომათიებში — „ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, III, 1959, გვ. 330—331.

[1] მ. თ ბ ლ ა ვ ა ძ ე, ი. გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები, 1952, გვ. 30, 37.

პრინციპები, რითაც საფუძველი ჩაეყარა მომავალში სახელმძღვანელოთა შედგენის საქმეს.

იაკობის სახელმძღვანელოებში პირველად ვხედავთ ფოლკლორის თითქმის ყოველ ჟანრს. ამ სახელმძღვანელოების გულდასმით შესწავლამ ბევრი რამ ახალი გამოავლინა. ხალხურობის პრინციპის საფუძველზე, რომელიც იაკობის ერთ-ერთი მთავარი ამოსავალი იყო, მან თავის სახელმძღვანელოებში ფოლკლორს ფართოდ გაუღო კარი, ხედავდა რა მასში აღზრდის საუკეთესო საშუალებას. ამ მასალების შესწავლამ ნათელი გახადა, რომ მათი ავტორი ფოლკლორული მასალების გამოყენებისას გარკვეული მოსაზრებებიდან გამოდიოდა, ცხადია, იმჟამად უკვე ცნობილი დიდაქტიკური პრინციპების საფუძველზე. ეს მოსაზრებებია: 1. ხალხურ ნაწარმოებთა სახელმძღვანელოში მოთავსებისას საჭიროა მათში რამდენადმე შინაარსობრივი, ამასთან ენობრივი და ლოგიკური ცვლილებები; 2. როგორც სხვა, ისე ფოლკლორული მასალა ბავშვს რეალურ ცხოვრებას უნდა აცნობდეს და ისინი ამის მიხედვით უნდა შევარჩიოთ. ამასთან 3. უნდა შეირჩეს ბავშვისათვის საინტერესო და სასარგებლო მასალები; 4. ფოლკლორული ნაწარმოებნი ორგანულად უნდა დაუკავშირდეს სახელმძღვანელოს სხვა მასალებს (ამის შესახებ — „ხალხური შემოქმედების გამოყენების ისტორიისათვის...", თელავის პედ. ინსტ. შრომები, III..." გვ. 340—356).

ფოლკლორული მასალის სახელმძღვანელოში მოთავსების ამ ძეტად საინტერესო და რაციონალურმა მოსაზრებებმა ახალი საფუძველი დაუდო და გზა გაუკაფა ხალხურ შემოქმედებას სახელმძღვანელოებისა და ბავშვის სულიერი სამყაროსაკენ.

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებით გარკვეული ტრადიცია შეიქმნა. ამ სახელმძღვანელოთა პარალელურად მრავალი სახელმძღვანელო გამოვიდა: მ. ნასიძის „ქართული ქრესტომატია უმცროსი კლასებისათვის" (1885 წ.); (ამის შესახებ თელავის ინსტ. ზემოხსენებული შრომები, იქვე, გვ. 357—358); არ. ქუთათელაძის „წყარო" ორ ნაწილად (1891 და 1898 წწ., თელავის პედ. ინსტ. შრომები, გვ. 358—362); 1898 წ. გამოვიდა კირიონისა და გრ. ყიფშიძის „სიტყვიერების თეორია სალიტერატურო ნიმუშების დამატებით", სათავადაზნაურო სკოლების, სასულიერო და საოსტატო სასწავლებლებისა, სემინარიებისა და საეპარქიო საქალებო სკოლებისათვის (იქვე, გვ. 362—366); 1902 წ. ივ. როსტომაშვილმა „ნერგი" გამოსცა (იქვე, გვ. 366—367). აღსანიშნავია პროფ. ალ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია", I (1904 წ.), რომელიც სახელმძღვანელოს როლსაც ასრულებდა და მეცნიერულ ცოდ-

ნასაც აწვდიდა სკოლას, ქართული ფოლკლორის შესახებ. აქ პირველად მოექცა ქართული ფოლკლორი ქართული ლიტერატურის ისტორიის ფარგლებში (თელავის ინსტ. შრ., იქვე, გვ. 367—370). 1918 წ. ი. ოცხელმა, ი. ნიკოლაიშვილმა და შ. მამფორიამ გამოსცეს „ქართული ქრესტომათია", საშუალო სასწავლებლების მეორე კლასისათვის (ზემოთ აღნ. შრომები, გვ. 370—371). 1920 წ. ი. ოცხელმა, თ. მთავრიშვილმა და ს. ყიფიანმა „გუთანი" გამოსცეს მესამე-მეოთხე კლასებისათვის (იქვე, გვ. 371—372). ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე მ. კელენჯერიძე როდი დაკმაყოფილდა თავისი ზემოაღნიშნული წიგნით ქართული ფოლკლორის შესახებ, 1920 წ. გამოსცა „ქართული ლიტერატურის ისტორია (ქრესტომათია)", I, სადაც ხალხურ სიტყვიერებას 36 გვერდი დაუთმო. ავტორმა არა მხოლოდ ფოლკლორული ნაწარმოებები წარმოადგინა აქ, არამედ მათი ერთგვარი დალაგებაც მოგვცა და თემატიურად მიმოიხილა ისინი. იმჟამად საყურადღებო იყო მისი შეხედულებები სხვადასხვა ჟანრზე (ანდაზა, გამოცანა და სხვ.). ამ სახელმძღვანელოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სკოლისა და ფოლკლორული აზროვნების განვითარებისათვის (თელავის ინსტ. შრომები, გვ. 372—376).

ამ სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებს გარდა, რამდენიმე სხვა სახელმძღვანელო და სკოლის დამხმარე წიგნებიც გამოვიდა. ასეთია, მაგ., ან. ჯუღელის „ყმაწვილის სარკე" (1875 წ.) და ჩომახიძის „ქართული ანბანი" (1875 წ.). ი. ოცხელის, ს. ყიფიანის, დ. ოყროშიძის „მნათობი" (1918).

* * *

ფოლკლორულ ნაწარმოებთა სახელმძღვანელოში მოთავსება, მათი სწავლებისათვის საჭირო ახსნა-განმარტებებსაც მოითხოვს: სკოლას, მასწავლებელს ხელთ უნდა ჰქონდეთ პედაგოგიური ხასიათის მითითებანი, რომლებიც მათ ამ ნაწარმოებთა სწავლებაში დაეხმარება. ცხადია, ასეთ მითითებათა შედგენა ფოლკლორის მეცნიერული შესწავლის საფუძველზე შეიძლებოდა, რაშიც პირველი ნაბიჯი პროფ. ალ. ხახანაშვილმა გადადგა ზემოხსენებული „ქართული სიტყვიერების ისტორიით".

ფოლკლორულ ნაწარმოებთა პედაგოგიურ გარჩევას ვხედავთ კირიონისა და გრ. ყიფშიძის ზემოხსენებულ სახელმძღვანელოში „სიტყვიერების თეორია სალიტერატურო ნიმუშების დამატებით" (იქვე). ამ წიგნში ლაპარაკია ეპიკური ნაწარმოებებისა და ლირიკული ლექსების ნიშან-თვისებებზე[1], ანდაზებზე და გამოცანებზე,

[1] სიტყვიერების თეორია სალიტერატურო ნიმუშების დამატებით..., 1898. გვ. 58—64.

ანდაზებისა და გამოცანების შესახებ იმ დროს ქართულ ფოლკლორში გარკვევისათვის მნიშვნელოვანი იყო აქ წარმოდგენილი აზრი იმის შესახებ, რომ „ანდაზა ისეთი მოკლედ მოჭრილი და მოსწრებული თქმაა, რომელშიაც იხატება ერის აზრი, მსჯელობა და წესრიგი ბრძნული ცხოვრებისა“ (იქვე, გვ. 58—64). ხოლო გამოცანა „ისეთი ნართაული, სიტყვა-გადაკრული თქმაა, რომელშიაც ერთი საგანი სურათდება მეორეს შემწეობით, ოღონდ კი ამ მეორეს რაიმე მსგავსება ჰქონდეს, თუნდაც სრულიად შორეული, იმ პირველის საგნისა“ (იქვე).

ქართული ფოლკლორის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებდა ავტორების შემდეგი აზრიც: მწიგნობრული ლირიკის (აგრეთვე ეპოსის) საწყისები ხალხურ შემოქმედებაშია მოცემულიო (იქვე, გვ. 82—87). ხალხური შემოქმედების ასეთი შეფასება დიდად უწყობდა ხელს მისდამი მოსწავლეთა ყურადღების გამახვილებას.

აღსანიშნავია 1920 წ. მ. კელენჯერიძის მიერ გამოქვეყნებული ზემოხსენებული „ქართული ლიტერატურის ისტორია (ქრესტომათიით)“, რომელიც გარდა ფოლკლორის ნიმუშებისა, სიტყვიერების მნიშვნელობაზეც შეიცავს აზრებს. მისი აზრით, ანდაზას დიდი მნიშვნელობა აქვს ცოდნის დაუფლებისა და ზუსტი და ნათელი მეტყველების განვითარებისათვის (იქვე, გვ. 12). აქ ანდაზის პედაგოგიური მნიშვნელობაც მოჩანს და სტიმულიც მისდამი ინტერესის აღძვრისა. ავტორი ანდაზის მუსიკალურ მხარესაც ეხება, წერს: „ქართული ანდაზა უაღრესად ლაკონიურია, რითმულ-რიტმულიც და ამიტომ მუსიკალურიც“ (იქვე). უნდა ითქვას: ფოლკლორის ამ სახეობის ასეთი პედაგოგიური განმარტება ერთ-ერთი პირველი იყო ქართული პედაგოგიური და სამეცნიერო ლიტერატურისათვის. აქ ლაპარაკია სიტყვიერების არსებით ნიშნებზეც, ხალხური და ლიტერატურული შემოქმედების საერთო და განმასხვავებელ ნიშანთვისებებზეც (გვ. 5—7).

ჩვენი თემის სპეციფიკურობის გამო, აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ხალხურ ნაწარმოებთა ნიმუშების ლიტერატურის თეორიის თვალსაზრისით სახელმძღვანელოში განხილვას, თავისთავადაც ჰქონდა აღმზრდელობითი მნიშვნელობა: ის ფოლკლორის პოეტურ ღირებულებაზე მიუთითებდა და ამდენად მის ხვედრით წონას ზრდიდა მოსწავლეთა წინაშე.

ამავე პერიოდში გადაიდგა, აგრეთვე, ნაბიჯი ქართული ხალხური შემოქმედების პოეტური ღირებულების გასარკვევად. კირიონისა და ყიფშიძის ზემოხსენებული წიგნი პირველი სახელმძღვანელოა

ქართულ ენაზე, რომელშიც მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებთან ერთად, ფოლკლორი ლიტერატურის თეორიის კვლევის ერთ-ერთ ობიექტად არის მიჩნეული. მაგალითად, აქ გვაქვს მსჯელობა: შედარებაზე, ჰიპერბოლაზე, განპიროვნებაზე (იქვე, გვ. 11—14).

ამავე თვალსაზრისით განიხილა მ. კელენჯერიძემ, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებთან ერთად, ფოლკლორული ნაწარმოებები[1]. ამით მან ნაბიჯი გადადგა ფოლკლორის სკოლასთან დაახლოების საქმეშიც. თუ მისი ზემოაღნიშნული წიგნი — „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგიო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა", ფოლკლორის საერთო პედაგოგიურ მნიშვნელობის რამდენიმე საკითხს ეხება, ეს წიგნი ოჯახისა და საშუალო სკოლის სახელმძღვანელოს წარმოადგენს, რომელშიც თანმიმდევრულადაა გაანალიზებული ფოლკლორის ნიმუშები ლიტერატურის თეორიის თვალსაზრისით (იქვე, გვ. 61, 65, 82, 88).

მაგრამ კიდევ უფრო ახლო იყო საჭირო სკოლასთან მისვლა. უფრო მეტი სპეციფიკური სახე უნდა მიეღო ფოლკლორის სკოლაში გამოყენებისათვის მუშაობას. არა მხოლოდ იმაზე მსჯელობა, თუ რას წარმოადგენს ფოლკლორის ესა თუ ის სახე, ან — ნაწარმოები, არამედ უშუალოდ იმაზე, თუ ფოლკლორის რა სახის ნაწარმოებნი უნდა შევასწავლოთ მოზარდ თაობას. აი, მთავარი პრობლემა, რომელიც სკოლის პრაქტიკამ წარმოშვა და პასუხს მოითხოვდა. ამ პრობლემას უპასუხებდა ნაწილობრივ ვ. ბარნოვის ნაშრომი — „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები". ავტორი სწორედ ამ მიმართულებით სვამს საკითხს წიგნის წინასიტყვაობაში. იგი წერს: ლიტერატურის შესწავლას აბრკოლებს სახელმძღვანელოების უქონლობაც, — „არ არის კლასში სამუშაოდ მოწყობილი წიგნი. მასწავლებელი იძულებულია არამც თუ განმარტოს გაკვეთილი და გადასცეს, თითონვე შეარჩიოს გაკვეთილის მასალა, შემოსაზღვროს იგი და დაამუშაოს. ძნელია ეს. თუნდაც მასწავლებელმა მოახერხოს კარგის თქმა, მოსწავლე უკლებლივ ვერ იხსომებს" (გვ. 3).

გარკვევით ჩანს ამ წიგნის გამოცემის მიზანდასახულობა: ავტორს სურს ერთგვარი სახელმძღვანელო წიგნი მისცეს მასწავლებელს.

ეს წიგნი მასწავლებელს აწვდიდა პედაგოგიური თვალსაზრისით გადმოცემულ ცნობებს, ე. წ. საგმირო-მითოლოგიურ და საის-

---

[1] თეორია სიტყვიერებისა ქართული სალიტერატურო სამაგალითო ნიმუშების გარჩევით, ოჯახში და სკოლაში სახმარებელი წიგნი საშუალო სასწავლებლების პროგრამებზე შედგენილი მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ი ს მიერ. ნაწილი პირველი, საზოგადო თეორია სიტყვიერებისა. 1899.

ტორიო ხასიათის ნაწარმოებთა თავისებურებებსა და მათ მსგავსებაგანსხვავებაზე, პერსონაჟებზე, ადამიანთა უძველეს წარმოდგენებზე, ზღაპრებისა და არაკების თვისებებზე, ანდაზებსა და გამოცანებზე, ხალხურ ლირიკაზე.

ვ. ბარნოვის ეს წიგნი იმ დროისათვის საუკეთესო სახელმძღვანელოს წარმოადგენდა მასწავლებელთათვის.

* * *

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ საქართველოში სკოლის წინაშე დასმულმა ახალმა მიზანმა და ამოცანებმა ახლებური მიმართულება მისცა ფოლკლორის სკოლაში სწავლების საქმეს. სკოლა შრომისადმი სიყვარულის, მატერიალისტური მსოფლმხედველობის, ინტერნაციონალური სულისკვეთების, საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობისა და სხვა მოწინავე შეხედულებათა ჩანერგვის და აღზრდის ამოცანებს უნდა მომსახურებოდა. ცხადია, სახელმძღვანელოებში შეტანილ ფოლკლორულ მასალასაც გარკვეული წვლილი უნდა შეეტანა ამ საქმეში. ჯერ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ყურადღება მიექცა მოსწავლეთა მიერ ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალების ჩაწერას. მაგალითად, ს. გორგაძისა და ტრ. თაბუკაშვილის მეექვსე ჯგუფის სახელმძღვანელოში „წითელი კანდელი“ (1926 წ.) წარმოდგენილია ეთნოგრაფიული მასალა ხალხის ზნე-ჩვეულებათა შესწავლის მიზნით („სვანების ძველი ზნე-ჩვეულებანი“), და მოსწავლეებს ევალებათ ჩაიწერონ და შეაგროვონ ცნობები ფშავ-ხევსურებისა და თუშების ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების შესახებ (გვ. 263), ბატონყმობის შესახებ (გვ. 137) და ხ. შ. ყურადღება მიექცა ფოლკლორულ ნაწარმოებთა ცხოვრებაში გამოყენებას. ტრ. თაბუკაშვილის სახელმძღვანელოში „განთიადი“ (შრომის სკოლის მე-4 განყოფილებისათვის, 1923 წ., გვ. 17) მოწაფეებს დავალებად ეძლეოდათ დაბეჭდილი ანდაზებიდან შეერჩიათ ისეთი, რომელიც ზემოთ დაბეჭდილი არაკის — „კაცი და გველი“ აზრს გამოხატავდა და ა. შ. აქედან ჩანს, რომ ყურადღება მიექცა ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ მასალებზე მოსწავლეთა დაკვირვებისა და ამ მასალების ცხოვრებაში გამოყენების უნარის გამომუშავებას.

ყველაფერი ეს ხალხური შემოქმედებისადმი მოსწავლეთა ინტერესის აღძვრას უწყობდა ხელს. თვით ფოლკლორული ნიმუშების სახელმძღვანელოში შეტანა 1921 წელსვე იწყება. ამავე წელს გამოვიდა გ. ჭუმბურიძის „თაიგული“, რომელშიც ზღაპრები დაიბეჭდა (გვ. 125—134). 1922 წ. თ. კიკვაძის, გ. ჭუმბურიძის და

ფ. მგელაძის „ჩვენი სკოლა“ (შრომის სკოლის მეორე განყოფილებისათვის) გამოვიდა. აქ დაიბეჭდა ლექსები, ანდაზები და ზღაპრები (გვ. 52—53). აღსანიშნავია, აგრეთვე, გ. ჭუმბურიძის „მეგობარი“ (1923 წ.), რომელშიც ანდაზები და გამოცანები დაიბეჭდა (გვ. 20, 25, 48, 67, 132—36); „კონა“ (1925 წ.), რომელიც შეიცავს ანდაზებს, გამოცანებს, ზღაპრებს და ლექსებს (გვ. 9, 18, და სხვ.); „ქართული ანბანი“, რომელშიც „დედა ენიდან“ შეიტანეს მასალები (1925); „ჩვენი მხარე“ (1926); ს. გორგაძის „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია პარალელებით ახალი მწერლობიდან“ (1927 წ.), რომელშიც ფოლკლორის თითქმის ყოველ სახეს ვხვდებით. ვ. ძიძიგურის და გვახარიას „პირველი წიგნი, პირველი ჯგუფისათვის“. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნ. ბოცვაძისა და ეკ. ბურჯანაძის „დედა ენა“, შედგენილი ი. გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით, პირველი და მეორე ნაწილი (1944 წ.) და მათივე „დედაენა“, მეორე კლასის სახელმძღვანელო (1964 წ.). ეს სახელმძღვანელოები მეტად მდიდარია ფოლკლორული მასალებით და ამჟამადაც ემსახურებიან ბავშვთა აღზრდის დიდ საქმეს. 1964 წ. შ. თაბუკაშვილის, ვ. რამიშვილისა და თ. ჩერქეზიშვილის „ქართული ენა“ გამოვიდა (მესამე კლასის სახელმძღვანელო); რომელშიც დაიბეჭდა ანდაზები, ლექსები და ზღაპრები (გვ. 6, 10, 11, 16, და სხვა). ამავე ავტორებმა მეოთხე კლასის სახელმძღვანელოც გამოსცეს, რომელშიც ანდაზებთან და ზღაპრებთან ერთად ლეგენდასაც ვხვდებით (კერძოდ 1964 წ. გამოც. გვერდები — 10—12, 21 და სხვ.). შ. თაბუკაშვილმა და ვ. რამიშვილმა გამოსცეს „მშობლიური ლიტერატურა“ (მე-5 კლასის სახელმძღვანელო), რომელშიც დაიბეჭდა ლექსები, გამოცანები, ანდაზები, ზღაპარი (1964 წ., გვ. 4, 9—20, 34—44). საყურადღებოა, რომ აქვე ახსნა-განმარტებებიც არის ფოლკლორის შესახებ (გვ. 45).

გრ. ბარამიძემ და ილ. სიხარულიძემ „მშობლიური ლიტერატურა“ გამოსცეს (1964 წ.) — მეექვსე კლასის სახელმძღვანელო. აქ გვაქვს ხალხური სიტყვიერების და მისი სახეების განმარტებები. (გვ. 3—5), მოყვანილი და გარჩეულია თითოეული სახის ნიმუშები (გვ. 6—23) და სხვ. ცალკეა გამოყოფილი „ხალხური სიტყვიერების განვითარების საბჭოთა პერიოდი“ (გვ. 24—25) და დაბეჭდილია რამდენიმე ზღაპარი. გამოვიდა გრ. ბარამიძის, კლ. დევდარიანის, პრ. კეკელიძის „მშობლიური ლიტერატურა“, მე-7 კლასის სახელმძღვანელო, რომელშიც „ამირანი“ და „ეთერი“ დაიბეჭდა (1963 წ., გვ. 3—20) და რომელთაც კითხვარი ერთვის, ამ ნაწარმოებთა არსის გაგებისათვის.

ასეთია უმთავრეს ხაზებში ფოლკლორის ადგილი ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებსა და სკოლაში.

საბჭოთა პერიოდში ფოლკლორის სწავლების საკითხს არაერთი შრომა მიეძღვნა. 1925 წ. თ. ბეგიაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“ გამოვიდა. წიგნში განხილულია ქართული მითოლოგიური და საგმირო ხასიათის ფოლკლორის ნიმუშები („ამირანი“, „როსტომიანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „აბესალომ და ეთერი“) და დახასიათებულია მათი მთავარი პერსონაჟები, აგრეთვე დახასიათებულია „საისტორიო პერიოდი“, „ხალხური ლირიკა“, ანდაზები, გამოცანები, შელოცვები და მრავალი სხვა სახის ნაწარმოებნი. ამ წიგნმა დიდი როლი შეასრულა ფოლკლორის სკოლაში გამოყენების საქმეში.

1941 წ. გამოვიდა ქს. სიხარულიძის ნაშრომი — „ფოლკლორის შესწავლა საშუალო სკოლის მე-8 კლასში“. იგი ეხება ფოლკლორის წარმოშობის, განვითარების საკითხებს და იძლევა მითითებებს მისი ნიმუშების სწავლების შესახებ. ეს წიგნი კარგ დამხმარე სახელმძღვანელოს წარმოადგენდა მასწავლებელთათვის. ამავე წელს კ. გაგუას „ქართული პოეტური ფოლკლორი“ გამოქვეყნდა, რომლის პირველი ნაწილი ცნობებს შეიცავს ფოლკლორის შესახებ და ამდენად მასწავლებლის დამხმარე წიგნს წარმოადგენდა. მეორე ნაწილში კი ფოლკლორის ნიმუშებია წარმოდგენილი.

რა შედეგები მოაქვს ფოლკლორის ნიმუშების სწავლებას სკოლებში. ამ სტრიქონების ავტორი მთელი რიგი ათეული წლების განმავლობაში აკვირდებოდა ფოლკლორის სწავლების პროცესს ჩვენს სკოლებში და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობის ყოველმხრივი მომზადებისათვის ფოლკლორის ნიმუშებს დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ფოლკლორის სწავლების დროს ჩვენი აზრით, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ფოლკლორი მხატვრული სიტყვის მეტად თავისებური სახეა, ის ათასეულ წელთა მანძილზე იქმნებოდა და მრავალი სხვადასხვა რელიგიური რწმენის, ეთნოგრაფიული ჩვეულებებისა და წესების მატარებელია, რის გამოც მასწავლებელს სათანადო მომზადება სჭირდება, გარდა პედაგოგიკისა და თავისი საგნის მეთოდიკისა, ეთნოგრაფიასა, ისტორიასა და ზოგიერთ სხვა საგანში.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 3.

პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ი — ხალხური პედაგოგიკის საფუძვლების საკითხისათვის 11

მ ე ო რ ე თ ა ვ ი — გონებრივი აღზრდის ზოგიერთი საკითხი 17

მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი — შრომითი და პროფესიული აღზრდის საკითხები 22

მ ე ო თ ხ ე თ ა ვ ი — დიდაქტიკა 47

მ ე ხ უ თ ე თ ა ვ ი — ზნეობრივი აღზრდა 89

მ ე ე ქ ვ ს ე თ ა ვ ი — ესთეტიკური აღზრდის საკითხები 162

მ ე შ ვ ი დ ე თ ა ვ ი — სამხედრო—ფიზიკური აღზრდის საკითხები 193

მ ე რ ვ ე თ ა ვ ი — თვითწრთობა, თვითგანვითარება 206

მ ე ცხ რ ე თ ა ვ ი — ხალხური მასწავლებლები და სკოლა 209

მ ე ა თ ე. თ ა ვ ი — გარემოს, მემკვიდრეობისა და აღზრდის როლი ადამიანის ფორმირებაში 242

მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე თ ა ვ ი — ქართული ხალხური იდეების როლი პროგრესული პედაგოგიური აზროვნებისა და სკოლის განვითარებაში (უმთავრესი მომენტები) 246

რეცენზენტი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ალ. ღლონტი

გამომცემლობის რედაქტორი ნ. სუხიტაშვილი
მხატვრული რედაქტორი ს. ბოტკოველი
ტექრედაქტორი ო. მაკავარიანი
კორექტორი რ. გოგიშვილი
უფროსი კორექტორი ე. მუზაშვილი
გამომშვები ნ. დოგუზაშვილი

გადაეცა ასაწყობად 6/IX-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/III-76 წ.
ქაღალდის ზომა 60×90 1/16 საბეჭდი ქაღალდი № 3. ნაბეჭდი თაბახი 18.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16.88.

უე 00345 ტირაჟი 1000 შეკვ № 2660

ფასი 98 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.
1976

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19